

ემილი ბრონტე

ქარიშხლიანი უღელტეხილი

ინგლისურიდან თარგმნა ლევან ინსარაძემ

„სამწერლო-საოჯახო ამქრის“ ღირსეული წევრი

ირლანდიდან ინგლისში გადმოხვეწილი ანგლიკანური ეკლესიის მღვდლის პატრიკ ბრონტესა და მისი ცოლის, მარიას, ექვსი შვილიდან (ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდათ) ოთხი საქვეყნოდ ცნობილი მწერალი გახდა და ადრეულ ასაკში გარდაცვლილი ორი უფროსი გოგონაც არ იქნებოდა მათზე ნაკლები, რომ დასცლოდათ.

შეუძლებელია, ემილი ბრონტეზე, მით უმეტეს, მის ბიოგრაფიაზე წერდე და მისი არანაკლებ სახელგანთქმული და-ძმების (განსაკუთრებით კი ყველაზე ცნობილი დის – შარლოტ ბრონტეს) ცხოვრებას აუარო გვერდი.

სხვათა შორის, როდესაც შარლოტი მამამისმა სკოლაში მიიყვანა, სადაც უფროსი დები უკვე წარჩინებით სწავლობდნენ (სწორედ ისინი, რომლებიც მალე გარდაიცვალნენ. ემილი მოგვიანებით მივიდა იმ სკოლაში), მასწავლებელს მის პირად საქმეში ჩაუწერია: «შარლოტ ბრონტე. მივიღეთ 1824 წლის 10 აგვისტოს. წერს გაუგებრად. ცოტა თვლაც იცის. კარგად კერავს. არაფერი იცის გეოგრაფიის, გრამატიკის, ისტორიის ან ეტიკეტის შესახებ».

ის სკოლა კოვან-ბრიჯში მდებარეობდა და შეღავათიან ფასში ასწავლიდნენ სასულიერო პირების ქალიშვილებს. შარლოტმა მხოლოდ ერთი წელი დაყო იქ, ემილიმ – ნაკლები, მაგრამ ამის მიუხედავად, ისე კარგად დაამახსოვრდათ გოგონებს, იმდენი ნიუანსი ჩაეხეჭადათ გონებაში, რომ შემდეგ ძალიან შთამბეჭდავად აღწერეს თავიანთ რომანებში (მაგალითად, შარლოტმა ლოუუდის პანსიონის პროტოტიპად გამოიყენა «ჯეინ ეარში»).

მამამ ორი უფროსი და შინ დააბრუნა, რადგან იქაურმა ჰავამ დააავადა ისინი, თუმცა დანარჩენი სამი ჯერ კიდევ სკოლაში იყო.

უფროს გოგონებს შინ დაბრუნებამ და მკურნალობამაც არ უშველა და მალე ორივე გარდაიცვალა. შეშინებულმა მამამ (ბავშვებს დედა კიბოთი მაშინ მოუკვდათ, როდესაც ემილი სამი წლისა იყო) დანარჩენი გოგონებიც სასწრაფოდ წამოიყვანა კოვან-ბრიჯიდან.

ტუბერკულოზი წყველად თუ გენეტიკურ დაავადებად ექცათ პატრიკ ბრონტეს შვილებს: ხუთი მათგანი, მათ შორის ემილიც, ამ სენს ემსხვერპლა, ხოლო როდესაც საკმაოდ ახალგაზრდა, 38 წლისა, შარლოტ ბრონტეც გარდაიცვალა, იმის მიუხედავად, რომ შინაურები სიკვდილის მიზეზად ტოქსიკური ფეხმძიმობის პრობლემებს, მუცლის ტიფს (გადაედო მოახლისგან, რომელიც ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა) და გაუნყოფილებასაც ასახელებდნენ, ექიმმა დასკვნაში მაინც ტუბერკულოზი ჩაწერა, თითქოს ბრონტეები მხოლოდ ამ დაავადებით უნდა დახოცილიყვნენ.

ისევ დასავლეთ იორქშირში დავბრუნდეთ, ჰაუორთში, სადაც სამმა დამ: შარლოტმა, ემილიმ, ენმა და მათმა ძმამ – ბრენეელმა ძიძის, მამისა და აღმზრდელი ქალის მეთვალყურეობით განაგრძეს ცხოვრება. ოთხივემ 8 თუ 10 წლის ასაკიდან გამოავლინა ლიტერატურული ნიჭი: თხზავდნენ ამბებს თავიანთ გამოგონილ ქვეყნებზე, მოიგონეს ინგლისის არარსებული კოლონია აფრიკაში, რომლის დედაქალაქშიც სულ შუშის შენობები იდგა და ასევე ერქვა – გლას-თაუნი, წერდნენ ლექსებს.

დებში უფროსი შარლოტი იყო და 15 წლისა რომ შესრულდა, პირველი სწორედ იგი გაგზავნა მამამ როუ-ჰედის საკმაოდ კარგ სკოლაში და როდესაც ოთხ წელიწადში სწავლა დაასრულა და იმავე სკოლის მასწავლებელი გახდა, ჯამაგირის ნაწილით შუათანა და – ემილი წაიყვანა როუ-ჰედში, მაგრამ ისევ და ისევ ნესტიანი ჰავის გამო ჯანსუსტი ემილი უკან დააბრუნა და მის მაგივრად უმცროსი – ენი ჩარიცხა სკოლაში.

ცხადია, ემილიც, მისი დებიც და ძმაც წერას აგრძელებდნენ, ოღონდ, როგორც იმ დროის თითქმის ყველა პროზაიკოსმა, მათაც პოემით დაიწყეს (ძმა კარგად ხატავდა კიდევ).

ბრონტეებმა იმ დროისათვის აპრობირებული მეთოდით მოინდომეს პირველი ნაბიჯების გადადგმა, – ცნობილ პოეტებს გაუგზავნეს თავიანთი ლექსები გასაცნობად და რეკომენდაციის მისაღებად.

შარლოტმა, რომელიც როგორც უფროსი, «სამწერლო-საოჯახო ამქრის» მეთაურად იყო აღიარებული, იმ დროის ინგლისში ყველაზე პოპულარული პოეტი რობერტ საუთი აირჩია. სხვათა შორის, ორიოდ სიტყვა ამ საინტერესო ადამიანზეც უნდა ვთქვათ: პოეტი-რომანტიკოსი, ბალადებისა და ოდების ავტორი, მოგზაური, დიდხანს ესპანეთსა და პორტუგალიაში ნაცხოვრები, სადაც რაინდული რომანები შეიყვარა და ინგლისურად თარგმნა (მათ შორის საქვეყნოდ სახელგანთქმული «ამადის გალელი»), ჩვენთვის მისი ერთადერთი ზღაპრით, «სამი დათვით», უფრო არის ცნობილი. ხომ გახსოვთ: «ვინ შეჭამა ჩემი ფაფა?! ვინ იწვა ჩემს საწოლში?!»

ჰოდა, ამ კაცმა ახალგაზრდა პოეტ ქალებს პასუხად მოსწერა: რაღაც პოეტური არის თქვენში, მაგრამ ძალიანაც ნუ გაერთობით და ქალის მთავარი მოვალეობა არ დაივიწყებთ. ანუ, «თანამედროვე ენით» რომ ვთქვათ, «ქალის საქმე სამზარეულოა».

ბრონტეებმა მათდამი ასეთი დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ «უებარი წამალი» გამოიგონეს – სამივემ მამაკაცის სახელი აიღო ფსევდონიმად და თავიანთი ლექსები სამი ავტორის ერთ კრებულად გამოსცეს: «ძმების» – კარერ, ელის და ექტონ ბელეების ლექსების წიგნმა სრული ფიასკო განიცადა – მხოლოდ... ორი ეგზემპლარი გაიყიდა!

ამ დროს ემილი უკვე 28 წლისა იყო და მოხუცი უშვილო დედის ნაანდერძევი ფულით დებთან ერთად სკოლის გახსნასაც აპირებდა, ამისათვის ისინი ბელგიაში ფრანგულის შესასწავლადაც იყვნენ რამდენიმე წელი, მერე იქვე თვითონ ასწავლიდნენ ინგლისურს, ინგლისში დაბრუნებულები სკოლის გასახსნელად მზად იყვნენ, მაგრამ რაღაც ვერ აეწყო...

ასე რომ, მწერლობა ერთადერთი გზა იყო და დები არ დანებდნენ: ამჯერად ცალ-ცალკე, ოღონდ ისევ «კაცური ფსევდონიმებით» რომანები გამოაქვეყნეს: «კარერ ბელმა» (შარლოტ ბრონტემ) – «მასწავლებელი»; ელის ბელმა (ემილი ბრონტემ) – «ქარიშხლიანი უღელტეხილი» და ექტონ ბელმა (ენ ბრონტემ) – «ავნეს გრეი» და... ისევ წარუმატებლობა!

სამაგიეროდ, ამას მალევე მოჰყვა შარლოტის «ჯეინ ეარი», რომელიც ბესტსელერად იქცა და ამ რომანმა დანარჩენი ბრონტეების რომანებიც მალევე «გააყიდა».

ოღონდ, სამწუხაროდ, ემილი ბრონტეს დიდება სიკვდილის შემდეგ ეწვია: ჯერ ძმა გარდაიცვალა, მის დაკრძალვაზე ემილი გაცივდა და ევრეთ წოდებული «სწრაფი ჭლებით» ორ თვეში აღესრულა.

ყველაზე დიდხანს (თუკი ამას «დიდი ხანი» შეიძლება ეწოდოს) შარლოტმა იცოცხლა – ის შვიდი წლის შემდეგ, 38 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ მოასწრო, რომ თავისი დების და, განსაკუთრებით, ემილის ბრწყინვალე რომანისათვის დამსახურებული დიდება მოეპოვებინა – ფაქტია, რომ «პიარი» მაშინაც საჭირო ყოფილა.

არადა, «ქარიშხლიანი უღელტეხილი» ის რომანია, რომელიც უანრის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და სამართლიანად ითვლება ინგლისური პროზის ბრწყინვალე ნიმუშად.

სხვათა შორის, კრიტიკასა და მკითხველს მწერლის სიკვდილის შემდეგ ემილი ბრონტეს პოეზიაც «გაახსენდათ» და დღეს მის ლექსებს («მოგონებანი», «ტყვე» და სხვ.), ინგლისური პოეზიის სპეციალისტები შელის, ბლეიქისა და ბაირონის შედევრების გვერდით მოიხსენიებენ...

ზვიად გურული

თავი 1

1801 წელი. ახლახან დავბრუნდი ჩემი საბინადროს პატრონისგან. ეს არის ერთადერთი მეზობელი, რომელიც უთუოდ თავს მომაბეზრებს. აქაურობა მართლაც ლამაზია! მთელ ინგლისში ვერსად ნახავს კაცი საზოგადოებისგან ასე გაკიდევანებულ, მყუდრო ადგილს. მიზანთროპისთვის მისწრებაა! მისტერ ჰითქლიფსა და მე კი ამ სიმარტოვის გაზიარება მოგვიწევს. გადასარევი ვინმეა! ალბათ ვერც კი მიხვდა, როგორ გამითბა გული, ცხენით მისულმა რომ ჩავხედე წარბებში ჩამალულ შავ, ეჭვიან თვალებში, როდესაც ჩემი სახელის გაგონებაზე თითები შემალა ყილეტში.

– მისტერ ჰითქლიფი ბრძანდებით? – ვკითხე მე.

პასუხად თავი დამიქნია.

– მისტერ ლოქვედი გახლავართ, თქვენი ახალი მდგმური, სერ. ვიფიქრე, ჩამოსვლისთანავე გზღებოდით და მეკითხა, – ჩემი დაჟინებული თხოვნით, «შამეების კარმიდამოში» დავსახლებულიყავი, უხერხულობა ხომ არ შემიქმნია თქვენთვის. ნუხელ ყური მოვკარი, ორჯოფობდაო...

– «შამეების კარმიდამო» ჩემია, სერ, – შემანყვევტინა თვალმონკურულმა, – ამიტომ არავის შევაშლევინებ ხელს, მე კი შემიძლია უხერხულობა შეეუქმნა მავანს. შემობრძანდით!

ეს სიტყვა ისე გამოსცრა კბილებში, როგორც «ჯანდაბამიც წასულხარო», რომ ვიტყვით ხოლმე. ჭიშკარმაც თითქოს კვერი დაუკრა ამ უღერადობას და არ შედეგულა. ახლა ვფიქრობ, რომ სწორედ ამ გარემოებამ მიბიძგა, მიპატიუებას დავყოლოდი. ძალიან დამაინტერესა ამ ჩემზე ზვიადმა მარტოსულმა.

როდესაც თვალი ჰკიდა, რომ ჩემი ცხენი მკერდით მიანვა კარს, ინება და ურდული გადასწია, მერე უხმოდ გამიძღვა მოფილაქნებულ გზავინროზე და უკვე ეზოში შესულმა ცალყბად გასძახა მსახურს:

– ჯობფე, მისტერ ლოქვედს ცხენი ჩამოართვი და ცოტაოდენი ღვინოც გამოაყოლე ხელს.

გულში გავივლე, მეტი მსახური ამას არ ეყოლება-მეთქი, რაც მისმა ბრძანებამ მაფიქრებინა. არც ქვაფენილზე ამოსულ სარეველას გლეჯს ვინმე და ცოცხალ ღობეებად ამოსულ ბუჩქნარსაც საქონელი კრეჯს-მეთქი.

ჯობიერი ხნის კაცი აღმოჩნდა, ბებერიც კი ეთქმოდა, ოღონდ ჭარმაგი და ბრგე კი იყო.

– ღმერთო, შენ გვიშველე! – უხალისოდ ჩაიბურტყუნა თავისთვის, ცხენის სადავე ჩამომართვა და ისეთი სახით შემომხედა, რომ მიხვდი, ღვთის დახმარება თვითონ უფრო ესაჭიროებოდა სადილის მოსანელებლად და მის წამოძახილთან ჩემი მოულოდნელი გამოჩენა არავითარ კავშირში არ იყო.

მისტერ ჰითქლიფის საცხოვრის «ქარიშხლიან უღელტეხილად», ან «საქარედ» იცნობენ. სიტყვა «ქარიშხლიანი» ამ შემთხვევაში თვალსაჩინოდ მიუთითებს ბორცვზე მდგარი სახლის გარშემო ავდარში ატეხილ ატმოსფერულ აურზაურზე. მართლაც, ქარიან ამინდში აქაურობა ალბათ სრულიად დაუცველი იქნება. ქვენა ქარის სიძლიერეს, ამ მაღლობს რომ ანიავებს, კაცი დაგვალული ნაძვებითა და ცალ მხარეს გადახრილი, უფოთლო, ეკლიანი ბუჩქებითაც მიხვდება, ტოტები მზისკენ რომ გაუშვერიათ, თითქოს მოწყალებას შესთხოვენო. საბედნიეროდ, არქიტექტორი ამ ყველაფერს მიმხვდარა და საკმაოდ მკვიდრი სახლი აუგია: ვინრო სარკმლები ღრმად არის ქვის კედლებში ჩასმული, კუთხეები კი ღიდრონი გამოშვერილი ქვებითაა დაცული.

სანამ ზღურბლს გადავაბიჯებდი, შევჩერდი, რომ თვალი შემეცლო წინაკედელზე უხვად მიმოხეული მდიდრული ბარელიეფებისთვის, განსაკუთრებით კი იმისთვის, სადარბაზო კარის თავს რომ ამშვენებდა. ჩამოფშვნილი გრიფონებისა და ჰატარა ურცხვი ბიჭუნების აურზაურში თარიღი გავარჩიე: «1500» და იქვე სახელიც: «ჰერთონ ერნო». ერთ-ორ სიტყვას ალბათ ვიტყვოდი და სახლის სიტყვაძვირ ჰატრონსაც მოვაცოლებდი სახლის ამბავს, მაგრამ მისმა მზერამ მიმახვედრა, რომ სწრაფად უნდა შევსულიყავი, ანდაც უკანვე გავბრუნებულიყავი, მე კი სულაც არ მწადადა, მისი მოთმინება გამომეცადა, სანამ სახლს შიგნიდანაც არ შევათვალეირებდი.

ერთი საფეხური და უკვე მისაღებ ოთახში აღმოვჩნდი – სახლს არც ვესტიბული ჰქონდა და არც დერეფანი. აშკარაა, აქ «სახლს» მისაღებ ოთახს ეძახიან. ეს ოთახი სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახს მოიცავს ხოლმე, «ქარიშხლიან უღელტეხილში» კი, დარწმუნებული ვარ, სამზარეულოს პოზიციები აქვს დათმობილი და სულ სხვა ოთახშია მოქცეული. ყოველ შემთხვევაში, ხმები და ჭურჭლის წკარუნი კედლის იქიდან შემომესმა. საკმაოდ შორიდანაც. უზარმაზარ ბუხართან კი ხრაკვის, ხარშვისა და ცხობის კვალიც ვერსად შევნიშნე. არც სპილენძის ქვაბი ბზინავს სადმე და არც თუნუქის საწურები კიღია კედელზე. თუმცა ერთ კუთხეში კალის თვალმისაცემად მზნინავი ჭურჭლით, ვერცხლის დოქებითა და ტოლჩებით სახურავამდე ასული მუხის თაროები შევნიშნე. სახურავის ქვეშ ჭერის კვალი არ ჩანდა. სახლის ანატომია სრულიად ნათლივ წარმოუდგებოდა დაინტერესებულ თვალს, გარდა იმ ადგილებისა, სადაც ხის დგამი იდგა, ნაბუქებით, ძროხის ბარკლის, ცხვრის აპოხტისა და ღორის შაშხის ნაჭრებით დახვავებული. ასეთი საფარის ქვეშ თავად დგამი თითქმის აღარ ჩანდა. ბუხრის თავზე ათასნაირი უგვანი თოფ-იარაღი დაემწკრივებინათ, მათ შორის ორი წყვილი საცხენო პისტოლეტი. ორნამენტად კი კიდებე სამი ცალი ჭრელაჭრულა თუნუქის ქილა იდო. იატაკი თეთრი,

გლუვზედაპირიანი ქვისა ევო; უხეშად შეკრული მაღალზურგიანი სკამები მწვანედ შეეღებათ. ორი შავი და უფრო მძიმე სკამ-სავარძელი კი ჩრდილში იყო მიმაღული. თაროს ქვეშ მუქნითური ძუკნა პოინტერი ინვა, გარს ანკმუტუნებული ლეკვები შემოხვეოდა. სხვა შესაძრომებში დანარჩენი ძაღლები შეყუყულიყვნენ.

ბინა და დგამი უჩვეულო არ იქნებოდა, ჩრდილოელი ფერმერისა რომ ყოფილიყო, ჯიუტი იერი და ძლიერი კიდურები რომ აქვთ ხოლმე, რასაც ბრიჯი და გეტრები უფრო ამკვეთრებს. ასეთი სახლის პატრონის ნახვა, თავისი სავარძელი რომ აქვს და გვერდით პატარა, მრგვალ მაგიდაზე ქაფქაფა ლუდით სავსე კათხა უდგას, ნებისმიერ სახლში შეუძლია კაცს, ნასადილევს რომ შეიაროს ვინმესთან ათიოდე კილომეტრის რადიუსში. მაგრამ მისტერ ჰითქლიფი უცნაურ კონტრაქტს ქმნის თავისი სახლითა და ცხოვრების წესით. გარეგნულად შეგუხა ბოშას ჰგავს, სამოსითა და მანერებით ჯენტლმენს, ცხადია, სოფლის სკვაირების ფონზე: მართალია, დაუდევრად აცვია, მაგრამ კარგი აღნაგობისაა, სახე კი მოღუშული აქვს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ცა ქუდად არ მიაჩნიაო, მაგრამ გული მეუბნება, რომ მთლად ასეც არ უნდა იყოს საქმე. ინსტინქტურად ვგრძნობ, რომ მისტერ ჰითქლიფის თავდაჭერილობის მიზეზი მისი თვისება – საქვეყნოდ არ გამოფინოს თავისი გრძობა-განწყობილება. სიყვარულიც და სიძულვილიც ფარულად შეუძლია და სხვასაც კადნიერებაში ჩამოართმევდა, აშკარად რომ შეჰყვარებოდა ან შესძულებოდა ვინმეს. არა, ნამეტანი მომდის: ზედმეტად უხვად ვაწერ ჩემს თვისებებს. მისტერ ჰითქლიფს შეიძლება სულ სხვა მიზეზი ჰქონდეს, სავარაუდო ნაცნობებთან შეხვედრისას ხელი დამალოს, ჩამორთმევის მაგივრად. ვიმედოვნებ, რომ ჩემი გონებრივი ნყობა განსაკუთრებულად მოეჩვენება. ჩემი ძვირფასი დედიკო მეტყვოდა ხოლმე, ოჯახურ კერას ვერ ეღირსებო და შარშან ზაფხულს დავუმტკიცე კიდეც თავს, რომ მართლა არ ვიყავი კერის ღირსი.

მთელი თვე ზღვის ნაპირას გავატარე, ამინდმაც ხელი შემინყო, და სწორედ იმ დროს აღმოვჩნდი ერთი მშვენიერი არსების ახლოს: ჩემს თვალში ნამდვილი ქალღმერთი იყო, სანამ ყურადღებას მომაქცევდა. მართალია, სიტყვიერად არასდროს მისხენებია სიყვარული, მაგრამ სულელიც კი მიხვდებოდა მზერით გამოხატულ გრძობას – სულიან-ხორციანა მიყვარდა. ბოლოს, როგორც იქნა, იკუმანა და საპასუხო მზერით შემომხედა – მის მზერაზე უტკბესი არაფერი მენახა. და მე რა ვქენი? სირცხვილით ვაღიარებ – ჩემს ნაჭუჭში შევიკეტე, ლოკოკინა რომ შეიმალება ხოლმე ნიჟარაში – და გულგრილად დავეწყე ყურება. ყოველი თვალის შევლება უფრო და უფრო ცივი მიხდებოდა, სანამ ის საწყალი თავის გრძნობებში არ დაეჭვდა. ბოლოს კი გაუგებრობით გაოგნებულმა, თან ალბათ ფიქრობდა, ეტყობა, რამე შემეშალაო, დედამისი დაარწმუნა, გასცლოდნენ იქაურობას. სიტუაციის ასეთი უსიამოვნოდ უცნაური შემობრუნებით უგულო და ანგარებიანი კაცის სახელი დავიმკვიდრე, ხოლო რამდენად დაუმსახურებლად, ამის შეფასება ოდენ მე ძალმიძს.

ბუხართან ჩემი მასპინძლის პირდაპირ დავეყე. ამასობაში ჩამოვარდნილი ღუმელის გაქარწყლება კი დედაძაღლის მოფერებით ვცადე, რომელსაც ლეკვები მიეტოვებინა და უკნიდან მგლურად მეპარებოდა კანჭებთან. ზედა ტუჩი აენია და თეთრი კბილები ისე დაეკრიჭა, რომ ნებისმიერ წამს ჩავსო ფეხში ბასრი ეშვები. მოფერებაზე გაბმული ღრენით მიპასუხა.

– ძალი ისე არ დაიყეფებს, რამე თუ არ დაინახაო, – შენიშნა მან, წაქცეული მაგიდა წამოაყენა და ბოთლი ჩემ წინ დადგა, – ძალი ფხიზლად უნდა იყოს... ჭიქა ღვინოს ინებებთ?

– არა, გმადლობთ.

– ხომ არ დაგკბინეს?

– დავეკბინე და – დამკბენს ჩემს ბეჭედს დავამჩნევდი, – მისტერ ჰოთელიფს სახე დამცინავმა ღიმილმა შეურბილა.

– კაი, კაცო, – თქვა მან, – აღელვებული ჩანხართ, მისტერ ლოქეუდ. ცოტაოდენი ღვინო არ განყენთ. ამ ჭერქვეშ სტუმარი იმდენად ძვირი სანახავია, რომ მე და ჩემს მწვერებს, ჩემი ნებით რომ ბინადრობენ აქ, უხეიროდ გამოგვდის მათი მიღება. ჯანმრთელობას გისურვებთ, სერ!

მე თავი დავუკარი და საპასუხოდ მისი სადღეგრძელო შევსვი. მივხვდი, რომ ძაღლების გაანჩხლების გამო გაბუტვა ჩემგან არანაკლები უხეირობა იქნებოდა. გარდა ამისა, არც ის მსურდა, რომ სახლის პატრონისთვის გართობის საბაბი მიმეცა, ვაიდა, იუმორის გრძნობის შემოტევისას ასეთი სურვილი გასჩენოდა. მან კი, ალბათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივო – რაც უნდა ყოფილიყო, არ ღირდა, კარგი გადამხდელი მდგმურის მომღურება, – სიტყვაძვირობაზე ხელი აიღო და ჩვეული ნაცვალსახელებისა და მაშველი ზმნების გამოტოვებით იმ საგანზე ჩამოავლო სიტყვა, რომელიც ჩემთვის ფრიალ მნიშვნელოვანი ეჩვენა: ჩემ მიერ განსამართლებლად შერჩეული საცხოვრისის ავკარგიანობაზე წამოიწყო საუბარი. საკმაოდ გონებაშახვილურად მსჯელობდა ყველა იმ თემაზე, რომელსაც კი შევეხეთ. სანამ შინ წავიდოდი, მხნეობა მოვიკრიბე და ხალისით ვუთხარი, ხვალაც შემოგივლით-მეთქი. აშკარად არ ეამა მოსალოდნელი განმეორებითი შეჭრა. მიუხედავად ამისა, ჩემსას მაინც არ დავიშლი და სიტყვას შევასრულე. არ დამიჯერებთ და საოცრად კომუნიკაბელურად აღამიანად ვგრძნობ მასთან შედარებით თავს.

თავი 2

გუშინ შუადღისკენ, ნისლი ჩამოწვა და აცივდა. თითქმის გადაწყვეტილი მქონდა, ჩემს კაბინეტში ბუხართან ვიქნები-მეთქი, იმის მაგივრად, რომ «ქარიშხლიანი უღელტეხილისკენ» დავდგომოდი ტალახიან ველობზე მიმავალ გზას. ნასადილეგს (თორმეტიდან პირველამდე ვსადილობ ხოლმე; მწე, ნამდვილი მატრონა, რომელიც სახლთან ერთად მერგო, ვითარცა ნაწილი განუყოფელი, ვერ ან არ ასრულებს ჩემს თხოვნას, რომ სასადილოდ ხუთისთვის გაშალოს სუფრა) კიბეზე რომ ავედი და ლამის იყო, სიზარმაცემ დამჭახნა, ოთახში შესულმა ჩამუხლული მსახური გოგონა დავინახე, ჯავრისებითა და ქვანახშირის სათლებით გარშემორტყმული, რომელსაც ჯოჯოხეთურად აემტვერებინა იქურობა – ნაკვერჩხლების ჩაქრობას ლამობდა. ამ

სანახაობამ ანაზღად უკანვე გამომაბრუნა. ქედი ავიღე და ექვსიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ჰითქლიოფის ჭიშკარს მივაღდექი, უფრო სწორად, პირველი ფაფუკი ფანტელების კორიანტელს მივასწარი.

ბორცვის თავზე მიწა თრთვილს გაეყინა, სუსხიანი ქარი კი ძვალ-რბილში ატანდა. კანკალი დამანყებინა. ჯაჭვი რომ ვერაფრით გავხსენი, გადავძვერი, მოფილაქნებული ბილიკი გავიბრინე, ხურტკმლის მეჩხერი ბუჩქები რომ მიუყვებოდა, კარზე იქამდე ვაკაკუნე, სანამ ფალანგები მიმტყუნებდა და ძაღლები ატეხდნენ ყმუილს.

– უხიაგი ბინადრები! – გავივლე გონებაში, – მაგ თქვენი სტუმართმოქლეობისთვის მართლაც მარტობისთვის ხართ გასანირი. დღისით რა დამაკეტინებს კარს ურდულით! არ მენაღვლება, მაინც შევალ! რაკი ასე გადავწყვიტე, საკეტს ხელი ვტაცე და თავგამეტებით დავეუნყე კარს ჯანჯლარი. ჯოზეფმა დამძარებული სახით გამომხედა ფარდულის მრგვალი სარკმლიდან.

– აქ რამ მოგიყვანათ? – გამომძახა, – ბატონი თხების ბაკშია. თუკი მასთან დალაპარაკება გნებავთ, ეზოს უნდა შემოუაროთ.

– შიგნით არავინ არის, რომ კარი გამიღოს? – გავძახე მსახურს.

– ქალბატონის მეტი არავინაა. ის კი, მთელი ღამეც რომ უბრაახუნოთ, არ გააღებს.

– რატომ? ვერ გადასცემთ ჩემს ვინაობას, ჯოზეფ?

– არასდიდებით! მაგ საქმეში მე ვერ ჩავერევი, – ბუზუნით მიპასუხა და თავი შემალა.

ხვაგრიელი თოვლი წამოვიდა. ის იყო, მეორე მცდელობისთვის სახელურს ჩავავლე ხელი, რომ ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა ეზოში, უპალტოოს მხარზე ფინალი გაედო. დამძახა, გამომყევით და სამრეცხაოს რომ ჩავეუარეთ, მერე მოკირწყლული ეზოც გადავიარეთ, სადაც ქვანახშირის ფარდული, ჭა და სამტრედე იყო, მივაღდექით დიდ, თბილ ოთახს, სადაც წინა დღით უკვე გახლდით. უზარმაზარი ბუხრიდან გამომავალი ცეცხლის შუქზე სასიამოვნოდ იყო გაჩახჩახებული. ბუხარში ქვანახშირი, ტორფი და შეშა იწვოდა. მაგიდაზე უხვი სამხარი ეწყო, ქალბატონი მაშინ პირველად ვნახე, არადა, მისი არსებობის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდი. თავი დავეკარი და შევიცადე, სკამს მაინც შემომთავაზებს-მეთქი. შემომხედა სავარძელში მჯდარმა, მაგრამ არც განძრეულა და არც კრინტი დაუძრავს.

– საძაგელი ამინდია! – შევნიშნე მე, – ვშიშობ, თქვენი კარი დაზიანებული არ იყოს, მისის ჰითქლიოფ, რადგან თქვენი არხიანი მსახურების გამო მთელი ძალით მომიწია დაბრაახუნება, რომ ვინმესთვის მიმენჯდინა ხმა.

ბაგეც კი არ შეურხევებია. მივაჩერდი – ის საპასუხოდ მომაჩერდა. ასე მიყურებდა მაინც, ცივი, უპატივცემულო, გაურკვეველი და თითქოს ნაწყენი მხერით.

– დაბრძანდით, – მომმართა ახალგაზრდა კაცმა უხეში ხმით, – მალე მოვა.

დავემორჩილე. ჩავახველე. მერე ყაჩაღანა იუნონას გავეხმიანე, რომელმაც კუდის აპრეხით მანიშნა, გიცანიო.

– მშვენიერი ცხოველია! – ხელახლა ვცადე საუბრის წამოწყება, – ლეკვების დარიგებას ხომ არ აპირებთ, მაღამ?

– ჩემები არ ვახლავთ, – თავაზიანმა მასპინძელმა ისე ცივად მიპასუხა, რომ თვით მისტერ ჰითქლიფიც კი ვერ შეძლებდა ხმაში ამღვინი სუსხის გარეგას.

– აჰ, თქვენი საყვარელი არსებები ალბათ მათ შორის იქნებიან, – განვაგრძე მე და მუთაქას დახვედე, ზედ კნუტების მსგავსი არსებები რომ ისხდნენ.

– უცნაური არჩევანია სიყვარულისთვის! – ზიზლით შენიშნა.

საუბედუროდ, მკვდარი კურდღლები აღმოჩნდა. კიდევ ერთხელ ჩავახველე და ბუხრისკენ მივიწიე, თან ამ საღამოს გაფუჭებულ ამინდზე ვცადე ხელახლა სიტყვის ჩამოგდება, – გარეთ არ უნდა გამოსულიყავით, – თქვა და წამოდგა, რომ ბუხრიდან ორი ფერადი ქილა ჩამოეღო.

თუკი მანამდე არასაკმარისი სინათლის გამო ხეირიანად ვერც კი ვხედავდი, ახლა საშუალება მომეცა, აღნაგობითაც შემეფასებინა და სახის ნაკვთებზეც დავეკვირვებოდი. გამხდარი ეთქმოდა, ქალობაში პირველ ნაბიჯებს დგამდა, ტანკენარი იყო და ისეთი მშვენიერი სახე ჰქონდა, თავის დღეში რომ არ მიხილავს მსგავსი სილამაზე – ნაზი ნაკვთები და ნატიფ ყელზე დაყრილი თავთუხისფერი, უფრო სწორად, ოქროსფერი კულულები საოცარ სანახაობას ქმნიდა. თვალებს აღარ იკითხავთ? ცოტაოდენი კეთილგანწყობა რომ შეერია მზერაში, ვიტყვოდი, წინ ვერ აღუდგება კაცი-მეთქი. ისე კი, უნდა ვთქვა, ჩემდა საბედნიეროდ, ჩემმა ეჭვიანმა გულმა მათში ოდენ ზიზლი კი არა, უსასობაზე გაარჩია, რომელიც ეგზომ უჩვეულო იყო მის ასაკში. ქილები მეტისმეტად მალლა ეწყო და მიწვდომა გაუჭირდებოდა, ამიტომ წამოვიწიე, რომ ხელი წამეშველებინა, მაგრამ ისეთი სახით მომიბრუნდა, როგორც ალბათ ძუნწი თუ შემოუბრუნდებოდა ადამიანს, ოქროს დათვლის დროს რომ მისდგომოდა ვინმე.

– თქვენი დახმარება არ მჭირდება, – კბილებში გამოსცრა, – თავადაც მივწვდები.

– ბოდიში მომიტხოვია, – სწრაფად დავიხიე უკან.

– ჩაი თუ შემოგთავაზებს უკვე? – მკითხა, შავ ქვედაკაბაზე წინსაფარი გაინასკვა და ჩაის ფოთლით საესე კოვზი მიიტანა ჩაიდანთან.

– ერთ ფინჯანზე უარს არ ვიტყვოდი, – ვუპასუხე.

– თუ შემოგთავაზებს-მეთქი, უკვე? – გამიმეორა კითხვა.

– არა, – მისი ცნობისმოყვარეობა ნახევრად ღიმილით დავაკმაყოფილე, – ალბათ, სწორედ თქვენ უნდა შემოგეთავაზებინათ.

ჩაიანი კოვზი ჩააბრუნა ქილაში და ისევ სავარძელში ჩაჯდა ნაწყენი სახით. კრიალა შუბლზე ნაოჭი გაუჩნდა, წითელი ქვედა ტუჩი კი ისე გამოსწია, სატირლად მომზადებულმა ბავშვებმა რომ იციან ხოლმე.

ამასობაში ახალგაზრდა კაცმა, ბუხართან გაჭიმული რომ იდგა, მხრებზე გაცვეთილი კურტაკი მოიგდო და ისე აღმაცვრად გამოიხედა, თითქოს ჩვენ შორის მემკვიდრეობითი მტრობა ყოფილიყო. დავინტერესდი, ნეტავ მსახურია თუ არა-მეთქი: მისი სამოსიც და მეტყველებაც საკმაოდ უხეში და იმ უფროსობას მოკლებული იყო, რომელიც ასე მკაფიოდ გამოიხატებოდა მისტერ და მისის ჰითქლიფების საუბარში. ხშირი, ნაბლისფერი კულულებიც დაუვარცხნელი ჰქონდა, ქილვაშები კი ჯაგარივით გაფანჩვოდა ლოყისთავებთან; მკლავები გლეხივით გარუჯვოდა. მიუხედავად ამისა, თავი არათუ თავისუფლად, ამპარტავნულადაც კი ეჭირა, თან დიასახლისის წინაშე მსახურის მუყაითობას არაფრით გამოხატავდა. რაკი ამ სახლში მისი სტატუსის ზუსტი მიმანიშნებელი ვერაფერი შევნიშნე, გადავწყვიტე, საერთოდ არ შემემჩნია მისი უჩვეულო ქცევა და ხუთიოდე წუთში მისტერ ჰითქლიფის შემოსვლამ გამომიყვანა უხერხული სიტუაციიდან.

– როგორც ხედავთ, სერ, დაპირებისამებრ, გენვიეთ! – ხალისიანად შევავებე სიტყვა, – და ვშიშობ, ამინდის გაუარესების გამო ნახევარ საათს ამ ტერქვემ მომიწევს თავის შეფარება, თუკი თქვენი ნებაც იქნება.

– ნახევარ საათს? – კითხვით ინტონაციით გაიმეორა მან და ტანისამოსიდან თეთრი ფანტელები ჩამოიფერთხა, – გამკვირვებია, რაღა მაინცდამაინც ამ ქარბუქში მოინადინეთ გამოსეირნება. თუ იცით, რომ შეიძლებოდა, ჭაღებში ავბნეოდათ გზა? შებინდებულზე აქაურებსაც კი ეკარგებათ ზოგჯერ გზა. ახლა, შემოძლია, მოგახსენოთ, ამინდის გაუმჯობესების არავითარი შანსი არ არსებობს.

– იქნებ რომელიმე თქვენი ბიჭი გავიყოლო გზის გამკვლევად? ღამით კი ჩემთან დავტოვებდი. ვინმეს ხომ ვერ მახლებდით?

– ვერა.

– არა, მართლა! თუ არადა, ჩემსავე გამჭრიახობას უნდა ვენდო.

– ჰმ! ჩაის მომზადებას არ აპირებ? – გახედა გაცრეცილკურტაკიან ჭაბუკს, გამჭოლ მგერას ხან მე რომ მესროდა, ხან ახალგაზრდა ლედის.

– ეგეც აპირებს დალევას? – ჰკითხა ქალმა ჰითქლიფს.

– მოამზადეთ, კარგი? – იმდენად უკმეხად ითქვა ეს სიტყვები, რომ შევკრთი. ნათქვამის ტონმა მასი ცული ბუნება გამოამჟღავნა. მისტერ ჰითქლიფს გადასარეგს ვედარ ვუნოდებდი. როდესაც სუფრის განწყობა დასრულდა, მაგიდასთან მიხმო, – აბა,

სერ, მოაჩოჩეთ თქვენი სავარძელი, – და ჩვენ ყველანი, მათ შორის, გაუთლელი ჭაბუკიც, მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით. სამხრობისას ასკეტური ღუმილი გამეფდა.

გავიფიქრე, თუკი ცაზე საავდრო ღრუბლები მე შეეყარე, მათი გაფანტვაც ჩემი ვალია-მეთქი. ყოველდღე ასეთი მოღუშულები და მღუმარენი ხომ არ ისხდებოდნენ სუფრასთან. სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, რომ რაოდენ უხიასიათონიც უნდა ყოფილიყვნენ, ასეთი მოქუთრული სახეები მათი ყოველდღიური ნიღაბი ყოფილიყო.

– უცნაურია, – დავინწყე მე, როდესაც პირველი ფინჯანი გამოვცალე და მეორის დასხმის იმედით, ჩემი ჭკუით შესაფერი ინტერვალი გამოვნახე. – უცნაურია, როგორ ცვლის ჩვენს გემოვნებასა და გავებას ჩვეულება. ბევრი ვერ წარმოიდგენდა ბედნიერებას ასეთ სამყაროსგან მონყვეტილ ადგილას, სადაც თქვენ ცხოვრობთ, მისტერ ჰითქლიფ, მე ვიტყვოდი, თქვენი ოჯახითა და თავაზიანი ქალბატონის გვერდით, რომლის გენია თქვენს სახლსაც მართავს და თქვენს გულსაც...

– ჩემი თავაზიანი ქალბატონი! – შემანყვეტინა და სახეზე ეშმაკეული დამცინავი იერი აღუბეჭდა, – და სად არის ეს ჩემი თავაზიანი ქალბატონი?

– მისის ჰითქლიფი, თქვენი მეუღლე, ვიგულისხმე.

– აჰა, აი, თურმე რა ყოფილა! ე. ი. თქვენი თქმით, მისმა სულმა მთარველი ანგელოზის ადგილი დაიკავა და «ქარიშხლიან უღელტეხილს» დაჰფარაფატებს, როცა მისი სხეული საფლავეში განისვენებს?

მივხვდი, რომ უხეში შეცდომა მომივიდა და მყისვე მისი გამოსწორება ვცადე. თვალეები უნდა გამეხილა და დამენახა, რომ მასა და ახალგაზრდა ქალბატონს შორის მეტისმეტად დიდი იყო ასაკობრივი სხვაობა, რომ ცოლ-ქმრად შემერაყხა. ერთი ორმოცის იქნებოდა, გონებრივი ძალების გაფურჩქნის ხანაში, როდესაც მამაკაცი იშვიათად თუ მოიტყუებს ხოლმე თავს, გოგო სიყვარულით გამომყვებო – მსგავსი ოცნება ასაკში შესულთა ნუგეშია ხშირად. მეორე კი ჩვიდმეტისაც ვერ იქნებოდა.

უცებ აღმურმა გადაძვრა – ეს გაუთლელი, ჩაის რომ ყლოურნავს და დაუბანელი ხელით ძიძგნის პურს, მისი ქმარი გამოდის? ჰითქლიფი-უმჯროსი იქნება, ცხადია! ამ გოგოს თავი ცოცხლად დაუმარხავს და აი, შედეგიც: ამ გლენუჭას ჩამოკიდებია კისერზე, იმის მაგივრად, რომ გარეთ გაეხედა და დაენახა, ამქვეყნად რამდენი კარგი პიროვნება დადის! სამწუხაროა და დასანანი – ალბათ როგორ ინანებდა თავისი არჩევანის გამო, მე რომ დამინახა. ეს ცოტა ქედმაღლურად კი უღერს, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ არის ასე. ჩემი მეზობელი ნამეტნავად საძაგლად მეჩვენებოდა. მე კი, გამოცდილებით ვიცოდი, რომ საკმარისად მომხიბვლელი გახლდით.

– მისის ჰითქლიფი რძლად მერგება, – მიპასუხა მისტერ ჰითქლიფმა, თითქოს ვარაუდს მიდასტურებსო. საუბრისას მან გოგონასკენ უცნაურად გაიხედა – უცნაური

სიძულვილით სახსე მზერით, თუ, რა თქმა უნდა, მისი სახეც ისევე გადმოსცემს სულის სათქმელს, როგორც ყველა სხვა ადამიანისა.

– აჰ, ცხადია, – ახლა ვხვდები. ეს თქვენ ხართ კეთილისმყოფელი ფერიის მფლობელი, – შევნიშნე და მეზობელს გავხედე.

წელანდელზე უარესი შეცდომა დაუშვი. ჭაბუკი განითლდა, ხელი მომუშტა აშკარა სურვილით, რომ მოეწნია კიდევ. მაგრამ დაფიქრდა და ბრაზი მოიშორა, თუმცა კი ჩემდამი წყენა უხეში ქილიკით გამოხატა, რაც, ვამჯობინე, საერთოდ არ შემემჩნია.

– ვარაუდებში მაგრად გიჭირთ, სერ, – აზრი გამოთქვა ჩემმა მასპინძელმა, – არც ერთ ჩვენგანს იმისი პრივილეგია არ გააჩნია, რომ თქვენი კეთილი ფერიის მფლობელი იყოს. მისი თანამეცხედრე გარდაცვლილია. ვთქვი, ჩემი რძალია-მეთქი, მაშასადამე, ჩემი ვაჟის ცოლი უნდა იყოს.

– და ეს ახალგაზრდა...

– ჩემი ვაჟი არ გახლავთ, ცხადია.

ჰითქლითფმა ისე გაიღიმა, თითქოს ამ ტორებიანი დათვის მის ვაჟად წარმოდგენა ნამეტნავად გამბედავი ხუმრობის ტოლფასი იყო.

– მე ჰერთონ ერნშო მქვია, – შემომიღრინა ახალგაზრდამ, – და გირჩევთ, პატივი სცეთ ამ სახელს!

– უპატივემულობა არც გამომიხატავს! – მივუგე და გულში დავცინე მის ამპარტავენებას, რომლითაც გამომიცხადა თავისი ვინაობა. დიდხანს მიყურა – საჭიროდ არ მივიჩნიე საპასუხოდ შემეხედა, ვაითუ, ხმამაღლა გამეცინოს ან ერთი სილა გამომტყუოს-მეთქი. ამ სათნო ოჯახურ წრეში თავს უკვე აღარ ვგრძნობდი თავდაჯერებულად. ამ ოჯახის დამორგუნველი მეც მთრგუნავდა. ვიფიქრე, ანი ვიფრთხილებ, რომ ამ ჭერქვეშ მესამედ აღარ მომინიოს ფეხის შემოდგმა-მეთქი. პურობა რომ დავასრულეთ, რაკი ამასობაში სიტყვის დასველებაც არავის მოსვლია აზრად საუბრის გასაბმელად, ავდექი და სარკმელთან მივედი, რომ გამეგო, ამინდი ხომ არ გამოკეთდა-მეთქი. უამური სურათი გადამეშალა: ნაადრევად დაღამებულიყო, წყვდიადს კი ცა და ბორცვები ქარბუქისა და სულისშემხუთველი თოვლის ჭიდილში აეზილა.

– გამყოლის გარეშე შინამდე არა მგონია, მივალწიო, – დასცდა ჩემს ბაგეს, – გზებს ალბათ სულ დაფარავდა თოვლი. განმენდილი რომც იყოს, თვალწინ არაფერი ჩანს.

– ჰერთონ, ცხვრები დააბინავე. ქართაში რომ დავტოვოთ, დაინამქრებიან. გამოსასვლელი ფიცრით ამოუკეტე, – უბრძანა ჰითქლითფმა.

– მე რაღა ვქნა? – გაღიზიანებულმა ვიკითხე.

პასუხი არავის გაუცია. მოვიხედე და მხოლოდ ჯობეფი შემრჩა ხელში, ძალღლებისთვის სათლით შვრის სალაფავი რომ მოჰქონდა, და ბუხართან დახრილი მისის ჰითქლიფი, ჩაის ქილის ადგილზე დადგმისას გადმოვარდნილი ასანთის კოლოფიდან ამოღებული ღერების დაწვით რომ იქცევდა თავს. ჯობეფმა სათლი რომ დადგა ძირს, ოთახს კრიტიკული მშერა მოავლო და გაბზარული ხმით წამოინყო:

– გაოცებას ვარ პირდაპირ! აქ რას უდგახართ? აქ უნდა იყოთ უსაქმოდ, როცა ყველა ეზომი მუშაობს?! მაგრამ გინდა ვითხრათ კაცმა და გინდ – არა, შეაყარე კედელს ცერცვი! უნაირ ჩვევებს თქვენ არასოდეს მოიშლით და დედათქვეყნის არ იყოს, ეშმაკსაც არ ასცდებით!

ჯერ ვიფიქრე, მჭევრმეტყველების ეს ნიმუში მე მეძღვნება-მეთქი და იმ განზრახვით წავედი ამ ბებერი ნაძირალასკენ, რომ გარეთ გამეძახებინა, მაგრამ მისის ჰითქლიფის პასუხმა შემაჩერა.

– შე ბებერო მლიქვნელო და ცილისმწამებელო! – გაკაპასდა გოგონა, – იმდენს ახსენებ ამ ეშმაკს, არ გეშინია, ხელი რომ გტაცოს და ცოცხლად წაგიყვანოს? ჩემს მოთმინებაზე ნუ თამაშობ, ბებერო, თორემ ერთ თხოვნაზე უარს არ მეტყვის ეგ შენი სატანა: ჯერ დაგეპატრონება, მერე ჩაგავლავს ხელს და თან წაგიყვანს! მოიცა! ამას დახედე, ჯობეფ, – განაგრძო მისის ჰითქლიფმა და თაროდან მოგრძო, ვინრო, შავყდიანი წიგნი ჩამოიღო, – ახლა გიჩვენებ, როგორ ვოსტატდები ჯადოქრობაში: ცოტაც და მთლად გავუშინაურდები. შემთხვევით არ მომკვდარა წითური ძროხა, რეგმატიზმის შეტევაც უფლისგან როდი გეგზავნება საჩუქრად!

– უი, შე ცოდვიანო! ცოდვიანო! – აკრიახდა ბებერი ჯობეფი, – უფალმა გვარიღოს ავი და ბოროტი!

– არა, შე უწმინდურო! უკვე განწირული ხარ! გზიდან ჩამომეცალე, თორემ თავბედს განყვევლინებ! უკვე დაფაშაღე ყოველი თქვენგანის ცვილისა და თიხის ფიგურები. პირველი, ვინც ჩემ მიერ მონიშნულ ზღვარს გადმოცდება... არა, არ ვიტყვი, რა დაემართება, თავადაც დაინახავ! მომწყდი თავიდან, იყოლე, თვალს არ გაცვილებ!

პატარა ალქაჯს ლამაზ თვალელებში მოჩვენებითი სიავე გაუკრთა და ჯობეფმა, თავსდატეხილი რისხვისგან ლამის ფეხი რომ აერია, გაცლა ამჯობინა, თან გზადაგზა ბურტყუნებდა – «ავსული, ავსულიო». ვიფიქრე, რომ ახალგაზრდა ლედის ქცევის საფუძველი ერთგვარი გართობა იყო, ამიტომ, როდესაც მარტონი დავრჩით, ვცადე, თავი შემებრალებინა...

– მისის ჰითქლიფ, – სერიოზულად მივმართე, – მომიტევეთ შენუხებისთვის. ჩემი ვარაუდით, ასეთი სახის პატრონს გულიც კეთილი უნდა გქონდეთ. მიმანიშნეთ, როგორ მივიღე შინამდე, თორემ მარტო რომ დავადგე გზას, იმაზე უფრო გამიჭირდება სახლამდე მისვლა, ვიდრე თქვენ ლონდონამდე ჩაღწევა!

– რა გზითაც მოსულხართ, იმავე გზას გაუყევით, – მიპასუხა, სავარძელში ჩაიმალა სანთლით ხელში და კალთაში დიდი წიგნი ჩაიღო, – მოკლე რჩევაა, მაგრამ მეტის თქმა არც მე შემძლია.

– ესე იგი, თუკი გაიგებთ, რომ სადმე ჭაობში ჩაფლული ან დანამქრული მიპოვეს, ჩემს სიკვდილში თქვენს წილ დანაშაულს სულ ვერ იგრძნობთ?

– მე როგორ უნდა ვიგრძნო? მე მაინც ვერ გაგაცილებთ. ღობემდე მისვლის უფლებასაც არ მომცემენ.

– თქვენ? რას ბრძანებთ, ამ სიბნელეში კარის ზღურბლზეც კი ვერ გთხოვდით ნაბიჯის გადმოდგმას! – წამოვიძახე, – მე გზის სწავლება გთხოვთ, ის კი არ მითქვამს, მისტერ ჰითელიფი დაარწმუნეთ, ვინმე გამომაყოლოს-მეთქი.

– კი მაგრამ, ვინ? აქ მხოლოდ ჰითელიფი, ერნშო, ზილა, ჯოზეფი და მე ვართ. აბა, რომელი გირჩენიათ?

– ნუთუ ფერმაში ერთ ბიჭს მაინც ვერ ვნახავთ?

– ვერა. მეტი არავინაა.

– გამოდის, აქ მომიწევს ღამის გათევა.

– ამაზე მასპინძელს მოელაპარაკეთ. მე არაფერ შუაში ვარ.

– იმედი მაქვს, ჭკუას ისწავლით და აწი ბორცვებში ყიალს აღარ დაიწყებთ, – სამზარეულოდან მომესმა ჰითელიფის მკაცრი ხმა, – აქ თუ აპირებთ ღამის გათევას, იცოდეთ, სტუმრებისთვის კომფორტი არ მაქვს გათვალისწინებული. მოგიწევთ, ჰერნთონის ან ჯოზეფის საწოლზე დანევთ, ცხადია, ჰატრონთან ერთად.

– შემძლია, სავარძელშიც დავიძინო, აქვე, – მივუგე მე.

– არა! არა! უცხო უცხოა, გინდ მდიდარი იყოს და გინდ ღარიბი, არ მინდა, რომ აქ ვინმე იმყოფებოდეს, როდესაც მე ვერ ვიდგები დარაჯად, – უტაქტოდ მომახალა.

ამ შეურაცხყოფელმა სიტყვებმა მოთმინების ფიალა ამივსო. რალაც წარმოვთქვი აღშფოთების გამოსახატად, წინ ჩავუქროლე, ეზოში რომ გავვარდნილიყავი და ერნშოს შევეფეთე. ისე ბნელოდა, რომ კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა, ამიტომ სანამ ამ წკვარამში გასასვლელს ვიპოვიდი, ეზოში მომინია ტრიალმა, ამასობაში კი ისეთი რამ გავიგონე, რაც ამ ჭერქვეშ მცხოვრებთა ერთიმეორისადმი თავაზიანი დამოკიდებულების მაგალითად გამოდგებოდა. ახალგაზრდა კაცი თავიდან ჩემს დახმარებას აპირებდა.

– ჰარკამდე მაინც მივაცილებ, – თქვა მან.

– ჯანდაბამდე მიჰყოლიხარ! – დაუყვირა ბატონმა, თუ ვინც იყო მისთვის, – ცხენებს ვინლა მიხედავს?

– საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება და ცხენების ერთი სალამო დატოვება რა ბედენაა? ვინმე ხომ უნდა გაჰყვეს! – ჩაერთო მისის ჰითქლიფი იმაზე უფრო სულგრძელად, ვიდრე ვიფიქრებდი.

– ოღონდ თქვენი ბრძანებით არა! – შეაწყვეტინა ჰერთონმა, – თუ ასე გეძვირფასებათ, ჯობს, გაჩუმდეთ.

– კეთილი, იმედია, მისი ლანდი არ მოგასვენებთ. მისტერ ჰითქლიფს კი მეტი მდგომარი არ ეღირსება, სანამ «შაშვების კარმიდამო» სულ არ დაიქცევა! – გესლიანად მიახალა.

– ნახეთ, ნახეთ, როგორ იწყველება! – ბურტყუნებდა ჯოზეფი, რომელსაც კინალამ შევეჯახე.

მოხუცი შორიახლო დამჯდარიყო და ლამპრის შუქზე ძროხებს წველიდა. უცებ ლამპარი ავიტაცე, უახლოესი კარისკენ გავწიე და გავძახე, – ხვალ დაგიბრუნებთ-მეთქი.

– ბატონო! ბატონო! ლამპარი გამტაცა! – აღრიალდა ბებრუხანა და გამომეკიდა, – ძაღლებო, ჩემო გნაშერ! ჩემო მგელავ! დაიჭირეთ ქურდი! ეცით!

კარის გაღებისას ორმა ბანჯგელიანმა ურჩხულმა, კისერთან რომ ამიხრჭიალა ეშვები, ძირს დამცა და ლამპარიც ჩაქრა. ჰითქლიფისა და ერნშოს გამქირდავმა, შეურაცხმყოფელმა ხითხითმა სულ გადამიყვანა ჭკუიდან. საბედნიეროდ, ძაღლებს ნანადირევითვის თათების დაბიჯება, წკმუტუნ-ღრენა და კუდების ქნევა უფრო ხიბლავდათ, ვიდრე კბილის გაკვრა. თუმცა კი ზეზე წამოდგომის უფლება არ მომცეს, სანამ მათმა გულბოროტმა პატრონებმა არ იხებეს ჩემი გათავისუფლება. ბოლოს, უქედომ და მრისხანებით აკანკალებულმა ვუბრძანე იმ ნაძირლებს, – დაუყოვნებლივ გამიშვით, სიცოცხლე თუ არ მოგებზრებიათ-მეთქი. ამ სიტყვებს რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი მუქარაც მივაყოლე, რაც მსმენელს უკიდევანო სიმწარით მეფე ლირის ვაებას მოავონებდა.

მეტისმეტი აღელვების გამო ცხვირიდან სისხლი წამსკდა, მაგრამ ჰითქლიფს ხითხითი არ შეუწყვეტია, მე კი – ბუზღუნი და საყვედურები. არ ვიცი, ეს ამბავი რით დასრულდებოდა, რომ არა ის პიროვნება, რომელიც იმწუთებში ჩემზე გონიერი და ჩემს მასპინძლებზე უფრო სულგრძელი აღმოჩნდა. ეს ზილა გახლდათ, სქელ-სქელი მწე, რომელიც ამბის საკითხავად გამოვიდა. უფიქრია, სტუმარზე ვილაცამ ალბათ ხელი ასწიაო. და რაკი ბატონს ვერ შეუტია, თავისი სიტყვიერი არტილერიის ცეცხლი ასაკით უმცროს სალახანაზე მიმართა.

– მშვენიერია, მისტერ ერნშო! – იყვირა ქალმა, – აბა, აწი რას იზამთ?! მალე ჩვენს კართან მოსული ხალხის ხოცვაც დავიწყეთ? ვხედავ, აღარ დამედგომება ამ სახლში – შეხედეთ ამ საწყალს, ძლივს სუნთქავს. სახლში შებრძანდით, მე მოგხედავთ. მშვიდად, მშვიდად იდევით.

ამ სიტყვების თქმა იყო და ერთი ტოლწა ცინულივით ცივი წყალი შემომასხა სახეში და სამზარეულოში შემართა. მისტერ ჰითქლიფი უკან გამოგვედევნა. მხიარულების უჩვეულო ნაპერწკალი მყისვე ჩაუქრა და ჩვეული პირქუშობით შეეცვალა.

სისუსტე ვიგრძენი, თავბრუც დამეხვა და არაქათი სულ გამომეცალა, ამიტომ უნებურად მათ ჭერქვეშ ღამის გათევვაზე დათანხმებამ მომიწია. მისტერ ჰითქლიფმა ზილას დაავალა, ერთი ჭიქა არაყი დაალევეინეო და ოთახში გავიდა. მნემ კი, აქთმინებულმა რომ შეასრულა დავალება, რამაც ცოტა გამომაცოცხლა, დასაძინებლად გამიყვანა.

თავი 3

როდესაც კიბეზე ავყავდი, მნემ მირჩია, სანთელს ხელი მოაფარე და არ იხმაურო, რადგან სახლის პატრონს თურმე უცნაური დამოკიდებულება ჰქონია იმ ოთახთან, რომელშიც ჩემთვის ლოგინის გაშლას აპირებდა. მითხრა, აქ თავისი ნებით არავის დააბინავებსო. რატომ-მეთქი. მომიგო, არ ვიცო, ამ სახლში უკვე მეორე წელია ვარ და იმდენ უცნაურობას ვაწყდები, ჯობია, არც კი დავიტერესდეო.

ისეთი გაოგნებული ვიყავი, რომ კითხვის დასმა აზრადაც არ მომსვლია, კარი მივხურე და თვალით სანოლს დავუწყე ძებნა. მთელ ავეჯულობას სკამი, კომოდი და მუხის სკივრ-ყუთი შეადგენდა, რომელსაც ზედა მხარეს ისე ჰქონდა ოთხკუთხედი ღიობები ამოჭრილი, ვაცს ეტლი ეგონებოდა. ნაკეთობას მიუახლოვდი, შიგ შევიხედე და მივხვდი – ერთგვარი ტახტი უნდა ყოფილიყო, რომელიც იმისათვის შეექმნათ, რომ ოჯახის თითოეულ წევრზე ცალკე ოთახის აუცილებლობისთვის თავი აერიდებინათ. ფაქტობრივად, საკუჭნაოც იყო, შიგა ფანჯრის რაფა კი მასში მყოფს მაგიდის მაგივრობასაც გაუწევდა. პანელებიანი გვერდითა კედლები გავხსენი, სანთლიანად შევედი, ისევ დავხურე და შევბით ამოვისუნთქე – ჰითქლიფის თუ სხვა ნებისმიერის ფხიზელი თვალისგან შორს ვიყავი.

რაფაზე, რომელზეც სანთელი დავდე, ერთ კუთხეში ობმოკიდებული წიგნები ეწყო. რაფა ნაკანრებით იყო დაფარული. ნაკანრები სხვა არაფერი იყო, თუ არა მთავრულით და ნუსხურით დანერილი ერთი და იგივე სახელი: ქეთრინ ერნშო, ზოგჯერ ქეთრინ ჰითქლიფით რომ იცვლებოდა და ქეთრინ ლინთონით სრულდებოდა.

გულგრილად მივაყრდნე შუბლი ფანჯარას და ხელახლა გადავავლე თვალი: ერნშო, ჰითქლიფი, ლინთონი, – სანამ თვალეები არ მიმელუღა. მაგრამ ხუთი წუთი არ იქნებოდა ამ გარინდებაში გასული, რომ წყვდიადიდან თეთრი, ცოცხალი ასოებით ააღდა უამრავი ქეთრინი. თავი გავადვიძე, რომ გარსმოჭარული სახელები გამედევნა და რა დავინახე: ჩემი სანთლის ალი ერთ-ერთ ძველ წიგნს ელამუნებოდა, ჰაერში კი

უკვე ხბოს ტყავის სუნი ტრიალებდა. სანთელს ნამწვისი მოვაცლიე, ბალიშებში მოვკალათდი და დაზიანებული ტომი ავიღე. გულისრევვისა და სიცივის შეგრძნებისგან თავს უცნაურად ვგრძნობდი. სახარება აღმოჩნდა, გაცრეცილი ბეჭდიოთა და ობშეპარული. ფორმაზე ვწერა: «ქეთრინ ერნშოს წიგნებიდან» – თარიღი კი საუკუნის მეოთხედით გვაბრუნებდა უკან. წიგნი დავხურე და მეორე წიგნს მივწვდი, მერე მესამეს, ბოლოს კი, სათითაოდ ყველა გადავთვალიერე. ქეთრინის ბიბლიოთეკა გემოვნებით იყო შერჩეული, წიგნების მდგომარეობა კი იმას მოწმობდა, რომ ამ წიგნებს თავის დროზე არცთუ მთლად პირდაპირი დანიშნულებით იყენებდნენ: თითქმის ვერც ერთი თავი ვერ გადარჩენოდა მეღვინით თუ ფანქრით გაკეთებულ კომენტარებს (ან კომენტარისმაგვარ ნაჯღაბნებს), ამწყობის მიერ დატოვებული მინდვრები თითქმის აღარ ჩანდა. ზოგი კომენტარი წყდებოდა, ზოგი ბავშვის ხელით ნაწერ დღიურს მოგაგონებდათ. ერთ-ერთი დამატებითი გვერდის ზედა ნაწილში (აღბათ პირველ მნახველს საგანძურად რომ მოეჩვენებოდა) ხალისით შევავლე თვალი ჯოზეფის კარიკატურას, ნაჩქარევად შესრულებულს, მაგრამ საკმაოდ გამომსახველობითს. უცნობი ქეთრინისადმი ინტერესი გამიღვივდა და მისივე მისი გახუებული იეროგლიფების გამიფრვას შევეუდექე.

«სამინელი კვირადღე! – ასე იწყებოდა შემდეგი პარაგრაფი, – ნეტავ მამჩემი ისევ აქ იყოს. ჰინდლი – საძაგელი შემცვლელია, ჰითქლიფს მკაცრად ექცევა. მე და ჰ. აჯანყებას ვაპირებთ – ამ საღამოს გადამწყვეტ ნაბიჯს გადავდგამთ.»

მთელი დღე წვიმდა და ეკლესიაში ვერ წავიდით, ამიტომ ჯოზეფს სხვენში მოუწია მლოცველთა შეკრების მოწყობამ. სანამ ჰინდლი და მისი ცოლი ქვედა სართულზე ბუხარს ეფიცებოდნენ სიამოვნებით – და ამ დროს ბიბლიის კითხვის გარდა ყველაფრით იყვნენ დაკავებულნი, თავს დავდებ ამაზე – მე, ჰითქლიფსა და იმ საცოდავ მეგუთნე ბიჭს ლოცვანით ხელში ზემოთ ასვლა დაგვევალა. გვერდივერდ დავგსხეს ხორბლის ტომარაზე. ვკანკალებდით და ვოხრავდით, თან იმედი გვქონდა, რომ ჯოზეფსაც შესცივდებოდა და თავისსავე საკეთილდღეოდ მოკლე ქადაგებას წაგვიკითხავდა. ამაოდ დავშვერიო! ზუსტად სამ საათს გასტანა კითხვამ. ამის მიუხედავად, კიბეზე რომ ჩავდიოდით, ჩემს ძმას ეყო თავხედობა და წამოიძახა: «ასე უცებ მორჩით?» წინათ კვირასაღამოებზე თამაშის უფლება გვქონდა ხოლმე, ოღონდ არ უნდა გვეხმაურა; ახლა კი საკმარისია, რამეზე გავვეცინოს და უმაღვე კუთხეში გვაყენებენ!

– გავიწყდებათ, რომ ბატონი გყავთ აქ! – გვეუბნება ჩვენი ტირანი, – უპირველესად მას გავანადგურებ, ვინც მოთმინებას დამპყარვევებს! სიჩუმესა და წესიერებას მოვითხოვ. ეე, ბიჭო, ეს შენ იყავი? ფრენსის, გენაცვალე, თმა მოაწინწუნე, გვერდით რომ ჩაუვლი: გავიგონე, როგორ გაატკაცუნა თითები, – ფრენსისმა მონდომებით დაქაჩა თმაზე, მერე ქმართან მივიდა და მუხლებზე ჩამოუჯდა. თითქმის ერთი საათი იხსდნენ ასე, პატარა ბავშვებივით, კოცნაობდნენ და ათას სისუღელეს ამბობდნენ – მსგავსი სისუღელების ყბედობა ჩვენ შეგვეცხვებოდა. შეძლებისდაგვარად მყუდროდ მოვეწყეთ: თაროების ქვეშ ნიშებში შევჭვერით. ის იყო, ჩვენი წინსაფრები გადავუბი, რომ ფარდად ჩამომეფარებინა და – თავლიდან ჯოზეფი

დაბრუნდა, რალაც მიზნით რომ იყო გაგზავნილი. ფარდა ჩამომიგლიჯა, სილა გამანა და მიღრიალა:

– ბატონი მინაში არ გაციებულა, შაბათ დღეს ჯერ არ გაუვლია და სახარების სიტყვები წესით ყურში უნდა ჩაგვსმოდეთ, თქვენ კი კოტრიალობთ და ბუზებს ითვლით! გრცხვენოდეთ! წამოაჭექით, თქვე საძაგლებო! განა ცოტაა აქ სულის მარგებელი წიგნი? აგელოთ და წაგეკითხათ. წამოაჭექით და თქვენს სულებზე იფიქრეთ!

ამის თქმა იყო და ხელი დაგვაველო, რომ ბუხართან ცოტა ახლოს დავესხით, საიდანაც ალის სუსტი სინათლე ძლივს აღწევდა იმ ნაგვის ფურცლებამდე, ძალით რომ შემოგვაჩენა. დიდხანს ასე ჯდომა არ შემეძლო: მოკვიდე ჩემს ტურტლიან ტომს ყუაზე ხელი და ძაღლების ქოხში შევაგდე, თან განვაცხადე, კარგი წიგნები არ მომწონს-მეთქი. პითქლითმაც იმავე ადგილას შეუძახა თავისი წიგნი. აი, ამ დროს ატყდა ერთი ამბავი...

– მისტერ ჰინდლი! – ავივლდა ჩვენი კაპელანი, – აქ მოდი, ბატონო! მის ქეთიმ «სნის მუზარადს» ყუა შემოაგლიჯა, პითქლითმა კი «დალუჰვამდე პირდაპირ გზას» დააბიჯა ფეხი. საშინელებაა, ამ გზით სიარულის ნებას რომ რთავთ. აფსუს, ძველი ბატონი, ერთი გემოზე განკეპლავდა ამ ეშმაკის ფეხებს, მაგრამ ვაი, რომ აღარ არის!

ჰინდლიმ ბუხრისპირა სამოთხე დატოვა, ერთს ხელში გვტაცა ხელი, მეორეს – საყელოში და სამზარეულოში გავვიძახა, სადაც ჯოზეფმა საზეიმოდ განაცხადა, რომ თუკი ბებერი ნიკი დაგვაველებდა ხელს, ვეღარ გადავურჩებოდით. ასეთი დანოკებულები დადევით ჩვენ-ჩვენს კუთხეში და ეშმაკის გამოჩენას დავუწყეთ ლოდინი. თაროდან ეს წიგნი ჩამოვიდე, სამელნეც მოვაყოლე, ვაგაღე ეზოში გამავალი კარი (ცოტაოდენი სინათლე რომ შემოსულიყო) და ოციოდე წუთი წერაში გავატარე დროის გასაყვანად. მაგრამ ჩემი ამხანაგი ჩემსავით მომთმენი როდია: მთავაზობს, მწველავი ქალის მოსასხამი გადავიფაროთ და ჭანჭრობებს გავუყვეთო. მშვენიერი აზრია: თუკი ბებერი ავცია დაბრუნდება, იფიქრებს, მისნობა ამიხდაო. გარეთ კი თუნდაც წვიმაც წამოსულა, იმაზე მეტი ნესტი და სიცივე ვერ შეგვაწუხებს, ვიდრე აქ.

* * *

მე მგონი, ქეთრინმა განზრახვა აღასრულა, რადგან შემდეგი წინადადებები სხვა რამეს გვიამბობს: ძალიან არის გაღიზიანებული.

«ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ჰინდლი ასე ამბიერებდა, – წერს გოგონა, – თავი ისე მტკივა, რომ ბალიშზეც კი ვერ დამიდა. მაინც ვერ დავიხვე უკან. სანყალი პითქლითო! ჰინდლი მანანწალას ეძახის და აღარ აძლევს უფლებას, რომ ჩვენთან ერთად იჯდეს და ჭამოს. მეც მათრთხილებს, აღარ ეთამამო, თორემ სახლიდან გავაგდებო. სულ მამაჩვენის ლანძღვაშია (ენა როგორ უბრუნდება!), პითქლითს ბევრი რამის ნებას რთავდაო და იფიცება, ამ ბიჭს მე მივუჩენ ადგილსო».

ფერგადასულ ფურცლებზე ჩამოვლიმა და თვალი ჩემდაუნებურად ხელნაწერიდან ბეჭდურ ტექსტს ჩავაყოლე. წითელი ორნამენტებიანი ტიტული დავინახე – «სამოცდაათგზის შვილჯერ და უპირველეს სამოცდაათგზის პირველთაგან» – ღვთივეთილი სიტყვაი, წარმოთქმული გიმერდენის საყდარსა შინა მაღალღირს ჯებ ბრენდერჰემის მიერ». ძილმოზრეულმა, ტვისს რომ ვიჭყლეტდი, ნეტავ ჯებ ბრენდერჰემი როგორ განავითარებს სათქმელს-მეთქი, ბალიშზე მივესვენე და ჩავთვლიმი. აი, საზიზლარი ჩაისა და საზიზლარი განწყობის ეფექტი! ეს თუ არა, აბა, ასე სხვა რა გამიფუჭებდა ღამეს? მას მერე, რაც განცდა ვისწავლე, ისეთი ღამე არ მახსენდება, იმ ღამეს რომ შეედრებოდეს. ჯერ არ დამიგნებოდა, სად ვიმყოფებოდი, რომ სიზმარი მესტუმრა. მეზმანა, თითქოს დილა გათენებულიყო და შინ მივდიოდი, ეტიკად კი ჯოზეფი მომყვებოდა. გზები ერთი მეტრის სიმაღლის თოვლს დაეფარა. და სანამ ტანჯვა-წვალებით მივიკვლევთ გზას, გამყოლი მსაყვედურობს, – პილიგრიმის არგანი რატომ არ წამოიღეო. მეუბნება, არგნის გარეშე, შინ ვერასოდეს შეხვალო. თვითონ კი უდიერად მოიქნევს კომბალივით მაგართავიან ხელკეტს, რომელიც, როგორც ვხვდები, სხენებული არგნის მოვალეობას უნდა ასრულებდეს. წამიერად გავიფიქრე, ამისთანა იარაღი რა ჯანდაბად მინდა საკუთარ სახლში მოსახვედრად-მეთქი. მერე სულ სხვა აზრი მეწვია: შინ კი არა, სულ სხვა გზით მივდივართ: თურმე, ცნობილი ჯებ ბრენდერჰემის ქადაგების მოსასმენად დავდგომივართ გზას, რომ «სამოცდაათგზის შვილჯერ» მოვისმინოთ და უეცრად რომელიღაც ჩვენგანმა – ჯოზეფმა, მქადაგებელმა თუ მე – ჩაიღინა «უპირველეს სამოცდაათგზის პირველთაგან» და საჯარო განვიცხვასა და განკვეთას ექვემდებარება.

საყდარში შევდივართ. მე, სინამდვილეში, ორ-სამჯერ ჩამივლია მის წინ. საყდარი ორ ბორცვს შორის ღარტაფში დგას, რომელიც ჭაობიდან მაღლა მიუყვება და რომლის ტორფნარის ნესტი, როგორც ამბობენ, ბალზამივით მოქმედებს იქვე დაკრძალულ რამდენიმე მიცვალებულზე. სახურავი კარვად არის შემონახული. მაგრამ რამდენადაც მღვდელს აქ ჰერ ანუემ ოდენ ოცი გირვანქის შემოსავლის და ორი თვალი სახლის იმედი შვიძლება ჰქონდეს, რომლიდანაც სულ მალე ერთილა დარჩება, სასულიერო პირთაგან ვერავინ ბედავს ამ მივარდნილი მხარის სამწყსოს სათავეში ჩადგომას, მით უმეტეს, თუკი ჭორებს დაუუჯერებთ, აქაური მრევლი მღვდელს შიმშილისთვის უფრო გაიმეტებს, ვიდრე ჯიბეში ჩაიყოფს ხელს, რომ თუნდაც ერთი პენით გაუუმჯობესოს სულიერ მოძღვარს ცხოვრების პირობები.

მაგრამ ჩემს სიზმარში საყდარი მრევლით იყო სავსე, ჯებზს ყველა ყურადღებით უსმენდა, ის კი ქადაგებდა – ღმერთო მაღალო, რა ქადაგება იყო! თითოეული ოთხას ოთხმოცდაათ ნაწილად იყოფოდა, რომელთაგან ყოველი ეკლესიის კათედრიდან მიმართვაზე ნაკლები არაფრით იყო და ყოველ მათგანში ცალკე ცოდვა განიკითხებოდა. სად გამოძებნა ამდენი, ვერ გეტყვით. სიტყვა «ცოდვას» სრულიად თავისებურად განმარტავდა და ალბათ ქრისტეს მიერ ძმას ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის განსაკუთრებული ცოდვა უნდა ჩაედინა. ძალიან უცნაური თვისებების ცოდვებზე საუბრობდა, ისეთებზე, აქამდე რომ ვერც კი წარმოვიდგენდი.

ოპ, როგორი დაღლილი ვიყავი. როგორ ვიჯდებოდი, ვამთქნარებდი, თავი მექინდებოდა, მაგრამ ისევ ვფხიზლდებოდი. ხელებს ვიჩქმეტდი, ვინკმეტდი, თვალებს ვისრესდი, ვდგებოდი და ვჯდებოდი, ჯობევს კი მეტლუგუნს ნაკვრავდი ხოლმე – მაცნობე, ოდესმე თუ დასრულდება ეს ქადაგება-მეთქი. ბოლომდე მოსმენა მქონდა მოსჯილი. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია «უპირველესს სამოცდაათგზის პირველთაგან». ამ გაჭირვების დროს შთაგონება მენვია: ერთი სული მქონდა, წამოვმდგარიყავი და ჯებზ ბრენდერჰემისთვის მეთქვა, ისეთი ცოდვილი ხარ, ქრისტიანი რომ ვერ შევინდობს-მეთქი.

– სერ, – წამოვიძახე, – ამ ოთხ კვლეში ჯდომით გადავიტანე და შევინანე თქვენი დისკურსის ოთხას ოთხმოცდაათივე თავი. სამოცდაათგზის შეიღჯერ დავიხურე ქედი და წამოვდექი, რომ წავსულიყავი, სამოცდაათგზის შეიღჯერ ჩემდა გაუგებარი მიზნით მაიძულეთ, ისევ დავმჯდარიყავი. ოთხას ოთხმოცდაათე თავი უკვე მეტისმეტია. ძმანო წამებულნო, მიუზღეთ მას! დაამხეთ და გააცამტვერეთ, რათა სადაც იცნობდნენ, იქაც ვეღარ იცნონ!

– მაშ, ის კაცი შენ ხარ! – დაიძახა ჯებზმა და ბალიშზე ბურვმიყრდნობილი დადუმადა, – სამოცდაათგზის შეიღჯერ დაიჯღანე – სამოცდაათგზის შეიღჯერ დავიმშვიდე სული, – სამწუხაროდ, ეს ადამიანური სისუსტეა, რომლის მიტევებაც შეიძლება! მოდის სამოცდაათგზის პირველთაგან უპირველესი. ძმანო, აღასრულეთ მის თავსა ზედა სასჯელი დანერილ. ყველა წმინდანს ეს პატივი რგებია!

დასკენითი სიტყვის მოსმენა იყო და იქ მყოფნი პილიგრიმის არგნებით ხელში წამოყვივდნენ ადგილებიდან და შუაში მომიქციეს; მე კი, საერთოდ რომ არ გამაჩნდა თავდასაცავად იარაღი, ჩემ გვერდით ყველაზე ახლოს მჯდარი და ამავე დროს ყველაზე დაუნდობელი თავდამსხმელის, ჯობევის, არგანს დავუწყე ჯაჯგური. ამ ზედახორაში რამდენიმე კეტი გადაჯვარდინდა. ჩემკენ გამოქნეული სხვებს ხედებოდა გოგრაში. მთელ საყდარში ბრახაბრუხი ატყდა. ერთმანეთს ესხმოდნენ თავს, მეზობელმა მეზობელზე ასწია ხელი: ბრენდერჰემი, სეირის მაყურებლად რომ არ მჯდარიყო, ხის პიუპიტრზე ბრახუნით გამოხატავდა აღელვებას, თან ისეთი ბრახუნით, რომ ჩემდა შვებად, გამომადვიდა. ნეტავ რამ მომგვარა ასეთი საზარელი სიზმარი? ჯებზის ატეხილი ალიაქოთი როგორ უნდა აიხსნას? მხოლოდ და მხოლოდ ნაძვის ხის ტოტით, რომელიც ქარის დაბერვაზე ეხეთქებოდა ფანჯარას და ხმელი გირჩებით ეხახუნებოდა მინას! ჯერ უნდობლად მივეუგდე გარემოს ყური, მერე, სიმშვიდის დამრღვევი რომ ვიპოვე, გვერდი ვიკვალე და ძილს მივეცი თავი. ისევ ცული სიზმარი ვნახე – პირველზე უარესიც კი, თუკი შეიძლება მასზე უარესი იყოს რამე.

ამჯერად მახსოვდა, რომ მუხის ყუთში თუ სხვენში ვინეჩი და გარკვევით მესმოდა ქარბუქის სტვენა და თოვლის ჭრაჭუნი: მინაზე შეუჩერებლად მოხახუნე ნაძვის ტოტის ხრჭიალსაც მკაფიოდ ვარჩევდი და ცული სიზმრის მიზნად ვრაცხდი. მაგრამ ამ ხრჭიალმა ისე მომაბებრა თავი, რომ გადავწყვიტე, თუ მოვახერხებ, როგორმე უნდა შევაჩერო-მეთქი. ჰოდა, მეც ავდექი, ცხადია, სიზმრად, და ფანჯრის გაღება ვცადე. საგდული ალათაზე მირჩილული აღმოჩნდა: ეს ჯერ კიდევ მანამდე მქონდა შემწნეული, ვიდრე დავიძინებდი, მაგრამ დამვიწყებოდა. «რადაც უნდა დამიჯღეს,

მანც უნდა შევაჩერო!» – ჩავიბუღუნე, მუშტი ვკარი მინას და ხელი გავყავი აბეზარი ტოტის დასაჭერად; მის მაგივრად ხელი გათოშილ, პატარა თითებს ვტაცე! თავზარი დამცვა; ხელის უკან შემონევა ვცადე, მაგრამ პანია თითები ძლიერად ჩამფრენოდნენ და არ მიშვებდნენ; გამწარებული ხმა მევედრებოდა: «შემომიშვით! შემომიშვით!» «ვინ ხართ?» – ვეკითხებოდი და თან ხელის წართმევას ვლამობდი. «ქეთრინ ლინთონი, – მომიგო აცახცახებულმა ხმამ (რალა მანცდამანც ლინთონი? თითო ლინთონზე ხომ ოცი ერნშო მანც მქონდა წაკითხული?!). – შინ მოვალნიე: ჭაბბში ამერია გზა!». ფანჯარაში ძლივს გავარჩიე ბავშვის სახე. შიშმა გამასასტიკა: რაკი დავრწმუნდი, უცნობს ხელის კვრით ვერ მოვიცილებდი, პატარა მაჯა ფანჯარაში შემოვაცყოფინე და გატეხილ მინაზე გავასმევი, ვიდრე სისხლი არ დასდინდა და ზენრები არ დასვარა; მაგრამ უცნობი მანც წუნუნებდა, – შემომიშვითო, თან ღონიერად მიჭერდა თითებზე. ლამის გადავირიე შიშით. «როგორ შემოგიშვათ? – ვკითხე, როგორც იქნა, – თუ გინდათ, რომ შემოგიშვათ, ხელი მანც გამიშვით!» თითები გამიშვა, ხელი შემოვაცურე გატეხილ მინაში და ამონამტვრევს წიგნები მივაფარე, თან ყურებზე მივიფარე ხელები, რომ მოხონენლის სანყალობელი ხმა აღარ გამეგონა. ლამის თხუთმეტ წუთს ასე ვიყავი, მაგრამ ჩამოვუშვი თუ არა ხელები, ისევ ის ასლუკუნებული ხმა მომესმა! «გასნი! – დავუყვირე, – ოცი წელიც რომ არ მოსცილდეთ ამ ფანჯარას, მანც არ შემოგიშვებთ!» – «ოცი წელი უკვე გავიდა, – კვენსოდა ხმა, – ოცი წელი! ოცი წელია, რაც მიუსათარი დაეწონიალებ!» მერე მინაზე ფხაჭუნი გაისმა და მიყუდებული წიგნები ისე გადმოცვივდა, თითქოს გარედან ხელი ჰკრესო. წამოხტომა ვცადე, მაგრამ კუნთიც კი ვერ გავამოძრავე. შიშით ნატორი ავღრიალდი. ჩემდა საცბუნად, არამხოლოდ სიზმრად ავღრიალებულვარ: ჩემს ოთახს აჩქარებული ნაბიჯი მოუახლოვდა; ვილაცამ ძლიერი ხელით შემოალო კარი და ჩემი სანოლის თავზე დატანებულ სარკმლებში შუქი გამოკრთა. აცახცახებული ვიჭექე და შუბლიდან ოფლს ვინმენდდი. შემოსული აშკარად ყოყმანობდა და რალაცას ბუტბუტებდა თავისთვის. ბოლოს, ნახევრად ჩურჩულით და უიმედო ინტონაციით წარმოთქვა:

– არის აქ ვინმე?

ვიფიქრე, აჯობებს, თუკი ჩემს აქ ყოფნას არ დავმაღავე-მეთქი, რადგან ჰითქლიფის ხუშტურები რომ ვიცოდი, შეიძლებოდა ძებნა გავგრძელებინა, ხმას თუ არ ამოვიღებდი. ამ განზრახვით გავალე პანელური კარი. ჩემმა საქციელმა რა ქმედებას გამოიწვია, მალე არ დამავინწყდება.

სალამურ საცვლებიანი ჰითქლიფი ზღურბლზე იდგა, სანთელი თითებზე ეღვენთებოდა, სახე კი ისეთი თეთრი ჰქონდა, როგორც მის ზურგს უკან – კედელი. მუხის პანელების პირველსავე გაჭრიალებაზე ისე შეაკანკალა, თითქოს ელექტროდენმა დაარტყაო. სანთელი ხელიდან გაუვარდა და შორს დაეცა, ისე ძლიერ ღელავდა, რომ ძლივს აიღო.

– აქ ოდენ თქვენი სტუმარია, სერ, – ხმამალა გავძახე, რომ სილაჩრის მომდევნო გამოვლინებისგან დამეხსნა, – ჩემდა სამწუხაროდ, საშინელი სიზმრის გამო ძილში ვკვენსოდი. მომიტევეთ, რომ ძილი დავიფრთხეთ.

– ღვთის რისხვა თქვენ და ჯანდაბა, მისტერ ლოქვეუდ! მიწაც გაგსკდომიათ და...
– დაიწყო ჩემმა მასპინძელმა და სანთლის სკამზე დადგმა სცადა, რაკი ძალა აღარ შესწევდა, რომ ხელში სჭეროდა. – ამ ოთახში ვინ შემოგიყვანათ? – განაგრძო მან, თან ხელები მომუშტა, ფრჩხილები ხელისგულებში შეისო და კბილებიც ერთმანეთს დააჭირა, რომ აცახცახებულს როგორმე კანკანი შეეჩერებინა, – ვინ-მეთქი! ახლავე გავუძახებ ამ სახლიდან!

– თქვენმა მსახურმა ზილამ შემომიყვანა, – ვუპასუხე, წამოვხტი და ნაჩქარევად ჩაყმა დავიწყე, – სულაც არ მენწყინება, თქვენს მუქარას თუ აასრულებთ, მისტერ ჰითქლიფ: ახი იქნება მასზე! აშკარად საცოდავი სტუმრით უნდოდა, დაემტკიცებინა, რომ აქ რაღაც უწმინდური ბუდობს. მართლაც ასეა: ოთახში ავსულები ბუდობენ! მართალიც ბრძანდებით, დაკეტილი რომ გაქვთ ეს ოთახი. ამისთანა ბუნაგში ღამის გათევისთვის მადლობას მაინც არავინ გადაგიხდით!

– რას გულისხმობთ? – მკითხა ჰითქლიფმა, – ან რას აკეთებთ? დანქით და გაათიეთ ღამე, რაკი აქ ბრძანდებით. ოღონდ, ღვთის გულისათვის, ასეთი საზარელი ხმაური აღარ ატეხოთ. მეგონა, დანით ყელს სჭრიან-მეთქი!

– ის პატარა ჭინკა რომ შემოტეულიყო ფანჯარაში, უეჭველად დამახრჩობდა! – მივუგე, – სულაც არ მინდა, თქვენმა სტუმართმოყვარე წინაპრებმა მღვწონ. დედის მხრიდან ნათესავად ხომ არ გერგებათ მაღალღირსი ჯებზ ბრენდერჰეიმი? ან ის ონავარი ქეთრინ ლინთონი, თუ ერნშო, თუ რაც ერქვა, ალბათ ელფების მოგდებუღია... მითხრა, ოცი წელია მიუსათარი დავეხეტებო... ეტყობა, ცოდვების გამო მივბლო, სასუფეველი რომ ვერ პოვა!

სიტყვა არ მქონდა დასრულებული, რომ ამ ორ სახელს, წიგნში მიჯაბნილ ჰითქლიფსა და ქეთრინს შორის კავშირი გამახსენდა, – ეს კავშირი გონებიდან ამომგარდნოდა და უცებ წამომახსენდა. გავწითლდი წინდაუხედაობის გამო; მაგრამ მეტად რომ აღარ შეჩვენებინა, ვაცნობიერებ დაშვებულ შეცდომას-მეთქი, უმაღლ დავაბატე:

– სიმართლე გითხრათ, სერ, ნახევარი ღამე...

ისევ შევდექი, – კინდამ წამომცდა, ძველი წიგნების თვალიერებაში გავატარე-მეთქი, – ამით ხომ გავცემდი ჩემს თავს – არა მართო ბეჭდურ ნაწილს, არამედ ხელნაწერსაც გავეცანი-მეთქი. მორიგი შეცდომა რომ არ გამჰარვოდა, დაეძინე:

– რაფაზე ამოკანრული სახელების ამოკითხვაში გავატარე. ერთგვარი თავშესაქცევია, რომელსაც ძილის მოსაგვრელად მიმართავს კაცი – როგორც კრიალოსანს, ან მსგავს...

– კი მაგრამ, რატომ მიყვებით ახლა ამას? – მიყვირა გამძვინარებულმა ჰითქლიფმა, – როგორ ბედავთ... ჩემ ჭერქვეშ? ღმერთო! ხომ არ გაგიჟებულა, ასე რომ მელაპარაკება! – გაცოფებულმა ჰითქლიფმა შუბლზე იტკიცა ხელი.

არ ვიცი, მწყნოდა მისი ნათქვამი თუ ახსნა-განმარტება გამეგრძელებინა; მაგრამ ისე შეძრული მეჩვენა, რომ შემეცოდა და ჩემი სიზმრების მოყოლა განვაგრძე. მტკიცებას მოვეყვი, აქამდე «ქეთრინ ლინთონი» არასდროს მსმენია-მეთქი, მაგრამ არაერთხელ ამოკითხული გონებაში ჩამებეჭდა და წარმოსახვაზე კონტროლი რომ დავკარგე, ამ გვარსახელმა ერთგვარი სახე შეიძინა-მეთქი. სანამ ვესაუბრებოდი, ჰითქლიფი სანოლ ყუთში შევიდა და რომ მოვრჩი, უკვე ლამის თვალსმიფარებული იჭდა. მის გახშირებულ და არეულ სუნთქვას რომ დავუკვირდი, მივხვდი, მორეულ მღელვარებას ებრძოდა. რომ არ მეჩვენებინა, ვხვდები, რა დღეშიც ხარ-მეთქი, საკმაოდ ხმაურიანად განვაგრძე ტუალეტის დასრულება, თან საათზე ვიყურებოდი და მონოლოგში გამოვთქვამდი სამდურავს, როგორ ჭიანურდება ეს ღამე-მეთქი.

– ჯერ სამიჯ არ არის! მე კი თავს დავდებდი, ექვსს გადასცდა-მეთქი! აქ დრო ამკარად ერთ ადგილზეა გაჩერებული. როდესაც დასაძინებლად წავედით, ამკარად რვა საათი იყო!

– ზამთრობით ყოველთვის ცხრაზე ვწვებით და ოთხზე ვდგებით ხოლმე, – წარმოთქვა ჩემმა მასპინძელმა და კენსის დაფარვა სცადა; და როგორც მისი ხელის ჩრდილის მოძრაობით დავასკვენი, ცრემლი ჩამოინმინდა თვალიდან. – მისტერ ლოქვეუდ, – განაგრძო მან, – შევიძლიათ, ჩემს საძინებელში ვადმოხვიდეთ; ასე ადრე თუ ჩახვალთ დაბლა, ამით მხოლოდ გააფუჭებთ სიტუაციას. ჩემი ძილი კი ისედაც ეშმაკებს დააფრთხობინა თქვენმა ბავშვურმა საქციელმა.

– ჩემი, – შევეპასუხე. – ჯობია, ეზოში ვიყილო გამოთენიამდე, მერე კი ჩემს გზას დავადგები. ან ჩემი შემოჭრისა ნულარ შეგეშინდებათ. საზოგადოებაში სიამოვნების მიღების სურვილისგან უკვე სრულად ვარ განკურნებული, გინდ სოფლად ვიყო და გინდ ქალაქად. გონიერი ადამიანი საკუთარი თავით უნდა კმაყოფილდებოდეს.

– წარმტაცი საზოგადოება! – ბუზღუნით წარმოთქვა ჰითქლიფმა, – აიღეთ სანთელი და სადაც გნებავთ, იქ მიბრძანდით. მეც ახლავე შემოვიერთდებით. ისე, ეზოში ჩასვლის იმედი ნუ გექნებათ, ძაღლები გვყავს ამგებელი. სახლს გუშავად იუნონა უდგას, ასე რომ... შევიძლიათ მხოლოდ კიბეზე იართო და ტალანები შემოიართო. აქედან მოუსვით და რაც გინდათ, ის გიქნიათ! ორ წუთში მეც მოვალ!

დავემორჩილე, თუმცა მხოლოდ ოთახიდან გავედი – გზა აღარ გამიგრძელებია, რადგან არ ვიცი, ვინრო ტალანი საით წამიყვანდა და სწორედ ამ დროს გავხდი უნებლიე შემსწრე ჩემი მასპინძლის საქციელისა, რამაც მისი ცრურწმენა გასცა, ასე ამკარად რომ ეწინააღმდეგებოდა მისსავე რაციონალურ ამროვნებას: მისტერ ჰითქლიფი სანოლთან მივიდა და ფანჯარა გააღო, მერე კი უცნაური და შეუკავებელი სიტყვები დასცდა მის ბავთ: – «შემოდი! შემოდი! – აქეთინდა, – ქეთი, მოდი! მოდი, ერთხელ მაინც მოდი! ძვირფასო, საყვარელო! დღეს მაინც გაიგონე ჩემი ხმა, ქეთრინ!» მოჩვენებამ კი მოჩვენებისთვის ჩვეული ჭირვეულობა გამოავლინა და არსებობის არავითარი ნიშანი არ მიუცია; მხოლოდ თოვლი და ქარი შემოიჭრნენ შეშლილებივით, ჩემამდეც კი მოაღწიეს და სანთელი ჩამიქრეს.

სულიერი ტკივილის შემოტევისას ისეთი სევდა დაეუფლა, მის ბოდვას რომ ახლდა თან, თანაგრძნობამ მაიძულა, ჰითქლიფისთვის მისი განუსჯელობა მიმეტყვებინა და გავეცალე იმაზე დარდით, რატომ მოვეუსმინე-მეთქი საერთოდ მის ნათქვამს, ამავე დროს თავს გაუწყყერი, რად მოვეუყევი-მეთქი ჩემი კომპარი, რამაც ასეთი ტკივილი მოჰგვარა; თუმცა მიზეზს მაინც ვერ ჩავნვდი. ფეხაკრეფით ჩავედი ქვედა სართულზე და სამზარეულოში შევედი, სადაც მოელვარე ნაღვერდალი ერთად მოვაქუჩე და სანთელი ავინთე. არაფერი იძროდა, მხოლოდ ზოლიანი რუხი კატა გამოძვრა ნაცრიდან და ბუზღუნა «მიაუთი» მომესალმა.

ორი ნახევრად მრგვალი სკამი თითქმის სრულად ევლებოდა გარს კერიას; ერთზე მე გავიზმორე, მეორეზე რუხი ციცა ახტა. ორივეს რული გვერეოდა, სანამ სიმყდროვეს არაფერი გვირღვევდა, მაგრამ მერე ჯოზეფი ჩამოფრატუნდა ხის კიბით, რომელიც ჭერისკენ აგრძელებდა გზას და ასაძრომის მიღმა ქრებოდა; სხვენში საძრომილო ჰქონია-მეთქი, გავიფიქრე. ბუხარში ჩემ მიერ გამოცოცხლებული ნაღვერდლის ლიცლიცს ავი მზერა ესროლა, მეორე სკამზე მოკალათებული ციცა ჩამოავდო, მოთავსდა და სამდუმიან ჩიბუხში თუთუნის ჩატენა დაიწყო. მის სავანეში ჩემს ყოფნას ალბათ იმხელა კადნიერებად აფასებდა, რომ შემჩნევადაც კი არ უღირდა; უხმოდ აიღო ჩიბუხი, პირში ჩაიღო, გულხელი დაიკრიფა და ნაფაზი დაარტყა. სიამოვნებით მონწევაში ხელს არ ვუშლიდი; უკანასკნელად რომ გამოუშვა ბოლის ქულა და უკანასკნელად ჩაისუნთქა ღრმად, ისევე მედიდურად ადგა და გავიდა, როგორც შემოვიდა.

უფრო მოქნილი ნაბიჯების ხმა მოისმა; პირი გავალე, დილა მშვიდობისა რომ მეტყვა, მაგრამ მაშინვე დაემუნე, რადგან ჰერთონ ერნშოს კვიდე თვალი: დილის ლოცვას აღასრულებდა sotto voce, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელში მოხვედრილ ყველა ნივთსა და საგანს ეშმაკებში გზავნიდა, სანამ კუთხე-კუნჭულს ჩხრეკდა ნიჩბისა ან ბარის საძებნელად, რომ გზიდან თოვლი გადაეხვეტა. სკამის საზურგიდან გამომხედა, ნესტოები დაბერა და ისევე არ მოსვლია აზრად, რომ თავაზიანობის გამო მაინც დაეკრა ჩემთვის თავი, როგორც ჩემს მეზობლად მწოლიარე კატისთვის. მისმა მზადებამ მიმახვედრა, რომ სახლიდან გასვლა უკვე შეიძლებოდა, მეც ჩემი მაგარი სკამლოგინი მივატოვე და ვიფიქრე, უკან გავყვები-მეთქი. ამას მიმიხვდა და ნიჩბით სასადილო ოთახის კარისკენ მიმიითითა, ყრუ ხმით მიმანიშნა, საით უნდა წავსულიყავი, თუკი ადგილსამყოფლის შეცვლა მქონდა განზრახული.

«სახლის» კარი შევალე, სადაც ქალები უკვე დაფუსფუსებდნენ: ზილა ძლიერი დაბერვით აჩალებდა ბუხარში ცეცხლს; მისის ჰითქლიფს ცეცხლთან ჩამეუხლა და ალზე წიგნს კითხულობდა. თვალები ხელით ჰქონდა ბუხრის სიციხისგან დაფარული და თითქოს თავიდან ბოლომდე კითხვაში ჩაფლულიყო. მხოლოდ წამიერად გამოერკვა, რომ მოსამსახურე დაეტუქსა, რადგან ამ უკანასკნელმა ნაპერწკლები შეათურქვია, და ძაღლისთვის ეკრა ხელი, რომელმაც ლამის სახეზე მიადო ცხვირი. მისტერ ჰითქლიფის დანახვა კი გამიკვირდა. ბუხართან იდგა, ჩემკენ ზურგით და სანყალ ზილას საყვედურის ქარ-ცეცხლში ატარებდა, რომელიც ისედაც წამდაუნუმ საქმეს სცდებოდა, წინსაფრის კუთხეებს ინევდა და გულისწყრომით კვნესოდა.

– შენ კი უმაქნისი ხარ, – განურისხდა ჩემი შესვლისას რძალს და არცთუ სანწყენი სიტყვა «იხვი» თუ «ცხვარი» ჰკადრა, რასაც ჩვეულებრივ, განანწყენება მოჰყვება ხოლმე, – ოინბაზობას არ იშლი, არა? ამ სახლში ყველა მუშაობს, პურის ფულს მაინც შოულობენ, შენ ჩემს კისერზე ზიხარ! შეეშვი მაგ მანებლობას და რამე საქმეს მოკიდე ხელი. თვალში ეკლად რომ მესობი, ამას გაზღვევინებ, წყეულო ჯაგლაგო!

– შევეშვები, რადგან უარი რომ გითხრათ, მაიძულებთ, – უპასუხა ახალგაზრდა ლედიმ, წიგნი დაკეცა და სავარძელზე დააგდო, – მაგრამ ხელს არაფერს მოვკიდებ, ენაც რომ მოგძვრეთ ამდენი ლანძღვით! არაფერს ვაგაკეთებ, გარდა იმისა, რაც მე მსიამოვნებს!

ჰითქლიფმა ხელი ასწია და მოსაუბრემ უსაფრთხო დისტანციაზე დაიხია – ამკარად იცოდა ამ ხელის სიმძიმე. სხვის საქმეში რომ არ ჩავრეულიყავი, დაბნეულივით მივედი ბუხართან, თითქოს მეც გათბობა მინდოდა, ხოლო კამათზე წარმოდგენაც არ მქონდა. ორივემ, ალბათ თავაზიანობისთვის, შუღლი შეწყვიტა; ჰითქლიფმა, ცდუნებას არ ავყვეო, ხელეები ჯიბეში ჩაიწყო, მისის ჰითქლიფმა ტუჩზე კბილი დაიჭირა და მოშორებით მდგარ სავარძელთან მივიდა, სადაც, სიტყვა არ გაუტეხავს და, ამ ჭერქვეშ ჩემი ყოფნის ბოლო მომენტამდე ქანდაკებასავით გაუძრევლად დარჩა. მალე დავტოვე იქაურობა. საუზმეზე უარი ვთქვი და შერიჟრაჟებულზე გამოვედი ჰაერზე, რომელიც სუფთა და უძრავი ყინულივით ცივი იყო.

ბალის ბოლომდე არ ვიქნებოდი მისული, რომ სახლის პატრონმა მომძახა, ჭაობით წავიდეთ, მეც გამოგყვებით. კარგია, რომ გაცილებს შემომთავაზა, რადგან არემარე თოვლის უსწორმასწორო ოკეანედ ქცეულიყო. ამოზნექილ-ჩაზნექილი ადგილები ნიადაგის მალღობებსა და დაბლობებს სულაც არ შეესაბამებოდა: ბევრი ორმო პირამდე ამოვსებულიყო თოვლით. მთელი მთავრებილი კი – ქვისამტეხლოვებთან დამუშავებული ქანებით – რუკიდან სულ გამქრალიყო, რომელიც ჩემს მესხიერებას გუშინდელი გამოსეირნებიდან ჰქონდა შემორჩენილი. გუშინ გზის ერთ მხარეს ექვსი-შვიდი იარლით ერთმანეთისგან დაშორებული ბოძები შევნიშნე, რომლებიც მინდვრის გასწვრივ ჩაეყოლებინათ; ქვის ბოძებს თავები კირით ჰქონდა გათეთრებული, ბნელ ღამეში ან დღევანდელივით დიდთოვლობისას გზამკვლევად რომ გამოეყენებინა მგზავს, თან ღრმა ჭაობებს შორის გამავალ მტკიცე ბილიკზეც მიუთითებდა კაცს. მაგრამ ახლა თუ ალაგ-ალაგ მომჩინარ ჭუჭყიან ლაქებს არ ჩავთლით, ამ თეთრ ტილოზე გზამკვლევი ბოძების კვალი სრულიად გამქრალიყო; ჩემმა თანმხლებმა საჭიროდ სცნო, რომ წამი და წუთი ვაფრთხილება ეძლია ჩემთვის – აქ მარჯვნივ გაუხვიე, იქ მარცხნივო, სადაც ჩემი წარმოდგენით, სრულიად სწორად მიუყვებოდი გზის კლანკილს. მთელი გზა თითქმის უბრად ვიყავით, «შაშვების» პარკის შესასვლელთან შეჩერდა – ანი გზა აღარ აგერევათო. დამშვიდობებისას თავის დაკვრას დავჯერდით და გზას გუშინით გავუდექი, რადგან პარკის დარაჯის ქოხში ჯერ არავინ იყო შესახლებული. პარკის კარიდან «შომიების საბუდრამდე» ორი მილია მანძილი, მაგრამ მგონი, მე კარგა ოთხამდე დავიგრძელე გზა ხეებს შორის ხეტიალით, როდესაც ან გზა მებნეოდა, ან ხელაღება თოვლში ვეცემოდი და ძლივს ვდგებოდი – ეს ის უსიამოვნებაა, რომელსაც მხოლოდ ის

შეათვისებს, ვისაც გამოუცდია. ასე იყო თუ ისე, როდესაც შინ შევდგი ფეხი, საათმა თორმეტჯერ დაკრა. გამოვითვალე და «ქარიშხლიანი უღელტეხილიდან» სახლამდე თითო მილის გამოვლისთვის თითო საათი მომინდომებია!

მწე და მისი ხელქვეითები ყოყინით შემომეგებდნენ, – აღარც კი ველოდით თქვენს გამოჩენას: თურმე ჰგონებიათ, რომ წუხელ გზაში დავიღუპე და ახლა თავს იმაზე იმტვრევდნენ, ჩემი ცხედრის ძებნა როგორ დაეწყათ. ყველას ვთხოვე, დამშვიდებულიყვნენ, რაკი ცოცხალსა და უვნებელს მხედავდნენ. თავით ფეხამდე გალუმპული ვიყავი. ზევით ავედი, მშრალი ტანისამოსი ჩავიცვი და ოთახში ნახევარ საათზე მეტი წინ და უკან ვიარე, რათა ბუნებრივი სითბო აღმედგინა, მერე კაბინეტში გავედი. კნუტივით უღონო ვიყავი, ისე გამომცლოდა ძალა; როდესაც მსახურმა ქაფქაფა ყავა მომართვა ჯანზე მოსაყვანად ბუხრის პირას მოკალათებულს, სიხარულის გამოხატვის თავიყ აღარ მქონდა.

თავი 4

ცარიელი ფლიუგერები ვართ, რა! მე, რომელსაც გადაწყვეტილი მქონდა, ყველანაირი საზოგადოებისგან თავი შორს დამეჭირა და ბედს მადლობას ვწირავდი, რომ ისეთ ადგილას მომხვედრა, სადაც ადამიანებთან ურთიერთობა იშვიათი სიამოვნებაა, მე, სუსტი ადამიანი, გარიჟრაჟამდე ვცდილობდი სულიერი სიმხნევის აღდგენასა და მარტობით მოგვრილი სევდის დაძლევას, მაგრამ მაინც იძულებული გავხდი, ფარ-ხმალი დამეყარა. მოვიმიზღვე, სახლთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე მინდა საუბარი-მეთქი და მისის ღინს, ვახშაში რომ მომართვა, ვთხოვე, ჩემთან დამჭდარიყო; თან გულში ვნატრობდი, ნეტავ ჩვეულებრივი ჭორიკანა აღმოჩნდეს-მეთქი, რადგან ასე ან გამახალისებდა ან ჭორებით მომთენთავდა და ძილს მომგვრიდა.

– აქ დიდი ხანია ცხოვრობთ? – დავინწყე მე, – მგონი, თექვსმეტი წელი მითხარით...

– თვრამეტი, სერ: მე აქ ქალბატონს გადმოვყევი, როდესაც აქეთ გამოთხოვდა – თავდაპირველად მისთვის უნდა მიმეხედა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ბატონმა მწე და მწედა.

– აჰა!..

დადუმდა. გავიფიქრე, მისის ღინს ჭორაობა თუ უყვარს, ალბათ მხოლოდ პირად საქმეებზე-მეთქი, რაც ჩემთვის ნაკლებ საინტერესო იქნებოდა. მაგრამ ერთხანს კალთაზე მუშტებდაყრდნობილმა, შეფაკული სახე რომ შეფიქრიანებოდა, სათქმელს თავი მოუყარა და განაგრძო:

– ეჰ, მას მერე დრო საგრძნობლად შეიცვალა!

– ჰო, – გავეპასუხე, – ალბათ უამრავი ცვლილების მომსწრე იქნებით...

– გახლავართ... და ბევრი უსიამოვნებისაც, – დასძინა.

«ოჰ, იქნებ ჩემი სახლის პატრონზე გადავატანინო საუბარი, – გავიფიქრე, – დასაწყისისთვის ურიგო არ იქნებოდა! იმ ლამაზი ქვრივი გოგონას ამბის გაგებაზეც უარს არ ვიტყვოდი: ვინ არის, აქაურია თუ, რაც უფრო მართალი მგონია, ეგზოტიკური არსებაა, რომელთანაც პირქუში indigenae[1] ნათესაობას არ აღიარებენ?» მეც ავდექი და ჭიქერ ვკითხე მისის დინს, – რატომ აქირავებს მისტერ ჰითქლიფი «შომიების კარმიდამოს», როცა თვითონ უარეს სახლსა და უარეს ადგილას ცხოვრობს-მეთქი.

– განა იმდენად მდიდარი არ არის, რომ მამულს კარგად მოუაროს? – დავინტერესდი.

– მდიდარი, სერ? – წარბები ასნია მნემ, – სარჩო-საბადებელი არ აკლია, ფული იმდენი აქვს, რომ დათვლას ვერ აუვა კაცი; თან ყოველწლიურად ემატება. დიახ, ბატონო, იმდენად შეძლებულია, რომ ამაზე უკეთეს სახლშიც თავისუფლად იცხოვრებდა! მაგრამ ის, მე ვიტყვოდი... მეტისმეტად ხელმომჭირნეა! «შომიებშიც» რომ ეცხოვრა და გაეგო, კარგი მდგმური გამოჩნდაო, რამდენიმე ასეულისთვის უყოყმანოდ დათმობდა აქაურობას. უცნაურია, როგორ შეუძლია ადამიანს იყოს ასეთი ძუნწი, როცა ქვეყნად არავინ გააჩნია!

– მგონი, ვაჟი უნდა ჰყოლოდა.

– ჰყავდა კიდევ. მოუკვდა.

– და ის ახალგაზრდა ქალი, მისის ჰითქლიფი, მისი ვაჟის ქვრივია?

– დიახ.

– საიდან არის?

– ეჰ, სერ, ის ხომ ჩემი ანგანსვენებული ბატონის ქალიშვილია: მისი ქალიშვილობის გვარია ლინთონი. მაგ ბედშავის ძიძა მე ვიყავი! ნეტავ მისტერ ჰითქლიფი აქ გადამობარგდებოდეს, ისევ ერთად ვიქნებოდით.

– რა, ქეთრინ ლინთონი? – გაოგნებულმა შევძახე. მაგრამ ნახევარ წუთში გავაცნობიერე, რომ ლამეულ კომშარად მოვლენილი ქეთრინი ის ვერ იქნებოდა.

– ჩემამდე ამ სახლში ლინთონი ცხოვრობდა?

– დიახ.

– ეს ერნშო ვილაა, ჰერთონ ერნშო, ჰითქლიფთან რომ ცხოვრობს, ნათესავია?

– არა, ის ცხოვრებული მისის ლინთონის ძმიშვილია.

– ე. ი. ახალგაზრდა ქალბატონის ნათესავია?

– დიახ. ქმარიც მამიდაშვილად ერგებოდა: ერთი დედის მხრიდან, მეორე მამის მხრიდან. ჰითქლიფს ცოლად მისტერ ლინთონის და ჰყავდა.

– მათი სახლის სადარბაზო კარის თავზე ამოკვეთილია «ერნშო». ძველი გვარია?

– მეტი რომ არ შეიძლება, სერ. მათი ოჯახის უკანასკნელი შთამომავალია ჰერთონი, როგორც ჩვენი – მის ქეთი. ანუ ლინთონებისას ვგულისხმობ. «უღელტეხილზე» უკვე იყავით? კითხვისთვის ბოლიში მომიტხოვია, მაგრამ ხომ ვერ მეტყოდი, ჩემი ქეთი როგორ არის?

– ვინ, მისის ჰითქლიფი? გარეგნულად სრულად ჯანსაღად გამოიყურება და ძალიან ლამაზიც ეთქმის. მაგრამ ბედნიერია-მეთქი, ვერ ვიტყოდი.

– ღმერთო ჩემო, არც მიკვირს! ბატონი როგორ მოგეწონათ?

– უხეში კაცი ჩანს, მისის დინ. ასე არ არის?

– ხერხის პირივით უხეშია და უხიაგი! აჯობებს, რაც ნაკლებად გექნებათ მასთან საქმე.

– ალბათ ცხოვრებაში ბევრი რამ გადახდა, ამიტომაც გაუუხეშდა გული ასე. მისი ამბავიც გეცოდინებათ.

– თავიდან ბოლომდე, სერ! მხოლოდ არ ვუნცი, სად დაიბადა, ვინ ჰყავდა მშობლები და სულ თავიდან როგორ ჩაიგდო ხელში ფული. ჰერთონი კი ნინილასავით გაპუტეს და გარეთ გაუძახეს. მხოლოდ თვითონ ვერ ხვდება ეგ სასოდავი, როგორ თაღლითურად გააცურეს!

– მისის დინ, კეთილ საქმეს იზამთ, თუკი ჩემს მეგობლებზე რამეს მომიყვებით. ვგრძნობ, რომც დაგწვე, რული არ მომეკიდება, ასე რომ, ქენით სიკეთე და ერთი საათი დამითმეთ, ნავიჭორაოთ ცოტა ხანს.

– ოჰ, დიდი სიამოვნებით, სერ! მხოლოდ საკერავს მოვიტან და დავსხდეთ, რამდენ ხანსაც გნებავთ. მაგრამ გაცხივებული უნდა იყოთ, ცახცახებთ. ჯობია, ხელს რამე ცხელი სასმელი მოვაყოლო, რომ შეთბეთ.

კეთილი ქალი ფაცუიფუციტ გავიდა ოთახიდან, მე ცეცხლთან მივიჩოჩე; თავი მიხურდა, ტანში კი მაცხივებდა. მეტისმეტად აღელვებული ვიყავი, ნერვები დანწყვეტაზე მქონდა და ტვინი მერეოდა. ამის გამო თავს უქეიფოდ ვგრძნობდი, თან გუშინ და დღეს თავს გადახდენილი ამბებიც მაფიქრებდა, რამე სერიოზული კვალი არ დატოვონ-მეთქი. მნე მალე დაბრუნდა, ოხშივარადენილი თასითა და საკერავის კალათით; ფაფა ბუხარში, თაროზე დადო, არ გაცვიდესო და თვითონ იქვე ჩამოჯდა, აშკარად გახარებული იმით, რომ უცხვირპირო ადამიანი არ გამოვდექი.

* * *

– სანამ აქ გადმოვიდოდი საცხოვრებლად, – ისე განაგრძო საუბარი, თავპატიუი არ დაუნცია, – თითქმის სულ «ქარიშხლიან უღელტეხილში» ვცხოვრობდი, რადგან დედაჩემი ჰერთონის მამის, მისტერ ჰინდლი ერნშოს გადია იყო და ბატონების ბავშვებთანაც ხშირად ვთამაშობდი ხოლმე; გარდა ამისა, თივის შეგროვებაში ვეხმარებოდი, ფერმაშიც ათას საქმეს ვაკეთებდი – ვინც რას დამავალვდა. ერთ მშვენიერ დილასაც, ზაფხული იდგა, მასსოვს, ალოობა იწყებოდა, მისტერ ერნშო, ჩვენი ძველი ბატონი, წასასვლელად გამოწყობილი ქვემოთ ჩამოვიდა; მისტერ ჯოზეფს განკარგულებები მისცა იმ დღისთვის და მისტერ ჰინდლის, ქეთისა და მე მოგვიბრუნდა, რადგან მეც მათთან ერთად შვრიის ფაფას შევექცეოდი, და თავის ვაჟს მიმართა: «აბა, ჩემო კარგო ბიჭო, დღეს ლივერაჟულს მივდივარ და რა მოგიტანო? აირჩიე რამე, ოღონდ მთლად დიდი ზომისა ნუ იქნება, რადგან ფეხით მივდივარ და ფეხითვე მომიწევს ჩამოსვლა: სამოც-სამოცი მილი აქეთ-იქით პატარა გზა როდია!» ჰინდლიმ – ვიოლინო. ბატონმა ახლა ქალიშვილს მიმართა, რომელიც ექვსი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ ჩვენი თავლის ნებისმიერი ცხენის ჭენება შეეძლო, ამიტომ მათრახი ითხოვა. ბატონს არც მე დავერწყებოდი, ისეთი კეთილი გული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ სისასტიკესაც იჩენდა ხოლმე. დამპირდა, ერთ პარკ ვამლუბსა და მსხლეს ჩამოგიტანო, დაგვემშვიდობა და წავიდა.

ის სამი დღე, რაც ბატონი წასული იყო, ყველას გვეჩვენებოდა, რომ დრო ძალიან ნელა გადიოდა, პატარა ქეთიც ხშირად გვეკითხებოდა, მალე ჩამოვა მამიკო? მისი ერნშო მესამე დღისთვის ვახშმად ელოდა, ვახშამი რამდენჯერმე თითო საათით გადადეს; თუმცა ბატონი არ გამოჩენილა და ბავშვებსაც მოსწყინდათ ეზოს კარისკენ სირბილი მისი დახვედრის იმედით. უკვე შებინდა და დედამ მათი დაძინება მოინდომა, მაგრამ ცრემლმორეულმა პატარებმა სთხოვეს, ცოტა ხანს კიდევ ვიქნებით თქვენთან ერთად; ჰოდა, უკვე თერთმეტი იქნებოდა, როდესაც კარის საგლეული გაიწია და ოჯახის უფროსიც შემოვიდა. ეგრევე სავარძელში ჩაესვენა სისცილითა და ოხვრით და ითხოვა, – თავი არ მომაბეზროთ, რადგან სიკვდილს ბუნებურად ვადავურჩიო, უფრო სწორად, კინალამ მომკლესო. ასე თქვა, – სამივე სამეფო რომ შემომთავაზონ, ამ გზაზე ფეხის გამდგმელი აღარ ვარო.

– ისლა მაკლია, სიკვდილამდე გამამათრახონ კიდევ! – დაამატა მან და ფართო შინელი გახსნა, ხელში რომ ეჭირა. – ნახე, ცოლო! ცხოვრებაში ასეთი სიმწარე არავისგან მიგვმია. თუმცა მაინც ღვთის საჩუქარივით უნდა მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ეშმას შობილივით შავია.

ყველანი გარს შემოვხვიეთ და მისი ქეთის თავგემოთ ჭუჭყიანი, კონკეპში შეფუთვნილი, შავთმიანი ბავშვი დავინახე. უკვე იმხელა იყო, რომ სიარულიც უნდა შეძლებოდა და ლაპარაკიც. მართლაც, შესახედავად ქეთრინზე უფროსს ჰგავდა; ძირს რომ ჩამოსვა ჩვენმა ბატონმა და ფეხზე დააყენა, უცხომ თვალი მოავლო გარემოს და რაღაც აბდაუბდის ლუღლუღი დაიწყო. საკმაოდ შემეშინდა, მისი ერნშოს კი ერთი სული ჰქონდა, კარი გაეღო და გარეთ გაეძახებინა დაუპატიუბელი სტუმარი. ზეზე წამოხტა და ქმარს დაუყაყხანა: – როგორ მოათრეე სახლში ეს ბოშების ნაშიერი, როცა ჩვენი წვრილშვილი გვყავს აღსაზრდელ-მოსავლელიო? რაზე ფიქრობდი, შინ რომ მოგყავდა ეს ნაბუშარი, ჭკუიდან ხომ არ გადადევნო?! ბატონმა

საქმის ვითარების ახსნა სცადა; მაგრამ მართლაც ისეთი დაღლილი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, ცოლი კი ლანძღვით ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, ამიტომ მისი მონაყოლიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ შიმშილით სიკვდილის პირას მისული უსახლკარო ბავშვი ლივერპულის ერთ-ერთ ქუჩაში იწვა დაკრუნჩხული. სწორედ ქუჩიდან აიყვანა თურმე და გამოიკითხა, პატრონი თუ ჰყავსო. კაციშვილი არ აღმოჩენილა მისი მცნობი. და რაკი ჩვენს ბატონს ფულიც ელეოდა და დროც აღარ ჰქონდა, უფიქრია, ბარემ შინ წავიყვან, ვიდრე აქ ვარკვიო მისი ამბებო, რამეთუ მტკიცედ გადაწყვიტა, ასე ღვთის ანაბარად ვერ მივატოვებო. ამით დასრულდა: ჩვენმა ქალბატონმა ბევრი იქოთქოთა და დანყნარდა. მისტერ ერნშომ დამავალა, ბავშვი დაბანე, სუფთა ტანსაცმელი ჩააცვი და ბავშვებთან ერთად დაანვინეო.

ჰინდლი და ქეთი თავს იმით იქცევდნენ, რომ გასუსულები უფროსების კამათს უსმენდნენ; როდესაც სიმშვიდე ჩამოვარდა, ორივემ მამამისის ჯიბეების ამოქექვა დაიწყო დაპირებული საჩუქრების პოვნის იმედით. ბიჭი, მართალია, თოთხმეტის იყო, მაგრამ როდესაც მამამისის ჯიბეში დაპირებული ვიოლინოს ნამტვრევები აღმოაჩინა, ბავშვივით ატირდა; ქეთიმ კი, როცა შეიტყო, რომ მათრახი იმ დროს დაეკარგა მისტერ ერნშოს, როდესაც ამ ნაპოვარას ეპატრონებოდა, სიმწრისგან დაიჭლანა და ფურთხებას მოჰყვა. ამ საქციელით მამას ალიყური გამოსტყუა, რომელიც მისთვის ზრდილობიანი მანერებისკენ მოწოდება გახლდათ. ბავშვებმა თავპირი დაიხიკეს, – ამას არათუ ჩვენს საწოლში არ ჩავანვინო, ოთახშიც კი არ გავაჭაჭანებთო. რაკი სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, კიბის ძირში დავანვინე, დილით ადგება და წავა-მეთქი. შემთხვევით მოხდა თუ არა, არ ვიცი, იქნებ ხმა მოესმა და ასე ამიტომ მოიქცა: ნაპოვარა მისტერ ერნშოს კართან მიცოცებულა, სადაც სახლის პატრონი გამოსვლისას გადააწყდა თურმე. გამოკითხვა დაიწყო, ეს როგორ მოხდაო. იძულებული გავხდი, გამოვმტყდარიყავი, შედეგად კი, ჩემი სილაჩრისა და უგულობის გამო, სახლიდან გამოიძახეს.

ასეთი გახლდათ ჰითქლიფის პირველი წარდგინება ოჯახში. როდესაც რამდენიმე დღეში დაებრუნდი შინ (არც არასდროს მიფიქრია, სამუდამოდ გამაძევებს-მეთქი), ვნახე, რომ ჰითქლიფად მოენათლათ. ჰითქლიფი მათი ბავშვის სახელი იყო, რომელიც სიყრმეშივე გარდაცვლიდათ. მოკლედ, ეს სახელი შემორჩა მას მერე ნაპოვარას სახელადაც და გვარადაც. მის ქეთი და ჰითქლიფი ძალიან დაახლოვდნენ, მაგრამ მისტერ ჰინდლიმ შეიძულა. ცოლვა გამხელილი ჯობს და, მეც შევიძულე. ვჩაგვრავდით და მოსვენებას არ ვაძლევდით. იმდენი ჭკუა სად მქონდა, რომ მივმხედარიყავი, რაოდენ უსამართლოდ ვექცეოდი. დიასახლისს კი არასდროს მოუცია მცირედი შენიშვნაც კი, როდესაც მის თვალწინ ვამწარებდით ბედშავ ნაპოვარას.

ჩლუნგს ჰკავდა, ხმას არაფერზე იღებდა. ალბათ არაადამიანურ მოპყრობას იყო ჩვეული. ჰინდლის მუჭლეკუნებს და წათაქეებს ისე იტანდა, ერთს არ დაიწყანებოდა, ცრემლს ხომ საერთოდ არ გადმოავადებდა. ჩემგან კი წკმეტასა და ჩხვლეტას უძლებდა, მხოლოდ სუნთქვას შეკრავდა ხოლმე და თვალეებს დაჭყეტდა, თითქოს თავისი წინდაუხედაობით შეერჭო რამეო. მისგან ასეთი ამტანობის გამოვლენას ბებერი ერნშო ჭკუიდან გადააჰყავდა, მით უმეტეს, როდესაც იგებდა, რომ მისი ვაჟი

სდევნიდა ამ უმამო ბავშვს, როგორც ეძახდა ხოლმე ჩვენს შავტუხას. უნდა ითქვას, რომ ძალიან უცნაურად იყო ჰითელიფზე მიჯაჭვული, მისი ყოველი სიტყვისა სჯეროდა (სიმართლე მოგახსენოთ, იშვიათად თუ დაიჩივლებდა რამეზე, ხოლო როცა რამეს იტყოდა, მხოლოდ სიმართლეს ამბობდა) და ქეთიზე მეტადაც კი ათამამებდა, რომელიც მეტისმეტად თავნება და თავისნათქვამა, რომ ქვეულიყო მამიკოს გოგონად.

მოკლედ, თავიდანვე ამ ბიჭმა განხეთქილება გამოიწვია სახლში; და მისი ერნოსი სიკვდილიც: ეს კი ორი წლის თავზე მოხდა, მას მერე, ახალგაზრდა ბატონმა მამამისი მეგობრის მაგივრად მჩაგვრელად მიიჩნია, ხოლო ჰითელიფი მისი მშობლების კეთილგანწყობის უზურპატორად და მისი უფლებების ხელმყოფად; ამ ფიქრებმა გული სულ გაუქვავა და უარესად დაზაფრა. თავიდან მეც ვიზიარებდი მის სიძულვილს, მაგრამ მერე, როდესაც ბავშვებს წითელა შეხვდათ და მოსავლელეები გახდნენ, მე კი მათი მიხედვა და ქალის ყველა საქმე დამევალა, აზრი შემეცვალა. ჰითელიფს სავალალო მდგომარეობა ჰქონდა. როდესაც მთლად გაუუარესდა ჯანმრთელობა, სულ სანოლოთან ვყავდი. მგონი, ხვდებოდა, რომ ბევრს ვუკეთებდი, მაგრამ იმას როდი ხედავდა, ასე იძულებით რომ ვიქცეოდი და არა ჩემი ნებით. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ თუკი ვინმესთვის ოდესმე მოუვლიათ, ალბათ მასზე მშვიდ ბავშვს ვერც ერთი მომვლელი ვერ ინატრებდა. მასსა და ბატონის ბავშვებს რომ ვაღარებდი ერთმანეთს, მიკერძობებით მოქცევის სურვილი მიქრებოდა. ქეთი და მისი ძმა ძალიან მანუხებდნენ. ის კი კრავივით იყო, თუმცა არა მისი ზნეკეთილობა, არამედ სიმტკიცე და ამტანობა ხდიდა მას იოლად ასატანს.

გამომტობინდა – ექიმმა შემაქო, ეს დიდწილად შენი მზრუნველობის წყალობით მოხდაო. ქებამ პათიფმოყვარეობა კი გამიღვივა, მაგრამ იმ არსებისადმი შემარბილებინა დამოკიდებულება, ვისი მოვლის საფასურადაც დავიმსახურე ქება. ჰინდლიმ უკანასკნელი მოკავშირეც დაკარგა. არა, ჰითელიფი ნამდვილად არ შემეყვარებია და მაინც გაოცებული ვიყავი, რა ნახა ჩვენმა ბატონმა მასში ამისთანა-მეთქი, რომელსაც, თუ მესხიერება არ მლაღატობს, არასდროს გამოუხატავს მაღლიერების უმცირესი ნიშანიც კი თავისი პატრონისადმი ამგვარი დამოკიდებულებისათვის. თავის კეთილისმყოფელთან კადნიერება არ გამოუჩენია, მხოლოდ უგრძნობი დამოკიდებულება ჰქონდა; ზედმეტი არაფერი უთქვამს, არადა იცოდა, რომ ერთი სიტყვაც კი საკმარისი იქნებოდა მისტერ ერნოსთან, რომ მთელი სახლი მის სურვილებს დამორჩილებოდა. ასე, მაგალითად, ბატონმა სოფლის ბაზრობაზე ბიჭებს კვიცები უყიდა და მოუყვანა. ჰითელიფმა ულამაზესი აირჩია, მაგრამ ცხენი მალე დაკოჭლდა, ხოლო როდესაც ეს ბიჭმა დაინახა, ჰინდლის უთხრა:

– შენს ცხენში უნდა გამიცვალო, ჩემი არ მომწონს; თუ არ გამიცვლი, მამაშენს მოუყვები, ამ კვირაში სამჯერ როგორ მცემე, მკლავი მხრამდე მაქვს გაშავებული, – ჰინდლიმ ენა გამოუყო და ყურის ძირში წაუთაქა, – ჯობია, ახლავე გამიცვალო, – დაიჟინა ჰითელიფმა და კარისკენ გაიქცა (თავლაში იყვნენ): – მოგინეც! თუკი ამ ნატკენებს ვურჯენებ მამაშენს, უარესი დღე შენ გელის!

– გადი, ძაღლო! – უყვირა ჰინდლიმ და რკინის გირი მოუღერა, კარტოფილისა და თივის ასანონად რომ იყენებდნენ ხოლმე.

– აბა, მესროლე, – გამოსძახა კარიდან ისე, რომ ფეხი არ მოუცვლია, – და ეგრევე მოვასხენებ მამამენს, როგორ შემუქრებოდი, – როგორც კი მამაჩემი მოკვდება, ეგრევე გავისვრი ამ სახლიდანო. მერე ვნახავთ, ვის უფრო ადრე გაისვრიან.

ჰინდლიმ ესროლა და მკერდში მოარტყა. ჰითქლიფი ნაიქცა, მაგრამ უცებ წამოხტა ფერწასული და სუნთქვაშეკრული; მე რომ არ შემიშალა ხელი, მყისვე ჩვენს ბატონთან გაიქცეოდა შურის საძიებლად. ისე გამოიყურებოდა, თქმაც არ დასჭირდებოდა, არადა, ენაზე კბილის დამჭერი ნამდვილად არ იყო.

– გყავდეს ჩემი კვიცი, ბოშავ! – მიაძახა ახალგაზრდა ერნშომ, – ღმერთს შევევადრები, რომ კისერი მოგამტერევინოს! გყავდეს და ღმერთმა შეგაჩვენოს, შე მანანწალა მათხოვრო! დასცინცლე მამაჩემს ყველაფერი და მერე ნახავს, რა ჩიტიც ბრძანდები, შე ეშმაკის ნაშიერო. აჰა, შენი იყოს და იმედი მაქვს, წიხლით გაგასხმევინებს ტვინს!

ჰითქლიფმა კი თავის ახალ საკუთრებას ჩაავლო ხელი და საჭინბოსკენ წაიყვანა; კვიცს უკან მისდევდა და არც კი გაუხედავს ბატონის ვაჟისკენ, როდესაც ჰინდლიმ თავისი სიტყვების დასტურად ფეხი გამოსდო და ისე მოკურცხლა, არც დაუნახავს, წააქცია თუ არა მეტოქე. გავოგნდი, როდესაც დავინახე, როგორ ცივად წამოღდა ბიჭი, ჩამოიფრთხა და გზა განაგრძო; კვიცს აღვირ-უნაგირი შეუცვალა და თივის ზვინულზე ჩამოჭდა, რომ მკერდში ძლიერი დარტყმით გამოწვეული გულისრევა დაეძლია და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა სახლში. იოლად დავიყოლიე, რომ დაზიანებები ცხენისთვის დაებრალეზინა: მას კი სულ არ ანაღვლებდა, რა ზღაპარს მოეყვებოდი, მთავარი იყო, სანადელი აისრულა. მართლაც ისე იშვიათად იტყოდა ხოლმე ჰითქლიფი სამღურავს, რომ ბოლმიანად და შურისმაძიებლად არ მიმანჩნდა. არადა, თურმე როგორ მწარედ ვცდებოდი, ამასაც მალე მოისმინო.

თავი 5

დრო გადიოდა და მისტერ ერნშოს სიძახუნე დაეტყო. ყოველთვის აქტიური და ღონიერი იყო, მაგრამ უეცრად ძალა გამოეცალა: დაბოლოს, როდესაც ბუხრის კუთხეში ერთი ადგილი დაისაკუთრა, საშინლად გამაღიზიანებელი გახდა. ყველაფერი აბრაზებდა და ღმერთს არ ექნა, ჰკონებოდა, ჩემს აზრს აღარ ითვალისწინებნო, რომ საბოლოოდ კარგავდა თავგზას. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, თუ ვინმე მის ფავორიტს რამეს ჰკადრებდა ან უფროსობას გაუბედავდა; სურდა, რომ აუცი არავის ეთქვა მასზე. აიჩემა, რაკი მე მიყვარს ეს ბავშვი, თქვენ ყველას გემზილებათ და რამეს დაუშავებთო. ამან ბიჭს საბოლოოდ დათვური

სამსახური გაუნია, რადგან ჩვენ შორის უფრო კეთილებმა ბატონისთვის ხასიათის შეწყობა ვცადეთ; ამან ნაპოვარას სიამაყესა და ავზნიანობას უფრო პოზიტიური ნიჟარაგი შეუქმნა. ზოგჯერ ეს აუცილებელიც კი იყო; ორ-სამჯერ ჰინდლიმ მამის თანდასწრებით ზიზლი არ დამალა ჰითქლიფისადმი, მოხუცმა ბატონმა კი ჯოხს წამოვლო ხელი, რომ შვილი გაელახა, მაგრამ სანყალობლად ქნევა დაიწყო, რადგან დარტყმის თავი არ ჰქონდა.

ბოლოს, მღვედლმა ურჩია (იმხანად ერთი მღვედელი გვყავდა, რომელიც გაჭირვებით ირჩენდა თავს პატარა ლინთონების და ერნშოების მეცადინეობით და პანანინა მიწის ნაკვეთის დამუშავებით), ახალგაზრდა ბატონი კოლეჯში გაგზავნეთ; მისტერ ერნშო კი დათანხმა, მაგრამ უიმედოდ, რადგან მიაჩნდა, რომ ჰინდლი უმაქნისი იყო და არსად ივარგებდა.

იმედი მომეცა, სიმშვიდე ჩამოვარდება-მეთქი. მაგრამ მტკივნეულად განვიციდი, რომ ჩვენს ბატონს თავისივე კეთილი საქმის გამო ტანჯვა ელოდა. წარმომედგინა, რომ მისი ბებრული უკმაყოფილება და ავადობა ოჯახური უთანხმოებიდან იღებდა სათავეს. თითქოს მიზეზის სადავეები მასვე ჰქონდა ხელთ. ფაქტობრივად კი, სერ, როგორც დავინახეთ, ძალები მართლაც ეცლებოდა. ისე კი, ურიგოდ არ ვიცხოვრებდით, რომ არა ორი ადამიანი: მის ქეთი და ჯოზეფი, – მსახური, – ალბათ, უკვე ნახავდით მასაც. ის იყო და არის ყველაზე აბეზარი ყოყოჩა ფარისეველი, ვისაც კი ოდესმე გადაუშლია ბიბლია მხოლოდ იმიტომ, რომ სათავისოდ სასარგებლო წინასწარმეტყველება ამოკრიბოს, სხვებს კი წყევლა-კრულვა არ მოაკლოს. ქადაგების ცოდნითა და ღვთისმეტყველებაზე მსჯელობის უნარით მონუსხა მისტერ ერნშო და რაც უფრო სუსტდებოდა ჩვენი ბატონი, მით მეტ გავლენას ახდენდა მასზე. ჯოზეფი შეუბრალებლად აღონებდა ჩვენს ბატონს სულის ხსნაზე და უჩიჩინებდა, შვილებს მკაცრი ხელი სჭირდებათო. უბიძგებდა, ჰინდლისთვის ისე შეეხედა, როგორც არამზადასთვის, ჰითქლიფისა და ქეთორინის შესახებ კი ლამის ყოველდღიურად გრძელ-გრძელი ინტრიგების ხლართვას არ ერიდებოდა. თან ერნშოს სისუსტეს ფარისეველურად ხოტბას ასხამდა და ყველაფერს ქეთორინს აბრალებდა.

არა, მართლა, ქეთისნაირი თავნება ბავშვი სხვა არ მენახა; დღეში ორმოცდაათჯერ მაინც გვაკარგვინებდა მოთმინებას; დილიდან დაღამებამდე მოსვენება არ გვექონდა, სულ გვეძინოდა, რამე არ მოიხიოსო. გამუდმებით აღტკინებული იყო, ენას არ აჩერებდა: იცინოდა, მღეროდა და ნებისმიერს შავ დღეს აყრიდა, ვინც მისნაირად არ მოიქცეოდა. ახტაჯანა იყო, მაგრამ მთელ სამრევლოში მისთანა ტკბილი ღიმილი, ყუყუნა თვალები და მსუბუქი ფეხი არავის ჰქონდა: გარდა ამისა, მე მგონია, რომ გულით ცუდი არავისთვის სურდა. თუკი აატირებდა ადამიანს, თვითონ აცრემლდებოდა, გვერდით მიუჯდებოდა და ისე დაისიებდა თვალებს ტირილით, რომ მისგან გულნატკენს აქეთ აიძულებდა, გაჩერებულიყო და მისთვის ეცა ნუგეში. ჰითქლიფისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. იმაზე დიდ სასჯელს მისთვის ვერ მოვიფიქრებდით, გარდა იმისა, რომ ერთმანეთისთვის დაგვეშორებინა. მართლაც, მას სხვაზე მეტად ხვდებოდა ხოლმე ბიჭის გამო. თამამისას პატარა დიასახლისის განსახიერება უყვარდა ხოლმე, არც ხელის აწევას

ერიდებოდა და მოთამაშეებზე უფროსობაც სიამოვნებას ანიჭებდა. ჩემთანაც ასე იქცეოდა, მაგრამ დარტყმებსა და ბრძანებებს ვერ ვიტანდი, ამიტომაც გავაფრთხილე.

მისტერ ერნშო ბავშვებისგან ხუმრობას ვერ იღებდა: მათთან ყოველთვის მკაცრი და სერიოზული იყო; ქეთრინს კი ვერაფრით გაეგო, რატომ გახდა მამამისი დაძაბუნებასთან ერთად უფრო მკაცრი და მოუთმენელი, ვიდრე მამინ, როდესაც ძალა ერჩოდა. მისი გამუდმებული საყვედური და წუნუნი გოგონას უკადრის სურვილს აღუძრავდა, რომ უფრო მეტად გაეჯავრებინა კაცი. ყველაზე ბედნიერი მამინ იყო ხოლმე, როდესაც ყველანი ვუჯავრდებოდით, ის კი გამომწვევად, უტიფრად შემოგვხედავდა და აქეთ ვგიტევდა: ჯოზეფის რელიგიურ შეჩვენებას ინილობინლოს უწოდებდა, მე აბუჩად მივადებდა, ხოლო რაც მამამისს ყველაზე მეტად სძავდა – გვანახებდა, რამდენად მოქმედებდა მისი მოჩვენებითი ამპარტავენება – რომელიც სანყალ კაცს ნამდვილი ეგონა – ჰითქლიფზე უფრო მეტად, ვიდრე მამობლის დიდსულოვანი სიკეთე. როგორ ასრულებინებდა მას თავის ხუშტურებს, ხოლო ბატონის მოთხოვნებს მხოლოდ მამინ აქცევდა ბიჭი ყურადღებას, როდესაც მის სურვილებს ესადაგებოდა. ზოგჯერ მთელი დღის აუტანელი საქციელის შემდეგ მოსალამოებულზე მამამისს მიუცუქცდებოდა: «არა, ქეთი, – ეტყოდა ხოლმე ცხონებული, – ვერ მეყვარები, რადგან შენს ძმაზე უარესი ხარ. მიდი, შვილო, ლოცვები წაიკითხე და უფალს შენდობა სთხოვე. მე და დედაშენი ალბათ თავში ხელს უნდა ვიცემდეთ, რომ ფეხზე დაგაყენეთ!» ეს სიტყვები ჯერ ცრემლებს აღვრევინებდა გოგონას, შემდეგ თითქოს მიეჩვიო, უფრო გაუმკაცრდა გული და როდესაც მამამისთან ვგზავნიდი, ბოლიში მოუხადე-მეთქი, სიცილს დამაყრიადა ხოლმე.

მაგრამ ჩამოჰკრასათამა, როდესაც მისტერ ერნშოს მიწიერ წუხილს ბოლო მოელო. ოქტომბრის ერთ საღამოს ბუხრის პირას, თავის სავარძელში მჯდარმა მშვიდად განუტევა სული. გარეთ ქარი ქროდა და საბუხრეში გრგვინავდა, ყურისწამლებად უსტვენდა, თუმცა კი არ ციოდა, თან ყველანი ერთად ვიყავით – მე ბუხრის ოდნავ მოშორებით ქსოვით ვიყავი გართული, ჯოზეფი მაგიდასთან იჯდა და ბიბლიას კითხულობდა (მსახურთათვის, რომლებიც სამუშაოს შემდეგ ჩვეულებრივ ბატონებთან ერთად ისხდნენ ხოლმე სახლში). მის ქეთი ავად იყო, ამიტომ არ ხმაურობდა; მამამისის მუხლებზე მიყუდებული იჯდა, ჰითქლიფს კი მის კალთაში ჩაედო თავი. მახსოვს, სანამ ბატონი ჩათვლემდა, ქეთის ლამაზ თმაზე მოეფერა – იშვიათად ხედავდა ასეთ მშვიდ ქალიშვილს – და უთხრა: «რატომ არ შეგიძლია, მუდამ ასეთი სათნო იყო, ქეთი?» გოგონამ თავი ასწია, შესცინა და მიუგო: «შენ რაღატომ არ შეგიძლია, მუდამ კარგი კაცი იყო, მამა?» მაგრამ რომ დაინახა, გავადიზიანეო, მამამისს ხელზე აკოცა და უთხრა, ძილისპირულს გიმღერებო. ხმადაბლა დაიწყო სიმღერა და იქამდე არ შეუწყვეტია, სანამ მამამისმა ხელი არ გაუშვა და კაცმა თავი არ ჩაქინდრა. ვიფიქრე, არ გააღვიძოს-მეთქი და ვთხოვე, გაჩუმებულიყო, არ ემოძრავა. ყველანი ასე გასუსულები ვისხედით ნახევარი საათი მაინც და კიდევ მეტხანსაც ვისხედებოდით, ჯოზეფს რომ არ მოეთავებინა ბიბლიის კითხვა და არ ეთქვა, ბატონი უნდა გავაღვიძო, ლოცვების წაკითხვისა და დანაოლის დროაო. ჯოზეფი მას მიუახლოვდა, სახელით მიმართა და მხარზე დაადო ხელი. მისტერ ერნშო არ განძრეულა. ჯოზეფმა სანთელი მოიმარჯვა და ისე დახედა. გულმა

რეჩხი მიყო, რაღაც ვერ არის კარგად-მეთქი, როდესაც სანთელი ბუხარზე დადო. ბავშვებს ხელი ჩავავლე და კიბეზე ავიყვანე, ვუთხარი, უხმაუროდ ადით და მარტოებმა ილოცეთ, ჯობიფეს სხვა საქმეები აქვს და თქვენთვის არ სცალია-მეთქი.

– ჯერ ღამე ნებისას ვუსურვებ მამას, – თქვა ქეთრინმა და სანამ რამეს ვიღონებდით, კისერზე მოხვია ხელები. საწყალი ბავშვი მაშინვე მიხვდა დანაკარგს და იკვილა: – ვაი, მამა მკვდარია, ჰითქლიოფ! მომკვდარა! – ორივენი წამოცვიდნენ ზეზე და მწარედ აქვითინდნენ.

მეც ჩემი გულის ნუხილი მათსას შევეერთე, მაგრამ მოულოდნელად ჯობიფი მოგვიბრუნდა და გვკითხა, რას მოსთქვამთ ცათა სასუფეველში წმინდანთა გამოო. დამავალა, მოსასხამი მოისხი და გიმერთონში გაფრინდი ექიმისა და პასტორის მოსაყვანადო. ვერაფრით მივხვდი, ან ერთი რად გვჭირდებოდა, ან მეორე. მიუხედავად ამისა, მაინც გავედი ქარსა და წვიმაში და მხოლოდ ერთი მათგანის, ექიმის მოყვანა შევძელი. მეორემ მითხრა, ხვალ დილით მოვალო. ექიმი ჯობიფთან დაეტოვებ საქმეში გასარკვევად, მე კი ბავშვებთან ავვარდი. კარი ღია ჰქონდათ. მართალია, შუაღამე იყო, მაგრამ როგორც დავინახე, არც ერთი არ დანოლილიყო. თუმცა მშვიდად ისხდნენ და ჩემს ნუგემს არ საჭიროებდნენ. უცოდველი სულები ერთმანეთს უფრო დამამშვიდებელი სიტყვებით ამხნევებდნენ, ვიდრე მე მოვითვითქვებდი. ვერც ერთი მღვდელმსახური ვერ დაასურათებდა ცათა სასუფეველს იმაზე ლამაზად, ვიდრე ისინი აღწერდნენ მიამიტი საუბრისას. ჩემი ქვითინით ვუსმენდი და უნებლიეთ ვინატრე, ნეტავ ყველანი ერთად მოვხვდებოდეთ-მეთქი ცათა შინა.

თავი 6

მისტერ ჰინდლი შინ დაკრძალვისთვის დაბრუნდა, რამაც ყველაზე მეტად გაგვაკვირვა და მემობლები ააჭორავა, თან ცოლიც ჩამოიყვანა. ვინ იყო, ან სად იყო დაბადებული მისი მეორე ნახევარი, ჩვენთვის არასდროს უთქვამს. ალბათ მას არც ფული ჰქონდა და არც გვარი, რომლითაც თავს მოიწონებდა, თორემ მამამისს ხომ არ დაუმალვდა ამ ქორწინებას. ქალის გამოჩენას სახლში სიმშვიდე არ დაურღვევია, იმ კატეგორიას არ ეკუთვნოდა, ყველაფერს თავდაყირა რომ აყენებენ ხოლმე, პირიქით, რასაც კი დაინახავდა, ყველაფრით კმაყოფილი ჩანდა. არც ჩვენს წესრიგს გამოუწვევია მისი უკმაყოფილება, მხოლოდ დასაკრძალმა სამზადისმა და ოჯახის წევრების დამწუხრებულმა სახეებმა იმოქმედა მასზე ცუდად. მეგონა, ცოტა ჭკუა აკლია-მეთქი, რადგან მისმა საქციელმა მაფიქრებინა ასე. თავის ოთახში გაიქცა და მითხრა, გამომყევო, არადა ბავშვებს ვაცმევი. კანკალებდა და ხელებს იფშენებდა, თან განუწყვეტლივ იმეორებდა: «წავიდნენ უკვე?» მერე ისტერიკული ტონით დაიწყო იმის ახსნა, თუ რაოდენ ცუდად მოქმედებდა მასზე შავი ფერი. ახსნისას სლოუკუნებდა, მოსთქვამდა და ბოლოს აქვითინდა კიდევ. როცა ვკითხე, ასე რატომ გემართება-მეთქი, მიპასუხა, არ ვიცი, მაგრამ სიკვდილის მაგრად მემშინია! რომ შევხედე, მომაკვდავს ისე არ ჰგავდა, როგორც მე. ტანად გამხდარი ეთქმოდა, მაგრამ

ყმანვილქალი იყო და კარგი აღნაგობა ჰქონდა. თვალები კი ბრილიანტის თვლებივით უბრწყინავდა. შეენიშნე, რომ კიბეზე ასვლისას სუნთქვა გაუხშირდა, მცირედი გაფაჩუნებისასაც კი კანკალებდა და შიგადაშიგ ძალიან ცუდად ახველებდა. თუმცა მაშინ რა ვიცოდი, რისი ნიშანი იყო ეს, ამიტომ ვერაფრით თანავეგრძნობდი. აქ უცხოების მიმართ ხელგაშლილობით არ ვართ ცნობილნი, მისტერ ლოქვედ, სანამ თვითონ არ გამოავლენენ ჩვენდამი გარკვეულ დამოკიდებულებას.

ახალგაზრდა ერნშო, იმ სამ წელიწადში, რაც ჩვენთან არ იმყოფებოდა, საგრძნობლად შეცვლილიყო. გამხდარიყო, ფერი დაეკარგა, თან სხვანაირად ეცვა და ლაპარაკობდა. ჩამოსვლის პირველსავე დღეს მე და ჯოზეფი გაგვაფრთხილა, ამიერიდან სამზარეულოს დასჯერდით, სახლი კი ჩემს განკარგულებაში გადმოვავო. ისიც კი მოისურვა, ცარიელ პატარა ოთახში შპალერი გაეკრა და ნოხი დაეგო, რომ მეუღლისთვის მისაღები მოეწყო, მაგრამ მის ქალბატონს ისე მოსწონდა თეთრ ფილაქნიანი იატაკი, მოგიზგიზე ვეებერთელა ბუხარი, კალის ჭურჭლითა და დელფტის ფაიანსით განწყობილი საფანავალი, საძალღე და დიდი სივრცე, სადაც ჩვეულებრივ ისხდნენ ხოლმე, რომ ქმარმა ჩათვალა, ჩემი წამოწყება აუცილებლობას არ წარმოადგენს მისი კეთილგანწყობისთვისო და ხელი აიღო განზრახვაზე.

ქალმა სიხარულიც გამოხატა, რადგან ახალ სანაცნობოში დაიკო გამოჩნა: სულ ქეთრინს ეტიტინებოდა და კოცნიდა, თან კუდში დასდევდა და საჩუქრებით ავსებდა თავიდან. მალე მეგობრობის უინი გაუქრა და როდესაც უგუნებოდ შეიქმნებოდა, ჰინდლი ტირანი ხდებოდა. საკმარისი იყო, მის ცოლს ერთი აუგი დასცდენოდა ჰითქლიფზე, რომ ჰინდლის ნაპოვარასადმი ძველი ზიზღი ეღვიძებოდა. ბიჭს მსახურებს შორის მიუჩინა ადგილი, მღვდლის გაკვეთილებზე დასწრებას აუკრძალა და დაიჟინა, სახლის გარეთ უნდა იმუშაოსო. მუდამ თვალი ეჭირა, რომ ფერმაში სხვაზე მსუბუქი საქმე არ დაეკისრებინათ მისთვის.

თავიდან ჰითქლიფი ამ დამცირებას მშვიდად შეხვდა, რადგან ქეთი, რასაც კი თვითონ ითვისებდა, მასაც ასწავლიდა, მინდორში კი სულ მას ეთამაშებოდა. ორივემ პირობა დადო, ველურებივით გავიზრდებითო; ახალგაზრდა ბატონს კი მათი ბედ-იღბალი სულ არ ანაღვლებდა, ოღონდ კი თვალში არ მოხვედროდნენ. იმასაც კი არად დაგიდევდათ, რომ ბავშვები კვირაობით ეკლესიაში არ დადიოდნენ, ამის გამო მხოლოდ ჯოზეფი და მოძღვარი საყვედურობდნენ ხოლმე, ქადაგებას არ ესწრებიანო. ჰინდლიმ მოიფიქრა, ამის გამო ჰითქლიფი გაემართახებინათ, ხოლო ქეთრინი სადილსა და ვახშამზე არ დაეშვათ. მაგრამ მათი უპირველესი საზრუნავი დილიდანვე ჭაობებში გაქცევა და მთელი დღე წონილი იყო, სახლში კი გინდ დაესაჯათ, სიცილად არ ჰყოფნიდათ. რამდენი თავიც უნდა მიეცა მღვდელს ქეთისთვის საზეპიროდ და რამდენიც უნდა ეცემა ჯოზეფს ჰითქლიფი, – სანამ ხელი არ ასტკივდებოდა – მათ ყველაფერი ავინწყდებოდათ, როგორც კი ერთად აღმოჩნდებოდნენ ან იმ წუთიდან, როდესაც სამაგიეროდ რამე მავნე ოინს ჩაიფიქრებდნენ. რამდენჯერ მიტერია ჩემთვის იმის მაყურებელს, თუ დღითი დღე როგორ იღებდნენ თავზე ხელს, მაგრამ სიტყვას ვერ ვძრავდი, რადგან მეშინოდა, ის იოტისოდენა ავტორიტეტიც არ დამეკარგა, რაც მათ თვალში მქონდა. ერთ კვირასაღამოს სასადილო ოთახიდან გარეკეს ხმაურის თუ რაღაც მცირედი

დანაშაულისათვის, ხოლო როდესაც ვახშამზე მათ დასაძახებლად წავედი, არ დამიხვდნენ, ვერც ვერსად მივაგენი. სახლი გადავჩხრიკეთ, ეზო, თავლები... თითქოს უჩინმაჩინის ქედები ახურავთო, არსად ჩანდნენ. განრისხებულმა ჰინდლიმ ჭიშკარი ჩააკეტვინა და ყველა დააფიცა, რომ იმ ღამით არავის შემოეშვა კარსმომდგარნი. სახლეული დანვა. მე კი გაბრაზებულმა ფანჯარა გავაღე და ყური მივევდე, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ წვიმდა. ვიფიქრე, ოღონდ კი შინამდე მოაღწიონ და აკრძალვას არად ჩავვადებ, მაინც შემოვუშვებ-მეთქი. ამასობაში გზაზე ნაბიჯების ხმა გავარჩიე, ეზოს კარსიქით კი ჭრაქის შუქმა გაიციალა. შალი მოვივდე და გარეთ გავეჩქარე, რომ კაკუნით არ გაელვძებინათ მისტერ ერნშო. გარეთ ჰითქლიფი დავინახე, გული შემიქანდა, მარტო რომ იყო.

– მის ქეთრინი სადაა? – გავძახე მაშინვე, – იმედია, არაფერი მოსვლია?!

– «შოშიებში», – მიპასუხა. – მეც იქ ვიქნებოდი, თავაზიანობა რომ გამოეჩინათ და დარჩენა შემოეთავაზებინათ.

– მიიღებ მისაღებს, – განვრისხდი მე, – სანამ ჩანათფიქრს არ შეასრულებ, არ მოისვენებ, ხომ? რა ძალა ვადგა, რომ «შოშიების კარმიდამოში» ჩახვედი?

– სველი ტანისამოსი გამომაცვლევინე და გეტყვი, რაც მოხდა, ნელი, – მიპასუხა მან.

ვუთხარი, ფრთხილად იყავი, ბატონმა არ გაიღვიძოს-მეთქი და შევიცადე, როდის დაასრულებდა ბიჭი ტანზე გამოცვლას, რომ სანთელი ჩამეჭრო. ის თხრობას განაგრძობდა:

– მე და ქეთი სამრეცხაოდან გავიპარეთ, რომ სამშვიდობოს ვყოფილიყავით. «შოშიებიდან» სინათლემ რომ მოაღწია, ვიფიქრეთ, ახლოდან ვნახოთ, ლინთონებიც კუთხეში დგომითა და ცახცახით ატარებენ თუ არა კვირასაღამოებს, როცა მათი დედ-მამა ზის, შეეცქევა, სვამს, მღერის, იცინის და თვალებს ინვავს ბუხრის პირას? გგონია, დგანან და იყინებიან? ან ქადაგებებს კითხულობენ, ან კატეხიმოდან ეკითხება მსახური და ბიბლიურ სახელთა სვეტებს აზეპირებინებს, თუ არასწორად უპასუხებენ?

– ალბათ, არა, – ვუპასუხე, – ისინი კარგი ბავშვები არიან და იმ მოპყრობას არ იმსახურებენ, რასაც თქვენ – უსაქციელობისთვის.

– ნუ ფარისევლობ, ნელი, – შემანყვეტინა, – სისულელეა! «უღელტეხილიდან» პარკამდე გაუჩრებლად ვირბინეთ – ქეთრინს ფეხები გადაექლიტა ამ სირბილით, რადგან ფეხშიშველა იყო. ხვალ ჭაობში მისი ქოშების მოძებნა მოგინევს. გარღვეულ ღობეში გავძვერით, ხელის ცეცებით გავიკვლიეთ გზა ბილიკამდე და შემდეგ სასადილო ოთახის ფანჯარასთან გაშენებულ ყვავილნარამდე მივადწიეთ. ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა. დარაბები ღია იყო, ფარდებიც სანახევროდ ჩამოეფარებინათ. ორივეს კარგად შეგვეძლო ოთახში შეხედვა, თუკი ნახევარსარდაფის სახურავზე შევდგებოდით და რაფას დავეყრდნობოდით. ჰოდა, ჩვენც დავინახეთ და რა დავინახეთ! ლამაზი, დიდებული უოლოსფერი ხალიჩებით მოფარდაგული ოთახი,

მაგიდებსა და სავარძლებზეც უოლოსფერი ქსოვილი იყო გადაკრული, სპეტაკ თეთრ ჭერს ოქროვარაყი ჰქონდა შემოვლებული, ვერცხლის ჯაჭვებიდან ბროლის ცრემლების წვიმა მოდიოდა ცენტრში და წვრილ-წვრილი სანთლები ლიცლიცებდა. მოხუცი მისტერ და მისის ლინთონები იქ არ იმყოფებოდნენ, მხოლოდ ედგარი და მისი და იყვნენ. განა ბედნიერები არ უნდა ყოფილიყვნენ? ჩვენ ალბათ თავი სამოთხეში გვეგონებოდა! ახლა წარმოიდგინე, რას აკეთებდნენ ის შენი კარგი ბავშვები? იზაბელა, მგონია, რომ თერთმეტის უნდა იყოს, ქეთიზე ერთი წლით უმცროსი – ოთახის მოშორებულ კუთხეში იწვა და ისე გულისნამღებად წიოდა, თითქოს ალქაჯები წითელი გავარვარებული ნემსებით ჩხვლეტენო. ედგარი ბუხართან იდგა და სლუკუნებდა, მაგიდის შუაში კი პატარა ძაღლი იჯდა, თათებს იქნევდა და წკავწკავებდა, რომელიც, როგორც მათი ურთიერთსაყვედურებიდან გავიგეთ, კინაღამ შუაზე გაეგლიჯათ. იდიოტები! ამისთანა გასართობი რომ ექნებათ! იმაზე იჩხუბეს, თუ ვის უნდა დაეჭირა პირველს თბილი ბენვის გროვა, მერე კი იმდენი იკინკლავეს, რომ აღარც ერთს და აღარც მეორეს აღარ სურდა ხელში აღება. რა გულიანად დავცინეთ! აბუჩადაც ავიდგდეთ! როდის იყო, მეც იმას ვითხოვდი, რაც ქეთრინს სურს? ან როდის გინახავართ, რომ სლუკუნით, წკმუტუნით და დიდი ოთახის სხვადასხვა მხარეს იატაკზე გორაობით ვერთობოდეთ? ჩემს აქაურ მდგომარეობას არასდიდებით არ გავცვლიდი ედგარ ლინთონის მდგომარეობაზე «მოშიების კარმიდამოში» – თუნდაც ჯომეფის სახურავის თავხედან გადმოგდებისა და ჰინდლის სისხლით სახლის ფრონტონის შეღებვის უფლება მოეცათ!

– სუ! სუ! – გავანწყვეტინე გულგახეთქილმა, – ჯერ კიდევ არ გითქვამს, ჰითქლიფ, როგორ არის ქეთრინი?

– გითხარი, გავეცინა-მეთქი, – განაგრძო საუბარი, – ლინთონებმა ჩვენი ხმა გაიგონეს და უეცრად კართან გაჩნდნენ. ჯერ სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ყვირილი გაისმა: «ვაი, დედა! დედა! ვაი, მამა! მოდიოთ აქ!» – აყმუვლდნენ. ჩვენ კიდევ გარედან შევეუღრინეთ და საშინელი ხმები გამოვფიცით, რომ უარესად შეგვეშინებინა, მერე კი რაფიდან ჩამოვხტით, რადგან ვიდაცამ ურდული გასწია და მივხვდით, რომ გაქცევით უნდა გვეშველა თავისთვის. ის იყო, ქეთის ხელი ჩავავლე, რომ გამომეფცია, მაგრამ უცებ დაეცა. «გაიქეცი, ჰითქლიფ, გაიქეცი! – მიჩურჩულა, – ბუღლოგი აუშვეს და ის მიჭერს».

კოჭში ეშმაკი ჩაფრენოდა, ნელი: მისი საძაგელი ქმენა მესმოდა. ქეთის კი ერთიც არ უკვივლია! ხმასაც არ ამოიღებდა, ცოფიან ძროხასაც რომ წამოეგო გაცოფებულ რქებზე! სამაგიეროდ მე მოვრთე ღრიალი: დიდხანს ვინყევლე, რომ საქრისტიანოშო ყველა ავსული განადგურებულიყო; ქვას წამოვავლე ხელი, ძაღლს პირში ჩაეჩარე და ყელამდე ჩატენა ვცადე. უეცრად საზიზღარი მსახური გამოჩნდა ჭრაქით ხელში, თან გაჰყვიროდა: «მაგრად გეჭიროს, ნაბია, მაგრად!» მაგრამ ხმა შეეცვალა, როდესაც გაარჩია, რა ეჭირა ნაბიას. ძაღლი ყელით გაათრეის – უზარმაზარი ენა გადმოეგდო და პირიდან სისხლისფერი დუჟი სდიოდა. კაცმა ქეთი წამოაყენა, უკვე უგონოდ იყო. ოღონდ არა შიშით, დარწმუნებული ვარ, არამედ ტკივილისგან. შინ წაიყვანა; მე ბუზღუნითა და მუქარით გავყვივი, მე თქვენ გიჩვენებთ-მეთქი! «რა ნადავლია, რობერტ?» გამოსძახა შიგნიდან ლინთონმა. «ნაბიამ პატარა გოგონა დაიჭირა, სერ»,

– გაეპასუხა რობერტი, – აქ კიდევ ერთი ბავშვია, ბიჭი, – გაეპასუხა და ხელი ჩამავლო, – რომელიც გაქნილზე გაქნილი უნდა იყოს! ალბათ მძარცველებმა შემოგვიგდეს, რომ ღამით ფანჯრიდან გადმომძვრალოყენენ და ჩავგვიძინებოდა თუ არა, ჩუმიად გაელოთ მათთვის კარი. აი, მევე გენახათ, რა დღეს დაგვაცარიდნენ. ენა გააჩუმე, შე ქურდბაცავ, შენ! სახრჩობელა არ ავცდება ამისთვის! მისტერ ლინთონ, სერ, იარაღი არ დაუშვათ!» «არა, არა, რობერტ,» – უთხრა ბებერმა ყვეყჩმა. – «ყალთაბანდებმა გაიგეს, ეტყობა, რომ გუშინ მოიჯარეების დღე მქონდა. იფიქრეს, გამოვიჭერთო. შემოიყვანე. ურიგო შეხვედრას არ მოვუწყობ. აბა, ჯონ, ჯაჭვით ჩაკეტე! ჯინ, ნაბიას წყალი დაალევიანე. მომრიგებელ მოსამართლეს კვირაძალზე თავს ესხმიან მისსავე სახლში! სად გადის ნეტავ ზღვარი მათი უტიფრობისა? ოჰ, ჩემო ძვირფასო მერი, ნახე! არ შეგეშინდეს, გენაცვალე, პატარა ბიჭია, ოღონდ ღიმილზე ეტყობა, რა არამზადა იქნება; განა ქვეყნისათვის კეთილი საქმე არ იქნება, რომ მყისვე ჩამოვახრჩოთ, სანამ თავის ბუნებას არაოდენ სახით, არამედ საქმითაც გამოავლენდეს?» ამ კაცმა სასანთლესთან მიმყვანა, სადაც მისის ლინთონმა ცხვირზე სათვალე დაიკოსა და შიშით ხელები ასწია. ის მშობარა ბავშვებიც ახლოს აიტუზნენ, იზაბელა რაღაცას წინინებდა – «რა საშინელი ვინმეა! სარდაფში ჩაავდე, მამიკო. ზუსტად იმ მკითხავის ბიჭს ჰგავს, მომინაურებული ხოხობი რომ მომპარა. არა, ედგარ?»

სანამ მე მათვალეერებდნენ, ქეთი გონს მოვიდა; უკანასკნელი სიტყვები გაიგონა და გაიყინა. ედგარ ლინთონმა, თვალეების დაბრიალების შემდეგ, საკმარისი სიბრძნე მოიკრიბა საიმისოდ, რომ გავხსენებინა, ვის უყურებდა. ისინი ხომ ეკლესიაში გვხედავენ ხოლმე, სხვაგან თითქმის არსად ჩნდებიან.

– ეს ხომ მის ერნშოა?! – უჩურჩულა დედამისს, – ნახე, როგორ დაუკებინა ნაბიას, ფეხიდან სისხლი სდის!

– მის ერნშო? სისულელეა! – იყვირა ქალბატონმა, – მის ერნშო ვილაც ბოშასთან ერთად დაძრწის სოფლად? თუმცა კი გოგონას სამგლოვიაროდ აქვს საქმე, შეიძლება, მთელი სიცოცხლე კოჭლი დარჩეს!»

– რა დანაშაულებრივი უდარდელობაა მისი ძმისა, – აღმოხდა მისტერ ლინთონს და ქეთრინზე გადაიტანა მზერა, – შილდერებისგან ვიცი (ჩვენი მოძღვარი იყო, სერ), რომ ძმა ნამდვილ წარმართად ზრდის. მაგრამ ეს ვინლაა? ეს თანმხლები სად გამოძებნა? ოჰო! ეს მგონი, ის უცნაური მონაპოვარია, ჩემს ან გარდაცვლილ მეზობელს ლივერპულიდან რომ შემორჩა. გემიდან გაძევებული პატარა ინდოელი, ამერიკელი თუ ესპანელი.

– სულერთია, ვინ არის, საძაგელი ბიჭი კია, – შენიშნა ბებერმა ლედიმ, – და სრულიად შეუფერებელი წესიერი სახლისთვის! მის მეტყველებას ყური მიუგდე, ლინთონ? გული მისკდება, ჩვენმა ბავშვებმაც ხომ არ მოისმინეს მისი სიტყვები.

ისევე ლანძღვას მოვეყვი, ნუ გამობრავდები, ნელი, ამიტომ რობერტს უბრძანეს, გარეთ გამოვეგდე. ქეთის გარეშე ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი. მან კი მაინც გარეთ გამომართარია, ხელში ჭრაქი შემომაჩეჩა და დამარწმუნა, მისტერ ერნშოს შენი საქციელი მოხსენდებაო, თან ხელიც მკრა და კარი შეიხურა. ფარდები ერთ კუთხეში

იყო განუვლი და ისევ ჯაშუშად დადგომა განვიზრახე, რადგან ქეთრინი თუ დაბრუნებას მოინადინებდა და ისინი ძალით დააკავებდნენ, მათ სარკისებურ მინის ფანჯრებს სულ ნამსხვრევებად ვაქცევდი. ქეთი სოფაზე მშვიდად იჯდა. მისის ლინთონმა რუხი მოსასხამი შემოხსნა, რომელიც მერძევის ქოხიდან გამოვაცოლოვთ ხელს ჩვენი ექსკურსიისთვის. ქალი თავს აქნევდა და როგორც მომეჩვენა, რალაცამი არწმუნებდა, იყოლიებდა, თითქოს, შენ ახალგაზრდა ლედი ხარ და შენსა და მას შორის განსხვავება აშკარააო. მსახურმა ქალმა ტაშტით თბილი წყალი მოიტანა და ფეხი მოჰბანა. მისტერ ლინთონმა ერთი ჭიქა გლინტეინი მოუშმადა, იზაბელამ კი მთელი თეფში ორცხობილა ჩაუყალა კალთაში; ედგარი კი ამასობაში შორიასლოს იდგა და განცვიფრებული უყურებდა ამ სცენას. ამის შემდეგ გაუშრეს და დავარცხნეს ლამაზი თმა, უზარმაზარი ფლოსტებიც მიუტანეს და ბუხართან მიაჩოჩეს მისი სავარძელი. მეც შეძლებისდაგვარად გახალისებული დავტოვე, ნაბიასა და იმ ფენიასთან ერთად მიერთმევედა, თან ნაბიას ცხვირზე ჩქმეტდა ჭამისას. ლინთონების ცივ ცისფერ თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალს ანთებდა – თავისივე მომხიბლავი სახის ბუნდოვან ანარეკლს. მასპინძლები შტერული აღფრთოვანებით შესცქეროდნენ. რაოდენ განუზომლად აღემატება მათაც და ნებისმიერსაც მსოფლიოში, არა, ნელი?

– ეს საქმე ისე იოლად არ დასრულდება, შენ რომ გგონია, – ვუპასუხე და სანთელი ჩავაქრე, რომ არასასურველი თვალისგან დამეფარა, – გამოუსწორებელი ხარ, ჰითქლიფ, და ჰინდლისაც მეტი აღარაფერი დარჩება, გარდა უკიდურესი ზომების მიღებისა. აი, ნახავ, – ჩემი სიტყვები იმაზე უფრო მეტად გამართლდა, ვიდრე მენდა. ამ უიღბლო გასეირნებამ ერნშო გააცოფა. მეორე დღეს კი, უსიამოვნების ჩასაფარცხად, თავად მისტერ ლინთონმა გვიკადრა და სტუმრად მოსვლა ინება, ახალგაზრდა ბატონს გრძელი ლექცია წაუკითხა იმ გზასთან დაკავშირებით, რომლითაც ოჯახი მიჰყავდა, რამაც ჰინდლი აიძულა, უფრო მკაცრად მოევიდა ხელი ბიჭისთვის. ჰითქლიფი გამართახებას კი ვადაურჩა, მაგრამ სასტიკი გაფრთხილება მიიღო, თუკი მის ქეთრინს კიდევ ვასცემ ხმას, სახლიდან გავადებთო; მისის ერნშომ ითავა, როდესაც ჩემი მული შინ დაბრუნდება, ჰითქლიფისგან მისი ჩამოცილება ჩემზე იყოსო, ოღონდ, საქმეში არა ძალა, არამედ ეშმაკობა ჩართო; აბა, ძალით რას გახდებოდა!

თავი 7

ქეთი «მოშიებში» ხუთ კვირას დარჩა – შობამდე. ამ დროისთვის კოჭიც მოურჩა, მანერები კი საგრძობლად დაეხვეწა. მისის ერნშო რამდენჯერმე ესტუმრა ქეთის და თავისი გეგმა, ხელახლა აღეზარდა გოგონა, აამუშავა: მასში თავმოყვარეობის ვალვიძება სცადა დახვეწილი სამოსისა და ქათინაურების მეშვეობით, რისთვისაც ქეთიმ დიდი მზადყოფნა გამოავლინა. ამდენად, ერთი უბრალო თმაგანწილი ქაჯანას მაგივრად, რომელიც ოთახშიც კი ხტუნვა-ხტუნვით შევარდებოდა ხოლმე და ლამის გაგუდავდა ადამიანს ხვევნა-კოცნით, შავი კოხტა პონით კარს სოლიდური გარეგნობის

ქალიშვილი მოადგა, ბუმბულიანი ქედიდან მხრებზე წაბლისფერი დალალები რომ გადმოეღვარა და იმდენად გრძელი ამაზონი ეცვა, რომ როდესაც ჰინდლიმ ხელი შეაშველა ცხენიდან ჩამოსვლაში, ჰარმადზე ასვლისას ორივე ხელით მოუწია კალთების აწევა. ძმამ გაოცებულმა შესძახა:

– ვაა, ქეთი, როგორ ვალამაზებულხარ! ძლივს გიცანი: ნამდვილი ლედივით გამოიყურები. იზაბელა ლინთონი ვერ შეედრება, ხომ, ფრენსიზ?

– იზაბელას ამისთანა ბუნებრივი მონაცემები არ აქვს, – მიუგო მეუღლემ, – თუმცა ქეთიმ მანერები უნდა აკონტროლოს, რომ ისევ არ წავიდეს ხელიდან. ელენ, მიეხმარეთ მის ქეთრინს გახდაში. მოიცა, ძვირფასო, ვარცხნილობა დაგეშლება... მოდი, მე გაგისხნი ქედს.

ამაზონი ვაგხადე და ყველამ ვიხილეთ მისი მშვენიერი, აბრეშუმის ფარფარა კაბა, თეთრი საწმერთული და ლაკის ფეხსაცმელი. მართალია, თვალები სიხარულით უბრწყინავდა, მაგრამ როდესაც ძაღლებმა მოიბრინეს და პატრონისთვის მისალმების ნიშნად კუდის ქიცინი დაიწყეს, ძლივს გაბედა მათი შეხება, თათებით მშვენიერი სამოსი არ დამისვარონო. ფრთხილად მაკოცა: ცომს ვზღვლი საშობაო ღვეზელებისთვის და სულ ფქვილში ვიყავი ამოგანგლული, ამიტომაც ვერ მომეხვეოდა; მერე თვალი მოავლო გარემოს, ეტყობა, ჰითქლიფს ეძებდა. მისტერ და მისის ერნშომ თვალი არ მოაცილეს მათი შეხვედრის სცენას, ცდილობდნენ, გაერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა ორი მეგობრის დამორება.

ჰითქლიფის მოძებნა იოლი არ აღმოჩნდა. თუკი მანამდე, სანამ ქეთრინი თავის სახლში ცხოვრობდა, ბიჭი სულ მოუვლელი და დაუბანელი დაეხეტებოდა, ახლა ათჯერ უარესად გამოიყურებოდა. ჩემ გარდა არავის იმდენი სიკეთის გამოჩენაც კი არ შეეძლო, რომ კვირაში ერთხელ დაეძახათ, მოდი, ფეთხუმო ბიჭო, და პირი მაინც დაიბანეო; მისი ასაკი ბავშვებს დამოუკიდებლად წყალთან და საპონთან მეგობრობა იშვიათად უყვართ. ასე რომ, არა მარტო ის ტანსაცმელი, სამი თვე ჭაობსა და მტვერში მუშაობისას რომ ემსახურა, არამედ ხშირი, დაუბანელი თმაც, სახეცა და ხელებიც სულ გათხუპნილი ჰქონდა. ალბათ ამიტომაც მიიმალა სკამის საზურგის უკან, როდესაც დაინახა, რომ სახლში მისნაირი ფეთხუმი ახტაჯანა კი არა, დახვეწილი, სუფთა და ელეგანტური გოგონა შემოვიდა.

– ჰითქლიფი შინ არ არის? – იკითხა ქეთიმ და ხელთათმანი წაიძრო – რაკი სტუმრად ყოფნისას არაფერს აკეთებდა და მეტწილად შინ იყო, თითები საგრძნობლად გასთეთრებოდა.

– ჰითქლიფ, შეგიძლია, მოხვიდე, – გასძახა ჰინდლიმ. გულში უხაროდა, ბიჭი რომ საძაგელი ყაჩაღის იერთ უნდა გამოჩენილიყო. ფიქრობდა, თვითონვე მოერიდებო, – გამოდი და მისის ქეთრინს ჩამოსვლა მიულოცე, როგორც სხვა მსახურებმა.

ქეთიმ მიმაღულ მეგობარს რომ ჰკიდა თვალი, მაშინვე გაქანდა და გულიანად მოეხვია, შვიდ-რვაჯერ აკოცა ლოყაზე, მერე შეჩერდა, უკან დაიხია და გულიანად გადაიკისკისა:

– როგორი მოღუშული და გაბუსხული ხარ! – შესძახა მხიარულად, – და როგორი... როგორი სასაცილო და მკაცრი სახე გაქვს! ალბათ იმიტომ მეჩვენება ეგრე, რომ იზაბელასა და ედგარს მივეჩვიე. რა იყო, ჰითქლიფ, ხომ არ დაგავინწყდი?

შეკითხვის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა ქეთის: ჰითქლიფს სიმაყისა და სირცხვილისგან შავბნელი იერი დასდებოდა და განძრევას ვერ ახერხებდა.

– ხელი მაინც ჩამოართვი, ჰითქლიფ, – შემწყნარებლურად მიმართა მისტერ ერნშომ, – ასეთ შემთხვევაში არ გეკრძალება.

– არ ჩამოვართმევ, – უპასუხა ბიჭმა და როგორც იქნა, ენა ამოიდგა, – და არც აქ ვიდგები, რომ დამცინონ. ამას არ მოვითმენ!

ის იყო, ჩვენი წრე უნდა გაერღვია და გაქცეულიყო, რომ ქეთიმ ისევ სტაცა ხელი.

– სულაც არ მიფიქრია შენი დაცინვა, – უთხრა ბიჭს, – უნებლიეთ მომივიდა, თავი ვერ შევიკავე, ჰითქლიფ. ხელი მაინც მომიჭირე! რატომ იბუტები? უბრალოდ, უცნაურად გამოიყურები. თუ პირს დაიბან და თმასაც დაივარცხნი, ყველაფერი კარგად გეყნება, თორემ ძალიან ჭუჭყიანი ხარ!

ქეთიმ შემფოთებულმა დახედა გაშავებულ თითებზე, მერე მზერა თავის კაბაზე გადაიტანა; ეშინოდა, ვაითუ კაბა გავიფუჭე მის ტანსაცმელთან შეხებითო.

– არ უნდა მომკარებოდი! – ბიჭმა მისი მზერა დაიჭირა და ხელი გამოსტაცა ხელიდან, – როგორი დაუბანელიც მინდა, ისეთი დაუბანელი ვივლი. მომწონს, ჭუჭყიანი რომ ვარ და ვიქნები კიდევ.

ეს რომ მიახალა, თავი დაადო და ოთახიდან გავარდა და უკან მოიტოვა ბატონისა და ქალბატონის მხიარული სიცხილი და დამწუხრებელი ქეთის გულნატკენი მზერა, რომელსაც ვერაფრით გავეგო, ასე რატომ გააბოროტა მისმა შენიშვნამ ჰითქლიფი.

ახალმოსულის წინაშე სეფექალის როლის შესრულების შემდეგ ღვეფლები ღუმელში მოვათავსე, სამზარეულოსა და მთელ სახლში მხიარული კოცონი გავაჩაღე, როგორც შობის წინალამეს შეეფერება და მოვემზადე, რომ მარტოდმარტო დაემჯდარიყავი და ჰიმნების გალობით შემეცცია თავი, მიუხედავად ჯოზეფის ჯუჯღუნისა, – მეტისმეტად მხიარულ მოტივებს ირჩევ, რომლებიც ბალ-მასკარადებზე ისმისო. თავის ოთახში ამჯობინა გასვლა სალოცავად, მისტერ და მისის ერნშოები კი მის ქეთის იმ საჩუქრებს უჩვენებდნენ, ჰატარა ლინთონებისთვის რომ შეეძინათ – მათი სიკეთის დაფასების ნიშნად. იზაბელა და ედგარი «ქარიშხლიან უღელტეხილში» მეორე დღისთვის იყვნენ მონვეულნი. მონვევა ერთი პირობით იქნა მიღებული: მისის

ლინთონი ითხოვდა, რომ მისი ბავშვებისთვის ის «უნესკო ენაბილნი ბიჭი» არ მიეკარებინათ.

მოკლედ, მართლდმართო დავრჩი. ლუმელში შედგმული ცომის სურნელით, სამზარეულოს კრიალა ჭურჭლეულითა და კედელზე დაკიდებული პრიალა საათით ვტკებოდი, სინზე ჩამწკრივებული ვერცხლის ტოლჩები მზად იყვნენ, სავახშმოდ ლუდით რომ გაევისოთ; ყველაზე მეტად გულს სუფთა იატაკი ახარებდა, რომელიც გულმოდგინედ მქონდა მოგვილ-მორეცხილი. შინაგანი მონონების შემდეგ ცხონებული მისტერ ერნშო გამახსენდა, რომელიც შემოვიდოდა ხოლმე სამზარეულოში, რომ ნახავდა, ყველაფერი სისუფთავით ბზინავდა, ყოჩად, კარგი გოგო ხარო, მეტყოდა ხოლმე და ხელში შილიგს ჩამიდებდა საშობაო საჩუქრად. ჩემი ფიქრი ახლა იმაზე გადაერთო, როგორ უყვარდა დიდ ბატონს ჰითქლიფი და როგორ ღელავდა, როცა აღარ ვიქნები, ჩემს ნებიერაზე ვინდა იზურნებო, რამაც საცოდავი ბიჭის იმჟამინდელი მდგომარეობა გამახსენა და სიმღერის დანწყების მაგივრად, ტირილი დავიწყე. უეცრად ერთი აზრი მომივიდა, იქნებ მისტერ ერნშოს მიერ აღნიშნული უსამართლობა ნაწილობრივ მაინც გამოვასწორო-მეთქი, ცრემლის ღერის მაგივრად. ავდექი და ეზოში გავედი მის მოსაძებნად. შორს წასვლა არ მომიწია, ჰითქლიფს თავლაში მივაგენი, სადაც ბიჭი ახალ პონის პრიალა ზურგზე ეფერებოდა და თავის ჩვეულ სამუშაოს ასრულებდა – ცხენებს საკვებს ურიგებდა.

– სწრაფად ქენი, ჰითქლიფ! – მივმართე მე, – სამზარეულოში სიმყუდროვეა; ჯობეფი თავის ოთახშია გასული. დროზე მორჩი, – მის ქეთის მოსვლამდე მოვასწრებ, რომ გამოვიცვალო, რათა გვერდიგვერდ დასხდეთ და გემრიელად გათბეთ ბუხართან და თუ გინდ დაძინებამდე იჭუკჭუკოთ.

თავისი საქმე ისე განაგრძო, რომ არ შემობრუნებულა.

– ჰე, გაინძერი! წამოხვალ, თუ არა? – არ მოვეპვი, – ყველა თქვენგანისთვის თითო ღვეზელი მაქვს, სადაცაა, გამოცხვება, შენს ჩაცმამზე კი ნახევარი საათი მაინც წავა.

მთელი ხუთი ნუთი ვუცადე და ისე გამოვბრუნდი, რომ ჰასუხი არ მიმიღია. ქეთრინი ძმასა და რძალთან ერთად მიუჭდა სუფრას. ჯობეფმა და მე კი ერთმანეთს გავუწიეთ არკათუ მხიარული მენახეობა, იმის საყვედურებით, მეორე მხრივ უტიფრობით გაჯერებული. ჰითქლიფის ღვეზელი და ყველი მთელ ღამეს ხელუხლებლად ეწყო მაგიდაზე – ელფების წილი. ჰითქლიფმა ცხრამდე არ დაასრულა საქმე, ცხრისთვის კი, უხმოდ და წარბშეკრულმა ჩაიარა და თავის ოთახში ავიდა. ქეთი კი გვიანობამდე შემორჩა, ახალი მეგობრების მიღებამდე ათასი განკარგულება ჰქონდა გასაცემი. სამზარეულოშიც შემოირბინა ერთხელ, ძველ მეგობარს რომ დალაპარაკებოდა, მაგრამ რომ არ დაუხვდა, იკითხა, რა სჭირსო და მყისვე გაბრუნდა უკან. მეორე დღით ბიჭი აღრიანად ადგა; რაკი დღესასწაული იყო, თავისი უგუნებობით ჭაობებს მისცა თავი და მანამდე არ დაბრუნებულა შინ, სანამ სახლეული ეკლესიაში არ წავიდა. მარხვამ და ფიქრმა მასზე დადებითად იმოქმედა. ერთხანს ჩემ წინ იტრიალა, მერე გამბედაობა მოიკრიბა და უცებ გამომიცხადა:

– ნელი, ადამიანს დამამსგავე, რა, კარგად მინდა მოვიქცე.

– აქამდე სად იყავი, ჰითელი? იცი, მის ქეთრინს როგორ ატკინე გული? არ დაგემალა და ნანობს კიდევ, შინ რომ დაბრუნდა! მე მგონი, გპურს მისი, რადგან მასზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე შენზე.

ქეთიზე ეჭვიანობა მისთვის გაუგებარი იყო, მაგრამ რაკი ვუთხარი, გულნატკენი-მეთქი, ამან მასზე იმოქმედა.

– თვითონ გითხრა, გული მატკინაო? – მკითხა და მზერა მოედრებულა.

– ამ დილას რომ მოვახსენე შენზე, ისევ წავიდა-მეთქი, ატირდა.

– მე კი წუხელ ვტიროდი, – დამიბრუნა პასუხით, – ტირილის მიზეზი კი მასზე მეტი მქონდა.

– ჰო, უჭმელ-უსმელი და სიამაყით სახსე გულით დანაღობის მიზეზიც გეყენებოდა, – ნიშნისმოგებით ვუთხარი, – ამაყი ხალხი თავის ვარამს თვითონვე კვებას. მაგრამ თუკი სირცხვილი განუხებს შენი ბუტილობის გამო, ქეთის პატიება უნდა სთხოვო, როდესაც დაბრუნდება. მალლა ახვალ და სთხოვ, რომ კოცნის ნება დაგრთოს და ეტყვი... თავადაც იცი, რაც უნდა უთხრა. ოღონდ გულწრფელად უთხარი და არა ისე, თითქოს მისი ახალი ტანსაცმლის გამო გვეგონოს, რომ სხვა გოგოდ იქცა. ახლა კი, მართალია, სადილი მაქვს მოსამზადებელი, ერთ საათს მოვიპარავ და ისე გამოვანყობ, რომ ედგარ ლინთონი შენ გვერდით ტკინას დაემსგავსოს. ისედაც ტკინა! მართალია, შენზე უფროსია, მაგრამ სანაძღვოს ჩამოვალ, შენ უფრო მაღალი ხარ და უფრო მხარბეჭიანიც. ერთი ნკიპურტი რომ უთავაზო, ფეხზეც ვეღარ დადგება! ხომ იცი, მასზე ძლიერი ხარ!

ჰითელიც სახე გაუნათდა, მაგრამ წამიერად, მერე ისევ წარბი შეიჭმუნა და ამოიოხრა.

– ეჰ, ნელი, ოცჯერაც რომ მოვახერხო მისი ძირს დაბრეხება, ამით მე ვერ გავლამაზდები და ის ვერ დამახინჯდება. ვისურვებდი, მეც მასავით ქერა თმა და თეთრი კანი მქონოდა, მასავით ჩაცმული ვყოფილიყავი და თავის დაჭერაც მისნაირად მცოდნოდა. ნეტაც მეც ისეთივე სიმდიდრე მელოდოს, როგორიც მას.

– და ნებისმიერ რამეზე დედიკოს ეძახდე, არა? – ჩავერთე, – კანკალებდე, როცა სოფლის ბიჭი მუშტს მოგიღერებს, ან მთელი დღე შინიდან ფეხი არ გაადგა წვიმის გამო. ოჰ, ჰითელიც, ასეთი სულმდაბლობა როგორ იქნება! მოდი სარკესთან და გიჩვენებ, რა უნდა ინატრო. შეგიმჩნევია ის ორი ხაზი შენს თვალებს შორის? ან ეს ორი სქელი წარბი, რომლებიც იმის მაგივრად, რომ აიტყროცნოს, ცხვირთან არის შეყრილი. ან ეს ორი შავი ეშმაკუნა, ღრმად რომ გაქვს ჩასმული? ისინი ხომ სარკმელს არასდროს აღებენ და მხოლოდ ძირს არიან დახრილნი, რომ ეშმაკის ჯაშუშებით შეპარვით უქქრონ ადამიანს. ისურვე და ისწავლე მაგ შეჭმუნებელი შუბლის გახსნა, ქუთუთოები მუდამ აწეული გქონდეს, ეგ ორი ეშმაკუნა კი უბინო ანგელოზებად აქციე და ეცადე, მოყვარე დაინახო იქ, სადაც არ ხარ დარწმუნებული, რომ მტერი გიდგას

წინ. იმ გომბიასავით ნუ მოიქცევი, რომელმაც იცის, რომ დამსახურებით იღებს წიხლს და მერე სამყაროს ნუ გადაემტერები იმ ერთის გამო, რომელიც წიხლს გთავაზობს.

– ანუ ედგარ ლინთონის ლურჯი თვალები და გლუვი შუბლი უნდა ვინატრო, – მიპასუხა ჰითქლიფმა, – ვნატრობ კიდევ, მაგრამ ჩემს სახეზე არაფერი იცვლება.

– გული რომ გაიკეთილმოხილო, სახეც გაგილამამდება, ჩემო ბიჭუნავ, – განვავრძე დარიგება, – თუნდ ზანგივით შავი იყო. ბოროტი გულის პატრონს კი ულამაზესი სახეც დაუმახინჯდება. ახლა კი, როდესაც პირიც დავიბანეთ, თმაც დავივარცხნეთ და აღარ ვიბუტებით, განა უფრო ლამაზად არ გეჩვენება თავი? მე მეჩვენები. გადაცმულ პრინცს ჰგავხარ. ვინ იცის, იქნებ მამაშენი ჩინეთის იმპერატორი იყო, დედაშენი კი ინდოეთის დედოფალი და თითოეულ მათგანს ოდენ ერთი კვირის შემოსავლით შეეძლო «ქარიშხლიანი უღელტეხილისა» და «შოშიების საბუდრის» ყიდვა? შენ კი იქნებ მეკობრეების მოტაცებული ხარ და ინგლისში გასაყიდად ჩამოყვანილი. მე, შენს ადგილას, ჩემს წარმოშობაზე უფრო მაღალი წარმოდგენა მექნებოდა, ეს კი გამბედაობასაც შემეძნდა და ღირსებასაც, რაც ვიღაც უბადრუკი ფერმერის ზენოლის ატანაში დამეხმარებოდა!

ასე ვეჭორავებოდი და ჰითქლიფმაც ნელ-ნელა გახსნა წარბი და სასიამოვნო იერი მიიღო, თუმცა კი საუბარი უეცრად ქუჩიდან დანყებულმა და ეზოში შემოღწეულმა ხრჭიალ-გრუხუნმა შეგვანყვეტინა. ის თანჯარას მივარდა, მე კარისკენ გავიქეცი და სწორედ ამ დროს დავინახეთ, როგორ ჩამოდიოდნენ საოჯახო ეტლიდან ლინთონები. მისტერ ერნო ცხენზე ამხედრებულიყო. იმხანად ზამთრობით ცხენით დადიოდნენ ხოლმე ეკლესიაში. ქეთრინმა ორივე სტუმარს ჩასტიდა ხელი, მისაღებ ოთახში შეიყვანა და ბუხართან მიუჩინა ადგილი. ფერმკრთალი ლოყები შეფთავალათ სტუმრებს.

ჰითქლიფს ვუთხარი, აბა, შენ იცი, არ დაიჯანო და გულკეთილობა გამოავლინე-მეთქი, რაზეც სიამოვნებით დამეთანხმა. მაგრამ უიღბლობამ ისურვა ალბათ – როდესაც ბიჭმა სამზარეულოს კარი გააღო, მეორე მხარეს ჰინდლი დაუხვდა. ასე შეეჩხენნენ ერთმანეთს. ალბათ იმის გამო ვალიზიანდა ბატონი, რომ დაბანნილ-დავარცხნილი დაინახა ბიჭი, თუ მისის ლინთონისთვის მიცემულმა პირობამ აიძულა, მოულოდნელი ხელისკვრით უკან შემოავდო სამზარეულოში და გაბრაზებით შეუღრინა ჯოზეფს;

– ეს ბიჭი ოთახს არ გააკარო, სხვენში აუშვი, სანამ სადილი დასრულდებოდე. მათთან რომ ერთი ნუთით უმეთვალყურეოდ დავტოვო, კრემიან ნამცხვარში თითებს ჩაყოფს ან ხილს მოიპარავს.

– არა, სერ, – შევბედე ბატონს, – ხელსაც არაფერს ახლებს. თანაც ნუგბარის თავისი წილი მანაც ხომ უნდა მიიღოს, როგორც ყველა ჩვენგანმა.

– თავის წილს ჩემი ხელიდან მიიღებს, თუკი დაღამებამდე ჩამოსვლა გაუბედა! – მიყვირა ჰინდლიმ, – გასწი, შე მანანწალავ! რაო? გამონკეპილხარ კიდევ? დაიცა, გწვდები მაგ კულულებში და მერე ვნახოთ, თმა რომ დაგიგრძელდება!

– ისედაც გრძელი თმა აქვს, – ჩაურთო მისტერ ლინთონმა კარსიქიდან; – მიკვირს, თავი როგორ არ სტკივდება ამხელა თმით. კვიცის ფაფარავით ეჩჩება თვალებში!

ეს შენიშვნა შეურაცხყოფის მიყენების მიზნით არ გამოუთქვამს, მაგრამ ჰითქლიფის ძალადობის მოყვარული ბუნება არ იყო მზად, უპატივცემულობა მოეთმინა იმ ადამიანისგან, რომელიც უკვე საძულველ მტრად მიაჩნდა. ვაშლის საწებლიან თასს (რაც კი პირველი მოხვდა თვალში) წამოავლო ხელი და არამკითხე მოამბეს პირდაპირ სახეში გაუქანა. მან ერთი ვაი-ვიში ატეხა, რაზეც იზაბელამ და ქეთრინმა უცებვე მოირბინეს. მისტერ ერნშომ მისივე ხელი სტაცა დამნაშავეს და თავისი ოთახისკენ წაათრია, სადაც, უეჭველია, რომ ბიჭის დამშვიდება ძალით მოინდომა, რადგან სხვნიდან რომ ჩამოვიდა, სახე გასწითლებოდა და ქოშინებდა. ჭურჭლის ტილო ავიდე და გაღიზიანებულმა უხეშად ჩამოვწმინდე ცხვირ-პირი, თან დავაშუნათე, ახია შენზე-მეთქი. იზაბელა ატირდა, შინ წამიყვანეთო; ქეთი კი შემცბარი იდგა და მათ მაგივრად წითლდებოდა.

– ხმა არ უნდა გაგეცათ! – უსაცველურა მისტერ ლინთონს, – ისედაც უგუნებოდ იყო, ასე თქვენი ვიზიტაც წახდინეთ და მასაც განკვეპლა ელის. ვერ ვიტან, როცა სცემენ! ვერც პირს დავაკარებ ვერაფერს. საერთოდ, რას ელაპარაკებოდით, ედვარ?

– არაფერი მითქვამს, – ასლუკუნდა ყმანვილი, ხელიდან გამისხლტა, ჯიბიდან ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო და წვნიანის შხეფების მოწმენდა განაგრძო, – დედას დავპირდი, სიტყვასაც არ ვეტყვი-მეთქი და შევასრულე დაპირება.

– კარგი, ნულარ იტირებთ, – ავდებით უთხრა ქეთრინმა, – ხომ არ მომკვდარხართ. მეტ შეცდომასაც ნულარ დაუშვებთ; ჩემი ძმა მოდის, ჩუმაღ! სუ, იზაბელა! თქვენ ვიღამ რა დავიშავათ?

– აბა, ბავშვებო, ადგილებს დაუბრუნდით! – გამოსძახა ჰინდლიმ და შემოვარდა, – საძაველი ბიჭი! ყურები ამახვიენა, აწი, ედვარ, სამართალი თქვენივე მუშტით აღასრულეთ – მადა აღგეძვრებათ!

სუფრის სურნელმა თავისი გაიტანა და ყველას გუნება გამოუკეთდა. ნამგზავრებს მოშიებოდათ და რაკი სერიოზული არაფერი შემთხვევით, მალე მოიხასიათეს. მისტერ ერნშომ დიდ მათლაფებზე ბლომად დაჭრა ხორცი, მისმა მეუღლემ კი სასიამოვნო საუბრით შეიქცია სტუმრები. მე დიასახლისის სკამის უკან ვიდექი დავალების მოლოდინში და გულისტკივილით ვადევნებდი ქეთის თვალს, რომელიც მზერაჩამქრალი უხალისოდ ჭრიდა თეთვზე გადაღებულ ბატის ფრთას. უგრძნობი გოგოა, – გავიფიქრე ჩემთვის, როგორ იოლად პატიობს ძველი მეგობრის წყენინებას-მეთქი. რას ვიფიქრებდი, თუ ასეთი თავკერძა იქნებოდა. საჭმელი პირთან მიიტანა, მერე ისევ თეთვზე დააბრუნა. ლოყები გაუწითლდა და ცრემლები წამოსცვივდა. ჩანგალი იატაკზე დაუვარდა და სასწრაფოდ სუფრის ქვეშ ჩაძვრა, მოჭარბებული გრძნობის დასამალავად. უგრძნობს ვეღარ ვუნოდებდი. მივხვდი, რომ მთელი დღე ჯოჯოხეთში იყო და ცდილობდა, ან მარტო დარჩენილიყო, ან ჰითქლიფის სანახავად

გამოენახა როგორმე დრო, რომელიც მისტერ ჰინდლის, როგორც დავრწმუნდი, ჩაეკეტა, რადგან საჭმელი რომ აუტანე, კარი გასაღებით დამიხვდა დაკეტილი.

სალამოს ცეკვა გავმართეთ. ქეთი იხვეწებოდა, ახლა მანაც გაათავისუფლეთო, რადგან იზაბელა ლინთონს პარტნიორი არ ჰყავდა: მისი ვედრება ამაო გამოდგა, ამიტომ მე მთხოვეს ამფოსონობა. ტრიალ-ბზრიალით გახურებულებს სევდა სულ გადაგვცვლდა გულიდან, ჩვენი სიამოვნება კი ცამდე გაიზარდა, როდესაც გიმერთონის ორკესტრი გამოჩნდა – თხუთმეტი ინსტრუმენტი ჰქონდათ – ბუკი, თრომბონი, კლარნეტი, ფაგოტი, ფრანგული ნალარა და ვიოლონჩელი და რალა თქმა უნდა, მომღერლებიც ახლდნენ. ისინი ყველა ღირსეულ სახლში დადიან ალილოზზე და შემოწირულობებს აგროვებენ, ამიტომ ჩვენთან მათი ვიზიტი სტუმრებისთვის უპირველეს პატივისცემად მივიჩნიეთ. ჩვეულებრივი საშობაო ჰიმნების შესრულების შემდეგ, უფრო მხიარული მელოდიები და სიმღერები შევასრულებინეთ. მისტერ ერნსო მუსიკის დიდი მოყვარული გახლდათ და მუსიკოსებმაც გულნაკლულად არ დატოვეს.

მუსიკა ქეთრინსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ უეცრად განაცხადა, უფრო ტკბილად კიბის თავში ისმისო და სიბნელეს მიაშურა. მეც გავყვივი. მათ ქვედა ოთახის კარი ისე დახურეს, რომ ჩვენი არყოფნა არც შეუმჩნევიათ. ისედაც ბლომად იყო ხალხი. კიბის თავში, ცხადია, არ დამდგარა, უფრო მალლა, სხვენისკენ განავრძო გზა, სადაც ჩაკეტილი ჰითქლიფი ეგულებოდა და შეეხმინა. ბიჭი ერთხანს ჯიუტად არ პასუხობდა. ქეთის შეუპოვარმა ხასიათმა გაჭრა და კარს მიღმიდან ბიჭი გამოეპასუხა. ვიფიქრე, ხელი არ შევუშალო-მეთქი და გავცვალე. იქამდე არ გავკარებოვარ, სანამ არ ვიგრძენი, რომ სიმღერა მთავრდებოდა, მომღერლებსაც ხომ უნდოდათ ამოსუნთქვა და ლუკმის გატეხა. ამის შემდეგ უკანვე ავედი კიბეზე, რომ გამეფრთხილებინა. იმის მაგივრად, რომ კართან დამხვედროდა, მისი ხმა შიგნიდან მომესმა. პატარა მაიმუნი თურმე ერთ-ერთი სხვენის ჭერის სარკმელში ამძვრალა და მეორე სხვენის იმგვარივე სარკმლით ჩამძვრალა მეგობართან. მისი უკან გამოტყუება ერთ სიცოცხლედ დამიჭდა. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დავიყოლიე, მას ჰითლიფიც მოჰყვა კულში; ქეთიმ დამიჩემა, მოკიდე ხელი და სამზარეულოში ჩაიყვანეო. მით უმეტეს, ჯობფი მეზობელთან იყო გადასული, რომ «ემმას სადიდებელს» გარიდებოდა – ასე უწოდებდა ხოლმე მუსიკას. ჯერ კი ვუთხარი, თქვენს ოინებში ჩემი იმედი ნუ გექნებათ-მეთქი, მაგრამ რაკი ჩვენს ტყვეს გუმინდელს აქეთ პირში ხემსი არ ჩასვლოდა, ვიფიქრე, მისტერ ჰინდლის ერთხელ გაცურება დიდი დანაშაული არ იქნება-მეთქი. სამზარეულოში ჩამოვიყვანე, ცეცხლთან სკამი დავუდგი და უამრავი პირის ჩასატკბარუნებელი რამ შევთავაზე: მაგრამ ცუდად გრძობდა თავს და ცოტა წაკივნა, გამხიარულების მცდელობამაც ამაოდ ჩამიარა. მუხლებზე იდაყვები დაინაბრა, ხელისგულებში ნიკაპი ჩამალა და უტყვ მედიტაციას მიეცა. ასე რას ჩაფიქრებისარ-მეთქი, ვკითხე. თამამად მომიგო:

– იმაზეფიქრობ, როგორ გადაუხადო ჰინდლის სამაგიერო. არ მანაღვლებს, რამდენ ხანს მომიწევს ლოდინი, მთავარია, საბოლოოდ სანადელს მივალწიო. იმედი მაქვს, მანამდე არ მოკვდება!

– გრცხვენოდეს, ჰითქლიფ! – გავუნყრი მე, – ავკაცების დასჯა უფლის ნებაა, ჩვენ კი მიტეება უნდა შეგვეძლოს.

– არა, უფალს მისი დასჯა ისე არ ესიაზონება, როგორც მე, – დამიბრუნა პასუხი, – ოღონდ ის მაცოდინა, როგორ მივაგო მისაგები! ხელი არ შემიშალო და რამეს მოვთხოქრებ; როდესაც ამაზე ვფოქრობ, ტკივილს ვეღარ ვგრძნობ.

ეჰ, მისტერ ლოქუდ, ეს ამბები ალბათ სულ არ გაინტერესებთ. ვერ ვხვდები, ასეთ ამბებს რა მაცოდებს. ისედაც გაცვივებული ხართ, თან უკვე თვლემაც მოგერიათ! რაც თქვენ განტერესებთ, ჰითქლიფის ამბავს, მოკლედაც მოყვებოდა ადამიანი.

ამ სიტყვებზე მწე ადგა და საკერავის ჩალაგება დაიწყო, მე კი ბუხართან ისე მყუდროდ ვიჯექი, წამოდგომაც არ შემეძლო, არადა, ძილით სულაც არ მეძინებოდა.

– არა, მისის დინ, – ვუთხარი, – ერთი ნახევარი საათი მაინც ბრძანდებოდეთ. სწორად მოიქეცით, რომ ამხელა ამბის მოყოლისას არ აჩქარდით. ასე მირჩევენია; ჯობია, აუჩქარებლადვე დაამთავროთ. თქვენ მიერ ნახსენები ყველა პიროვნება მაინტერესებს მეტ-ნაკლებად.

– საათი სადაცაა, თერთმეტს ჩამოკრავს, სერ.

– მერე და რა, შუალამემდე მაინც არ ვარ დაწოლას ჩვეული. ღამის პირველი ან ორი საათი ძალიან გვიანი არ არის ისეთი ადამიანისთვის, ვინც დილის ათამდე არ დგება.

– ათამდე არ უნდა იწვეთ. ასე ხომ დილის საუკეთესო საათები გეკარგებათ. ვინც დილის ათამდე ნახევარი საქმის გაკეთებას ვერ ასწრებს, ვერც მეორე ნახევარს მოაბამს თავსო, ნათქვამია.

– მიუხედავად ამისა, მისის დინ, დაბრძანდით, გთხოვთ. რამეთუ ხვალ შუადღემდე თვალის გახელას არ ვაპირებ. ჩემი ვარაუდით, მძიმედ უნდა ვიყო გაცვივებული.

– იმედი მაქვს, ცდებით, სერ. მაშინ, თქვენივე ნებართვით, სამილდე წლიწანდს გამოვტოვებ. იმ დროისთვის მისის ერწმო...

– არა, არა, მსგავსი ვერაფრის ნებას ვერ დავტრავთ! ისეთი მომენტი თუ გქონიათ, როდესაც სავარძელში ზიხართ, თქვენ წინ ხალიჩაზე კი დედაკატა კნუტებს ეფერება და ლოკავს. ჰოდა, ვთქვათ, კატამ ერთი ყური დაუტოვა თავის ნაშიერს აულოკავი და თქვენ ამაზე სერიოზულად ბრაზდებით?

– მე ვიტყვოდი, ეს დროის უქმად ხარჯვაა.

– პირიქით, დამღლეელი შრომაა. ამწუთას ზუსტად ასეთ მდგომარეობაში ვარ. ამიტომაც, იქნებ განაგრძოთ. როგორც ვატყობ, ამ მხარეში ხალხს ისეთივე უპირატესობა აქვს ქალაქელებთან შედარებით, როგორც დილეგის ობობას კოტეჯის ობობასთან, ცხადია, კოტეჯის პატრონებისთვის. მაგრამ ეს მაინც დამკვირვებელზეა

დამოკიდებული. ხალხი აქ უფრო თავიანთი შინაგანი სამყაროთი ცხოვრობს, უფრო მეტად ეკუთვნის თავის თავს, ნაკლებ ზედაპირულია, ნაკლებ ცვალებადი, ნაკლებად არის გარეგან არასერიოზულ ფაქტორებზე დამოკიდებული. უკვე წარმომიდგენია, რომ აქაური ცხოვრებაჲ კი შეიძლება უყვარდეს ადამიანს; ჯერ კიდევ შარშან ამის დაჯერება გამიჭირდებოდა. ერთი მხრივ, ეს იმას ჰგავს, რომ მშვიერ კაცს ერთი თავი კერძი დაუდგა, რომელსაც მადიანად გეახლებათ და ჯეროვნად შეაფასებს; მეორე მხრივ, მიიწვიო ფრანგული კერძებით განწყობილ სუფრასთან, სადაც თითოეულს მაინც ისე დაავგომოვნებს, როგორც ერთი მთელის ნაწილს და მის გონებაშიც ასევე დარჩება.

– ოჰ! ჩვენ აქაც იგივენი ვართ, როგორც ყველგან, მთავარია, ახლოს გავვიცნოს კაცმა, – დაასვენა ჩემი მსჯელობით დაბნეულმა მისის დინმა.

– მომიტევეთ, – ვუთხარი მე, – თავად ხართ, ჩემო კეთილო მეგობარო, თქვენზე მსჯელობის საწინააღმდეგო სამხილი. თუკი მეტყველების აქაურ თავისუბურებებს არად მივიჩნევთ, თქვენში ნიშან-წყალსაც ვერ ვპოულობთ იმ საზოგადოებრივი ფენისა, რომელსაც მიეკუთვნებით. დარწმუნებული ვარ, თქვენ იმაზე მეტი გექნებათ ცხოვრებაში ნაფიქრი, ვიდრე ყველა ერთად აღებულ მსახურს. თქვენ უნებურად გაქვთ განვითარებული ღრმავაროვნების უნარი, რადგან დროის უაზროდ ფლანგვის შესაძლებლობა არ გქონიათ.

მისის დინს გაეცინა:

– რალა დავიმალეთ და, ჩემს თავს მეც ჩამოყალიბებულ, კეთილგონიერ არსებად მივიჩნევ, ოღონდ ასეთად იმიტომ კი არ ჩამოყალიბდი, რომ სულ ამ ბორცვებს შორის მიწვედა ცხოვრება, წლიდან წლამდე ერთი და იმავე სახეების ყურება, ერთი და იმავე ამბების გაგება, არამედ იმიტომაც, რომ რთული ცხოვრება მაქვს გავლილი, რომელმაც ჭკუა მასწავლა. ამას გარდა, იმაზე მეტი მაქვს ნაკითხული, ვიდრე თქვენ წარმოიდგენთ, მისტერ ლოქვეუდ. ამ ბიბლიოთეკაში წიგნს ვერ გადაშლით, რომ მეც არ მქონდეს გადაშლილი, გარდა აი, ამათი: ლათინური და ბერძნულენოვანი წიგნები რომ აწყვია და ცოტა აქეთ – ფრანგულიც, თუმცა ერთმანეთისგან ძალიან იოლად ვარჩევ. ღარიბი კაცის ქალიშვილისთვის ალბათ ეს მეტისმეტიცაა. თუმცა, თუკი ისევ ისე ჭორიკანასაგით უნდა განვაგრძო ჩემი ამბის თხრობა, ჯობია, აღარ შევყოვნდე. ამიტომ, სამ წელიწადს კი არ გამოვიტოვებთ, პირდაპირ მომდევნო ზაფხულზე გადავალ – 1778 წლის ზაფხულზე, რომლიდანაც აგერ უკვე ოცდასამი წელია გასული.

თავი 8

თიბათვის ერთ მშვენიერ დილას დაიბადა ჩემი პირველი, საყვარელი აღსაზრდელი და ერწმოთა უძველესი გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი. თივას

ვთიბავდით კარგა მოშორებულ მინდორში. ხელზე მოსამსახურე გოგონამ მოირბინა – მას სადილი მოჰქონდა ხოლმე. ნათიბში გაჭრილ ბლიოკს მოსდევდა და მეძახდა.

– ოჰ, რამხელა ბაღია! – ძლივს წარმოთქვა აქოშინებულმა, – ყველაზე კარგი ბიჭუნა ამქვეყნად! მაგრამ ექიმი ამბობს, ქალბატონი ვერ გადარჩებაო. გავიგონე, როგორ ეუბნებოდა მისტერ ჰინდლის, ბოლო თვეებში ჭლექი ჰქონია და ზამთრამდე ვეღარ მიატანსო. სასწრაფოდ შინ უნდა წამოხვიდეთ, ბავშვს თქვენ უნდა უპატრონოთ, ნელი. შაქრითა და რძით უნდა გამოკვებოთ და დღე და ღამ უნდა იზრუნოთ მასზე. თქვენს ადგილზე ყოფნას მეც ვინატრებდი, რადგან როდესაც ქალბატონი აღარ იქნება, ბაღი სულმთლად თქვენი გახდება!

– ასე მძიმედ არის? – ვიკითხე, ხელიდან ფოცხი გავავლე და ქედის თასები შევიბნე.

– მგონი, კი, თუმცა მხნედ გამოიყურება, – მიპასუხა გოგონამ, – მის სიტყვებს რომ მოუსმინოთ, გეგონებათ, ბავშვის გაზრდას მოესრუნებაო. ბაღი ისეთი ლამაზია, რომ სიხარულით დედას თავიკ კი დააკარგვინა! მის ადგილას ნამდვილად არ მოვკვდებოდი: ჩვილს დავხედავდი ხშირ-ხშირად და მარტო ეგ მომარჩენდა ქენეთის ჯინაზე. გადამრია, რასაც ჰქვია. ქალბატონი არჩერი გვეწვია და პატარა ქერუბიმის ქანდაკი მოუტანა ბატონს, რამაც სახე ოდნავ გაუნათა. ის ბებერი ყრანტალა კი მიადგა და ეუბნება, – კიდევ კარგი, ცოლმა შვილი მანისც რომ გაჩუქათო. აქ რომ მოიყვანეთ, ვგრევე შევატყვე, დიდხანს არ გასტანდა მისი სტუმრობა, ახლა კი უნდა მოგახსენოთ, რომ ზამთარი ბოლოს მოუდებსო. გულთან დიდად ნუ მიიტანთ, მანისც ვერაფერს უშველით, ამას გარდა, ხომ უნდა გცოდნოდათ, ოჯახში როგორი ქალი შემოგყავდათ!

– მერე ბატონმა რა უპასუხა? – დავინტერესდი გაოცებულნი.

– მგონი, შეიგინა, მისთვის თვალი აღარ მიმიდევნებია, რადგან პანანუნას ვერ ვაყილებდი, – და ისევ ჩვილის აღწერა დაიწყო გამალებით. მეც, მასავით აღფრთოვანებულმა, სახლისკენ გავწიე, რათა ჩემი თვალით მენახა ახალშობილი. მაგრამ ჰინდლის გამო კი გული დამიმძიმდა. მას ხომ ოდენ ორი რამ ახარებდა ამ ცხოვრებაში – თავისი ცოლი და თავისი თავი. ორივე უზომოდ უყვარდა, ერთ-ერთს კი აღმერთებდა, ამიტომ წარმოდგენაც კი არ შემეძლო, როგორ უნდა ეცხოვრა ამხელა დანაკარგით.

როდესაც «ქარიშხლიან უღელტეხილს» მივალნიეთ, ბატონი წინკარში დაგვიხვდა და მივუახლოვდი თუ არა, ბავშვი როგორ არის-მეთქი, ვკითხე.

– ლამისაა, სირბილი დაიწყო, ნელი! – მიპასუხა და ხალისიანად გამიღიმა.

– და ქალბატონი? – გავბედე მეკითხა, – ექიმს უთქვამს, ის...

– ჯანდაბას ეგ ექიმი! – შემანწყვეტინა და სახე წამოეჭარხლა, – ფრენსიზს არაფერი უჭირს: ერთი კვირის თავზე მშვენივრად იქნება. მაღლა აღიხარ? გადაეყი,

რომ მხოლოდ მაშინ ავალ, თუკი დამპირდება, რომ ხმას აღარ ამოიღებს. იმიტომ დავტოვე, რომ ენა ვერ გააჩერა. გადაეცი, ქენეთმა თქვა, ჩუმად უნდა იყოსო.

ეს დავალება შევასრულე; ქალბატონი უგუნებოდ არ ჩანდა და ხალისიანად მიპასუხა:

– სიტყვა ძლივს დავძარი, ელენ, ის კი ორჯერვე ტირილით გავარდა. კეთილი, გადაეცი, რომ ბევრს არ ვილაპარაკებ, მაგრამ აღარც ვეხუმრო?

ცხონებული! სიკვდილამდე მთელი კვირა გუნება არ გავუჭვია; მისი მუღლე კი გაშმაგებით, ვიტყვოდი, გაგიჟებით გაიძახოდა, – ავერ, ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორ უუმჯობესდებაო! როდესაც ქენეთმა გააფრთხილა, – ჩემი ცოდნა უკვე უძლურია ავადმყოფობის ამ სტადიაზე, ტყუილად ვიხარჯებით და პაციენტსაც ვანვალებთო, მისტერ ერნშომ უპასუხა:

– ცხადია, ტყუილად იხარჯებით, ის ხომ უკვე მომჯობინდა და თქვენი დახმარებაც აღარ ესაჭიროება! ჭლებიც არასდროს ჰქონია. ეს უბრალო ციება იყო და გაუარა. პულსიც ჩემსავით შენელებული აქვს და ლოყებიც ჩემსავით გრილიო.

ცოლსაც იგივე ვაუმეორა და, მგონი, მანაც დაიჭერა; მაგრამ ერთ ღამეს, როდესაც ქმარს მხარზე რომ დავყრდნო და იმის თქმა დააპირა, ხვალ, მგონი, ადგომასაც შეეძლებო, მსუბუქმა ხველამ შეანყვეტინა სიტყვა – ქმარმა ხელში აიყვანა; ფრენსიზმა კისერზე შემოხვია ხელები, სახე გადაუსხვაფერდა და სული განუტევა.

როგორც გოგონამ იწინასწამეტყველა, პატარა ჰერთონი მე ჩამაბარეს მოსავლელად. მისტერ ერნშო, რაკი ხედავდა, რომ ბიჭუნა ჯანმრთელი იყო და არასდროს ტიროდა, კმაყოფილებას გამოხატავდა, საქმე შვილს ეხებოდა, ბოლოს და ბოლოს. თავის მხრივ კი, სრულ სასონარკვეთილებამი იყო: დარდს ვერაფერი უქარავებდა. არც მოსთქვამდა, არც ლოცულობდა; მხოლოდ იგინებოდა და ილანძრებოდა: ღმერთსაც აუვად ახსენებდა და კაცსაც და ბოლოს, გაუგონარ ფუქსავატობას მისცა თავი. მსახურები მის ტირანულ და ავკაცურ საქციელს ვედარ იტანდნენ და ნელ-ნელა ხელიდან შემოგვეცალა ყველა – მხოლოდ მე და ჯოზეფილა შემოვრჩით. გულმა არ მომცა უფლება, ჩვილი მიმეტოვებინა, თანაც, როგორც უკვე მოგვხსენებთ, ბატონისთვის ძუძუმტესავით ვიყავი (თითქმის ერთად გავიზარდეთ) და უცხოზე მეტად შემეძლო მისი უსაქციელობის გამართლება და მიტევება. ჯოზეფმა დარჩენა იმიტომ ინება, რომ მიწის მუშებთან და მოიჯარეებთან ედიდგულა, თანაც მას ხომ იქ ყოფნა აბედნიერებს, სადაც ცუდი ხდება, რომ მერე საყვედური არ გამოუღიოს კაცს.

ბატონის ცუდი საქციელი და კიდევ უარესი დამქაშები ქეთრინისა და ჰითქლიფისთვის ვერაფერი სამაგალითო იყო. ბიჭს ისე ცუდად ექცეოდა, რომ წმინდანიც კი ღემონად იქცეოდა. მართლაც, ჰითქლიფი იმხანად ეშმაკეულივით იყო. სიამოვნებდა იმის ყურება, როგორ განიცდიდა ბატონი ღეგრადაციას და ბოროტი და სასტიკი ადამიანის სახელს იმკვიდრებდა. სანახევროდაც ვერ გადმოგვემთ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა ჩვენს სახლში. მღვდელმა ფეხი ამოიკვეთა, წესიერი ხალხი

გვერდებოდა. მხოლოდ მისტერ ლინთონის სტუმრობა ქეთისთან უნდა მივიჩნიოთ გამონაკლისად. თხუთმეტი წლის ქეთი უკვე ჩვენი მხარის დედოფალი იყო, ტოლი არ ჰყავდა და ამან მის სიჭოტეს ამპარტაგნებაც დაურთო. თავისნათქვამად იქცა. რაც ბავშვობის ასაკიდან გამოვიდა, მისი სიყვარული გამინელდა. სულ ვტუქსავდი ხოლმე, ქედმალლობას მოუკელი-მეთქი. თუმცა უნდა ვალიარო, ჩემთვის არასდროს ზედმეტი არ უკადრებია: მისგან კეთილგანწყობის მეტი არაფერი მასსოვს. ძველი ჩვევებისადმი უცნაური ერთგულებით გამოირჩეოდა: ჰითქლიფის კი წინანდებურად ახდენდა მასზე გავლენას. ახალგაზრდა ლინთონს, მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, ძალიან უჭირდა და ხშირად შეუძლებლად მიაჩნდა, მასზე ისეთივე ღრმა შთაბეჭდილება დაეტოვებინა. სწორედ ის გახდა ჩემი ბატონი, ცხონებული... აი, ბუხრის თავზე მისი პორტრეტი გვიკიდა. წინათ ორივეს სურათი ეკიდა: აქეთ ქმრის, იქით – ცოლის; რომ არ ჩამოეხსნათ, წარმოდგენას მაინც შეიქმნიდით, როგორი იყო ქეთრინ ერნშო. კარგად არჩევთ?

მისი დინმა სანთელი ასნია და ტილოზე მამაკაცის თხელი ნაკვთები გავარჩიე, მეტისმეტად რომ ჰგავდა «ქარიშხლიან უღელტეხილში» ნანახი ახალგაზრდა ქალის სახეს, ოღონდ უფრო ჩაფიქრებული და თბილი მზერა ჰქონდა. სასიამოვნო სანახავი გახლდათ: მოგრძო ქერა თმა საფეთქლებზე ეფინა; დიდ თვალებში სევდა ჩასდგომოდა; დგომა გრაციოზული ჰქონდა. არც გამკვირვებია, რომ ქეთრინ ერნშომ თავისი პირველი მეგობარი ამისთანა ბიჭის გამო მიივინყა. მე უფრო სხვა რამემ გამაკვირვა: თუ მისი გონება გარეგნობასავით უნაკლო იყო, ქეთრინ ერნშო რამ მოაწონა – თუკი მართლაც ისეთი იყო, როგორიც ამინერეს?

– სასიამოვნო პორტრეტია, – მნეს შევხედე, – ასეთი იყო?

– დიახ, – მომიგო მან, – მაგრამ უკეთაც გამოიყურებოდა ხოლმე, როდესაც მოცოცხლდებოდა. ეს კი მისი ყოველდღიური მზერა გახლავთ: ჩვეულებრივ, სიცოცხლე აკლდა!

ქეთრინმა ლინთონებთან ხუთი კვირის გატარებით შეძენილი ნაცნობობა შემდეგაც შეინარჩუნა. მათთან ყოფნისას უარყოფითი მხარის ცდუნებას ყოველთვის უძლებდა, რადგან საკმარისად გონიერი იყო და ისეთ ადგილებში უხეშობის გამომყოფავენებს ერიდებოდა, სადაც მხოლოდ თავაზიანობას ხედებოდა; სრულიად დაუკვემავად მოახერხა უფროსი ლინთონების მოხიბვლა თავისი დაუფარავი გულწრფელობით, აღაფრთოვანა იზაბელა და მისი ძმის სულსა და გულს დაეპატრონა. ეს მდგომარეობა თავიდან მის პატივმოყვარე სულზე მალამოსავით მოქმედებდა, შემდეგ კი იმდენად შეეცვალა ბუნება, რომ ორმაგი როლის თამაში დაიწყო – არადა, არავისი მოტყუება აზრდაც არ ჰქონია. იქ, სადაც ჰითქლიფს «პატარა ვულგარულ არამზადს» ან «პირუტყვზე უარესს» უწოდებდნენ, ცდილობდა, მასავით არ მოქცეულიყო. მაგრამ შინ ელემენტარული ზრდილობიანობის გამოვლენის სურვილიც არ უჩნდებოდა, რაც მხოლოდ სიცილს თუ გამოინვევდა, და არც დაუდგრომელი ბუნების დაოკებას ცდლობდა, რაკი არც დიდებას მოუტანდა ეს და არც ქებას.

მისტერ ედგარი იშვიათად ბედავდა, თვალდასანახად სტუმრებოდა «ქარიშხლიან უელეტხილს». ერნშოს გატეხილი სახელი ამინებდა და მასთან ხშირად შეხვედრას ერიდებოდა. თუმცა, როდესაც პატივს დაგვდებდა, მუდამ თავაზიანად ვიღებდით და თავდაჭერილად იქცეოდა ყველა, თავად ბატონიც კი სულ იმას ცდილობდა, რაიმით ჩრდილი არ მიეყენებინა მისთვის, რაკი იცოდა მისი მოსვლის მიზეზი, და თუკი გრძნობდა, რომ ზრდილობას ვერ განასახიერებდა, გაცლას ამუბინებდა ხოლმე. ზოგჯერ მგონია, რომ ქეთრინისთვის მისი სტუმრობა ზიზღისმომგვრელიც კი იყო. გოგონას ხელოვნურად თავის დაჭერა არ შეეძლო და არც კეკლუცობა დაუნყია ოდესმე, ალბათ უჭობდა, რომ ეს ორი ყმაწვილი საერთოდ არ შეხვედროდა ერთმანეთს. ასე მაგალითად, როდესაც ჰითქლიფი სიძულვილს გამოხატავდა ლინთონის მიმართ მისივე თანდასწრებით, ქეთის არ შეეძლო კვერი დაეკრა, როგორც ლინთონის არყოფნისას მოიქცეოდა, ხოლო როდესაც ლინთონი ვერ ფარავდა ზიზღსა და სიძულვილს ჰითქლიფისადმი, თავს უფლებას აძლევდა, გულგრილი არ დარჩენილიყო ასეთი თავშეუკავებლობის მიმართ, თითქოს მისი ბავშვობის მეგობრის აუგად ხსენებას რამე საველად შედეგი მოჰყვებოდა მისთვის. არაერთხელ დამიყინია მისთვის დაბნეულობის გამო, ის კი მაინც ჯოჯობდა ცდილობდა, შეფარული შფოთვა დაემალა ჩემგან. ეს კარგი საქციელი როდია, მაგრამ თვითონ იმდენად ამპარტავანი იყო, რომ თანაგრძნობა მისთვის შეუძლებლად მიმაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, სანამ ცოტაოდენ თავმდაბლობას არ ისწავლიდა. ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩემთან მოუწია მოსვლამ და გულის გადაძლამ: აბა, სხვა კაციშვილი არ ეგულებოდა ამქვეყნად, ვისაც რჩევას ჰკითხავდა.

ერთ დღესაც მისტერ ჰინდლი სახლიდან გავიდა და ჰითქლიფმა იფიქრა, დღეს მაინც ჩემს გემოზე ვიქნებიო. მაშინ უკვე თექვსმეტისა იქნებოდა და მოუხედავად იმისა, რომ არც უშნო ნაკვთები ჰქონდა და გონებაც უჭრიდა, მაინც იმდენს ახერხებდა, რომ გარშემომყოფებზე გარეგნულადაც და შინაგანადაც ცუდი ადამიანის შთაბეჭდილება მოეხდინა. თუმცა მის დღევანდელ ჰაბიტუსში წარსულის კვალსაც ვერ მიაგნებთ. თავდაპირველად იმ დროისთვის უკვე დაკარგული ჰქონდა ადრეულ წლებში მიღებული განათლების კეთილქმედება: მუდმივ ფიზიკურ მუშაობას, ადრინადად ადგომას და გვიანობამდე საქმიანობას მასში ყოველგვარი ცნობისწადილი, სწავლისა და წიგნებისადმი სიყვარული სულ ჩაეკლა, ღრმა ბავშვობაში მისტერ ერნშოს მიერ ჩანერგილი უპირატესობის გრძნობაც ნელ-ნელა გაუქრა. დიდხანს ლამობდა, ქეთრინს არ ჩამორჩენოდა სწავლაში, მაგრამ საბოლოოდ მაინც დანებდა მტკივნეული, მაგრამ უხმო ნუხილით. როდესაც აღიქვა, რომ იმავე საფეხურზე ბრუნდებოდა, რომელზეც ადრე იდგა, თითქც აღარ გაუნძრევია ერთი ნაბიჯით ზევით ასანვევად. მისმა გარეგნობამ ფეხი აუნყო სულიერ გაპარტახებას: ტლანჩი სიარული და ქვეშ-ქვეშა გამოხედვა გაუხდა; ბუნებრივი ჩაკეტილობა ლამის იდიოტურ გულჩათხრობილობაში გადაუვიდა; როგორც ჩანს, შავნელ კმაყოფილებას ანიჭებდა ისედაც თითზე ჩამოსათვლელ სანაცნობოში ზიზღის გამოწვევა, ვიდრე პატივისცემის.

ქეთრინი და ის წინანდებურად განუყრელად ატარებდნენ დროს, როდესაც ჯაფისგან დაღლილს შესვენების საშუალება ეძლეოდა, მაგრამ სიტყვიერად მისდამი გატაცების გამოხატვაზე ხელი აიღო და ქეთის ბავშვურ ალერსსაც გასხარებული

უნდობლობით ჰკრავდა ხელს, თითქოს ხედებოდა, რომ გოგონა სიყვარულის ამ ნიშნების გამოხატვისას გულწრფელი არ იყო. იმ დღეს ჰითქლიფი სახლში შემოვიდა და გამოაცხადა, დღეს არაფრის გამკეთებელი არ ვარო. ამ დროს მე ქეთის კაბის მონესრიგებაში ვეხმარებოდი: ვერ წარმოიდგენდა, რომ მაინცდამაინც უსაქმურობით მოუნდებოდა ჰითქლიფს გართობა, ამიტომ იფიქრა, რაკი ჩემი ძმა წასულა, მთელი სახლი ჩემს განკარგულებაშიაო, როგორღაც მოახერხა, მისტერ ედგარი დაიბარა და ახლა მის მისაღებად ემზადებოდა.

– ქეთი, დღეს არ გვალაია? – ჰკითხა ჰითქლიფმა, – სადმე აპირებ წასვლას?

– არა, წვიმს, – უპასუხა ახალგაზრდა ქალბატონმა.

– მაშ, ეგ აბრეშუმის კაბა რატომ გაცვია? – დაინტერესდა ბიჭი, – იმედია, არავინ აპირებს მოსვლას?

– არ ვიცი, – ენა დაება ქეთის, – ახლა მინდორში არ უნდა იყო, ჰითქლიფ? სადილობიდან ერთი საათია გასული. წასული მეგონებოდი, აქ რომ არ გხედავდე.

– განა ასე ხშირად მიეთრევა სადმე, რომ კაცმა ამოისუნთქოს? დღეს მეტს აღარ ვიმუშავებ და შენთან ვიქნები.

– ჯოზეფი მიუტანს ენას, – გააფრთხილა ქეთიმ, – ჯობია, წახვიდე!

– ჯოზეფი აქედან შორსაა, კირს ტვირთავს ფენისთოუნ-ქრეგის გაღმა. გვიანობამდე იქ იქნება და ვერც ვერასოდეს გაიგებს.

ამ სიტყვების თქმაზე გაიცინა და ბუხრის პირას მოკალათდა. ქეთრინმა წარბი შეჭმუნა და დაფიქრდა, როგორ შეეპარებინა მოსალოდნელი ვიზიტი.

– იზაბელა და ედგარ ლინთონებმა მითხრეს, შემოვივლითო, – წუთიერი ღუმილის შემდეგ თქვა ქეთიმ, – რაკი განვიმდა, ალბათ ველარც მოვლენ, მაგრამ შესაძლოა, მოვიდნენ კიდევ. შენ ტყუილად შარში გაყოფ თავს.

– ელენს უბრძანე და გადასცემს, რომ დაკავებული ხარ, ქეთი, – შეეწინააღმდეგა ჰითქლიფი, – მაგ შენი საცოდავი და ტუტუცი მეგობრების გამო მე ნუ მკრავ ხელს! ზოგჯერ კი ვუბღუნებ ხოლმე, მაგრამ ეგ შენი მეგობრები...

– რა? რა ჩემი მეგობრები? – თავი ვერ შეიკავა ქეთიმ და შემფოთებული მიაშტერდა, – ოჰ, წელი, დაამატა გულფიცხად და ხელებიდან თავი გამომაყალა, – ისე მვარცხნი თმას, რომ სულ დამისწორე კულულები! მორჩა! დამანებე თავი... ახლა რაღაზე აპირებდი ბუზუნს, ჰითქლიფ?

– არაფერზე. აბა, მაგ კალენდარს შეხედე კედელზე, – მან სარკმელთან ახლოს ჩამოკიდებული, ჩარჩოში ჩასმული ქალაქისკენ გაიშვირა ხელი და განაგრძო, – ჯერებით ის საღამოები მაქვს მოხაზული, რომელთაც ლინთონებთან ერთად ატარებ, წერტილებით კი ჩემთან გატარებული. ხედავ? ყოველ დღეს ვნიშნავ.

– ჰო, ყოველ სისულელეს თითქოს ყურადღებას ვაქცევდე! – ნაიზბლუნა ქეთრინმა, – მერე მაგას რა აზრი აქვს?

– ის, რომ გიჩვენო, ვნიშნავ-მეთქი, – თქვა ჰითქლიფმა.

– ანუ სულ შენთან უნდა ვიჯდე? – ჰკითხა და უფრო გაღიზიანდა, – ამით მე რა ხიერი მიქნება? რაზე უნდა მელაპარაკო? სულ მუნჯივით ზიხარ, თითქოს თოთო ბავშვი იყო ან მართლაც მუნჯი – რითი უნდა შევიქცეო შენთან თავი?

– აქამდე არასდროს გისაყვედურებია, ცოტას ლაპარაკობო; არც ის გითქვამს, ჩემთან ყოფნა თუ ასე გჭულდა, ქეთი! – გაუწყრა ჰითქლიფი.

– ეგ რა ერთად ყოფნაა, როცა ხალხმა არაფერი იცის და არაფერზე ლაპარაკობს, – ბუზლუნს არ წყვეტდა ქეთი.

ჰითქლიფი წამოდგა, მაგრამ გრძნობების გამოხატვის დრო აღარ მისცემია, რადგან ეზოდან ფლოქვების ხმამ შემოაღწია. ფრთხილი კაკუნიც გაისმა და ახალგაზრდა ლინთონი შემოვიდა. სახე მოულოდნელი მიპატუებით მოგვრილი სიხარულით ჰქონდა გაცისკროვნებული. უეჭველია, რომ ქეთრინმა მეგობარ ვაჟებს შორის განსხვავება კარგად დაინახა, როდესაც ერთი შემოვიდა და მეორე გავიდა. ისეთი კონტრასტული განსხვავება იყო, როგორც პეიზაჟის ცვლილებისას არის ხოლმე, როდესაც ქვანახშირიანი ბორცვებიდან ნაყოფიერ ბარში ეშვები; მოსულის ხმაც, მისალმებისას რომ გაისმა, გასულის სრულიად საპირისპირო იყო. მას ტკბილი, დაბალი ტემბრის ხმა ჰქონდა, წარმოთქმა კი ზუსტად თქვენნაირი, რბილი: ჩვენსავით უხეშად არ გამოთქვამდა ბგერებს.

– ცოტა ადრე ხომ არ მომივიდა მოსვლა? – იკითხა და მე შემომხედა: მე კი ამ დროს ოთახის ბოლოში თევზების გაპრიალება და საფანჯალის უჯრების დასუფთავება დავიწყე.

– არა, – უპასუხა ქეთრინმა, – მანდ რას აკეთებ, ნელი?

– რაც მევალება, ქალბატონო, – მივუგე მე (მისტერ ჰინდლის ნაბრძანები ჰქონდა, ლინთონის სტუმრობისას მუდამ მესამე ადამიანად უნდა დავრჩენილიყავი ოთახში).

ქეთი მომიახლოვდა და ბრაზიანად ჩამჩურჩულა:

– აბა, აქედან მოსცილდით შენ და შენი ჩვრები; როდესაც სახლში სტუმრებია, მსახურები მაშინ არ უნდა იწყებდნენ წმენდასა და ლაგებას მათ დასანახად!

– ბატონი რომ დავიგულე გასული, დროის დაკარგვა არ მინდა, – ვუპასუხე და ხმამაღლა განვაგრძე: – ბატონს არ უყვარს, როდესაც მისი თანდასწრებით ვფუსფუსებ; მისტერ ლინთონი კი, დარწმუნებული ვარ, მომიტეებს შრომას.

– მე კი არ მიყვარს, როცა ჩემ წინ ფაციფუცობ! – ისე გამიწყნარა ახალგაზრდა ქალბატონი, რომ სტუმარს ხმაყ არ ამოაღებინა. ჰითქლიფთან კინკლაობის შემდეგ გაღიზიანებული იყო.

– ძალიან ვწუხვარ, მის ქეთრინ, – ვუპასუხე და ჯიუტად განვაგრძე ჩემი საქმე.

მან იფიქრა, ედგარი ვერ მხედავსო, ხელიდან ჩვარი გამომტაცა და მკლავზე მაგრად მიჩქმითა. უკვე მოგახსენეთ, არ მიყვარდა-მეთქი და ხშირად ამპარტავნების გამოც ვსაყვედურობდი, მით უმეტეს, მართლა მატკინა მკლავი; იმ დროს ჩაჩოქილი ვიყავი და უცებ წამოვხტი კვილით:

– ოჰ, მის ქეთი, ცუდი ოინები გჩვევიათ! ჩქმეტის უფლება ვინ მოგცათ, ამას არ მოვითმენ!

– არც კი მოგკარებოვარ, ცრუპენტელავ! – მიყვირა და თითები ისევ ჩემკენ წამოიღო, რომ იგივე გაემეორებინა. ყურები სიმწრით გაუნითლდა. ბრაზის შეკავების უნარი არასდროს ჰქონია, ყოველთვის წითლდებოდა ხოლმე, როდესაც ვნება მოეძალებოდა.

– აბა, ეს რა არის? – შევეპასუხე და განითლებულ ადგილზე მივუთითე გასამტყუნებლად.

ფეხი დააბაკუნა, წამით შეყოყმანდა, მერე კი თავშეუკავებლად სილა გამანწა: იმდენად ძლიერად, რომ თვალებიდან ცრემლი წამომივიდა.

– ქეთრინ, საყვარელო! – ჩაერია სათაყვანებელი ქალის ორმაგი ბუნებითა და ფარისევლობით გაოგნებული ლინთონი.

– დატოვე ოთახი, ელენ! – დამკვილა აკანკალეულმა.

პატარა ჰერთონმა, ყველგან და ყოველთვის მე რომ დამყვებოდა და იმწუთასაც იქვე იჯდა, ჩემი ცრემლები რომ დაინახა, თვითონაც ატირდა. «ცუდ მამიდა ქეთის» სლუკუნით უსაყვედურა, რითიც მისი რისხვა დაიტეხა უბედურ თავზე: ქალი მხრებში სწვდა პატარას და ნჯღრევა დაუნყო, ნჯღრევა ისე ძლიერად, რომ ბავშვმა ფერი დაკარგა. სწორედ ამ დროს მისტერ ლინთონი ეცა ხელში, რათა საწყალი ჰერთონი დაესწა. ქეთიმ მყისიერად გაითავისუფლა ერთი ხელი და გაოგნებულმა კავალერმა ლოყაზე მისი ვალანუნება იგრძნო, რომელსაც ხუმრობად ვერაფრით აღიქვამდა. თავდაზარდაცემული უკან გადაინია. მე ჰერთონს დავავლე ხელი და სამზარეულოში გავედი, კარი კი ღიად დავტოვე, რომ გამეგო, როგორც მოაგვარებდნენ ამ უსიამოვნო ინციდენტს. ფერდაკარგული და ბავყაკანკალეული შეურაცხყოფილი სტუმარი იმ ადგილისკენ წავიდა, სადაც ქუდი ეღო.

ძალიანაც კარგი! – ჩავილაპარაკე, – ხომ მიიღე ალიყური! ხომ გაუსინჯე გემო მის ზნესა და ხასიათს-მეთქი.

– სად მიდიხართ? – ჰკითხა გაცხარებულმა ქეთრინმა და კართან მიასწრო.

ბიჭმა გვერდულად გასვლა სცადა.

– არ უნდა წახვიდეთ! – წამოიძახა ვნებააშლილმა.

– უნდა წავიდე და წავალ კიდეც! – გაისმა ხმადაბალი ჰასუხი.

– არა, – დაჟინებით ჩააფრინდა კარის სახელურს, – ჯერ არა, ედგარ ლინთონ. დაბრძანდით. ასეთი განწყობით ვერ დამტოვებთ. მთელი ღამე საბრალო უნდა ვიყო, თქვენ გამო კი შესაბრალისად ყოფნა არ მინდა!

– შემძლია დარჩენა, მას მერე, რაც ხელი ასწიეთ ჩემზე? – ჰკითხა ლინთონმა.

ქეთრის ენა ჩაუვარდა.

– გული გამიხეთქეთ და თავი მომჭერით, – განაგრძო ვაჟმა, – ფეხსაც აღარ მოვდგამ აქ!

ქეთის თვალები აუკიაფდა და ქუთუთოები აუთრთოლდა.

– თანაც სრულიად გაცნობიერებულად იცრუეთ! – დაუმატა ლინთონმა.

– არა! – იკვილა ქეთიმ და ხმის დამორჩილება სცადა, – გაცნობიერებულად არაფერი მიქნია. კეთილი, წაბრძანდით, თუ ასე გნებავთ. მე კი ვიტყვებ – იმდენს ვიტყვებ, რომ ცრემლებმა დამახრჩოს!

ქეთი სავარძელთან ჩაიკეცა და გულამოსკვნით აქვითინდა. ლინთონმა თავის გადაწყვეტილებას უკვე ებოში გასულმა გადახედა. შეჩერდა. მისი გამხნევება ცვადა:

– მის ქეთი საშინლად ჭირვეულია, სერ, – გავძახე, – ისეთივე ჭირვეული, როგორც ნებისმიერი გაზულუქებული ბავშვი: ჯობია, შინ წახვიდეთ, თორემ მართლა ცუდად გახდება, რომ ყველა დაგვადონოს.

ფაქიზი სულის პატრონმა ალმაცერად გამოიხედა ფანჯრისკენ: ისევე ეძნელებოდა მისი დატოვება, როგორც კატას ხელშიმოგდებული თავის ან სანახევროდ გადასანსლული ჩიტისა. ეჰ, მაგის საშველი არ არის, რაც უწერია, იმას ვერ ასცდება-მეთქი, – გავფიქრე. მართლაც ასე მოხდა: უეცრად შემოტრიალდა, სასწრაფოდ სახლში შემოიჭრა და კარი მიიხურა. ცოტა ხანში რომ შევედი, რათა მეუწყებინა, მისტერ ერნშო გალეშილი მთვრალი დაბრუნდა და მზადაა, ჯერი დაგვამხოს თავზე-მეთქი (მაშინ სულ ამას გაიძახოდა), დავინახე, რომ ჩხუბს კიდევ უფრო დაეახლოვებინა წყვილი და მეგობრობით შეფარული სიყვარული გაემჟღავნებინათ ერთმანეთისთვის.

მისტერ ჰინდლის ჩამოსვლის გაგონებაზე ლინთონი ცხენს მოახტა, ქეთი კი თავის ოთახში შეიკეტა. პატარა ჰერთონის დასამალად გავიქეცი და სანადირო თოფს ტყვიები ამოვაყალღე, თორემ იმ ხანად, მისტერ ერნშოს, სიგიჟე რომ მოუვლიდა, თოფით თამაში უყვარდა ხოლმე, უფრო სწორად, ყველას უმიზნებდა ანგარიშმიუცემლად, ვინც თვალში არ მოუვიდოდა ან უბრალოდ მის ყურადღებას

მიიქცევა და გადაჭარბებულად. ვიფიქრე, არ გაუვარდეს და უბედურება არ დაატრიალოს-მეთქი და თოფის სავაზნე დავაცარიელე.

თავი 9

ბატონი შემოვიდა. ისე უშვერის პირით იგინებოდა, რომ ყური ვერ მოისმენდა. სწორედ იმ დროს მომისწრო, როდესაც მის ვაჟს სამზარეულოს განჯინაში ვმალავდი. ჰერთონი გაოგნებული იყო ცალკერძ გამძვინვარებული მხეცის სისასტიკით და ცალკერძ გადარეულის სიყვარულით. ერთი მხრივ, მის სიყოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, რომ კედელზე არ მიესხმევინებინა მამამისს ტვინი ან ბუხარში არ შეეგდო, მეორე მხრივ – კოცნით არ გაეგუდა ან ჩახუტებით არ მოეხრჩო. ამიტომაც სულ ჩუმად იჯდა ხოლმე, სადაც არ უნდა შემეჩურთა.

– აი, ბოლო-ბოლო სად მოვაგენით! – იყვირა ჰინდლიმ, კისერში მწვდა, როგორც ძაღლს და განზე მომისროლა, – სამოთხესა და ჯოჯოხეთს ვფიცავ, აქ ამ ბავშვის მოკვლა გაქვთ ჩათქმული, ამიტომაც ვერ ვხედავ ხოლმე ჩემ გვერდით ვერასდროს! მაგრამ ეშმაკის შენგნით ახლა ამ სამზარეულოს დანას გადაგაყლაპებ, ნელ! რა გაცინებს! ეს-ესაა, ქენეთი შავი ცხენის ჭაობში გადავუძახე; სადაც ერთი, იქაც მეორე: რომელიმე თქვენგანს უნდა ამოვადრო სული! ვერ მოვისვენებ, სანამ იმქვეყნად არ ვაგისტუმრებთ!

– ჰო, მაგრამ, სამზარეულოს დანა არ მომწონს, მისტერ ჰინდლი, – გავეპასუხე, – წედან მაგით წითელი ქაშაყები დავჭერი. მირჩვენია, ჩამცხრილოთ, თუ არ შენუხლებით.

– გირჩენია, მოშორდე! – გამოსცრა კბილებში, – ასეც მოიქცევი. ინგლისის ვერც ერთი კანონი ვაცს საკუთარი სახლის დაცვას ვერ აუკრძალავს, ეს სახლი სისაძაგლით არის სავსე! დაათჩინე პირი! – დანას ხელი დასტაცა და წვერი კბილებში მატაკა; ისე, სიმართლე გითხრათ, მისი გაცოფებისა განსაკუთრებით არასდროს შემშინებია. გადმოვაფურთხე და გავუმორე, საძაგელი გემო აქვს-მეთქი – ცოცხალი თავით პირში არ ჩავიდებ-მეთქი.

– ოჰ! – წამოიძახა და გამიშვა, – ეს საშინელი პატარა არამზადა ჰერთონი არ არის: ბოდიში მომითხოვია, ნელ. ეს რომ ჩემი ნაშიერი არ ყოფილიყო, ტყავის გაძრობას დაიმსახურებდა, რადგან სიხარულით არ შემეგება და ისე ჩხავის, თითქოს გობლინი ვიყო. მოდი აქ, შე უნამუსო ნაშიერი! გირჩენებ, როგორ უნდა კეთილი, მიმნდობი მამის მოტყუება. არ ფიქრობ, რომ ამ ბიჭს თმის ვაკრეჭა არ აწყენდა? ყველაფერი მრისხანე მიყვარს, ძაღლი კი ვაკრეჭით ბრამდება – მომე, რამე ბასრი და რივიანი! ეგეც არ იყოს, ჯოჯოხეთური მიდრეკილება, ეშმაკეული პატივმოყვარეობა გვაქვს ყურების მოვლისა – თუმცა მათ გარეშეც ვირები ვართ. სუ, პატარავ, სუ! შენ ხომ ჩემი პატარა ხარ! მოინმინდე თვალები, გეზუმრე; აბა, მაკოცე. რაო? არ

გაკოცებო? მაკოცე, ჰერთონ! ჯანდაბას, შენი თავი, მაკოცე-მეთქი! ღმერთო, ამისთანა ურჩხული უნდა გავზარდო? მიწამ მიყოს პირი, თუ ამ ნაბიჯვარს კისერი არ მოვეგრებო.

საცოდავი ჰერთონი მამამისის მკლავებში მთელი ძალით ფართხალებდა და წიოკობდა, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა კიბეზე აიყვანა და მოაჭირზე გადააყუდა, უარესად აწივლდა. მეც ვიკივლე, ბავშვს გული არ გაუხეთქოს-მეთქი და მისაშველებლად გავიქეცი. როდესაც მივუახლოვდი, ჰინდლი მოაჭირზე გადაიხარა და გაიყურსა. მგონი, აღარც ახსოვდა, ხელში რა ეჭირა.

– რა არის? – იკითხა კიბესთან მოახლოებულ ფეხის ხმაზე. მეც გადავიხარე, რომ ჰითქლიფისთვის, რომელიც ჩქამზე ვიცანი, მიმენიშნებინა, არ ამოხვიდე-მეთქი. როდესაც მშერა ჰერთონიდან ახალმოსულისკენ გადავიტანე, ბავშვი ანაზღად შეხტა, ხელიდან გაუსხლტა მამამისს და დაბლა ჩავარდა.

ისეთი საშინელი შეგრძნება დამეფულა, ჯობდა, მიწა გამსკდომოდა, მაგრამ ბავშვი გადაგვიჩრა. ბედად ჰითქლიფმა მოუსწრო ქვევიდან და დაცემამდე დაიჭირა; ჰერთონი ფეხზე დააყენა და ბუნებრივად დაინტერესებულმა ზემოთ ამოიხედა, რომ ამ უბედურების ჩამდენი დაენახა. ალბათ ძუნწსაც არ დაეკარგებოდა ისე ფერი, რომელმაც ხუთ შილინგად გაყიდა ლატარის ბილეთი და მეორე დღეს გაიგო, რომ ამ გარიგებით ხუთი ათასი გირვანქა დაუკარგავს, როგორც მან, ვინც კიბისთავში მდგომი ერწმო დაინახა. ჰითქლიფს სახეზე აესახა, სიტყვაც რომ ვერ იტყვის, ისეთი წუხილი, იმის გამო, რომ თავისი საკუთარი ხელით შეუშალა ხელი ამდენი წლის ნალოლიავებ შურისძიებას. სიბნელე რომ ყოფილიყო, თავს დავდებ, შეცდომის გამოსწორებას ეცდებოდა და ბავშვს საფეხურზე ჩამოარტყმევინებდა თავს, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე შევესწარი მის საქციელს. მე უკვე დაბლა ვიდექი და ჩემს ძვირვას ბიჭუნას გულში ვიკრავდი. ჰინდლი ზანტად ჩამოვიდა, გამოფხიზლებული და დარცხვენილი.

– შენი ბრალია, ელენ, – მომმართა მე, – უნდა გადაგემალა სადმე: ჩემგან შორს უნდა გყოლოდა! ხომ არაფერი დაუშავდა?

– დაუშავდა! – ვუკივლე გამწარებულმა, – თუ არ მოკვდება, დებილი დარჩება! აჰ! იმედია, დედამისი არ ადგება საფლავიდან, რომ დაინახოს, რას უკეთებთ მის პატარას! კერპთაყვანისმცემელზე უარესი ხართ, ასე რომ ექცევით თქვენს სისხლსა და ხორცს! – ბავშვის შეხება სცადა, ეს უკანასკნელი კი, თავი ჩემთან რომ დაიგულა, უარესად აქვითინდა. მამამისის თითის დაკარებაზეც კი უმატა ხმას და ისე აცახცახდა, თითქოს კრუნჩხვაში ვარდებოდა.

– ხელი არ ახლოთ! – განვაგრძე მე. – მას ეჯავრებით! ყველას ეჯავრებით – აი, თუ გინდათ სიმართლე! – ბედნიერი ოჯახი კი გყავთ, თქვენც როგორ მშვენიერ მდგომარეობაში მოსულხართ!

– უფრო დავმშვენივლები კიდევ, ნელი, – გაიცინა ამ გზაბნეულმა კაცმა და უფრო გამძვინვარდა. – ახლა კი, ორივემ მოუსვით აქედან. შენც გეყურებოდეს, ჰითქლიფ!

თვალში არ მომხვდებოდა. დღეს დაგინდობ. აი, სახლი კი, შეიძლება, დაგნვა, გააჩნია, რა მომეპოვებოდა.

ამას რომ ამბობდა, უჭრიდან ბრენდის ბოთლი ამოიღო და სირჩა შეივსო.

– აღარ გინდათ! – ჩავერეი, – მისტერ ჰინდლი, სიფრთხილად გამოიჩინეთ. თავს თუ არ ზოგავთ, ეს უბედური ბიჭი მაინც დაინდობ!

– ნებისმიერი უკეთ მიხედავს, ვიდრე მე, – მიპასუხა.

– საკუთარ სულს მაინც გაუფრთხილდით! – დავანამუსე და ხელიდან სირჩის წართმევა ვცადე.

– არა! პირიქით, დიდი სიამოვნებით გავისტუმრებდი ჩემს სულს დასალუპად მისი შემოქმედის დასასჯელად, – ყვირილით მიპასუხა ლეთისმგობმა, – მისი განსჯისას ვსვამ!

სირჩა სულმოუთქმელად გადაკრა და გვობრძანა, გავთრეოთ, რასაც ისეთი გინების კორიანტელი მოაყოლა, რომ გამეორებაც რთული იყო და დამახსოვრებაც.

– რა ცუდია, რომ სასმელში ვერ ჩაიხრჩობს თავს, – სინანულით შენიშნა ჰითქლიფმა და კარი რომ მოიხურა, ექოსავით გაიმეორა გინება, – ამისათვის უკან არაფერზე იხევს, მაგრამ კაჟივით ჯანმრთელობა იცავს. მისტერ ქენეთი ამბობს, ჩემს ფაშატს ჩამოვალ სანაძლეოდ, რომ გიმერთონებში ყველაზე მეტხანს იცოცხლებს და საფლავში თეთრთმიანი ცოლდელი ჩავაო. თუკი, ცხადია, რამე არ შეემთხვა და არ მოცელა.

მე სამზარეულოში გავედი და ჩამოვჯექი, რომ ჩემი პატარა კრავი ჩამეძინებინა. ჰითქლიფი, როგორც მეგონა, საჭინობში გავიდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სკამების უკან ჩაუვლია და კედელთან მიწოლილა, არცთუ ახლოს ბუხართან და ასე გატრუნული იწვა კარგა ხანს.

პატარა ჰერთონს კალთაში ვარწვედი და იმ სიმღერას ვუმღეროდი, რომელიც შემდეგი ფრაზებით იწყება: «შუალამით რომ ბაღლი ტირისო, დედის გულს ესმის სამარის პირსო...» და მის ქეთიმ, რომელსაც მთელი ეს ღრინაცელი თავის ოთახში გაიგონა, სამზარეულოში თავი შემოყო და ჩურჩულით მკითხა:

– მარტო ხარ, ნელი?

– დიახ, მის, – ვუპასუხე მე.

შემოვიდა და ბუხართან მივიდა. ვიფიქრე, რაიმეს თქმა სურს-მეთქი და ავხედე. სახეზე შემოთოება და მრისხანება ემჩნეოდა. პირი გააღო, თითქოს საუბრის დანწყებას აპირებოდა და სიტყვის მაგივრად ოხვრა აღმოხდა. მე სიმღერა განვაგრძე, მისი წელანდელი საქციელი არ დამეინწყებია.

– სადაა ჰითქლიფი? – მკითხა.

– საჯინბოში, მუშაობს, – მივეუგე.

ჰითელითი არ შემომწინააღმდეგებია; იქნებ ჩაძინებულიც იყო. ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა, რომლის დროსაც, როგორც შევამჩნიე, ქეთრინს ორი-სამი კურცხალი ჩამოუვორდა ლოყაზე და ქვის იატაკზე დაეწვია. ნეტავ თავისი სამარცხვინო საქციელის გამო-მეთქი? ვკითხე ჩემს თავს. ეს რაღაც სიახლე იყო, მაგრამ ჯობდა, თვითონვე დაეწყო ბოდიშის მოხდა, მე ხელს არ შევეუწყობდი! სრულებითაც არა, მას მხოლოდ თავისი პრობლემები აწუხებდა.

– ოჰ, ძვირფასო! – ამოიტირა ბოლოს, – ძალიან უბედური ვარ!

– დასანანია, – ვუსაყვედურე, – თქვენს გულს კაცი ვერ მოიგებს; ამდენი მეგობარი გყავთ და ასე ცოტა საზრუნავი, თქვენ კი მაინც უკმაყოფილო ხართ!

– ნელი, შემინახავ ერთ საიდუმლოს? – განაგრძო და ჩემ გვერდით ჩაიმუხლა, მომხიბვლელი თვალებით ისე შემომხედა, რომ წყნა გამქარვებოდა, თუნდაც ამქვეყნად ყველაზე დამცირებული ადამიანის წყნა მდებოდა გულში.

– ღირს შენახვად? – ვკითხე უკვე ნაკლებად ნაწყენი ტონით.

– კი, რადგან ძალიან მალეღვებს ეგ ამბავი და როგორმე უნდა ამოვთქვა! აღარ ვიცი, რა ვქნა? დღეს ედგარ ლინტონმა ხელი მთხოვა და მეც უპასუხოდ ვერ დავტოვე. ოღონდ მანამ არ გეტყვი პასუხის შინაარსს, სანამ შენს აზრს არ გავიგებ.

– ჰო, მაგრამ, მის ქეთრინ, მე რა გიპასუხობ? ცხადია, რაც თქვენ დღეს იკადრეთ, მას მერე გონივრული – უარის თქმა იქნებოდა. თუკი, რასაკვირველია, იმდენად უიმედო სულელია ან რისკიანი თავმცხელარებული, რომ მაინც შემოგთავაზათ ქორწინება.

– თუ ასე გააგრძელებ, ერთ სიტყვასაც აღარ გეტყვი, – თავი შეაბრუნა და ბუზღუნით ადგა, – დავთანხმდი, ნელი. ცოტა აჩქარდი და მითხარი, თუ შეცდომა დავეუბნი!

– დათანხმდით?! მაშ რაღაა აქ განსახილველი? – სიტყვა მიგიციათ და უკან დასახევი გზაც აღარ გაქვთ.

– მაინც მითხარი, უნდა მოვქცეულიყავი ასე? – ჩამაჟინდა გაღიზიანებული ტონით, თითები გაატკაცუნა და წარბი შეკრა.

– სანამ ამ კითხვაზე რივიანად გიპასუხებდეთ, მანამდე ბევრი საკითხია განსახილველი, – ვუპასუხე დამრიგებლურად, – პირველი და უმთავრესი, გიყვართ მისტერ ედგარი?

– ცხადია, მიყვარს, – სწრაფად მომიგო.

მერე ნამდვილი დაკითხვა მოვეუწყე: რაც ოცდაორი წლის ქალიშვილისთვის არცთუ ურიგო იყო.

– რატომ გიყვართ, მის ქეთი?

– სისულელეს მეკითხები. მიყვარს და მორჩა!

– სულაც არა; უნდა მიჰასუსხოთ, რატომ?

– კარგი... იმიტომ, რომ ლამაზია და სასიამოვნოა მასთან ყოფნა.

– ცუდია! – მეტი კომენტარი არ მომაფიქრდა.

– თანაც ახალგაზრდა და მხიარულია.

– მაინც ცუდია.

– და იმიტომაც, რომ ვუყვარვარ.

– ეგ უმნიშვნელოა, მაგრამ საქმე მაინც სხვაგვარადაა.

– მას დიდი ქონება ელოდება და ამ არემარეში უდიდესი ქალი ვიქნები, მისნაირი ქმრით კი ვიამაყებ.

– ეგ ყველაზე უარესი. ახლა კი მითხარით, როგორ გიყვართ?

– როგორც ყველას უყვარს ხოლმე – რა სულელი ხარ, ნელი.

– სულაც არა. მიჰასუსხეთ.

– მიწაც კი მიყვარს მის ფეხებზე და ჰაერი – მის თავზე, ყველაფერი მიყვარს, რასაც ვხეხა და ყოველი სიტყვა, რასაც წარმოთქვამს. მიყვარს მისი ყველა მზერა, ქმედება და მიყვარს თვითონ თავიდან ფეხებამდე. აი, ასე!

– და რატომ?

– არა, უბრალოდ დამცინი; არ ეგების მასეთი მოქცევა! მე სულაც არ მეხუმრება!
– მომახალა ახალგაზრდა ლედიმ, მოიღუშა და პირი ბუხრისკენ მიიბრუნა.

– სულაც არ მეხუმრება, მის ქეთრინ, – მივუგე, – მისტერ ლინთონი იმიტომ გიყვართ, რომ ლამაზია, ახალგაზრდაა, ხალისიანია, მდიდარია და მასაც უყვარხართ. ეს ბოლო ასპექტი კი არაფერს ნიშნავს, რადგან ალბათ უმაგისოდაც გეყვარებოდით. თუმცა არასდროს არ შეგიყვარდებოდით, რომ არა პირველი ოთხი ასპექტი, რაც ესოდენ გხიბლავთ მასში.

– არა, დარწმუნებული იყავი, რომ არა: მხოლოდ შემეცოდებოდა, შესაძლოა, შემზიზივებოდა კიდევ, მახინჯი და უხიაკი რომ ყოფილიყო.

– მაგრამ ამქვეყნად რამდენი ახალგაზრდა, მდიდარი და ლამაზი მამაკაცია: მასზე ლამაზებიც იქნებიან და მდიდრებიც სადმე. მათ შეყვარებაში ხელს რა შეგიშლიდათ?

– რომ არსებობდნენ ეგეოები, ჩემგან შორს არიან: ედგარის მეტი არავინ მინახავს.

– იქნებ ვინმე გენახათ; თანაც მუდამ ახალგაზრდა არ იქნება, არც ლამაზი, შეიძლება სიმდიდრეც ვერ შეინარჩუნოს.

– ახლა ხომ არის; მე კი ახლანდელთან მაქვს საქმე. ვისურვებდი, ცოტა უფრო რაციონალურად მელაპარაკებოდე.

– კეთილი, გასაგებია: რაკი თქვენთვის დღევანდელი დღეა მნიშვნელოვანი, მაშ გაყვიით მისტერ ლინთონს.

– ამისათვის შენი ნებართვა როდი მჭირდება – გავყვები კიდევ! მაგრამ აქამდე არ გითქვამს, სწორად ვიქცევი თუ არა.

– სრულიად სწორად, თუკი ქალი მხოლოდ დღევანდელი დღისთვის უნდა თხოვდებოდეს. ახლა ის მომახსენეთ, უბედური რაღატომ ხართ? თქვენს ძმასაც გაუხარდება და ლინთონის მშობლებიც არ იქნებიან წინააღმდეგნი, მე მგონი. ამ მოუწყობელ, უნსრიგო სახლსაც დააღწევთ თავს და მდიდარ, პატივცემულ ოჯახში შეხვალთ. გარდა მაგისა, თქვენც გიყვართ ედგარი და მასაც უყვარხართ. ყველაფერი კარგად უღერს. დაბრკოლება სადღაა?

– აქ და აქ! – მიპასუხა ქეთრინმა და ერთი ხელი შუბლზე იტკიცა, მეორე მკერდზე დაირტყა: – ყველგან, სადაც სული ბინადრობს. გული და სული კი მეუბნება, ცდებიო!

– ძალიან უცნაურია! ვერაფერი გამიგია.

– ჩემი საიდუმლოც ეგაა. მაგრამ თუ არ დამცინებ, გაგიმხელ: მკათიოდ არ გამომივა, მაგრამ ვეცდები, როგორმე გაგაგებინო, რას ვგრძნობ და განვიცდი.

ისევ გვერდით დამიჭდა: უფრო სერიოზული და სევდიანი სახე მიიღო, ხელები კი აუკანკალდა.

– ნელი, ნუთუ არასდროს გესიზმრება უცნაური სიზმრები? – მკითხა მოულოდნელად რამდენიმეწუთიანი დაფიქრების შემდეგ.

– კი, ზოგჯერ, – დავუკმაყოფილე ცნობისმოყვარეობა.

– მეც. ისეთი რამეც დამსიზმრებია, რაც სამუდამოდ ჩემში დარჩენილა და ჩემი აზროვნებაც შეუცვლია. ეს სიზმრები ისე შემოსულან ჩემში და ისე შემრევინან, როგორც წყალი ღვინოს და ჩემი აზროვნების ელფერი შეუცვლიათ. ახლა სწორედ ერთი მინდა მოგიყვე, ოღონდ არ გაგეცინოს მის არც ერთ ნაწილზე.

– ოჰ, არაა საჭირო, მის ქეთრინ! – დავამშვიდე, – ისედაც არ გვაკლია მოღუშულობა, მოჩვენები რომ არ გამოვიხმოთ და ხილვებმა არ შეგვაკუბუნონ! კმარა, გამხიარულდით და გახალისდით! აბა, პატარა ჰერთონს დახედეთ! ცუდი არაფერი ესიზმრება. როგორ ტკბილად იღიმის ძილში!

– ჰო; და როგორ ტკბილად იგინება მარტომყოფი მამამისი. ალბათ გენსომება მასეთივე პატარა და პირმრგვალი რომ იყო და მასეთივე უცოდველი. მიუხედავად ყველაფრისა, ნელი, მაინც გაიქულებ, რომ მომისმინო: დიდი ხნის მოსაყოლი არ არის. ამაღამ კი მხიარულების თავი არ მაქვს.

– არ მოვისმენ, არ მოვისმენ! – ერთბაშად მივაყარე.

იმხანად სიზმრების მჯეროდა – და ახლაც მჯერა. ქეთრინს კი ისეთი უჩვეულო იერი ჰქონდა, რომ მეგონა, რასაც მომიყვება, არ ახდეს-მეთქი და მოსალოდნელი კატასტროფის წარმოდგენამ შემაშინა. გაბრაზდა, მაგრამ აღარ გაუგრძელებია. მერე ვითომ სხვა რამის თქმა სურდა, საუბარი გაახლა:

– ზეცაში რომ ვიყო, ნელი, საშინლად საბრალო ვიქნებოდი.

– იმიტომ, რომ იქ მოხვედრას არ იმსახურებთ, – მივახალე, – ზეცაში ყველა ცოდვიანი საბრალო იქნება.

– არა, მაგიტომ არა. ერთხელ მესიზმრა, რომ ზეცაში მოხვდი.

– უკვე გითხარით, თქვენს სიზმრებს არ მოვისმენ-მეთქი, მის ქეთრინ! წავალ, დავნვები, – შევანყვეტინე თხრობა.

გაიციან და ძალით დამსვა, რადგან უკვე წამოვიწიე ასადგომად.

– ისეთი არაფერია მოსაყოლი, – შესძახა მან, – უბრალოდ იმის თქმა მსურდა, რომ ზეცაში თავი შინაურულად ვერ ვიგრძენი. თავი მოვიკალი ტირილით, რომ უკან, დედამინაზე დავბრუნებულიყავი, რამაც ანგელოზები ისე განარისხა, რომ პირდაპირ «ქარიშხლიანი უღელტეხილის» ბორცვზე მომისროლეს. იქ სიხარულის ტირილით გავიღვიძე. ეს ჩემი საიდუმლოს ახსნაშიც დაგეხმარება და სხვა ყველაფრის გაგებაში. მე კი არც ედგარ ლინთონზე გათხოვება მინდა ახლა და არც ზეცაში მოხვედრა, მაგ ავადმყოფ კაცს კი ჰითქლიფი რომ არ დაემცირებინა ასე, მსგავს ქორწინებაზე არც ვიფიქრებდი. ახლა რომ ჰითქლიფს გავყვე, დავმცირდები. არადა, ვერასოდეს გაიგებს, როგორ მიყვარს: ოღონდ არა იმიტომ, რომ ლამაზია, არამედ იმიტომ, რომ ის უფრო მეტად ჩემიანია, ვიდრე მე ვარ ჩემი თავისთვის. რისგანაც უნდა იყოს ადამიანის სული შექმნილი, ჩემი და მისი ერთი და იმავე მასალით არის ნაკეთი. ლინთონის სული კი ისეთივე განსხვავებულია, როგორც მთვარის შუქი ელვისგან ან თრთვილი – ცეცხლისგან.

როდესაც საუბარი დაასრულა ქეთრინმა, მივხვდი, რომ ჰითქლიფიც იქვე იყო. უმცირეს გატარებაზე თავი მივაბრუნე და დავინახე, როგორ უჩუმრად ადგა და გავიდა. იქამდე მოესმინა ქეთრინის ლაპარაკი, მასთან ქორწინება დამამცირებლო, რომ თქვა ქეთრინმა, გაგრძელების მოსმენა აღარ ინება. ქეთის, ძირს რომ იჯდა, მაღალი სკამი ეფარებოდა, რომ მისი გასვლა დაენახა. მაგრამ მე ხელით ვანიშნე, იუჩე-მეთქი.

– რატომ? – იკითხა და ნერვიულად მოატარა ოთახს თვალი.

– ჯოზეფია აქ, – ვუპასუხე და გზიდან მისი ურიკის ბორბლების ჭრილიაც მოისმა, – ჰითქლიფიც მას მოჰყვებოდა. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამწუთას კართან არ იდგა.

– უჰ, კართან მყოფი რას გაიგონებდა! – დაიმშვიდა თავი, – მომიყვანე ჰერთონი, სანამ ვახშამს მოამზადებ. როცა ყველაფერს დაასრულებ, დამიძახე და თქვენთან ერთად ვივახშმებ. მინდა, აღელვებული სინდისი მოვიტყუო და დავრწმუნდე, რომ ჰითქლიფმა არაფერი იცის. ხომ ვერაფერს ხვდება? რა იცის, რას ნიშნავს, როცა შეყვარებული ხარ!

– მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა იცოდეს და თუკი თქვენ ხართ მისი არჩევანი, მაშინ ყველაზე უბედური ქმნილება ყოფილა ამ ქვეყანაზე! როგორც კი მისის ლინთონი გახდებით, ის მეგობარსაც დაკარგავს, სიყვარულსაც და ყველაფერს, თუ რამ აბადია! იმაზე თუ დაფიქრებულხართ, როგორ გაუძლებთ უმისობას, ან ის როგორ შეეგუება უთქვენობას, რადგან სრულიად მიუსაფარი დარჩება დედამიწის ზურგზე? რადგან, მის ქეთრინ...

– მიუსაფარი! უჩემობა! – გულისწყრომით შესძახა ქეთრინმა, – კი მაგრამ, ვინ აპირებს განმორებს, გეხვეწები? ეცადონ და მილონის ბედს გაიზიარებენ! სანამ ცოცხალი ვარ, ეს არ მოხდება, ელენ. ვერა სულიერი ამას ვერ მაიძულებს. უნინ ყველა ლინთონი აღიგვება პირისაგან მიწისა, ვიდრე ჰითქლიფს მივატოვებდე! ოჰ, ეს ის არ არის, რაც მე ახლა მანუხებს და რაზეც მოგახსენებდი! ამ ფასად მისის ლინთონობა სულაც არ მინდა! ის ჩემთვის იგივე იქნება, რაც მთელი ცხოვრება იყო. ედგარს მოუწევს, თავისი ანტიპათია დაივიწყოს ჰითქლიფისადმი და მოთმინებით აიტანოს, სხვა თუ არაფერი. ასეც მოიქცევა, როდესაც ჰითქლიფისადმი ჩემს ჭეშმარიტ გრძნობას გაიგებს. ნელი, ვხედავ, რომ ახლა ერთი საცოდავი ეგოისტი გკონივარ, მაგრამ თუ დაფიქრებულხარ იმაზე, მე და ჰითქლიფი რომ დავქონწინებულიყავით, მათხოვრებად ვიქცეოდით? ხოლო თუ ედგარს გავყვები, ჰითქლიფს ფეხზე წამოღგომასა და ჩემი ძმის ულლისგან გათავისუფლებაში დავეხმარები.

– თქვენი ქმრის ფულით, მის ქეთრინ? – პირდაპირ მივახალე კითხვა, – არა მგონია, ისეთი დამყოლი აღმოჩნდეს თქვენი მეგობარი, რომ მსგავს რამეზე დაგთანხმდეთ, თუმცა გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. მე მგონი, ეს ყველაზე საძაგელი საბაბია, რომელიც კი შეიძლება დაასახელოთ ლინთონზე გათხოვების საბაბად.

– ნურას უკაცრავად! – მომიჭრა, – ეს საუკეთესოა! ის დანარჩენი ჩემი ჭირვეულობის დასაკმაყოფილებლად და ედგარის გულის მოსაგებად გამოდგება, მისთვის კმაყოფილების მოსაგვრელად. ყოველივე ეს კი იმ ადამიანისთვის არის გამიზნული, ვინც თავს მირჩევნია და უნდა გაიგოს ჩემი გრძნობები ედგარისადმი. სიტყვით ვერ გამოვხატავ, მაგრამ ალბათ ყველას გექნებათ ან უნდა გქონდეთ წარმოდგენა, რომ რაღაც ჩვენეული არამხოლოდ ჩვენში, არამედ ჩვენ მიღმაც არსებობს. რა აზრი ექნებოდა ჩემს არსებობას, მხოლოდ აქაურობით და ჩემი თავით რომ შემოვიფარგლებოდე? ამქვეყნად ჩემი ყველაზე დიდი დარდი და წუხილი ჰითქლიფის დარდი და წუხილია, რაც ახლა კი არ დანყებულა, ბავშვობიდან მომდევს.

ამქვეყნად ჩემი ყველაზე დიდი საფიქრალი ჰიოტელიფია. ყველაფერი რომ აღიგავოს პირისაგან მიწისა და მხოლოდ ის გადარჩეს, ჩემს არსებობასაც აზრი ექნება, ხოლო მას თუ რამე დაემართა, მაშინ თავად სამყარო გაუცხოვდება ჩემთვის და მისი ნაწილი ვედარ ვიქნები. ჩემი სიყვარული ლინთონისადმი აყვავებულ ტყეს ჰგავს, რასაც, კარგად ვიცი, დრო ისევე შეცვლის, როგორც ზამთარი განძარცვავს ხოლმე მარტოხელა ხეს. ხოლო ჰიოტელიფისადმი ჩემი სიყვარული მყარ კლდეს მაგონებს, რომელსაც მცირედზე მცირედი სიხარული მოაქვს, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელია. ნელი, მე ჰიოტელიფი ვარ! ის ჩემი ფიქრების ჰატრონია: არა როგორც სიამე ან ის, ვინც თავს მიჩვენია, არამედ როგორც ჩემივე არსი. ასე რომ, ჩვენს განშორებაზე სიტყვა აღარ დაცდეს. ეს შეუძლებელია, თანაც...

შეჩერდა და სახე ჩემს კაბაში ჩამალა; მაგრამ მე ხელისკვრით მოვიშორე. მისი სისულელის მომთმენი არ ვიყავი!

– თქვენი ნაბოღვარიდან ბევრი ვერაფერი გავიგე, მის, – დავიწყე მე, – მხოლოდ იმას ვხვდები, რომ ზოგადი წარმოდგენაც კი არ გაქვთ ქორწინების ვალდებულების შესახებ, ანდაც ახირებული, უპრინციპო ქარაფშუტა ბრძანდებით. მაგრამ ძალიან გთხოვთ, მეტი საიდუმლოს გამხელით ნულარ შემანყენთ, თორემ შენახვას ვერ დაგპირდებით.

– მაგრამ ამას ხომ შემინახავ? – დაეჭვებით მკითხა.

– არა, ვერ დაგპირდებით, – მივუგე მე.

აშკარად აპირებდა, რომ ჩამჟინებდა, მაგრამ ჯოზეფის შემოსვლამ ჩვენი საუბარი შეწყვიტა; ქეთრინი კუთხეში გადაჯდა და ჰერთონის რწევა დაიწყო, სანამ ვახშამს ვაშხადებდი. როდესაც კერძი დამზადდა, მე და ჯოზეფი შევკამათდით, თუ ვის უნდა მიერთმია ბატონისთვის ვახშამი. მანამდე ვერ მოვრიგდით, სანამ ყველაფერი არ გაიცივდა. მერე შევთანხმდით, რომ გვეკითხა, რას ინებებდა. რადგან გვემინოდა ხოლმე მასთან შესვლისა, როდესაც გარკვეული ხანი მარტო იმყოფებოდა.

– უკვე რა დროა და ის უსაქმური კი მინდვრიდან არ დაბრუნებულა. რა ეტაკა? ზარმაცობს! – ასე ბუზღუნებდა ბებერი ჯოზეფი და თან ჰიოტელიფს ეძებდა თვალით.

– დავეუძახებ, – ვუთხარი მე, – საჯინბოში იქნება, დარწმუნებული ვარ.

წავედი კიდეც საჯინბოში და დავეუძახე, მაგრამ ჰასუხი ვერ მივიღე. დაბრუნებისას მის ქეთრინს ვეჩურჩულე, ალბათ თქვენი საუბრის დიდი ნაწილი მოისმინა-მეთქი და ისიც ვუთხარი, თქვენი ძმის ცუდ დამოკიდებულებაზე რომ საუბრობდით ჰიოტელიფის მიმართ, სწორედ მაშინ მოვკარი მას თვალი-მეთქი. ქეთი დაფეთებული წამოხტა, ჰერთონი სკამზე მიანვინა და ჰიოტელიფის მოსაძებნად გაიქცა, თან არც დაფიქრებულა, რატომ უნდა სწყენოდა ყმანვილს მისი სიტყვები. იმდენ ხანს არ დაბრუნდა, რომ ჯოზეფმა მითხრა, ნულარ დავეუცდითო. ეშმაკურად ივარაუდა, ეტყობა, სუფრასთან ჩემი გრძელი ლოცვის მოსმენა არ უნდოდათ და ამიტომ გადაიკარგნენო. ორივენი იმდენად ბიწიერნი არიან, რომ არაფერზე უკან არ

დაიხვეწე, დაასკვნა ბოლოს. მერე მათი სახელითაც წაიკითხა კიდევ ერთი ლოცვა, გარდა ჩვეულებრივი ტრაპეზისწინა თხუთმეტწუთიანი ლოცვისა და ალბათ რაიმე სავედრებელსაც დაამატებდა, უეცრად ახალგაზრდა ქალბატონი რომ არ შემოვარდნილიყო და ებრძანებინა, გზაზე გადი და სადაც არ უნდა დაყიალებდეს, ჰითქლიფი იპოვე და შინ დააბრუნე!

– მასთან სალაპარაკო მაქვს და მანამდე უნდა დაველაპარაკო, სანამ ჩემს ოთახში ავიდოდე! – მიმართა ჯოზეფს, – ჭიშკარი ღიაა. ეტყობა, სადმე შორს წავიდა, რადგან ქართის სახურავიდან ვეძახე, რაც ძალი და ღონე მქონდა და ხმა მაინც ვერ მივანვლინე.

ჯოზეფი ჯერ გაჯიუტდა, მაგრამ ქეთი ისე იყო აღელვებული, შეწინააღმდეგება არ ღირდა. ბოლოს იკადრა, ქუდი დაიხურა და ზღაპრით გავიდა. ამასობაში კი ქეთრინი ოთახში ბოლოთას სცემდა და იმეორებდა:

– ნეტავ ვიცოდე, სად არის? ან სად უნდა იყოს! ასეთი რა ვთქვი, ნელი? აღარაფერი მახსოვს. დღეს ჩემმა განწყობამ გაანაწყენა? მითხარი, გენაცვალე, ასეთი რა ვთქვი, რომ ვანყენინე? ნეტავ დაბრუნდებოდეს. იმედია, ასეც მოიქცევა!

– არაფრის გამო ტეხთ ხმაურს! – ვუსაყვედურე, თუმცა კი გული მეც ცუდს მეუბნებოდა, – რამ შეგაშინათ? რა დიდი ამბავია, ჰითქლიფი მთვარის შუქზე ჭაობებში თუ დასერიანობს? ან თივის ზვინზეა მიწოლილი და იმდენად უგუნებოდ არის, რომ ჩვენთან ლაპარაკს იქ ყოფნა ურჩევნია? სანაძლეოს ჩამოვალ, თივაში კოტრიალებს ახლა. ნახეთ, თუ ზვინიდან არ გამოვართვით!

გარეთ გამოვედი და ძებნას ხელახლა შევედექი, მაგრამ, ჯოზეფისა არ იყოს, ამაოდ დაეშვერ და ხელცარიელი დავბრუნდი.

– ევ ბალღი სულ ხელიდან წავიდა! – გაბრაზებით თქვა შემოსვლისას ჯოზეფმა, – ჭიშკარი ყურთამდე ღია დაუგდია, მის ქეთის პონი კი გარეთ გავარდნილა და მინდორში გაქცეულა! ხვალ ნახეთ, როგორ გამხეცდეს ჩვენი ბატონი, ამ ამბავს რომ გაიგებს. მაგ ეშმაკის ფეხთან ისედაც ამხელა მოთმინებას იჩენს, ის კი... ხვალ ნახავთ, რაც დაგატყდებათ. მისნაირ კაცს რომ გაამხეცებ, შედეგზე აღარ უნდა იწუნო!

– იპოვე თუ არა, ჰითქლიფი, შე ვირო? – გაანყვეტინა ბუზღუნი ქეთრინმა, – ისე მოძებნე, როგორც მე დაგავალე?

– ცხენს უფრო მოვძებნიდი, – გაისმა პასუხი, – მეტი აზრი მაინც ექნებოდა. მაგრამ ამ ყომრალ ღამეში ვერც ცხენს მიაგნებს კაცს და ვერც ადამიანს – საკვამურში უფრო მეტი სინათლეა, ვიდრე გარეთ. ჰითქლიფი კი ის ბიჭი არ არის, ჩემს დასტვენილზე მოირბინოს, აი, თქვენ რომ გასძახებდეთ, იქნებ ყური შეებერტყა!

ზაფხულისთვის მეტისმეტად ბნელი ღამე დაიჭირა: ცაზე ღრუბლების რიალი ჭექა-ქუხილს მოასწავებდა. ყველას შევთავაზე, დავსხდეთ-მეთქი. სადაცაა წვიმა წამოვა და აი, ნახავთ, თუ შინ არ მოცუხცუხდება-მეთქი. თუმცა ქეთრინის დარწმუნება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ისევ წინ და უკან დადიოდა, ოღონდ ამჯერად ოთახში კი

არა, ეზოს კარიდან სახლამდე, თან ისეთი გამძვინვარებული იყო, არავის დაინდობდა. მერე, ეტყობა, დაილაღა, გალაგნის კედელთან დადგა, რომ გზისთვის ედევნებინა თვალი. ჩემი არაერთგზის თხოვნისა და ქუხილის მიუხედავად, ზეციდან წამოსული მსხვილ-მსხვილი წვეთების ქვეშ დარჩა და შიგადაშიგ გასძახებდა ხოლმე და მერე აყურადებდა. ბოლოს ისე აქვითინდა, რომ ვერც პატარა ჰერთონი და ვერც სხვა ნებისმიერი ბავშვი ასე ვერ ამოივლებდა გულს.

უკვე შუალამე იქნებოდა, ჯერ კიდევ ვიცდიდით, ქარიშხალი ამოვარდა და «უელტეხილს» დაატყდა თავს გამძვინვარებული. ქარი და ელვა გამშაგებით იბრძოდნენ და სახლის კუთხეში მდგარი ნაძვი გადატყდა ან ერთის, ან მეორის ძალისხმევით: უზარმაზარი როკი სახურავს აღმოსავლეთის მხარეს დაეცა და საკვამურის ნაწილი გადაამტვრია – შედეგად სამზარეულოს ბუხარში ქვა და ჭვარტლი ჩამოხვავდა. ვითიქრეთ, სახლს მეხი დაეცაო და ჯოზეფი მუხლებზე დაეცა, უფლისათვის ვედრების აღსავლენად და ბიბლიური პატრიარქები ნოე და ლოთი შეახსენა, რათა ეთხოვა, უსოდველნი კიდევ ერთხელ გვიხსენი და უღმერთონი დასაჯეო. მეც ისეთი შეგრძნება დამეუფლა, განკითხვის დღე დაგვიდგა-მეთქი. იონა, ჩემს წარმოსახვაში, მისტერ ერნშო იყო; მისი ბუნაგის სახელური დავნეი, რომ გამეგო, ამქვეყნას იყო ჯერ თუ არა. იმდენად გასაგებად და ბილწად გამოგვეხმაურა, რომ ჯოზეფი კიდევ უფრო ხმამაღლა შეუდგა ლოცვას, რათა უფლის თვალში მისნაირ წმინდანებსა და ბატონისნაირ უკეთურებს შორის მკვეთრი განსხვავება გამოველინა. მაგრამ გრგვინვამ ოციოდე წუთში გადაიარა და ჩვენთვის ზიანი არ მოუტანია; ცხადია, თუ ქეთის არ ჩავთვლით, რომელმაც ჯიუტად განაცხადა უარი, რომ თავი შეეფარებინა და ახლა სულ გასაწერი იყო – არც ქუდი ეხურა და არც მოსასხამი ჰქონდა, იდგა და თმითა და კაბით თითქოს მთელ ნიაღვარს ისრუტავდა. ბოლოს, შინ შემოვიდა და მოგრძო სკამზე გადაწვა გალუმპული, მერე შებრუნდა და თვალეებზე ხელები აიფარა.

– აბა, მის! – მხარზე შევეხე, – თავის მოკვლას ხომ არ აპირებთ? თუ იცით, რომელი საათია? პირველის ნახევარია. წამოდით, დანეჭით! აზრი აღარა აქვს მაგ ტუტუცი ბიჭის ამო ლოდინს: გიმერთონში წავიდოდა და იქვე გაათევს ღამესაც. ალბათ ხვდება, რომ ასე გვიანობამდე არავინ დაუცდიდა და იმასაც ხვდება, რომ ახლა ზეზე მხოლოდ მისტერ ჰინდლი თუ იქნება. ასე რომ, ეტყობა, თავი აარიდა ამ დროს შინ მოსვლას, ვაიდა, ბატონმა გამიღოს კარით.

– არა. არა, გიმერთონში რა უნდა, – წამოაყრანტალა ჯოზეფმა, – ალბათ სადმე თხრილში ეგდება. ცოდვებმა უნია, ეტყობა, და თუკი ქალბატონიც გაითვალისწინებდა მის ამბავს, წაადგებოდა, რომ მასაც იგივე არ დაემართოს. მადლობა უფალს ყველაფრისთვის! ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის იმ ადამიანებისთვის, ვინც უფლის რჩეულია. იცით, წმინდა წერილი რას ამბობს? – ჯოზეფმა ბიბლიიდან სხვადასხვა შეკონების ციტირება დაიწყო, თან შეძლებისდაგვარად უთითებდა თავებსა და მუხლებს, რომ ჩვენც მიგვეგნო.

მე, რაკი ამოდ ჩამიარა გაკვრპებული ქეთისთვის თხოვნამ, – ადექით და სველი კაბა გამოიცვალეთ-მეთქი, აცახცახებული შევატოვე ხელში მოქადაგე ჯოზეფს და პატარა ჰერთონთან ერთად მოსასვენებლად წავედი, რომელსაც ისე სწრაფად

მოკვიდა ძილი, თითქოს მის ირგვლივ ყველაფერი ძილბურანში ყოფილიყო გახვეული. მესმოდა, ჯოზეფი რომ ავრძელებდა კითხვას; მერე მისი ნელი ნაბიჯების ხმა კიბებზე გაისმა და რული მომერია კიდეც.

მეორე დილით ჩვეულებრივზე გვიან ჩავედი სამზარეულოში და დარაბების ღრიჭოებში შემოპარული მზის სხივების შუქზე ბუხართან გაყურსული მის ქეთი დავინახე. სახლის კარი გაღებული იყო და სინათლე იქიდანაც აღწევდა. ჰიდლი ადრინად ამდგარიყო და ბუხართან ნამძინარევი და ღონემიხიდილი იდგა.

– რას შეუწუხებიხარ, ქეთი? – ჩემი შესვლისას ჰკითხა დას, – ისეთი მიმკვდარებული ხარ, როგორც დამხრჩვალ ლეკვი. ან ასეთი სველი და ფერმკრთალი რატომ ხარ, პატარავ?

– დავსველდი, – უხალისოდ უპასუხა, – და გავცივდი, სხვა რა უნდა მანუხებდეს.

– ოჰ, რა გაუგონარია! – შევიცხადე მე, რაკი შევამჩნიე, რომ ბატონი საგრძნობლად გამოფხიზლებულიყო, – წუხელ პირდაპირ წვიმაში გაბრძანდა, მთელი ღამე კი აქ გაატარა და ადგილიდან ვერ დავძარი.

მისტერ ერნშომ გაოცებულმა შემოგვხედა.

– მთელი ღამე... – გაიმეორა მან, – მერე დანოლაში ხელი რამ შეუშალა? ჭექა-ქუხილის შიმშია? რამდენი საათია, რაც ამინდი გამოკეთდა?!

არც ერთ ჩვენგანს ჰიქთლიფის არყოფნის ხსენება არ გვსურდა, სანამ დამალვას მოვახერხებდით, ამიტომ მე ვუპასუხე, აზრზე არ ვარ, რამ მოუარა თავში, რომ მთელი ღამე აქ გაატარა-მეთქი; ქეთიმ კი ხმა არ ამოიღო. გრილი დილა გათენდა. ფანჯარა გავაღე და ბარიდან სასიამოვნო სურნელი შემოიჭრა. მაგრამ ვალიზიანებულმა ქეთიმ დამიკვილა:

– ელენ, დახურე ფანჯარა. ისედაც სიკვდილის პირას ვარ! – კბილები უკანკანებდა და ძლივს მხრჩოლავ ნაღვერდალს ეფიქსებოდა.

– ავად არის, – თქვა ჰინდლიმ და მაჯაზე მოკიდა ხელი, – მე მგონი, ამიტომ არ დაწვა წუხელ. ჯანდაბა! აღარ მინდა ამ სახლში კიდევ ვინმეს ავადობით შევწუხდე. წვიმაში რამ გავიყვანა?

– ისევ იმ ბიჭს გაეკიდა! – ისევ წამოაყრანტალა ჯოზეფმა, ისარგებლა ჩვენი ღუმლით და ჭარტალა ენას ამოძრავების საშუალება მისცა, – მე რომ თქვენი ვიყო, ბატონო, ორივეს კარს მივეხურავდი ცხვირწინ – მშვიდად და მარტივად! დღე არ გავა, რომ ის ლინთონების ლანჩრაკი არ მოეხეტოს – დაგივლებენ წასულს და ეგრევე აქ დაერჭობიან ხოლმე. ეს ნელიც კი ჩიტია, სამზარეულოში აყუდია და ყარაულობს, რომ როგორც კი თქვენ დაგინახავთ, ეგრევე შევარდეს და გააფრთხილოს. ხშირად თქვენ რომ ერთი კარით შემოდინხართ, ეგ ლანჩრაკი მეორე კარით გადის. ან შუალამისას მინდვრებში, ნაბუშარი ჰითქლიფის დევნა რა იყო?! ამათ მე ბრმა ვგონივარ, მაგრამ ვერ მივართვი: მშვენივრად ვხედავ! ჩემი თვალით ვნახე, როგორ

მოიპარა აქ მისტერ ლინთონი! შენ კი (ჩემკენ მომართა რისხვა), შე ბოროტო ჯადოქარო, როგორ შეიძურნე ოთახში მათ გასაფრთხილებლად, როგორც კი ბატონის ცხენის ფლოქვების თქარუნი ჩაგესმა მაგ დასაყრუებელ ყურებში.

– გაჩემდი, შე ქვემძრომო ენატანიაე! – უკვილა ქეთრინმა, – ჩემთან უტიფრობა არ გაბედა! ედგარ ლინთონმა გუშინ შემთხვევით შემოგვიარა, ჰინდლი, და სწორედ მე ვუთხარი, წაღი-მეთქი, რადგან არ გიყვარს, როდესაც შენს არყოფნაში გვსტუმრობს.

– ტყუი, ქეთი, ეჭვიც არ მეპარება, – შეეპასუხა ძმა, – შენი მოსატყუებელი კბილი მოცვლილი მაქვს! მაგრამ ახლა ლინთონი არ მადარდებს. მითხარი, წუხელ ჰითელიფთან ერთად დაეხეტებოდი? სიმართლე მითხარი. ნუ გეშინია, რომ რამეს დაუშავებ ამით. მართალია, წინანდებურად მძაგს, მაგრამ ცოტა ხნის წინ პატარა სიკეთე გამოიკეთა, რის გამოც სინდისი უფლებას არ მომცემს, კისერი მოვეგრიხო. ხელი რომ არ გამექცეს, დილიდანვე სადმე მოშორებულ ადგილას გავგზავნი სამუშაოდ, მის არყოფნაში კი თქვენ მოგხედავთ: მე ვიცი და ჩემმა კაცობამ!

– წუხელ ჰითელიფი საერთოდ არ მინახავს, – უპასუხა ქეთრინმა და ასლუკუნდა, – და თუ სახლიდან გააგდებ, იცოდე, მეც მას გაყვები. მაგრამ იქნებ არც გელიროს ეგ სიამოვნება, ვინიცობაა, თვითონ წავიდა უკვე, – ქეთი მწარედ აქეთიინდა და მისი სიტყვების გარჩევა შეუძლებელი გახდა.

ჰინდლიმ ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხა თავს და უბრძანა, შენს ოთახში გაეთრიე, ან უაზროდ ნუ ტირიო. მეც დავაძალე, გასულიყო და ის სცენა არ დამავინწყდება, რაც ქეთიმ მოაწყო, მის ოთახს რომ მიუეხლოვდით: ლამის გული გამიხეთქა. ვიფიქრე, ხომ არ გიუღდება-მეთქი და ჯოზეფს შევევედრე, ექიმი მოეყვანა. აშკარად ბოღვა ეწყებოდა. მისტერ ქენეთმა როგორც კი გასინჯა, მძიმედ არისო, განაცხადა. ციებ-ცხელება დამართვოდა. ექიმმა სისხლი გამოუშვა და დამავალა, მიხედო: წყლით დამზადებული ფაფები უნდა მიმეცა და თვალი მეღვენებინა, რომ ან ფანჯრიდან არ გადამხტარიყო ან საკიბურში არ ჩავარდნილიყო. დამარიგა და წასვლას გაეჩქარა, რადგან მრევლში ბევრი საქმე ელოდა, გზა კი მთელი სამი მილი იყო ერთი მოსახლიდან მეორემდე.

ვერ ვიტყვი, თავზე ვყვებოდი-მეთქი, არც ჯობეფსა და ჰინდლის გამოუჩენიათ დიდი მზრუნველობა, და მართალია, ჩვენი ქეთიც ჯიუტი და ჭირვეული პაციენტი იყო – როგორც ჩვეულებრივ ახასიათებთ ხოლმე ავადმყოფებს – მაინც გამოჯანმრთელდა და ფეხზე წამოდგა. ქალბატონმა ლინთონმა რამდენჯერმე მოგვიჩაუხელა, რომ ქეთის ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაეგო და სახლისთვის მიექცია ყურადღება; დავალებებიც მოგვცა, ხოლო როდესაც ქეთრინი მოკეთდა, დაიჟინა, «შოშიების კარმიდამოში» გადავიყვანო. რაზეც დიდად მადლიერნი დავრჩით. მაგრამ მოკლე ხანში მისის ლინთონს სანანებელი გაუხდა თავისი სიკეთე: თვითონაც და მის ქმარსაც ციება გადაედოთ და ერთიმეორის მიყოლებით აღესრულნენ.

ახალგაზრდა ქალბატონი კიდევ უფრო კადნიერი, უტიფარი და ანჩხლი დაგვიბრუნდა. ჰითელიფის შესახებ იმ ქარიშხლიანი ღამის შემდეგ აღარაფერი

გვსმენია და ერთხელაც, ძალიან რომ გამაბრაზა, ჩემდა ჭირად წამოვაძახე, მისი გაუჩინარება თქვენი ბრალია-მეთქი. არადა, თვითონაც მშვენივრად იცოდა სიმართლე. იმ წუთიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ხმას თითქმის აღარ მცემდა და თუ რამეს მეტყობდა, მხოლოდ როგორც უბრალო მოსამსახურეს. ჯობიერსაც შეეხო ეს სადამსჯელო ზომა, თუმცა ენას მაინც არ აჩერებდა და ისე კიცხავდა მის ქეთის და ლექციებს უკითხავდა, თითქოს პატარა გოგოს ტუქსავსო. ქეთრის კი თავი ზრდასრულ ქალად, ჩვენს დიასახლისად მოჰქონდა და მიიჩნევდა, რომ გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ ყველანი განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით უნდა განვწყობილიყავით მის მიმართ. თან ექიმმაც გვითხრა, რამეს თუ აიხიერებს, დიდ წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ, ნებაზე მიუშვით, თორემ ვინც წინ გადაეღობება, ნებისმიერი თქვენი მცდელობა მკვლევლობის ტოლფასი იქნება მის თვალშიო. მისტერ ერნოსა და მისი წრისგან თავი შორს ეჭირა, უფროსი ძმაც, ქენეთის დარიგებისამებრ, ისევე ბრაზმა არ დარიოს ხელიო, ყველა ხუმტურს უსრულებდა. ქეთის ახირებებზე თვალს ხუჭავდა, ოღონდ არა იმდენად სიყვარულით, რამდენადაც ქედმაღლობის გამო: სურდა, რომ დას მალე აღედგინა ოჯახის რეპუტაცია ლინთონების ოჯახში შესვლით. გარდა ამისა, ოღონდ კი დას არ შეეწუხებინა და ჩვენ თუნდაც ისე მოგვეცეოდა, როგორც მონებს – სულ არ ანალულებდა! ედგარ ლინთონს კი, როგორც ხდება ხოლმე, სიყვარულით თვალეზი ჰქონდა დაბრმავებული და თავს უბედნიერეს კაცად რაცხდა დედამიწაზე. მამამისის გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე ქეთის ხელი მოჰკიდა და გიმერთონის ეკლესიაში დაინერეს ჯვარი.

ჩემი სურვილისდა მიუხედავად, დამიყოლიეს, «ქარიშხლიანი უღელტეხილი» დავტოვე და აქ გადმოვეყვი. პატარა ჰერთონი უკვე ხუთის იყო და ასოების სწავლება ახალი დაწყებული მქონდა მისთვის. განშორება გავვიჭირდა, მაგრამ ქეთრისის ცრემლები უფრო ძლიერი აღმოჩნდა ჩვენსაზე. როდესაც მე უარი განვაცხადე და ნახა, რომ თავისი ვედრებით გულს ვერ მომიღობდა, ადგა და ჯერ თავის ქმარს, მერე კი ძმას შესჩივლა. პირველმა კარგი ხელოვანი შემომთავაზა, მეორემ კი – ბარგი აიკარიო, მიბრძანა, სახლში ქალები არ მჭირდება, რადგან დიასახლისი არ მეყოლებათ. ჰერთონს ცოტა ხანში მღვდელს მივაბარებ და ის მოკიდებს მის აღზრდას ხელსო. ასე რომ, მხოლოდ ერთი არჩევანი მქონდა – ბრძანება შემესრულებინა. ბატონს ვუთხარი, ყველა წესიერ ადამიანს იშორებთ, რომ რაც შეიძლება მალე დაიღუპოთ თავი-მეთქი. ჰერთონს ვაკოცე, დავემშვიდობე და მას მერე ის სრულიად გამიუცხოვდა. ძნელია სხვის მაგივრად თქმა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ელენ დინი საერთოდ აღარ ეხსომება, რომლისთვის ის ოდესღაც მთელ სამყაროს წარმოადგენდა!

მნემ უეცრად ბუხრის თავზე დადგმულ საათს გახედა და ლამის გული გაუსკდა, როდესაც ისრებმა პირველის ნახევარი უჩვენეს. საუბრის გაგრძელებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო და სიმართლე რომ ვთქვა, არც მე ვიყავი წინააღმდეგი, ამბის დანარჩენი ნაწილი შემდეგისთვის გადაგვედო. ახლა კი, როდესაც მისის დინი უკვე თავის სამყოფელშია და მეც კარგა ორი საათია, რაც მონაყოლზე ვფიქრობ, მხნობას მოვიკრებ და დასაძინებლად დავწვები მიუხედავად იმისა, რომ თავი დამძიმებული მაქვს და ძალიან მეზარება.

განდევილის მომხიბლავი ცხოვრების დასაწყისი! ოთხი კვირა წამება, ბორცვა და ავადმყოფობა! ოჰ, ეს გამჭოლი ქარები და ჩრდილოეთის სასტიკი ცა, გაუვალე გზები და სოფლის ზოზინა ექიმები! ადამიანთა ფიზიოგნომიის ნაკლებობა! და უარესი: ქენეთის საძაგელი მინიშნებები, რომ გაზაფხულამდე შინიდან გასვლის იმედიც არ უნდა მქონდეს!

მისტერ ჰითქლიფმა პატივი დამლო და მინახულა. ერთი კვირის წინ კაკები გამომიგზავნა – სეზონზე უკანასკნელი. გათახსირებული! ჩემს ავადმყოფობაში სრულიად უბრალო ნამდვილად არ არის ვაჟბატონი – ერთი სული მქონდა, რომ ეს მეთქვა. მაგრამ ამაოდ! როგორ ვანყენინებდი იმ ადამიანს, ვინც მთელი საათი სანოლთან მეჯდა სამადლოდ და ათას რამეზე მესაუბრებოდა, გარდა აბების, ორპირი ქარების, სალბუნებისა და წურბლებისა? გულზე მომეშვა. კითხვის თავიც არ მაქვს. მაგრამ რამე თავშესაქცევზე უარს არ ვიტყვოდი. მისის დინისთვის ხომ არ მეხმო, რომ თხრობა განეგრძო? შემძლია, ძირითადი ამბები გავისხენო მის მოსვლამდე. ჰო, გამახსენდა: მისი გმირი გაიქცა და სამი წელიწადი არავის არაფერი სმენოდა მასზე. ჰო, ქეთი კი გათხოვდა. დაფურეკავ: გაუხარდება კიდეც, რომ გაიგებს, საუბრის თავი აქვსო. მისის დინი მენჯია.

- წამლის მიღებამდე ოცი წუთია დარჩენილი, სერ, – დაიწყო მან.
- მომაცილეთ, მომაცილეთ თავიდან! – ვუპასუხე მე, – უარს არ ვიტყვოდი...
- ექიმი ამბობს, ფხვნილები აღარ მიიღოსო.

– დიდი სიამოვნებით! ნუ შემანყვეტინებთ. მობრძანდით და მოკალათდით აქ. და თითოც აღარ მიაკაროთ მაგ მწარესითხიან ბოთლებს. ამოიღეთ ჭიბიდან საქსოვი. აი, ასე... ახლა კი მისტერ ჰითქლიფის ამბის თხრობა განაგრძეთ, სადაც შეჩერდით, იმ ადგილიდან დღემდე. მიიღო განათლება კონტინენტზე და ჯენტლმენი დაბრუნდა, თუ კოლეჯში სტიპენდიანტად ჩაირიცხა ან ამერიკაში გაიქცა და თავისი ყოფილი სამშობლოსთვის სისხლის წოვით დაიმსახურა პატივ-დიდება? თუ ინგლისის დიდ გზებზე დააგროვა ქონება?

– შესაძლოა, ცოტ-ცოტა სცადა კიდეც ყველაფერი, მისტერ ლოქვეუდ: მაგრამ ვერც ერთ ასპარეზზე ვერაფერს ვიტყვი. უნინაც მოგახსენეთ, არაფერი ვიცი, ფული როგორ იშოვა-მეთქი. არც ის ვუწყი, იმ სიველურეს როგორ დააღწია თავი, რისთვის იყო განწირული. მაგრამ თქვენი ნებართვით განვაგრძობ, რაც ვიცი, და, იმედია, შევასა იგრძნობთ და გახალისდებით. უკეთ ხართ ამ დილით?

- ბევრად.

– კარგი ამბავია. მოკლედ, მის ქეთრინს «შოშიებში» გადმოვყევი და, ჩემდა გასაკვირად, იმაზე ბევრად უკეთ იქცეოდა, ვიდრე ვიფიქრებდი. ჩანდა, რომ მისტერ ლინთონზე გადაყოლილი იყო და მულსაც მხოლოდ სიყვარულით დასტრიალებდა თავს. ორივე იმაზე ზრუნავდა, როგორ ესიამოვნებინათ ოჯახის ახალი წევრი. ასე რომ, კუნელი კი არ შემოეხვია ცხრაატყავას, ცხრაატყავამ ჩაიხუტა კუნელი. ორმხრივ დათმობაზე საუბარიც არ ღირს: ქეთი მტკიცედ იდგა თავისაზე, ისინი კი უთმობდნენ, ჰოდა, რაღაზე მოიქცეოდა ცუდად და უზნეოდ, როდესაც წინააღმდეგობასა და გულგრილობას არსად აწყდებოდა? შევამჩნიე, რომ მისტერ ედგარს გული უსკდებოდა, ვაიდა, ვინმე ქეთი არ გამიბრაზოსო. ცხადია, ამას უმაღავდა ცოლს. მაგრამ თუ მოხდებოდა, რომ მე რამეზე ხისტად ვუპასუხებდი ან რომელიმე მსახურს არ ესიამოვნებოდა ქეთის მბრძანებლური დავალება, მყისვე წარბს შეკრავდა და მოიღუშებოდა ხოლმე, რაც ჩვეულებრივ არ ახასიათებდა, თუნდაც მისთვის ეწყინებინათ. კადნიერების გამო არაერთხელ მკაცრად უსაყვედურია; ამბობდა, დანის დარტყმა ვერ მატკენს ვერე გულს, როგორც ჩემი ნაწყენი ცოლის დანახვაო. გულკეთილი ბატონის წყრომა რომ ამერიდებინა, თავშეკავება ვისწავლე. და როგორც იტყვიან, მთელი ნახევარი წელიწადი დენთი ზღვის ქვიშასავით უვნებელი იყო, რადგან ნაპერწკალი არ მიჰკარებია, რომ აფეთქებულიყო. ქეთრინს დროდადრო პირქუშობა ძალავდა ხოლმე და დანა კბილს არ უხსნიდა, მეუღლეც, სოლიდარობის ნიშნად, წარბშეკრული დადიოდა ასეთ დროს. ამ დაღვრემილობას ქეთის სულიერი მდგომარეობის ცვლილებად და გადატანილი ავადმყოფობის მიერ დატოვებულ შედეგად ნათლავდა, თან სინანულით დასძენდა, მანამდე მისთვის მსგავსი არაფერი შემიმჩნევიაო. ქეთრინის გამოდარებას თვითონაც მშესავით გაცისკროვნებით პასუხობდა. დარწმუნებული ვარ, გამოდარების პერიოდებში ორივენი ღრმა და მზარდი ბედნიერების ტალღებში ცურავდნენ.

მაგრამ ეს იდილია დასრულდა. ადრე თუ გვიან ჩვენი შინაგანი თავს გვახსენებს, მაგრამ თავმდაბალსა და სულგრძელს უფრო მეტი საბაბით უყვარს თავისი თავი, ვიდრე მბრძანებლობის მოყვარულს. ამ ყოველივეს მაშინ მოელო ბოლო, როდესაც გარემოებათა მიზეზით, ერთი მხარე მიხვდა, რომ მეორის მოთხოვნები სულაც არ აინტერესებდა.. სექტემბრის ერთ ხვაერიელ საღამოს ბაღში ჩემი ხელით დაკრეფილი ვაშლით სავსე კალათით დავბრუნდი. უკვე მწუხრი იყო, მთვარე მაღალ გალავანშემორტყმულ ეზოს თავს დაჰნათოდა და სახლის კუნუების გაურკვეველ ჩრდილებს ჰვენდა არემარეს. კალათა სამზარეულოს კიბეზე დავდგი, ქარს ამოვიღებ-მეთქი და რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქე სუფთა, მაცოცხლებელი ჰაერი; სახით მთვარისკენ ვიდექი, ზურგით – შესასვლელისკენ, როდესაც უკნიდან ხმა მომესმა:

– ნელი, შენ ხარ?

დაბალი ხმა იყო და უცხოური კილო დაჰკრავდა; მაგრამ ჩემი სახელის ხსენების მანერა მეცნო. შიშით მივტრიალდი, ვინ არის-მეთქი, რადგან კარიც დაკეტილი იყო და არც კიბეზე ჩანდა ვინმე. შესასვლელთან რაღაც ამოძრავდა და რომ მომიახლოვდა, მაღალი, შავსამოსიანი, მექთმიანი შავგვრემანი კაცი გავარჩიე.

გვერდით კარს მიეყრდნო და სახელებს მოჰკიდა ხელი, თითქოს გაღებას აპირებსო. ვინ უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე. დავიჯერო, მისტერ ერნშო? არა, ხმა არ მიუგავდა.

– ერთი საათია, ვიცდი, – განავრძო მან, – და კაციშვილის ჭაჭანება არ არის. შესვლა ვერ გავბედე. ვერ მიყვანი? კარგად შემომხედე, უცხო კი არ ვარ!

სახეზე სინათლის სხივი დაეცა. გაყვითლებულ ლოყებს შავი ქილვაშები სანახევროდ უფარავდა; წარბშეკრული ღრმად ჩამსხდარი თვალებით უცნაურად იყურებოდა. სწორედ ეს თვალები გამახსენდა.

– რა? – შეეძახე და დავიბენი – საიქიოდან მოსულად მიმეჩნია თუ არა; გაოცებულმა ხელები ავნიე, – როგორ, დაბრუნდი? მართლა შენ ხარ? მართლა?

– ჰო, ჰითქლიფი ვარ, – მიპასუხა და ფანჯარაზე გადაიტანა მზერა, სადაც უამრავი არეკლილი მთვარე ჩანდა, მაგრამ შიგნიდან სინათლის წერტილიც კი არ გამოდიოდა. – შინ არიან? ქეთი სადაა, ნელი? არ გავიხარდა! ნუ გაბრაზდები. შინ ბრძანდება? ხმა ამოიღე! ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი შენს დიასახლისთან. მიდი და გადაეცი, გიმერთონის ერთ ადამიანს შენი ნახვა სწალია-თქო.

– ჰო მაგრამ, როგორ მიიღებს ამას? – შევეჩინა აღმდეგე, – რას იზამს? ამ მოულოდნელობამ კინაღამ გადამრია და მას მთლად ჭკუიდან გადაიყვანს! შენ კი ჰითქლიფი ხარ? როგორ შეცვლილხარ! არა, დაუჯერებელია. ჯარში იყავი?

– მიდი და ჩემი დანაბარები გადაეცი, – მოუთმენლად შემანყვეტინა, – თორემ ჩემი დამემართება!

კარი გააღო და შევედი, მაგრამ როდესაც მისაღებ ოთახს მივუახლოვდი, სადაც მისტერ და მისის ლინთონები ისხდნენ, ნაბიჯი ვეღარ გადავდგი. ბოლოს გადავწყვიტე, მოვუბოდიშებ და ვკითხავ, სანთლები ხომ არ ავანთო-მეთქი და შევედი.

ცოლ-ქმარი იჯდა სარკმელთან, რომლის გისოსი კედელზე იყო მიღებული და საიდანაც ხეხილიანი ბალის და მწვანე ტყეპარკის მიღმა მოჩანდა გიმერთონის ველი, რომელსაც ლამის თავიდან ბოლომდე გასდევდა წვრილ ზოლად განოლილი ნისლი. სამრეკლოს რომ ჩასვდებით, ალბათ შემჩნეული გექნებათ წყალსადინარი, რომელიც ჭაობებიდან გამოდის და ღარტაფის ფერდობის ძირში გამავალ რუს უერთდება. ამ ვერცხლისფერი ნისლის ზემოთ «ქარიშხლიანი უღელტეხილია», მაგრამ ჩვენი ძველი სახლი არ ჩანს, რადგან ფერდობის ქვევით დგას. ოთახიც, მასში მყოფნიცა და ის სცენაც, რომლითაც ტკბებოდნენ, ძალიან მშვიდობიანად გამოიყურებოდა. თავს ძალა ვერ დავატანე, რომ დავაღებო შემსრულებინა. უკვე ვაპირებდი კიდევ, არაფერს ვიტყვი და ისე გავბრუნდები-მეთქი, მაგრამ როდესაც სანთლების ანთებაზე ვკითხე, ენას კბილი ვერ დავაჭირე და წამომცდა:

– გიმერთონიდან ჩამოსულ ადამიანს თქვენი ნახვა სურს, მემ.

– რა უნდა? – მკითხა მისის ლინთონმა.

– არ მიკითხავს, – ვუპასუხე მოკლედ.

– კარგი, ჩამოაფარე ფარდები, ნელი, – მითხრა ქეთრინმა, – და ჩაი მოგვიტანე. მალე დავბრუნდები.

ოთახიდან გავიდა; მისტერ ედგარმა გულგარეთ იკითხა, ვინ არისო.

– ვისაც ქალბატონი არ ელოდა, – ვუპასუხე, – ჰითქლიფია; გეხსომებათ ალბათ, სერ, მისტერ ერნშოსთან რომ ცხოვრობდა.

– რაო? ის სოფლელი ბომა? – იყვირა ლინთონმა, – რატომ ქეთრინს არ უთხარით მაშინვე?

– სუ! ასეთი სახელით ნუ მოიხსენიებთ, ბატონო, – მივმართე, – ქეთიმ რომ გაიგონოს, გული დასწყდება. როგორი გულგატეხილი იყო, მაშინ, როდესაც ბიჭი გაიქცა. მგონი, მისი დაბრუნება ქალბატონისთვის ზემის ტოლფასია.

მისტერ ლინთონი ოთახის მეორე მხარეს, თანჯარასთან მივიდა, რომელიც ეზოს გაჰყურებდა. გამოალო და გადაეყუდა. ალბათ დაბლა დაინახა ისინი, რადგან გასძახა:

– მანდ ნუ იდგებით, საყვარელო! შემოიყვანე სტუმარიც, თუ სათქმელი აქვს რამე, – მალე საკეტის ხმაც მომესმა და გაცეცხლებულმა ქეთრინმა კიბეზე ამოირბინა; იმდენად იყო გაცხარებული, რომ სიხარულსაც ვეღარ გამოხატავდა: მისი სახის დანახვაზე, კაცი იფიქრებდა, რაღაც უბედურება დაატყდა თავსო..

– ოჰ, ედგარ, ედგარ! – ძლივს ამოთქვა აქოშინებულმა და კისერზე მოხვია მკლავები, – ოჰ, ედგარ, გენაცვალე, ჰითქლიფი დაბრუნდა – გარეთ დგას! – უფრო მაგრად მოეხვია ქმარს.

– კეთილი, გასაგებია, – გაბრაზებით შესძახა ქმარმა, – ამის გამო მე ნუ გამგუდავ! საოცარ განძად არასდროს მიმაჩნდა და მის გამო გამშავება არ ღირს!

– ვიცე, არ მოგწონდა, – უთხრა ქეთრინმა და თითქოს ოდნავ დაიოკა თავი, – მაგრამ ჩემი გულისთვის ახლა შეგობრები უნდა გახდეთ. ვუთხრა, რომ ამოვიდეს?

– აქ? – გაიოცა ედგარმა, – მისაღებში?

– აბა, სხვაგან სად?

ედგარს გაბრაზება დაემჩნა სახეზე და შენიშნა, – მისთვის სამზარეულო უფრო შესაფერი ადგილი იქნებაო. მისის ლინთონმა სანახევროდ დამცინიავი მგერით შეხედა – თითქოს სწყინდა კიდევ და თან აცინებდა ქმრის გაურკვეველობა.

– არა, – უთხრა ცოტა ხნის შემდეგ, – მე სამზარეულოში ვერ ვიჯდები. ელენ, ორი მაგიდა გააწყე აქ. ერთი შენი ბატონისა და მის იზაბელასთვის, აზნაურებია, რაც არ უნდა იყოს, მეორე კი ჰითქლიფისა და ჩემთვის, ჩვენ ხომ უბრალო ხალხი ვართ. ასე გესიამოვნება, გენაცვალე? თუ სადმე სხვაგან დავანთებინო ბუხარი? თუ ასეა,

გაეცი განკარგულება. მე კი ქვემოთ ჩავირბენ და სტუმარს მივხედავ. ვშიშობ, ამხელა სიხარული არარეალური არ აღმოჩნდეს!

უნდა გასკლოდა ქმარს, რომ ედგარმა ხელი სტაცა.

– გადაეცით, ამოვიდეს, – ბატონმა მე მომმართა, – და, ქეთრინ, ეცადე, სიხარული სისულელეში არ გადაგივიდეს. არ არის აუცილებელი, მთელმა სახლეულმა ნახოს, გავარდნილ მსახურს ძმასავით რომ იღებ.

მე ქვევით ჩავედი და ჰითქლიფი ჰარმაღზე დავინახე, იცდიდა, აშკარად შუპატიუებას ელოდა. სიტყვის უთქმელად გამომყვა და მეც ბატონისა და ქალბატონის მისაღებაში შევიყვანე, რომელთაც – შეფაკულმა ლოყებმა გასცეს – მწვავე კამათი ჰქონოდათ. მაგრამ ლედის სახეზე ფერი სხვა გრძნობამაც შეუცვალა, როდესაც ძველი მეგობარი კარში შევიდა. გამოიჭრა, ორივე ხელი ჩაჰკიდა და ისე მიიყვანა ქმართან. მერე მისტერ ლინთონის მოდუნებულ თითებს მოჰკიდა ხელი და სტუმრის ხელისგულში ჩაადებინა. ახლა, სანთლებისა და ბუხრის სინათლეზე დია განვეციფრდი, რამხელა ტრანსფორმაცია ჰქონდა ჰითქლიფს გავლილი. გამაღლებულიყო, ათლეთური აღნაგობა ჰქონდა, მის გვერდით ჩვენი ბატონი მოზარდივით სუსტი ჩანდა. მისი გაჭიმული დგომა მაფიქრებინებდა, რომ ჯარში უნდა ყოფილიყო ნამყოფი. სახის გამომეტყველებითა და მტკიცე ნაკვეთებით მისტერ ლინთონზე უფროსს ჰგავდა: ძალიან ინტელიგენტურად გამოიყურებოდა და განცდილი დეგრადაციის კვალსაც ვერსად მიაგნებდით. მსხვილ წარბებსა და შავად მოგიბგიზე ღრმადჩამსხდარი თვალებიდან ნახევრად ველურის ბოროტება გამოსჭვიოდა, ოღონდ დამორჩილებული; მანერები დახვეწოდა: უხეშობისგან განძარცვოდა, თუმცა გრაციოზულობისგან მეტისმეტი სისასტიკე აშორებდა. ჩემი ბატონის გაოცება ჩემსას გადააჭარბა: წუთიერად ვერაფერი მოიფიქრა, როგორ მიემართა ამ სოფლელი ბომისთვის, როგორც მანამდე უწოდებდა ხოლმე. ჰითქლიფმა გაუშვა მისი ნაზი ხელი და ცივად მიაჩერდა, სანამ ეს უკანასკნელი ხმის ამოღებას ინებებდა.

– დაბრძანდით, სერ, – უთხრა სტუმარს ბოლოს, – ძველი დროის მოსაგონებლად მისის ლინთონს სურს, რომ გულითადი მიღება მოგიწყნოთ, და ცხადია, მეც მოხარული ვარ, თუკი ვინმე აამებს მას.

– მეც ავრთვე, – მიუგო ჰითქლიფმა, – მით უმეტეს, თუკი მეც შევითან წვლილს. ერთი ან ორი საათით სიამოვნებით ვისარგებლებ თქვენი სტუმართმოყვარეობით.

სტუმარი ქეთრინის წინ ჩამოჯდა, რომელიც ისე მისჩერებოდა, თითქოს ეშინია, თვალი რომ მოვაცილო, უეცრად გაქრებაო. თვითონ კი დიასახლისის ყურებისგან თავს იკავებდა და წამიერ თვალის შევლებას სჯერდებოდა, მაგრამ ყოველ ჯერზე უფრო და უფრო აშკარად გამოხატავდა იმ შეუნიღბავ ბედნიერებას, რომელსაც ქეთის მზერიდან ისრუტავდა. ორივენი იმდენად იყვნენ ორმხრივი სიხარულით შთანთქმულნი, რომ უხერხულობა არც უგრძნიათ. მაგრამ ამას მისტერ ედგარზე ვერ ვიტყვი: ჯავრისგან მიტკლისფერი დაედო. მისმა ბრაზმა კულმინაციას აღებათ მაშინ

მიაღწია, როდესაც ქეთრინი წამოდგა, ხალიჩა გადმოიარა და ხელახლა ჩაავლო ჰითქლიფს ხელები, თან ისე იცინოდა, თითქოს თავის თავს არ ეკუთვნისო.

– ხვალ უკვე სიზმარი მეგონება! – წამოიძახა დიასახლისმა, – ვერ დამიჯერებია, რომ კიდევ ერთხელ გიხილე, შეგეხე და გელაპარაკე. მართლაც, შე სასტიკო ჰითქლიფ! ასეთ მიღებას არ იმსახურებ. მთელი სამი წელი გამქრალი იყავი, არც კი შემხმინებხარ და არც გავხსენებია!

– იმაზე ოდნავ მეტად მასხოვდი, ვიდრე შენ მე, – ხმადაბლა წარმოთქვა ჰითქლიფმა, – ამას წინათ შევიტყვე, გათხოვდაო და სანამ ქვემოთ ვიციდი, ბაღში, ასეთი გეგმა შევიმუშავე: წამიერად მენახა შენი სახე, რომელზეც ალბათ გაოცებას და მოჩვენებით სიხარულს ნავიკითხავდი; მერე ჰინდლის გავუსწორებდი ანგარიშს და ბოლოს მე თვითონ აღვასრულებდი ჩემს თავზე სამართალს. შენმა მიღებამ კი ეს აზრები თავიდან გამიფანტა, მაგრამ სხვა დროს ჩემთან შეხვედრას ერიდე! თუმცა ჩემი თავიდან მოშორებაც არ იქნება იოლი საქმე. მართლა გული გატკინა ჩემმა საქციელმა? რას ვიზამ, მიზგი მქონდა. მას მერე, რაც უკანასკნელად გავიგონე შენი ხმა, მძიმე ცხოვრებასთან ჭიდილში ჩავები. უნდა მომიტევეო, რადგან ეს ბრძოლა შენთვის გავმართე!

– ქეთრინ, მაგიდასთან გადავინაცვლოთ, თორემ ჩაი გავვიცივდება, – შეანწყვეტინა მისტერ ლინთონმა და ჩვეულებრივი ტონისა და ზრდილობიანობის დაბრუნება სცადა, – მისტერ ჰითქლიფს დიდი გზა ექნება იქამდე, სადაც უნდა ათენებდეს ღამეს. მეც პირი მაქვს გამშრალი.

ქეთრინი გამასპინძლებას შეუდგა; ზარის ხმაზე მის იზაბელაც გამოჩნდა; სკამები რომ მივუწეე ყველას, ოთახიდან გამოვედი. ვახშამმა ათ წუთსაც არ გასტანა. ქეთრინს არც კი შეუვსია ფინჯანი. არც ჭამის თავი ჰქონდა და არც დაღვევის. ედგარმა ღამბაჭზე კი გადაისხა, მაგრამ ორი ყლოუპის მეტი თავს ვერ დააძალა. ჰითქლიფს საათზე მეტ ხანს არ გაუგრძელებია სტუმრობა. გასვლისას ვკითხე, გიმერთონში აპირებ-მეთქი, წასვლას?

– არა. «ქარიშხლიან უღელტეხილში», – მიპასუხა მან, – მისტერ ერნშომ მიმიწვია, ამ დილით რომ შევეუარე.

მისტერ ერნშომ მიმიწვიაო! დილით რომ შევეუარეო! ჰითქლიფი რომ წავიდა, ამ წინადადებებმა ჩამაფიქრა. ხომ არ თვალთმაქცობს? შენიღბული ხომ არ ჩამოვიდა, რომ ბორბოტება თქვას? გონებაში ვმსჯელობდი, გული ცუდს მიგრძნობს და ნეტავ საერთოდ იქ დარჩენილიყო, საიდანაც ჩამოვიდა-მეთქი.

შუალამე იქნებოდა, ძილი რომ შემანწყვეტყინეს: მისის ლინთონი ჩემს ოთახში შემოიპარა, სანოლის გვერდით ჩამომიჯდა და თმაზე მომიქაჩა, რომ გავეღვიძებინე.

– ვერ ვისვენებ, ელენ, – მომიბოდიშა დიასახლისმა, – ვინმე ცოცხალ არსებას მინდა, ჩემი ბედნიერება გავუზიარო! ედგარი გაბუტულია, რადგან ისეთი რამ მახარებს, რაც მას არ აინტერესებს. პირის გაღებაც კი არ უნდა, თუ არ ჩავთვლით იმ

მომენტებს, როდესაც რამეს წაიხსენებ. იცი, რა მითხრა? ცუდად იქცევი, ეგოისტურად მოგდის, რომ დალოილს მაღვიძებ და საუბარს მიბამო. თუ გუნებაზე არ არის, სულ დალოილობას იმიზეზებს! როგორც კი ჰითქლიფზე რამდენიმე საქებარი სიტყვა დავასვლე, მაშინვე ატირდა ან თავის ტკივილის, ანდაც მწვავე შურის გამო. მე კიდევ ავღეჭი და გამოვეცალე, თავში ქვა უხლია-მეთქი.

– რად გინდოდათ მასთან ჰითქლიფის ქება? – შევედავე, – არც ბავშვობაში ეხატებოდათ გულზე ერთმანეთი. განა ჰითქლიფს მოეწონება, ედგარ ლინთონის ქება რომ დაინყოთ? ეს ადამიანის თვისებაა. დანებეთ მისტერ ედგარს თავი, რომ ორი მამაკაცი ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს.

– კი მაგრამ, ეს ხომ მის სისუსტეზე მეტყველებს? – თავისაზე იდგა მის ქეთი, – მე სულ არ მშურს არავისი. არასდროს გული არ მტკივა იზაბელას ყვითელი თმის ბზინვარებაზე, არც მის თეთრ კანზე მრჩება თვალი, არც მის დახვწილ მანერებსა და იმ უსაზღვრო სიკეთეზე, მისთვის რომ იმეტებს მთელი ოჯახი. არც იმაზე, ნელი, რომ წავკამათლებით და მყისვე ზურგს უმაგრებ ხოლმე შენი მხარდაჭერით. მე კი სულელ დედიკოსავით სულ გენაცვალეთი დავდე კუდში და ყველაფერზე თავზე ხელს ვუსვამ. ამით მისი ძმის გულს ვიგებ, რაც მეც მსიამოვნებს. მაგრამ ორივენი გარყვნილ-გაზულუქებულები არიან, ცა ქუდად არ მიაჩნიათ, დედამინა – ქალამნად. ვცდილობ, ორივეს შევეწყო ხასიათი, მაგრამ ერთი გემრიელად დასჯა არ აწყენდათ.

– ცდებით, მისის ლინთონ, – ვუთხარი, – პირიქით, ისინი გინყობენ ხასიათს, ზუსტად ვიცი, ასე რომ არ იქცეოდნენ, კარგი არაფერი მოხდებოდა. კი ბატონო, ზოგჯერ თქვენც უთმობთ ხოლმე პატარ-პატარა ახირებებში, მაგრამ მთელი სახლი თქვენს ჭკუაზე დადის. ვაითუ, ოდესმე მოთმინების ფიალა ავესოთ და ერთმანეთს შეეჯახოთ, ხომ შეიძლება, რაიმე საკითხში მათაც თქვენნაირად გამოიჩინონ სისუსტე და მოუთმენლობა.

– ჰოდა, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევეტაკებით, არა, ნელი? – სიცლით დამიბრუნა კითხვა, – არაფერიც! ისე მჯერა ლინთონის სიყვარულისა, რომ სასიკვდილოდაც რომ გავიმეტო, სამაგიეროს გადახდას გულშიც კი არ გავივლებს.

გურჩიე, ეგ სიყვარული უფრო მეტად დაუფასე-მეთქი.

– ვუფასებ კიდევ, – არ დაახანა, – მაგრამ ყველა წვრილმანზე ხომ არ უნდა ყაროს ცრემლები. ბავშვურად მოსდის, თან პირდაპირ ვუთხარი, ჰითქლიფი ახლა ყველას პატივისცემას იმსახურებს და ამ მხარის პირველ ჯენტლმენს მასთან დამეგობრება მართებს-მეთქი, ეს თავად შენ უნდა მოგსვლოდა აზრად და ჩემთან ერთად გავხარებოდა-მეთქი. უნდა მიეჩვიოს და მოიწონოს კიდევ. რაც შეეხება ჰითქლიფს, თუ გავითვალისწინებთ, რა მიზეზებიც აქვს ჩემს ქმართან, კიდევ კარგად იქცეოდა. მე ვიტყოდი, ბრწყინვალედ!

– რას ფიქრობთ «ქარიშხლიან ულღეტეხილში» მის სტუმრობაზე? – ვკითხე, – როგორც ვხედავ, გადასხვაფერებულა, გამოსწორებული... ჭეშმარიტი ქრისტიანით ძველ მტრობას ივიწყებს და ხელს უწვდის მტერსაც კი!

– ეს ამისხნა, – მომიგო ქეთიმ, – მეც შენსავით გამიკვირდა. მითხრა, იქ იმიტომ მივედი, რომ ნელისგან გამეგო შენი ამბავიო, ჰგონებია, რომ ისევ იქ ცხოვრობ. ჯობიერს კი ჰინდლისთვის შეუტყობინებია მისი სტუმრობის ამბავი და გამოუკითხავს, რას საქმიანობ, სად დაიკარგეო. ბოლოს კი შინ შეუპატიუებიათ. რამდენიმე კაცი თურმე ქალაქს თამაშობდა და ჰითქლიფიც შეერთებია მათ. ჩემს ძმას თანხა წაუგია მასთან და რაკი დაუნახავს, რომ სტუმარი უფულობას ისედაც არ უჩიოდა, შეუთავაზებია, საღამოთიც შემომიარეო, რაზეც ჰითქლიფიც დასთანხმებია. ჰინდლი სრულიად უგუნურია მეგობრების შერჩევაში, თავს არ ინუხებს იმაზე ფიქრით, რამდენად ღირს იმ ადამიანთან დაახლოება, რომელსაც სერიოზულად აწყენინა. მაგრამ ჰითქლიფი ამტკიცებს, ჩემს ოდინდელ მჩაგვრელთან ურთიერთობის აღდგენის უმთავრესი მიზეზი და მიზანი «შოშიებთან» ახლოს და იმ სახლში ყოფნაა, სადაც ერთად ვცხოვრობდით ამდენი წელი და კიდევ ის, რომ ასე უფრო ახლოს იყოს ჩემთან და ხშირად ჰქონდეს ჩემი ნახვის საშუალება, რაც გიმერთონში დასახლებით ნამდვილად ვერ ექნებოდა. ანუ გულუხვი ქირის შეთავაზებას აპირებს იმისთვის, რომ «უღელტეხილში» დაიდოს ბინა. ეჭვი არ მეპარება, ჩემს ძმას სიხარბე სძლევს და დათანხმდება. მუდამ ძუნწი იყო ეგ უბედური, რაც თავი მახსოვს, ცალით ხელით ბოჭავს და მეორით ფანტავს.

– მშვენიერი ადგილია ახალგაზრდა კაცისთვის ბინის დასადებად! – ვთქვი, – მოსალოდნელი შედეგის არ გეშინიათ, მისის ლინთონ?

– ჩემი მეგობრის გამო არა, – სხარტად მიპასუხა, – ჭკვიანი თავი საფრთხისგან დაიცავს. აი, ჰინდლი კი ცოტა მადარდებს, მაგრამ ზნეობრივად ამაზე მეტად ვერ დაეცემა. ფიზიკურად კი არაფერი მოუვა, ამის თავმდეები მე ვარ. დღევანდელმა ამბავმა ხალხთანაც შემარიგა და ღმერთთანაც! განგების წინააღმდეგ ვიყავი აჯანყებული. დიდი განსაცდელი გამოვიარე, წელი! მაგ საცოდავმა რომ იცოდეს, რა მწარე იყო ჩემი განსაცდელი, რომელმაც უკვე გადაიარა, შერცხვებოდა და თავისი მუდმივი უკმაყოფილებით არ მომინამლაგდა სიცოცხლეს. ედგარი რომ მეცოდებოდა, ასე ეულად იმიტომაც გადავიტანე ყველაფერი. ჩემი ტკივილები რომ არ დამემალა, ისიც ისევე სულსწრაფად მომთხოვდა მათ დაყუჩებას, როგორც მე მოვითხოვდი ჩემი თავისგან. ასეა თუ ისე, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და მისი უგუნურების გამო შურისძიებას არ ვაპირებ. ახლა უკვე ყველაფერს ავიტან, ვეღარაფერი გამტებს! ყველაზე უკანასკნელმა არსებამაც რომ გამანნას სილა, მარტო ხურდის დაბრუნებისგან კი არ შევიკავებ თავს, იქით მოვუხდი ბოდის, ალბათ მე გაგაბრაზებ-მეთქი. ჩემი სიტყვების დასტურად, ახლავე მივალ ედგართან და შევერიგდები. ღამე ნებისა! ანგელოზი ვარ პირდაპირ!

ამ თვითკმაცყოფილი აღიარების შემდეგ ქეთრინმა დამტოვა. თავისი განზრახვის წარმატება კი მეორე დღითვე სახეზე იყო: მისტერ ლინთონი აღარ იყო აღრენილი (თუმცა კი ქეთრინის თვალმისაცემი ხალისიანობა მაინც თრგუნავდა), არც იმაზე გამოუთქვამს უკმაყოფილება, დიასახლისმა მულს რომ ჩასჭიდა ხელი და ნაშუადღევს «ქარიშხლიან უღელტეხილში» წაიყვანა. ამისათვის მისის ლინთონმა მეუღლე ისეთი მგზნებარე სიყვარულითა და ზაფხულის სიტკბოებით დაასაჩუქრა, რომ რამდენიმე

დღე ჩვენი სახლი ნამდვილ სამოთხედ იქცა. ბატონსაც და მსახურთაც უღრუბლო ცა დაგვნათოდა თავზე.

ჰითქლიფი, – აწი მოვიხსენიებ, როგორც მისტერ ჰითქლიფს, «შოშიებში» სტუმრობის თავისუფლებას წინდახედულად იყენებდა, თავდაპირველად, ალბათ ამონებდა, რამდენ ხანს გაუძლებდა სახლის პატრონი მის შეჭრას. ქეთრინიც კეთილგონივრულად იქცეოდა: მისი მიღებისას ბედნიერ აღტკინებას აღარ გამოხატავდა; ამდენად, მისტერ ჰითქლიფმა ნელ-ნელა თავი შეგვაჩვია. ბიჭობისდროინდელი გამძლეობა კარგად შეენარჩუნებინა, რაც გრძნობების გამოხატვისგან თავშეკავებაში დიდად ეხმარებოდა. ჩემი ბატონის მოუსვენრობა თითქოს მიყუჩდა და გარემოებამ სხვა კალაპოტში მოუნახა ადგლი.

ახალი თავსატეხი გაჩნდა, ანდაც, უსიამოვნება დაიწყო, სრულიად მოულოდნელად, როდესაც მის ლინთონს შემოჩვეული სტუმრისადმი დაუოკებელი და უეცარი მისწრაფება გაუჩნდა. იმხანად თვრამეტი წლის მომხიბვლელი ქალიშვილი იყო; ბავშვური მანერები ჰქონდა, საკმაოდ მახვილგონიერიც გახლდათ, გრძნობების მკვეთრად გამოვლენა და მკვეთრად ხაზგასმული ფიციხი ხასიათი გამოარჩევდა, თუ ვინმე გააბრაზებდა. მის ძმას, ნაზად რომ უყვარდა დაიკო, კინაღამ გული გაუსკდა, მისი არჩევანის ამბავი რომ შეიტყო. იმაზეც რომ აღარათფერი ვთქვათ, როგორ დამცირებულ მდგომარეობაში აყენებდა ოჯახს ასეთ უგვარტომო კაცთან დამოყვრება, მამრობითი სქესის მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში, საგვარეულო ქონება, შეიძლებოდა, სიძის ხელში მოხვედრილიყო, რაშიც გარკვეულ გამიზნულობას ჭკრეტდა ედგარ ლინთონი. კარგად ხედებოდა, რომ ჰითქლიფის გარეგნული ცვლილება მის სულიერ ცვლილებაზე სულაც არ მეტყველებდა. ამის გამო ძალიან ეშინოდა და წინაღობას ცდილობდა. გათქრებას კი არ სურდა, რომ იზაბელა მისნაირი კაცის ხელში ჩავარდებოდა. რომ გაეგო, დის გრძნობები სრულიად დამოუკიდებლად გაჩნდა და უპასუხოების გამო კიდევ უფრო გაღვივდა, ალბათ ვერ გადაიტანდა. რა ნუთსაც შეიტყო იზაბელას ცალმხრივი სიყვარული, იმ ნუთიდან მთელი ბრალი ჰითქლიფს დააკისრა, როგორც ანგარებიანს.

ყველამ შევამჩნიეთ, რომ მის ლინთონი ნელ-ნელა ჩამოხმა და ჩამოდნა. ყველაფერი აღიზიანებდა და სულ მოწყენილი იყო; ქეთრინს ყოველ წვრილმანზე ისე ეკიდებოდა და სიტყვას არ არჩენდა, რომ მისი ისედაც მწირი მოთმინების ფიალის ავსებას არც უშინდებოდა. გარკვეულ ზღვრამდე ყველაფერს ვპატიობდით და უგუნებობას მის სუსტ ჭანმრთელობას მივანერდით, ისიც მართლა თვალსა და ხელს შუა ილეოდა. მაგრამ ერთ დღესაც ძალიან გაჭირვებულდა და საუზმეზეც კი უარი განაცხადა, აქაოდა, მსახურები ჩემს სიტყვას ყურთა შუა უშვებენ და არც ერთ დავალებას არ ასრულებენო. დიასახლისი არაფრად მაგდებს ამ სახლში და ედგარიც დაუდევრად მექცევო. მერე ისიც დაამატა, გავცივდი, რადგან მისაღები ოთახის კარი ღია დამიტოვეს და ბუხარში ცეცხლიც ჩამიქრეს, რომ ავად გავმხდარიყავიო, რასაც ასობით მსგავსი ბრალდება მოაყოლა. მისის ლინთონმა გადაჭრით თქვა, ლოგინში ჩავანვინოთო, დატუქსა და დაემუქრა, ექიმს მოვაყვანიებო. ქენეთის გაგონებაზე იზაბელამ განაცხადა, მშვენიერი ჭანმრთელობა მაქვს, უბრალოდ, ჩემი რძლის უხეშობა მიღებს ბოლოსო.

– ენა როგორ გიბრუნდება, უხეშს რომ მიწოდებ, შე გაუგონარო ნებეირა? – იკვილა დაუმსახურებელი ბრალდებით გაოგნებულმა დიასახლიმა, – სულ დაგვიკარგავს ჭკუა. როდის ერთხელ გეუხეშე, მითხარი ერთი!

– გუშინ, – ამოისლუკუნა იზაბელამ, – და ახლაც!

– გუშინ?! – გაიკვირვა რძალმა, – რა მიზეზით?

– ჭაობებისკენ რომ მივდიოდით, მითხარი, სადაც გინდა, იქ იწანწალე, მე და ჰითქლიფი კი გზას განვაგრძობთო.

– მერე ეგ უხეშობაა? – სიცლით უთხრა ქეთრინმა, – ჩემი სიტყვები იმას როდი ნიშნავდა, რომ ზედმეტი იყავი ჩვენ შორის. სულ არ გვალეღვებდა, ჩვენთან ერთად იქნებოდი, თუ ცალკე. უბრალოდ, ვიფიქრე, ჰითქლიფის საუბრიდან საინტერესოსა და თავშესაქცევს ვერაფერს მოისმენს-მეთქი.

– არა, – სლუკუნე განაგრძო ახალგაზრდა ლედიმ, – იმიტომ მომიცილე თავიდან, რომ იცოდი, თქვენთან ერთად ყოფნა მინდოდა.

– სრულ ჭკუაზეა? – იკითხა მისი ლინთონმა და მე გადმომხედა, – ჩვენს საუბარს სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ, იზაბელა, და შენ ამიხსენი, რამ დაგაინტერესა ასე ძალიან.

– საუბარს არ გვულისხმობ, – მიუგო იზაბელამ, – მე მხოლოდ გვერდით ყოფნა...

– ანუ? – ქეთრინი მიხვდა, რომ წინადადებას ვერ ასრულებდა იზაბელა.

– მის გვერდით... ყოველთვის ვერ მომიცილებთ! – განაგრძო გაცეცხლებულმა მულმა, – ავი ძალღივით ხარ, ქეთი, არც შენ ჭამ და არც სხვას უთმობ!

– ოჰ, შე პატარა თავხედო მაიმუნო! – შეიცხადა მისი ლინთონმა, – მაგრამ ამ სისულელეს მაინც ვერ დავიჭერებ! შეუძლებელია, ჰითქლიფი მოგწონდეს და მისაღებ ადამიანად მიგაჩნდეს! იმედი მაქვს, რომ არასწორად გაგიგე, იზაბელა.

– არა, ძალიანაც სწორად გამიგე, – თქვა მოხიბლულმა გოგონამ, – ისე მიყვარს, რომ მასე შენ ედგარი სიცოცხლეში არ გყვარებია, ჰითქლიფსაც ვეყვარებოდი, შენ რომ არ უშლიდე ხელს!

– შენს ადგილას ყოფნას სამეფოს სანაცვლოდაც არ ვინატრებდი! – ემოციურად განაცხადა ქეთრინმა და როგორც ჩანდა, გულწრფელად, – ნელი, დამარწმუნებინე, რომ სისულელეს ამბობს. უთხარი, ვინც ბრძანდება ჰითქლიფი: გამოუსწორებელი არსება, დაუხვეწავი და უკულტურო; ყამირი მინა, რომელზეც მხოლოდ კურდღლისცოცხა და ქვალორღი გხვდება. ამ იაღონს უფრო გავაძევებდი ზამთარში გარეთ, ვიდრე შენ გირჩევიდი, გულის კარი გაუღე-მეთქი! მერწმუნე, პატარავ, მხოლოდ მისი ბუნების სავალალო უმეცრებამ გიბიძგა ამ ოცნების გაღვივებისკენ. გეხვეწები, არ წარმოიდგინო, თითქოს მისი პირქუში გარეგნობის მიღმა კეთილშობილებისა და სიყვარულის სიღრმეებს წაანყდები! დაუმუშავებელი

ბრილიანტი ნუ გვეგონება, ნურც ის ნიჟარა, მარგალიტს რომ მაღავეს თავისი სოფლური გარეგნობის მიღმა. არასდროს ვეუბნები: დაანებე თავი ან ამ, ან იმ მტერს, რადგან მათთვის ზიანის მიყენება არაკეთილშობილური და სასტიკი საქციელი იქნება-მეთქი, არამედ ვეუბნები: თავი დაანებე, რამე რომ ავნო, მენყინება-მეთქი. ბელურას კვერცხივით გაგსრესს, იზაბელა, თუკი საჭიროდ მიიჩნევს. ვიცი, რომ ლინთონის გვარის წარმომადგენელს ცხოვრებაში არ შეიყვარებს, მაგრამ შესაძლოა, შენთან ქორწინებაზე უარი არ თქვას ფულისა და ქონების გამო: ანგარება მის უმთავრეს ცოდვად არის ქცეული. აი, ასეთად შემიძლია, დავისურათხატო მე, მისმა მეგობარმა, მეგობარმა იმდენად, რომ შენი კლანტებში მოქცევა თუ მოუნდება, შეიძლება თითოც არ გავანძრიო მის შესაჩერებლად.

მისის ლინთონი თავის მულს გულისწყრომით უყურებდა.

– სირცხვილი! სირცხვილი და თავის მოჭრა! – იმეორებდა გამწარებული იზაბელა, – ერთად არებულ ოც მტერზე უარესი ყოფილხარ! ფარისეველი მეგობარი ყოფილხარ!

– მაშ არ გჯერა ჩემი? – ჰკითხა ქეთრინმა, – გგონია, ეგოიზმი მაღაპარაკებს?

– არც მეეჭვება, – შეეპასუხა იზაბელა, – ჟრუანტელი მივლის, რომ გისმენ!

– ძალიანაც კარგი! – ივივლა ქეთიმ, – გამოსცადე ბედი, თუ თავი მოგებზრება! საპირისპიროს მტკიცება უძლურია შენს სიკერპესთან.

– ამ ეგოისტის გამო მე უნდა ვიტანჯებოდე! – ისევ აზლუქუნდა იზაბელა, როდესაც მისის ლინთონი ოთახიდან გავიდა, – ყველა და ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ ამხედრდა. ერთადერთი ნუგეშიც კი შემიბლალა. მაგრამ რამდენი ტყუილი თქვა, არა? მისტერ ჰითქლიფი ბოროტმოქმედად წარმომადგინა, არადა, კეთილი სული აქვს, თორემ ამდენი წელიწადი ხომ არ ეხსომებოდა?

– გულიდანაც ამოვიდეთ და ფიქრებიდანაც, მის, – ვუთხარი მე, – ცული ამბის მომტანი ჩიტა და თქვენი ჯუფთი სულაც არ არის. მართალია, მისის ლინთონმა მკაცრად ილაპარაკა, მაგრამ მის საწინააღმდეგოს მაინც ვერ ვიტყვი. მან უკეთ იცის ჰითქლიფის გული და სულიც, ვიდრე მე ან სხვა რომელიმე ადამიანმა. ქეთრინი კი მასზე არასდროს იტყვის ცუდიო, სიმართლე რომ არ იყოს. პატოსანი ხალხი წარსულს არ მაღავეს. როგორ ცხოვრობდა ეს წლები? ან როგორ გამდიდრდა? ან «ქარიშხლიან უღელტეხილში» რაღატომ რჩება, იმ სახლში, რომლის პატრონიც ჭირის დღესავით სძაგს? ამბობენ, რაც ეგ ვაჟბატონი გამოჩნდა, მისტერ ერნმოს სულ უკუღმა წაუვიდა საქმეო. მთელი დამეები თურმე თამაშში გაჰყავთ, მისტერ ჰინდლი თავის ქონებას დებს ფსონში და თან ალკოჰოლს ეძალება. ერთი კვირის წინ შევიტყვევ ეს ამბავი, ჯობეფმა მიაგზო, გიმერთონში რომ შევხვდი:

– ნელი, – მოთხრა მან, – ისეთი ხალხი მოგვიმრავლდა, რომ აწი ჩვენს კარზე სასამართლოს გამოძიებელი თუ ივლის. ერთი კინაღამ თითებს გამოემშვიდობა, მეორეს რომ იჭერდა, რომელიც საკუთარი თავის ხბოსავით დაკვლას აპირებდა.

ბატონს ეტყობა, ერთი სული აქვს, სანამ სასამართლოს დარბაზში არ ამოყოფს თავს. არც მიწიერი სამართლისა ემინია, არც პეტრესი, არც პავლესი, არც მათესი და არც იოანესი – ღმერთი მაგან არ იყის და ხატი! მაინცდამაინც თავისი უტიფარი სახიერებით სურს მსაჯულების წინაშე წარდგომა. ეს ჩვენი პითქლიფი კი, კარგი ხომ არ გგონია? საკმარისია, სატანამ თავისი ოინები წამოიწყოს და ხელის შეწყობაზეც კი არ დაიხვეს უკან. ბოლო ხანებში თქვენც ნამეტანი შემოგეჩვიათ. იმას თუ გიყვებათ, როგორ დიდებულად მოეწყო ჩვენთან? მზის ჩასვლისას დგებიან, კოჭაობენ, ყომარს აგორებენ, დარაბები დახურული აქვთ და სანთლებს ანთებენ შუადღემდე. ნაშუადღევს კი ჩვენი სასიქადულო სტუმარი თავის ოთახს მიაშურებს და იმისთანები ამოსდის პირიდან, რომ წესიერი ხალხი ყურების დახმობას ლამობს. მაგ ჯეელს კი რა ენაღვლება, ფულს ჩაითვლის, გამოიძინებს და მერე მეზობლის ცოლს მიაშურებს! ნეტავ თუ უყვება ქეთრინს, როგორ მიედინება მამამისის ოქრო მის ჯიბეებში, ხოლო სახლის პატრონი – პირდაპირ ჯოჯოხეთში, თვითონ კი წინ გარბის, რომ კარიბჭეები გაუხსნას? ასე რომ, მისის ლინთონ, ჯოზეფი ბეზერი არამზადა კი არის, მაგრამ ტყუილი არ სჩვევია, ჰოდა, თუ ესეც სიმართლეა, განა შეიძლება, პითქლიფისნაირი ქმარი გსურდეთ?

– თქვენც სხვებთან გაქვთ პირი შეკრული, ელენ! – მომიგო იზაბელამ, – მაგ ცილისწამებას არ მოვისმენ. ასეთი ბოროტი რა ხართ, რომ მარწმუნებთ, ამქვეყნად ბედნიერება არ არსებობსო!

ვერ გეტყვით, თავი რომ მიენებებინათ, გაავარძელებდა თუ არა თავისი ფანტაზიით მოქმედებას, მაგრამ ამის დრო არ მისცემია. მეორე დღეს მეზობელ დაბაში მოსამართლეთა შეხვედრა იმართებოდა; ჩემი ბატონი აუცილებლად უნდა დასწრებოდა და როგორც კი მისტერ პითქლიფმა მისი არყოფნის შესახებ შეიტყო, ჩვეულებრივზე ადრე დაგვიკრა თავი. ქეთრინი და იზაბელა ბიბლიოთეკაში ისხდნენ უბრადა. ლინთონების ქალი იმაზეც იყო გაბრაზებული, ვნებააშლილმა გულის ძახილი რომ გაამხილა, რძალი კი თავს მართლა შეურაცხყოფილად გრძნობდა. მართალია, შეეძლო, ამ ყველაფრისთვის ღიმილით შეეხედა, მაგრამ საქმის ისე შეტრიალება მოისურვა, რომ მულისთვის ხალისი წაერთმია. პირზე ღიმილი გადაეფინა, სარკმელთან ჩავლილ პითქლიფს რომ ჰკიდა თვალი. ბუხარს ვნმენდდი და ავი ღიმილი შევამჩნიე მის ბაგეზე. იზაბელა ან ფიქრებში იყო ჩაძირული, ან წიგნში, სანამ კარი გაიღო. ამ დროს კი უკვე გვიან იყო, არადა, სიამოვნებით გაარიდებდა თავს, რომ შესძლებოდა.

– შემო, დროულად მოხვედი! – მხიარულად შესძახა დიასახლისმა და სავარძელი ბუხრისკენ მიაჩოჩა, – თორემ აქ ორმა ადამიანმა ისე მოიწყინა, რომ მესამეა საჭირო მათ შორის ყინულის გასაღვობად. შენ კი სწორედ ის ხარ, რომელსაც ავირჩევდით ორივე. პითქლით, მეამაყება, რომ საბოლოოდ შემიძლია გიჩვენო ვიღაც, ვინც ჩემზე მეტად გიჟდება შენზე. ალბათ გეამება. არა, ეს წელი როდია, ტყუილად უყურებ! ჩემი პატარა მულუკა შენს ფიზიკურ და სულიერ სილამაზეზე ჭკუას კარგავს. შენს ხელშია, გახდები თუ არა ედგარის ძმა! არა, არა, იზაბელა, არ გაიქცე! – განაგრძო ქეთიმ და მხიარულად დაიჭირა დაბნეული გოგონა, რომელიც, ის-ის იყო, წამოდგა, – თორემ შენზე კატებივით ვჩხუბობთ. ალტაცებისა და

თავდადების ასპარეზზე აშკარად დავმარცხდი. მეტიც, მარტივად გამაგებინეს, განზე რომ იდგე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, ჩემი მეტოქე ისარს ჩაგარჯობდა გულში და დაგცემდა, ამით კი ჩემი სახევა სამუდამოდ მიეცემოდა დაგინყებას.

– ქეთრინ! – საყვედურნარევი ხმით უთხრა იზაბელამ და მთელ თავის კეთილშობილებას მოუხმო, რომ ძალით არ გამოეგლიჯა ქეთრინისთვის ხელი, – დიდად მადლობელი დაგრჩებოდი, თუ მხოლოდ სიმართლით შემოიფარგლებოდი ჩემზე საუბრისად და ცილს არ დამწამებდი, ხუმრობითაც კი! მისტერ ჰითქლიფ, ჰქენით სიკეთე და თქვენს მეგობარს გააშვებინეთ ჩემთვის ხელი, მას ავიწყდება, რომ მე და თქვენ ახლო ნაცნობები არ ვართ, ხოლო რაც მას ართობს, ჩემთვის გამოუთქმელად მტკივნეულია.

რაკი სტუმარმა არაფერი უპასუხა, მაგრამ დაჯდა და სრულიად გულგრილი დარჩა მის მიმართ გამოთქმული სანტიმენტებისადმი, იზაბელა თავის მწვალუბელს მიუბრუნდა და ჩურჩულით სთხოვა, ხელი გამიშვიო.

– არავითარ შემთხვევაში! – დაჰყვირა მისის ლინთონმა პასუხად, – აღარ გავიგონო, ძალღივით ხარო! შენ კი დარჩები. ჰითქლიფი, რატომ არ ამბობ, კმაყოფილი ხარ თუ არა ამ ახალი ამბით? იზაბელა იფიცება, რომ ჩემი ედგარისადმი სიყვარული იმასთან შედარებით არაფერია, რასაც შენდამი გრძნობს. დარწმუნებული ვარ, ზუსტად ამდაგვარი რაღაც თქვა, არა, ელენ? გუმიწინდელი გასეირნების შემდეგ კი მარცვით არის სიბრაზისა და წუხილისგან, რადგან შენ ჩამოგამორე, არ შეგეფერება – მეოქი..

– მგონი, ცილს სწამებ, – უთხრა ქეთრინს ჰითქლიფმა და სკამი მათკენ გასწია, – ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ახლა არ სურს ჩემს ახლოს ყოფნა!

კაცმა ისე შეხედა მათი კამათის საგანს, როგორც ხალხი უყურებს ხოლმე უცნაურ და ამაზრუნ ცხოველს: ინდოეთიდან ჩამოყვანილ რვაფეხას, მაგალითად, რომელსაც ინტერესით ათვალიერებენ ხოლმე, ზიზღის მიუხედავად. საწყალმა ქალიშვილმა ამდენს ვერ გაუძლო, ჯერ თეთრი ფერი დაედო, მერე განითლდა და თვალზე ცრემლმომდგარმა სკადა თავისი ნაზი თითებით მოეშორებინა ქეთრინის მჭიდროდ მოჭერილი ხელი. როგორც კი მიხვდა, რომ ერთ თითს რომ აანეწინებდა, მეორე უფრო მაგრად ეჭირებოდა და ამგვარად ხელს ვერ გააშვებინებდა, ფრჩხილების დახმარება გადაწყვიტა. ბასრმა ფრჩხილებმა მეტოქის თითებზე წითელი ნაჩხაპნები დატოვა.

– ძე ვეფხვი ყოფილა! – წამოიძახა მისის ლინთონმა, იზაბელას გაუშვა ნატკენი ხელი და აიქნია, – გამეცალე, ღვთის გულისათვის და ეგ შენი მელაკუდას სახე აღარ დამანახავო! მისი თანდასწრებით კლანჭების გამოჩენა სისულელე იყო შენი მხრიდან. განა ვერ ხვდები, რა შთაბეჭდილება დარჩება შენზე? ნახე, ჰითქლიფი! აი, ეგზეკუციის კვალი – ანი თვალები მოარიდე ხოლმე.

– სათითაოდ დავაცლი მაგ ფრჩხილებს, აბა ოდესმე დამემუქროს, – უხეზად თქვა ჰითქლიფმა, როდესაც იზაბელამ კარი გაიხურა. – მაგრამ ასე რატომ განურე, რა დავიშავა, ქეთი? სიმართლეს არ ამბობდი, ხომ ასეა?

– სიმართლეს ვამბობდი, გარწმუნებ, – რამდენიმე კვირაა, შენზე აბოლებს, ამ დილას კი მაგრად ამირია, რადგან შენი თავი ავუწერე, მოვასხენე, რა ჩიტც ბრძანდები, რომ ცოტათი მაინც ჩამომეყვანა მიწაზე, თორემ უგონოდ გაღმერთებს. მაგრამ აწი ასე აღარ მოვიქცევი, უბრალოდ, მისი კუდაბიკობა ამომივიდა ყელში და ვიფიქრე, დავსჯი-მეთქი. თუმცა საკმარისად მომწონს საიმისოდ, რომ ხელში ჩაგვიგდო და გადაგასანსლინო, ძვირფასო ჰითქლიფ.

– მე კი იმდენად გულს მირევს, რომ პირსაც ვერ დავაკარებდი, – კომენტარი არ დააყოვნა ჰითქლიფმა. – დიდი-დიდი, სისხლი გამოვწვოვო. მასთან ერთად რომ მომინიოს ცხოვრებამ ალბათ არაერთ საშინელებას გაიგებ, ცხვირ-პირი დაუმილოა. მაგ თეთრი ცვილის სახეს დღეში ორჯერ სულ ცისარტყელას ფერებად ავუჭრელებდი, ამორეცხილ ლურჯ თვალებს კი, ძმისას რომ მიუგავს საზოგადო, სულ ამოუშავებდი!

– მართლაც! – წამოიძახა ქეთრინმა, – მტრედის თვალები აქვთ! ანგელოზის!

– ძმის მემკვიდრე, არა? – იკითხა მცირე დუმლის შემდეგ ჰითქლიფმა.

– ძალიანაც რომ არ მინდოდა, ასეა, – უპასუხა მასპინძელმა, – ღმერთმა ინებოს და კაი ხუთი ძმისწული სულ დააკარგვინებდა ყველაფერს! ამ საკითხზე ფიქრი თავიდან ამოვიგდე, მეზობლების ქონების ხელში ჩაგდებისკენ ძალიან მიდრეკილი ხარ, მაგრამ გახსოვდეს, მაგ შენი მეზობლის ქონება ჩემი ქონებაა!

– ჩემი რომ იყოს, მაინც შენი იქნებოდა, – უთხრა ჰითქლიფმა, – თუკი იზაბელაც ცოტა სულელურად მოიქცევა, არადა, აშკარად გიჟს ჰგავს... მოკლედ, შენი რჩევისამებრ, მოვეშვათ ამ საკითხს.

საუბარში აღარ უხსენებიათ, ქეთრინსაც ალბათ გულიდან გადასცილდა, მაგრამ სტუმარი გონებით არაერთხელ დაუბრუნდა წამოჭრილ საკითხს. ვხედავდი, როგორ იღიმებოდა თავისთვის, იღმიჭებოდა უფრო სწორად, როდესაც კი მისის ლინთონი ოთახიდან გავიდოდა ხოლმე.

გადავწყვიტე, თვალი მედევნებინა. გულით მუდამ ჩემი ბატონის მხარეს ვიყავი, – ქეთრინს არ თანავუგრძნობდი, – რადგან მისტერ ლინთონი კეთილი, სანდო და პატივსაცემი კაცი იყო; ქეთრინი კი, ვერ ვიტყვი, ამის სრული სანინალმდევო იყო-მეთქი, მაგრამ მოგჯერ იმისთანას იკადრებდა, რომ მის, პრინციპები ხშირად მაეჭვებდა, მის გრძნობებს კი თითქმის ვერ ვიგებდი. მინდოდა, ისეთი რამ მომხდარიყო, რაც «ქარიშხლიან უღელტეხილსაც» და «შოშიების კარმიდამოსაც» მისტერ ჰითქლიფისგან უმტკივნეულოდ გაათავისუფლებდა. ჩვენ კი მის გამოჩენამდე როგორც ვცხოვრობდით, ისევე გავვეგრძელებინა ცხოვრება. მისი ვიზიტები გაჭიანურებულ კომშარად მექცა და ვეჭვობ, რომ ჩემს ბატონსაც იგივე განცდა სტანჯავდა. მისი «უღელტეხილში» ცხოვრება ძალიან გვთრგუნავდა. მეგონა, რომ

უფალს გზაბნეული ცხვარი მიეტოვებინა, ბოროტი მხეცი კი ფარეხთან მიპარულიყო და იყდიდა, როდის ეცემოდა და ჩაავლებდა კბილებს.

თავი 11

ზოგჯერ, მარტოღმარტო რომ ვფიქრობდი ხოლმე ამ საკითხებზე, შიში ამიტანდა, ქუდს ვიხურავდი და ფერმაში მივდიოდი, რომ მენახა, რა ხდებოდა. თავი დავიწმუნე, რომ ჩემი მოვალეობა იყო, მივსულიყავი და გამეფრთხილება, ხალხი ამას და ამას ამბობს-მეთქი თქვენზე. მაგრამ მერე მახსენდებოდა, როგორი ჩვევები ჰქონდა ჰინდლის შეძენილი, რაც იმედს სულ მაკარგვინებდა და უკან მახევინებდა იმ მწუხარე სახლიდან, მით უმეტეს, არ ვუნყოფი, – შეისმენდა კი ჩემს სიტყვებს.

ერთხელ ძველ ჭიშკარს გავცდი და გიმერთონში წავედი საქმეზე. ეს სწორედ ის პერიოდი, სადამდეც უკვე მისული ვარ ჩემს მოთხრობაში. სუსხიანი და ნათელი დღე იდგა. ირგვლივ ყველაფერი გადატიტვლებულიყო, გზა კი მშრალი და მაგარი ჩანდა. იმ ქვის ძელამდე მივედი, სადაც გზა იყოფა და ხელმარცხნივ ჭაობებისკენ გადის ვიწრო შარა, ქვიმაქვის უხეში სვეტის ჩრდილოეთ მხარეს «ქ. უ.»-ია ამოკვეთილი, აღმოსავლეთ მხარეს «გ.» და სამხრეთ-დასავლეთით «შ. კ.». ეს სვეტი «უღელტეხილის», «მოშეებისა» და სოფლის მიმართულებით მიმავალთათვის გზამკვლევადა გამოიყენება. ნაცრისფერ ცაზე მზე ყვითლად ანათებდა, რამაც ზაფხული გამახსენდა და ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ უეცრად რაღაც ბავშვობის დროინდელი მომაგონდა და გულში ჩამეღვარა. ოციოდე წლის წინ და მე და ჰინდლის ეს ადგილი გვექონდა ამოჩემებული. დიდხანს ვუყურე ნაქარალ ლოდს და ნახვრეტებში ჩატენილი კენჭები და ლოკოკინის ნიჟარები შევნიშნე, რომლებიც არაერთხელ ჩაგვიტენია სხვა უფრო ხრწნად რამეებთან ერთად. უცებ სრულიად ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ ჩემი პატარა ამხანაგი გამხმარ ბალახზე თავისი მუქი ფერის, წინ წახრილი კვადრატული თავით და მისი პატარა ხელი, ფიქლის ნატეხით რომ ხაპავდა მინას. საცოდავი ჰინდლი-მეთქი, შევძახე უნებურად. მივხვდი, ჩემი სხეულის ენამ წამიერად დაიჭერა, რომ ბავშვმა თავი ასწია და შემომაჩერდა! ციმციმით გაქრა, მაგრამ ანაზდად «უღელტეხილში» წასვლის გაუსაძლისი სურვილი დამეუფლა. ცრურწმენამ მიბიძგა, იმპულსს ავყოლოდი, ვაითუ მკვდარი დამხვდეს-მეთქი! ანდაც, იქნებ ახლა კვდება-მეთქი! რადგან ეს შეგრძნება სწორედ სიკვდილის მომასწავებლად აღვიქვი. რაც უფრო ვუახლოვდები სახლს, მით უფრო მერეოდა შინგანი ღელვა. როგორც კი სახურავი გამოჩნდა თვალსაწიერზე, ერთიანად კანკალმა ამიტანა. ზმანებას ჩემთვის გავსწრო და უკვე ჭიშკრიდან მიმზერდა. ასეთი აზრი დამეუფლა ყავისფერთავალა, ძონძებში ჩაქმული ბავშვის დანახვაზე, ვისოსებზე რომ მიედო ლაჟღაჟა სახე. მერე გავიაზრე და ვიფიქრე, ჰერთონი იქნება-მეთქი, რომელიც ათი თვე იყო, რაც აღარ მენახა, დიდად არ შეცვლილიყო.

– ღმერთმა დაგლოცოს, გენაცვალე! – გავძახე გზიდან და ჩემი სულელური შიში სულ გადამავიწყდა, – ჰერთონ, ნელი ვარ, შენი გადია!

ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და მოზრდილ ქვას დაავლო ხელი.

– მამაშენის სანახავად მოვედი, შერთონ, – დავამატე უცებ, რადგან მივხვდი, რომ ნელი, საერთოდ თუ ახსოვდა კიდეც, ჩემთან არ ასოცირდებოდა მისთვის.

ქვა ასწია, რომ ესროლა; მისი გადარწმუნება ვცადე, მაგრამ ვერ შევაჩერე. ქვა ქედზე მომხვდა. მერე კი ისეთი სიბოროტე გამოესახა თვალებში და ისეთი ლანძღვა-გინების კორიანტელი გამოუშვა ჩემი მისამართით ენამოჩლეფით, რომ გავოცდი, – რა მნიშვნელობა ჰქონდა, ხვდებოდა თუ არა ნათქვამის შინაარსს. დარწმუნებით მოგახსენებთ, ამან უფრო დამამწუხრა, ვიდრე გამაბრაზა. ცრემლმომდგარმა ჯიბიდან ფორთოხალი ამოვიღე და გავუწოდე, რომ დამემოშმინებინა. ჯერ ჭოჭმანით შემომხედა, მერე ხელიდან გამომტაცა ძღვენი, თითქოს ტყუილად ვანახვებდი და მიცემას კი არ ვაპირებდი. მეორეც ამოვიღე და ისიც გავუწოდე.

– ვინ გასწავლა ეს სიტყვები, ჩემო პატარავ? – ვკითხე, – მღვდელმა?

– მღვდელიც ეშმაკს წაუღია და შენც! მაიტა ეგაც! – დამიტია შერთონმა.

– მითხარი, სად გიტარდება გაკვეთილები და მოცემ, – ვუთხარი, – ვინ გასწავლის?

– ეშმაკი მამაჩემი, – გამცა პასუხად.

– და მამაშენისგან რას სწავლობ? – დავინტერესდი. ხილისკენ ისკუპა, მაგრამ ხელი მაღლა ავნიე, – რას გასწავლის-მეთქი? – დავუზუსტე კითხვა.

– არაფერს, – მომივო უცებ, – ოღონდ კი ფეხებში არ ვებლანდებოდე. ვერ მიტანს, რადგან სულ ვაგინებ.

– აჰ! მერე, გინებას ეშმაკი გასწავლის?

– არა-ა, – განელა სიტყვა.

– აბა ვინ?

– ჰითქლიფი.

ვკითხე, თუ მოგწონს-მეთქი ჰითქლიფი.

– აჰა! – გაგრძელებით დამიდასტურა. ისევ ვკითხე, რამ მოგაწონა-მეთქი, და მხოლოდ მოკლე წინადადებებით მივიღე პასუხი, – იმიტომ, რომ, როცა მამა მიჯავრდება, ის მამას უჯავრდება, როცა მამა მე მაგინებს, ის მამას აგინებს. მეუბნება, რაც გინდა, ის ქენიო.

– მღვდელი წერა-კითხვას არ გასწავლის?

– არა. მითხრეს, კიდეც თუ გადმოუბიჯებია ჩვენს ზღურბლზე, კბილებს დავამტვრევთ... და გადავწყლაპებთო. ჰითქლიფი დამპირდა ასე!

მეორე ფორთოხალიც მივეცი და ვუთხარი, მამაშენს გადაეცი, ნელი დინი გესტუმრათ, თქვენთან საუბარი სურს და ეზოს კართან გიცდით-თქო. ბავშვი წავიდა და სახლში შევიდა, მაგრამ ჰინდლის მაგივრად, კარში ჰითქლიფი გამოჩნდა. მე უცებ გამოვბრუნდი და ისე სწრაფად გავიქეცი, რომ ლამის გული ამომივარდა; გზაგასაყარამდე არ შევჩერებულვარ. ისეთი შეშინებული ვიყავი, თითქოს ავი სული დამენახოს. ეს ამბავი, მართალია, მის იზაბელას პირდაპირ არ უკავშირდება, მაგრამ ამის შემდეგ გადავწყვიტე, ყურადღება არ მომედუნებინა და «შოშიებში» ცუდი ზეგავლენის გავრცელებისთვის შემეშალა ხელი, თუნდაც ამით სახლში დიდი ამბავი ატეხილიყო და ქეთრინთანაც ურჩობა დამჭირებოდა.

ისევ რომ გვესტუმრა ჰითქლიფი, მის ლინთონი ეზოში იყო და მტრედებს უყრიდა საკენკს. სამი დღე რძლისთვის ხმა არ ჰქონდა გაცემული. მაგრამ ამ დროის განმავლობაში არც ჭირვეულობდა, რამაც საგრძნობლად შეგვიმსუბუქა ყოფა. ჰითქლიფს ჩვევად არ ჰქონდა, მის ლინთონი დიდი ყურადღებით გაენებივრებინა. ახლა კი, რომ დაინახა, ეგრევე სახლის ფასადს შეავლო თვალი. სამზარეულოს ფანჯარასთან ვიდექი, მაგრამ თვალს მოვეფარე. სტუმარი მასთან მივიდა ქვაფენილი ბილიკით და რაღაც უთხრა; გოგონა აშკარად შეცბა და გაცლა მოუნდა, მაგრამ ჰითქლიფმა მკლავზე დაადო ხელი. ქალმა სახე აარიდა, ეტყობა, ისეთი რამ ჰკითხეს, რაზეც პასუხის გაცემა არ ენადა. მაგ ნაძირალამ კი კიდევ ერთხელ შეავლო სახლს მზერა და იმ იმედით, არავინ მხედავსო, მოეხვია.

– იუდა! მოლაღატე! – ვერ შევიკავე თავი, – ფარისევლობაზეც არ იხევ უკან, არა, შე თაღლითო!

– ვისზე ამბობ, ნელი? – მომესმა უკნიდან ქეთრინის ხმა. მისი შემოსვლა ჰითქლიფს მიჩერებულმა ვერ გავიგე.

– თქვენს უმაქნის მეგობარზე! – გაცხარებით ვუპასუხე, – აი, იმ დამპალზე. ოჰ, შეგვამჩნია, აქეთ მოდის! ვნახოთ ერთი, როგორ გაამართლებს მის ლინთონთან სიყვარულობანას, როცა თქვენ გიმტკიცებთ, დასანახად ვერ ვიტანო?

მისი ლინთონმა დაინახა, როგორ გაითავისუფლა იზაბელამ თავი და ბაღში გაიქცა. ერთ წუთში კი ჰითქლიფმა შემოგვილო კარი. თავი ვერ შევიკავე და ჩემს მღელვარებას გასაქანი მივეცი, მაგრამ ქეთრინმა გამაჩუმა, – სამზარეულოდან გაგავდებ, თუ მაგ კადნიერ ენას არ ჩაივდებო.

– შენ რომ მოგისმინონ, ხალხი იფიქრებს, ქალბატონი თვითონ არისო! – დამიყვირა, – შენი ადგილი იცოდლე! ჰითქლიფ, რა საჭიროა ამდენი ალიაქოთი? ხომ გითხარი, თავი შორს დაიჭირე იზაბელასგან-მეთქი! გეხვეწები, მოთოკე თავი, თუკი არ გსურს, რომ ჩემმა ქმარმა სახლის კარი ცხვირწინ მიგიხუროს!

– ღმერთმა დაიფაროს მაგის ჩადენისგან! – უპასუხა შავმა არამზადამ. ნეტავ იცოდეთ, როგორ შემეზიზნა, – ღმერთმა მოთმინება და სიმშვიდე მისცეს! ერთი სული მაქვს, როდის გავისტუმრებ იმქვეყნად!

– სუ! – უთხრა ქეთრინმა და შიდა კარი დაკეტა, – ნუ გამაბრაზებ. ჩემი თხოვნა რატომ არ იღე ყურად? განგებ შემოგვეფეთა წინ?

– რა გჭირს? – შეუღრინა არამზადად, – უფლება მაქვს, ვაკოცო, თუ ნებავს. შენ კი ამას ვერ ამიკრძალავ. მე შენი ქმარი არ ვარ: ჩემზე არ უნდა იფიქროს!

– შენზე არ ვეჭვიანობ, – უპასუხა დიასახლისმა, – შენ გამო ვეჭვიანობ! ევრე ავად ნუ მიყურებ! იზაბელა თუ ასე მოგწონს, შეირთე. მაგრამ მოგწონს კი? სიმართლე მითხარი, ჰითქლიდი! არ მპასუხობ, ე. ი. არ მოგწონს.

– მერე, მისტერ ლინთონი თავის დას გაატანს ამ კაცს? – ვიკითხე მე.

– ურჩევნია, გაატანოს, – გადაჭრით დამიბრუნა პასუხი დიასახლისმა.

– შეუძლია, თვითონ არც შეინუხოს თავი, – თქვა ჰითქლიდმა, – მისი თანხმობის გარეშეც წავიყვან. შენ კი, ქეთრინ, ორიოდ სიტყვას გეტყვი, რაკი საუბარი ამ საკითხს შეეხო. მინდა იცოდე, რომ კარგად ვხვდები, როგორ ვერაგულად შექცევი – ვერაგულად! გესმის? თუ გგონია, ამას ვერ ვამჩნევ, სულელი ყოფილხარ; ან თუ გგონია, რომ ტკბილი სიტყვებით მომთაფლავ – იდიოტი ყოფილხარ. ხოლო თუ ფიქრობ, შურისძიებაზე ხელი აიღო, ძალიან მალე საპირისპიროში დარწმუნდები! ამასობაში კი, დიდ მადლობას მოგახსენებ, მულის საიდუმლო რომ გამომხილე: გეფიცები, ამას გამოვიყენებ. გზიდან ჩამომეცალე!

– ვაჰ, თავს ახლებურად გვიჩვენებს! – წამოიძახა გაცოცხლებმა მის ქეთრინმა, – მე გექცევი ვერაგულად? შურისძიებაზე ხელი არ აგიღია? ნეტავ როგორ აპირებ შურისძიებას? ან ჩემს საქციელში ვერაგული რა დაინახე?

– შენზე არ ვაპირებ შურისძიებას, – ნაკლებღვარძლიანად უპასუხა ჰითქლიდმა, – ეს ჩემს გეგმაში არ შედის. ტირანი მონებს თელავს, ისინი კი არ უჭანდებიან, ისინი თავიანთ ფეხქვეშ აღმოჩენილებს ასწორებენ მიწასთან. შეგიძლია, სიკვდილამდე გამოთელო, თუკი გეამება, მაგრამ ნება მომეცი, მეც ზუსტად ასევე გავთელო სხვა და, შვილებისდაგვარად, შეიკავე თავი შეურაცხყოფისგან. ჩემი სასახლე თუ დააქციე, ქოხს მაინც ნუ დამიდგამ და შენივე ქველმოქმედებით აღფრთოვანებული თავმომწონედ ნუ მეტყვი, შედი, იცხოვრეო. რომ დავიჯერო, თითქოს მართლა გინდოდეს ჩემი და იზაბელას ქორწინება, ჩემივე ხელით გამოვიჭრიდი ყელს!

– უბედურება ისაა, რომ არ ვეჭვიანობ, არა? – დაუკვილა ქეთრინმა, – კეთილი, ქორწინებაზე ჩემს ნათქვამს აღარ გაგიმეორებ, ეს იგივეა, მგლის თავზე სახარება იკითხო! მგლისა არ იყოს, შენც მხოლოდ ტკივილის მოტანა გახარებს. ამას ამტკიცებ კიდევ. ედგარმა ისწავლა, როგორ აღარ გაღიზიანდეს შენს გამოჩენაზე, მეც დავმშვიდდი და დავწინარდი. შენ კი, დამშვიდებულებს რომ გვხვდავ, სული არ გისვენებს, სანამ არ წავგაჩხუბებ. ეჩხუბე ედგარს, თუ ასე გინდა, ჰითქლიდი, და შეაყვინე მისი და; ჩემზე შურის საძიებლად ზუსტად გაქვს მიზანი შერჩეული.

საუბარი შეწყდა. მისის ლინთონი ბუხართან ჩამოჯდა, სახეაღწილი და მოღუშული. თავის მოთოკვა გაუჭირდა: სულს ვეღარც იმშვიდებდა, ვეღარც

აკონტროლებდა. ჰითქლიფიც იქვე იდგა გულხელდაკრეფილი და თავში ათასი საძაგელი აზრი უტრიალებდა. სწორედ ასეთ მდგომარეობაში დავტოვე ისინი და ბატონთან გავეშურე, რომელიც გაკვირვებული იყო, ამდენ ხანს ქეთრინი დაბლა რას აკეთებსო.

– ელენ, – მომმართა მან, როდესაც შევედი, – თქვენი დიასახლისი არ გინახავთ?

– დიახ, სერ, სამზარეულოშია, – ვუპასუხე, – მისტერ ჰითქლიფის საქციელით ძალიან დამწუხრებულია და მგონი, ამ ბატონის ვიზიტებს უკვე სახელი უნდა დაერქვას. ზედმეტი თავაზიანობა საქმეს კი არ არგებს, არამედ წაახდენსო, ნათქვამია და ვგონებ, ჩვენც ვერე მოგვივიდა, – ავდექი და ბაღში გათამამებული სცენა მოვუყევი და ის კამათიც არ გამომრჩენია, რაც მერე მოჰყვა, თან შეძლებისდაგვარად სიტყვა-სიტყვით ვცდილობდი, გამემორებინა. მეგონა, ამით დიდი ზიანი არ მიადგებოდა ქეთრინს, მაგრამ მერე მაინც ცუდად განვითარდა მოვლენები, როდესაც თავისი სტუმრის დაცვას შეუდგა. ედვარდ ლინთონს ბოლომდე მოსმენა გაუჭირდა. მისი პირველი სიტყვებიდან მივხვდი, რომ ცოლისთვის თავზე ხელის გადასმას არ აპირებდა.

– ეს დაუშვებელია! – თავი ვერ შეიკავა ბატონმა ედვარდმა, – სამარცხვინოა, თავის მეგობარს რომ უწოდებს და მეც თავზე მახვევს მას! მისაღებიდან ორ კაცს დამიძახეთ, ელენ, ქეთრინი მაგ სულმდაბალ არამზადას აღარ უნდა ესაუბროს. ისედაც საკმარისად ბევრის უფლება მივეცი.

დაბლა ჩავიდა, მსახურებს ღერეფანში მოცდა დაავალა, და სამზარეულოში შევიდა – ფეხდაფეხ მეც შევეყვი. იქ მყოფთ ცხარე კამათი განეხლებინათ: მისის ლინთონს მხნეობა მოეკრიბა და ისე უტევდა მეტოქეს. ჰითქლიფი კი სარკმელთან იდგა და თავი ჩაეჩინდრა, თითქოს დიასახლისის შეტევამ დააფრთხოო. ოთახში შესული ბატონი ჯერ მან დაინახა და სწრაფი მოძრაობა გააკეთა, რომ ქეთრინი გაეჩუმებინა. ქეთრინიც მყისვე მიუხვდა ნიშანს და ენა გადაეყლაპა.

– ეს რას ნიშნავს? – მიმართა ედვარდმა ცოლს, – ზრდილობის რომელი წესები გაკავებს ამ გათახსირებულთან, როდესაც შენი თანდასწრებით ასეთი ენით საუბრობს? მე მგონი, მეტყველების ეს მანერა მისთვის ჩვეულებრივია და ამიტომაც არ გაქვს რეაქცია. ისე მიეჩვიე მის სიმდაბლეს, რომ ჩემგანაც დაყაბულუნებას მოითხოვ?

– კართან გვისმენდი, ედვარდ? – ისეთი ტონით ჰკითხა ცოლმა, რომ ამკარად ქმრის წყობილებიდან გამოეყვანა ჰქონდა განზრახული და თითქოს სულაც არ აღელვებდა მისი გაღიზიანება. სახლის პატრონის ხმის გაგონებაზე ჰითქლიფმა გახედა და დამცინავად გაიცინა, რომ ყურადღება თავისზე გადაეტანა. ეს გამოუვიდა, მაგრამ მისტერ ედვარდი სტუმრისთვის სიამოვნების მინიჭებას არ აპირებდა თავის თავზე კონტროლის დაკარგვით.

– აქამდე მოთმინებით გიტანდით, სერ, – მშვიდად დაიწყო ედვარდმა, – არა იმიტომ, რომ თქვენს სულმდაბალ ხასიათს ვერ ვხვდებოდი, უბრალოდ, ამაში ნაწილობრივ მიმაჩნდით დამნაშავედ, მაგრამ რაკი ქეთრინს სურდა თქვენი სიახლოვე, მეც უსიტყვოდ დავთანხმდი – სულელური საქციელია. თქვენი აქ ყოფნა

მორალური შხამია, რომელიც უკეთილშობილეს სულსაც კი გახრწნის, ამიტომაც და უარესი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ამიერიდან ჩემს ოჯახში გამოჩენას სასტიკად გიკრძალავთ და მოვითხოვ, დაუყოვნებლივ დატოვოთ ეს სახლი. სამი წუთის დაყოვნება და ამ ოთახიდან თქვენი დამამცირებელი ფორმით იძულებითი გაყვანა ერთი იქნება.

ჰითქლიფმა მასპინძელი დამცინავი მზერით აწონ-დაწონა.

– ქეთი, ეს შენი კრავი რა ხარით იმუქრება! – გამოსცრა კბილებში, – არ ეშინია, რომ ჩემი ხელით გავუჭეცყო თავი? ღმერთია მონზე, მისტერ ლინთონ, რომ ძირს დახეთქებადაც არ ღირხარო!

ჩემმა ბატონმა ღერეფნისკენ გაიხედა და თვალთ მანიშნა, ბიჭები მოიყვანო: პირადად შეტაკების სურვილი არ ჰქონდა. დავემორჩილე და ის იყო, უნდა გავსულიყავი, რომ მისის ლინთონმა რალაც იყნოსა, უცებ გამოქანდა და სანამ გავძახებდი, დამეძგერა, უკან შემომავლო და კარი გადაკეტა.

– რა ღირსეულად იქცევი! – სიბრაზისგან გაოცებულ ქმარს მიმართა, – შეტაკების თავი თუ არ გაქვს, ბოდიში მაინც მოუხადე ან თავი გაალახვინე. აწი გეცოდინება, რომ ბაქიობა არ გამოგადგება. არა, გასაღებს გადავყლაპავ, სანამ შენ ჩაიგდებ ხელში! ორივენი როგორ გულუხვად მიხდით მადლობას ჩემი სიკეთისთვის! ერთის აგვაცობაზე და მეორის სისუსტეზე თვალის დახუჭვის სანაცვლოდ ბრმა უმადურობის მაგალითის ვიღებ – სისულელემდე მისული უმადურობის! ედგარ, ამდენ ხანს შენ და შენიანებს ვიცავდი; შენ კი ჩემზე მაინც ცუდი გაიფიქრე, რის გამოც, ვისურვებდი, რომ ჰითქლიფმა ერთი გემოზე დაგუფო!

ბატონს დასაუყუად არავის გარჯა არ დასჭირვებია, ისე ცუდად გახდა მღელვარებისგან. სცადა, ცოლისთვის ხელიდან გამოეგლიჯა გასაღები, მაგრამ გაანჩხლებულმა დიასახლისმა არ დაანება და გაჩაღებულ ბუხარში შეავლო. ამაზე მისტერ ედგარს ნერვული შეტევა დაეწყო და სახეზე ფერი დაკარგა. ალბათ სიცოცხლესაც კი დათმობდა, ოღონდ ეს ემოციის მოჭარბება აერიდებინა თავიდან, მაგრამ ვერ შეძლო: ბრაზმა და შეურაცხყოფამ დარია ხელი და ლამის ბოლო მოუღო. სავარძელში ჩავარდა და სახეზე ხელები აიფარა.

– ღმერთო მაღალო! ძველად ამის გამო რაინდად კურთხევა არ ავცდებოდა! – დასცინა მისის ლინთონმა, – დაგვამარცხეს! გვძლიეს! ჰითქლიფი შენზე ისე არ აწვედა ხელს, როგორც მეფე არ მიუშვებს თავის ჯარს თავგების ხროვაზე. საცოდავო! თითოსაც არავინ დაგაკარებს! კრავიც ვერ ხარ, ძუძუმწოვარა ბაჭია ხარ!

– იმედი მაქვს, გსიამოვნებს ლაჩართან ყოფნა, სისხლის მაგივრად რძე უდგას ძარღვებში! – უთხრა მეგობარმა, – გემოვნებას გინონებ. ეს ავცია და მშობარა მამჭობინე! ხელს ვერ გავისვრი მაგაზე, მაგრამ ნიხლს კი სიამოვნებით დავაჭერდი და დიდ სიამოვნებასაც მივიღებდი! ტირის თუ რას შვრება? ან იქნებ შიშით გული მისდის?

სტუმარი მიუახლოვდა და ის სავარძელი შეანჯღრია, რომელზეც ედგარი იყო მისვენებული. ჰითქლიფს ერჩივნა, დისტანციაზე ყოფილიყო მისგან, რადგან ჩემი განრისხებული ბატონი უეცრად წამოვარდა და ისე ღონივრად დაარტყა ყელში, რომ სხვა მის ადგილას, წაიქცეოდა. ჰითქლიფს წამით სუნთქვა შეეკრა, სანამ სულს მოითქვამდა, მისტერ ლინთონი უკანა კარით ეზოში გავიდა და ისე შევიდა სახლში წინკარიდან.

– ეს გინდოდა? ამ სახლში უკვე ფეხი ამოიკვეთე, – უწივლა ქეთრინმა, – ახლა მოცოცხე აქედან, თორემ პისტოლეტებით ექვსი დამხმარით დაბრუნდება. თუ ჩვენი ლაპარაკი მოისმინა, არასოდეს გაპატიებს. ცუდ დღეში ჩამავდე, ჰითქლიფ! მაგრამ ახლა წადი, ჩქარა! მირჩევნია, ედგარს ვხედავდე შავ დღეში ჩავარდნილს, ვიდრე შენ!

– ყელი მეხრუკება ტკივილით და გგონია, წავალ და ამას შევარჩინ? – იქუხა არამზადამ. – ჯოჯოხეთს ვფიცავ, სანამ ამ ზღურბლზე გადამიდგამს ნაბიჯი, ჯერ ძვლებში დავამტრვევ – თხილის ნაჭუჭივით დავამსხვრევ! ახლა თუ არ ამოვიყრი ჯავრს, იცოდე, მერე ვეღარ ვადამიჩრება: მოვკლავ! თუ მისი არსებობა რამედ გიღირს, ჯობია, ახლა არ დამაკავო!

– თვითონ არ მოვა, – ჩავერთე მე და ცოტაოდენი ტყუილიც ჩავურთე, – მეეტლე და ორი მეზაღე მოდიან; იმედია, აქ არ დარჩებით და ძალით არ გააგდებინებთ თავს! ხელკეტები უჭირავთ. ბატონი კი მისაღები ოთახის სარკმლიდან მიადევნებს თვალს, რამდენად სრულდება მისი ბრძანება.

მეზაღეები და მეეტლე მოახლოვდნენ, მაგრამ ბატონიც ახლდათ. უკვე ეზოში შემოვიდნენ. ჰითქლიფი დაფიქრდა და გადაწყვიტა, ედგარის ხელის ბიჭებთან შებრძოლება არ ღირსო. მაშა აიღო, საკეტი ჩამოატეხა კარს და სწორედ მაშინ გაასწრო, როდესაც ბატონი და მსახურები უკანა კარიდან შემოვიდნენ.

მისის ლინთონი უკიდურესად აღელვებული იყო და მთხოვა, ჩემს ოთახამდე ამაცილებო. რა იცოდა, რა წილი მედო ამ არეულობაში, მე კი სულაც არ მსურდა, რომ ეს შეეტყო.

– ეს რა გადავიტანე, ნელი! – თქვა და სოფაზე დაეხეთქა. – ათასობით მჭედლის უროკვერი მიზაგუნებს ახლა თავში! იზაბელას უთხარი, თავი ამარიდოს. ეს დავიღარაბა მან გამოიწვია. ახლა მან ან სხვა ვინმემ მდგომარეობა რომ დამიმძიმოს, ჩემს რისხვას ვერ გადაურჩება. და კიდევ, ამაღამ თუ ნახავ საერთოდ, ედგარს გადაეცი, რომ სერიოზულად ავად გახდომის წინაშე ვდგავარ. ნეტავ ენამ მივივლოს. თავზარი დამცა და დამშოკა! მინდა, შევაშინო. თანაც, შეიძლება მოვიდეს და ბრალდებები და საყვედურები მომაცაროს. დარწმუნებული ვარ, აქეთ მე დავდებ ბრალს და ღმერთმა უწყის, ეს რით დასრულდება! ხომ შესარულებ ჩემს დავალებას, ჩემო კარგო ნელი? შენი თვალთ დაინახე, რომ ამ საქმეში უბრალო ვარ. რამ წამოუარა თავში, რომ მოგვაყურადა? შენ რომ გახვედი, ჰითქლიფი კი გამძვინვარდა და ბევრი რამ თქვა, მაგრამ იზაბელადან სხვა რამეზე გადავუტანე სიტყვა და ამით დასრულდა. ახლა კი ყველაფერი წყალში ჩამეყარა. ნებისმიერ სულელს მაცდური უბიძგებს, რომ საკუთარ თავზე ცუდი მოისმინოსო, ედგარზეა ნათქვამი. რა რჯიდა?!

რას ისმენდა, რომ ისმენდა, ამით შეემატა რამე? თავგმა თხარა, თხარაო, ისე მოუვიდა. მართლაც, ჰითქლიფი რა ჰირით გამოვლანძღე, ლამის ხმა წამერთვა და ჩემი ქმარი კიდევ ადგა და აქვე გამამტყუნა! ისე გავლიზიანდი, სულ არ მანალვლებდა, რას უზამდნენ ერთმანეთს. ისე, რითიც უნდა დასრულებულიყო ის სცენა, ვიგრძნები, რომ კარგა ხნით დავცილდით ერთმანეთს. რა ვქნა, თუკი ედგარის ეჭვიანობისა და სულმდაბლობის გამო ჰითქლიფთან ველარ ვიმეგობრებ, ორივეს გულს მოვუკლავ საკუთარი გულის მოკვლით. ასე უფრო სწრაფად მოვუღებ ყველაფერს ბოლოს, რაკი სხვა გზა არ მაქვს. მაგრამ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მეტს ვერაფერს ვიღონებ, თუმცა კი ვიცე, ედგარს ამით დიდად ვერ განვაკვიფრებ. ადრე ჩემს გალიზიანებას ერიდებოდა ხოლმე, უნდა უთხრა, რა საშიშროება ელის, თუ მაგ პოლიტიკას შეცვლის და ჩემი ფიცხი ხასიათიც შეახსენო, რომელსაც ერთი ნაპერწკალი უნდა და იფეთქებს, საიდანაც სრულ გაშმაგებამდე ერთი ნაბიჯია. იმედი მაქვს, მაგ აპათიურ სახეს შეიცვლი და ცოტაოდენი აღშფოთება მაინც გამოგესახება ჩემ გამო.

იმ გულგრილობას, რომლითაც ეს დავალებები მივიღე, ეჭვიც არ მეპარება, კიდევ უფრო მეტად შეეძლო მისი გალიზიანება. მით უმეტეს, თანამოსაუბრე სრულიად გულწრფელად ყრიდა ცეცხლს. მაგრამ, მჯეროდა და მჯერა, რომ თუკი ადამიანს შეუძლია თავისი ემოციური მდგომარეობის გამიზნულად გამოყენება, ასეთ დაძაბულ ვითარებაშიც კი, მას ისიც შეეძლება, რომ მოინდომოს და თავი აკონტროლოს, ამიტომაც არ მსურდა მისი მეუღლის «დაშინება», როგორც მან მითხრა, და ამით მისი ეგოისტური ჭირვეულობის კიდევ უფრო გაღვივება. ამიტომაც, როდესაც ბატონს მისაღებ ოთახში შევხვდი, არაფერი მითქვამს, მაგრამ თავს უფლება მივეცი, უკან გავეყოლოდი და მიმეყრადებინა, ხელახლა დაიწყებდნენ ჩხუბს თუ არა. ედგარმა პირველმა დაიწყო საუბარი.

– დარჩი, სადაც ხარ, ქეთრინ, – უთხრა ცოლს; ხმაში სიბრაზე არ ემჩნეოდა, მაგრამ სევდა და გულგატეხილობა კი აშკარა იყო, – მე არ დავრჩები; არც შერიგებას ვაპირებ და არც ჩხუბს, მაგრამ მინდა ვიცოდე, აპირებ თუ არა დღეს მომხდარი ამბების შემდეგ კიდევ განაგრძო ახლობლობა მაგ...

– ოჰ, ღვთის გულისათვის, – შეანწყვეტინა ცოლმა და ფეხი დააბაკუნა, – ღვთის გულისათვის, აღარ გვინდა ამ თემამე კამათი! შენი გაყინული სისხლის აღღვება არ იქნება! ძარღვებში ყინულივით ცივი წყალი გიღის, ჩემს ძარღვებში კი მღუღარე სისხლი ჩქეფს, შენი ყინულოვანი სახის ყურება წონასწორობას მაკარგვინებს.

– თავიდან რომ მომიცილო, კითხვაზე უნდა მიპასუხო, – გაჭიუტდა მისტერ ლინთონი, – უნდა გამეც პასუხი. შენი წონასწორობა კი სულ არ მაღელვებს. დავინახე, რომ ნებისმიერი ადამიანივით შეგიძლია თავის შეკავება, როცა გინდა. ამიერიდან ან ჰითქლიფს მიატოვებ, ან მე. უკვე შეუძლებელი გახდა, ერთდროულად მისი მეგობარიც გერქვას და ჩემიც, ამიტომაც კატეგორიულად მოვითხოვ პასუხს: რომელ ჩვენგანს ირჩევ?

– მე კი მოვითხოვ, რომ მომცილდე თავიდან! – დაუკვივლა გაკაპასებულმა ქეთრინმა, – მოვითხოვ-მეთქი! ვერ ხედავ, რომ ძლივს ვდგავარ? ედგარ, შენ... შენ მტოვებ?!

ქეთრინმა ზარს ისე ძლიერად ჩამოჰკრა, რომ ზონარი მოსწყვიტა. დინჯად შევედი. ასეთი უაზრო, ბოროტი მძვინვარება წმინდანსაც კი გამოიყვანდა წონასწორობიდან. სოფაზე მიწოლილს თავი სამკლავურზე მიედო და კბილებს ისე აკრაჭუნებდა, კაცი იფიქრებდა, სადაცაა, ჩაილენავსო.

მისტერ ლინთონი უეცრად მოწოლილი სინდისის ქენჯნითა და შიშით უყურებდა. წყლის მოტანა დამავალა. ქეთრინს სუნთქვა არ ჰყოფნიდა, რომ რამე ეთხოვა. საესე ჭიქა მივუტანე და რაკი ვერ დალევიდა, სახეზე ვაპკურე. რამდენიმე წამში გაიზმორა და თვალები გაახილა, თუმცა უპეები და ლოყები გაუფითრდა და მკვდრისფერი დაედო. ლინთონი შეშინებული ჩანდა.

– საშიში არაფერია, – ჩურჩულით ვუთხარი. ამ მსურდა, რომ კაცს უკან დაეხია, თუმცა გულის სიღრმეში მეც შიში მეპარებოდა.

– ტუჩებზე სისხლი აქვს! – აცახცახებულმა წარმოთქვა.

– ნე ღელავთ! – მკვახედ ვუპასუხე, მოვუყვიე, მის მოსვლამდე რომ გადაწყვიტა ქეთრინმა გულყრის გათამაშება. შემთხვევით, ხმამალლა მომივიდა ამისი თქმა და დიასახლისმაც გაიგონა; წამოხტა, განენილი თმა მხრებზე ეყარა, თვალები უელავდა და ყელის ძარღვები დაბერვოდა; უცნაურად მოგვაჩერდა. ვითუქნე, ძვლები არ დამამტვრიოს-მეთქი, მაგრამ ქეთრინმა მხოლოდ შემომხედა და უეცრად ოთახიდან გავარდა. ბატონმა დამავალა, გაჰყვიო. მეც გაჰყვიე, მაგრამ თავის ოთახში ქალბატონმა არ შემიშვა და კარი მიიხურა.

რაკი მეორე დღით სასაუზმოდ ჩამობრძანება არ ინება, მე ავაკითხე, რამეს ხომ არ მიირთმევთ-მეთქი. «არა!» – გაისმა მკაცრი პასუხი. ანალოგიური კითხვა დავესვი სადილად და სამხრადაც, მერე მეორე დღესაც მივადექი მის კარს, მაგრამ პასუხიც იგივე იყო: «არა!». მისტერ ლინთონი კი დროს ბიბლიოთეკაში ატარებდა და ცოლის ამბავს არ კითხულობდა. და-ძმამ მთელ საათს ისაუბრა, რა დროსაც ედგარმა მომხდარის შესახებ მოუყვა, თუმცა იზაბელასგან მცირედი შეცხადებაც კი ვერ მოისმინა ჰითქლიფის საქციელთან დაკავშირებით, ვერც კითხვებზე მიიღო კონკრეტული პასუხები, გარდა ორჭოფულ-გაურკვეველი წინადადებებისა, უხალისოდ რომ წარმოთქვამდა მისი და, ამიტომ იძულებული გახდა, საუბარი შეწყვიტა. თუმცა ბოლოს დასძინა, თუ იმდენი ჭკუა არ გეყოფა და მაც უმაქნის მოტრფიალეს არ ამოიგდებ გონებიდან, ჩვენ შორის დამხური კავშირი საბოლოოდ განწყდებაო.

სანამ მის ლინთონი პარკსა და ეზოში თვალცრემლიანი უბრად ყოფნას ამჯობინებდა, მისი ძმა წიგნებს შეეხიზნა, თუმცა გვერდი არ გადაუშლია – იცდა და ელოდა, როდის მიაკითხავდა თავისი ფეხით მონანიე ქეთრინი და ბოდიშს მოუხდიდა უგუნური საქციელის გამო. ქალი კი ამ დროს ჯიუტად იღვა თავისაზე და, ჩემი აზრით, ფიქრობდა, ედგარი რომ სუფრას მიუჯდება, ჩემზე დარდით ლუკმა არ გადაუვა ყელშიო და აქეთ თვითონ უცდიდა, მოვიდეს და პატიება მოხოვოსო. ამასობაში მე ჩემს საქმიანობას განვაგრძობდი და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ «შოშიების» კარმიდამოში საღად აზროვნება მე შემეძლო. არც იზაბელას თანავუგრძობი და არც ქეთრინის გადარწმუნებას ვცდილობდი, რაღა დაგიმალოთ და, არც ბატონის ოხვრა მხვდებოდა გულზე, როდესაც დაღონებული იცდა და ცოლის სახელის მოსმენას მაინც ელტვოდა, რაკი მისი ხმის გავონების საშუალება მოსპობოდა. თვითონ მოშველდნენ-მეთქი, გავიფიქრე. მართალია, თავიდან დამლღეღად ნელა მიდიოდა ეს პროცესი, მაგრამ ბოლოს რომ განთიადის სხივები შევნიშნე, გული გამიხალისდა. ასე ვფიქრობდი თავიდან.

მესამე დღეს მისი ლინთონმა კარის გაღება იწება, რაკი კოკასა და გრაფინში წყალი გამოლოვოდა და ავსება სურდა, თან ერთი თეფში ფაფა ითხოვა, – მგონი, შიმშილით ვკვდებო. ეს სიტყვები, მიგხვდი, რომ ედგარის ყურამდე მისატანად იყო წარმოთქმული, ამიტომაც არავისთვის არაფერი მითქვამს, ისე მივართვი ჩაი და გახუხული პური. ხარბად შეექვა და ისევ ბალიშში ჩარგო თავი აკვნესებულმა, თან თითებს იმტვრევდა.

– ოჰ, სიკვდილი მელის, – წამოიწყო დიასახლისმა, – რადგან არავის ვედარდები. ჯობდა, პირი არაფრისთვის დამეკარებინა. – მერე დუმილი ჩამოვარდა, რომელიც ისევ თვითონ დაარღვია ბუტბუტით: – არა, არ მოვკვდები, ასე მას გავახარებ. საერთოდ არ ვუყვარვარ და არასოდეს მოვენატრები!

– რამე გნებავთ, მემ? – ვკითხე მშვიდად, თუმცა კი გადაფიქრებული იყო და უცნაურად აღვზნებულე.

– ის უსულგულო რასა იქმს? – მკითხა და სქელი თმა მოიშორა დაღლილი სახიდან, – საღათას ძილი დაეცა, თუ გარდაიხვალა?

– არც ერთი, – მივეუგე მე, – თუკი მისტერ ლინთონს გულისხმობთ. მგონი, არაფერი უჭირს, თუმცა კი საქმეებში წინანდელზე მეტად არის ჩაფლული; სულ კაბინეტში ატარებს დროს და წიგნებით იქცევს თავს.

ასე არ უნდა მეთქვა, მისი ნამდვილი მდგომარეობა რომ მცოდნოდა, მაგრამ თვალეზიდან არ მცილდებოდა ის სცენა, თავი რომ მოიმკვდარუნა.

– წიგნებით იქცევს თავს! – დაიკვილა შემცბარმა, – მე კი აქ ვკვდები! სიკვდილის პირას ვარ მისული! ღმერთო! იცის კი, როგორ შევიცვალე? – განავრძო და მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში გახედა თავის ანარეკლს, – ეს ის ქეთრინ ლინთონია? ალბათ ფიქრობს, რომ ვჭირვეულობ ანდაც ვთამაშობ საერთოდ. ვერ გადასცემ, რომ საშიში მდგომარეობაა? ნელი, თუ უკვე ძალიან არ

დაგვიანებულა, როგორც გავიგებ, რას გრძნობს – ორიდან რომელიმეს გადავწყვეტ: ან შიმშილით მოვკვდები... არა, ამით ვერ დავსჯი, რადგან გული არ გააჩნია, ან თვხზე დავდგები და აქაურობას მივატოვებ, სულ გადავიკარგები. მართლა წიგნებით იქცევეს თავს? სიმართლე მითხარი, მართლა ასე არ აღელვებს ჩემი მდგომარეობა?

– რას ბრძანებთ, მემ, – ვუთხარი მე, – ბატონს წარმოლდგენაც არა აქვს, რომ ასეთ დღეში ხართ. და, ბუნებრივია, არც ეშინია, რომ შიმშილით სიკვდილს აპირებთ.

– ასე გგონია? ჩემს დანაბარებს ვერ გადასცემ? – გაჯიუტდა ქეთრინი. – დაარწმუნე! შენი აზრი მოახსენე, უთხარი, რომ გამკეთებელი ვარ!

– არა, მისის ლინთონ, ეტყობა, დაგავიწყდათ, – შევნიშნე მე, – რომ ამ საღამოს გემრიელად დანაყრდით და ხვალ უკვე საკვების კეთილქმედება დაგეტყობათ.

– დარწმუნებული რომ ვიყო, რომ ამით მოვუღებდი ბოლოს, – შემანყვევტინა ლაპარაკი, – თავს მოვიკლავდი! ამდენი ხანი თვალი არ მომიხუჭავს და სულ გავიტანჯე! მოსვენება დავკარგე, ნელი! მაგრამ ვხვდები, რომ გულზე არ გეხატები. რა სისულელეა! მეგონა, ხალხს, ერთმანეთი რომ სძულს და ეზიზღება, მე მანაც ვუყვარვარ-მეთქი. რამდენიმე საათმა იკმარა და ყველანი მტრად მომიკიდნენ – ზუსტად ვიცი. ამ სახლში ყველას ვძულვარ. რა საშინელებაა, როდესაც გაავებული სახეებით გარშემორტყმული ეგებები სიკვდილს! გულგახეთქილ იზაბელას ალბათ ოთახში შემოსვლაზეც კი გული აერევა, რომ ჩემი სიკვდილი იხილოს. ედგარი კი მოხარული იქნება, ჩემს აღსასრულს თუ ეღიროსება. მერე ღმერთს მადლობას შესწირავს, სახლში მშვილობა რომ აღმიდგინეო და თავის წიგნებს მიუბრუნდება! ყველაფერს გაფიცებ, ამიხსენი, რას ნიშნავს წიგნებით თავის შექცევა, როდესაც მე სულს ვლაფავ?

ვერაფრით შეჰკუებოდა იმ აზრს, მე რომ ჩავაგონე მისტერ ლინთონის ფილოსოფიურ განდგომაზე. ბორკვა დაიწყო, გაანჩხლდა, გადაირია და ბალიშის კბილებით ფხრენა დაიწყო. მერე სახელაღნილი წამოდგა და მომთხოვა, თანჯარა გაადგო. შუა ზამთარი იყო და სუსხიანი ზენა ქარი უბერავდა, ამიტომ არ შევასრულე მისი დავალება. უეცრად სახე შეეცვალა და თითქოს სულიც დაუნყნარდა, რამაც, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა, რადგან მისი ავადმყოფობა და ექიმის დანაბარები გამახსენდა, არაფერში შეენიანაღმდეგოთო. წუთის წინ გაცოფებული იყო, ახლა, ცალ ხელზე დაყრდნობილს, თითქოს ჩემი უარი ვერც შენიშნაო, ბავშვივით გადაეტანა ყურადღება დახეულის ბალიშის პირიდან ბუმბულების გამოძრობაზე და ზენარზე ახარისხებდა ფერების მიხედვით. მისი გონება უკვე გასართობს მოეცვა.

– ეს ინდაურისაა, – ხმადაბლა ეუბნებოდა თავის თავს, – ეს გარეული იხვის. აი, ეს კი, მტრედისაა. მტრედის ბუმბულს რომ ბალიშში ჩატენიან, რაღა გასაკვირია, რომ ვერ მოვკვდი! რომ დავწვები, იატაკზე მექნება გასათუანტი. ეს სოლოს ბუმბული ჩანს, ეს კი, ათას ფრინველში გამოვარჩევ, პრანწიასია. ლამაზი ფრინველია, ჭაობნარში სულ თავზე დაგვტრიალებდა. ბუდეში ეჩქარებოდა, რადგან ცაზე ღრუბლები შეიყარა და განვიმებას აპირებდა. ეს ბუმბული ჭაობში ვიპოვეთ, ფრინველი ტყვიით არ იყო მკვდარი: მისი ბუდე ზამთარში ვნახეთ, პანწინა ჩონჩხებით იყო სავსე. პითელითეს

ჩიტბადე გადაეფარებინა ბუდეზე და უფროსი პრანნიები აღარ მოფრენილიყვნენ. ამის მერე პირობა ჩამოვართვი, რომ პრანნიასთვის აღარასოდეს ესროლა და აღარც უსვრია. აი, კიდევ ერთი! ნეტავ, ჩემი პრანნიები ხომ არ ჩამიხოცა, ნელი? რომელიმე წითელია? ვნახო ერთი...

– ბავშვობას თავი დანებეთ! – ვუთხარი, ბალიში გამოვაცალე და ამოვაბრუნე, რადგან ქეთრინი ამოჭმული ადგილებიდან აძრობდა ბუმბულებს, – დანეჭით და თვალეები დახუჭეთ: თორემ ბოდავთ. აი, უბედურება! იმდენი ბუმბული დაგიფანტავთ, თოვლი ეგონება კაცს.

გაფანტული ბუმბულის აკრეფა დავინწყე.

– ნელი, ხნიერს გხედავ, – განავრძო მან, – მხსითმოსილსა და მხრებჩამოშვებულს. ეს სანოლი ფენისთონ-ქრევის ქვეშ ფერიების საკუთრებად ქცეულა... ელვის ისრებს აგროვებდი ჩვენი ხბოების დასაჩხვლეტად, რომ მოვიახლოვდი, თავი მომაჩვენე, ვითომც უბრალო მატყლი გეჭირა. ეს ყველაფერი უახლოესი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მოხდება. ვიცი, ახლა ასე არ იქცევი. არ ვბოდავ, გეშლება. აშკარად შენ იყავი ის დანაოჭებული კუდიანი, მე კი ფენისთონ-ქრეგზე ვიყავი. ვაცნობიერებ, რომ ახლა ღამეა, მაგიდაზე ორი სანთელი ანთია. მათ შუქზე შავი კარადა გიმერივით ბზინავს.

– შავი კარადა? სად არის მერე აქ შავი კარადა? – ვკითხე მე, – ძილში საუბრობთ!

– კედელთან დგას, სადაც იდგა ხოლმე, – მიპასუხა ქეთრინმა, – უცნაურად გამოიყურება, მასში სახეს ვარჩევ!

– არავითარი კარადა ოთახში არ არის და არც აქამდე ყოფილა, – ისევ სანოლზე ჩამოვჯექი და ფარდა ოდნავ გადავნიე, რომ დამეხედა.

– მაგ სახეს ვერ ხედავ? – მკითხა სარკეს მიშტერებულმა.

რა არ ვუთხარი, მაგრამ ვერ დავარწმუნე, რომ თავის გამოსახულებას ხედავდა სარკეში, ამიტომ ავდექი და შალი მივაფარე სარკეს.

– მის უკან მაინც ჩანს! – აიჩემა, – გაინძრა! იმედი მაქვს, არ გამოძვრება, რომ გახვალ. ვაიმე, ნელი, ოთახში მოჩვენებებია! მარტოდ დარჩენისა მეშინია!

ხელზე ხელი მოვკიდე და ვუთხარი, დამშვიდდი-მეთქი, რადგან მთელი სხეული უთრთოდა და სარკეს ვერ აცილებდა თვალს.

– აქ არავინ არის! – ვუმეორებდი დაჟინებით, – ეს თქვენი გამოსახულებაა, მისის ლინთონ, რომელსაც კარგად იცნობთ.

– ჩემი?! – აქოშინდა, – საათმა თორმეტჯერ ჩამოკრა! სიმართლე ყოფილა! საშინელება!

თითები ჩაავლო ზენარს და სახეზე დაიფარა. ვცადე, კარამდე მივპარულიყავი ფეხბურთით და მისი მეუღლე მომეხმო, მაგრამ გულგამგმირავმა კვილიმა მიმაბრუნა – შალი სარკიდან ჩამოცურებულიყო.

– რა იყო? რა მოხდა? – შეკვივლე მეც, – ახლა ვინ არის მშიშარა? გაიღვიძეთ! ეს მხოლოდ სარკის მინაა, მისის ლინთონ; მასში მხოლოდ თქვენს გამოსახულებას ხედავთ, თქვენ გვერდით კი – ჩემსას.

აკანკალებულსა და გონებაარეულს ეჭირა ჩემი ხელი, მაგრამ სიშმავე და ფერწასულობა ადგილს სირცხვილის ალმურს უთმობდა.

– ოჰ, ძვირფასო! მეგონა, შინ ვიყავი, – ამოვიგმინა, – მეგონა, «ქარიშხლიან უღელტეხილში» ჩემს საწოლში ვიწექი. ცუდად რომ ვარ, ტვინი დამებინდა და გაუცნობიერებლად დავინწყე კვილი. არაფერი მითხრა, უბრალოდ დარჩი ჩემთან. ჩაძინების მეშინია, სიზმრები მტანჯავს.

– გამოძინება არ განწყენდათ, მემ, – დავუბრუნე პასუხად, – იმედი მაქვს, ეს ტანჯვა გაკვეთილად გამოგადგებათ, რომ აწი აღარ იმიმშილოთ.

– ოჰ, ნეტავ ახლა ჩემს ძველ სახლში მამყოფა, ჩემს საწოლში ვიწვებოდი! – მწარედ განაგრძო და ხელები მომუშტა. – ქარიც როგორ უსტვენს ნაძვის ტოტებში დარაბებს მიღმა. ერთხელ მაინც მაგრძნობინე, მომეცი საშუალება, რომ ჩვენიდან დაბერილი ქარი კიდევ ერთხელ ჩავისუნთქო! – მის დასამშვიდებლად ცოტა ხნით გავაღე ფანჯრები. სუსხი შემოიჭრა. დავხურე და ჩემს ადგილს დავუბრუნდი. ახლა უკვე მშვიდად იწვა და სახეზე ცრემლები სდიოდა. ფიზიკური სხეულის გამოფიტვას სულიერ მდგომარეობაზეც მოეხდინა გავლენა: ჩვენი ფიცხი ქეთრინი პატარა ბავშვივით სლუკუნებდა.

– რამდენი ხანი გავიდა, რაც აქ ჩავიკეტე? – უეცრად მოცოცხლებულმა მკითხა.

– ორშაბათ საღამოდან, – ვუთხარი, – ახლა კი ხუთშაბათლამეა, უფრო სწორად, პარასკევის დილა თენდება უკვე.

– რა? იმავე კვირის? – წამოიყვირა გაკვირვებულმა, – მეტი დრო არ გასულა?

– საკმარისად გავიდა საიმისოდ, რომ ცივი წყლითა და უხასიათობით იკვებო, – შევნიშნე.

– არადა, თითქოს დიდი დროც არ გასულა, – ეჭვინად ჩაილაპარაკა, – მეტი დრო უნდა იყოს გასული. მახსოვს, დაბლა ოთახში ვიყავი, როდესაც ისინი ჩხუბობდნენ, ედგარი დაუნდობლად მაღიზიანებდა, მე კი ამ ოთახში გამოვიქეცი სასომიხილი. როგორც კი კარი შემოვიკეტე, წვეარამში ჩავიძირე და იატაკზე ჩავიკეცი. ედგარს ვერ ვუხსნიდი, ვერ ვაგებინებდი, რომ უეჭველად ვგრძნობდი, წამი-წამზე სიგიჟე დამრევდა ხელს, თუ ასე განაგრძობდა ჩემს წვალებას! ენას ვერ ვიმორჩილებდი, ვერც გონებას, ის კი ჩემს აგონიას ვერ ხვდებოდა, ეტყობა, იმდენი ტვინი დამრჩა, რომ როგორმე გავცქეულიყავი მისგან და თავი დამეხსნა მისი ხმის

მოსმენისგან. სანამ ნორმალურად დამიბრუნდებოდა დანახვისა და მოსმენის უნარი, შებინდდა კიდევ. ნელი, არ დაგიმაღავ, რა აზრები მომდიოდა თავში, სანამ არ შემეშინდა, რა მჭირს-მეთქი. როდესაც ძირს ვინექი, მაგიდის ფეხზე თავმიდებული, თვალით კი სარკმლის ნაცრისფერ კვადრატს ძლივს ვარჩევდი, ვფიქრობდი, საკუთარ სახლში, მუხის პანელებიან სანოლში ვწევარ-მეთქი. უცებ გული მეტკინა, გაუსაძლისი მწუხარება დამეუფლა, რომელიც გამოღვიძებულმა ვედარაფრით გავისხენე. დავფიქრდი და შევშოთიდი, რა იყო-მეთქი და რაოდენ გასაკვირიც უნდა მოგეჩვენოს, ჩემი ცხოვრების ბოლო შვიდი წელი გამიქრა მესხიერებიდან! იმასაც ვერ ვიხსენებდი, საერთოდ არსებობდა თუ არა ეს დრო. ბავშვი ვიყავი; მამა ახალი დაკრძალული იყო და ტანჯვა მემატებოდა, რადგან ჰინდლიმ მე და ჰითქლიფი გაგვაშორა.

პირველად დავწექი მარტო და მთელი ღამე ტირილში გავატარე. ხელი ავნიე, რომ სანოლის პანელები გამენია და მაგიდის თავზე მომიხვდა! ხალიჩას გაუუსვი ხელი და მესხიერებაში წარსულმა იფეთქა: მთელი ტკივილი სასონარკვეთილების შემოტევამ შთანთქა. ვერ გეტყვი, ასე საცლადავად რატომ ვვრძობდი თავს, ეტყობა, დროებითი ფსიქიკური აშლილობა მქონდა. არადა, თითქოს მიზგივც არ მქონია საამისოდ. მაგრამ აბა წარმოიდგინე, «ქარიშხლიან უღელტეხილს» მონყვეტილი თორმეტი წლის გოგონა, სულ უცხო ადგილას გადასროლილი, იმხანად ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ჰითქლიფის გარეშე დარჩენილი, უცრად მისის ლინთონი ვხდები, «შაშვების კარმიდამოს» დიასახლისი და სრულიად უცხო კაცის ცოლი: ღვენილი, გარიყული... მას მერე ასეთია ჩემი სამყარო. აბა წამიერად წარმოიდგინე ის უფსკრული, სადაც აღმოვჩნდი! გადააქნიე თუ გინდა თავი, ეს შენ შეუწყე ხელი, ამ უფსკრულში რომ ჩავვედე მათ! ედგარს უნდა დალაპარაკებოდი, დალაპარაკებოდი და დაგერწმუნებინა, ნერვები არ აუშალო! ვაი, ვინვი! ნეტავ გარეთ ვიყო! ნეტავ ის გოგონა ვიყო ისევ, გაველურებული, ლალი და თავისუფალი და წყენა სიცილს მგერიდეს და არ მაგვიუბდეს! ასე რატომ შევიცვალე? რატომ მივარდება თავში ყოველი სიტყვა? დარწმუნებული ვარ, ისევ ძველ ქეთრინად ვიქცეოდი, ჩემს კერაზე რომ დამბარუნა. ისევ გახსენი ფანჯარა, ფართოდ გახსენი: სწრაფად! ჩქარა-მეთქი, რატომ არ იძვრი ადგილიდან?

– იმიტომ, რომ არ მინდა, გაცივდე და მოკვდე, – მივეუბე მშვიდად.

– ანუ არ გინდა, ვიცოცხლო, ხომ? – გაბრაზებით წარმოთქვა. – ეგ არაფერი, იმის თავი მაინც მაქვს, რომ თვითონ გავალო.

და სანამ შევაჩერებდი, სანოლიდან წამოდგა და ოთახი გადაკვეთა, არეულად გაიარა, ფანჯარა გამოალო და სუსხიანი ქარის მიუხედავად, მხრებში რომ ხვდებოდა ბასრი დანასავით, გადაეყუდა. ბევრი ვეხვენე, ვევედრე და საბოლოოდ გადავწყვიტე, ძალით წამომეყვანა უკან. მაგრამ უცებ მივხვდი, რომ ბოდვის დროს ჩემზე ბევრად ძლიერი იყო (რომ ბოდავდა, ამაში მისი მომდევნო სიტყვებმა და საქციელმა დამარწმუნა). ცაზე მთვარე არ ჩანდა და გარეთ ყველაფერი ნისლიან უკუნეთს მოეცვა: არც ერთი სახლიდან სინათლის სხივიც კი არ გამოდიოდა, შორს თუ ახლოს, ყველგან

უკვე ჩაეწროთ სინათლეები, «ქარიშხლიანი უღელტეხილი»-ი ჩვენგან არ ჩანდა – არადა, აიჩემა, მამის სახლიდან წამოსულ სინათლეს ვხედავო.

– შეხე! – მგზნებარედ წამოიძახა, – სანთელი რომ ანთია, ეგ ჩემი ოთახია, მის წინ კი ხის ტოტები ქანაობს. მეორე სანთელი ჯოზეფის სხვენში ანათებს. ეტყობა, ღამეს ტეხს, არა? ალბათ მე მელოდება, რომ დაგბრუნდე და ჭიშკარი ჩაკეტოს. კარგა ხანს კიდევ მოუწევს მოცდა. ძნელადსავალი გზაა და ასე გულდამძიმებულმა როგორ გავიარო, თანაც გიმერთონის ეკლესიას უნდა ჩაუეუარო, მთავარ გზაზე რომ გავიდე. ერთად მკვდრებისაც არ გვეშინოდა. ზოგჯერ საფლავებზე დავდგებოდიო ხოლმე და ვეძახდით, წამოდექითო. მაგრამ, ჰითქლიფ, ახლა რომ გიხმო, გეყოფა კი გამბედაობა, იგივე გაიმეორო? თუკი გეყოფა, ჩემი გახდები. მარტო არ ვინებები იქ, თუნდაც თორმეტი ბიჭის სიღრმეზე ჩამმარხონ და ეკლესიაც დამადგან თავზე, იქამდე ვერ დავმშვიდდები, სანამ ჩემი არ გახდები. ვერასოდეს! – შეყოვნდა და უნცაური ღიმით განაგრძო. – ფიქრობს. ურჩევნია, მე მივაკითხო! ჰოდა, გზა იპოვე! მაგ ეკლესიის ეზოზე არა. რა ნელი ხარ! დამშვიდდი, მუდამ მე გიძლოდი წინ!

მის სიგიჟესთან კამათს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ იმასღა ვფიქრობდი, როგორ მივაფარო რამე, რომ ხელის გაშვებამ არ მომიწიოს-მეთქი (რამეთუ გაღებულ ფანჯარასთან მისი მარტოდ დატოვება არ ივარგებდა), გონება დავძახე და უეცრად კარის საკეტის ხმა მომესმა. მისტერ ლინთონი შემოვიდა ოთახში. პირდაპირ ბიბლიოთეკიდან ამოსულიყო და დერეფანში გავლისას ჩვენი საუბარი მოესმინა. თურმე ცნობისმოყვარეობამ და შიშმა შძლია, რომ გაეგო, ამ შავ შუალაშვებში რა გვექონდა ამისთანა სათქმელი ერთმანეთისთვის.

– ოჰ, სერ! – შევძახე მე და ოთახის უკუნი ატმოსფეროთი და მის თვალწინ გადაშლილი სანახაობით პირზე მომდგარი განცვიფრება არ გამოვახატვინე. – ჩემი სანყალი ქალბატონი ავად არის და ვერაფრით ვერ ვახერხებ მის დამორჩილებას, საერთოდ ვერაფერს ვაგონებ, გვევდრებით, დაიყოლიეთ, რომ სანოლში დანწეს. დაივიწყეთ წყენა, რადგან თავის გზას მაინც არ გადაუხვევს.

– ქეთრინი ავადაა? – იკითხა და მოგვიახლოვდა. – ფანჯარა დახურეთ, ელენ! ქეთრინ, რატომ... – მისტერ ედგარი დადუმდა. ცოლის ღონეში ხდილმა სახემ მეტყველების უნარი წაართვა წამიერად. თავზარდაცემული ხან მას უყურებდა, ხან მე გამომხედავდა ხოლმე.

– ძალიან გაჭირვეულადა, – განვავრძე მე. – ცოტას ჭამდა, მაგრამ არასდროს დაიჩვილებდა. ამ საღამომდე არც ერთ ჩვენგან არ იღებდა, ამიტომაც ვერაფერი გაუწყეთ მისი ჯანმრთელობის შესახებ. არც ჩვენ ვიცოდით დაზუსტებით. მაგრამ ეს არაფერი.

მივხვდი, რომ არეულ-დარეულად ვუხსნიდი რაღაცას. ბატონმა წარბი შეკრა.

– ამას არაფერი ჰქვია, ელენ დინ? – მკაცრად მომმართა. – უფრო დანვრილებითი ახსნის მოცემა მოგიწევთ, საქმის კურსში რომ არ ჩამაყენეთ! – მან ცოლს მოჰკიდა ხელები და ტანჯვარამდგარი თვალებით შეხედა.

ქეთრინმა ჯერ ვერ იცნო ქმარი: მისი განყენებული მზერისთვის ის უხილავი იყო. უკვე აღარც ბოღავდა. მერე ლამის წყვილადს მოსწყვიტა მზერა და ნელ-ნელა დაიწყო იმ ადამიანზე ყურადღების გადატანა, ვისაც ეჭირა მისი ხელები.

– აჰ! ეს ვინ მიკადრა? ედგარ ლინთონი ხარ? – თითქოს გამოცოცხლდაო, გაბრაზებით მიმართა. – იმ საგანივით, როცა არ ეძებენ და სულ ფეხებში ედებათ, ხოლო როცა დასჭირდებათ, ვერაფერს პოულობს! ან დაუსრულებელი საყვედურები დაიწყება, არა? მაგრამ ეს მე სულაც არ შემშიშლის ხელს, ჩემს ვინჩო სახლში წავიდე: ჩემს მოსასვენებელს, სადაც გაზაფხულის ბოლომდე დავიდე ბინას! ოღონდ იცოდე, ლინთონებთან არა, არც ეკლესიის გუმბათის ქვეშ, არამედ ღია ცის ქვეშ, თავით დადგმული ქვით. შენ კი, ისე მოიქეცი, როგორც გინდა, გინდა, მათთან მიდი, გინდ – ჩემთან!

– ქეთრინ, რა ჩაიღინე? – დაიწყო ბატონმა. – შენთვის აღარაფერს ვნიშნავ? ის გიყვარს, ის არამზადა ჰით...

– სუ! – დაიკვილა მისის ლინთონმა, – ახლავე გაჩემდი! კიდევ ერთხელ გისხენება ეგ სახელი და ყველაფერს წერტილს დავუგვამ ამ ფანჯრიდან გადახტომით! ფიზიკურად რასაც ეხები, ეს შეიძლება დაგჩაჩეს კიდევ, მაგრამ სანამ მორეოდ შემახებ ხელს, ჩემი სული უკვე იმ ბორცვის წვერზე იქნება. არ მინდისხარ, ედგარ: ადრე მჭირდებოდი, მაგრამ ახლა აღარ. შენს წიგნებს დაუბრუნდი. მიხარია კიდევ, რომ ნუგემს წიგნებში იპოვი, რადგან, რაც კი გაგაჩნდა, უკვე წარსულს ჩაბარდა.

– გონება ერევა, სერ, – ჩავერიე მე. – მთელი საღამო სისულელეებს ლაპარაკობს. სიმშვიდე და მოვლა უნდა, რომ გონს მოეგოს. ამიერიდან ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ უნებლიეთ არაფერი ვანყენინოთ.

– თქვენგან რჩევები აღარ მჭირდება, – მომახსენა მისტერ ლინთონმა. – თქვენი ქალბატონის ხასიათი იცოდით და მინც გამაბრაზებინეთ. სიტყვაც კი არ დავიძრავთ, რა სჭირდა ამ სამი დღის განმავლობაში! რა უსულგულობაა! თვეობით ავადმყოფობა ვერ დარევედა ასე ხელს!

თავის დაცვა დაიწყო, რადგან სხვისი აზრისაგან გამოსწორების საყვედურების თქმა არამართებულად მიმაჩნდა.

– ვიცოდი, რომ მისის ლინთონს ჯიუტი და მბრძანებლური ბუნება ჰქონდა, – ხმამაღლა ვუთხარი, – მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ მისი ჭირვეულობისთვის თუ ხელის შეწყობა გსურდათ! არ ვიცოდი, მისი გულის მოსაგებად მისტერ ჰითქლიფის უზნეობაზე თუ თვალი უნდა დამეხუჭა! პატიოსანი მსახურივით მოვიქეცი, როდესაც გულწრფელად ვითხარით, მაგრამ პატიოსნადაც გადამხნადა! კეთილი, ან იმ მე სიფრთხილეს მასწავლის. ან თავად შეიტყვეთ ხოლმე, რა ხდება თქვენს სახლში!

– შემდეგში თუ კიდევ მოგიტანიათ ჩემთვის ამბავი, სამსახურის დატოვება მოგიწევთ, ელენ დინ, – დამიბრუნა პასუხი.

– გერჩინათ, არაფერი გცოდნოდათ ამის შესახებ, მისტერ ლინთონ? – ვუთხარი ბატონს. – ჰითოქლიფი აქ თქვენი ნებართვით დაიარება და თქვენს დას ახვევს თავბრუს, თქვენს არყოფნაში კი აქ მოძვრება და მეუღლეს გიმხედრებთ.

ქეთრინს, მართალია, გონება დაბინდული ჰქონდა, მაგრამ თავისებურად მაინც გამოეხმაურა ჩვენს საუბარს:

– აჰ! ნელიმ მილალატა, – მგზნებარედ წამოიძახა. – ნელი ჩემი ფარული მტერია. შე კუდიანო! ამიტომაც ეძებ ელვის ისრებს, რომ გვავნო! მიმიშვით, მე ვასწავლი ჭკუას! მერე ნახოს მაგან ჯადოების კეთება!

გიუის გაცოფება გამოესახა თვალებში; სასონარკვეთილმა გაიბრძოლა, რომ ლინთონის მკლავებიდან დაეხსნა თავი. არავითარი სურვილი არ მქონდა, რომ გულხედაკრეფილს მეცქირა, რა მოხდებოდა, ამიტომ თავს უფლება მივეცი, ექიმის მოსაყვანად გამოვსულიყავი მათი ოთახიდან.

ბაღს რომ ვკვეთდი გზის მიმართულებით, იმ ადგილას, სადაც ღობეში ცხენის საბმურის კავია ჩასმული, დავინახე, რომ რალაც თეთრი მოძრაობდა, ოღონდ არა ქარის დაბერვით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვჩქარობდი, მაინც მივედი, რომ ახლოდან მენახა, რათა მერე ფიქრებს არ გავეტანჯე, მიღმიერი სამყაროდან იქნებოდა-მეთქი რამე. რაოდენ განვცვიფრდი, როდესაც გავარჩიე, უფრო სწორად, ხელი შევახე და აღმოჩნდა, რომ ცხვირსახოციტ მის იზაბელას ფინია ფანი იყო ჩამოკიდებული და სულს ღაფავდა. მაშინვე ჩამოვხსენი ცხოველი და ბაღში შევიყვანე. არადა, დავინახე, როგორ აჰყვა კიბეებზე თავის პატრონს, როდესაც ეს უკანასკნელი დასაძინებლად ადიოდა. დავინტერესდი, გარეთ როგორ მოხვდა ან ვინ ოხერმა გაიმეტა-მეთქი ასე. როდესაც კაუჭიდან ნასკვს ვხსნიდი, მომეჩვენა, რომ რამდენჯერმე ცხენის ფლოქვების თქარუნი მომესმა შორიდან, მაგრამ იმდენი სადარდებელი მქონდა, რომ ამ გარემოებას ვერ ჩავუკვირდი – მართლაც უცნაური იყო მაშინ ეს ხმა ამ ადგილას, თან ღამის ორი საათი იყო.

მისტერ ქენეთი სახლიდან გამოდიოდა ზუსტად იმ დროს, როდესაც მე მივადექი მის ჭიშკარს. პაციენტთან აპირებდა სოფელში წასვლას. რომ ვუთხარი, ქეთრინია ცუდად-მეთქი, დაუფიქრებლად გამომყვა უკან. სიტყვაძუნნი კაცი იყო, მაგრამ მაინც არ დაუმაღავს, რომ ქეთრინისთვის მეორე შეტევა უარესი იქნებოდა, თუკი უფრო დამჭერი არ გახდებოდა და უფრო ზედმინვნით არ შეასრულებდა მის მითითებებს.

– ნელი დინ, – მომმართა მან, – მეჩვენება, რომ ამ შეტევას განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს. რა მოხდა «შაშვებში»? ჩვენამდე უცნაურმა ხმებმა ჩამოაღწია. მისნაირი ჯანიანი და მტკიცე ქალბატონი არაფრის გამო ცუდად ვერ გახდება. მისნაირები ასე იოლად არ ნებდებიან სენს. მაგრამ როდესაც უკვე ციებაზე მიდგება საქმე, მერე განკურნება ძნელია. როგორ დაიწყო ყველაფერი?

– ბატონი ჩაგაყენებთ საქმის კურსში, – ვუპასუხე მე, – მაგრამ ერნობთა შმაგ ბუნებას კი იცნობთ, ჰოდა, ჩათვალეთ, რომ მისის ლინთონი ყველას ერთად აღებულს აღემატება. მე ვიტყვი, ეს ყველაფერი ჩხუბის დროს დაიწყო. ქეთრინი გამწარდა

ძალიან და შეტევა დაემართა. როგორც თვითონ ამტკიცებს, შუა ჩხუბში გაქცეულა და თავის ოთახში ჩაკეტილა. ამის შემდეგ ჭამაზე უარი განაცხადა, ახლა აბოდებს და თითქოს სანახევროდ ძილბურანში იმყოფება. გარშემომყოფთ სცნობს, მაგრამ გონება უცნაური და ილუზორული წარმოდგენებით აქვს სავსე.

– მისტერ ლინთონი ძალიან დამწუხრდება? – ამგვარი კითხვით შემანყვეტინა ქენეთმა.

– უკაცრავად? ალბათ გული გაუსკდება, რამე რომ მოხდეს! – მივუგე მე. – ზედმეტად ნუ ააღელვებთ.

– კეთილი, ვუთხარი, იფრთხილე-მეთქი, – მითხრა ექიმმა; – ჩემი გაფრთხილება, ეტყობა, ყურად არ იღო და აი, შედეგმაც არ დაახანა! ბოლო ხანებში მისტერ ჰითქლიფს ხომ არ დაახლოვებია?

– ჰითქლიფი «მაშვების» ხშირი სტუმარია, – ვუპასუხე მე, – ოღონდ არა იმიტომ, რომ ბატონს სიამოვნებს მისი ყურება, არამედ იმიტომ, რომ ქალბატონის ბავშვობის დროინდელი ნაცნობია. მაგრამ აწი სტუმრობით თავის შეხუნება აღარ მოუწევს, რადგან ისე გათავხედდა, რომ მის ლინთონს არმპიყ დაუწყო. არა მგონია, ოდესმე კიდევ მოიპატიჟონ.

– მის ლინთონმა თუ უჩვენა გული? – მკითხა ექიმმა.

– მისი მესაიდუმლე არ გახლავართ, – მივუგე მე, რადგან ამ საუბრის განგრძობა აღარ მსურდა.

– არ უჩვენებდა, ამას როგორ იკადრებდა! – შენიშნა ქენეთმა და თავი გადააქნია, – თავისნათქვამა! მაგრამ ერთი ტუტუცი ჯოჯონაა. სანდო პირისგან გავიგე, რომ წუხელ (თან როგორი ღამე იყო!) ჰითქლიფთან ერთად მთელი ორი საათი დასერილობდა თქვენი სახლის უკან, პლანტაციის მიწაზე. ვაჟი კი აძალეებდა, შინ აღარ დაბრუნდე, ცხენზე შემომიჯექი და გავიქცეთო! როგორც გავიგე, მხოლოდ დაპირების მიცემით დაიძვრინა თავიო. უთქვამს, შემდგომში მზად დაგხვდებითო. როდისთვის დანიშნეს მომდევნო პაემანი, ეს ჩემმა ახლობელმა ვერ გაიგონა, მაგრამ თქვენ მაინც გააფრთხილეთ მისტერ ლინთონი, რომ თვალი ეჭიროს დაზე!

ამ ამბავმა ახალი საფიქრალი გამიჩინა; ქენეთს გავუსწარი და სახლამდე ლამის სირბილით მივედი. პატარა ძაღლი ისევ ეზოში იყო და ყვებდა. წუთიერად შევცოვნი, რომ ჭიშკარი გამელო მისთვის, მაგრამ სახლისკენ კი არ გაიქცა, წინ და უკან სირბილს მოჰყვა, თან ბალახს ცნოსავდა და გარეთ გამექცეოდა, რომ არ დამეჭირა და ძალით არ შემეყვანა. იზაბელას ოთახთან მიახლოებისას ჩემი ეჭვი გამართლდა: შიგნით არავინ იყო. ორიოდე საათით ადრე რომ მიმესწრო, მისის ლინთონის ავადმყოფობა ალბათ დაცავდა იზაბელას სულელური ნაბიჯის გადადგმისგან. მაგრამ ახლა რა უნდა გვექნა? ნაკლებსაიმედო თეორიული შანსი რჩებოდა, რომ თუ მდევარს მყისიერად დავადევნებდით, გაქცეულებს დავიჭერდით. მე თვითონ გამომდევნებელი არ ვიყავი, ბატონისთვის თქმისა კი მერიდებოდა, სახლი ისევ ფეხზე უნდა

დამდგარიყო, მისტერ ლინთონი კი ალბათ ისე იყო თავზარდაცემული მეუღლის გამო, რომ ახალ უბედურებას ვერც გაიაზრებდა! ჯობდა, ხმა არ ამომელო და მოვლენები თვითდინებაზე მიმეშვა. ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ექიმი ქენეთიც მოვიდა; მართალია, მღელვარებას ვერ ვმაღავდი, მაგრამ ბატონთან მაინც გავეშურე, მოვასხენებ-მეთქი. ქეთონი ძილში ბორგავდა; ედვარს მისი სიშლეგის დაოკება მოეხერხებინა. ცოლის სახეს დასცქეროდა და მტკივნეულად ექსპრესიულ ნაკვეთებს უკვირდებოდა.

ექიმა, როდესაც პაციენტის მდგომარეობა გაისიგარქევანა, ბატონი დაამშვიდა, თუკი სიმშვიდეს არ დაურღვევთ, მისი ლინთონი აუცილებლად მოიკეთებსო. მე კი ამისხნა, რომ იმდენად სიკვდილი არ ემუქრებოდა ავადმყოფს, რამდენადაც ჯუიდან გადასვლა.

იმ ღამით თვალი არც მე მომიხუჭავს, არც მისტერ ლინთონს. სიმართლე ვითხრათ, არც კი დავწოლილვართ. მსახურებიც ზემე იყვნენ გვიანობამდე, მთელ სახლში ფეხაკრეფით დადიოდნენ და დერეფნებში ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ყველა ჩანდა, იზაბელას გარდა. ყველას გაუკვირდა, ასე ღრმად როგორ სძინავსო; მისმა ძმამაც იკითხა, ხომ არ ამდგარაო, მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას, რადგან სწყინდა რძლისადმი გამოვლენილი უყურადღებობა. ვღელავდი, მე არ მიმგზავნოს-მეთქი გასაღვიძებლად. საბედნიეროდ, მე არ გავხდი პირველი მაუწყებელი მისი გაქრობისა. ერთ-ერთმა მსახურმა, უტვინო გოგონამ, უთენია გიმერთონში რომ რაღაც დავალებით იყო გაგზავნილი, ქოშინით ამოირბინა კიბე, მისაღებ ოთახში შემოიჭრა აწიოკდა:

– ვაი ჩვენს თავს! ვაი! აწიო რა გვეშველება, ბატონო, ახალგაზრდა ქალბატონი...

– რა განივლებს? – დავუტიე, რადგან მისმა მანერამ გამაღიზიანა.

– ხმადაბლა თქვით, მერი, რა მოხდა ასეთი? – უთხრა მისტერ ლინთონმა, – რა აწიოებს თქვენს ახალგაზრდა ქალბატონს?

– წასულა, გაპარულა! ჰითქლიფთან ერთად გაქცეულა! – ამოიოხრა გოგონამ.

– რა სისულელეა! – შეიცხადა მისტერ ლინთონმა და გაბრაზებული წამოდგა, – შეუძლებელია. ეს აზრი როგორ მოგივიდათ თავში? ელენ დინ, მიდით და მონახეთ. წარმოუდგენელია, შეუძლებელია.

ეს რომ თქვა, მსახური კართან მიიყვანა და კატეგორიულად მოსთხოვა, ამისხენი, ასეთი აზრი საიდან გავიჩნდაო.

– საიდან და, გზად იმ ბიჭს შევხვდი, რძე რომ დააქვს ჩვენთან, – ენის ბორძიკით თქვა, – ჰოდა, მკითხა, «მაშვებში» ატყდა თუ არა აურზაურიო. ვიფიქრე, თქვენი მეუღლის ავადმყოფობას გულისხმობს-მეთქი და ვუთხარი, კი, ყველანი ვწრიანლებთ-მეთქი. მერე მკითხა, ხერიანი მღვეარი მაინც თუ გააყოლესო. ენა ჩამივარდა. მიხვდა, რომ ბაიბურში არ ვიყავი და მიაშბო, როგორ გაჩერებულან ლედი და ჯენტლმენი მჭედლის მაღაზიასთან ცხენისთვის ნაღების დასაკრავად – შუალამე გადასული

იქნებოდა, გიმერთონთან ოთხიოდე კილომეტრში იყვნენო. მჭედლის გოგო ამდგარა, გავხედო, ვინ არიანო. ჰოდა, ორივენი უცვნია. პითქლიფი შეუმჩნევია ჯერ, აბა, როგორ შეეშლებოდა სხვაში, მამამის ხელში სოვერენს რომ აძლევდა. ლედის თავსაფრით ჰქონია სახე სანახევროდ დაფარული, მაგრამ წყალი მონდომებია და როცა სვამდა, თავიდან ჩასცურებია თავსაფარი და იმ გოგოსაც მკაფიოდ გაურჩევია, ვინც იყო. პითქლიფს ორივე აღვირი სჭერია, მერე სოფლისთვის ზურგი უქცევიათ და ისე სწრაფად გაუქუსლავთ საპირისპირო მიმართულებით, რამდენადაც ჩვენი ოღროჩოღრო გზა იძლევა ამის საშუალებას. გოგონას წუხელ მამისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ დილიდან მთელ გიმერთონს მოსდო თურმე.

მეც გავიქეცი და იზაბელას ოთახში შევიხედე, იქნებ ტყუილია-მეთქი, მაგრამ უკან შემობრუნებულმა მსახურის სიტყვები დავადასტურე. მისტერ ლინთონი ისევ სანოლთან ჩამოსჯდომოდა ცოლს; ჩემს შემოსვლაზე თვალეები ასწია, ხმამაოუღებლად მიმიხვდა სათქმელს და თავი ჩაქინდრა; არც დავალება მოუცია და ერთი სიტყვაც არ დაუძრავს.

– რამის გაკეთებას ვაპირებთ მის უკან დასაბრუნებლად? – ვკითხე მე, – როგორ მოვიქცეთ?

– თავისი ნებით გაჰყვლია, – მიპასუხა ბატონმა. – უფლებაც ჰქონდა, თუკი ასე სურდა. მასზე საუბრით ნულარ შემანუხებთ. ამიერიდან ის მხოლოდ გვართლავ ჩემი და, არა იმიტომ, რომ მე ვამბობ მასზე უარს, არამედ იმიტომ, რომ მან თქვა ჩემზე უარი.

ამ საკითხზე მეტი არაფერი უთქვამს; ერთი სიტყვითაც არაფერი უკითხავს მასზე, საერთოდ არ უხსენებია, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც დამავალა, რაც ამ სახლიდან ეკუთვნის, ყველაფერი გაუგზავნე ახალ ბინაზე, როდესაც მისამართს შეიტყობო.

თავი 13

ორი თვის განმავლობაში გაქცეულებს არაფერი შეუტყობინებიათ. ამ ხანში მისის ლინთონმა გადაიტანა და დასძლია, როგორც მაშინ უწოდეს, ტვინის ციება. ვერც ერთი ქალი ვერ მოუვლის მხოლოდობილ შვილს ისეთი მზრუნველობით, როგორც ედგარმა მოუარა. დღედაღამ თავს დასტრიალებდა და მოთმინებით იტანდა მის ნებისმიერ გამოხტომას, რასაც კი ქეთრინს სუსტი ნერვები და არეული გონება უკარნახებდა. ქენეთს გაფრთხილებული ჰყავდა, რასაც ახლა სასაფლაოსგან იცავ, შეიძლება მომავალში შოთისა და მღელვარების წყაროდ იქცესო; მართლაც, კაცმა თავისი ჯანმრთელობა და ძალა იმ ნანგრევებს შესწირა, რასაც ოდესღაც ადამიანი ერქვა. რომ გენახათ, როგორი მაღლიერი და მხიარული იყო, როდესაც ქეთრინის სიცოცხლეს საფრთხე აღადრ ემუქრებოდა. შეეძლო, საათობით მჯდარიყო მის

გვერდით და ემზირა, როგორ თანდათანობით უბრუნდებოდა ქეთრინს ჯანმრთელობა და რომ ქალს ადრე თუ გვიან გონებას გაუჯანსაღდებოდა და ძველ ქეთრინად იქცეოდა.

როდესაც პირველად გამოვიდა თავისი ოთახიდან, მარტის დასაწყისი იყო. მისტერ ლინთონს ბალიშზე ოქროსფერი კრაკუსები დაეწყო; ქეთრინის სიხარულით გაბრწყინებას გადაჩვეული თვალი გაღვიძებისთანავე მისწვდა ამ სილამაზეს და მაშინვე ერთ კონად შეკრა.

– «უღელტეხილში» ყველაზე ადრე ეს ყვავილები ამოდის, – შესძახა გახალისებულმა, – მზის გულზე თოვლის დნობას და სურნელოვან ნიავს მახსენებს. ედგარ, უბერავს უკვე სამხრეთის ქარი და დაიწყო თოვლმა დნობა?

– ჩვენთან თითქმის ამდნარია, გენაცვალე, – უპასუხა ქმარმა, – ველზე მხოლოდ ორი თეთრი ლაქალა მოჩანს; თავზე ლურჯი ცა დაგვანათის და ტორლოები გალობენ. ნაკადულები და რუები ნაპირებიდან გადმოდის. ქეთრინ, შარშან იმას ვნაღვლობდი, ამ ჭერქვეშ რომ არ იყავი, ახლა მსურს, აქედან ორი ან მეტი მილით შორს შეგეძლოს წასვლა, ბორცვებისკენ, რადგან ისეთი ტკბილი ნიავი უბერავს, რომ მჯერა, გამოგაჯანმრთელებს.

– ბორცვებზე მხოლოდ ერთხელდა ავალ, – მიუგო ავადმყოფმა, – შენ იქ დამტოვებ, მე კი სამუდამოდ დავრჩები. გაისად ისევ მოგენატრები ამ ჭერქვეშ, დღევანდელ დღეს გაიხსენებ და იტყვი, ბედნიერი ვიყავიო.

ლინთონი მიეფერა, ალერსიანი და სასიყვარულო სიტყვებით სცადა მისი გახალისება, მაგრამ ქალი ყვავილებს დასცქეროდა დაბნეულად და წამწამებზე მომდგარი ცრემლები ლოყებზე ეწვეთებოდა შეუმჩნევლად. ვიცოდით, რომ მომჭობინდა და დავასკვნით, რომ გუნების წახდენა ერთ ოთახში ამდენ ხანს ყოფნამ გამოიწვია, ამიტომ მისთვის გარემოს შეცვლაზე დავიწყეთ ფიქრი. ბატონმა მრავალი კვირის განმავლობაში ფეხდაუდგამ მისაღებ ოთახში ბუხარის ანთება და მზიან ფანჯარასთან მსუბუქი სავარძლის დადგმა დამავალა. მერე თავისი ხელით ჩამოიყვანა დაბლა და ჩასვა. ქეთრინი კარგა ხანს იჯდა ხალისიანად ბუხართან და მის გარშემო საგნებით ტკბებოდა: მართალია, ყველაფერი ეცნობოდა, მაგრამ შავბნელ ფიქრებს არ ჰგვრიდა და თავის ავადმყოფობას არ აგონებდა. საღამოსკენ კარგად მოიქანცა, მაგრამ ვერაფრით დავიყოლიე, საძულებელ ოთახში აბრუნებულიყო; მისაღებში სოფაზე წამოვანვინე, სანამ მეზობელ ოთახში გავუშლიდით ლოკინს. იმისათვის, რომ კიბეზე ასვლა-ჩასვლით არ გადაღლილიყო, სწორედ იმ ოთახში დავაბინავეთ, რომელშიც ახლა თქვენ იმყოფებით. მისაღებიც ხომ ამავე სართულზეა. მალე იმდენად მოიკეთა, რომ ედგარს ხელზე ეყრდნობოდა და ისე დადიოდა ოთახებში. ეჰ, მართლა ვფიქრობდი, ბოლომდე გამოჯანმრთელდება-მეთქი, რადგან ყველანი კარგად ვუვლიდით. მიზეზი გვქონდა, რომ ასეთი იმედით გვეკვება ჩვენი მოლოდინი: მისი სიცოცხლის გადარჩენით მეორე სიცოცხლეს ეძლეოდა მოვლენის თეორიული შანსი: ვნატრობდით, რომ მისტერ ედგარს მემკვიდრის შექმნით გაეხარა.

მემკვიდრის შეძენით ხომ მისი ქონებაც დაკული იქნებოდა უცხოს ხელში მოხვედრისგან.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ გაუჩინარებიდან ექვსიოდე კვირის შემდეგ იზაბელამ ძმას წერილი გამოუგზავნა. ბევრი არაფერი ეწერა, გარდა იმისა, რომ ჰითლეიფთან ქორწინებას გვაუწყებდა. ბარათი თითქოს ცივი და მშრალი იყო, მაგრამ ბოლოში ფანქრით იყო მიჯღაბნილი მობოდიშება და თხოვნა, რომ ცუდად არ გაეხსენებინა ძმას და მიეტყუებინა, თუკი დის საქციელმა გული ატკინა. ამტკიცებდა, სხვაგვარად ვერ მოვიტყუოდი და რაც ჩავიდინე, ვეღარ შევცვლიო. ლინთონმა, მჯერა, არაფერი უპასუხა დას და უკვე ოთხი კვირის თავზე ვრცელი წერილი მივიღე, რაც უცნაურად მომეჩვენა, რადგან იმ ქალის კალამს ეკუთვნოდა, ვისი თათულობის თვეც ახალი ჩავლილი უნდა ყოფილიყო. წაგიკითხავთ, სერ, რადგან შემონახული მაქვს. მიცვალებულის დანატოვარი ყოველთვის გვეძვირფასება, თუკი სიცოცხლეში ვაფასებდით.

«ძვირფასო ელენ, – ასე იწყება, – წუხელ «ქარიშხლიან უღელტეხილში» ჩამოვედი და პირველივე, რაც გავიგე, ისაა, რომ ქეთრინს უავადმყოფია და ახლაც აუად არისო. ვფიქრობ, მას არ უნდა მივწერო, ვერც ჩემს ძმას ვწერ, რადგან, ეტყობა, იმდენად გაბრაზებულია ან იმდენად დათრგუნვილია, რომ პირველ ბარათზეც არ დაუბრუნებია პასუხი. ასეა თუ ისე, ვინმესთვის მაინც უნდა მიმეწერა და თქვენ შეგარჩიეთ.

ედგარს გადაეცით, რომ ამქვეყნად ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ კი მისი სახე დამენახა ისევ – რამეთუ გაქცევიდან ოცდაოთხ საათში ჩემი გული «შაშვების კარმიდამოს» დაუბრუნდა და ახლა მანდ არის, რომელიც მისდამი და ქეთრინისადმი სითბოთია სავსე. თუმცა კი გულის ძახილს ვერ მოვყვები – ეს სიტყვები ხაზგასმულია, – მე ნუ დამელოდებიან; შეუძლიათ, ნებისმიერი დასკვნა გამოიტანონ, უბრალოდ, იმას ნუ იფიქრებენ, რომ ყველაფერი ჩემი უნებისყოფობის ბრალია.

წერილის დარჩენილი ნაწილი მხოლოდ თქვენთვისაა. მინდა, ორი კითხვა დაგისვათ.

პირველია: როგორ ახერხებდით აქ ცხოვრების დროს ადამიანისათვის დამახასიათებელი დადებითი თვისებების შენარჩუნებას? ირველივმყოფთაგან ერთი ადამიანიც არ მიყურებს გამგებინად.

მეორე: რაც ძალიან მალეღვებს, მისტერ ჰითლეიფი მართლა ადამიანია? და თუ ასეა, შლეგი ხომ არ არის? თუ არც შლეგია, ეშმაკია? ასეთი კითხვების დასმის მიზეზს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ გემუდარებით, ამისხსენით, თუკი შეგიძლიათ, ვის გავყევი ცოლად? პასუხი მაშინ გამეცით, როდესაც მომინახულებთ; ოღონდ აუცილებლად უნდა მინახულოთ, ელენ, და რაც შეიძლება, სწრაფად. არ მომწეროთ, თქვენ მობრძანდით და ამასობაში იქნებ ედგარმაც შემომითვალოს რამე. ახლა მოისმენთ, როგორ მიმიღეს ჩემს ახალ სახლში, თუმცა დიდი წარმოსახვა კი დამჭირდება, «უღელტეხილს» ასე რომ ვუნოდო. იმგვარ წერილმანებზე აღარ შევჩერდები, როგორცაა ელემენტარული კომფორტის უქონლობა: ამით გონება

არასდროს დამიმძიმებია, გარდა იმ წუთებისა, როდესაც უბრალოდ მენატრება ადამიანური ყოფა. სიხარულით ავცეკვდებოდი, კომფორტის უქონლობა რომ ერთადერთი პრობლემა იყოს ამ სახლში, დანარჩენი კი არაბუნებრივი სიზმარი!

«მაშვების კარმიდამოს» თავზე მზე უკვე ჩადიოდა, ჭაობებისკენ რომ გადავუხვიეთ; ვიფიქრე, ალბათ ექვსი საათი იქნება-მეთქი. ჩემი თანამგზავრი ნახევარი საათით შეყოვნდა, რომ პარკი, ბალები და მთელი გარემო შეემონებინა. ამდენად, უკვე შებინდებული იყო, როდესაც ჩვენს ფერმას მივალწიეთ და მოფილაქნებულ ეზოში ჩამოვხტით. თქვენი ძველი ამხანაგი ჯოზეფი ჭრაქით ხელში გამოგვეგება, რაც მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, სანაქებოდ გამოუვიდა. თავდაპირველად ჭრაქი ასწია და სახე შემითვალღიერა მოჭუტული თვალებით, ქვედა ტუჩი გამობურცა და სანათი მომაცილა. მერე ორივე ცხენი ჩამოგვართვა და საჭინბოში წაასხა. ბოლოს ისევ გამოჩნდა, რომ გარეკარი დაეკეტა, თითქოს უძველეს სიმაგრეში ვიყავით.

ჰითქლიფი გარეთ დარჩა მასთან დასალაპარაკებლად, მე სამზარეულოში შევედი – სანახევროდ ჩაბნელებულ, ჭუჭყიან ხაროში! ალბათ ვეღარც იცნობთ, რომ ნახოთ, თქვენ მერე გვარიანად არის შეცვლილი. ბუხართან ერთი მოხულიგნო ბავშვი იდგა, მტკაცე აგებულების, მაგრამ კუდად ჩაცმული, ქეთრინის მზერითა და ბავით.

ედგარის ცოლისძმიშვილი იქნება-მეთქი, გავიფიქრე, ესე იგი, მეც გარკვეულ ნათესავად მერგება, ამიტომ უნდა ვაკოცო. ჯობია, თავიდანვე კარგი ურთიერთობა დავამყარო-მეთქი.

მივუახლოვდი და სანამ ჭუჭყიან ხელზე მოკვიდებდი ხელს, ვკითხე:

– გამარჯობა, პატარავ, როგორ ხარ?

რაღაც უარგონით მიპასუხა, რაც ვერ გავიგე.

– დავმეგობრდეთ, ჰერთონ? – ვკითხე.

დაჟინება ლანძღვა-გინებითა და მექართ დამიფასდა: მხრჩობელათი დამემუქრა, თუ არ მოვეშვებოდი.

– მხრჩობელავ, ბიჭო! – გასძახა კუთხეში მიწოლილ სანახევროდ უჯიშო ბულდოგს, – ახლა მაინც არ დაახვევ აქედან? – მკითხა დამტუქსველი ტონით.

სიცოცხლის სიყვარულმა მიკარნახა, დამემორჩილეო; გარეთ გამოვედი და სხვების გამოჩენას დავუყადე. მისტერ ჰითქლიფი არსად ჩანდა, ამიტომ ჯოზეფის სანახავად წავედი საჭინბოში და ვთხოვე, იქნებ თქვენ შემაცილოთ-მეთქი სახლში, რაზეც შემომაჩერდა, ცხვირი აიბზუა და მომიგო:

– ღმერთო, შენ მიშველე! განა ქრისტიანის ყურს სმენია რამე მსგავსი? ისე იპრანჭება საუბრისას, რომ ვერაფერს ვარჩევ.

– გთხოვთ, სახლში ხომ ვერ შემაცილებთ-მეთქი! – ვიფიქრე, ყურთ აკლია-მეთქი, და ვუყვირე მისი უხეშობით გაოგნებულმა.

– მეტი საქმე არა მაქვს! თითქოს მოცლილი ვიყო, – მომახალა ზიზნარევი მბრძანებლურობით და თავისი საქმე განაგრძო. შიგადაშიგ მომანათებდა ხოლომე ჭრაქს და კაბასა და სახეს მითვალთვინებდა (კაბა მეტისმეტად გაპრანჭული იყო, მაგრამ სახეზე რა მოგახსენოთ, ალბათ ნაღვლიანის ნახვა გაუხარდებოდა).

ვზოს შემოვუარე და კუტიკარით სხვა კარს მივადექი; ვიფიქრე, მივაკაკუნებ და იმედია, უფრო ზრდილობიანი მსახური გამომეგვება-მეთქი. მცირე ხანს შევიცადე და კარი მაღალმა, გამხდარმა კაცმა გააღო, რომელსაც არც ყელსახვევი ეკეთა და არც სუფთად ეცვა. სახესა და მხრებზე ხშირი, დაუვარცხნელი თმა ეყარა. თვალები ქეთრინისას მიუგავდა, მაგრამ მასავით ლამაზი კი არ ეთქმოდა, არამედ რალაც მოჩვენებისეული მსგავსება ჰქონდა.

– აქ რას აკეთებთ? – პირქუშად მკითხა, – ან ვინ ხართ?

– მე იბაბელა ლინთონი ვარ, – მივუგე, – წინათაც ცყვართ ნანახი, სერ. ცოტა ხნის წინ მე და მისტერ ჰითელიფი შევეუღლდით და აქ მომიყვანა – მე მგონი, თქვენი ნებართვით.

– ესე იგი, დაბრუნდა? – იკითხა მწირმა და მშვიდი მგელივით მომაჩერდა.

– დიახ, ეს-ესაა მოვედით, – ვუთხარი, – მაგრამ სამზარეულოს კართან დამტოვა. შიგნით შესვლა რომ გადაწყვიტე, თქვენმა ვაჟმა გუშაგად დგომა გადანყვიტა და ბულდოგით დამემუქრა, – თუ არ გახვალ, მოგიქსევო.

– კიდევ კარგი, რომ მაგ ოხერმა ყაჩაღმა სიტყვა არ შეასრულა! – დაიგრგვინა ჩემმა მომავალმა მასპინძელმა და ჩემ უკან სიბნელეს გახედა ჰითელიფის ჰოუნის იმედით. მერე ხანგრძლივი ლანძღვა-მუქარანარევი მონოლოგი წამოიწყო, იქაღნებოდა, რომ მენახა, მაგ ეშმაკს შავ ღღეს დავაყრილიო.

სახლში შეღწევის მეორე მცდელობაც სანანებელი გამიხდა და ლამის გამოვიქეცი მისი ლანძღვის გავონებაზე, მაგრამ სანამ ამ განზრახვას ავასრულებდი, შიგნით შემინვია და სასწრაფოდ კარი შემოხურა. დიდი ბუხარი ენთო, ცეცხლის ანაშუქი კი ამ უზარმაზარ ოთახს ძლივს ანათებდა, რომლის იატაკსაც ნაცრისფერი დაჰკრავდა, თაროებზე შემონყობილ კალის ჭურჭლეულობას კი, ბავშვობაში თვალს რომ ვერ ვწყვეტდი ხოლომე, დიდი ხნის გადაუწმენდავი მტერის ფენა ედო. ვიკითხე, მსახური გოგონას მოხმობა თუ შეიძლება, რომ სანოლ ოთახამდე მიმიყვანოს-მეთქი. მისტერ ერნშომ პასუხის ღირსად არ ჩამთვალა. ჯიბეებში ხელუბრანყობილმა ბოლთის ცემა დაიწყო, ალბათ საერთოდ გადაავიწყდა ჩემი იქ ყოფნა. ამკარად სხვაგან იყო ფიქრებით და ისეთი მიზანთროპული იერი ედო, რომ ხელმეორედ კითხვა მომერიდა.

არ გაგიკვირდებათ, ალბათ, ელენ, როგორი სულდამძიმებული ვიჯდებოდი ბუხართან, თან მარტო კი არა, მარტოზე უარესად, არასტუმართმოყვარე მასპინძლის გვერდით და ვფიქრობდი, რომ ექვსიოდე კილომეტრში ჩემი მშობლიური, თბილი კერა იყო, სადაც ჩემთვის უძვირფასესი ადამიანები იმყოფებოდნენ. მაგრამ ჩვენ შორის თითქოს ატლანტის ოკეანე ჩამდგარიყო და ექვსიოდე კილომეტრზე მეტად

გვაშორებდა ერთმანეთს, რასაც ვერაფრით გადმოვლახავდი! ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუგეში სად ვპოვო-მეთქი. და ასე უბედურებადამტყდარი (ოლონდ, ედგართან ან ქეთრინთან სიტყვა არ დაგცდეთ) ვფიქრობდი, ვინ ვნახო ისეთი, ჰითელიფის წინააღმდეგ რომ დამიდგება გვერდში და მოკავშირედ გამიხდება-მეთქი. «ქარიშხლიან უღელტეხილში» რომ მივიდიოდი, მიხაროდა, აწი მარტოდმარტოს აღარ მომიწევს ქმრის პირისპირ ყოფნა-მეთქი, მაგრამ ჰითელიფმა, ეტყობა, იცოდა, რომ სახლში ვინც უნდა დაგვხვედროდა, ჩვენ შორის ჩამდგომი არავინ აღმოჩნდებოდა.

ოქრებსმიცემული დამწუხრებული ვიჯექი; საათმა რვაჯერ ჩამოკრა, ცხრაჯერ... ჩემი მასპინძელი კი მაინც წინ და უკან სიარულს არ წყვეტდა, თავი ჩაეჭინდრა და ხმას არ იღებდა, თუ ჟამიდან ჟამზე ამოკვენსას ან განრისხების გამომხატველ წამოძახილებს არად ჩავაგდებ. ყური მქონდა დაცქვეტილი, იქნებ ქალის ხმა გავიგონო-მეთქი ამ სახლში, უიმედოდ მომლოდინეს გულისგამგმირავმა სინანულმა დამრია ხელი და შეუკავებელი კვენსა აღმომხდა, რასაც ქვითინი მოვაცოლე. ვერ ვხვდებოდი, რამდენად ნათლად გამოვხატავდი ჩემს ნაღველს, სანამ ერნშო არ შეჩერდა და ახალგაზომფლებული ცნობისმოყვარეობით არ მომაჩერდა. მისი ნუთიერი ყურადღებით ვისარგებლე და წამოვიკვილე:

– მგზავრობამ დამალა და დანოლა მინდა! სად არის მსახური გოგონა? მე მიმიყვანეთ მასთან, თვითონ თუ არ მოდის ჩემამდე!

– არ გვყავს, – მიპასუხა, – თვითონ უნდა მოემსახუროთ საკუთარ თავს!

– ის მაინც მითხარით, სად დავიძინო? – ამოვისლუკუნე. ისე ვიყავი დაღლილი და ძალაგამოცლილი, რომ თავმოყვარეობა აღარც გამხსენებია.

– ჯოზეფი გიჩვენებთ ჰითელიფის ოთახს, – მითხრა, – ამ კარით გადით, იქ დაგხვდებით.

ის იყო, უნდა დავმორჩილებოდი, რომ უცებ შემაჩერა და უცნაურზე უცნაური ტონით დაუმატა: – კეთილი ინებეთ, თქვენი კარი გასაღებითაც გადაკეტეთ და ურდულიც გაუყარეთ. არ დაგავინწყდეთ!

– კარგი! – ვუთხარი, – მაგრამ რატომ, მისტერ ერნშო? – დიდად არ მეამა ჰითელიფთან შეკეტვის პერსპექტივა.

– ამას უყურეთ! – მიპასუხა და ჟილეტის ჯიბიდან უცნაური ფორმის პისტოლეტი ამოიღო, გვერდზე ორპირა დანა რომ ჰქონდა მიმაგრებული, – დიდი ცდუნებაა სასოწარკვეთილი კაცისთვის, არა?! ყოველდამ კიბეზე ამოსვლასა და ამ საგნით მისი კარის საკეტის წვალების მოთხოვნა ილუბას წინ ვერ ველობები. ოდესმე თუ ღია დამიხვდა... ამას მაინც ვაკეთებ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ერთი ნუთით ადრე ათასი საბაბი და მოსაზრება ამეროოს თავში, მაინც ვერაფერი მაჩერებს. ეშმაკი ჩამძახის, რომ წირვა გამოუყვანო მაგ არაკაცს! თქვენც მაგ ეშმაკს ებრძვით

სიყვარულისთვის, მაგრამ დადგება დღე და ანგელოზთა მთელი დასიც ვერ შემომლის ხელს, რომ წესი აუეგო!

ცნობისმოყვარეობით შევათვალე იარაღი. საზიზღარი აზრი დამებადა – რამხელა ძალა მექნებოდა, ეს პისტოლეტი რომ მქონდეს-მეთქი! გამოვართვი და პირბასრ დანას შევხევე. გაქვავებულმა შემომხედა სახეზე წამიერად აღბეჭდილი გამომეტყველების გამო: კი არ შემშინებია, არამედ შემეხარბა. დაეჭვებულმა გამომტაცა, დანა დაკეცა და ჯიბეში ჩაიბრუნა.

– არ მანაღვლებს, მიუტანთ თუ არა ამბავს, – მითხრა მან, – გააფრთხილეთ და თვალის ადვენეთ. ეტყობა, იცით, როგორი ურთიერთობა გვაქვს, რაკი საფრთხემ არ შეგაშინათ.

– ასეთი რა დავიშავათ ჰითლეიფმა? – ვკითხე. – ასეთი რა ჩაიდინა, რომ თქვენი სიძულვილი დაიმსახურა? უფრო სწორი არ იქნებოდა, ამ სახლში ფეხს თუ აღარ შემოადგმევიინებდით?

– არა! – დაიქება ერნშომ, – მარტო წამოსცდეს, გტოვებო და ეგრევე გავათავებ! ეს ათქმევინეთ და მის სიკვდილში თქვენც დაგედებათ წილი! აბა, ყველაფერს ხომ არ დაგვარავ ისე, რომ მოგების და უკან დაბრუნების შანსი არ მომეცეს? შერთონი გავამათხოვრო? ჯანდაბა! ყველაფერს უკან დავიბრუნებ და მის ოქროსაც ჩავიგდებ ხელში! მერე კი მის სისხლს დავლევ და, დაე, ჯოჯოხეთში უცხონდეს სული! ჯოჯოხეთი კი ათჯერ უფრო ჩაშავდება მისი მიღებით!

ელენ, თქვენი ძველი ბატონის ჩვევები ნახსენები გქონდათ. სიგიჟის ზღვარზე: ყოველ შემთხვევაში, წუხელ წამდვილად ასე იყო. მასთან ყოფნისას ძრწოლამ ამიტანა, ამიტომ გაუთლელ მსახურთან ყოფნა ვამჯობინე. ერნშომ ისევე ბოლთის ცემა განაგრძო. მე ჭრაქი ავიღე და სამზარეულოში გავიდი. ჯოჯოხეთი ბუხართან იდგა, წელში მოხრილიყო და ჩამოკიდებულ დიდ ქვაბში იყურებოდა. იქვე ახლოს, სკამზე ქუმელით სავსე თასი იდო. ქვაბში წყალი ადუღდა და ჯოჯოხეთი თასში ხელის ჩასაყოფად შებრუნდა. ეტყობა, ვახშამს გვიმზადებს-მეთქი, ვივარაუდე და ისე მშობდა, რომ ვიფიქრე, საჭმელად ვარგისს მაინც მოვამზადებ-მეთქი, ამიტომ ხმამაღლა ვთქვი:

– ფაფას მე მოვამზადებ! – ჭურჭელი ავაცალე და ქედისა და ამაზონის გახდა დავიწყე, – მისტერ ერნშომ, – განვაგრძე მე, – გამაფრთხილა, მენს თავს თვითონ მიხედო; ჰოდა, თვითონვე მივხედავ. თქვენთან ქალბატონის თამაშს არ ვაპირებ, თორემ შიმშილით სულს ამომხლით.

– ღმერთო მაღალო! – ჯოჯოხეთმა ბუზღუნი დაიწყო და ჩამოჭდა, თან ზოლიან გეტრებზე დაისვა ხელი მუხლიდან კოჭამდე, – ახალი ბრძანებების გამცემი გამომიჩნდა... ძლივს ვიყავი ისედაც ორ ბატონს შეგუებული... ახლა ქალბატონსაც თუ დამასვამენ თავზე... ჯობია, მოვშორდე აქაურობას. რას ვიფიქრებდი, ამ კედლებთან გამოთხოვება თუ მომიწევდა, მაგრამ ვხედავ, ეს დღე ახლოვდება. თუმცა ამაღამ ამისი იმედი ნურავის ექნება!

ამ ჩვილზე ხმა არ გავეცი. საქმეს ოხვრით შევეუდექი და იმ დროზე დავინწყე ფიქრე, როდესაც ეს ყველაფერი მხიარულად გამახსენდებოდა, მაგრამ მივხვდი, რომ ჯერ ადრე იყო. ამ ფიქრებმა განვლილი ბედნიერება გამახსენა და რაც უფრო ძლიერად მეძალბებოდა ამ სურათების წარმოსახვაში გაცოცხლების საშიშროება, მით უფრო მკვირცხლად ვმოქმედებდი და მუჭა-მუჭა ფეკვილს ვყრიდი ქვაბში. ჯობეფი ჩემს ჯახირს აღშფოთებით ადევნებდა თვალს.

– აბა! – ნამოძახა ჯობეფმა. – დარჩენილხარ ამ საღამოს უვახშმოდ, ჰერთონ, რადგან ფაფაში იმხელა ბელტები ეყრება, კბილს მოგტეხს. აჰა, შეაყარე კედელს ცერცვი! თქვენს ადგილზე ბარემ ერთიანად ჩაუქახებდი ქვაბში და ზედ თასსაც მივაყოლებდი! აჰა, გადმოიღებ და ეგაა! ბრაგაბრუეცი ამას ჰქვია! კიდეც კარგი, ძირი მაინც შეარჩინეთ ქვაბს!

ცოტა უგემური და მოუხარშავი კი აღმოჩნდა, ვალიარებ, თეფშებზე რომ გადმოიღეს; ოთხი თეფშით მოიტანეს და ვალიარისოდენა დოქით ახალჩამონწველილი რძეც მოაყოლეს, რომელიც ჰერთონმა თავისკენ მიიწია და ხვრეპა-ხვრეპით შეუდგა სმას, თან ზედ ჩამოისხა. მე გავაპროტესტე და მოვითხოვე, მისთვის ცალკე დაესხათ რძე, რადგან იმ ჭურჭლიდან მე ვერ დავლევდი, რომელსაც ასე ბინძურად ექცეოდნენ. ბებერმა ცინიკოსმა ჩემი პრეტენზია შეურაცხყოფად მიიღო და ურცხვად გამომიცხადა, ეს ბიჭიც ისეთივე კეთილშობილური წარმომავლობისაა, როგორც თქვენ და ისეთივე ჯანმრთელიაო, და სერიოზულად შეიცხადა, ეს რამხელა წარმოდგენა გქონიათ თავზეო. ამასობაში კი პატარა არამზადა ხვრეპას განაგრძობდა, წარბმეკრული მიყურებდა და დორბლებს დოქში ყრიდა.

– სხვა ოთახში ვივახშმებ, – განვაცხადე მე, – მისაღები ოთახი არ გავაჩნიათ ამ სახლში?

– მისაღები ოთახიო? – კბილებში გამოსცრა ჯობეფმა, – მისაღები! არა, არავითარი მისაღები ჩვენ არ გავაჩნია! თუკი არ მოგწონვართ, ბატონთან მიბრძანდით; თუკი არც ის მოგივათ თვალში, ჩვენთან მოგინვეთ ყოფნა.

– მაშინ მალლა ავალ, – ვთქვი მე, – რომელიმე ოთახი მიჩვენეთ.

ჩემი თეფში სინზე დავდე და ცოტაოდენი რძის ჩამოსასმელად წავედი. ჯობეფი ჯუჯღუნით ადგა და ზედა სართულზე ამიძღვა; სხვენში ავედი; ჩავლისას ოთახების კარებს აღებდა რიგ-რიგობით, რომ შემეხედა.

– აჰა, ესეც ოთახი, – მითხრა ბოლოს და კარი კი არა, ანჯამებზე ჩამოკიდებული დანჯღრეული ფიცარი შეაღო. – ფაფის საჭმელად გამოდგება. კუთხეში ხორბლის ტომარა დევს, ცოტა ჭუჭყიანია, მაგრამ რა უშავს. მაგ ლამაზი აბრეშუმის კაბის დასვრას თუ ერიდებით, ცხვირსახოცი გადაათინეთ ზედ.

ოთახი კი არა, ალაოსი და ხორბლის სუნით გაჟღერებული სათავსო აღმოჩნდა; კედლებზე სხვადასხვა სახის ტომრები მიეწყობ, შუა ადგილი კი თავისუფალი იყო.

– რას ბრძანებთ?! – შევიცხადე მე და მკაცრი სახით შევხედე, – აქ დაძინება როგორ იქნება! ჩემი საძინებლის ნახვა მინდა!

– საძინებლის? – დაცინვით გაიმეორა ჩემი ნათქვამი, – უკვე ყველა საძინებელი ნახეთ, რაც კი ამ სახლში მოიპოვება. აგერ, ჩემიც.

მან მეორე სხვენისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც პირველისგან იმით განსხვავდებოდა, რომ სრულიად ტიტველი კედლები ჰქონდა და ფართო, დაბალი და უფარლო სანოლი იდგა, რომელზეც ინდიგოსფერი ქვილთის საბანი ეფინა.

– თქვენი საძინებელი მე რად მინდა? – თავი შორს დავიჭირე, – იმედი მაქვს, მისტერ ჰითქლიფი მთლად სახლის სახურავზე არ ცხოვრობს, ხომ?

– აჰ! მისტერ ჰითქლიფის ოთახი გნებავთ? – ისე წამოიძახა, თითქოს აღმოჩენა გაეკეთებინოს. – თავიდანვე ასე ვერ მითხარით? სიტყვა რომ დავგვევლებინათ, გეტყოდით, სამწუხაროდ, ვერ გიჩვენებთ-მეთქი, რადგან ჩაკეტილი აქვს კარი და შიგ არავის აყოფინებს ცხვირს.

– ეს რა საამური სახლი გქონიათ, ჯოზეფ, – თავი ვერ შევიკავე, – სასიამოვნო ბინადრებთურთ; ალბათ დედამინაზე რაც კი რამ სიგიჟე მოიპოვება, ყველა ერთიანად ჩამისახლდა თავში, რა დღესაც ამ ოჯახთან დანათესავება გადავწყვიტე! თუმცა ახლა სხვა საკითხზე ვსაუბრობთ. მოკლედ, სხვა ოთახები მიჩვენეთ. ღვთის გულისათვის, ცოტა ფეხი ააჩქარეთ და სადმე დამაბინავეთ!

საყვედურზე არაფერი მიპასუხა, მხოლოდ ხის საფეხურებზე ჩალახლახდა და იმ ოთახთან შეჩერდა, რომელიც, როგორც მისი მზერიდან და დანახული ავეჯეულიდან აღვიქვი, სახლში საუკეთესო უნდა ყოფილიყო. იატაკზე საკმაოდ კარგი ხალიჩაც ევო, ოღონდ მტვრისგან ნახჭი აღარ იკითხებოდა. ბუხარს კი ორნამენტებიანი ეკრანი ჰქონდა, რომლისთვისაც სულ ჩაემტვრიათ ჩუქურთმები. მუხის ლამაზი სანოლიც იდგა, ფართო მენამული ფარდებით დამშვენებული, ამკარად ძვირფასი ქსოვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უდიერი ხელი ემჩნეოდა: მოფარდაგებულ კიდევებზე ყუნებიდან ამოგლეჯილი გირლანდები ეკიდა და რკინის ძელი, რომელზეც ეს ყველაფერი იყო დამაგრებული, ცალ მხარეს რკალად მოხრილიყო, ამიტომ ქსოვილი იატაკზე ეფინა. სავარძლებიც დაზიანებული ჩანდა, რამდენიმე ცალი საგარძნობლად; ღრმა ამონაჭრებს კედლის პანელები დაეზიანებინა. ის იყო, შესვლა და დაბინავება გადავწყვიტე, რომ ჩემმა სულელმა წინამძღოლმა მამცნო, ეს ბატონის საძინებელიაო. ამასობაში ვახშამი გამიცვიდა, მადა დამეკარგა და მოთმინების ფილააც ამევსო. მკაცრად მოვითხოვე, ადგილი მომინახეთ, რომ დავისვენო-მეთქი.

– სად ჯანდაბაში დაგაბინაოთ? – დაიწყო რელიგიური ექსტაზით შეპყრობილმა, – ღმერთო, მომიტევე! სად ეშმაკებში მოვუძებნო ადგილი? ეს რა აბეზარი ვინმე ყოფილხართ! ჰერთონის ოთახის გარდა უკვე ყველა ნანახი გაქვთ. სახლში ამის მეტი სოროც კი არ არის, რომ დანოლა მოახერხოს აღამაინმა!

ისე გავბრაზდი, რომ სინი, ზედ დანყობილ ჭურჭლიანად, ძირს მოვაფრიალე და კიბეზე ჩამოვჯექი; თავი ჩავლუნე, სახეზე ხელები ავიფარე და ტირილი დავინწყე.

– ეჰ! ეჰ! – აკაკანდა ჯოზეფი, – ყოჩაღ, მის ქეთი! ყოჩაღ, მის ქეთი! მოვიდეს ახლა ბატონი და დანახოს ეს დამტვრეული თეფში! მერე მოვისმენ კაი-კაი რამეებს. გაგეუბებოდა ხართ და ეგ არის! აი, შობამდე რომ დავსჯიან, ღვთის საჩუქრის ძირს დაყრისთვის, მერე ნახავთ! მაგრამ, როგორც ვხვდები, დიდხანს ვერ იბოვინებთ. გკონიათ, ჰითქლიფი ასეთ თავნებობას მოითმენს? ნეტავ ასეთ საქციელში გამოგიჭერდეთ და მერე ვნახავდი სერს!

ასე ჯუჯლუნით ჩავიდა თავის ოთახამდე და სანთელიც ჩაიყოლა; მე კი სიბნელებში დავრჩი. ჩემმა სულელურმა საქციელმა დამაფიქრა და მივხვდი, რომ ამპარტავნება უნდა დამეოკებინა, სიგიჟე მომეთოკა და მისი შედეგების ალაგმვა მცეცადა. ამ დროს მხრჩობელას სახით დახმარება მომეცლინა, რომელშიც ჩვენი ბებერი ნაბიას ვაჟი ამოვიცანი: ლეკვობა «შაშვეებში» ჰქონდა გატარებული, მერე მამაჩემმა მისტერ ჰინდლის ჩამოუყვანა. მე მგონი, მანაც მიცნო და მისალმების ნიშნად, დინგით ცხვირზე მომეჯახა, მერე დაღვრილი ფაფის თქველეფა დაიწყო. ამასობაში მე საფეხურ-საფეხურ დავუყევი კიბეს და თეფშის ნამტვრევების აკრეფა დავინწყე, თან ცხვირსახოცით მოაჭირიდან რძის შხეფებს ვწმენდი. ჩვენს საქმეს მოვრჩით თუ არა, დერეფნიდან მისტერ ერნშოს ხმა გაისმა. ჩემმა დამხმარემ კუდი ამოიძუა და კედელთან მიიკუნჭა, მე კი უახლოეს კარში შევიმალე. ძალღს მცდელობამ ამაოდ ჩაუარა, რადგან კიბეზე გაქცევისა და გაბმული ნკმუტუნის ხმა შემომესმა. მე უფრო გამიმართლა: ჩემს კარს ჩაუარა, თავის ოთახში შევიდა და კარი შეიკეტა. რამდენიმე წამში ჯოზეფმა ჰერთონი ამოიყვანა დასაწვენად. თავშესაფარი, როგორც აღმოჩნდა, ჰერთონის ოთახში მეპოვნა და მაგ ბებრუხანამ რომ შემამჩნია, მითხრა:

– ადგილი ორივეს, თქვენცა და თქვენს ამპარტავნებასაც, გეყოფათ მგონი. ადგილი საკმაოდ მოინახება, მოთავსდით. უფალი ღმერთი ამ ავ კომპანიამი მესამე იქნება.

დიდად გახარებულმა ავითაცე მისი ნებართვა და ერთ წუთში უკვე ბუხართან დადგმულ საგარძელში ვიჯექი. მალე თავი ჩავქინდრე და ჩამეძინა. ტკბილი და ღრმა ძილით მეძინა, მაგრამ ეს სიამე დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ჰითქლიფი შემოვიდა და გამომადგოდა. ახალი დაბრუნებული ყოფილიყო და მისთვის ჩვეული თავაზიანი ფორმით მკითხა, აქ რას მიკეთებო. ასე გვიანობამდე ზეზე ყოფნის მიზეზი ავუხსენი და არც ის გამომჩინა, რომ შემენიშნა: ჩვენი ოთახის გასაღები შენ გიდივეს ჯიბეში-მეთქი. კუთვნილებითმა ნაცვალსახელმა «ჩვენი» მომპკვდინებლად შეურაცხყო. დაიფიცა, ეგ ოთახი შენი არ არის და არც არასოდეს გახდებო, თან ზედ ისეთი სართულებიანი ლანძღვა-გინება მიაყოლა, რომ განმეორება წერილობითი სახითაც კი მერიდებო. მოკლედ, ჩვეულებრივად მოიქცა, როგორც ახასიათებს ხოლმე; ჰითქლიფს ჩემში ზიზღის გამოწვევა არ უჭირს, ამ საქმეში არც უღევი ფანტაზია ღალატობს და არც უმრეტი ენერგია! ზოგჯერ ისე მაოგნებს ხოლმე, რომ ეს გაოგნება მისდამი შიშსაც კი მისპობს. მაგრამ ეს ზოგჯერ, ჩვეულებრივ კი გამძვინვარებული ვეფხვი ან შხამიანი უხსენებელიც კი ვერ მომგვრიდა ისეთ შიშს,

მასთან ყოფნისას რომ განვიცდი. მითხრა, ქეთრინი გამხდარა ავალო და ჩემს ძმას ავინა, მისი ბრალიაო, ბოლოს ისიც დასძინა, სანამ ედგარამდე მივალნევი, შენ მყელოები მის მაგივრად და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევო.

მეზიზღება, – უბედური ვარ, ასე სულელურად რომ მოვიქციე! იფრთხილეთ, რომ ეს ამბავი არავისთან დავცდეთ «მაშვეებში». ყოველდღე დაგელოდებით – იმედს ნუ გამიცრუებთ!

იზაბელა.»

თავი 14

წერილის წაკითხვისთანავე ბატონთან გავეშურე და ვაცნობე, თქვენმა დამ მოინერა, რომ «ქარიშხლიან უღელტეხილში» დასახლებულა და მისის ლინთონის ავადმყოფობის გამო დიდად წუხს და თქვენი ნახვის სურვილით ინვის-მეთქი; გთხოვათ, რაც შეიძლება მალე მიუტევეთ, რომ გული დაიმშვიდოს-მეთქი.

– მივეუტევე?! – გაიოცა ლინთონმა, – რა მაქვს მისთვის მისატყვეველი, ელენ. შეგიძლიათ, ამსალამოსვე მოინახულოთ «ქარიშხლიან უღელტეხილში» და გადასცეთ, რომ მასზე გაჯავრებული არ ვარ, მხოლოდ, ვწუხვარ, რომ დავკარგე. მით უმეტეს, როდესაც ვიცი, რომ ბედნიერი ვერასოდეს იქნება. იმაზე საუბარი, რომ მივალ და ოდესმე ვინახულებ, სრული უაზრობაა, რამეთუ ჩვენ საუკუნოდ განვშორდით და თუკი მართლა სურს, რომ პატივი დამდოს, მაშინ ის არამზადა დაიყოლიოს და ქვეყანა დაატოვებინოს.

– მყირე ბარათსაც არ გამატანთ, სერ? – ლამის მუდარით ვკითხე.

– არა, – მომიგო. – რა საჭიროა. ჰითქლიფის ოჯახთან ჩემი ოჯახის ურთერთობა ისევე უნდა აღვკვეთო, როგორც მისი ოჯახისა – ჩემს ოჯახთან. სამუდამოდ უნდა ამოვიძირკვო.

მისტერ ედგარის სიცივემ უსაზღვროდ დამთრგუნა და «მაშვეებიდან» გასული მთელი გზა თავს ვიმტვრევდი, როგორ გადამეცა ცოტა უფრო გულითადად მისი ნათქვამი. გონებაში რამდენჯერმე გავიმეორე კიდევ მისი სიტყვები, იქნებ როგორმე შევარბილო და იზაბელამდე სულ მყირედი მიტევების მარცვალნი გავუერიო-მეთქი. დარწმუნებული ვარ, დილიდან ჩემს მოლოდინში იყო; ეზოში რომ შევედი, სარკმლის ცხაურის უკან მოვკარი თვალი და მისალმების ნიშნად თავი დავეუკარი. მაგრამ მან უკან დაიხია, თითქოს ერიდება, არავინ შემამჩნიოსო. დაუკაკუნებლად შევედი. ოდესღაც მხიარული სახლი დაღვრემილ-მოღუშული დამიხვდა. სიმართლე გითხრათ, ცოტა გული მომივიდა: ახალგაზრდა ლედის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ბუხართან მაინც გამოვუსვამდი ცოცხს და მაგიდებიდან მტვერს გადავწმენდი. მაგრამ ირგვლივ გამეფებული დაუღვერობის სული მასაც დაპატრონებოდა. ლამაზ სახეზე

ფერი მიხდოდა და გულგრილობა აღბეჭდვოდა; თმა გაშლილი ჰქონდა. დალალები, ზოგი ძირს დაეშვა, ზოგი თავზე დაემკვრებინა. სავარაუდოდ, წინაღამიდან კაბა არ ჰქონდა გამოცვლილი. ჰინდლი შინ არ იყო. ჰითქლიფი მაგიდასთან იჯდა და ჯიბის ბლოკნოტს ფურცლავდა. რომ შევედი, ზეზე წამოდგა, მეგობრულად მომიკითხა და სკამი შემომთავაზა. მგონი, ერთადერთი იყო, ვისაც სახლში ნორმალური ადამიანის სახე ჰქონდა და გავიფიქრე, ასე კარგად არასდროს გამოიყურებოდა-მეთქი. გარემოპირობებს ისე შეეცვალა ორივე, რომ მასზე იფიქრებდით, ნამდვილი ჯენტლმენიაო, იზაბელა კი თხუშნია გეგონებოდათ. ქალი წინ წამოვიდა მოსასალმებლად და ცალი ხელი გამომიწოდა, რომ ნანატრი წერილი ვადამეცა. მე თავი ვადავაქნიე. მინიმუმბას ვერ მიმიხვდა, სერვანტამდე გამომყვა, სადაც ქუდის დადებას ვაპირებდი და ჩამჩურჩულა, მომეცითო. ჰითქლიფი მიუხვდა ცოლს გულის წუხილს და მითხრა:

– იზაბელასთვის თუ რამე გაქვთ მოტანილი, მიეცით (ცხადია, რამე გექნებათ, ნელი). საიდუმლო მაგაში არაფერია. თან ჩვენ ერთმანეთში საიდუმლოებები არ გვაქვს.

– ოჰ, არაფერი მაქვს, – მივუგე, რადგან თავიდანვე სიმართლის თქმა ვამჯობინე, – ჩემმა ბატონმა დასთან დამაბარა, ამჟამად არც წერილს ელოდო ჩემგან და არც მონახულებასო. მიყვარხარ და ვითვლით ბედნიერებას ვისურვებთ; დიდსულოვნად გპატიობთ მისთვის მიყენებულ მწუხარებას, მაგრამ მიაჩნია, რომ ამიერიდან მისმა და თქვენმა სახლეულმა ერთმანეთთან უნდა განწყვიტონ კავშირი, რამეთუ შენარჩუნებდა არ ღირს.

მისი ჰითქლიფს ბაგე აუთრთოლოდა და უკანვე გაბრუნდა სარკმელთან, სადაც იჯდა. მისი მეუღლე კი ბუხართან გვერდით დამიჯდა და ქეთრინზე დამიწყო გამოკითხვა. მისი ავადმყოფობის შესახებ იმდენი ვუამბე, რამდენიც საჭიროდ მივიჩნიე, ხოლო თვითონ კითხვები დამაყარა, აიტერესებდა, როგორ და რატომ გახდა ავად. რაც მოუვიდა, მისი ბრაღია-მეთქი, ვუთხარი. საუბრის ბოლოს იმედი გამოვთქვი, რომ ჰითქლიფიც მისტერ ლინთონის მაგალითს მიბაძვდა და მათ ოჯახს აღარ გაეკარებოდა არც ჭირში, არც ლხინში.

– მისი ლინთონი მოკეთებას იწყებს, – ვთქვი მე, – სიცოცხლე კი შეეუნარჩუნეთ, მაგრამ წინანდებურად ველარასოდეს იქნება. თუკი მართლა ჰატივს სცემთ მას, მაშინ აჯობებს, გზაზე აღარასოდეს გადაეღობოთ. ანდაც საერთოდ წახვიდეთ ამ ქვეყნიდან; შესაძლოა, ეს არც ინანოთ, რადგან თქვენი ძველი მეგობარი ქეთრინ ლინთონი ის აღარ არის, რაც იყო; იმდენად აღარ ჰგავს თავის თავს, როგორც ეს ახალგაზრდა ლედი – მე. გარეგნობაც შეეცვალა და ხასიათს ხომ ნუღარ იტყვით! ის ადამიანი, ვისაც აუცილებლობისდა გამო მოუწევს მისი თანამგზავრობა ამ ცხოვრებაში, ალბათ ოდენ მოგონებებით შეინარჩუნებს თავის გრძნობას, ასევე ჰუმანურობით და მოვალეობის გრძნობით!

– სრულიად შესაძლებელია, – შენიშნა ჰითქლიფმა და თავი მომაჩვენა, ვითომ მშვიდად იყო, – სრულიად დასაშვებია, რომ შენს ბატონს – ისევე შენობითზე

გადმოვიდა, – მარტივი ჰუმანურობისა და მოვალეობის გრძნობის მოხმობა დასჭირდეს კიდევ, მის მოვლას რომ გაართვას თავი. მაგრამ როგორ წარმოგიდგენია, მე ქეთრინს მისი ჰუმანურობისა და მოვალეობის გრძნობის ამარა დავტოვებ? ან ჩემს ქეთრინისადმი გრძნობას როგორ ადარებ მისას? სანამ ამ სახლს დატოვებდე, პირობა უნდა მომცე, რომ ქეთრინს შეგმავებდრებ; ოღონდ იცოდე, უარიც რომ მითხრას, ჩემსას მაინც გავიტან: მაინც ვნახავ! აბა, რას იტყვი?

– მე იმას მოგახსენებთ, მისტერ ჰითელი, – ვუპასუხე მე, – რომ ეს არ უნდა ქნათ; ყოველ შემთხვევაში, მე ვერასოდეს გავგინევთ ამაში თანადგომას. თქვენი და ბატონის მორიგი შეტაკება ქეთრინზე მომაკვდინებლად იმოქმედებს.

– შენი დახმარებით ვე შეგვიძლია, თავიდან ავიცილოთ. – განაგრძო ჰითელი, – ასეთი საფრთხის წინაშე თუ აღმოჩნდება – თუკი ისევ საფრთხეში ჩაადგება ლინთონი – მგონი, სასამართლო უკიდურესი ზომების მიღებისთვის არაფერს მომიხსნის! მინდა, სრულიად გულწრფელად მითხრას: მისი დაკარგვის გადატანა ქეთრინს გაუჭირდება? მხოლოდ ეს საკითხი მაჩერებს. ჩემი და ედგარის სიყვარულს შორის განსხვავება შემდეგია: მე რომ მის ადგილას ვიყო და ის ჩემსაზე, სიკვდილივითაც რომ მძულდეს, მაინც ვერ ავნევი მასზე ხელს. შეგიძლია, გაიკვირო, თუკი არ გჯერა! ვერასოდეს აუუკრძალავდი ქეთრინს მის გვერდით ყოფნას, თუკი ეს თვითონ ენდომებოდა. ხოლო როდესაც მოსწყინდებოდა, ლინთონს გულს ამოვკლევდი და მის სისხლს დავლევდი! მაგრამ მანამდე – თუ არ გჯერა, ესე იგი, არ გცნობივარ – ნაკუნ-ნაკუნ რომ ავექენი ვინმეს, ბუზსაც არ აუფერენდი!

– და მიუხედავად ზემოთქმულისა, – შევანყვეტინე მე, – სინდისის უქენჯნელად მოუსპობდით გამოკეთების ყველა შესაძლებლობას მის მენსიერებაში კიდევ ერთხელ გამოჩენით; არადა, თითქმის დაგივიწყათ, თქვენ კი მომავალი უთანხმოებისა და ვარამისთვის იმეტებთ.

– გვონია, თითქმის დამივიწყა? – სარკასტულად მკითხა, – ოჰ, ნელი! ხომ იცი, რომ ასე არ არის! ისიც ხომ იცი, რომ მეც კარგად მომეხსენება! ედგარზე თუ ერთხელ გაიფიქრებს, ჩემზე ათასი ფიქრი მოეძალება! ჩემი ცხოვრების ყველაზე საბრალო ჟამს მეც გამიელვა თავში მსგავსმა აზრმა, – შარშან ზაფხულს – მაგრამ აწი მხოლოდ ქეთრინის სიტყვა თუ დამაჯერებს მაგ აზრის ჭეშმარიტებას, სხვა არაფერი. მერე უკვე ჩემთვის აღარც ლინთონი წარმოადგენდა რამეს და აღარც ჰინდლი, აღარც ის ოცნებები, რამაც აქამდე მომიყვანა. ორი სიტყვა დასჭირდებოდა ჩემს მომავალს გამოსათქმელად: სიკვდილი და ჯოჯოხეთი. მის დამკარგავს არსებობა ჯოჯოხეთად მექცეოდა. ვალიარებ, მქონია სისუსტის მომენტი, როდესაც გაეფიქრე, ედგარ ლინთონის სიყვარულს უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ჩემსას-მეთქი. მთელი თავისი უბადრუკი არსებითაც რომ უყვარდეს ქეთრინი, მთელი ოთხმოცი წელიწადიც ვერ აჩუქებდა იმდენ სიყვარულს, რამდენსაც მე ერთ დღეში ვაჩუქებ. ქეთრინსაც ისეთივე უძირო გული აქვს, როგორც მე. როგორც ზღვა ვერ ჩაეტევა ცხენის ნაფლოქვარში, ისე ქეთრინის სიყვარულს ვერ დაეპატრონება ედგარი. ვერასოდეს! დიდი-დიდი თავის ძალზე ან ცხენზე მეტად ეძვირფასებოდეს ქმარი. განა ეყვარება ისე, როგორც მე? მასში ის როგორ უნდა უყვარდეს, რაც არ გააჩნია?

– ქეთრინსა და ედგარს ისევე უყვართ ერთმანეთი, როგორც სხვა ნებისმიერ კარგ წყვილს! – დაიყვინძა განრისხებულმა იზაბელამ – ასეთი ტონით ლაპარაკის უფლება არავის აქვს და არც მე მივცემ ვინმეს ჩემი ძმის დამცირების ნებას!

– შენს ძმასაც როგორ მზე და მთვარე ამოსდის შენზე, არა? – ავღებულად უთხრა ჰითქლიფმა, – როგორ მყისიერად მიანდო ტალღებს შენი თავი.

– რა იცის, მე რა მიჭირს, – მიუვო ცოლმა, – მისთვის ეს არ მითქვამს.

– გამოდის, რომ სხვა რაღაც გითქვამს; ე. ი. წერილი მისწერე?

– რომ მეთქვა, გავთხოვდი-მეთქი. რაც დაწერე, შენც განახე.

– და რაო, მერე?

– არაფერი.

– ჩვენი ახალგაზრდა ლედი, რაც მის ცხოვრებაში ცვლილება მოხდა, უფრო სევდიანად გამოიყურება, – შევნიშნე მე, – აშკარაა, ვიღაც ვერ იმეტებს მისთვის საჭირო სიყვარულს და მგონი, ვხვდები, ვინცაა ის ვიღაც; თუმცა კი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

– როგორც მე ვხვდები, თვითონ ვერ იმეტებს, – მიპასუხა ჰითქლიფმა, – სულ გაფეთხებდა! სულ აღარ ცდილობს, რომ თავი მომანონოს; ნამეტნავად აღრე მომიმწვანოდა. ალბათ არ დამიჯერებ, მაგრამ შეუღლების მეორე დღესვე ცრემლებად დაიღვარა, შინ წამიყვანო. თუმცა, რაც უფრო ნაკლებ სასიამოვნო იქნება, მით უფრო მოუხდება ამ სახლს; მივხედავ, რომ თავი არ მომჭრას სადმე გაქცევით.

– კეთილი, სერ, – ჩაეურთე მე, – იმედი მაქვს, გაითვალისწინებთ, რომ მისი ჰითქლიფი ყურადღებასა და მოვლასა ნაჩვევი, და რაკი სახლში ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ, ყველა სიხარულით ევლებოდა თავს. მსახური უნდა აუყვანოთ, რომ მის ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდეს და კარგად უნდა მოეპყროთ. მისტერ ედგარზე რაც უნდა იფიქროთ, მისი დის გრძნობებში ეჭვი არ უნდა შეიტანოთ; აბა, დაფიქრდით, ასე რომ არ იყოს, რისთვის მიატოვებდა კერას, ახლობლებს, მეგობრებს და აქ, ამ უდაბურ მთაზე რად გამოგყვებოდათ?

– თავისი ფანტაზიების გამო მიატოვა ყველა, – მიპასუხა ჰითქლიფმა, – რომანის გმირად ვყავდი წარმოსახული და ჩემი რაინდული თავდადებიდან უსაზღვრო მონივნებას მოელოდა. მიჭირს საღად მოაზროვნე ადამიანად მივიჩნიო, რადგან დაუღალავად ცდილობს ამ თავისი წარმოსახული თავაზიანი და თავდადებული გმირის გულის მოგებას. მაგრამ მგონია, რომ ნელ-ნელა უკვე მეცნობა: ბოლო ხანებში ვეღარ ვამჩნევ იმ სულელურ ღიმილსა და ღმეჭას, ასე რომ მაღიზიანებდა თავიდან და ესეც იწყებს მიხვედრას, რომ როდესაც პირში ვეუბნები ჩემს აზრს მის სულელურ სიყვარულზე და მის პიროვნებაზე, არ ვხუმრობ. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ მიმეხვედრებინა, არ მიყვარხარ-მეთქი. ერთი ხანობა ვფიქრობდი, ვერაფრით ამას

ვერ ვაგნებინებ და იქნებ დროთა განმავლობაში მაინც მიხვდეს-მეთქი! ახლაც ბოლომდე არ აქვს შეგნებული; ამდილას საზეიმოდ გამომიცხადა, მე მგონი, თავს მაძულებო. ჰერკულესის გმირობის ტოლფასია, გარწმუნებ! ამას თუ მივაღწიე, სამადლობელოდ მქონია საქმე. შემიძლია, შენს განცხადებას ვენდო, იზაბელა? დარწმუნებული ხარ, რომ გძულვარ? ნახევარი დღე რომ მიგავდო, ისევ მე არ მომიცუცქდები აკვნესებული და ასლუკუნებული? დარწმუნებული ვარ, სურს, რომ შენ წინაშე მოსიყვარულე ქმარი გავითამაშო, რადგან თავმოყვარეობა ელახება სიმართლის თქმით. მაგრამ არც ის მალეღვებს, რომ მხოლოდ ცალმხრივ ვნებას ჰქონდა ადგილი და ამ მხრივ მე იზაბელასთვის არასდროს მითქვამს ტყუილი. არც ცრუ სინაზე გამომივლენია არასდროს. «შაშვებიდან» რომ მოვდიოდით, პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ მისი ფინია ჩამოვკიდე ღობეზე. როდესაც ხვეწნა დამიწყო, ჩამოხსენიო, ვუთხარი, შენი სახლეულიდან ყველას და ყველაფერს სიამოვნებით ჩამოვკიდებდი-მეთქი ერთი არსების გარდა და ეტყობა, ეგონა, ის ერთი არსება მე ვარო. მაგრამ არავითარი სისასტიკე არ სძახს, თუკი უშუალოდ მის ძვირფას პიროვნებას არ უქმნის საფრთხეს! აბა, დაუკვირდი, განა აბსურდის მწვერვალი და იდიოტიზმის ზეიმი არ არის, რომ ასეთი ცალტვინა მხევალი, ნამდვილი დედალი აოცნებდა ჩემს სიყვარულზე? ამისთანას რა შემაყვარებს? შენს ჰატრონს გადაეცი, ნელი, რომ ცხოვრებაში მის დაზე საზიზღარი არსება არ შემხვედრია. ლინთონისნაირ გვარსაც კი არცხვეს. რამდენჯერმე გამოვცადე, მაინტერესებდა, სადამდე დაიკნინებდა თავს, სადამდე გაუძლებდა დამცირებას და ისევ მე შემომიძვრებოდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ფანტაზია აღარ მეყო და ფარ-ხმალი დავყარე. გადაეცი, ძმისა და მოსამართლის გული დაიმშვიდოს, რადგან კანონის ფარგლებს არ ვცილდები. აქამდე დაშორების უმცირესი მიზეზიც არ მიმიცია, ახლა კი არავისთვის არ მოუწევს თხოვნა, გავგყარეთო. შეუძლია, სადაც ნებაგს, იქ წავიდეს: რადგან მისი ტანჯვითაც კი ვერ მიიღებ კაცი იმ სიამოვნებას, რომელიც მისი ყურების აუტანლობას გადაწონის!

– მისტერ ჰითქლიფ, – ვუთხარი მე, – ეს გიჟის საუბარია; თქვენი მეუღლე, როგორც ჩანს, დარწმუნდა, რომ ჭკუიდან გადასულხართ. ალბათ ამიტომ გითმენდათ ამდენ ხანს. მაგრამ რაკი ამბობთ, შეუძლია, წავიდესო, უეჭველად გამოიყენებს ამ ნებართვას. იმდენად მოჭადლოებული ხომ არ ხართ, ქალბატონო, რომ თქვენი ნებით დარჩეთ მასთან?

– კარგი რა, ელენ! – მომმართა იზაბელამ და თვალები დააკვესა; მისი მზერიდან ჩანდა, რომ ქმრის მცდელობა, თავი შეეძულებინა, არცთუ უნაყოფო გამოდგარიყო, – მისი არც ერთი სიტყვისა არ ირწმუნოთ. ჩვეულებრივი მატყუარა ავსულია! ადამიანის სახეიმღებელი ეშმაკი! აქამდეც მითხრა, თუ გინდა, წადიო; მეც გავბრწყინდი და ვცადე, მაგრამ ხელმეორედ ამას რაღა გამაბედვინებს! ოღონდ, ელენ, დამპირდით, რომ მის ავსიტყვაობაზე ედვართან არაფერი დავცდებათ, არც ქეთრინს უთხრათ რამე. რაც უნდა ილაპარაკოს, მხოლოდ ედვარის სასონარკვეთილებაში ჩავდება უნდა; მეუბნება, იმიტომ შევირთე, რომ მასზე მომეპოვებინა ძალაუფლებაო. მაგრამ ამას ვერ ეღირსება, ცოცხალი თავით არ მივცემ ამის საშუალებას! უბრალოდ, იმედი მაქვს,

რომ ეს ეშმაკეული კეთილგონიერება მოსწყინდება და მომკლავს! ერთადერთი, რაც მე სიხარულს მომანიჭებდა, ისაა, რომ ან მე მოვკვდე, ან ეგ!

– აჰა, დღეისათვის კმარა! – უთხრა ჰიქთლითმა, – სასამართლოში თუ გამოვიძახეს, ნელი, მისი სიტყვები არ დაივიწყო! და კარგად დააკვირდი სახეზე: სადაცაა, მე დამემსგავსება. არა, იზაბელა, ახლა შენი თავის მიმხედავი არ ხარ და მე, როგორც შენმა კანონიერმა დამცველმა, შენზე უნდა ვიზრუნო, რაოდენ გულისამრევაც უნდა იყოს ეს მოვალეობა ჩემთვის. ადი მალლა, ელენ დინისთვის პირისპირ მაქვს რალაც სათქმელი. კიბეზე მანდედან ვერ ახვალ. აი, კიბისკენ აქედან მიდის გზა, შვილო! – მან ხელი სტაცა და ოთახიდან უბიძგა. ბუბლუნით შემობრუნდა: – შებრალება არ ვიცი, საერთოდ არ ვიცი! რაც უფრო იკლავნება ჭია-მატლი, მით უფრო მიჩნდება სურვილი, ქუსლით გავსრისო! მორალის ქავილივით არის: რაც მეტ ტკივილს ვგრძნობ, მით უფრო ძლიერად მინდება მოფხანა.

– სიტყვა შებრალების მნიშვნელობა იცით? – ვკითხე და ქუდის ასაღებად წამოვდექი, – ოდესმე გიგრძნიათ სიბრაულე?

– დადე! – შემომიღრინა და წინ გადამიდგა, – ჯერ ვერ წახვალ. დროზე მოდი აქ, ნელი. ქეთრინთან შეხვედრის ხელშეწყობაში ან უნდა დაგაყოლო, ან გაიძულო, თან დაუყოვნებლივ. გეფიცები, ზიანის მოტანა გულშიც არ გამივლია. არც აურზაურის ატეხვა მინდა და არც მისტერ ლინთონის შეურაცხყოფა. უბრალოდ, მისგან მინდა შევიტყო, ახლა როგორ არის, ან რატომ გახდა ავად. მინდა ვკითხო, რამით ხომ არ შემოძლია მისი დახმარება, რამეში ხომ არ გამოვადგები. ნუხელ «მაშვების» ეზოში ექვსი საათი გავატარე და ამაღამაც დავბრუნდები; ასე ვივლი ყოველდღამ, ყოველდღე, სანამ შიგნით შეღწევას არ მოვახერხებ. მისტერ ლინთონი თუ გადამეყრება სადმე, ისე დავცემ ძირს, რომ სანამ მე იქ ვიქნები, ხელი ვერ შეგვიშალოს. მსახურები თუ გამოესარჩლებიან, ამ პოსტოლეტებით დავაფრთხოებ. მაგრამ არ ჯობია, ჩემი მოსვლა მათთან შეხვედრისგანაც იყოს დაზღვეული და მათ ბატონთან შეტაკებისგანაც? შენ კი ამას იოლადა გართმევ თავს. წინასწარ გაგაფრთხოებდი ჩემი ვიზიტის შესახებ, შენ კი შეუმჩნევლად შემაპარებდი, როდესაც მარტო იქნებოდა ქეთრინი და თვალი გეჭირებოდა, სანამ არ წავიდოდი. სინდისიც მშვიდად გექნებოდა, რაკი გვეკლდინებოდა, რომ ამას უსიამოვნების აციალების მიზნით გააკეთებდი.

ისევ უარი განუცხადა ამ მუხანათურ გეგმაში მონაწილეობაზე, გარდა ამისა, ისიც მივახალე, – თქვენი სისასტიკისა და ეგოიზმის დასაკმაყოფილებლად მისის ლინთონს სიმყუდროვეს და სულიერ წონასწორობას დაურღვევთ-მეთქი.

– ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოულოდნელობებიც კი გულს ტკენს, – ვუთხარი დასასაბუთებლად, – ნერვები ისედაც დაწყვეტაზე აქვს და ამ სიურპრიზს ვერ გადაიტანს, დარწმუნებით მოგახსენებთ. ნუ მაძალებთ, სერ, თორემ იძულებული გავხდები, ჩემს ბატონს მოვახსენო მაგ თქვენი ხრიკების შესახებ. ისიც ადგება და კარგა გიჩრტება თავისი სახლისა და ოჯახის წევრების ამგვარი დაუშვებელი შემოჭრისგან დასაცავად!

– მაშინ მეც ასე მოვიქცევი და ხვალ დილაზე აქ გამოგვეტავ, დედაკაცო! – დამიყვირა ჰითლერი, – «ქარიშხლიანი უღელტეხილიდან» ფეხსაც ვერ მოიცილი. ეგ საკეცი სხვებს დაუყარე – ქეთრინი შენს ნახვას ვერ გაუძლებს! სულაც არ მინდა, მოულოდნელობით გავუხეთქო გული; კეთილი უნდა ინებო და მოამზადო, ჰკითხო, სურს თუ არა ჩემი ნახვა. ამბობ, არც თვითონ ახსენებს შენს სახელს და არც სხვები ახსენებენ მისი თანდასწრებითო. ვისთან უნდა მახსენოს, თუკი მის სახლში აკრძალული თემაა ჩემზე საუბარი? ჰკონია, რომ ყველანი მისი ქმრის ჯაშუშები ხართ. დარწმუნებული ვარ, თქვენს გარემოცვაში თავს ისე გრძობს, როგორც ჯოჯობაში! მისი დუმილითაც კი ვგრძობ, რას განიცდის. თუკი ამბობ, ხშირად მოუსვენრობს და ყველაფერზე ბრაზდებაო, განა ეს სიმშვიდის მტკიცებულებაა? მეუბნები, გონება აქვს არეულიო. სრულ შიშისმომგვრელ მარტობაში მყოფს, ჯანდაბას თქვენი თავი, როგორ არ აერეოდა გონება?! ამ დროს კი ის უსისხლხორცო და წვრილმანი არსება პატრონობს ჰუმანურობისა და მოვალეობის მიზნით? ასეთივე წარმატებით შეიძლება, ყვავილის ქოთანში მუხა დაურგოს და აყვავებას დაელოდოს! აბა, წარმოიდგინე, ამ უსუსური მოვლით დააყენებს ფეხზე? თავის ყამირ ნიადგზე სურს მისი აყვავება? მოდი, ახლავე გავარკვიოთ: გინდა, რომ აქ დარჩე და მე კი მარტომ გავიკვლიო ქეთრინამდე გზა ედგარისა და მისი ყურმოჭრილი მონების გადათელვით? თუ ჩემი მეგობარი იქნები, როგორც აქამდე, და ჩემს თხოვნას შეასრულებ? გადაწყვიტე! ჩემი შეჩერების შანსი არ არის, წუთითაც აღარ დავეყოვნებ, თუკი ისევ ჯიუტად იქნები ვირზე შემჯდარი!

ამგვარად, მისტერ ლოქუდ, ვედავე და ვეკამათე, ორმოცდაათჯერ მაინც ვუთხარი უარი, მაგრამ ვერ გავტეხე და დავთმე. დამევალა, წერილი წამელო მისის ლინთონისთვის და თუკი ქეთრინიც დათანხმდებოდა, მისტერ ლინთონის არყოფნა მეცნობებინა მისთვის; მერე კი თვითონ შეპარულიყო, როგორც შეძლებდა, ოღონდ არც მე და არც სხვა მსახურები შინ არ დავუხვდებოდით. სწორი იყო ეს საქციელი, თუ მცდარი? ვშიშობ, მცდარი უნდა ვუნოლო, რადგან ეს ერთი ჩვეულებრივი ხრიკი გამოდგა. მეგონა, ჩემი ჩარევით უფრო დიდ უბედურებას ავიცილებდით და ქეთრინის გონებრივ სენს კეთილმოქმედ კრიზისად წაადგებოდა. თანაც მისტერ ედგარის მკაცრი გაფრთხილება მახსენდებოდა, ზღაპრები აღარ მომიყვებო, ამიტომ სინდისის დამშვიდებას ვცდილობდი და თავს ვუმეორებდი, ნდობის ღალატს, უმკაცრესმა სასამართლომაც რომ განსაჯოს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიემართე, სხვა გამოსავალი რომ არ მქონდა-მეთქი. მიუხედავად ყველაფრისა, შინ რომ მოვდიოდი, უფრო სევდიანი განწყობა მქონდა, ვიდრე იქითობისას. უამრავი ჟურნალისმომგვრელი ცრურწმენის გადალახვამ მომიწია, სანამ ქეთრინს მის ბარათს გადავცემდი.

მაგრამ ქენეთი უკვე აქ არის; ჩავალ, ვეტყვი, როგორ მოიკეთეთ. ჩემი ამბავი, როგორც იტყვიან, კაი თავსატეხია და კიდევ ერთი დილის თავშესაქცევად იკმარებს.

თავსატეხი და შიშისმომგვრელი-მეთქი, გავიფიქრე, როდესაც ეს კეთილი ქალბატონი ექიმის დასახვედრად ჩავიდა კიბეზე. ეს ამბავი ამკარად არ გახლდათ ისეთი, რომლითაც მხიარულად შევიქცევდი თავს. მაგრამ ეგ არათუ არ! მისის დინის მწარე ბალახებს მაინც გამოვწურავ სამკურნალო წამალს. მაგრამ თავდაპირველად

თავს შევეუძახებ, რომ ქეთრინ ჰითქლიფის ბრწყინვალე თვალთა მომნუსხველობას არ უნდა დავნივთებ. კაი შარში კი გავყოფ თავს, თუკი ამ ახალგაზრდა არსების გულს დავემორჩილები, ის კი დედამისის მეორე გამოცემა აღმოჩნდება.

თავი 15

ერთი კვირაც გავიდა და გამოჯანმრთელებასა და გაზაფხულთან რამდენიმე დღით კიდევ უფრო მიმაახლოვა! ახლა უკვე ვიცი ჩემი მეზობლის ამბავი, ჩემმა მნემ რამდენჯერმე კიდევ მოახერხა უფრო მნიშვნელოვანი საქმიებისგან თავის დაძვრენა და ამბავი დამიმთავრა. მეც ასევე განვაგრძობ, მისი სიტყვებით, ოღონდ ცოტა შემცირებულად. ქალბატონი დიდად კარგი მთხრობელია და არა მგონია, რაიმით გავაუმჯობესო მისი სტილი.

– იმ საღამოს, – მითხრა მან, – როდესაც «ქარიშხლიანი უღელტეხილიდან» დავბრუნდი, ვიცოდი, რომ ჰითქლიფი საღდაც აქ დაძრწოდა; გარეთ გასვლას ვერიდებოდი, არ მინდოდა, კიდევ დავეშინებინე ან ვენვალებინე, რადგან გადასაცემი წერილი ჯერ ისევ ჯიბეში მდებოდა. გადავწყვიტე, სანამ ბატონი არ წავიდოდა საღმე, წერილი არ მეჩვენებინა ადრესატისთვის, რადგან არ ვიცოდი, როგორი რეაქცია ექნებოდა ქეთრინს. სამი დღეც ასე მიიწურა. მეოთხე დღე კვირა უწევდა. ავღეჭი და მის ოთახში შევიტანე, როგორც კი სახლეული საყდარში წავიდა. იქ მხოლოდ ერთი მსახური დამიხვდა, რომელიც ჩემთან ერთად იყო სახლის მისახედად დარჩენილი. როდესაც ოჯახი სალოცავად მიდიოდა ხოლმე, ჩვენ კარებს საკეტებით ვკეტავდით. მაგრამ ისეთი კარგი ამინდი დაიჭრა, ყველა კარი ყურთამდე გავაღე და რაკი ვიცოდი, რაც მევალებოდა და ვინ შეიძლებოდა მოსულიყო, მსახური სოფელში გავგზავნე დიასახლისისთვის ფორთოხლის მოსატანად; თან ვუთხარი, ხვალ გადავიხადოთ-მეთქი. მსახური წავიდა, მე კი მალლა ავედი.

მისი ლინთონს თეთრი ფართო კაბა ეცვა და მხრებზე თხელშალმოგდებული, ჩვეულებისამებრ, ფანჯრის ნიშასთან იჯდა. გრძელი, ხშირი თმა დაავადების დასაწყისშივე მოკვეცეს სანახევროდ, ასე რომ ახლა უბრალოდ დავარცხნილი ჰქონდა – კულულები საფეთქლებსა და კისერზე ეფინა. როგორც ჰითქლიფს ვუთხარი, გარეგნობა მართლაც შეცვლილი ჰქონდა. მაგრამ როდესაც მშვიდად იყო, სახეზე არამიწიერი სილაამაზე ესახებოდა ხოლმე. თვალებს აღარ აკვესებდა, მზერა მელანქოლიური და მეოცნებე გახდომოდა. გეგონებოდა, გარშემო არაფერს უყურებდა, არამედ მხოლოდ შორეთს გასცქეროდა დაუინებით, თქვენ ალბათ იტყვოდით, მიღმიერ სამყაროს. სახის სიფერმკრთალე (როდესაც მოიკეთა, ძველებურად ღონემიხილი აღარ ჩანდა) და გონების არევით გამოწვეული უცნაური მზერა თავის სამწუხარო მიზეზებს კი ამხელდა, მაგრამ მაინც გულისამაჩუყებელ ინტერესს უღვივებდა მნახველს და თითქოს თავისკენაც იზიდავდა. ვისაც უნდა ენახა, გამოჯანმრთელების კვალს ვერაფერს დაინახავდა, პირიქით იფიქრებდნენ, სასიკვდილოდ განწირულს ხრწნა დასწყებიაო.

წინ გადაშლილი წიგნი ედო და მსუბუქი სიო მის ფურცლებს ეთამაშებოდა. მჯერა, ლინთონი დაუდებდა, რადგან ქეთრინს თვითონ არასდროს უცდია კითხვით ან რამე მსგავსით შეექცია თავი, ბატონმა კი უამრავი საათი შეალოია, ოღონდ კი რამე ისეთით დაეკავებინა, რაც მანამდე მის ცოლს ინტერესს არ უღვივებდა. ქმრის მიზანს ხვდებოდა და თუ გუნებაზე იყო, წყნარად იტანდა მის ძალისხმევას, მხოლოდ ამოიკვანესებდა ხოლმე ან კოცნით აწყვეტილებდა მცდელობებს, რომ მიენიშნებინა, ამ ყველაფერს არავითარი აზრი არა აქვსო. სხვა დროს გაფხუკიანდებოდა, ზურგს შეაქცევდა და სახეზე იფარებდა ხელებს, ანდაც საერთოდ გაბრაზებული იცილებდა ედგარს თავიდან. ასეთ დროს მეუღლე მის დატოვებას ამჯობინებდა ხოლმე, რადგან ხვდებოდა, რომ დარჩენით სიკეთეს ვერ მოუტანდა.

გიმერთონის სამრეკლოს ზარებს ჯერ კიდევ არ დაესრულებინათ რეკვა და ჰაერში ხეობიდან წამოსული მდინარის ჩუხჩუხის ხმაც საამურად ისმოდა. ეს ხმა ტკბილი წინამორბედი გახლდათ ზაფხულისა, როდესაც ტყე მწვანით იმოსება და მდინარიდან წამოსული ჩუხჩუხი «შაშვებამდე» ვეღარ აღწევს. «ქარიშხლიან უღელტეხილში» კი ყოველთვის ისმოდა ხოლმე ყინულის დნობისა და ძლიერი წვიმების სეზონის გადავლის შემდეგ წყნარ ღღებში. სწორედ «ქარიშხლიან უღელტეხილზე» ფიქრობდა ქეთრინი და მდინარის ხმას უსმენდა, თუკი უსმენდა საერთოდ რამეს, ან საერთოდ თუ შეეძლო იმხანად ფიქრი. ისევ წინანდებურად ბუნდოვანი, შორეული მგერა ჰქონდა და დამუსტებით ვერავინ იტყოდა, ახლომდებარე გარემოს ან სმენით, ან მხედველობით მაინც აღიქვამსო.

– მისის ლინთონისთვის წერილია, – ვუთხარი და კალთაზე დადებულ ხელში ნაზად ჩაუღდე. – დაუყოვნებლივ უნდა წაიკითხოთ, რადგან სასწრაფო პასუხს საჭიროებს. ავხსნა ბეჭედი?

– დიახ, – ისე მიპასუხა, თვალი არ მოუცილებია შორეთისთვის. კონვერტი გაგხსენი. მოკლე ბარათი აღმოჩნდა.

– ახლა კი, – განვაგრძე მე, – წაიკითხეთ. – ხელი გასწია და წერილი ძირს ჩამოვარდა. მე მუხლებზე დაუღდე და შევიცადე, სანამ ინებებდა, რომ დაეხედა. მაგრამ იმდენ ხანს მაცდევინა, რომ ხელახლა მივმართე: – მე წავიკითხო, მემ? მისტერ ჰითქლიფისგან არის.

სახე შეუნუხდა, მოგონების სუსტი ათინათი და აზრების მოკრების მცდელობა გამოესახა. წერილი აიღო და თითქოს ყურადღებით დაინყო კითხვა; როდესაც ბოლომდე ჩაიკითხა, ხელმოწერას დაუკვირდა და ამოიოხრა. მაგრამ მგონი გზავნილის შინაარსს ვერ ჩასწვდა, რადგან პასუხის გაცემის აუცილებლობა რომ შევახსენე, ხელმოწერაზე მიმითითა და სევდიანი, კითხვით სავესე მგერით მომაჩერდა.

– თქვენი ნახვა სურს, – განვუმარტე მე, რადგან თავად ვერ ხვდებოდა, – ახლა ბაღშია და სულმოუთქმელად ელის, რა პასუხს ჩავუტან.

ამას რომ ვეუბნებოდი, ეზოში, ბუნობზე წამოწოლილ ძაღლს გაგხედე, რომელმაც უეცრად ყურები ცქცეტა და დასაყფად მოემზადა, მაგრამ მალევე

დამშვიდდა და კუდი ააქიცინა, ეტყობა, ნაცნობის მოახლოება იგრძნო. მისი ლინთონი წინ გადაიხარა და სულგანაბულმა მიუგდო ყური. წუთი და დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. გაღებულ კარის დანახვაზე ჰითქლიფმა ცდუნებას ველარ გაუძლო და შინ შემოვიდა. ეტყობა, იფიქრა, რომ მის დახმარებაზე ხელი ავიღე, ამიტომაც ისე თავის გამბედაობას დაეყრდნო. ქეთრინი დაიძაბა და გულისყური შემოსასვლელისკენ გადაიტანა. მოსულს კარი აერია; დიასახლისმა მანძილზე, შემოიყვანო, მაგრამ სანამ კარამდე მივალწვედი, ჰითქლიფს უკვე ეპოვა ოთახი და ორიოდ ნაბიჯში უკვე სასურველ ქალთან იყო და გულში იკრავდა.

კარგა ხუთი წუთი არც ხმა ამოულია და არც ხელი გაუშვია; მთელი ამ ხნის განმავლობაში იმდენი კოცნით დაასაჩუქრა ქეთრინი, მანამდე რომ არ უკოცნია. არადა, წინათ პირველი ჩემი ქალბატონი აკოცებდა ხოლმე. კაცი ისეთი შეძრული იყო ემოციისგან, რომ თვალებში ვერ უყურებდა! ერთი შეხედვითაც მიხვდა, როგორც მე, რომ მისი ფეხზე დაყენების აღარავითარი შანსი არ არსებობდა – ქეთრინი სასიკვდილოდ იყო განწირული.

– ოჰ, ქეთი! ჩემო სიცოცხლე! ამას როგორ გავუძლო? – პირველი ეს წინადადება წარმოთქვა მისმა ბავშვმა და სასონარკვეთის შენიღება არც უცდია. ახლა უკვე ისეთი დაძაბული მიაჩერდა, ისე გულწრფელად, რომ ვიფიქრე, ეს დაძაბულობა თვალებიდან ცრემლებს დაადენს-მეთქი. მაგრამ თვალები სიმწრისგან ისე ეწვოდა, რომ დასაღვრელი ცრემლი არ ჰქონდა.

– ან რა იქნება? – წარმოთქვა ქეთრინმა, უკან გადაიწია და უეცრად მოღრუბლული მზერით წარბებქვემიდან ახედა ჰითქლიფს. ხასიათი კაპრიზების მიხედვით ეცვლებოდა, – შენ და ედგარმა გული გამიტეხეთ, ჰითქლიფ! ორივენი მოღიხართ და ტირით, თითქოს შესაცოდები თქვენ იყოთ! არ შეგიცოდებთ არც ერთს. შენ მე ბოლო მომიღე და მგონი, მოგიხდა კიდევ. რა ღონიერი ხარ! მე რომ აღარ ვიქნები, რამდენი წელიწადი აპირებ კიდევ სიცოცხლეს?

ჰითქლიფი ცალ მუხლზე იყო დაჩოქილი, რომ მოხვეოდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ ქეთრინმა თმით დაიჭირა და შეაჩერა.

– ნეტავ სულ ასე მყავდე, – გულმოკლულად განაგრძო დიასახლისმა, – სანამ ორივე არ წავალთ იმქვეყნად. როგორც უნდა გატანჯულიყავი, სულ არ ვიდარდებდი. რატომ არ უნდა გაიტანჯო? დამივიწყებ? ბედნიერი იქნები, რომ დამკრძალავენ? ოცი წლის შემდეგ იტყვი, ეს ქეთრინ ერნშოს საფლავიაო? დიდი ხნის წინ მიყვარდა, მაგრამ მისი დაკარგვა მენერაო. მაგრამ ის უკვე წარსულია; მას მერე ბევრი შემეყვარდა, ჩემი შვილებიც ჩემთვის უფრო ძვირფასნი არიან, ვიდრე ის იყო. სიკვდილის პირას მყოფს სულაც არ მომიწდება მასთან წასვლა, პირიქით, იმაზე დამწყდება გული, ოჯახი რომ უნდა დავტოვო! ასე იტყვი, ხომ, ჰითქლიფ?

– ნუ მანამებ, თორემ მეც შენსავით ჭკუიდან გადავალ, – იყვირა ჰითქლიფმა, თავი გაითავისუფლა და კბილები ააღრჭიალა.

ეს წყვილი უცხო თვალისთვის უცნაურ და შიშისმომგვრელ სურათს წარმოადგენდა. ქეთრინი არცთუ ცდებოდა, როდესაც ფიქრობდა, სამოთხე ჩემთვის განდევნილობის ტოლფასი იქნებაო, თუკი ფიზიკურ სხეულთან გაყრასთან ერთად, მორალურ სხეულსაც არ გაეყრებოდა და ზნეს არ შეიცვლიდა. მისი იმჟამინდელი შესახედლობა უღმობელი შურისმაძიებლისას ჰგავდა გაფითრებული ლოყებით, უფერული ბაგეებითა და ცეცხლისმფრქვეველი თვალებით. თითებში ჰითქლიფის თმა შერჩენოდა. მამაკაცი ცალი ხელით წამოიწია, მეორე ქეთრინის ისე ძლიერად ჩასჭიდა, მისი მდგომარეობა სულ არ გახსენებია, და როცა გაუშვა, ქალის უფერულ მაჯაზე ოთხი მოლურჯო ფერის ანაბეჭდი გავარჩიე.

– ეშმაკმა ხომ არ შეგიპყრო, – ჰკითხა გამწარებულმა, – მომაკვდავი ასე რომ მელაპარაკები? ხედები, რომ შენი ყოველი სიტყვა გონების სიღრმეში ჩამებეჭდება და ძირფესვიანად გამომხრავს, როდესაც შენ დამტოვებ? კარგად იცი, რომ ტყუი, როცა მეუბნები, შენ მომიღე ბოლოო, ისიც მოგეხსენება, რომ ჩემს არსებობას უფრო დავივინყებ, ვიდრე შენ! ნუთუ შენი ეშმაკეული ეგოიზმისთვის არ კმარა, რომ როდესაც საუკუნოდ დასვენებული იქნები, მე ჯოჯოხეთის ნიაღვრებმა უნდა მტანჯოს?

– დასვენებული არ ვიქნები, – ამოიკვნესა ქეთრინმა და გულის ძლიერმა, არათანაბარმა ცემაში, რომელიც აღელვებულს გარედანაც კი ემჩნეოდა, და ისმოდა, ფიზიკური სისუსტე შეახსენა. მეტი აღარაფერი უთქვამს, სანამ შეტევამ არ გაუარა. მერე უფრო მშვიდად განაცხადა: – იმაზე მეტ სატანჯველს არ გისურვებ, რაც მე გამოვიარე, ჰითქლიფე. მხოლოდ ის მინდა, რომ არასოდეს დავმორღეთ. და თუკი ახლა ნათქვამი ჩემი რომელიმე სიტყვა მომავალში დაგადარდიანებს, გახსოვდეს, რომ მეც ვდარდიანობ იმნუთას მიწაში და ჩემივე გულისათვის მომიტევე! მოდი აქ და ჩაიმუხლე ისევ! არასდროს დაგიშავებია ჩემთვის არაფერი. არა. თუკი ცული განზრახვა გაქვს ჩემ მიმართ, ეს მე უფრო გამტანჯავს, ვიდრე შენ ჩემი სიტყვები! არ მომიახლოვდები? მოდი!

ჰითქლიფი მისი სავარძლის საზურგესთან მივიდა, დაიხარა, მაგრამ მღელვარებისგან მკვდრისფერადღებული სახე არ უჩვენა. ქეთრინი შემობრუნდა, რომ შეეხედა, მაგრამ სტუმარი მაშინვე შურვით შეტრიალდა და ბუხრისკენ წავიდა. იქ შეჩერდა და ასე შურვით იდგა ერთხანს მღუმარედ. მისის ლინთონმა ეჭვით გახედა: ყოველი წამი მასში ახალ-ახალ გრძნობებს იწვევდა. პაუზისა და ხანგრძლივი ცქერის შემდეგ მე შემომხედა ბრაზიანი სასოწარკვეთილებით და განაცხადა:

– ოჰ! ხედავ, ნელი? ერთი ნუთითაც არ მომილობს გულს, რომ სამარე ამაცილოს. აი, ასე ვუყვარვარ! კარგი, ეგ არაფერი. ეს ჩემი ჰითქლიფი არ არის. მე ისევ ჩემი მეყვარება და თან მეყოლება, სულში. გარდა ამისა, – ჩაფიქრებულმა დასძინა, – ყველაზე მეტად ეს გისოსებიანი სატუსალო მომწყინდა. მომწყინდა, გამომწყვდეული რომ ვარ. დამალა იმ დიდებული სამყაროსკენ სწრაფვამ და მანაც აქ ყოფნამ, თუნდაც ბუნდოვნად, ცრემლებს მიღმაც კი რომ ვერ ვხედავ და ატკივებული გულის კედლებიდანაც რომ ვერ გამიღწევია, მაგრამ სინამდვილეში მასთან და მასში ვიმყოფები. ნელი, გკონია, ჩემზე იღბლიანი ხარ, რახან თავს უკეთ გრძნობ? ჯანმრთელი ხარ და ძლიერი... ჩემზე გული გწყდება, მაგრამ ეს ყველაფერი

მალე შეიცვლება. მე დამწყდება შენზე გული. მე ყველა თქვენგანზე შეუდარებლად შორს და მალა ვიქნები. ვისურვებდი, ესეც ჩემთან ახლოს ყოფილიყოს! – მერე თავისთვის განაგრძო, – მეგონა, მასაც ეს უნდოდა. ჰითქლიფ, გენაცვალე, ნუ სულელობ! მოდი ჩემთან.

სავარძლიდან წამოდგომისას, სამკლავეურს რომ დაანაბრა ხელი, მოუთმენლობა ემჩნეოდა. ამ მოთხოვნაზე ჰითქლიფი მისკენ შემობრუნდა – სრულიად სასონარკვეთილი გამომეტყველებით. ცრემლჩამდგარი თვალები ფართოდ გაეხილა და ბოროტად უკიაფებდა. მეგრადი კონველსიურად აუღჩაუდიოდა. წამიერად ცალ-ცალკე იდგნენ, მერე როგორ მიეახლდნენ ერთმანეთს, მე არ დამინახავს – ქეთრინი მისკენ გახტა, ჰითქლიფმაც დაიჭირა და ისე ჩაიხუტა, ვიფიქრე, ჩემი დიასახლისი ცოცხალი ვერ დააღწევს მის მკლავეებს თავს-მეთქი. მართლაც, სრულიად უგრძნობად გამოიყურებოდა. უახლოეს სავარძელზე ჩამოკდა ჰითქლიფი, მე კი ქეთრინისკენ გავიქეცი, ვაითუ, გული წაუვიდა-მეთქი, მაგრამ ამ დროს პირზე დუჟმომდგარმა ჰითქლიფმა ისე დამიღრჭიალა კბილები, როგორც ავმა ძაღლმა და ეჭვიანად მიიკრა ქალი გულზე. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ჩემ წინაშე არამინიერი არსება იდგა; ვიფიქრე, რაც უნდა ვუთხრა, მინც ვერაფერს გამიგებს-მეთქი და დაბნეულმა განზე გადგომა და გაჩუმება ვაპოვებინე.

ქეთრინის მოძრაობამ ცოტათი დამამშვიდა; ხელი ასწია, რომ ჰითქლიფისთვის კისერზე მოეხვია და ლოყა ლოყაზე მიადო. კაცმა კი საპასუხოდ გამშაგებულმა დაუნყო მოფერება და გამწარებულმა უთხრა:

– შენით ვხვდები, როგორი სასტიკი და უღმობელი იყავი ჩემ მიმართ – სასტიკი და ცრუ. რატომ ამიგდე აბუჩად? რატომ უღალატე შენსავე გულს, ქეთრინ? ერთი სანუგეშო სიტყვაც კი არ გამაჩნია. ამას იმსახურებ. შენს თავს შენვე მოუღე ბოლო; ჰო, შეგიძლია, მაკოცო და იტირო კიდევ; შეგიძლია, კოცნაც გამომძალო და ცრემლიც; კოცნა და ცრემლები დაგლუპავენ და დაგაქცევენ. თუკი გიყვარდი, მამ რაღა უფლება გქონდა, რომ მიმატოვე? რა უფლება გქონდა, მიპასუხე, ლინთონით უბადრუკი გატაცებისა? როდესაც ვერც უბედურება, ვერც დამცირება და ვერც სიკვდილი, რასაც უფალი თუ ეშმაკი გვიგზავნის, ვერ გავცყრიდა, შენ თავად, საკუთარი ნებით გააკეთე ეს. მე არ გამიტეხავს შენთვის გული – თავად გაიტეხე. შენი გულის გატეხვისას ჩემი შემოგატყდა. ძლიერი და ჯანმრთელი თუ ვარ, ჩემთვის უარესი! სიცოცხლე მინდა? რაღა ცხოვრება იქნება ჩემთვის, როდესაც შენ – ოჰ, ღმერთო, სამარეში უნდა მეგულეობდე?

– თავი დამანებე. თავი დამანებე, – ასლუკუნდა ქეთრინი, – შეცდომა თუ დავუშვი, ვზღვე კიდევ – ვკვდები. კმარა! მეყოფა! შენც მიმატოვე: მაგრამ არ დაგზარახავ! გაპატიობ ყველაფერს. მიპატიებია!

– ძნელი საპატიებელია; რთულია მაგ თვალების ყურება და მაგ დაუძლურებული ხელების შეხება, – უპასუხა ჰითქლიფმა, – კიდევ მაკოცე და თვალები არ დამანახო! მეც გაპატიებ, რაც გამოიკეთე. ჩემი მკვლეელი მიყვარს, მაგრამ შენი – არა! ან როგორ მიყვარდეს?

დადუმდნენ, სახე სახეს მიადეს და ცრემლი ცრემლს შეურიეს. საბოლოოდ, მგონი, ორივე აქვითინდა. როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობაში ჰითქლიფსაც შეძლება ტირილი.

თავი უქეიფოდ ვიგრძენი, დღე ნელ-ნელა იწურებოდა, დავალებით გაგზავნილი კაციც ბრუნდებოდა, დასავლეთისკენ გადახრილი მზის შუქზე კი ხეობაში მდებარე ეკლესიის გამოსასვლელთან ხალხის თავშეყრა შევნიშნე.

– ღვთისმსახურება დასრულდა, – ვთქვი, – ბატონი ნახევარ საათში დაბრუნდება.

ჰითქლიფმა შეიგინა და უფრო მიიკრა ქეთრინი, რომელიც არც კი განძრეულა.

სამზარეულოს ფრთისკენ მომავალი მსახურთა ჯგუფი დავინახე გზაზე. მისტერ ლინთონიც აღარ იყო ძალიან უკან; ჭიშკარი გააღო და ნელა ამოუყვა სახლის გზას, ალბათ ზაფხულის სადამოსავით საამური მწუხრით ტკბებოდა.

– უკვე აქ არის! – შევძახე მე, – ღვთის გულისათვის, იჩქარეთ! წინაკიბეზე არავის გადაეყრებით. სწრაფად ცოტა; ხეებს შეეფარეთ, სანამ შინ არ შემოვა.

– უნდა წავიდე, ქეთი, – უთხრა ჰითქლიფმა და მისი მკლავებიდან თავის დახსნა სცადა, – მაგრამ ცოცხალი თუ დავრჩი, დაძინებამდე კიდევ გნახავ. შენს ფანჯრებს ხუთი მეტრითაც არ მოვშორდები.

– არ უნდა წახვიდე! – ისე მაგრად დაუჭირა მკლავი, როგორც შეეძლო, – არ უნდა მომშორდე, გეუბნები.

– ერთი საათით, – შევევდრა ჰითქლიფი.

– ერთი წუთითაც კი! – მიუგო ქეთრინმა.

– მოვალე ვარ! სადაცაა, ლინთონი აქ გაჩნდება, – აუხსნა შემფოთებულმა სტუმარმა.

წამოდგომა და ხელის გაშვებინება სცადა, მაგრამ ქალბატონი მთელი ძალით ჩაფრენოდა. სახეზე შლეგი სიმედვრე ჰქონდა ასახული.

– არა! – იკვილა ქალმა, – არ წახვიდე, ფეხი არ გაადგა! ედგარი არაფერს დაგვიშავებს. ჰითქლიფ, მე მოვკვდები! მოვკვდები!

– ჯანდაბას ეგ ყყყყი! უკვე აქ არის! – იყვირა ჰითქლიფმა და თავის სავარძელში ჩაჯდა, – სუ, ძვირფასო! ჩუ, ჩუმად, ქეთრინ! ვრჩები. რომც ჩამცხრილოს, აქვე გავთავდები ბაგეზე ლოცვით.

ისევ ერთმანეთს ჩაეხუტნენ. გავიგონე, როგორ ამოდიოდა ჩემი ბატონი კიბეზე – შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. გული გახეთქვაზე მქონდა.

– მისი ბოდვის მოსმენას აპირებთ? – ვუთხარი მგზნებარედ, – ვერ ხვდება, რას ამბობს. იმის გამო ურევთ ცხოვრებას, რაკი იმდენი ჯკუა არ შერჩა, რომ თავი დაიცვას?

ადექით და ეგრევე გათავისუფლდებით! ამაზე ეშმაკეული საქციელი არ ჩაგიდენიათ. თქვენ გამო ყველანი დავიღუპებით, ბატონიც, ქალბატონიც და მეც.

ხელები მოვიფშვნიტე და სიმწრისგან დავიკვივლე; ამ ხმაზე მისტერ ლინთონმა ნაბიჯი ააჩქარა ჩვენკენ. ამ განამანიაში ვიყავით, რომ ქეთრინმა ხელები გაუშვა და თავიც ჩაქინდრა.

გული წაუვიდა ან მოკვდა-მეთქი, გავიფიქრე; მით უკეთესი. ჯობია, მოკვდეს, ვიდრე ასე იწვალოს და სხვებიც აწვალოს.

გაოგნებისა და გაცოფებისგან გაფითრებულმა ედგარმა დაუპატიჟებელი სტუმრისკენ გაიწია. რისი გაკეთება ეწადა, ვერ ვიტყვი; ჰითქლიფმა მყისიერად შეაჩერა: უგონო ქეთრინი ხელში აიყვანა.

– ამას შეხედეთ! – მიმართა მასპინძელს, – სანამ გამხეცდებოდეთ, ჯერ მას დაეხმარეთ. ჩემთან ანგარიშის გასწორებას მერეც მოახერხებთ!

სასტუმრო ოთახში გავიდა და დაჯდა. მისტერ ლინთონმა თავისთან მიხმო და დიდი ძალისხმევითა და ათასგვარი საშუალების გამოყენებით ძლივს მოვიყვანეთ გონზე. მაგრამ გონება სულ დაბნელებული ჰქონდა; კვნესოდა, ოხრავდა, ვერავის ცნობდა. ცოლის მდგომარეობით აღელვებულ ედგარს მოსისხლე მტერი სულ ამოუფრინდა თავიდან. მაგრამ მე არ დამეინცებია. პირველივე შესაძლებლობისთანავე გავედი მასთან და დავიყოლიე, რომ წასულიყო, დავპირდი, დილით გაცნობებთ, ღამე როგორ ჩავივლის-მეთქი.

– უარს არ ვიტყვი წასვლაზე, – მიპასუხა, – მაგრამ ბაღში დავრჩები. იცოდე, ნელი, ხვალინდელზე სიტყვა არ გატეხო. აი, იმ წინვანი ხეების ქვეშ ვიქნები. იცოდე, არ დამაღალატო, თორემ ხელახლა შემოვალ, შინ იქნება ლინთონი თუ არა.

მყისიერი მზერა სტყორცნა ნახევრად ღიადარჩენილ საძინებლის კარს, და რაკი დარწმუნდა, სიმართლეს ვეუბნებოდი, თავისი ნავსიანი სტუმრობისგან გაათავისუფლა სახლი.

თავი 16

თორმეტი საათი იქნებოდა, ის ქეთრინი რომ დაიბადა, რომელიც «ქარიშხლიან უღელტეხილში» გაიყვანით; პანანინა, შვიდთვიანი გოგონა; ორი საათის შემდეგ კი მშობიარე ისე გარდაიცვალა, რომ წუთითაც კი არ მოსულა გონს ან ჰითქლიფის არყოფნა რომ შეემჩნია, ან ედგარი ეცნო. ამ უკანასკნელს მძიმე დანაკარგმა ისეთი მძიმე დაღი დაასვა, ენა ვერ აღწერს, თუმცა საგრძნობი შედეგები მაინც დროსთან ერთად გამოვლინდა. უფრო დიდი მწუხარება კი, მგონი, იმას მოჰქონდა, რომ მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა ედგარს. გულში მებრაზებოდა მოხუც ლინთონზე (რაც,

ბუნებრივია, ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება გახლდათ), როდესაც პანანა ობოლს დაეხედავდი ხოლმე, რადგან მთელი ქონება თავისი ქალიშვილისთვის ჰქონდა ნაანდერძი, ნაცვლად ედგარის გოგონასი. არასანატრელი ბავშვი აღმოჩნდა, ბედშავი! თავისი არსებობის პირველ საათებში შეეძლო, ჩაბურობამდე ეტირა და ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა. მერე კი გამოვასწორეთ ჩვენი დამოკიდებულება მისდამი, მაგრამ როგორი არამეგობრულიც ჰქონდა დასაწყისი, მგონი, ისევე არამეგობრული ექნება დასასრულიც.

მეორე დღია – ნათელი და თბილი – ფარდებიდან ჩუმად შემოიპარა უხმო ოთახში და სანოლსაც და მასზე მწოლსაც რბილი, ნაზი შუქი მოჰფინა. ედგარ ლინთონს ბალიშზე დაედო თავი და თვალები დაეხუჭა. ახალგაზრდულ, ლამაზ სახეზე ისეთივე მიცვალებულის იერი დასდებოდა, როგორც მის გვერდით მყოფს, მაგრამ მის სახეს ქანცვაცლილი მწუხარების ელფერი ედო, მეორისას კი – მარადიული სიმშვიდისა. ქეთრინს გლუვი შუბლი ჰქონდა, ქუთუთოები დახუჭული, ბაგეზე კი თითქოს ღიმილი შერჩნოდა; მასზე ლამაზი ალბათ ცაში ანგელოზიც კი ვერ იქნებოდა. მარადიული სიმშვიდე ეფინა. ამ ღვთაებრივი მოსვენების მაცქერალს, სიმშვიდე მეც კი დამეფულა. მისი რამდენიმე საათის წინ ნათქვამი სიტყვები წამომახსენდა: «თქვენზე შეუდარებლად შორს და მაღლა!» ნეტავ დედამინაზგა ახლა მისი მოუსვენარი სული, თუ უკვე ცაშია უფალთან?

არ ვიცი, ეს ახირებულობაა თუ არა, მაგრამ როდესაც მართო ვარ მიცვალებულთან ოთახში, ბედნიერების შეგრძნება მეუფლება; ცხადია, თუკი იქვე ვინმე არ იმყოფება, ვთქვათ, გარდაცვლილის ახლობელი, რომელიც მწარედ განიცდის ან სასონარკვეთილებას შეუპყრია. იმ სიმშვიდეს ვხედავ მიცვალებულში, რომელსაც ვედარე მინიერი საწუხარი დაარღვევს და ვერც ჯოჯოხეთის შიში, ვგრძნობ დაუსრულებელი და უღრუბლო მომავლის არსებობას, მარადისობაში გადანაცვლებას, სადაც სიცოცხლე უსასრულოა და სიყვარულს თანაგრძნობა ახლავს, სიამე კი სისავსით გამოირჩევა. შევამჩნიე, რაოდენი ეგოიზმია სიყვარულში, თუნდაც ეს მისტერ ლინთონის სიყვარული იყოს ქეთრინისადმი, რაკი გატანჯული სულის მაღლიან შვებას ასე განიცდის! რა დასამალია და, სიცოცხლეში ისეთი ჭირვეული და თავნება იყო, რომ კაცი დაეჭვდები, დაიმკვიდრა კი ცათა სასუფეველიო? მაგრამ ამაზე მხოლოდ ცივი გონებით შეიძლება დაფიქრება და არა მის ცხედართან ყოფნისას, რომელიც ისე მშვიდი იყო, რომ მასში ოდესღაც მცხოვრები სულის დამშვიდების სანინდრად გამოდგებოდა.

– როგორ გგონიათ, სერ, ასეთი ხალხი იმქვეყნად მაინც პოვებს სიმშვიდეს? რას არ გავიღებდი, ეს რომ ვიცოდე, – მისი დინის კითხვაზე პასუხს თავი ავარიდე, რადგან მწვალებულურად მომეჩვენა. მან განაგრძო: – ქეთრინ ლინთონის გზას თუ განვიხილავთ, ვშიშობ, უფლება არ გვაქვს იმის თქმისა, ეს გზა გაიარაო; მაგრამ მოდი, თავის შემქმნელთან დავტოვოთ.

ბატონს თითქოს ეძინა, მზე რომ კარგად ამოიწვერა, სუფთა ჰაერზე გასვლა გადავწყვიტე. მსახურებმა იფიქრეს, რომ ღამენათვეი ძილის გადასაცვლებად ვიყავი გასული, სინამდვილეში კი ჰითქლიფის ნახვა მინდოდა. წინვოვანი ხეების ქვეშ თუ

იქნებოდა მთელი ღამე, «შაშვებში» მომხდარს ვერ გაიგებდა, თუკი, რასაკვირველია, გიმერთონში გაგზავნილ მაცნეს არ მოჰკრა თვალი. ცოტა ახლოს რომ მოსულიყო სახლთან, წამდაუნუმ სინათლეების ანთება-ჩაქრობასა და გარეკარების გაღება-დაკეტვას მაინც შენიშნავდა. მთელი ღამე ამ დღეში ვიყავით. ვწუხდი, საშინელი ამბავი რომ უნდა მეცნობებინა, არ მინდოდა ეს უსიამოვნება, მაგრამ როგორ ამერიდებინა, არ ვიცოდი. პარკში დამხვდა, ოდნავ მოშორებით გაჩერებულიყო; ერთ ბებერ იფნის ხეს მიჰყუდებოდა, ქუდი არ ეხურა, თმა ტოტებიდან ჩამოდენილ ცვარს დაენამა და წკაპანკუპით სცვიოდა წვეთები. ეტყობა, დიდხანს იდგა გაუნძრევლად, რადგან იქვე ახლოს, სამიოდე ნახტში მოფარფატე შაშვები დავინახე, რომლებიც ისე უტრიალებდნენ გარშემო, თითქოს მორი ყოფილიყო, ჩემი მიახლოებისთანავე კი – გაფრინდნენ. ჰითქლიფმა თვალები აახილა და დაილაპარაკა:

– მკვდარია! – თქვა მან, – ამის გასაგებად შენს მოსვლას ვერ დავეუცდიდი. ცხვირსახოცი მოიმორე, ჩემ წინ სლუკუნი არ გინდა. ჯანდაბას ყველა თქვენგანის თავი! თქვენი ცრემლები არაფრად სჭირდება!

არადა, მე მის გამო უფრო მეტირებოდა, ვიდრე გარდაცვლილის; ზოგჯერ ისეთი ადამიანიც შეგვებრალება ხოლმე, რომელმაც არც სხვისი შებრალება იცის და არც საკუთარი თავისა. შევხედე თუ არა სახეში, მივხვდი, ყველაფერი უკვე იცოდა. სულელურმა აზრმა გამიელვა, ალბათ გული ისე ეტკინა, რომ ლოცულობს-მეთქი, რადგან ბაგეს ამოძრავებდა და თვალები დაეხარა.

– დიახ, გარდაიცვალა! – ვუპასუხე და ტირილის შეკავებასთან ერთად ლოყებიდან ცრემლები მოვიწმინდე, – ზეცას გაემგზავრა, იმედი მაქვს; სადაც, ოდესმე ალბათ ყველანი შევეურთდებით, თუკი გავფრთხილდებით და ბოროტი გზის მაგივრად, კეთილ გზაზე სიარულს ვამჯობინებთ!

– თვითონ თუ იფრთხილა? – მკითხა ჰითქლიფმა და გესლიანად ჩაიციხა, – წმინდანივით მიიკვალა? მოდი, მომიყევი სინამდვილეში როგორ იყო. აბა, როგორ გავგზორდა?... – სახელის წარმოთქმა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო; პირი დამუნა, მაგრამ შინაგან აკონიასთან შებრძოლება მოუხდა, მკაცრი და ავი მზერით კი ჩემი თანაგრძნობა უარყო, – როგორ გარდაიცვალა? – ამოღერლა ბოლოს. რაც უნდა შეეკავებინა თავი, ისე კანკალებდა, რომ ხეს მიეყრდნო ზურგით.

საცოლავო-მეთქი, – გავიფიქრე, – შენც ისეთივე გული და ნერვები გაქვს, როგორც შენს თანამოქმედებს! რად მალავ ასე მონდომებით? სიამაყით უფალს თვალს ვერ მოსჭრი! იქამდე ატანჯინებ გულს, სანამ ტკივილისგან არ დაგაყვირებს-მეთქი.

– კრავივით ხმამაოულებლად! – ვუპასუხე ხმამაღლა, – ამოიოხრა, გაიზმორა, როგორც გამოღვიძებულმა ბავშვმა, ძილის შებრუნებას რომ ცდილობს, და ხუთიოდე წუთში გულისცემა შეუჩერდა. მეტი არაფერი!

– მე... მე თუ მახსენა? – დაეჭვებით მკითხა, თითქოს ეშინოდა, ისეთი რამ არ მითხრას, მოსმენას რომ ვერ შეეძლებო.

– გონზე არ მოსულა: მას მერე, რაც თქვენ გნახათ, ველარავის სცნობდა, – ვუთხარი, – სახეზე ტკბილიმილგადაფენილი განისვენებს; უკანასკნელი მოგონებებით ძველ, ტკბილ დროს უბრუნდებოდა. მშვიდად ჩაიძინა უკანასკნელად; ღმერთმა ინებოს და სხვა სამყაროშიც ასევე მშვიდად გაიღვიძოს!

– მშვიდად კი არა, ტანჯვა-წამებით გაიღვიძოს! – იყვირა გამძვინვარებულმა და ფეხი დააბაკუნა; დაუმორჩილებელი განცდის მოულოდნელი შეტევისგან ამოიხსრა, – სიკვდილის დროსაც კი მიტყუარად დარჩენილა! სად არის? იქ არა, ცაში არ იქნება, არც დაიღუპებოდა... მაშ, სადღაა? ოჰ, მითხარი, შენი ტანჯვა ჩემთვის არაფერიაო! მხოლოდ ერთი ვედრება მექნება, ერთი ლოცვა, რომელსაც იქამდე გავიმეორებ, სანამ ენა არ დამიდუმდება, რომ მანამდე ვერ ნახო მოსვენება, სანამ პირში სული მედგება! მითხარი, შენ მომიღე ბოლოო – ჰოდა, არ მომასვენო! მჯერა, მოკლულები თავიანთ მკვლელებს სდევნიან და არ ასვენებენ. ისიც ვიცი, რომ მოჩვენებები დაძრწიან დედამინაზე. სულ ჩემთან იყავი, ნებისმიერი სახე მიიღე, გამაგიჟე! ოღონდ კი ამ უფსკრულში არ მიმატოვო, სადაც ვერ გიპოვი. ოჰ, ღმერთო! ენით ვერ აღვწერ! ჩემი სიცოცხლის გარეშე ვერ ვიცხოვრებ! ჩემი სულის გარეშე ვერ ვიცხოვრებ!

თავი ხეს ახალა და ისე იღრიალა, როგორც გამძვინვარებულმა მხეცმა, თითქოს შუბებით და ისრებით დაჭრილი კუთხეში იყო მიმწყვდეული. ხის ქერქს სისხლის შხეფები მიესხა, თავი და შუბლიც წითელმა ლაქებმა დაუფარა. ვინ იცის, ის სცენა, რომელიც მე ვიხილე, ნუხანდელის მერამდენე გამეორება იყო და თანაგრძნობას კი არა, ჩემში შიშს უფრო იწვევდა. მიუხედავად ამისა, თავს ვერაფრით ვაიძულებდი, გავცლოდი. მაგრამ როდესაც იმდენად მოეგო გონს, რომ დამინახა, მიბრძანა, უფრო სწორად, დაიქუხა, აქედან წადიო და მეც არ მიურჩია. სად მქონდა მისი დამშვიდების ან ნუგეშისცემის თავი!

მისი ლინთონის დაკრძალვა გარდაცვალებიდან პირველსავე პარასკევს დაინიშნა; მანამდე მისი კუბო არ დაუხურავთ, ყვავილებით და სურნელოვანი ფოთლებით მორთეს და დიდ დარბაზში დაასვენეს. ლინთონი დღედაღამ იქ იყო რულმიუკარებელ მცველად; ხოლო ჰითქლიფი, – ეს ჩემ გარდა არავინ იცოდა, – ასევე უძილო ღამეებს პარკში ათენებდა. მასთან კონტაქტს ვერიდებოდი, მაგრამ ვხვდებოდი, რომ შესაძლებლობა რომ მისცემოდა, შემოვიდოდა. სამშაბათს, დაბნელებულზე, როდესაც ჩემი ბატონი, სულ დაქანცული, იძულებული გახდა, ორიოდე საათით თვალი მოეტყუებინა, მივედი და ერთ-ერთი ფანჯარა გავადე; მისმა შეუპოვრებამ ისე შემძრა, რომ საშუალება მივეცი, თავისი ხატის გაცრეცილ სახეს საბოლოოდ გამოსთხოვებოდა. ამ შანსის ხელიდან გამგება არც უეფქრია; სწრაფად და ფრთხილად შემოვიდა, ისე ფრთხილად, რომ ჩქამითაც კი არ გავცა თავი. ალბათ ვერც კი გავიგებდი ვერასდროს მის შემოსვლას, მიცვალებულის სახეზე წაფარებული სუდარა რომ ოდნავ გადანეული არ დამენახა და იატაკზე ქერა თმის ვერცხლისფერი ძაფით შეკრული კულუი არ შემემჩნია. კულუი რომ შევამოწმე, მივხვდი, ქეთრინს რომ ეკეთა ყელზე, იმ მედალიონიდან იყო ამოღებული. ჰითქლიფს მედალიონი გაეხსნა, კულუი ამოეგდო და თავისი შავი თმით ჩაენაცვლებინა. მე კი ორივე გადავახვიე და ერთად ჩავდე მედალიონში.

ცხადია, მისტერ ერნშოს დის დაკრძალვის დრო შეატყობინეს; არ მოვიდა; ბოდიშიც არ შემოუთვლია. ამდენად, ქმართან ერთად მისი ცხედარი უკანასკნელ გზაზე მოიჭარებმა და მსახურებმა გააცილეს. იზაბელასთვის არავის შეუტყობინებია.

ქეთრინის დაკრძალვის ადგილად, სოფელელთა გასაკვირად, არც ეკლესიის გუმბათქვეშ, ლინთონების გამოკვეთილი ადგილი შეირჩა, არც ნათესავების საფლავების გვერდით გაითხარა მიწა, გარეთ. მისი სამარე ეკლესიის ეზოს ნაპირზე, მწვანე ფერდობზე გაიჭრა, სადაც ვალავანი იმდენად დაბალია, რომ ჭაობში ამოსული მანანა და მოცვის ბუჩქი გადმოსულა და ტორფიანი ნიადაგი ფარავს იქაურობას. მისი მეუღლეს მის გვერდით განისვენებს ახლა; თავითთ ორივეს თავ-თავისი საფლავის ქვა უდევთ, ბოლოსკენ კი სწორი, რუხი ფილაა დადებული საფლავების აღსანიშნად.

თავი 17

ის პარასკევი მთელი თვის მანძილზე უკანასკნელი მზიანი დღე აღმოჩნდა. ზენა ქარი ქვენამ შეცვალა და ჯერ სიცივე მოიტანა, მერე ხორხოშელა ცინული და თოვლიც მოიყოლა. მეორე დილით ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ მანამდე მთელი სამი კვირა ზაფხულის ამინდი იდგა. ფურისულები და კროკუსები ნამქერში აღმოჩნდნენ. ტოროლები დადუმდნენ, ხეების ნორჩი ფოთლები კი მოიყინა და ჩაშავდა. მოლუშულ-მოქუფრული, სუსხიანი დღე დაიჭირა. ბატონი თავისი ოთახიდან არ გამოდიოდა, ამიტომ მისაღები ოთახი მე დავისაკუთრე და საბავშო ოთახად ვაქციე. ვიჭექე და კალთაში ვარწვდი აჩხავლებულ პატარას, ისეთ პანანინას, რომ თოჯინა გეგონებოდა; ფარდებგადაწეულ სარკმელს ვუყურებდი, საიდანაც თოვლის საბანი კარგად მოჩანდა, რომ უეცრად გაიღო კარი და ვიდაც ქალი შემოიჭრა აქოშინებული და ახარხარებული! წუთიერად სიბრაზემ გაოგნება გადაწონა. ერთ-ერთი უნდელი მსახური იქნება-მეთქი, გავიფიქრე და ვუყვირე:

– ერთი ამას დამხედეთ! აქ ასეთი ხარხარით როგორ ბედავთ შემოსვლას? მისტერ ლინთონმა რომ გაიგონოს, რას იტყვის?

– მომიტყევთ! – მიპასუხა ნაცნობმა ხმამ, – ვიცი, რომ ედგარი წევს, მე კი თავს ვერ ვიკავებ.

ამ სიტყვებით სუნთქვაშეკრული სტუმარი ბუხრისკენ ნამოვიდა და მკერდზე მიიღო ხელი,

– «ქარიშხლიანი უღელტეხილიდან» გზა სირბილით გამოვიარე! – მცირედი დაყოვნების შემდეგ განავრძო, – მხოლოდ იმ ადგილებში არ მირბენია, რომლებიც ფრენით გადმოვიარე. ვერ გეტყვით, რამდენჯერ დავეცი. ოჰ, ძვალი და რბილი მტკივა! ნუ შემფოთდებით! ამ ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, რასაც ახლავე მოისმენთ, ოღონდ მანამდე, გვედრებით, მსახურს დაავალეთ, ეტლი მომიშვადოს გიმერთონში წასასვლელად და ჩემი გარდერობიდან რამე ტანსაცმელი მომიტანოს.

მოსული – მისი ჰითქლიფი აღმოჩნდა. ჩანდა, რომ სასაცილოდ არ ჰქონდა საქმე. თოვლით დასველებული თმა მხრებზე ეყარა და წყლის წვეთები ჩამოსდიოდა. ქალიშვილობის დროინდელი კაბა ეცვა, რომელიც მის ასაკს უფრო შეშვენიოდა, ვიდრე მის მდგომარეობას. უბრალო აბრეშუმის მოკლესახელოებიანი თხელი სამოსი იყო, არც თავსაფარი ჰქონდა და არც ქედი. ფეხზე კი საშინაო ფლოსტები ეცვა. ამას დაუმატეთ ყურთან ღრმა ჭრილობა, რომლიდანაც სისხლი მარტო იმიტომ არ ასხამდა ბლომად, რომ ძლიერი ყინვა იყო გარეთ, ფერმკრთალი სახე დალურჯებულ-დაკანრული ჰქონდა. ისედაც თხელი აღნაგობისა დასუსტებული იყო – ალბათ ფეხზე ძლივს იდგა უბედური. მართალია, თავისუფალი იყო, მაგრამ ისე ცუდად გამოიყურებოდა, რომ შიში დამეუფლა.

– ჩემო ძვირფასო ქალბატონო, – შეეძახე მე, – არსადაც არ წავალ და არავითარ განკარგულებას არ გავცემ, სანამ მაგ სველ ტანისამოსს არ გამოიყვლით და რამე მშრალს არ ჩაიცვამთ. თანაც ამალამ გიმერთონში არ უნდა გაემგზავროთ, ამიტომ ეტლის გამზადებასაც აზრი არა აქვს.

– მაშინ ფეხით წავალ! – მომიჭრა უცებ, – წესიერ ტანსაცმელზე კი უარს არ ვარ. და კიდევ... აჰ, ნახეთ, როგორ წურწურით მომღის სისხლი და ყელში ჩამღის! სიტომ უფრო მიხამა.

დაჟინებით მომთხოვა, ჩემი დავალება შეასრულო, ვიდრე ხელს დამაკარებინებდა. სანამ მეეტლეს არ ვუბრძანე, ცხენები შეეკაზმა და მსახურ გოგონას არ დავავალე, მისი ტანისამოსი ჩაეწყო, ჭრილობის შეხვევისა და გამოცვლაში დახმარების ნება არ მომცა.

– ახლა კი, ელენ, – მომმართა მან, როდესაც დავალება შევასრულე და ბუხრის პირას დაჯდა ჩაის ფინჯნით ხელში, – წინ დამიჭეით და საწყალი ქეთრინის ბავშვი გასწიეთ აქედან: არ მინდა მისი ნახვა! არ გეგონოთ, რომ ქეთრინის ამბავი არ მალეღვებდეს, რაკი შემოსვლისას ასე სულელურად მოვიქციე. არც ტირილი დამიკლია, თან მწარედაც. დიახ, სხვაზე მეტად მე მაქვს სანანებელი, რადგან ისე წავიდა ამქვეყნიდან, გეხსომებათ, შერიგება ვერ მოვახერხე, ამას კი ჩემს თავს ვერ ვპატიობ. ყველაფრის მიუხედავად, მისი თანაგრძნობა მაინც არ მსურდა, მაგ ნადირის! ოჰ, საჩხრეკი მომანოდეთ! ესლა შემომრჩა მისგან: – არათითიდან ოქროს რგოლი წაიძრო და ძირს დააგდო, – დავჭყლეტ! – განაგრძო და ბავშვური გაბრაზებით დაუნყო ფეხით სრესა, – მერე კი ცეცხლში შევაგდე! – აიღო და დაჭყლეტილი ბეჭედი ნაკვერცხლებზე დააგდო, – ესეც ასე! ოდესმე თუ უკან დამიბრუნებს, სხვა უნდა იყიდოს. აქ მოეთრევა ჩემს მოსაძებნად – ედგარის ჭინაზე. ვაითუ, ეს აზრი მართლა მოუედიდეს იმ ავადმყოფ თავში, ამიტომაც აქ არ დამეღვამება! თანაც, ედგარიც არ შემრიგებია, ასე არ არის? არც დახმარების თხოვნა მინდა მისთვის და არც ხათბალაში ჩადდება. აუცილებლობამ მაიძულა, რომ აქ მომეძებნა თავშესაფარი. ისე კი, ვიცი, რომ ედგარს არ გადავანცდებოდი, თორემ სამზარეულოში შევიდოდი და იქიდან დაგავალებდით, რაც მინდა, მერე კი უხმაუროდ გავიპარებოდი და სადმე გადავიკარგებოდი, რომ ჩემს... ადამიანისსახემიღებულ ეშმას ვერ ვუპოვე! ისეთი განრისხებული იყო! რომ დამწვოდა... დასანანია, რომ ერწმო მასზე სუსტია. იქამდე

არ გამოვიქცეოდი, სანამ არ დავინახავდი, რომ ჰინდლიმ სიკვდილის პირას მიიყვანა, მაგრამ სად შეუძლია მაგდენი.

– გასაგებია, ოღონდ ასე სწრაფად ნუ ლაპარაკობთ, მის! – შევაჩერე, – თორემ ცხვირსახოცი დაგიკურდებათ, რომლითაც ჭრილობა გადაგიხვიეთ და ისევ წამოგივით სისხლი. ჩაი დალიეთ და ამოისუნთქეთ. ასეთი ხითხითიც არაა საჭირო. ახლა სიცილ-ხითხითი ამ ჭერქვეშ და თქვენს მდგომარეობაში ერთობ უხერხულია!

– უცილობელი სიმართლეა, – მიპასუხა იზაბელამ, – აბა ამ ბავშვს დაუგდეთ ყური! გაუთავებლად სლუკუნებს – ერთი საათით მაინც აარიდეთ ჩემს სმენას; მეტ ხანს მაინც არ გავჩერდები.

ზარი დავრეკე და მსახურებს დავავალე პატარაზე ზრუნვა. დავინტერესდი, რამ აიძულა, «ქარიშხლიანი უღელტეხილიდან» ასე ნაჩქარევად გამოქცეულიყო, ან სად აპირებდა წასვლას, რაკი ჩვენი დარჩენაზე უარს აცხადებდა.

– იძულებული გავხდი, აქ დარჩენა კი ორი მიზეზით ნამდვილად მინდა: – მიპასუხა, – ედგარსაც გვერდში დავუდგებოდი და ბავშვსაც მივხედავდი და, ბოლოს და ბოლოს, «შაშვები» ჩემი მამის სახლია. მაგრამ ის ამას არ დაუშვებს! როგორ გგონიათ, აიტანს, როდესაც გაიგებს, რომ მშვიდად და ჯანმრთელად ვარ ისევ? არ ეცდება ჩვენი იდილიის მონამვლას? არა, ახლა უკვე დიდ სიამოვნებას განვიცდი, რადგან ვიცი, რომ შევზიზღი: ჩემი დანახვაც აღიზიანებს და ხმის გავონებას! იცით, რა შევამჩნიე? როდესაც იმ ოთახში შევდივარ, სადაც თვითონაა, სახე ზიზღისგან უმახინჯდება, ეს ნაწილობრივ იმიტომ გაპირობებული, რომ უკვე ხვდება, როგორ მძაგს მეც და მეორე მხრივ, იმიტომაც, რომ მართლა სიძულვილი აქვს ჩემი. ეს სიძულვილი მარწმუნებს, რომ მთელ ინგლისში დევნას არ დამიწყებს, თუკი უკვალოდ გავქრები. ის სურვილიც გამიქრა, რომ ვამბობდი, ნეტავ მომკლავდეს-მეთქი. ჯობია, სისკობლე თვითონ მოისწრაფოს! საკმარისია, რომ ჩემი სიყვარულის ჩაკვლა მოახერხა. ახლა თავისუფლად ვარ. შემოძლია, გავიხსენო, როგორ მიყვარდა და ძნელად წარმოვიდგინო, რომ ისევ შემეყვარდეს, თუკი... ოჰ, არა, არასდიდებით! ფიანდაზად რომ დამეფინოს, მისი ეშმაკეული ბუნება მაინც იჩენს სადმე თავს. ქეთრინს რა საძაგელი გემოვნება ჰქონია, რომ კარგად იცნობდა და მაინც ეტრფოდა. ურჩხული! ნეტავ მინა უზამდეს პირს და ჩემი მეხსიერებიდანაც ამოიშლებოდეს!

– სუ, სუ! ადამიანიშვილია, ბოლოს და ბოლოს, – დავანამუსე მე, – იქონიეთ სიბრალეული, მასზე უარესიც ბევრია!

– ის ადამიანიშვილი არ არის, – შემომედავა, – არც ჩემი სიბრალეულის ღირსია. მე მას გული მივეცი, მან კი აიღო, სასიკვდილოდ განმიგმირა და ისე მომიგდო უკან. ხალხს გულით ებრალება, ელენ: მას მერე, რაც მომისპო და გამინადგურა გული, ის როგორღა შემებრალება. რომ შემევედროს, ამაღამვე რომ მითხრას, შემებრალებო და ქეთრინის გამო სულ სისხლის ცრემლები ღვაროს სიკვდილამდე, მაინც ვერ მივიბრუნებ მისკენ გულს! არა, არასდიდებით! წარმოუდგენელია! – იზაბელა ატირდა, მაგრამ უცებ ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო, – მკითხეთ, რამ გაიძულა, ასე უცებ გამოქცევაო? იძულებული გავხდი, რადგან ისე გავამხეცე, რომ ცოფი თავში აუვარდა.

გავარვარებული მამით ნერვების დანაწევრებას უფრო მეტი გულცივობა ესაჭიროება, ვიდრე თავში ცემას. იქამდე მივიყვანე, რომ თავისი ეშმაკეული სიფრთხილევ კი დაავინწყდა, ასე რომ იკვებნიდა ხოლმე და მკვლელის ძალადობაზე გადმოვიდა. მისი გაცოფებით სიამოვნება განვიცადე: სიამოვნების განცდამ თვითგადარჩენის ინსტინქტი გამიღვიძა და ამიტომაც გამოვიქეცი. ოდესმე თუ ისევ მის ხელში ჩავვარდები, შურს სიამოვნებით იძიებს.

გუშინ, როგორც იცით, მისტერ ერნშო დაკრძალვაზე უნდა ჩამოსულიყო. ამის გამო ფხიზლად იყო დაღამებამდე, შედარებით ფხიზლად, გამთენიის ექვსზე არ დაწოლილა გაღვიძილი და ნაშუადღევს არ ამდგარა ნაბახუსევი. ამის გამო, ანუ რომ არ დალია, თვითმკვლელობის გუნებაზე გაიღვიძა და როგორც ცუკვაზე არ იყო წამსვლელი, ისე ეკლესიაში. ამიტომ ადგა და ბუხრის პირას დაჯდა, სადაც ჯინი თუ ბრენდი მოიღვა და სირჩებით გამოსვა.

ჰითქლიფი – ვძრწი მისი სახელის წარმოთქმაზე! – გასული კვირიდან დღემდე შინ არ ყოფილა. საღ ჭამდა, ანგელოზებთან თუ ქვესკნელში იკვებებოდა შხამით, ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ექვსი დღის განმავლობაში ჩვენთან ერთად სუფრასთან არც ერთხელ არ გამოჩენილა. გამთენიისას მოდიოდა და მაშინვე თავის ოთახში აღიოდა; თან ისე იკვებებოდა, თითქოს, არიქა, ვინმე უვარდებოდა შივ! მეთოდისტივით ლოკულობდა: ერთადერთი ღვთაება, რომელსაც მიმართავდა, უგრძობი მტვერი და ფერფლია; ხოლო ღმერთს როდესაც მოუხმობდა, შავნელი მამამისის სახელი წამოსცდებოდა ხოლმე! ამ გამშაგებული ლოკვის მერე, რაც იქამდე გრძელდებოდა, სანამ ხმა არ ჩაეხლიჩებოდა და ყელი არ გაუშრებოდა – ისევ უკან მიდიოდა; მუდამ «შაშვებისკენ» იღებდა გემს! მიკვირს, ედგარმა როგორ არ მიუგზავნა კონსტებლი და არ დააპატიმრებინა! მე კი, რაოდენ გულდათუთქულიც არ უნდა ვყოფილიყავი ქეთრინის გარდაცვალების გამო, არ შემეძლო, ეს მცირეხნანი შესვენებები არდადეგებად არ მომჩვენებოდა დამამცირებელი ჩავგერის შემდეგ.

თავს ისე მოვერიე, რომ ჯოზეფის გაუთავებელ კიცხვას უცრემლოდ ვისმენდი და აღარც სახლში დავდიოდი ფეხაკრეფით მშიშარა ქურდივით. არ გვენოთ, რომ ჯოზეფმა კიდევ ამატიროს რამეზე ამიერიდან, მაგრამ მისი და ჰერთონის გვერდით ყოფნა – მტრისას და ავისას! მირჩვენია, ჰინდლისთან ვიჯდე და მისი ავისიყვობა ვისმინო, ვიდრე «პატარა ბატონთან» და მის ერთველ დამცველთან, იმ ბებერ ყყყერთან, დავყო ერთი წუთი. როდესაც ჰითქლიფი შინ არის, იძულებული ვხდები, სამზარეულოს და იქ მყოფთ მივაშურო ან მშიერი ვიჯდე ნესტიან ცარიელ ოთახებში; ხოლო როდესაც შინ არაა, როგორც მთელი ეს კვირა, ბუხართან პატარა კერა მაქვს მონყობილი: მაგიდა და სკამი დავიდგი და მისტერ ერნშო რითი იქევეს ხოლმე თავს, ყურადღებას არ ვაქცევ. არც ის ერევა ჩემს საქმეში. ახლა უფრო მშვიდად არის, ვიდრე წინათ, ცხადია, თუკი არავინ აღიზიანებს; უფრო სევდიანი და დეპრესიული – ნაკლებ შმაგობს. ჯოზეფი ამტკიცებს, დარწმუნებული ვარ, ბატონი შეიცვალაო: უფალმა გული მოუღობა და ისე გადაარჩინა, «ვითარცა ცუცხლით განწმენდილიო». სიმართლე გითხრათ, ასეთი საგრძობი ცვლილების ნიშნები ვერ ვიპოვე და ცოტა დავიბენი, მაგრამ რა ჩემი საქმეა.

ნუხელ ჩემს მყუდრო ადგილას მოვიკალათე და კარგა ხანს ვიჯექი, ლამის თორმეტამდე ვკითხულობდი ძველ წიგნებს. გარეთ ხვავრიელად ბარდნიდა და ზევით ასვლა დამეზარა, თან გონებაში სულ ეკლესიის ეზო და ახალგაჭრილი საფლავი მიტრიალებდა. ფურცლებს მოვაცილე თუ არა თვალი, მელანქოლიამ შემიპყრო. ჰინდლი ჩემ წინ იჯდა და თავქვემ ხელი ჰქონდა ამოდებული; ალბათ იმავეზე ფიქრობდა. გონება რომ სულ დაკარგა, სმა შეწყვიტა და ბოლო ორი-სამი საათის განმავლობაში არც განძრეულა და არც ხმა ამოუღია. სახლში სულიერის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ქარის გრგვინვა აღწევდა ფანჯრებიდან და დარაბებს ანჭრევდა; პერიოდულად სანთელს ნაღვენთს ვაცილიდი და ჰატარა საქრობელა გაინკაპუნებდა ხოლმე. ჰერთონსა და ჯოზეფს, ეტყობა, ღრმად ეძინათ უკვე. ძალიან, ძალიან აუტანელი იყო ქუფერი; კითხვისას ვოხრავდი, რადგან მეჩვენებოდა, რომ დედამინის პირიდან მხიარულება გამქრალიყო და ველარასოდეს დაბრუნდებოდა.

მნუხარე მდუმარება სამზარეულოს კარის საკეტის ჩხაკუნმა დაარღვია: ჰითქლიფი საგუშაგოდან დროზე ადრე დაბრუნდა; ჩემი აზრით, უეცრად ამოვარდნილი ქარბუქის გამო. კარი მიიხურა და ორივემ გავიგონეთ, როგორ შევიდა მეორე კარში. მოუსვენრად წამოვდექი, ტუჩები ამითრთოლდა, რამაც ბატონი ერნშო წააქეზა, რომელიც ჯერ კარს უყურებდა, მერე ჩემკენ შემობრუნდა.

– ხუთი წუთით შევაყოვნებ, – წარმოთქვა მან. – წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

– არა, შეგიძლიათ, მთელი ღამით შეაყოვნოთ, – ვუპასუხე, – გასაღები საკეტში გაუყარეთ და ურდულებიც გადაატრიალეთ.

ერნშომ მანამდე გაართვა ამ დავალებას თავი, სანამ მოსული წინკარს მოადგებოდა. მერე ჩემკენ წამოვიდა, მაგიდას მეორე მხრიდან სავარძელი მოადგა, გადმოიხარა, თვალებში ჩამხედა და იმ სიძულვილის თანაგრძნობის ძებნა დაიწყო, რომლითაც ორივე თვალი უბრწყინავდა. რაკი მკვლელეფით მიყურებდა, ასეთადაც გრძნობდა თავს, ბუნებრივია, ჩემს მზერაში ივივე ვერ აღმოაჩინა, მაგრამ რაც დაინახა და იგრძნო, საკმარისი აღმოჩნდა, რომ გამბედაობა მოეკრიბა და ხმა ამოუღო:

– თქვენ და მე, – დაიწყო მან, – კართან კაცს უნდა გავუსწორდეთ! თუკი არც ერთი ჩვენგანი სულმოკლეობას არ გამოიჩენს, გასწორებას მოვახერხებთ. თქვენც თქვენს ძმასავით ნაზი ხართ? ასე ბოლომდე მოთმინებას აპირებთ, რომ არც ერთხელ ვალის გადახდას არ მოითხოვთ?

– მოთმინებამ დამლაღა, – ვუპასუხე, – და მოხარულიც ვიქნებოდი, ისე ამელო ვალი, რომ მე თვითონ არ გავმხდარიყავი მოვალე. მაგრამ ღალატი და ძალადობა ორივე მხრიდან პირწამახული მახვილია; ვინც მას გამოიყენებს, თვითონ უფრო დაზარალდება, ვიდრე მტერიო, – ნათქვამია.

– ღალატი და ძალადობა ღალატისა და ძალადობის წილი! – იყვირა ჰინდლიმ, – მისის ჰითქლიფ, მე არაფრის გაცეთებას არ გავალდებულებთ, მხოლოდ ჩემად იჯექით და ხელს ნუ შემომლით. აბა, მითხარით, შეგიძლიათ? დარწმუნებული ვარ, თქვენც ისეთსავე სიამოვნებას მიიღებთ, როგორსაც მე ნადირის აღსასრულის

ყურებისას. ის ბოლოს მოგიღებთ, თუ არ აჯობებთ და მეც დამაქცევს. წყეულიმც იყოს ეგ ეშმაკის მოციქული! ისე აბრახუნებს კარზე, თითქოს უკვე მასპინძელი იყოს აქ! დამპირდით, რომ ენაზე კბილს დააჭერთ და სანამ საათი ჩამოჰკრავს, არადა, სულ სამი წუთი უკლია პირველს, თავისუფალი ქალი იქნებით!

ის იარაღი ამოიღო უბიდან, ამასწინანდელ წერილში რომ აღვინერეთ და სანთლის ჩაქრობა სცადა. მაგრამ მე ხელი ვტაცე და შევაჩერე.

– არ დავაჭერ ენას კბილს! – შევეპასუხე, – ხელი არ უნდა ახლოთ. უბრალოდ, კარი არ გაუღოთ და ჩუმად იყავით!

– არა! უკვე გადავწყვიტე და ღვთის შეწევნით აღვასრულებ კიდევ! – იყვირა სასოწარკვეთილმა, – თქვენთვისაც სიკეთეს გავაკეთებ, თუნდ თქვენი ნების წინააღმდეგ, და ჰერთონისთვისაც აღვადგენ სამართლიანობას! ჩემი ქმედების დაფარვაზეც კი არ მოგინევთ ფიქრი. ქეთრინი აღარ არის. ცოცხალთაგან აღარავის დავენანები და აღარც არავის მოეჭრება თავი, ამწუთშივე რომც გამოვიჭრა ყელი!

გინდ დათვის დავჭიდებოდი და მთვარეულისთვის მემტკიცებინა ჭეშმარიტება. ერთადერთი გზა ის მქონდა, რომ ფანჯარასთან მიმერბინა და ღამის სტუმარი გამეფერთხილებინა მისთვის მომზადებული ბედის შესახებ.

– გიჯობს, ამაღამ სხვაგან ეძიო თავშესაფარი! – მხიარულად გავძახე, – მისტერ ერნშოს შენი მოკვლა აქვს გადანყვეტილი, თუ ჯოუტად ეცდები შემოჭრას.

– შენ გიჯობს, კარი გამიღო, შე... – დამიძახა გარედან და ისეთი ელევანტური სიტყვები მოაყოლა, გამეორებას რომ მოვერიდები.

– სხვის საქმეში არ ჩავერევი, – გავძახე მეც, – შემოდი და მიიღე შენი წილი ტყვია, თუ ასე გინდა. ჩემი მოვალეობა შევასრულე.

ამის თქმაზე ფანჯარა დაეხურე და ისევ ბუხართან დავჯექი ჩემს ადგილას. სად მქონდა იმდენი ფარისევლობა, რომ მის ბედზე შეწუხებული ქალი განმესახიერებინა. განრისხებულმა ერნშომ შემიკურთხა და დამცინა, – ეგ არამზადა ისევ გიყვართო. მერე კი მლანძდა სულმდაბლობისთვის. მე კი გულში (სინდისის უქნეწნელად) გავიფიქრე, რა კარგი იქნება, თუკი ჰითქლიფი ყველა საზრუნავისგან იხსნის-მეთქი; და რამხელა სიკეთე იქნება, თუკი ერნშო ჰითქლიფს კანონიერ საუბანში გაისტუმრებს-მეთქი. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უკნიდან მინების მსხვერვის ხმა მომესმა და სარკმელში ჰითქლიფის შავი სახე გამოჩნდა ნათლად. სარკმლის ვიწრო ღიობში მხრები ვერ შემოეტია, რამეც გამეღიმა წარმოსახვით თავშესაფარში მყოფს. თმა და სამოსი თოვლს დაეპუნტა, კანიბალის კბილები კი, სიცივითა და მრისხანებით დაკრეჭილი, სიბნელეში უელავდა.

– იზაბელა, შემომიშვი, თორემ განანებ! – ჯოზეფის თქმისა არ იყოს, «შემომიღრინა»

– მკვლელობას ვერ ჩავიდენ, – ვუპასუხე მე, – მისტერ ჰინდლი ალესილი დანითა და დატენილი პისტოლეტით გყარაულობთ.

– სამზარეულოს კარიდან შემომიშვი, – არ მომეშვა აბზარი.

– იქ მისვლას ჰინდლი მიმასწრებს, – არ დავენბდი, – რა საბრალო სიყვარული ცვოდნია, თოვლის ბარდნამ თუ შეგამინა ასე! როგორ მშვიდად გვეძინა ხოლმე ზაფხულში, როდესაც მთვარე დანათოდა დედამიწას, მაგრამ აი, დადგა ზამთარი, სუსხიანმა ქარმა წამოუბერა და უკვე თავშესაფრისკენ გამოვბინარ! ჰითქლიფ, შენი რომ ვიყო, მის საფლავზე დავენებოდი და ერთგული ძაღლივით დავლევდი სულს. ეს ქვეყანა ხომ აღარ ღირს იმად, რომ კაცმა იცხოვროს. ამხელა ძაღლისხმევა დაგჭირდა, რომ ჩემთვის ჩაგეგონებინა, ქეთრინი ჩემი ცხოვრების სიამე იყო, ჰოდა, ამხელა დანაკარგს როგორ უნდა გაუძლო აწი?

– აქ არის, არა? – იყვირა ჰინდლიმ და ჩამსხვრეული სარკმლისკენ გაიქცა, – ხელის გაყოფას თუ შევძლებ, ტყვიას დავალევივინებ!

ვშიშობ, ელენ, გაფუჭებულ ადამიანად ჩამთვლით, მაგრამ ყველაფერი არ იცით და დასკვნებს ნაადრევად ნუ გამოიტანთ. ცოცხალი თავით არ დავთანხმდებოდი არავის, რომ ან მკვლელობაში შემეწყო ხელი, ან თავდასხმაში, თუნდაც მასზე ყოფილიყო ეს თავდასხმა გამიზნული. თუმცა მისი სიკვდილი ნამდვილად მსურდა და იმედგაცრუებელიც დავრჩი, როდესაც ჩემი გრძელი ენის გამო ჰითქლიფი პისტოლეტს ეტაკა და ერნშოს გამოსტაცა ხელიდან.

ტყვია გავარდა და უკან განუელი დანა პატრონს შეესო მაჯაში – ჰითქლიფმა ძლიერად გამოსწია იარაღი და სამართებელმა მაჯა გადაუსერა ერნშოს. წართმეული იარაღი გაუნმენდავად ჩაიღო ჯიბეში. მერე ქვა აიღო, ორ სარკმელს შორის გამყოფი ხის ძელი ჩატეხა და შემოძვრა. მისი მოწინააღმდეგე გაუსაძლისი ტკივილისგან უგრძობლად დაეცა, თან არტერიიდან თუ ვენიდან სისხლი მოსდიოდა თქრიალით. არამზადა კი წიხლით შესდგა და ცალი ხელით სულ თავი არტყმევინა ფილაქნის იატაკზე, მეორით მე ვეჭირე, რომ ჯოზეფის დასაძახებლად არ გავქცეულიყავი. არაადამიანური ძაღლისხმევა გამოიჩინა, რომ ჰინდლი არ მოეკლა. ბოლოს, როგორც იქნა, დაოკდა, სული მოითქვა და გარეგნულად უსულო სხეული სკამზე დადო. ერნშოს სახელო შემოახია და დაუნდობელი გაუფრთხილებლობით გადაუჭირა ჭრილობაზე. ისევე დაულალავად ლანძღავდა ჭრილობის გადახვევისას, როგორც მანამდე, ურტყამდა წიხლებს. რაკი ხელი გამიშვა, თავისუფლად დავიგულე თავი და ბებერი მსახურის მოსაძებნად გავიქეცი, რომ დრო არ დამეკარგა. ჯოზეფმა, ჩემი არეულ-დარეული ნამბობი რომ მოისმინა, ეტყობა, მყისვე ჩასწვდა აზრს და ორ-ორ საფეხურზე ხტომით გაიქცა ქვედა სართულზე.

– ახლა რაღა ვქნათ? აწი რა გვეშველება? – გაჰკიოდა მთელი ხმით.

– აი, ეს უნდა ვქნათ! – დაუყვირა ჰითქლიფმა, – შენი ბატონი ჯკუიდან გადავიდა და თუ ერთ თვეში წერილს არ წაიღებს, საფიფქვი გავისტუმრებ. რა ეშმაკმა დაგატოვებინა ჩემი თავი გარეთ, შე უკბილო ძაღლო? აქ ლულულელებ და ბუტბუტებს!

მიდი და მაგას მიაქციე ყურადღება, მაგის მოვლას მე კი არ ვაპირებ. ეს საძაგლობა ანმინდე და მაგ სანთლიდან ნაპერწკლები არ დაგიცვივდეს, თორემ აქ ნახევარზე მეტი ბრენდი ასხია!

– მისი მოვლა სცადე? – შესძახა ჯოზეფმა და თვალეები და ხელეები ერთდროულად აღაპყრო შემინებულმა, – სად გავიწილა ამისთანა ავი საქმე?! უფალმა ღმერთმა...

ჰითქლიფმა სისხლის გუბეში მუხლებზე დააყენა და პირსახოცი ესროლა; მაგრამ მსახურმა, იმის მაგივრად, რომ აენმინდა, ხელეები დაიკრია გულზე და ვედრება დაიწყო, რამაც ძველი ფრაზეოლოგიის გამო სიცილი მომგვარა. ჩემზე უკვე მცირედი რამეც მოქმედებდა და ისე სულელურად ვიქცეოდი, როგორც ჩვეულებრივი დამნაშავეები იქცევიან ხოლმე სახრჩობელასთან.

– კინლამ დამავიწყდი, – მომმართა მწვალეებელმა, – შენ ანმინდე. ჩაიმუხლე. პირი გქონდა მასთან შეკრული, არა, შენ გველგესლა? აი, ეს სამუშაო მოგიხდება!

იქამდე მანჯღრია, სანამ პილები არ ამიკანკანდა, მერე ჯოზეფის გვერდზე დამაყენა მუხლებზე, რომელიც ისევ ლოცულობდა. ბოლოს მსახური წამოდგა და დაიქაღნა, – მისტერ ლინთონთან ჩავალ «შაშვებში», მოსამართლეა და თუნდ ორმოცდაათი ცოლი დაემარხა, მოვალეა, საქმის ვითარებას გაეცნოსო. ჯოზეფი ისე მტკიცედ გაიძახოდა, ამას ასე არ დავტოვებო, რომ ჰითქლიფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შე დავეკითხე. თავზე წამომადგა და ლანძრვა-გინების ქარ-ცეცხლი დამატეხა თავს, რადგან ნაძალადევად ვპასუხობდი კითხვებზე. დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო მოხუცის დასარწმუნებლად, რომ ჰითქლიფი არ იყო თავდამსხმელი, მით უმეტეს ჩემი სანახევროდ გაცემული პასუხების გათვალისწინებით. მიუხედავად მიღებული ტრავმისა, მისტერ ერნშო მალე მოვიდა გონს; ჯოზეფმა სასწრაფოდ გადააკურევიანა სპირტიანი სასმელი, რამაც საბოლოოდ დააბრუნა ამქვეყნიანს ჰინდლი. ჰითქლიფმა, რომ მიხვდა, ერნშო აზრზე არ არის, რა დაემართაო, განუცხადა, ზედმეტი მოვსვლიაო. თან დაარიგა, ასე მეორედ აღარ მოიქცეო და ურჩია, ახლა გირჩევნია, დაწვე და გამოიძინო. ჩემდა გასახარად, ეს რჩევა რომ მისცა, დაგვტოვა, ჰინდლი კი ბუხართან გაიშობა. მე ჩემს ოთახს მივაშურე, თან მიხაროდა, რა იოლად გამოვძვერი-მეთქი.

ამ დილას, ქვემოთ რომ ჩავედი, ასე თორმეტის ნახევარზე, მისტერ ერნშო ბუხართან იჯდა მისიკვდილებული. მისი ავსუელიც, თითქმის მასავით მისავათებულ-ფერდაკარგული, იქვე იყო და ბუხრის რაფას დაყრდნობოდა. არავინ აპირებდა სადილობას და იქამდე ვიცადე, სანამ მაგიდაზე ყველაფერი არ გაცივდა და მერეღა მივეუჭექე ეულად. გულიანად რომ დავნაყრებულიყავი, ხელს არაფერი მიშლიდა და სიამოვნებისა და უპირატესობის შეგრძნებით შევექეცი სადილს, თან ჩემს უტყვე კომპანიონებს შევაკლებდი ხოლმე თვალს სინდისის უქენჯნელად. სადილი რომ დავასრულე, უჩვეულოდ თამამი ნაბიჯი გადავდგი: ბუხართან მივედი, ერნშოს სავარძელს შემოვუარე და მის გვერდით ჩავიმუხლე ცეცხლის პირას.

ჰითქლიფი ჩემკენ არც კი იყურებოდა, სამაგიეროდ, მე ავხედავდი ხოლმე მის სახეს – ნაკვთები გაქვავებოდა. შუბლზე, ოდესღაც მამაკაცურად რომ მიმაჩნდა და ახლა სატანისეულად მეჩვენება, თითქოს ღრუბლები შეჰყროდა. ბასილიკოს თვალეები უძილობისა და ალბათ ტირილისგან ჩაქრობოდა, რადგან ქუთუთოები სველი ჰქონდა. ბაგე – დამუნული, გესლიანი სიტყვებისგან თავისუფალი, ზედ უტყვი სვედა აღბეჭდვოდა. მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, ალბათ თავს დაეხრიდი მისი საწუხარის წინაშე. ამ შემთხვევაში კი ბედნიერი და კმაყოფილი ვიყავი. შეიძლება სულმდაბლობა იყოს, მაგრამ დაცემული მტრის დანესტერისგან თავი ვერ შევიკავე. რაკი სუსტად იყო, დრო ვიხელთე და სიამოვნებისთვის ბოროტება ბოროტებით გადავუხადე:

– ფუ, ქალბატონო! – შევანყვეტინე მე, – ვინმე იფიქრებს, ცხოვრებაში ბიბლია არ გადაუშლიაო. თუკი ღმერთი თქვენს მტრებს განსაცდელს არგუნებს, ეს თქვენთვისაც საკმარისი უნდა იყოს. როდესაც უფალი სატკივარს არგუნებს ადამიანს, სულმდაბლობა და კადნიერებაა, თავადაც დაუმატო კიდევ!

– სიმართლე ვითხრათ, მეც ასე მიმაჩნია, ელენ, – განაგრძო, – მაგრამ ჰითქლიფის თავსდატეხილი რომელი უბედურება, თუკი ჩემი ხელით არ არის მისთვის გამზადებული, დააკმაყოფილებს ჩემს გამწარებულ სულს? მირჩევნია, უფრო ნაკლებად იტანჯებოდეს და იცოდეს, რომ ამ ტანჯვის მიზეზი მე ვარ. ამ მხრივ ვალში ვარ მასთან. ერთადერთი პირობით შეიძლება ვაპატიო: თვალი თვალისა წილ! კბილი კბილისა წილ! თითოეული წუთი აგონისა აგონის თითოეული წუთის წილ! მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემსავით დამცირდება. რაკი მან მავნო, დაე, ბოდიშიც თვითონ მოიხადოს და მერე კი, ელენ, იქნებ გულმონწყალება გამოემჩინა კიდევ. მაგრამ რადგან სრულიად გამორიცხულია, რომ სამაგიეროდ გადავუხადო, ე. ი. ვერც ვერასოდეს ვაპატიებ. ჰინდლიმ წყალი მოითხოვა, ჭიქა მივანოდე და ვკითხე, როგორ ხართ-მეთქი.

– არც ისე ცუდად, როგორც ვისურვებდი, – მომიგო მან, – მკლავს რომ გავშლი, ყოველი კუნთი ისე მტკივა, თითქოს ეშმათა ლეგიონს ვებრძოდით!

– დიას, რა გასაკვირია, – შევნიშნე მე, – ქეთრინი დაიკვეხნიდა ხოლმე, ჩემს ძმას კედლად ვუდგავარ, რომ ფიზიკური დაზიანება არ მიიღოსო. ამით იმას გულისხმობდა, რომ მისი ხატრით ზოგ-ზოგიერთები თითს არ გაკარებდნენ. კარგია, რომ ხალხი მართლაც არ დგება საფლავიდან, თორემ ცხონებული წუხელ აქ ამბავს შეესწრებოდა, მტრისას! დალურჯებული ან გადაქლეტილი არ გაქვთ მკერდი ან მხრები?

– ვერ გეტყვით, – თქვა მან, – მაგრამ რას გულისხმობთ? უგონოდ რომ ვიყავი, დარტყმა გამიბედა?

– წიხლით შეგდგათ და სულ თავი გარტყმევინათ იატაკზე, – ჩურჩულით ვუთხარი. – პირწყალი ჰქონდა მომდგარი, რომ როგორმე კბილებით დაეგლიჯეთ; ის ხომ მხოლოდ სანახევროდ არის ადამიანი, უფრო სწორად, სანახევროდაც ვერა, უმეტესი ნაწილი მასში ეშმაკისეულია.

მისტერ ერნშომ ჩემსავით ახედა ჩვენს საერთო მტერს, რომელიც ისე ჩაძირულიყო წუხილში, რომ გარესამყაროს ალბათ ვერც აღიქვამდა. რაც უფრო დიდხანს იდგა გაქვავებულივით, მით უფრო მკაფიოდ გამოიხატებოდა მის უძრავ ნაკვთებში ავი ზრახვები.

– ნეტავ ღმერთი შემადღობინებდეს, რომ ავონიაში მყოფი დავახრჩობდე, სიამოვნებით წავიდოდი მასთან ერთად ჯოჯოხეთში! – იღრიალა ჰინდლიმ და წამოდგომა სცადა, თუმცა კი სასომიხილი მოცელილივით დაეცა სავარძელში, რადგან მიხვდა, რომ შერკინების თავი არ ჰქონდა.

– არა, საკმარისია, ერთ-ერთი თქვენგანი რომ გაისტუმრა იმქვეყნად, – ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი აზრი, – «შაშვებში» ყველამ იცის, რომ თქვენი და ახლაც ცოცხალი იქნებოდა, მისტერ ჰითქლივი რომ არა. თანაც, მაგისტანას ჯობია სძულდე, ვიდრე უყვარდე. როდესაც მახსენდება, როგორი ბედნიერები ვიყავით, როგორი ბედნიერი იყო ქეთრინი, სანამ ეს გამოჩნდებოდა, მისი გამოჩენის დღეს ვწყევლი.

როგორც ჩანს, ჰითქლივმა ნათქვამის სიმართლე აღიქვა და მთქმელის განწყობა არად ჩააგდო. ეტყობა, ყურადღება გაამახვილა, რადგან წამოცვნილი ცრემლები ნაკვერჩხლებზე დაწვეთა და სუნთქვა შეეკრა. ამოიოხრა. მივაშტერდი და ზიზღით გავიციხე. ჯოჯოხეთის მოქუთრული თანჯრები წამიერად შემომანათა; მაგრამ ჩვეულებრივ ამ თანჯრებიდან მომზირალი ეშმაკი არსად ჩანდა, თითქოს გაუჩინარდო, ამიტომაც ხელმეორედ გამასხარავებისა არ შემშინებია და გადავიკისკისე.

– ადექი და დამეკარგე აქედან, – მითხრა მგლოვიარემ.

მე მგონი, სწორედ ეს სიტყვები თქვა, რადგან ძნელად გაირჩეოდა მისი ნათქვამი.

– ბოდიში მომიტხოვია, – წარმოვთქვი მე, – მაგრამ ქეთრინი მეც მიყვარდა. მის ძმას ახლა ყურადღება ესაჭიროება, რომელსაც ქეთრინის სახელით მე მივაქცევ. ახლა, როდესაც ის აღარ არის, ქეთრინს მე ჰინდლიში ვხედავ. ჰინდლის ზუსტად მისი თვალები აქვს, თუკი არ ამოსთხრი, არ ამოუშავებ და ჩაუწითლებ. მისივე...

– ადექი, შე ჭკუათხელო, სანამ წიხლით გამისრესიხარ! – დამიღრიალა და ჩემკენ წამოვიდა, რამაც ადგომა მაიძულა.

– ისე კი, – განვაგრძე და გასაქცევად მოვემზადე, – საცოდავ ქეთრინს რომ დაეჯერებინა შენი, საძრახი, საძაგელი, დამამცირებელი გვარი ჰითქლივი აელო და შენი ცოლი გამხდარიყო, იმავე სურათს მივიღებდი მისგანაც! შენს გულისამრევ და საზიზღარ საქციელს არ მოითმენდა და პირში მოვახლიდა ყველაფერს.

ერნშოს სკამის საზურგე და თავად სახლის პატრონი იყო ჩვენ ორს შორის, ამიტომ ჩემამდე მოღწევა არ უცდია ჰითქლივს, მაგიდიდან აიღო ვერცხლის დანა და თავში გამომიქანა. ნასროლი ყურის ძირში შემესო და დაწყებული სიტყვა გამანწყვეტინა; დანა გამოვიძრე, კარისკენ გავიქეცი, გზად მეორე დანას დავტაცე ხელი

და გავუქანე, რომელიც, იმედი მაქვს, იმაზე ღრმად შეერჭობოდა, ვიდრე მისი ნასროლი – მე. უკანასკნელად რომ მოვკარი თვალი, გამწარებული ცდილობდა ჩემკენ გამონეკვას, მაგრამ მასპინძელი იჭერდა. ხელიხელშეხებული ბუხართან დაეცნენ. სამზარეულოში შევარდნილმა ჯომეფს ვუთხარი, – ჩქარა ბატონს მივმარეთ-მეთქი, პატარა ჰერთონი კი წავაქციე, რომელიც კართან იდგა და სკამის საზურგეზე სათამაშო ლეკვების აცმულას კიდებდა. ისე მიხაროდა გამოქცევა, როგორც სალხინებლიდან გამოღწეულ სულს. თავი დავადე და უკანმოუხედავად გამოვიქეცი, ისე გამოვრბოდი, რას ვახტებოდი, არ ვიცოდი, ციცაბო დაღმართით თავქვე დავეშვი, მაგრამ დაკლაკნილი გზის გამო ჭაობნარის გადმოჭრით ვაშუბინე თავის დაღწევა. სადაც ბილიკი წყდებოდა, ჭაობში მივტოპავდი და შუქურასავით ანთებული «მაშვების» სინათლეებისკენ მოვფრინავდი. ჯანდაბაშიც კი წავილოდი, ვიდრე კიდევ ერთ ღამეს გავატარებდი მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ «ქარიშხლიან უღელტეხილში».

იზაბელამ ლაპარაკი შეწყვიტა და ჩაი მოსვა; მერე ადგა, ქედი დამათარებინა და შემოტანილი შალიც მომახურებინა. ჩემს თხოვნას, ერთ საათს კიდევ შეჩერდით-მეთქი, მხოლოდ დაზიანებული ყური ათხოვა და თვითონ ქეთრინისა და ედგარის პორტრეტებისკენ წავიდა, სკამზე შედგა და ორივეს ემთხვია. მერე მე მომიბრუნდა, გამოთხოვების ნიშნად მეც გადამოცნა და ეზოში გავიდა ეტლში ჩასაჯდომად, თან ქალბატონის გამოჩენით ალტკინებული პირისფარეში ფანიც გაიყოლა. ასე წავიდა ქალბატონი და ამ მხარეში აღარასდროს დაბრუნებულა. მაგრამ მასა და ჩემს ბატონს შორის უწყვეტი მიმონერა გაჩაღდა, როდესაც სიტუაცია შედარებით ჩაწყნარდა. მე მგონი, ბინა სამხრეთით, სადაც ლონდონის ახლოს, დაიდო. გაქცევიდან რამდენიმე თვეში იქვე შეეძინა ვაჟიც, რომელიც ლინთონად მონათლეს; იზაბელა მშობიარობის პირველივე დღეებიდან გვწერდა, ავადმყოფი და ჭირვეული ქმნილებათა.

ერთხელ მისტერ ჰითქლიფი შემხვდა და მკითხა, სად ცხოვრობსო. არ გავუხილეთ. თითქოს სხვათა შორის შენიშნა, მაგას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, მთავარია, ძმის სახლში გამოჩენას მოერიდოს, რადგან როგორც ქმარს, მისი უკან წაყვანა თუ მომინდება, წინ ვერათფერი დამიდგებაო. მართალია, მე არათფერი მითქვამს, მაგრამ სხვა მსახურებისგან მაინც შეეცყო მისი ადგილსამყოფელიცა და ბავშვის დაბადების ამბავიც. თუმცა მისი წყენინება ალბათ არ უფიქრია, რისთვისაც იზაბელა მის ზიზღს უნდა უმაღლოდეს. როდესაც სადმე მნახავდა, სულ ბავშვზე მეკითხებოდა ხოლმე, ხოლო როდესაც მისი სახელი გაიგო, პირქუშად ჩაიღიმა და მკითხა:

- უნდათ, რომ ბავშვიც შემაძულონ, ხომ?
- მე მგონი, საერთოდ არ სურთ, რომ მასზე რამე იცოდეთ, – ვუპასუხე მე.
- მაგრამ მაინც ჩემი გახდება, – მითხრა უეცრად, – როდესაც მომინდება. ჰქონდეთ ამის იმედი!

საბედნიეროდ, სანამ ეს დრო დადგებოდა, მანამდე ბავშვის დედა მიიბარა უფალმა; ქეთრინი ალბათ ცამეტი წლის გარდაცვლილი იქნებოდა, როდესაც ლინთონი თორმეტის გახდა.

იზაბელას მოულოდნელი ვიზიტის მეორე დღეს ბატონთან საუბრის საშუალება არ მომცემია: საუბარს ერიდებოდა და ისედაც არაფერზე ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. როდესაც ორიოდე სიტყვის სათქმელად მოვიხელოთ, გაუხარდა კიდევ, ჩემს დას ქმარი მიუტოვებიაო, რადგან ფაქიზი სულის მიუხედავად, სიკვდილზე მეტად სძულდა სიძე. იმდენად ძლიერი სიძულვილი ჰქონდა მისდამი, რომ ცდილობდა, იქით არც გაეხედა, სადაც ჰითელითს გადააწყდებოდა ან მასზე გაიგებდა რამეს. ვარაშმა ჩამოყალიბებულ განდევნილად აქცია: მოსამართლეობას თავი მიაწება, ეკლესიაში სიარულიც აღიკვეთა, სოფელში გასვლასაც არიდებდა თავს და შეიძლება ითქვას, კარჩაკეტილი ცხოვრება დაიწყო თავის ეზოსა და პარკში. ათასში ერთხელ თუ გაივლიდა ჭაობნარში ან ცოლის საფლავზე გავიდოდა, ისიც სადამო ხანს ან დილაუთენია, რომ გზად არავინ შემოყროდა. მაგრამ ძალზე გულკეთილი კაცი იყო და ოდენ თავისი საწუხარით განა რამდენ ხანს იცხოვრებდა. ქეთრინის სულს არ ეგვდრებოდა, მდევნო. დრო ყველაფრის მკურნალიაო, იტყვიან და ედგარიც ნელ-ნელა შეეგუა, მელანქოლია თითქმის გაუტკბა კიდევ. ცოლის მოგონებას გულით ატარებდა, წინანდებურად მგზნებარედ უყვარდა, იმ იმედით იყო, რომ უკეთეს სამყაროში მინც შეხვდებოდა, სადაც, მისი აზრით, უჭკველად იქნებოდა ქეთრინი.

ისე კი, არც მიზიერი ნუგეში დაჰკლებია და არც სიყვარული. როგორც მოგახსენებდით, პატარა მემკვიდრეს პირველი რამდენიმე დღე თითქმის ვერ ამჩნევდა, მერე კი ყინული ისე გადნა, როგორც აპრილის თოვლი და ეს პანია არსება, სიტყვის თქმასა და ბაჭბაჯსაც კი რომ ვერ ახერხებდა ჯერ, ერთიანად დაეპატრონა მის გულს. მასაც ხომ ქეთრინი ერქვა... თუმცა მამა ისევე არ ეძახდა შვილს სრულ სახელს, როგორც ცოლს – შემოკლებულს: შეიძლება იმიტომ, რომ ჰითელითს სჩვეოდა სატრფოსთვის სახელის შემოკლება. პატარა ქალბატონი ყოველთვის ქეთი იყო, ასე უფრო იოლად განარჩევდა ბავშვს დედისგან და ამავე დროს, აკავშირებდა კიდევ მასთან. ედგარს გოგონა ცოლთან კავშირის გამო უფრო უყვარდა, ვიდრე მის გამო, რომ თავისი ასული იყო.

ზოგჯერ ვადარებ ხოლმე მას და მისტერ ჰინდლი ერნშოს და ვაოცებას ვარ, მსგავს სიტუაციებში როგორ განსხვავებულად იქცეოდნენ. ორივე მათგანი ერთგული ქმარი და მამა იყო, მაგრამ სულ მიკვირს, ერთმა საოცრად პატიოსნად რომ გალია თავისი ცხოვრება, მეორე კი მცდარ გზას დაადგა. ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე, ჰინდლი უფრო ხისტი კი იყო, მაგრამ უფრო მდაბალი და სუსტი აღმოჩნდა-მეთქი. როდესაც მისი ხომალდი ფსკერისკენ წავიდა, კაპიტანმა პოსტი დატოვა. ეკიპაჟმა კი ქალის გადარჩენას ამბოხება და არეულობა ამჯობინა და მათ უღებლო გემს უმცირესი იმედიც კი წაართვა გადარჩენისა. ლინთონი, პირიქით, მამაცი და ერთგული სულის გამსახიერება აღმოჩნდა: უფალს მიენდო და მანაც ნუგეში მოჰგვარა. ერთი იმედოვნებდა, მეორე – სასონარკვეთას მოეცვა. თითოეულმა მათგანმა თავისი ხვედრი აირჩია და მართებულადაც გაუძლო. თუმცა მორალზე ჩემი მსჯელობის მოსმენა თქვენ რად გინდათ, მისტერ ლოქვეუდ, ჩემი არ იყოს, თქვენც

დამოუკიდებლად განსჯით მომხდარ-გაგონილს: ყოველ შემთხვევაში, იფიქრებთ მაინც, განესჯით, ეს კი ერთი და იგივეა. ერნშოს ბოლო მოსალოდნელიც იყო, უმცროს დას მალევე მიჰყვა უკან: სულ რაღაც ექვსი თვის შუალედით. «მაშვებში» მისი ავადმყოფობის შესახებ ყურიც კი არაფრისთვის გვექონდა მოკრული; რაც გავიგე, მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი დაკრძალვის მზადებისას გადავედი ხელის წასაშველებლად. მისტერ ქენეთი გვეწვია ჩვენი ბატონისთვის ამბის შესატყობინებლად.

– აბა, ჩემო ნელი, – მომმართა მან ერთ დილას, ეზოში რომ შემოვიდა ცხენით და მომიახლოვდა; უთენია მისი გამოცხადება კარგს არაფერს მოასწავებდა და გულმა რეჩხი მიყო. – თუ იცით, ვინ წავიდა ამქვეყნიდან, ვინ დაგვტოვა ამჯერად?

– ვინ? – ვკითხე დაფეთებულმა.

– ვერ ხვდებით? – კითხვითვე დამიბრუნა პასუხი, ჩამოხტა და ალვირი კარისკენ წაიღო კავზე ჩამოკიდებლად. – წინსაფარზე იტაცეთ ხელი, დაგჭირდებათ.

– მისტერ ჰითქლიფი არ იქნება, არა? – შევძახე მე.

– რაო? განა მის გამო ცრემლს ჩამოაგდებდით? – გაუკვირდა ექიმს, – არა, ჰითქლიფი კერკეტი კაკალივით არის. ამ დილასაც ჯანზე იყო. წელან ვნახე. მალე აკრთა წონა, როგორც კი თავისი უკეთესი ნაწილი დაკარგა.

– აბა, ვინ, მისტერ ქენეთ? – მოუთმენლად ვკითხე.

– ჰინდლი ერნშო! თქვენი ძველი მეგობარი, – მომიგო ექიმმა, – და ჩემი ავცია ამხანაგი, თუმცა კი ბოლო ხანებში ნამეტანი გამოუცხოვდა. აი, ცრემლებიც... ხომ ვითხარით, წინსაფარი დაგჭირდებათ-მეთქი! მაგრამ არ იდარდოთ, ისე წავიდა, თავისი ხასიათი არ შეუცვლია: ნასვამი კი არა, ჩამხრჩვალნი იყო სასმელში! საწყალი ბიჭი! მეც გული მტკივა. ძველი მეგობრის დაკარგვას ვერაფერი უშველისო, იტყვიან, თუნდაც მაგ მეგობარს უამრავი ოინი ჰქონდეს ჩადენილი შენ მიმართ და არც ყალთაბანდური ხრიკებისგან ჰქონდეს თავი არიდებული. როგორც ვიცი, თქვენი კბილა იყო, ოცდაშვიდისა – დაბადებიდან, მაგრამ თქვენი შემხედვარე, ვინ იტყვის, ტოლუები იყვნენო?

ვალღარებ, ეს დარტყმა უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე მისის ლინთონის სიკვდილი: გულზე ძველისძველი მოგონებები შემომანვა; იქვე ჩავიკვიცე, ეზოს კართან, და ტირილი დავიწყე, თითქოს სისხლით ნათესავი დამეკარგა და ვინატრე, ნეტავ მისტერ ქენეთს სხვა მსახური მიაცილებდეს-მეთქი ბატონამდე. ერთი კითხვა ამეკვიტა: «თავისი სიკვდილით კი მოკვდა?» ამ ფიქრს ვერ ვიცილებდი გონებიდან. ისე გამტანჯა ამ კითხვამ, რომ «ქარიშხლიან უღელტეხილში» წასვლის ნება ვითხოვე და უკანასკნელ გზაზე მიმავლის გამცილებლებს დავუდექი გვერდში. მისტერ ლინთონს დიდად არ ეპიტნავა ჩემი გაშვება, მაგრამ ისე ენამჭევრად ავუხსენი, რა მდგომარეობაში იყო ახლა ჩემი თანშემზრდილი, სულ მარტოდმარტო, უმეგობროდ, თან დავძინე, ჩემი ძველი ბატონისადმი ზუსტად ისევე ვარ ვალდებული, როგორც

თქვენდამი-მეთქი, რომ დავითანხმე. ამას გარდა, შევასხენე პატარა ჰერტონიც, მისი ქეთრინის ძმისწული, რომელიც ცასა და დედამიწას შუა სრულიად მიუსაფარი დარჩენილიყო და ახლა მის გარდა სხვა შემთვარებელი არავინ ჰყავდა. მეტიც, ვუთხარი, ამიერიდან თქვენ უნდა უთვალყუროთ თქვენი ცოლეულების ადგილ-მამულებს და ცოლიძმის დანატოვარს-მეთქი. მაშინ ამგვარი საუბრის თავი არ ჰქონდა, მაგრამ ჩემს ვეჯილს დაველაპარაკებო, დამპირდა. ბოლოს კი წასვლის ნება დამართო. მისი ვეჯილი ერნშოს ვეჯილიც იყო; სოფელში ჩავაკითხე და წამომყევით-მეთქი, ვთხოვე. მან კი თავი გადააქნია და მითხრა, ჯობია, ჰითქლიფს თავი დავანებოთო. ბოლოს, ისიც მომახსენა, თუ სიმართლე გაინტერესებს, ჰერტონი მშრალზე დარჩა და მათხოვრისგან ბევრით აღარ განსხვავდებაო.

– მამამისი ვალებში იყო ჩავარდნილი, როდესაც გარდაიცვალა, – მითხრა მან, – მთელი ქონება დაგირაგებული ჰქონდა და ერთადერთი, რისი ვაკეთებაც ახლა მისი ბუნებრივი მემკვიდრისთვის შეიძლება, ისაა, რომ უფლება მივცეთ, იქნებ როგორმე რამე ინტერესი გაუღვივოს კრედიტორს, რაც გულმონყალების გამონწვევის საწინდარია.

«უღელტეხილში» ჩასულმა გლეხებს ავეხსენი, სამზადისს მე მივხედავ, რომ ყველაფერმა საკადრის დონეზე ჩაიაროს-მეთქი. ჯობიერი ერთობ დათრგუნვილი დამიხვდა, თუმცა ჩემი გამოჩენა გაუხარდა და კმაყოფილება არ დაუმალავს. მისტერ ჰითქლიფმა კი მითხრა, შენი ჩამოსვლა აუცილებელი არ იყო, მაგრამ თუკი გნებავს, შეგიძლია, დარჩე და დაკრძალვის საკითხს მიხედო.

– წესით, – შენიშნა მან, – სულელი გზაჯვარედინზე უნდა დამარხოს კაცმა, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე. გუშინ სულ ათი წუთით გავედი, მან კი დრო იხელთა და ოთახში შესასვლელი ორივე კარი ჩაკეტა, მერე დამჭდარა და მთელი ღამე უსვია, ისე ვაღეშილა, რომ დილით ხროტინი მოგვესმა. კარი შევამტვრიე, სკამზე ევდო და გინდ ტყავი გავეძრო, გინდ თავის ქალა აგეხადა, გრძნობაზე ვერ მოიყვანდი! ქენეთის მოსაყვანად გავგზავნე მსახური, მაგრამ მის მოსვლამდე უკვე სული გასძვრა. უკვე გაცივებული და გაშეშებული იყო, როცა ექიმი მოვიდა. ამიტომაც, ალბათ შენც მიხვდები, ექიმს ვერ დავაგლეჯდი კალთებს, არიქა, გააცოცხლე-მეთქი!

ძველმა მსახურმაც თითქმის იგივე განაცხადა, მაგრამ ბრაზით ჩაილულულა:

– არც თვითონ აწყენდა ექიმთან მისვლა! მარტო ბატონის კი არა, მისი შემონწყებაც არ იქნებოდა ურიგო... როცა მივდიოდი, ცოცხალი იყო და რალა მერე ეტაკა სიკვდილი!

დავიჟინე, დაკრძალვა ღირსეული უნდა იყოს-მეთქი. მისტერ ჰითქლიფმა მითხრა, შენთვის მომიხდვია, ოღონდ არ დავავიწყდეს, რომ ხარჯების დასათუარი ფული მე უნდა გავიღო. წინანდებურად პირქუში და უგრძნობი ჩანდა, არც სიხარულს გამოხატავდა და არც სევდას, თუ არ ჩავთვლით კმაყოფილებას, რომელიც რთული საქმისთვის თავის გართმევის შემდეგ ეუფლება ხოლმე ადამიანს. ერთხელ მის სახეზე ეგზალტირებული გამომეტყველებაც კი შევნიშნე, როდესაც სასახლე გამოჰქონდათ ეზოდან. ფარისევლობა იყო, რომ მგლოვიარედ მოუჩვენებინა თავი და სანამ

ჰერთონთან ერთად მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე გასაცლილებლად გამოვიდოდა, იქვე უდარდელად მოთამაშე ბედშავი ბიჭუნა აიტაცა, მაგიდაზე დასვა და ჩაილულდრულა:

– ამიერიდან, ჩემო კარგო ბიჭო, ჩემი იქნები! ვნახავთ, მეორე ხეც ისეთივე დაბრეცილი გაიზრდება თუ არა, როდესაც იგივე ქარი დაუბერავს და ტოტებს დაუხლართავს! – ამ მოულოდნელი საუბრისა ბიჭუნამ ვერაფერი გაიგო, ქილვაშებზე მისწვდა, თამაში დაიწყო და ლოყაზე ჩამოუსვა ხელი; მაგრამ მნიშვნელობა მე გავიგე და გულზეც მომხვდა! მყისვე შევესიტყვე:

– ბიჭი მე უნდა გამომყვეს «შაშვების კარმიდამოში», სერ. თუ ვინმეს ეთქმის ამქვეყნად თქვენი, ყველაზე ნაკლებად ჰერთონს!

– ლინთონი ამბობს ასე? – მკითხა.

– ცხადია; მიბრძანა, ბავშვი წამოიყვანეო, – ამყად ვუპასუხე მეც.

– კარგი, ახლა ამ საკითხზე არ ვიდავებთ. მაგრამ ბავშვის აღზრდას მინდა ხელი მოვკიდო. შენ ბატონს გადაეცი, ამას თუ არა, ჩემს ღვიძლ შვილს აღვზრდი. ჰერთონზე ხელის აღებას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემი ბიჭის წამოყვანაში წინ ვერაფერს დამიდგება! არ დაგავინდეს ამის გადაცემა.

ამ გადაკრულმა სიტყვამ იკმარა, რომ ხელ-ფეხი შეგვეკროდა. შინ დაბრუნებულმა მისი ნათქვამი ედგარს მოვახსენე, მაგრამ ვერაფერთარ შედეგს ვერ მივაღწიე; ინტერესს დისწულისადმი არც მანამდე გამოხატავდა, თუმცა, დიდი მნიშვნელობა მაინც აღარ ჰქონდა, ჩაერეოდა სიძის საქმეებში თუ არა, რადგან ვერაფერს გახდებოდა.

«ქარიშხლიან ურელტეხილში» სტუმარი უკვე მასპინძელი გამხდარიყო: ახალი ქონების მართვას მტკიცე ხელით შეუდგა და ვეჭილს დაუმტკიცა, ვეჭილმა კი თავის მხრივ მისტერ ლინთონს, რომ ბატონ ჰინდლი ერნშოს ქალაქის თამაშით ბავრი ფული წაეგო და უძრავ-მოძრავი ქონებაც ისე დაეხურდავებინა, რომ მიწის მცირე გოჯიც კი არ დაუტოვებია დაუვირავებელიო. მოვირავენე კი, არც მეტი არც ნაკლები, თავად შითქლითი გახლდათ. ამრიგად, პატარა ჰერთონი, რომელიც, წესით, სამეზობლოში პირველი ჯენტლმენი უნდა გაზრდილიყო, მამამისის მოსისხლე მტერზე აღმოჩნდა ფინანსურად დამოკიდებული. ისე ცხოვრობს თავის საკუთარ სახლში, როგორც მსახური და არც შემოსავალი აქვს; უმეგობროსაც და გარესამყაროსგან მოწყვეტილს, წარმოდგენაც არ აქვს, როგორი მოტყუებულია, რომ საკუთარი უფლებები მაინც დაიცვას.

თორმეტი წელიწადი, – განაგრძო მისის დინმა, – რომელიც იმ უბედური შემთხვევების წყებას მოჰყვა, ჩემს ცხოვრებაში უბედნიერეს ხანად მიმაჩნია: ჩემი ყველაზე დიდი სანუხარი იმ წლებში ოდენ პატარა ლედის ჩივილები იყო, როდესაც სრულიად უმნიშვნელო რამ შეაწუხებდა ხოლმე, ანდაც ავად გახდებოდა, როგორც ნებისმიერ ბავშვი, მდიდრისა იქნება თუ ღარიბის. ექვსი თვეც არ იქნებოდა გასული, რომ გოგონამ ენაც აიდგა და ფეხიც, ნაძვის ხესავით იყინებოდა, სანამ დედამისის საფლავზე ხელმეორედ ამოვიდოდა მანანა. ამ მხიარულმა არსებამ უსიხარულო სახლში ბედნიერების სხივი შემოიტანა. პირმშენიერი ეთქმოდა: ერწმობისგან მუქი ფერის თვალები გამოჰყოლოდა, ლინთონებისგან კი თეთრი ჰირისახე, ნატიფი ნაკვთები და კულულა ქერა თმა. ძალიან მგრძობიარე ბავშვი იყო, ოღონდ უხეშობის გარეშე, და ყველაფრის გულთან მიტანა სჩვეოდა. ამით დედამისს მახსენებდა. თუმცა მისგან განსხვავებით, ნაზი და მტრედით ლულუნა იყო, ჩაფიქრებული გამომეტყველებით იცოდა ყურება. წყენა ბრაზში არასდროს გადასდიოდა, სიყვარული – უინში. მგრძობიარე და ნაზი იყო. მაგრამ უარყოფითი თვისებებიც არ აკლდა, რაც ამ კეთილშობილებას ჩრდილს აყენებდა. კადნიერებისკენ იყო მიდრეკილი და ჭიუტი, თავნება ხასიათი ჰქონდა, რაც ყველა ნებიერ ბავშვს ახასიათებს, ზნეკეთილია თუ არა. თუკი მსახური აწყენინებდა შემთხვევით, მაშინვე იმუქრებოდა ხოლმე, მამიკოს ვეტყვიო. ხოლო თუ მამამისი უსაყვედურებდა, თუნდაც მზერით, უნდა გენახათ, როგორ სტკიოდა გული. არა მგონია, ოდესმე თუნდაც ერთი მკვახე სიტყვა ეთქვას ქალიშვილისთვის. მისი განათლება თვითონვე ითავა და გაკვეთილები გასართობ ღონისძიებად აქცია. საბედნიეროდ, ბავშვს ცნობისმოყვარეობა და სხარტი აზროვნება ადვილად ათვისებაში ეხმარებოდა: მონდომებით და სწრაფად სწავლობდა მასწავლებლის გულის გასახარად.

სანამ ცამეტი წელი შეუსრულდებოდა, დამოუკიდებლად პარკს არ გასცილებია. მისტერ ლინთონი იშვიათად თუ გაიყოლებდა ხოლმე სადმე, ისიც, დიდი-დიდი – ორიოდე კილომეტრის მანძილზე. სხვას კი არავის ანდობდა. გიმერთონი გოგონასთვის ზღაპრული სიტყვა იყო. საყდარი ერთადერთი ადგილი გახლდათ, სადაც სახლის გარდა ფეხი ჰქონდა შედგმული. «ქარიშხლიანი უღელტეხილი» და მისტერ ჰითქლიფი კი მისთვის საერთოდ არ არსებობდნენ. კარჩაკეტილად იზრდებოდა და არც უკმაყოფილება გამოუთქვამს. თუმცა ზოგჯერ თავისი საბავშვო ოთახის სარკმლიდან რომ გადასცქეროდა არემარეს, იტყოდა ხოლმე:

– ელენ, იმ მთების მწვერვალზე რომ მომინდეს ასვლა, რამდენ ხანს მოვანდომებ? მაინტერესებს, მეორე მხარეს რა არის, ზღვა?

– არა, მის ქეთი, – ვუპასუხებდი მეც, – უკანა მხარესაც ბორცვები და მთებია, იმავენაირი.

– ნეტავ როგორია ის ოქროსფერი კლდეები, როდესაც მათ ძირში დგახარ? – მკითხა ერთხელ.

ფენისთუნ-ქრევის ციცაბო დაქანებამ მიიპყრო მისი ყურადღება, მით უმეტეს, ჩამავალი მზე დანათოდა ყვითლად და მწვერვალებიც და მთლიანი მთავრეხილიც

თბილად ბზინავდა, მთის ძირი და ლანდშაფტი კი ჩრდილში იყო მოქცეული. აუვსენი, შიშველი ქვებია და მეტი არაფერი, სადაც იმდენად ცოტაა მიწა ნაპრალებში, რომ დაგვალული ხეები თუ იზრდება-მეთქი.

– აქ რომ მოსალამოვდა, იქ რატომ არის ამდენ ხანს მზე? – დაინტერესდა გოგონა.

– იმიტომ, რომ მთის მწვერვალები გაცილებით უფრო მაღლაა, ვიდრე ჩვენ, – დაუვკამყოფილე ცნობისმოყვარეობა, – იმ მწვერვალებზე ვერ ახვალ, რადგან ძალიან მაღალი და ფრიალოა. დაზამთრებულზე ჯერ იქ ინყება ცინვა, მერე – აქ. ზაფხულში კი ჩრდილო-აღმოსავლეთით რომ შავი ღარტაფია, მანდ თოვლიც შემომჩნევია!

– ესე იგი, ნამყოფი ხარ მაგ მთებზე? – გაოცდა ბავშვი, – მაშინ, როდესაც გავიზრდები და დავქალდები, მეც ავალ. მამიკო ნამყოფია, ელენ?

– მამიკო თავად გეტყოდა, მის, – ნაჩქარევად ვუპასუხე, – რომ იქ ასვლა დროის დაკარგვად არ ღირს. ერიკებით და ათასგვარი ბალახით სავსე ჭაობები, ერთად სადაც სეირნობთ ხოლმე, ბევრად უფრო მშვენიერი სანახავია. «შაშვების» პარკი კი ამქვეყნად ულამაზესი ადგილია.

– ჰო, მაგრამ პარკს უკვე ვიცნობ, მთებს კი არა, – ჩაილაპარაკა, – აი, იმ მწვერვალიდან მინდა აქაურობას გადმოვხედო და დავტკბე, იმედი მაქვს, ჩემი პატარა პონი წამიყვანს ოდესმე.

როდესაც ერთ-ერთმა დამლაგებელმა ქალმა «ელფთა მღვიმე» ახსენა, ქეთის კინდამ თავბრუ დაეხვა ამ მღვიმის ნახვის სურვილით. მისტერ ლინთონი ლამის ხელში შეიკლა, წამიყვანეო, სანამ მამამისი არ დაპირდა, რომ გაიზრდები, აუცილებლად განახვებო. მაგრამ პატარა ქეთორინი ასაკის მატებას თვითონ ითვლიდა და ყოველთვე გვკითხავდა ხოლმე: «არ გავზრდილვარ უკვე, რომ ფენისთუნ-ქრეგზე წამიყვანოთ?» მთებისკან მიმავალს «ქარიშხლიანი უღელტეხილის» ახლოს უნდა გაევილო, ედგარს კი გული ეურჩებოდა იმ გზაზე გავლას, ამიტომ ქალიშვილს მუდამ ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: «ჯერ არა, საყვარელო, ჯერ აღრეა».

უკვე მოგახსენეთ, რომ მისის ჰითქლიფმა თორმეტი წელიწადი იცოცხლა ქმრისგან გაქცევის შემდეგ. სუსტი აღნაგობა და ჯანმრთელობა ოჯახიდან მოსდგამდა, არც ის და არც ედგარი ლოყებდაჟღაჟა და ჩასკვნილები არ იყვნენ, როგორც საც ალბათ ყველა ფეხის ნაბიჯზე გადააწყდებოდი ჩვენს მხარეებში. რა დაავადებით დაავადდა ბოლოს, დაზუსტებით არ ვიცი: ჩემი ვარაუდით, ორივე მათგანი ციების რომელიღაც სახეობით გარდაიცვალდნენ, რომელიც დასაწყისში წელა იჩენს თავს, მერე განუკურნებლად იქცევა და მალე მოუსწრაფებს ადამიანს სიცოცხლეს. დამ ძმას მოსწერა წერილი, სადაც ატყობინებდა, რომ ოთხთვიანი ავადმყოფის სავარაუდო დასასრულს გრძნობდა და სურდა, რომ ძმას გამოსთხოვებოდა სამუდამო სასუფეველში გადანაცვლებამდე და პატარა ლინთონიც საიმედო ხელში დაეტოვებინა. იმედოვნებდა, რომ ბიჭუნას ბიძას ისევე ვერ წაართმევდნენ, როგორც

მას ვერ წაართვეს და თან თავს იმშვიდებდა, მამამის დამატებითი საზრუნავი სულ არ სჭირდება ამ ბავშვის აღზრდა-განათლების სახითო. ჩემს ბატონს წამითაც არ უტოჭმანია, ისე სწრაფად მიიღო გამგზავრების გადაწყვეტილება, არადა, ჩვეულებრივ დიდად არ იკლავდა ხოლმე სადმე წასვლით თავს, თუნდაც მიეპატიჟათ. წასვლისას რამდენჯერმე გამიმეორა, ჩემს არყოფნაში ქეთის მიმიხედე, პარკს არ გასცდეს თუნდაც შენი თანდასწრებითო. აბა, ის როგორ მოუვიდოდა აზრად, რომ გოგონას მარტოსაც შეეძლო გარეთ გასვლა.

სამი კვირა არ დაბრუნებულა. პირველი ორი-სამი დღე ქეთი ბიბლიოთეკის კუთხეში იჯდა სევდიანად და არც კითხვის სურვილი ჰქონდა, არც თამაშის. ასეთ მდგომარეობაში დიდ საზრუნავს არ მიჩენდა. მაგრამ ამას ფიქსი და მოუთმენელი უკუნებობა მოჰყვა. რაკი არც მეცალა და აღარც საიმისო ასაკი მქონდა, რომ წამი და წუთი კუდში მედევნა და მეთამაშა მასთან, ვიფიქრე და ერთ გზას დავადექი, რომ უჩემოდ მონყენილი არ ყოფილიყო: სასიეროდ ვუშვებდი ხოლმე პარკში, ხან ფეხით, ხან – პონით. დაბრუნებულს მოთმინებით ვუსმენდი, როდესაც ნამდვილი თუ წარმოსახული თავგადასავლების შესახებ მიყვებოდა და ვათამამებდი შეძლებისდაგვარად.

შუა ზაფხული იდგა. ისე გაუტკბა ეს ეული გასიერნებები ქეთის, რომ ზოგჯერ ნასაუზმევს გასული ჩაის სმამდე არც ბრუნდებოდა ხოლმე. საღამოები კი მისი ფანტაზიის ნაყოფის მოსმენაში გავყავა. არ მეშინოდა, მინდორში გავა-მეთქი, რადგან კარბიჭე სულ დაკეტილი იყო, მაგრამ თუნდაც ღია დახვედროდა, იმას რა მომათეფრებდა, რომ მარტოდმარტო გაბედავდა გასვლას. საუბედუროდ, ვცდებოდი. ქეთრინი იმ დილით რვაზე მომადგა და მითხრა, დღეს არაბი ვაჭარი ვიქნები, ქარავნით უდაბნოს რომ კვეთსო. მე მისთვის და პირუტყვისთვის უხვად საგზლის გატანება დამევალა: ცხენი და სამი აქლემი დიდი მონადირე ძაღლი და სამი პონიტერი გახლდათ. კარგა ბლომად ნუგბარს მოუყარე თავი, კალათში ჩავანყე და უნაგირის ერთ-ერთ მხარეს ჩამოვკიდე; ქეთი ფერიასავით გამხიარულდა, ფართოფარფლებიანი ქუდი ჩამოიფარა და ივლისის მზისგან დასაცავად სახე პირბადით დაიმალა. სიხარულით მოახტა პონის, ჩემს თხოვნაზე, არ ატენო და მალე დაბრუნდი-მეთქი, გაიცინა და გაქუსლა. ახტაჯანა გოგო ჩაის დასალევად არ დაბრუნებულა. ერთ-ერთი ძაღლი, თან რომ იახლა, კომფორტის მოყვარული ბებერი მონადირე, მარტო დაბრუნდა. მაგრამ არც ქეთი, არც პონი და არც პონიტერები არ გამოჩენილან. საით არ გავიხედე, არსად ჩანდნენ. სადაც კი ბილიკი მეგულებოდა, ემისრები დავგზავნე საძებნელად, ბოლოს, მეც გავეშურე. პლანტაციის გარშემო შემოვლებულ ღობეს ერთი მუშა ამავრებდა, ვკითხე, პატარა ქალბატონი ხომ არ დაგინახავთ-მეთქი.

– დილით ვნახე, – მიპასუხა კაცმა, – თხილის წვეპლა მომაჭრევინა, მერე თავისი ცხენით ღობეს გადაევლო ყველაზე დაბალ ადგილას და თვალს მიეფარა.

ეგრევე თავში დამკრა, ფენისთუნ-ქრეგისკენ წავიდოდა-მეთქი.

– ნეტავ რამე ცუდს არ გადაეყრებოდეს! – წამოვიძახე და გარღვეულ ღობეში გავეძვერი, რომელსაც მუშა აკეთებდა და პირდაპირ მთებისკენ გავიქეცი. კისრისტეხით გავრბოდი, ორი მილი ისე გავიარე, ვერც შევამჩნიე, როგორ აღმოვჩნდი «უღელტეხილის» გადასახვევთან, მაგრამ ვერც იქ აღმოვაჩინე ქეთრინის კვალი. ქრევი მილნახევარზეა ჰითქლიფის სახლიდან, იქიდან კი «შაშვებამდე» ოთხიოდე მილია, ამიტომაც შევშინდი, ვინ იყის, მთებამდე სანამ მივალ, შემომალამდეს-მეთქი. «ვაითუ, კლდეზე აცოცებისას ფეხი აუსხლტა? – გამიელვა გონებაში, – და ახლა მკვდარია ან ძვლებდამტვრეული გდია სადმე?» – მართლაც მტკივნეული ეჭვები გამიჩნდა. მერე ცოტა მომეშვა გულზე, როდესაც სახლთან ჩავლისას ფანჯრის ქვეშ ჩვენი ავი პოინტერი, ჩარლი, შევნიშნე, რომელსაც თავი გასივებოდა და ყურიდან სისხლი სდიოდა. კუტიკარი გავაღე და ეზოში შევვარდი. კარზე ბრახუნი ავტეხე. ერთმა ჩემმა გიმერთონელმა ნაცნობმა ქალმა გამიღო – ერნშოს გარდაცვალების შემდეგ დაექირავებინათ «უღელტეხილში».

– ოჰ, – წარმოთქვა მნემ, – პატარა ქალბატონის საძებნელად იქნები მოსული! ნუ გეშინია. აქ გახლავს, სრულიად საღსალამათი. კიდევ კარგი, ბატონი ჯერ არ დაბრუნებულა.

– შინ არ არის? – გულამოვარდნილმა ძლივს ამოვთქე.

– არა, არა, – მიპასუხა ქალმა, – არც ბატონია შინ, არც ჯოზეფი და, მგონია, კიდევ ერთი საათი არ დაბრუნდებიან. შემოდი და ამოისუნთქე.

შვედი და ჩემი გზააბნეული კრავი ბუხართან მჭადარი დავინახე, დედამისისეულ სავარძელში იჯდა და ქანაობდა. ქუდი კედელზე დაეკიდა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს შინ იმყოფებოდა, იყინოდა და ენას არ აჩერებდა; მშვენიერ გუნებაზე იყო. ჰერთონს ესაუბრებოდა, რომელიც უკვე თვრამეტი წლის იქნებოდა მოყრილი და კარგადაც ჩასკვნილიყო. ბიჭი გაოცებული მისჩერებოდა: ცოტა თუ ესმოდა გოგონას კითხვებისა და შენიშვნების ნიაღვრიდან. ქეთი კი ჩვეულებისამებრ დაუღალავად ყბელობდა.

– ყოჩაღ, მის! – შევძახე და სიხარული გაბრაზებული სახით შევნიღბე, – სანამ მამა არ ჩამოსულა, ფეხს ვედარსად გაადგამ. აწი როგორღა გენდობი, შე ცუდო გოგო!

– აჰა, ელენი მოსულა! – მხიარულად წამოიძახა, წამოხტა და ჩემკენ გამოიქცა, – ამ საღამოსთვის ისეთი საინტერესო ამბავი მექნება მოსაყოლი. აქ როგორ მომძებნე, ნამყოფი ხარ აქამდეც?

– დაიხურე ქუდი და დროზე გამოადგი ფეხი, – გავეწყრი, – კინალამ გული გამისკდა, მის ქეთი. ძალიან, ძალიან ცუდად მოიქეცი! გაბუტვასა და ყვირილს აზრი არა აქვს. ეს იმ უსიამოვნებას მაინც ვერ გადაწონის, რაც მე განვიცადე, შენს ნაკვალევს რომ ვეძებდი შარა-შარა. როგორ მთხოვა მისტერ ლინთონმა, არსად გაუშვაო, შენ კი პარკიდან გაიპარე! ეს იმაზე მეტყველებს, რომ ერთი მატყუარა მელაკუდა ყოფილხარ და აწი აღარავინ გენდობა.

– კი, მაგრამ რა დავაშავე? – კინალამ ატირდა გულნატკენი, – მამაჩემს ჩემთვის არაფერი დაუვალეზია. ის არაფერს მისაყვედურებს, ელენ, არასოდეს მეტყვის ასეთ სიტყვებს!

– წამოდი, წამო! – გავუმეორე, – ქუდის ბათებს შევიკრავ. ახლა ბუზლუნი არ გამავაგონო. ოჰ, ღვთის გულისათვის, ცამეტი წლის ხარ და ბავშვივით იქცევი!

ასე იმიტომ ვუთხარი, რომ ქუდი მოიგლიჯა თავიდან და ბუხრისკენ წავიდა, რათა თვალს მომფარებოდა.

– არა, – გამოესარჩლა მნე, – ნუ გაუბრაზდები ამ კარგ გოგონას, მისის დინ. ჩვენ შევაჩერეთ, თორემ სახლში მალევე გამობრუნდებოდა. ჰერთონმა შესთავაზა, გავაცილებო და, მე მგონი, ურიგო არ იქნებოდა, თორემ როგორი უვარგისი გზებია, თქვენც მოგეხსენებათ.

ამ საუბრისას ჰერთონი ჯიბეებში ხელეზჩანყოილი იდგა და ხმას არ იღებდა, თუმცა სახეზე ემჩნეოდა, რომ ჩემი შეჭრა საკმაოდ აღიზიანებდა.

– რამდენ ხანს უნდა ვიცადო? – განვაგრძე მე, ისე თითქოს მსახურის სიტყვები არად ჩამივდია. – ათ წუთში მობინდდება. პონი სად გყავს, მის ქეთი? ან ფენიქსი რა იქნა? თუ არ აჩქარდები, საერთოდ მართო გავბრუნდები, ასე რომ, შენ იცი.

– პონი ეზოშია, – მიპასუხა მან, – ფენიქსი კი ჩაკეტილია. ისიც ჩარლივით დამარცხდა. ამ ყველაფერზე ვაპირებდი მოყოლას, მაგრამ უგუნებოდ ხარ და მანაც არაფერს მოისმენ გულისყურით.

მისი ქუდი ავიღე და მივეტანე, მაგრამ რაკი იფიქრა, ოთახში მყოფნი ჩემს მხარეს არიანო, აქეთ-იქით სირბილი დაიწყო. გავეკიდე, მაგრამ თავგვივით ხან სად გამიძვრა, ხან სად, არც ავეჯის უკან შევარდნა უთაკილია და არც მაგიდის ქვეშ შეძრომა. ჰერთონსა და მნეს გაეცინათ და ქეთიც მათ აჰყვა ამ მხიარულებაში. მე დამცინოდნენ, მაგრამ ეს იქამდე, სანამ გაღიზიანებულმა არ ვიყვირე:

– მის ქეთი, რომ იყოლე, ვის სახლში იმყოფები, თავადვე მოითხოვდი, აქედან წამიყვანეთო.

– მამაშენისაა, არა? – მიუბრუნდა ჰერთონს.

– არა, – მიუგო ყმანვილმა და უხერხულობისგან განითლდა.

გოგონას მიმეტრებას ვერ გაუძლო, მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირი თვალეზი ჰქონდათ.

– აბა, ვისია? შენი ბატონის? – მეორე კითხვა დაუსვა ქეთიმ.

უფრო მეტად განითლდა ბიჭი, ოლონდ უკვე სხვა მიზებით, შეიკურთხა და გაბრუნდა.

– ვინ არის მისი ბატონი? – მკითხა აბეზარმა გოგონამ, – წელან ასხენა, ჩვენი სახლიო, ჩვენი გლეხებო... ვიფიქრე, მფლობელის შვილია-მეთქი. თანაც ქალბატონოთი არ მოუმართავს. არადა, ასე არ უნდა მოემართა, თუკი მსახურია? – ჰერთონი ამ ბავშვური მსჯელობის მოსმენაზე მოიქუტრა და გაღიზიანდა. უხმოდ შევანჭლო ჩემი ქალბატონი და გასამგზავრებლად დავუწყე მომგზადება.

– აბა, ჩემი პონი მომიყვანე, – ისე მიმართა ჰერთონს, თითქოს თავის რომელიმე მეჭინბეს ეუბნებოდა «შაშვებში», – და გამომყევი. მაინტერესებს, სად დგება მონადირე გობლინი ჭაობებში და წყლის ჭინკების ამბავსაც მომიყვები გზადაგზა. ასე არ უნოდებ?! რა ხდება? ცხენი მომიყვანე-მეთქი, გითხარო.

– მინაც გაგსკდომია უნინ, ვიდრე შენი მსახური გავხდე! – კბილებში გამოსცრა ჰერთონმა.

– უნინ რა მომსვლია? – ჰკითხა გაოგნებულმა ქეთრინმა.

– მიწამც გაგსკდომია, შე უტიფარო კუდიანო! – მიიღო პასუხი.

– ახია შენზე, მის ქეთო! ხომ ხედავ, რა მხიარულ ხალხში მოხვდი, – ჩავერე მე, – ახალგაზრდა ქალბატონისადმი რა მშვენიერი სიტყვები შეგირჩევიათ, ყმანვილო! გეხვეწები, ქეთო, არ დაუწყო კამათი. ნამო, ჩვენ მოვძებნოთ შენი მინი და გზას გავუღვეთ.

– ჰო, მაგრამ, ელენ, – იკვილა გაოგნებულმა გოგონამ, – როგორ მიხედავს ასე მომართვას? განა ჩემს მითითებას არ უნდა ასრულებდეს? შე საცოდავო არსებავ, ვუთხრა მამაჩემს! აბა, ცოცხლად!

ჰერთონს მისი მუქარა არად ჩაუვლია, რამაც გოგონას იმედგაცრუების ცრემლები მოჰკვარა.

– მაშინ შენ მომგვარე პონი და ჩემი ძაღლიც დაუყოვნებლივ გამოუშვით!

– ცოტა თავაზიანად, მის, – უთხრა მსახურმა ქალმა, – თავაზიანობით არაფერს დაკარგავთ. მართალია, ჰერთონი სახლის პატრონის შვილი არ გახლავთ, მაგრამ თქვენი ბიძაშვილია, დედიძეშვილი. მე კი აქ თქვენს მოსამსახურედ არავის დავუქირავებოვარ.

– ჩემი ბიძაშვილი? თან დედიძეშვილი? – ტირილნარევი ხმით იკითხა ქეთიმ.

– დიახაც! – მიუგო მნემ.

– ოჰ, ელენ! უფლება არ მისცე, ასეთი რამეები მითხრან, – საშველად მომმართა, – მამაჩემი ლონდონში იმიტომ არის წასული, რომ მამიდაშვილი ლინთონი ჩამომიყვანოს; ჩემი მამიდაშვილი კი ჯენტლმენის შვილია. ის ჩემი... – ერთი ნაბიჯი ნადგა და ცრემლებიც წასკდა, რადგან ამისთანა მოუხეშავ ყმანვილთან ნათესაური კავშირის გაგონება არ ეპიტნავა.

– ჩუ, ჩუ-მეთქი! – ჩურჩულით ვუთხარი, – ადამიანს შეიძლება ათასი დედამიშვილი-მამიდაშვილი ჰყავდეს, მის ქეთი, და ამით ჯერ არავის არაფერი დაჰკლებია. მაგრამ თუკი რომელიმე მათგანი უხეში და ბოროტია, მისნაირთან სიახლოვე არ ღირს.

– არ არის, ვერ იქნება ჩემი დედამიშვილი, ელენ! – ამოისლუკუნა ქეთიმ, დაფიქრდა და ჩემკენ გამოიქცა, რომ ამ საშინელი აზრისგან ეხსნა თავი.

ძალიან გამაზრაზა მისმა საქციელმაც და მწეხლის ენაგრძელობამაც, განსაკუთრებით იმან, ლინთონის ჩამოყვანა რომ გამჟღავნდა. ეჭვი არ შემპარვია, რომ ეს ამბავი მისტერ ჰითქლიფის ყურამდე ძალიან სწრაფად მიაღწევდა, შინ დაბრუნებული ქალბატონი კი მამამის დაკითხვას მოუწყობდა, საიდან მყავს ასეთი შეუფერებელი დედამიშვილი. ნაწყენმა ჰერთონმა, მსახურობა როგორ მკადრესო, ქეთის წუხილის დანახვაზე ცოტა გული მოიბრუნა. პონი კარამდე მოუყვანა, მერე ძაღლის ხუხულიდან ერთი ფეხკავმა ტერიერის ლეკვიც გამოიყვანა და გაუნოდა, შვერივდეთო. ქეთიმ წუნუნი შეწყვიტა, ბიჭი და ძღვენი შეათვალიერა შემინებულმა და ისევ ატირდა.

მწარედ გამეღიმა ამ სცენაზე: ქეთიმ ხომ ზიზღით სწორედ ამ ყმაწვილს შეხედა, რომელსაც აღნავობაც კარგი ჰქონდა და სახეზეც შესახედი ეთქმოდა ლამაზი ნაკვთების პატრონს. ჯანმრთელი და ჯანიანი ბიჭი იყო, თუმცა კი სამოსი ყოველდღიური საქმიანობის, – რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ფერმაში ემუშავა და ჭაობში ბოცვრებისთვის ედევნა და ენადირა, – სრულიად შესაფერი ეცვა. სახეზე დავაკვირდი, რომ უკეთესი შტრისები მეპოვა, ვიდრე მამამისს ჰქონდა. კარგი შტრისები ნოყიერ ნიადაგზე სარეველების უდაბნოში გაფანტულიყო, რომლებიც საგრძნობლად იყო ამოზრდილი, თუმცა კი სხვა ვითარებაში ამ ნიადაგზე ნაყოფიერი მოსავლის მიღებაც არ იქნებოდა მოულოდნელი. მისტერ ჰითქლიფი, მე მგონი, ფიზიკურ შეურაცხყოფას ვერ მიაყენებდა, რადგან ბიჭს საკმაოდ ძლიერ აღნავობასთან ერთად უშიშარი გამომეტყველებაც ჰქონდა, რაც მის წინაპირობაა, რომ მსგავს მოპყრობას ვერ შეეგუებოდა: იმდენად არ ტოვებდა მოკრძალებული და თავდახრილი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომ ჰითქლიფს მასთან ძალადობრივი გზით ურთიერთობის სურვილი გასჩენოდა. პირიქით, ჰითქლიფმა მთელი თავისი სიძულვილი და ღვარძლიანობა იქითკენ მიმართა, რომ ერნშოს ბიჭი უხეში და ხეპრე ჩამოყალიბებულიყო. წერა-კითხვაც კი არ უსწავლევია მისთვის; არც უკადრისი საქციელისთვის მიუცია საყვედური, თუკი თავად მას არ უშლიდა ხელს რამეში. არასდროს უბიძგებია მისთვის სათნოების გზაზე დასაყენებლად, თუმცა არც მანკიერებისგან დასაცავად უღონია რამე. ჰერთონის მომავლის წახედებაში ლომის წილი, როგორც მე ვიცი, ჯობესსაც მიუძღვის, რადგან მასში ძველი დიდებული ოჯახის გამგრძელებელს ხედავდა და ყველაფერში ათამამებდა, უფრო სწორად, რყვნიდა. თუკი წინათ «ბილნი ონავრობის» გამო ბატონის გაბრაზებას მოზარდ ჰითქლიფსა და ქეთონის აბრალებდა და დასკვნაც გამოჰქონდა, თქვენ გამო მიჰყო ბატონმა ხელი სმასო, ახლა ერთადერთ სამიზნედ ის ჰყავდა ამოღებული, ვინც ერნშოების ქონება მითვისა და ჰერთონი მშრალზე დატოვა. ბიჭი თუ შეიგინებოდა, შენიშვნას არაფრისდიდებით არ მისცემდა, რაც უნდა დაეშავებინა, ხმის ამომღები არ იყო.

ჯოზეფს, ეტყობა, სიამოვნებდა, რომ ბიჭი ხელიდან მიდიოდა, მომავალი ენგრეოდა, სული ესპობოდა, ალბათ ფიქრობდა, ჰითქლიფმა აგოს ამაზე პასუხიო. მიაჩნდა, ჰერთონის სისხლი ჰითქლიფის ხელეზბგეო და ამაში, ვფიქრობ, ყველაზე მეტად ცდებოდა. ჯოზეფმა ბიჭს გვარისა და წარმომავლობის გამო სიამაყე ჩაუნერგა. რომ შეძლებოდა, «უღელტეხილის» ახალი მფლობელის მიმართ სიძულვილის გაღვივებამდე არ დაიხვედა უკან, მაგრამ ჰითქლიფისა ცურუნმნობამდე მისული შოპით ეშინოდა. თავის გრძნობებს, ბუნებრივია, აშკარად ვერ გამოხატავდა, ამიტომ გადაკრულ სიტყვებს, ბურტყუნს და ზეციური სასჯელის მუქარას სჯერდებოდა. ვერ დაეჩივებ, იმ პერიოდში «უღელტეხილში» ცხოვრების წესს კარგად ვიცნობდი-მეთქი, ამიტომ ოდენ გავგონილი ხმების თანახმად მოგახსენებთ, ჩემი თვალთ კი ბევრი არაფერი მინახავს. სოფელელები ამბობენ, მისტერ ჰითქლიფი ძუნნი და უღმობელი მემამულე იყო დაქირავებული მუშების მიმართ; მაგრამ სახლს კი მიხედა თურმე, მით უმეტეს, ქალმა რომ შეავლო ხელი, ყველაფერმა ძველებური სიმყუდროვე დაიბრუნა და სიმშვიდემ დაისადგურა, რაც ჰინდლის ცხოვრების პერიოდში ერთხელაც არ ღირსებია იმ კედლებს. ბატონი იმდენად შუბლშეკრული ყოფილა, რომ ახლო ურთიერთობას არავისთან ეძებდაო, არც კარგთან, არც ცუდთან; ახლაც ასეა.

ეჰ, ასე მოსაყლოს ვერასოდეს მოვაბამ ბოლოს. მის ქეთიმ შესარიგებლად ბოძებულ ტერიერზე უარი განაცხადა და თავისი ძაღლები, ფენიქსი და ჩარლი მოითხოვა. თავჩაქინდრულები და დაკოჭლებულები ძლივს მოლახლახდნენ მწვერები და ჩვენც შინისაკენ გავუდექით გზას, ორივენი ჩვენ-ჩვენი საწახრით დაღვრემილ-დაღონებულნი. პატარა ქალბატონს ხმა ვერ ამოვალეზინე ჩავლილ დღესთან დაკავშირებით. მხოლოდ ის ამოვალერღინე, რომ ფენისთონ-ქრეგისკენ წასულა კაი მომლოცველივით, გზად კი «ქარიშხლიან უღელტეხილთან» ჩაუვლია და ჭიშკრიდან გამომავალ ჰერთონს გადაწყდომია, რომელსაც თურმე ძაღლების ხროვა გამოჰყავდა – სწორედ ეს ამაღა დასხმია თავს მის ქარავანს. დაუნდობელი ბრძოლაც გაჩაღებულა, სანამ პატრონები არ ჩარეულან მათ გასაშველებლად, უფრო სწორად, დასაცალცალკევებლად. ქალ-ვაჟის გაცნობაც ასე მომხდარა. ქეთრინს თავისი ვინაობა გაუმხელია ჰერთონისთვის და არც ის დაუმალავს, საით ედო გზა, თუმცა მიმართულების ჩვენება კი უთხოვია და ბოლოს დაუყოლიებია კიდევ. ბიჭსაც გაუმხელია «ელფების გამოქვაბულისა» და სულ ცოტა, ოცი უცნაური ადგილის საიდუმლო. მაგრამ რაკი ჩემზე გამწყრალი ბრძანდებოდა მოგზაური ქალბატონი, პატივი არ დამდო, რომ თავისი თვალთ ნანახი საინტერესო რამეების შესახებ საკუთარი აზრი გამოეთქვა. როგორც მივხვდი, მანამდე იყო თავისი მეგზურით მოხიბლული, სანამ ვაჟის გულისწყრომას გამოინგვედა მისთვის უკადრისი, მსახურის სადარი მიმართვით. ჰითქლიფის მნემ კი იმით შეულახა თავმოყვარეობა, ამ ბიჭს მისი დედიძემიშვილი რომ უწოდა. თან ჰერთონმა გაუგონარი სიტყვები ჰკადრა, რამაც კიდევ უფრო ატკინა გული – სახლში ხომ მხოლოდ «საყვარელოს», «გენაცვალეს», «დედოფალოს» და «ანგელოზს» ვეძახდით! ამ კადნიერებას ვერაფრით მიიღებდა, ამიტომ დიდხანს მომიწია დაყოლიებამ, ბოლოს პირობაც კი ჩამოვართვი, რომ მამამისთან არ მიირბენდა საჩივრით. ავუსენი, მამამენს ყველაფერი სძაგს, რაც «ქარიშხლიან უღელტეხილს» უკავშირდება და არ მოეწონება, შენი იქ ყოფნის ამბავი

რომ გაიგოს-მეთქი. უფრო მეტად კი იმაზე გავამახვილებინე ყურადღება, რომ თუკი ბატონი შეიტყობდა, როგორ ვერ გავუფრთხილდი მის ქალიშვილს, დანაბარების შეუსრულებლობით, მაშინ თქვენი დატოვება მომიწევს-მეთქი. ქეთის კი ამის გაგონებაც არ უნდოდა. სიტყვა მომცა, კრინტს არ დავძრავო, და არც გაუტეხავს. რაც უნდა იყოს, მაინც საყვარელი პატარა გოგონა იყო.

თავი 19

შვარშიამოვლებულმა წერილმა ბატონის ჩამობრძანების დღე მამცნო; იზაბელა გარდაცვლილი იყო, ამიტომ ედგარი მწერდა, გოგონა სამგლოვიაროდ განაწყვე და გამოაწყვეო; ამას გარდა, ოთახიც მოსამზადებელი იყო და პატარ-პატარა საქმეებიც უნდა მომეთავებინა, რომ ახალგაზრდა სტუმარი სკადრისად მიგველო სახლში. ქეთრინმა სიხარულით ხტუნაობა დაიწყო, რომ გაიგო, მამიკო ჩამომდისო. მთელი დღე ენა არ გააჩერა, თავისი «ნამდვილი ნათესავის», მამიდაშვილის, აურაცხელ ბრწყინვალე თვისებაზე დაიწყო ტიტინი. მათი ჩამოსვლის საღამოც დადგა. დილიდან თავის «საქმეებს» აგვარებდა და მოსალამოებულზე ახალ, შავ კაბაში გამოეწყო – სანყალი! მამიდამისის სიკვდილს სერიოზული მწუხარებით არ შეხვედრია, რადგან სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა: დამიჩემა, უნდა გამოგვეყ და ჩამოსულებს ერთად დავხვდეთო.

– ლინთონი ჩემზე სულ რაღაც ექვსი თვით უმცროსია, – მეტიტინებოდა, როდესაც ხეების ჩრდილქვეშ ტორფნარის ოღროჩოღრო გზაზე მივდიოდით ნელ-ნელა, – რა სასიამოვნო იქნება, ამხანაგი რომ მეყოლება და ერთად ვითამაშებთ! იზაბელა მამიდამ მამიკოს მისი თმის კულული გამოუგზავნა, ჩემზე უფრო ქერა თმაა, მთლად თავთუხისფერია და ძალიან ფაფუკი! მინის ფლაკონში ვინახავ სათუთად და სულ ვფიქრობ ხოლმე, რა კარგი იქნებოდა, მისი პატრონი რომ მენახა-მეთქი. ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ მამიკო ჩამომდის! ჩემი მამიკო! წამო, ელენ, სირბილით წავიდეთ, წამო!

ქეთი ხან მისწრებდა, ხან უკანვე ბრუნდებოდა და მერე ისევ გარბოდა, სანამ ჩემი მძიმე ნაბიჯით ჭიპკრამდე მივალწვედით. მერე მორისგან გამოთლილ სკამზე ჩამოჯდა და მოთმინებით დაიწყო ლოდინი, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო ასეთ მდგომარეობაში, რამეთუ ერთსა და იმავე ადგილას წუთზე მეტ ხანს გაჩერება უჭირდა.

– რამდენ ხანს ანდომებენ! – დაიწუნა მან, – უი, გზაზე რაღაც მტვერივით შევნიშნე – მოდიან! არა! როდის უნდა იყვნენ აქ? იქნებ ჩვენ წავსულიყავით ცოტა წინ, ელენ, ნახევარი მილით მაინც, მხოლოდ ნახევარი მილით, ჰა? მითხარი «კი», გეხვეწები, აი, მხოლოდ იმ არყის ხეების წყებამდე მივიდეთ, მოსახვევში რომ ჩანს!

მტკიცე უარი ვუთხარი. როგორც იქნა, მის მტანჯველ მოლოდინს ბოლო მოეღო: სამგზავრო ეტლი გამოჩნდა თვალსაწიერზე. როგორც კი მოახლოებულზე ფანჯრიდან გამოშვრალი მამამისის სახე გააჩნია, ხელები გაიწვინა და ყიჟინა ატეხა. ამის დანახვაზე ედგარი ეტლიდან ჩამოხტა და ლამის ქეთივით მოუთმენლად გამოიქცა მისკენ; კარგა ხანი გავიდა მანამდე, სანამ სხვა ვინმეს შეამჩნევდნენ კიდევ. სანამ მამა-შვილი ერთმანეთის ხვევნა-კოცნით იყო გართული, ეტლში შევიხედე, რომ ლინთონი მენახა. ბიჭს კუთხეში მიეძინა და თბილი, ბენვიანი მოსასხამი ეფარა, თითქოს ზამთარი ყოფილიყო. ფერმკრთალი, დახვეწილნაკვთება, ქალივით განაზებული ბიჭი იყო, რომელიც უცხოს ჩემი ბატონის უმცროსი ძმა უფრო ეგონებოდა, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს. მაგრამ მის სახეზე ავადმყოფური უჩინარობაც იკითხებოდა, რაც ედგარს საერთოდ არ ახასიათებდა. ამ უკანასკნელმა დაინახა, რომ ვუყურებდი და ხელით მანიშნა, კარი მიუხურეო, რადგან მგზავრობას ბიჭი დაექანცა და მოსვენება ესაჭიროებოდა. ქეთისაც სურდა, ერთხელ მაინც შეეველო მძინარე ბიჭისთვის თვალი, მაგრამ მამამ უხმო და ჰარკის გავლით წავიდნენ სახლში, მე კი სირბილით წავედი მოკლე გზით, რომ მსახურები მომემზადებინა.

– ახლა კი, ჩემო საყვარელო, – წარმოთქვა მისტერ ლინთონმა, როდესაც კიბის რამდენიმე საფეხური უკვე ავლილი ჰქონდათ და თავის ქალიშვილს შეხედა, – მინდა, გითხრა, რომ შენი მამიდაშვილი შენსავით ძლიერი და მხიარული არ არის, თანაც ახლახან დედა დაკარგა; ეს არ დაგავიწყდეს და მალევე არ მოსთხოვო, გეთამაშოს და გდიოს. ბევრი ტიტინთაც ნუ შეაწუხებ. დაე, ამ საღამოს მშვიდად იყოს. მპირდები?

– დიახ, დიახ, მამიკო, – მიუგო ქეთრინმა, – მაგრამ მისი ნახვა რომ მინდა?! მას კი ერთხელაც არ გამოუხედავს.

ეტლი შეჩერდა და მძინარე ბიჭი ბიძამისმა ასწია და გადმოიყვანა.

– აი, შენი მამიდაშვილი, ქეთი, ლინთონი, – თქვა უფროსმა ლინთონმა და პატარა ხელები ჩამოართმევინა ერთმანეთისთვის, – ქეთის უკვე უყვარხარ, ლინთონ, და იყოლე, ამაღამ არ ატირდე, რომ არ აწყენინო. ცოტა გახალისდი. მოგზაურობა დასრულდა და შენ დასვენებისა და თავის შექცევის გარდა, არაფერი გვეალება.

– მაშინ დაგვები, – თქვა ბიჭმა და მისაალერესებლად მიახლოებული ქეთისგან უკან დაიხია. თითებით უეცრად მომღგარი ცრემლები მოიწმინდა.

– მოდი, შიგნით შევიდეთ, შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ, – ჩაეჩურჩულე და ოთახში შევიყვანე, – თორემ ასე ქეთისაც აატირებ. ნახე, როგორ ეცოდები.

არ ვიცი, ეს მამიდაშვილის გამო მორეული დარდი იყო თუ რა, მაგრამ ქეთიმაც ბიჭუნასავით დარდიანი გამომეტყველება მიიღო და ისევ მამასთან მიიბრინა. სამივემ ერთად განაგრძო გზა და ბიბლიოთეკაში ამოვიდნენ, სადაც ჩაი უკვე მოეტანათ. პატარა ლინთონს ქელი და მოსასხამი ჩამოვართვი და მაგიდასთან სკამზე დავესვი. თუმცა დაჯდომა და ტირილის დაწყება ერთი იყო. ჩემმა ბატონმა ჰკითხა, რა მოხდაო:

– სკამზე ვერ ვჯდები, – ამოისლუკუნა ბიჭმა.

– მაშინ დივანზე გადაჯექი და ელენი იქ მოგართმევს ჩაის, – მოთმინებით ურჩია ედგარმა.

შევატყვე, გზაში თვითონაც დაეღალა ამ ჭირვეულ ბიჭს, რომელიც ნელ-ნელა წალასლასდა დივნისკენ და წამოწვა. ქეთიმ პატარა სკამი მიარბენინა იქვე ახლოს და თავისი ფინჯნით ჩამოუჭდა. თავიდან გოგონა ხმაამოუღებლად იჯდა. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გასტანდა. გადანწყვიტა, მამიდაშვილი გაენებოვრებინა, როგორც აპირებდა კიდევ და ჯერ თმაზე დაუწყო ფერება, მერე ლოყებზე – კოცნა. ბოლოს თავისი ლამბაქიდან ჩაის მოსმაც კი შესთავაზა, თითქოს მთლად პატარა ბალღი ყოფილიყო. ეს სტუმარს ესიამოვნა, ცოტა გუნებაც გამოუკეთდა. თვალები ამოიმშრალა და სუსტმა ღიმილმა გაუნათა სახე.

– ოჰ, აქ კი ნამდვილად მოიკეთებს, – ერთი წუთის განმავლობაში მათთვის თვალის დევნების შემდეგ მითხრა მისტერ ლინთონმა, – კარგიც კია, ჩვენთან რომ უნდა იყოს, ელენ, თავისივე ასაკის ბავშვის გვერდით ყოფნა მის სულიერ მდგომარეობაზე გამაჯანსაღებლად იმოქმედებს, ჯანზე მოსვლა მოუნდება და მოვა კიდევ.

თუ შეგვარჩენენ, კი-მეთქი, – გავიფიქრე. უსიამო შიში დამეფუტლა, რადგან ამის იმედი თითქმის არ მქონდა. გარდა ამისა, გულზე შემომეყარა, ამ ჭიამკვდარამ «ქარიშხლიან უღელტეხილში» როგორ უნდა იცხოვროს-მეთქი. მამამისსა და ჰერთონთან თუ მოხვდებოდა, რა დამრიგებლები ეყოლებოდა! ამ ეჭვებს ძალიან მალე გაეცა პასუხი, – იმაზე ადრეც, ვიდრე ვიფიქრებდი, – ის იყო, ბავშვები ზედა სართულზე ავიყვანე დასაძინებლად, რადგან ჩაის სმა უკვე დასრულებული იყო და სტუმარსაც ეძინებოდა (თუმცა იქამდე ვუჯექი გვერდით, სანამ თვალები არ მილულა), ისევ ქვემოთ ჩამოვბრუნდი და ჰოლოში მაგიდასთან შევჩერდი, რომ მისტერ ედგარისთვის საძინებლის სასანთლე ამენთო, სამზარეულოდან მოახლე გოგონა გამოვიდა და მოგვახსენა, მისტერ ჰითქლიფის მსახური მოვიდა და ბატონთან დალაპარაკება სურსო.

– ჯერ მე ვკითხავ, რა უნდა, – წარმოვთქვი საგრძნობლად ათრთოლებულმა, – ფრიად შეუფერებელი დროა ხალხის შესაწახებლად. თან ამხელა გზა გამოიარეს. არა მგონია, ბატონმა მისი ნახვა ინებოს.

ამ სიტყვებს რომ ვამბობდი, ჯოზეფს სამზარეულო გამოველო და ახლა ჩემ წინ იდგა კართან. საკვირაო სამოსში გამოწყობილიყო, სახეზე ფარისევლური და მუავე გამომეტყველება ჰქონდა, ცალ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეში – ქუდი. ნოხზე ფეხსაცმელი გაიწმინდა.

– საღამო მშვიდობისა, ჯოზეფ, – ვუთხარი ცივად, – ასე გვიან აქ რამ მოგიყვანათ?

– მისტერ ლინთონს უნდა ველაპარაკო, – მითხრა და მედიდურად გვერდი ამიარა.

– მისტერ ლინთონი უკვე წვება. თუკი რამე პირადი და მნიშვნელოვანი არ გაქვთ სათქმელი, არ მგონია, მოგისმინოთ. – განვაგრძე მე, – ჯობია, აქ დამჯდარიყავით და ჩემთვის გადმოგეცათ.

– რომელია მისი სამყოფელი? – დაიჟინა მოხუცმა და დაკეტილი კარების მწკრივს გააყოლა თვალი.

მივხვდი, ჩემი წინადადება არაფერად ჩააგდო, ამიტომ ძალიან უხალისოდ ავედი ბიბლიოთეკაში და ბატონს უდროო სტუმრის მოსვლა ვაუწყე, თან ვურჩიე, ხვალამდე გადაუღეთ შეხვედრა-მეთქი. მისტერ ლინთონს იმისი დროც არ ჰქონია, რომ უფლება მოეცა, ჩემი რჩევა ძალაში მომეყვანა, რამეთუ ჯოზეფი ფეხდაფეხ მომყოლია და წამებში ოთახში შემოაბიჯა; მაგიდის მეორე ბოლოში მოკალათდა და ორივე ხელი ჯოზეფს დააყრდნო. ისეთი აღმატებული ტონით დაიწყო, თითქოს წინააღმდეგობას ელისო:

– ჰითქლიფმა თავისი ვაჟის წასაყვანად გამომგზავნა და უმისოდ ვერ წავალ.

ელგარ ლინთონი წუთით დადუმდა; სახეზე მოჭარბებული სევდა აღებეჭდა. ბიჭი ისედაც ენანებოდა მამის ხელში ჩასაგდებად, რასაც ზედ იზაბელას თხოვნა ემატებოდა, ბიჭს მიმიხედო, არ ავიწყდებოდა არც ნდობით აღჭურვა, რომ ლინთონისთვის მფარველობა გაენია, ამიტომ გულში ფიქრობდა ალბათ, ნეტავ როგორ ავიცილო ეს უსიამოვნო წინადადება თავიდანო. ვერავითარი გეგმა ვერ შეადგინა, რომ ეთქვა, არ გაგატანთო, ჰითქლიფი უფრო დაჟინებით მოითხოვდა თავის ნაშიერს. დამორჩილების მეტი არაფერი დარჩენოდა. მიუხედავად ამისა, მძინარე ბავშვის გაღვიძებას არ აპირებდა.

– მისტერ ჰითქლიფს გადაეცით, – მშვიდად მიუვო, – რომ მისი ვაჟი «ქარიშხლიან უღელტეხილში» ხვალ ჩავა. უკვე წევს, თან გრძელი გზის გამოვლით ისეთი დაღლილია, რომ დამატებით მანძილს ვეღარ გაივლის. ასევე მოახსენეთ, რომ ლინთონის დედას სურდა, ბიჭი მე გამეზარდა. ამჟამად კი მისი ჯანმრთელობა მეტისმეტად სავალალო მდგომარეობაშია.

– არა! – თქვა ჯოზეფმა და ჯოხი იატაკს დასცხო თავისი ყრუ ხმისთვის მეტი ავტორიტეტულობის შესაძენად, – არა-მეთქი! არა და არა. ჰითქლიფს არც დედამისის აზრი აინტერესებს და არც თქვენი. თავისი ვაჟი უნდა და მე უნდა მივეყვანო, მორჩა და გათავდა!

– ამაღამ ვერ წაიყვანთ! – მოუჭრა ლინთონმა, – ახლავე გაბრძანდით აქედან და თქვენს ბატონს ჩემი სიტყვები მოახსენეთ. ელენ, უჩვენეთ კიბე. მიბრძანდით...

ბატონმა აღშფოთებულ ბერიკაცს მკლავში გამოსდო ხელი, ოთახიდან გააბრძანა და კარი შეიკეტა.

– ძალიან კარგი! – აყვირდა ჯოზეფი და ნელ-ნელა წაბლაყუნდა, – ხვალ თავად რომ მოგადგებათ, აბა, გაუბედეთ და ისიც ჩემსავით გაუძახეთ!

იმის შიშით, ჰითლერიფმა მექარა არ აასრულოსო, მისტერ ლინთონმა მე დამავალა, დილით ადრევე შესვი ქეთრინის პონიზე და წაუყვანე მამამისისო;

– რაკი ახლა ბიჭის მომავალზე ვერავითარ გავლენას ვერ ვიქონიებთ, ვერც კარგს და ვერც ცუდს, ჯობია ჩემმა ქეთრინმა სულ არაფერი იცოდეს ლინთონის ადგილსამყოფლის შესახებ. აჯობებს, წარმოდგენას არ ჰქონდეს, რომ ახლოს იქნება, რათა «უელტრეხილის» მონახულების სურვილი არ გაუჩნდეს. უბრალოდ უთხარით, მამამისმა მოითხოვა უეცრად ბიჭის თავისთან გადაყვანა და ჩვენც გაშვება მოგვიხდაო.

პატარა ლინთონს დილის ხუთზე ადგომა არ ეამა და გაოცდა, როდესაც გაიგო, რომ კიდევ ერთხელ უნდა გასდგომოდა გზას. მაგრამ ვეცადე, უფრო რბილად მეთქვა მისთვის ეს ამბავი და ვუთხარი, მამაშენს შენი ნახვა სურს და ცოტა ხანს მასთან მოგიწევს ცხოვრება-მეთქი. ისიც დავუმატე, ერთი სული აქვს, როდის ექნება შენი ნახვის ბედნიერება და ამიტომ მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ გაგამგზავროთ მასთან დასვენების გარეშე-მეთქი.

– მამაჩემს?! – წამოიყვირა გაოგნებულმა, – დედიკოს არაფერი უთქვამს მის შესახებ. სად ცხოვრობს? ისე კი, ბიძაჩემთან დარჩენა მერჩიენა.

– «შაშვებიდან» არცთუ შორს, – ვუპასუხე, – აი, იმ მთების იქით. ასე რომ, როდესაც მომჭობინდები, შეგეძლება, ფეხითაც ჩამოხვიდე ხოლმე ჩვენთან. კმაყოფილი უნდა იყო, მისი გაცნობის და მის სახლში ყოფნის საშუალება რომ გეძლევა. უნდა სცადო და ისევე შეიყვარო, როგორც დედიკო გიყვარდა, მერე მამაც შეგიყვარებს.

– თუ ასეა, აქამდე რატომ არ მსმენია მისი სახელი? – იკითხა ლინთონმა, – ან რატომ ერთად არ ცხოვრობდნენ დედა და მამა, როგორც ყველა?

– ჩრდილოეთში ცხოვრობდა, საქმეები ჰქონდა, – ვუპასუხე ბიჭს, – დედაშენს კი ჯანმრთელობა არ აძლევდა სიცივეში ცხოვრების საშუალებას და სამხრეთში დარჩა.

– ვერ ვხვდები, დედას რატომ ერთხელაც არ ჰყავდა ნახსენები? – არ ცხრებოდა ბავშვი, – ბიძაჩემს ხშირად ახსენებდა ხოლმე და მეც ბავშვობიდანვე შევიყვარე, მაგრამ მამა როგორ შევიყვარო, არ ვიცი.

– ოჰ, ყველა ბავშვს უნდა უყვარდეს მშობლები, – ვუთხარი დასამშვიდებლად, – ალბათ დედაშენს ეშინოდა, ხშირად რომ ვუხსენო მამა, მასთან ცხოვრება არ მოინდომოსო. მოლი, ავჩქარდეთ. ასეთ ლამაზ დილას ჯობია გზას გავუდგეთ, ვიდრე ძილს მივცეთ თავი.

– ის პატარა გოგოც ჩვენთან ერთად წამოვა, გუშინ რომ ვნახე?

– ახლა ვერა, – მშვიდად მივუგე.

– ბიძა?

– ვერც ის, მე გამოგყვები, – დავამშვიდე.

ლინთონი ბალიშზე გადაწვა და მოიღუპა.

– მის გარეშე ფეხსაც არ გამოვადგამ, – დაიყვრა სიმწრით, – მე რა ვიცი, სად მიგყავართ.

ვცადე, დამეყოლიებინა, დავანამუსე კიდევ, სად გავგონილა, წესიერი ბიჭი მშობელ მამასთან შეხვედრაზე უარს ამბობდეს-მეთქი, მაგრამ ისე გაჯიუტდა, ტანსაცმელს რომ ვაცმევდი, ბიძამისის მოხმობამ მომიწია, რომ მას მაინც დაერწმუნებინა. საწყალი ბიჭი საბოლოოდ დავიყოლიეთ მაცდუნებელი დაპირებებით: მალე დავაბრუნებთო, მე და ქეთი მოგინახულებთო და კიდევ ათასი რამ ვუთხარით. გზაშიც არაერთი ტყუილის თქმამ მომიწია, რომ წინააღმდეგობის გარეშე მიმეღწია მის ახალ ბინამდე. სუფთა ჰაერში ერიკას სურნელი ტრიალებდა, მზე დაგვნათობდა და მინიც ისე მინავარდობდა, რომ დარდი მეტნაკლებად გაუქარწყლდა. უკვე ახალ სახლსა და მის ბინადრებზე დამიწყო კითხვების დასმა, თანაც დიდი ინტერესითა და გამოცოცხლებით.

– «ქარიშხლიანი უღელტეხილიც» ისეთივე წარმტაცია ადგილია, როგორიც «შაშვების კარმიდამო»? – მკითხა და უკან შეტრიალდა, რომ უკანასკნელად მოეგლო თვალი ხეობისთვის, საიდანაც მსუბუქი ნისლი გრუზა ღრუბლად ეფინებოდა ლურჯი ცის კიდეს.

– ხეებში ჩაფლული არ არის, – მივუგე მე, – არც ძალიან ფართოა, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი კარგად ჩანს. ჰაერი კი უფრო სუფთა და მშრალია, რაც შენს ჯანმრთელობას წაადგება. ერთი შეხედვით ალბათ ძველისძველი და ჩაბნელებული მოგეჩვენება სახლი. მაგრამ დიდებული სახლია, ამ მიდამოებში მეორე ეთქმის დიდებულიებით. დეკით მოფენილ ჭაობნარში სეირნობას შეძლებ. ჰერთონ ერნშო, ქეთის დეიდშიშვილი, გარკვეულწილად შენი ნათესავიც გამოდის, საინტერესო ადგილებს დაგათვალიერებინებს. კარგ ამინდში შეგიძლია, წივნი გაიტანო და ხის ჩეროში იკითხო. შიგადაშიგ ბიძაშენიც წავიყვანს ხოლმე ტყეში, მთაში სიარული უყვარს ძალიან.

– როგორია მამაჩემი? – იკითხა მან, – ბიძასავით ახალგაზრდა და ლამაზია?

– ახალგაზრდაა, – ვუპასუხე, – მაგრამ შავი თმა და თვალები აქვს, თან მკაცრი გამომეტყველება. მასზე უფრო მაღალი და ჩასკვნილია. შეიძლება, თავიდან ზრდილი და სათნო არც მოგეჩვენოს, მაგრამ რას იზამ, ეს მისი ცხოვრების წესია. მაგრამ გახსოვდეს: გულწრფელი და თბილი დამოკიდებულება გქონდეს მის მიმართ და ისიც უფრო საყვარელი გახდება, ვიდრე რომელიმე ბიძა, რადგან მისი ვაჟი ხარ.

– შავი თმა და თვალეები აქვს? – დანტერესდა ლინთონი, – ვერ წარმომიდგენია. გამოდის, მე არ ვგვანებივარ.

– დიდად არა, – იოტისოდენადაც კი არა-მეთქი, გავიფიქრე, როდესაც მის უფერულ თმას, დაჭყეტილ, მაგრამ უსიცოცხლო თვალეებს და სუსტ აღნაგობას შევავლე მზერა. დედამისის თვალეები ჰქონდა, ნათელში იყოს მისი სული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნაპერწკლები აკლდა, თუკი, რა თქმა უნდა, სიბრაზით არ აენთებოდა.

– რა უცნაურია, რომ არასდროს ჩამოსულა ჩემი და დედიკოს სანახავად! – ჩაილაპარაკა გოაცებულმა, – ოდესმე თუ ვყავარ ნანახი? თუკი ვყავარ, ე. ი. ჩვილი ბავშვი უნდა ვყოფილიყავი. სულ ოდნავადაც კი არ მახსენდება!

– სამასი მილი მცირე მანძილი როდია გასავლელად, მისტერ ლინთონ, – მივმართე ბიჭს, – ათი წელიწადი კი ზრდასრული ადამიანისთვის იმხელა დრო არ არის, რამხელაღ თქვენთვის. ვინ იყის, იქნებ მისტერ ლინთონი ყოველ ზაფხულს აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ საშუალება არ მიეცა. ახლა ეს უკვე ჩავლილი ამბავია. ჯობია, ამ საკითხზე ზედმეტი კითხვები არ დაუსვა, კარგს მაინც არაფერს მოიტანს.

მთელი გზა ბიჭი ფიქრებში იყო ჩაფლული, სანამ ბალის ჭიშკარს არ მივადექით. სახეზე ვუყურებდი, რომ რაიმე სახის შთაბეჭდილება მაინც დამეფიქსირებინა. მოჩქერთმებულ ფრონტონსა და ვინროდარაბიან ფანჯრებს შევავლო თვალი, მერე ხურტკმლის ბუჩქებსა და დაღრეცილ ნაძვებს შეხედა სერიოზული სახით და თავი გადააქნია: ეტყობა, გულში ვერ მოიწონა ახალი საცხოვრისის იერი. მაგრამ პრეტენზიის გამოთქმას, ღუმილი ამჯობინა, ვინიცობაა, შიგნით დახვედროდა კომპენსაცია. სანამ ცხენიდან ჩამოხტებოდა, მივედი და კარი გავაღე. შვიდის ნახევარი იყო; ოჯახს ახალი მოთავებული ჰქონდა საუზმობა. მსახური მაგიდას წმენდდა. ჯობეფი თავის ბატონთან იდგა და კოჭლ ცხენზე რალაცას უყვებოდა; ჰერთონი სათბში წასასვლელად ემზადებოდა.

– გამარჯობა, ნელი! – მომესალმა მისტერ ჰითქლიფი, როგორც კი დამინახა, – უკვე ვშიშობდი, მე მომიწევს ჩასვლა და ჩემი საკუთრების ჩემი ხელით წამოყვანა-მეთქი. ჩამომიყვანე, არა? მოიყვანე, აბა, ვნახოთ, ვინ არის და რად ვარგა.

ფეხზე ადგა და კარისკენ წამოვიდა: ჰერთონი და ჯომეფიც წამოვიდნენ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. სანყალი ლინთონი შეშინდა და სამივეს შეავლო თვალი.

– აშკარაა, – სერიოზული დაკვირვების შემდეგ დაასკვნა ჯომეფმა, – რომ გაგაცურეს, ბატონო, გოგონა შემოგატყუეს!

ჰითქლიფმა თავის ვაჟს დაბნეულად შეხედა და ზიზღნარევად გაიციანა.

– ღმერთო! ეს რა სილამაზეა! ეს რა სათნო, მომხიბვლელი რამ არის! – წამოიძახა, – ლოკოკინებითა და ამჟავებული რძით ხომ არ ზრდიდნენ, ნელი? ოჰ,

სულო ჩემო წყეულო! იმაზე უარესი შემრჩა ხელში, ვიდრე ველოდი – არადა, ეშმაკმაც კი იცის, რომ ოპტიმისტი არ ვარ!

აკანკალებულ და შემსბარ ბავშვს ვუთხარი, ცხენიდან ჩამოდი და შინ შემოდი-მეთქი. ბიჭმა ჯეროვნად ვერ აღიქვა მამამისის სიტყვები და ვერც ის, რამდენად ეხებოდა მას ნათქვამი, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული მაინც არ ჩანდა, იყო თუ არა ეს უცხო, წარბეკრული და გესლიანი კაცი მისი მამა. ათრთოლებული მომეკრა. მამამისი დაჯდა და შვილს მიმართა, აქ მოდიო, ამის გაგონებაზე ლინთონმა სახე მხარზე მომაბჯინა და ატირდა.

– უჰ, უჰ! – წყენა არ დამალა ჰითქლითმა, თავისკენ მიიზიდა ბიჭი, მუხლებს შორის მოიქცია და ნიკავით თავი აანევიანა, – ეს სისულელე რა საჭიროა! შენს წყენინებას არ ვაპირებთ, ლინთონ, ასე არ გქვია? სულ დედაშენს დამსგავსებია! ჩემი რალა გამოგყვა, შე წრიპინა წინილავ?

ბიჭს ქუდი მოხადა და ხშირი კულულები გადაუნია, ნაზ მკლავებზე ხელი ჩამოუსვა თითებამდე. ამ გასინჯვისას ლინთონმა ტარილი შეწყვიტა და დიდი ლურჯი თვალეებით დაუკვირდა დამკვირვებელს.

– მიცნობ? – ჰკითხა ჰითქლითმა, როდესაც დარწმუნდა, რომ ბიჭის სხეულის ყველა ასო მყითფე და უღონო იყო.

– არა, – უპასუხა შიმჩამდგარი თვალეებით.

– ალბათ ჩემი სახელი გაგებული მაინც გექნება.

– არა, – ისევ უარყოფითი პასუხი.

– არაო! სირცხვილი დედაშენს, რომ მამისადმი პატივისცემა არ ჩაგინერგა! ჰოდა, იცოდე, შენ ჩემი ვაჟი ხარ; დედაშენი კი ერთი საქაველი გომბიო ყოფილა, ჩემზე თუ არაფერი გითხრა. აბა, ახლა პრანჭვა-გრეხას მორჩი! თუმცა კიდევ კარგი, განითლება რომ შეგიძლია, თეთრი სისხლი მაინც არ გდგმია ძარღვებში. კარგი ბიჭი თუ იქნები, არც მე ვიქნები ცუდი შენთვის. ნელი, დაღლილი თუ ხარ, შეგიძლია, ჩამოჯდე. თუ არადა, შინსაკენ! ვხვდები, ენაზე კლიტეს არ დაიდებ და რასაც აქ ხედავ და ისმენ, «შაშვებში» ჩაუკაკლავ, ვისაც ჯერ არს. ჰოდა, სანამ აქ იქნები დაყუდებული, მაგ საქმეს ვერ მოახერხებ.

– გასაგებია, – მიუვგე მე, – იმედი მაქვს, ბიჭისადმი სიკეთეს გამოავლენთ, მისტერ ჰითქლით, თუ არადა, დიდხანს ვერ გეყოლებათ. ისიც გახსოვდეთ, რომ ცისქვეშეთში მის მეტი არავინ გაბაღიათ.

– დიდ სიკეთეს გამოვიჩენ, ნუ გეშინია, – სიცილით მითხრა, – ოღონდ სხვამ არავინ უნდა გამოიჩინოს ეს სიკეთე, რადგან ვიფჭვიანებ: მისი სიყვარული მხოლოდ მე უნდა მეკუთვნოდეს. ჰოდა, ჩემი სიკეთის დასტურად, ჯობევ, ბიჭს საუბმე მოუტანე. ჰერთონ, შე ეშმაკის ხბოვ, წალი, იმუშავე. ჰო, ნელი, – დაამატა, როდესაც ყველანი გავიდნენ, – ჩემი ვაჟი თქვენი კარმიდამოს მომავალი მფლობელია და არ მინდა,

მანამდე მოკვდეს, სანამ მე არ მივიღებ მის მემკვიდრეობაზე უფლებას. გარდა ამისა, ჩემი სისხლი აქვს და მსურს, მათი მიწების მფლობელი გახდეს, ისინი კი, საკუთარი მამების მიწებზე სამუშაოდ დაიქირავოს და მხოლოდ პურის ფული უხადოს. მხოლოდ ამ პერსპექტივის გათვალისწინებით შემიძლია, რომ ეს ლეკვი ავიტანო გვერდით. მგზობლა იმის გამო, როგორცაა და მძულს იმის გამო, რა მოგონებებსაც აღმიძრავს! მეტ მიზეზს ვერ დავისახელებ, მაგრამ გეტყვი, რომ ეს ერთი მიზეზიც იკმარებს, რომ აქ ვიყოლიო უსაფრთხოდ და ისევე გავუფრთხილდე, როგორც შენი ბატონი უფრთხილდება თავის ნაშიერს. ზედა სართულზე ოთახი მოვუწყე ლამაზად. აღმზრდელიც დავუქირავე, რომელიც ოცი მილის გამოვლას არ შეუშინდება კვირაში სამჯერ, ოღონდ კი ის ასწავლოს, რასაც ეს მოინადინებს. პერთონი პირად მსახურად დავუქირავე. ფაქტობრივად, ყველაფერი ისე მოვაკვარაბჭინე, რომ მასში ჯენტლმენის თვისებები აღმოცენდეს და იმ კაცად ჩამოყალიბდეს, რომელიც მათზე მაღლა იდგება, ვის წრეშიც მოუწევს ტრიალი. თუმცა ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემს ზრუნვას არ იმსახურებს: თუკი რამეს ვისურვებდი ამქვეყნად, ისეთ შვილს, რომლის გამოც ვიამაყებდი, ამ შრატისასხიანი კნავილას შემხედვარე კი დიდად იმედგაცრუებული ვარ!

სანამ გესლს ანთხევდა პითქლიფი, ამასობაში ჯოზეფმა ჯამით რძიანი ფაფა მოიტანა და ლინთონს წინ დაუდგა. ბიჭმა ამ სოფელურ საკვებს ეჭვის თვალთ დახედა და განაცხადა, პირს ვერ დავაკარებო. შევამჩნიე, რომ ბებერი მსახური ბატონის ზიზღს იზიარებდა ამ ბიჭის მიმართ, მაგრამ ეგ გრძნობა გულში ჩაიმარხა, რადგან პითქლიფს ხელქვეითებისთვის დავალებული ჰქონდა, ჩემს ძეს პატივისცემით მოექცეოთო.

– პირს ვერ დავაკარებ? – ლინთონის სიტყვები გაიმეორა კითხვითი ფორმით, ბიჭს სახეში შეხედა და ხმას დაუნია, არავინ გამიგოსო. – პერთონი კი, თქვენი ხნისა რომ იყო, სხვას არათერს აკარებდა პირს. მე მგონი, რაც მისთვის იყო კარგი, გემრიელი, თქვენთვისაც ასე უნდა იყოს!

– ამას არ შეგჭამ-მეთქი! – შეუღრინა ლინთონმა, – მომაშორეთ აქედან.

ჯოზეფმა თასს ხელი დაავლო და ჩვენთან მოიტანა.

– ერთი მითხარით, რა უჭირს ახლა კერძს? უვარგისია საჭმელად? – პითქლიფს ცხვირთან მიუშვირა.

– უვარგისი რად უნდა იყოს? – ჰკითხა მან.

– ვაჰ, – გამოცოცხლდა ჯოზეფი, – მეც მაგას არ ვამბობ?! სულ დედამისს დამსგავსებია. ისიც ასეთი იყო, ჩვენსას არათერს ეკარებოდა – ჩვენი ხორბალიც არ მოსწონდა დათესილი, რომ პურად ეჭამა.

– დედამისს ნუ ასხენებ ჩემთან, – დაუტია გაბრაზებულმა პითქლიფმა, – ისეთი რამე მოუტანე, რასაც შეჭამს. მორჩა და გათავდა. რას ჭამს ხოლმე ჩვეულებრივ, ნელი?

მე ადულებული ცხელი რძე და ჩაი ვურჩიე, რომ სახელდახელოდ მოეტანათ; მნეს კი საჭირო კერძის მომზადება დავავალე. ესეც ასე-მეთქი, გავიფიქრე, მამის ეგოიზმი ისევ შვილს წაადგებოდა. მიხვდებოდა, რომ ბიჭი სუსტია და უფრო შემწყნარებლურად მოექცეოდა. მისტერ ედვარს ვანუგეშებდი, რომ ვეტყოდი, როგორ შესცვლოდა ჰითქლიფს უნიანი ხასიათი. და რაკი ჩემი მეტხანს დარჩენა ყოვლად მიზანშეუწონლად მივიჩნიე, ავდექი და გამოვედი; ამ დროს პატარა ლინთონი შიშით იშორებდა თავიდან თამაშის გუნებაზე მოსულ ერთ-ერთ ნაგაზს. მაგრამ იმდენად დაძაბული იყო და ყურადღებას არ აღუნებდა, რომ როგორც კი კარი დაფხურე, წამოიყვირა და გაშმაგებული იმეორებდა:

– არ დამტოვოთ! აქ არ დავრჩები! არ დავრჩები!

მერე სავდელი აინია და დაეშვა: გარეთ გამოქცევის საშუალება არ მისცეს. მინის შემოვაჯექი და ჩორთით წამოვიყვიანე. ასე დასრულდა ჩემი მოკლესნიანი მეურვეობა.

თავი 21

პატარა ქეთი ლამის გაგიჟდა იმ დღეს: მხიარულ გუნებაზე გაიღვიძა, ერთი სული ჰქონდა, თავის მამიდაშვილს როდის ნახავდა, ამიტომ როდესაც მისი უეცარი გამგზავრების შესახებ ვაცნობეთ, ვაცეცხლდა; საყვედურები რომ არ გვაკმარა, ცხარე ცრემლები გადმოყარა; ბატონ ედვარს მოუხდა მისი დამშვიდება, დაპირდა, მალე ისევ აქ იქნებაო, მაგრამ იქვე დასძინა, თუკი მოვახერხებ მის ჩამოყვანასო, რისი იმედიც ნამდვილად არ ჰქონდა. ეს დაპირება დიდი ნუგეში არ იყო, მაგრამ დრომ თავისი ქნა. მაგ ამბის მერე მამამისს შიგადაშიგ ჰკითხავდა ხოლმე, როდის დაბრუნდება ლინთონიო, თუმცა მის მესხიერებაში ბიჭის სახე იმდენად გაფერმკრთალდა და წაიშალა, რომ როდესაც მართლაც შეხვდა მამიდაშვილს, ერთხელ ნანახი ყმანვილი ვეღარ იცნო.

თუკი ვიმერთონში «ქარიშხლიანი უღელტეხილის» მნეს გადავანყდებოდი ხოლმე უამიდან უამზე, სულ ვეკითხებოდი, ახალგაზრდა ბატონი თავს როგორ გრძნობს-მეთქი. ლინთონი ხომ ჩვენი ქეთრინივით კარჩაკეტილად ცხოვრობდა და თავად მისი სადმე ნახვა შეუძლებელი იყო. ისიც ერთსა და იმავეს მჰასუხობდა, სუსტი ჯანმრთელობა აქვს და ოჯახსაც ტვირთად აწევსო. არც იმას მალავდა, რომ მისტერ ჰითქლიფი უფრო მეტად გამოხატავდა ზიზღს შვილის მიმართ, ვიდრე უნინ, თუმცა კი გულდასმით ცდილობდა ამის დამალვას. ლინთონის ხმაც კი აღიზიანებდა და როდესაც ბიჭი იმავე ოთახში შედიოდა, სადაც თვითონ იჯდა, რამდენიმე წუთიც კი უჭირდა მისი ატანა. ერთმანეთს ძვირად თუ გაესაუბრებოდნენ: ლინთონს თურმე ერთი პატარა ოთახი ჰქონოდა ამოჩემებული, მისაღებს რომ უწოდებენ, მეცადინეობდა კიდევ და სალამოებსაც იქვე ატარებდა, თუკი, ცხადია, მთელი დღე ლოკინში არ იწვა, რამეთუ სულ გაციებული ყოფილა, სულ რაღაც სტკივებია, სულ ახველებდა და სულ უძალობას უჩიოდა თურმე.

– მისნაირი მხდალი სიცოცხლეში არავინ მინახავს, – ერთხელაც მითხრა მნემ, – არც მისნაირი თავფრთხილა. საკმარისია, საღამოთი ფანჯარა შემოვლო, რომ ჰავრი გავწმინდო, მყისვე იქ გაჩნდება, ღამის ჰავრი ბოლოს მომიღებსო და მაკეტვინებს! შუა ზაფხულში გაგუგუზებული ბუხარი ესაჭიროება; ჯომეფმა თუ ჩიბუხი გააბოლა, სანამლაგიაო, გაიძახის. სულ ტკბილეული და ნუგბარი უნდა, და კიდევ რძე – სულ რძე აკერია პირზე, წამი და წუთი. შემითბეთო, მოითხოვს. იმას კი არ კითხულობს, დანარჩენებს ზამთარში რითი გავვაქვს თავი. შემოიხვევს თავის ბენჯიან მოსასხამს, ბუხრის პირას თავის საერძელში მოკალათდება და მთელი დღე ცხელ-ცხელი ჩაი და ჩაროზი არ უნდა მოაკლდეს; ჰერთონი თუ მიეკარება, რომ გაართოს, – მოუხემაკი კია, მაგრამ გული კეთილი აქვს, ქალო, – იქამდე მიდიან, რომ ერთი გინებას იწყებს, მეორე – ტირილს. დარწმუნებული ვარ, ლინთონი ბატონის შვილი რომ არ იყოს, ხმასაც არ ამოიღებდა, ჰერთონი თუ ერთი-ორს წაუთაქებდა გემრიელად. ის რომ იყოდეს, თავს როგორ უფრთხილდება და ევლება, ალბათ უეჭველად გააპანდურებდა გარეთ. მაგრამ ამ ცდუნებასთან გამკლავება მისტერ ჰითქლფის არ ემუქრება, რადგან მისაღებ ოთახში არასდროს შედის, თუკი ვაჟბატონიც იქაა, ხოლო თუ სხვა ოთახში წამოუარა ლინთონს თავში რამემ, მყისვე თავის ოთახში გზავნის ზედა სართულზე.

როგორც მისი მონაყოლიდან მივხვდი, ახალგაზრდა ჰითქლიფი ეგოისტი და უამური პიროვნება დამდგარა, რაკი ვერავისგან თანაგრძნობას ვერ იღებდა, თუკი, რა თქმა უნდა, თავიდანვე ასეთი არ იყო. ამიტომაც ნელ-ნელა მის მიმართ დაინტერესება გამიქრა. თუმცა კი მაინც გული მწყდებოდა, რომ ვერ შევიწინარჩუნეთ და დავკარგეთ. მისტერ ედგარი მაგუალიანებდა ხოლმე, ბიჭის ამბავი გამოიკითხეო და მგონი, რისკზე წასვლისგანაც არ დაიხვედა, რომ ენახა როგორმე. ერთხელ მითხოვა, აბა მნეს ჰკითხე, ოდესმე სოფელში თუ ჩადისო. ქალმა მითხრა, სულ ორჯერ არის ნამყოფი, ისიც ცხენით წავიდნენ ლინთონი და მამამისიო. ორჯერვე წუნნი დაიწყო, გზამ დამალაო და სამი-ოთხი დღე საძინებელი ოთახიდან არ გამოსულაო; ეს ქალი ბიჭის «უღელტეხილში» დასახლებიდან ორი წლის მერე წავიდა, მის შემდეგ მისულ ქალს კი მაშინ არ ვიცნობდი; ის ახლაც იქ ცხოვრობს.

დრო ხალისანად გადიოდა «შაშვებში», სანამ მის ქეთის თექვსმეტი წელი არ შეუსრულდა. მის დაბადების დღეს არასდროს აღვნიშნავდით, რადგან ეს დღე ოჯახის დიასახლისის გარდაცვალების დღეს ემთხვეოდა. ქეთის მამა ამ დღეს ბიბლიოთეკაში ატარებდა, შებინდებულზე კი გიმერთონის სასაფლაოზე მიდიოდა, სადაც ცოლის საფლავზე შუაღამემდეც კი რჩებოდა. მამასადამე, ქეთონის მარტოლმარტოს უნდა ექებნა გართობის საშუალებები. იმ წლის ოც მარტს მზიანი დღე დაიჭირა და სანამ მამამისი წასული იყო, ქეთონი ჩემთან ჩამოვიდა სასეირნოდ გამოწყობილი და მითხოვა, მინდვრებში გავიაროთო; მისტერ ლინთონს გასეირნების ნება მიცემული ჰქონდა, თუკი ძალიან შორს არ წავიდოდიო და ერთ საათში დავბრუნდებოდიო უკან.

– ასე რომ, აჩქარდი, ელენ! – დამიყვირა მან, – ვიცი, სადაც მსურს წასვლა, კაკბების საბუდარში. მაინტერესებს, ბუდეები უკვე მოიწყეს თუ არა.

– იქამდე გრძელი გზაა, – მივუგე მე, – ჭაობის პირას ბუდეს არ იკეთებენ.

– არ არის გრძელი გზა, – შემეკამათა ქეთი, – მამიკოსთან ერთად სულ ახლოს ვარ მისული.

მე ქუდი დავიხურე და გზას ისე გავუდექით, რომ არაფერზე დავფიქრებულვარ. ხან გამექცეოდა, გამისწრებდა, ხან უკან ბრუნდებოდა, ისე მიხტოდა, როგორც მწვეარი. თავიდან ტოროლებს უღურტულმა გამართო კიდეც და თბილი მზე მესიამოვნა. მისი ყურებას მიხაროდა, ჩემი პატარა ონავრის, კუნტრუმისას ოქროს თმა უფრიალებდა ბეჭებზე და ნაზი, სუფთა ლოყები რომ ასწითლებოდა და ველური ვარდივით მშვენიერს თვალები რომ უბრიალებდა და უმნიკვლო მხიარულების სხივებს სტყორცნიდა. იმხანად ბედნიერი არსება, ნამდვილი ანგელოზი იყო. დასანანია, რომ ამ ბედნიერებით არ დაკმაყოფილდა.

– აჰა, – ვუთხარი მე, – უკვე ჭაობნარს მივადექით, მის ქეთი. სად არის კაკებები? ჩვენს კარმიდამოს კარგა მანძილით დავშორდით უკვე.

– ოჰ, ცოტა იქით, ცოტა მოშორებით, ელენ, – მიპასუხა შეუჩრებლად, – ის ბორცვი გადავიაროთ, ნაპირს დავუყვებ და სანამ მეორე მხარეს მოექცევი, მანამ ჩიტებს ამოვიყვან ბუდიდან.

მაგრამ იმდენი ბორცვი და ნაპირი გადავლახეთ, რომ კარგა გვარიანად დავიღალე და ვუთხარი, ჯობია, გავჩერდეთ და – უკანვე გავუდგეთ გზას-მეთქი, გავძახე, რადგან კარგა მანძილით გავსწრო ჩემთვის. ან ვერ გაიგონა, ან ყურადღება არ მომაქცია, რადგან არ შეჩერებულა და მეც უკან ვადევნებამ მომიწია. ბოლოს, ველდაბლობზე გაუჩინარდა და როდესაც მივუახლოვდი, უკვე «ქარიშხლიან უღელტეხილთან», მის მშობლიურ სახლთან, ორიოდე მილის დაშორებით ვიყავით. დავინახე, ორმა ადამიანმა როგორ შეაჩერა და ერთ-ერთში მისტერ ჰითქლიფი შევიცანი.

ქეთი კაკებების ბუდეების ძარცვის ან, ყოველ შემთხვევაში, გაჩანაგების ფაქტზე დაიჭირეს. ის მიწები ჰითქლიფს ეკუთვნოდა და ახლა ბრაკონიერს ურჩევდა საქმეს.

– არათუ არ გამიჩანაგებია, არც კი მიპოვია ბუდე, – თავის გამართლებების მიზნით უთხრა გოგონამ, როდესაც მოკამათებამდე მივალნიე და ნათქვამის დასამტკიცებლად ცარიელი ხელები უჩვენა, – მათი მოპარვა არც მიფიქრია. მამიკოს ჰქონდა ნათქვამი, ამ ადგილებში ბლომად ნახავო და მეც ბუდეებში დაღებული კვერცხების ნახვა მინდოდა.

ჰითქლიფმა ბოროტი ღიმილი შემომავება, რითიც გამოხატა, გიცანით, ვინც ხართ, ამიტომ კარგს არაფერს ელოდეთო და ჰკითხა:

– მამიკო ვინ არის?

– მისტერ ლინთონი, «მაშვების კარმიდამოდან», – მიუგო გოგონამ, – ასეც ვიფიქრე, არ იცი, ვინ ვარ-მეთქი, თორემ ასე ხომ არ დამელაპარაკებოდი.

– გგონიათ, მამათქვენი დიდი პატივისცემით და დაფასებით სარგებლობს? – სარკასტულად ჰკითხა ჰითქლიფმა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა ქეთრინმა და გაოცებულმა შეხედა მოსაუბრეს, – ეს კაცი კი აქამდეც მინახავს, თქვენი ვაჟია?

მან ჰერთონისკენ გაიშვირა ხელი, რომელსაც ბოლო ორი წლის მომატებით ვერათფერი მოეგო, გარდა იმისა, რომ უფრო მოუხეშავად გამოიყურებოდა და დაკაცებულიყო; ნამდვილი გაუთლელი ხეპრე ეგონებოდა კაცს.

– მის ქეთი, – ჩავერთე მე, – უკვე ერთი კი არა, სამი საათი იქნება, რაც გამოსულეები ვართ და ნამდვილად შინ დაბრუნების დროა.

– არა, ეს კაცი ჩემი ვაჟი არ გახლავთ, – უპასუხა ჰითქლიფმა და გვერდზე გამწნია, – თუმცა ერთი ბიჭი მეც მყავს, რომელიც უკვე ნანახი გყავთ. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი გადია ჩქარაობს, მგონი, გირჩევნიათ, ცოტა შეისვენოთ. იქნებ ეს ველდაბლობი გადაგვევლო და ჩვენსას შევსულიყავით? დასვენებულები უფრო სწრაფად მიხვალთ სახლამდე, ჩვენთან კი სიამოვნებით მიგიღებენ.

ქეთრინს გადაუჩურჩულე, არასდიდებით არ დათანხმდე, ეს შემოთავაზება არ გაიკარო-მეთქი.

– რატომ? – მკითხა ხმამაღლა, – სირბილმა დამალა, მინა კი ნოტიოა და ვერ დავცდები. ვესტუმროთ, ელენ. გარდა ამისა, მეუბნება, ჩემი ვაჟი ნანახი გყავსო. მე მგონი, ცდება, მაგრამ ვხვდები, სად უნდა ცხოვრობდნენ: იმ სახლში, ფენისთოუნ-ქრევიდან დაბრუნებისას რომ შევიარე ადრე. ასეა?

– ასეა. ნავიდეთ. ნელი, შენ ენა გააჩრე. ჩვენთან შემოვლა არ აწყენს. ჰერთონ, წინ იარე, გოგონას გაჰყევი. შენ კი, ნელი, ჩემთან ერთად ივლი, ჩამოვრჩეთ ცოტა.

– არა, არსადაც არ წამოვა, – ვიყვირე მე და ჰითქლიფის ხელიდან მკლავის გათავისუფლება ვცადე, მაგრამ უკვე გვიან იყო: ქეთრინს ქვაფენილი გადაერბინა და ეზოს კარს მიუახლოვდა. ჰერთონს, ეტყობა, მისი თანხლება ჭკუაში არ დაუჯდა, შებრუნდა, ბილიკს გაუყვა და გაუჩინარდა.

– მისტერ ჰითქლიფ, ეს დიდი შეცდომაა, – განვაგრძე მე, – თავადაც მოგვესწენებათ, რომ ცუდი საქმე წამოიწყეთ. ლინთონს რომ ნახავს, შინ დაბრუნებული ყველაფერს მამამისს უამბობს, საყვედურს კი მე მივიღებ.

– მეც ეგ მინდა, რომ ლინთონი ნახოს, – მომიგო ურცხვად, – ბოლო დღეებია, თავს უკეთ გრძნობს. ყოველთვის ისე კი არ გამოიყურება, რომ ვინმეს ენახვოს. თანაც, გოგონას დავიყოლიებთ, რომ არავის მოუყვეს ჩვენთან სტუმრობის ამბავს, ეს ცუდი რატომაა?

– ცუდი ისაა, რომ მამამისმა თუ გაიგო, თქვენს სახლში შემოსასვლელად გავიმეტე გოგო, შემიძულეს. თანაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნაბიჯზე ავი მიზნით მივყავთ, – მივახალე პირში.

– ჩემი მიზანი შეძლებისდაგვარად ნათელი და პატიოსანია. შემიძლია, ჩანათუქორც კი გავაცნო, – მითხრა აუღელვებლად, – ბიძაშვილ-მამიდაშვილს შეიძლება ერთიმეორე შეუყვარდეთ და დაქორწინდნენ კიდევ. შენს ბატონს პატიოსნად ვექცევი: როგორც მოგესხნება, მისი ქალიშვილი მშრალზე რჩება მამის გარდაცვალების შემდეგ, ლინთონთან დაქორწინებით კი თანამემკვიდრე გახდება.

– ლინთონი ავადმყოფია, თუ გარდაიცვალა, – შევესიტყვე მე, – ქეთრინი მემკვიდრე გახდება.

– არა, ვერ გახდება, – მშრალად წარმოთქვა, – ანდერძში ამაზე არაფერია ნათქვამი. მისი მემკვიდრეობა ჩემს ხელში გადმოვა. მაგრამ უსიამოვნების თავიდან ასარიდებლად, მათ ერთ ოჯახად ქცევას ვისურვებდი. გადავწყვიტე, რომ ამაში დავეხმარო.

– მე კი გადავწყვიტე, რომ ჩემთან ერთად თქვენს სახლში ფეხი მეორედ ვეღარ შემოდგას ქეთიმ, – ვუთხარი, როდესაც ეზოს კარს მივეუახლოვდით, სადაც გოგონა გვიცდიდა.

ჰითქლიფმა მიბრძანა, ენას კბილი დააჭირეო, ბილიკზე ჩვენზე წინ წავიდა და კარი გაგვიღო. ჩემმა პატარა ქალბატონმა რამდენჯერმე ისე შეხედა, თითქოს ვერ ხედავდა, ვისთან აქვს საქმეო, მაგრამ გოგონას მშერა რომ დაიჭირა, ჰითქლიფმა გაუღიმა და ხმა დაირბილა; სულელი ვიყავი, თუ ვფიქრობდი, რომ დედამისის მოგონება ხელს ააღებინებდა ქეთრინისთვის ზიანის მიყენებაზე. ლინთონი ბუხართან იდგა. მინდვრიდან ახალი დაბრუნებული ჩანდა, რადგან ქუდი ჯერ კიდევ ეხურა და ჯოზეფს გასძახოდა, მშრალი ფეხსაცმელი მომიტანეო. თექვსმეტისაქ არ მოყრილიყო ჯერ, მაგრამ ასაკთან შედარებით ნამეტანი მაღალი ჩანდა. ნაკვთები და თვალები კი უფრო კაშკაშა ჰქონდა, ვიდრე ჩემს მესხიერებას შემორჩენოდა, თუმცა ეს პენი მარგებელ ჰაერსა და თბილ მზეს დროებით ებოძებინა მისთვის.

– აბა, ვინ ღვას თქვენ წინაშე? – მისტერ ჰითქლიფმა ქეთის ჰკითხა, – იცანით?

– თქვენი ვაჟი? – ეჭვით შეხედა ქეთიმ მამა-შვილს.

– დიახ, დიახ, – მიიღო პასუხი, – განა პირველად ხედავთ? დაფიქრდით. ოჰ, რა გულმავიწყი ყოფილხართ. ლინთონ, აღარც შენ გახსოვს ბიძაშვილი, რომლის ნახვის მოთხოვნითაც სულს გვიმწარებდი?

– რაო? ლინთონიო? – წამოიძახა ამ სახელის გავონებაზე სასიამოვნოდ გაოგნებულმა ქეთიმ. – ესაა ის პატარა ლინთონი? ახლა ხომ ჩემზე მაღალია! მართლა თქვენ ხართ ლინთონი?

ყმანვილი წინ წამოვიდა და თავი წარმოგვიდგინა; ქეთი სიხარულით მოეხვია და აკოცა, თან გაოცებულები მიაჩერდნენ ერთმანეთს, რადგან დროს ორივე გვარიანად შეეცვალა. ქეთრის სრული სიმაღლისთვის უკვე მიეღწია, არცთუ გამხდარი საკმაოდ ტანადი იყო და ფოლადივით მოქნილი ხალისსა და ჯანმრთელობას ასხივებდა. ლინთონს კი ლონდრე ეთქმოდა და მეტისმეტად თხელი აღნაგობა ჰქონდა, თუმცა იმდენად გრაციოზული გახლდათ ურთიერთობაში, რომ ამ დეფექტებს ფარავდა და სასიამოვნო საყურებელი იყო. აურაცხელი თბილი სიტყვის თქმის შემდეგ ქეთი კართან მჯდარ მისტერ ჰითელივით მივიდა, რომელიც ყურადღებას თითქოს ორად ჰყოფდა – ოთახში გათამაშებულ სცენასაც აკვირდებოდა და ოთახის გარეთაც ეჭირა თვალი. თუმცა სინამდვილეში პირველი საქმით უფრო იყო დაკავებული.

– ესე იგი, თქვენ ბიძაჩემი ყოფილხართ! – წამოიძახა და გადაეხვია, – თავიდანვე თვალში მომიხვედით, თუმცა კი პირველად ძალიან გამიბრაზდით. რატომ «შაშვებში» არ გვესტუმრებით თქვენ და ლინთონი? ამდენი წელი ასე ახლოს ცხოვრობდით ჩვენთან და საერთოდ არ გვნახულობდით, ცოტა უცნაურია. ასე რატომ ხდებოდა?

– სანამ თქვენ დაიბადებოდით, საკმაოდ ხშირი სტუმარი ვიყავი, – უპასუხა ჰითელივით, – ჯანდაბა! კოცნა თუ არ გვებრებათ, ლინთონს აკოცეთ, ჩემი კოცნა დროის ფუჭად კარგვია.

– საძაგელო ელენ! – შემომხედა ქეთრინმა და მხურვალე აღერსით გამოეცანა ჩემკენ, – ბოროტო ელენ! აქ შემოუსვლელობა როგორ იქნებოდა! როგორ ცდილობდი, რომ ძალით წაგეთრიე! ან იყოველილა გამოვისიერინებ ხოლმე აქეთ: ხომ დამრთავთ ნებას, ბიძია? ზოგჯერ მამიკოს გამოვიყოლებ ხოლმე. ხომ გაგიხარდებათ ჩვენი ნახვა?

– ცხადია, – უპასუხა ბიძიამ და ძლივს დაფარა გრიმასა, რომელიც მისთვის ორი ყველაზე არასასურველი ადამიანის სტუმრობის პერსპექტივამ მოჰგვარა, – მაგრამ ნუ იჩქარებთ, – განაგრძო ჰითელივით საუბარი და გოგონას შეხედა, – მგონი, პირდაპირ უნდა ვითხრათ: მისტერ ლინთონი ცუდად არის ჩემ მიმართ განწყობილი. ერთხელ სერიოზული ჩხუბი მოგვივიდა, არაქრისტიანულად, სასტიკად წავეკიდეთ ერთმანეთს, ამიტომ თუ გაუმხელთ, რომ აქ ბრძანდებოდით და კიდევ გსურთ მოსვლა, საერთოდ ავიკრძალავთ აქეთ გამომგზავრებას. მამასადამე, არაფერი უნდა უთხრათ ჩვენთან სტუმრობის შესახებ, თუკი გსურთ, რომ მომავალშიც ინახულოთ ხოლმე თქვენი მამიდაშვილი. შეგიძლიათ, გვეწვიოთ, მაგრამ ამაზე სიტყვა არ უნდა დაგვდეთ.

– და რატომ იჩხუბეთ ასე? – ჰკითხა ამკარად იმედდაკარგულმა ქეთიმ.

– მიაჩნდა, რომ ძალიან ღარიბი ვიყავი მისი დის ხელის სათხოვნელად, – აუხსნა ჰითელივით, – მაგრამ მინც დავექორწინდით, რამაც გული ატკინა, სიამაყე შეუღალა და პატიება ვერ შეძლო.

– რა უსამართლობაა! – თქვა ახალგაზრდა ლედემ, – ოდესმე ამას მასაც ვეტყვი. მაგრამ მე და ლინთონს რა ხელი გვაქვს თქვენს უთანხმოებასთან? მაშინ არც მე მოვალ ხოლმე. ლინთონი მესტუმროს «შაშვებში».

– მაგხელა გზაზე რა წამომიყვანს! – წაიბუბლუნა ბიჭმა, – ფეხით ოთხი მილის გავლა ხომ ბოლოს მომიღებს. არა, თავად გვეწვიეთ ხოლომე, მის ქეთი, როცა გინდათ. ოღონდ არა ყოველდღილა, არამედ... კვირაში ერთი-ორჯერ.

მამამისმა ზიზღიანი მზერა ესროლა ვაჟს.

– ვშიშობ, ნელი, ყველაფერი წყალში ჩამეყრება, – ხმადაბლა მომმართა ჰითქლიფმა, – მის ქეთრინი, როგორც ეს ჩემი ყვეფი უნოდებს, მალე მიხვდება, ვინც ბრძანდება ეს უღლეური და ჯანდაბაში გაგზავნის. ოჰ, ნეტავ ჰერთონი იყოს მის ადგილზე! იცი, დღეში ოჯცერ მაინც მშურს ჰერთონისა, თუნდაც მთლად გატლანქებული იყოს. იცი, როგორ მეყვარებოდა, სხვა ნებისმიერის ნაშიერი რომ ყოფილიყო? მაგრამ მგონია, ქეთის სიყვარული მას არ ემუქრება. თუკი ჩემი საცოდავი ქმნილება ყურებს არ შეიბერტყავს, ჰერთონს შევაგულიანებ, შეეცილე-მეთქი. ჩვენი გაანგარიშებით, დიდი-დიდი თვრამეტ წლამდე მიაღწიოს. აბა, მაგ ტუტუცს შეხედე! ფეხსაცმლის განწმენდით უფროა გართული, ვიდრე ამისთანა გოგოს ყურებით! ლინთონ!

– დიახ, მამა, – გამოსძახა ბიჭმა.

– არაფერს უჩვენებ შენს ბიძაშვილს, ან კურდღლებს, ან სინდიოფალების სოროს? ეზოში გაასიერნე, სანამ ფეხსაცმელს გამოიყვლიდე. თავლაშიც შეიყვანე და შენი საყვარელი ცხენი უჩვენე.

– აქ ჯდომა არ გირჩევიანთ? – ისეთი ტონით ჰკითხა ლინთონმა ქეთის, ყველა მიხვდებოდა, რომ ადგილიდან დაძვრა არ სურდა.

– რა ვიცი... – უპასუხა გოგონამ და კარისკენ გაექცა თვალი; აშკარად არ უნდოდა უქმად ყოფნა.

ბიჭი არ ამდგარა, ბუხრისკენ ჩაიჩოჩა უფრო. ჰითქლიფი ადგა, სამზარეულო გაიარა, მეორე კართ ეზოში გავიდა და ჰერთონს გასძახა. ჰერთონიც გამოეპასუხა და მალე ორივენი შემოვიდნენ. ეტყობა, ჭაბუკს ხელ-პირი დაეხანა, რაც გაკრიალებულ სახესა და სველ თმაზე ემჩნეოდა.

– ოჰ, თქვენთვის მინდოდა მეკითხა, ბიძია, – წამოიყვირა მის ქეთიმ, რადგან ჰერთონის დანახვაზე ყოფილი მნექალის სიტყვები გაახსენდა, – ეს ხომ ჩემი დედიძიშვილი არ არის?

– კი, თქვენი დედიძიშვილია, – უპასუხა ბატონმა, – არ მოგწონთ?

ქეთრინმა უცნაურად შეხედა.

– რაო, ულამაზო ვაჟკაცია, თუ რა? – განაგრძო ჰითქლიფმა.

პატარა ონავარი თითის წვერებზე დადგა და ჰითქლიფს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ვაცს გაეცინა; ჰერთონი მოიღუპა. მე მგონი, ძალიან მგრძნობიარე იყო შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების მიმართ და ძნელად თუ ხვდებოდა, უფრო

დაბალ საფეხურზე რომ იმყოფებოდა სხვებთან შედარებით. მაგრამ მისმა ბატონმა თუ მეურვემ შემდეგი წინადადებით წარბი გაახსნევინა:

– ჩვენ შორის ყველაზე გამორჩეული ხარ, ჰერთონ! შენზე მითხრა... მოიცა, როგორ თქვა? მოკლედ, ერთი ლამაზი ქათინაური გიძღვნა. აჰა, ანი შენ გაიყვანე ეზოში. იცოდე, ჯენტლმენურად უნდა მოექცე! ცუდი სიტყვები არ დაგცდეს და არ მიაჩერდე, სანამ ახალგაზრდა ლედი თავად არ შემოგხედავს. ხოლო როდესაც შემოგხედავს, სხვა მხარეს არ გაიხედო. და კიდევ, ნელა წარმოთქვი სიტყვები და ხელები ამოიღე ჯიბეებიდან. აბა, გაუდევით გზას და ისე გაართე, როგორც შეგიძლია.

ჰითქლიფმა ქალ-ვაჟს ფანჯრიდან გააყოლა თვალი. ერნშო სტუმრისგან ზურგმექცევით მიაბიჯებდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ნაცნობ პეიზაჟს უცხო ხელოვანის თვალით აკვირდებოდა. ქეთრინი შეუმჩნევლად აპარებდა მისკენ თვალს და აღფრთოვანებას სულაც არ გამოხატავდა. მერე მშერა გარემოზე გადაიტანა, რომ თავშესაქცევი ეზოვა რამე და ნარნარი ნაბიჯით განაგრძო სიარული, თან მხიარული სიმღერა შემოსძახა, რაკი საუბარი არ აენყო.

– ენა მე დაუბორკე, – შენიშნა ჰითქლიფმა, – ანი ჰერთონი ხმის ამომღები აღარ არის! ნელი, მისი ხნისა გეხსომები, ცოტა უფრო ახალგაზრდაც, განა მეც, ჯოზეფის თქმისა არ იყოს, ყვეფი ვიყავი?

– უარესი, – მივუგე მე, – რადგან წარბს არ ხსნიდით და სულ კუშტად იყურებოდით.

– მისი ყურება მსიამოვნებს, – განაგრძო მან, – ჩემი მოლოდინი გაამართლა. დაბადებით სულელი რომ ყოფილიყო, არც მე მომეწონებოდა. მაგრამ ყვეფი არ არის, ამიტომ მის გრძნობებს პატივს ვცემ, მეც ხომ იგივე გამოვიარე. ვიცი, აი, თუნდაც ახლა რას განიცდის, მაგრამ ეს მხოლოდ დიდი განცდების დასაწყისია. სულ გაუთლელი დარჩება, თავს ვერასოდეს დააღწევს სიბრყველს. იმაზე მაგრად მიჭირავს ხელში, ვიდრე მე ვეჭირე მის სალახანა მამას. მას კი სიველურით მოსწონს თავი. რაც კი აღამიანს ცხოველისგან განასხვავებს და აამაღლებს, სიტუტუცედ და სისუსტედ მოვენათლე და შევატულე. როგორ გკონია, ჰინდლის რომ ენახა ახლა თავისი ვაჟი, არ იამაყებდა? ალბათ ისევე იამაყებდა, როგორც მე ეამაყება საკუთარი ვაჟი. მაგრამ განსხვავებასაც შეხედე: ერთი ოქროა, რომელსაც ქვაფენილივით იყენებენ და ფეხით სდგებიან ზედ, მეორე კი კალაა, რომელიც ისეა გაპრიანებული, რომ ვერცხლის ჩასანაცვლებლად გამოდგეს. ჩემი ღირებულს არაფერს შეიცავს, მაგრამ იმდენს ვიბამ, რომ კაცად ვაქციო. ჰინდლის ბიჭს კი პირველხარისხოვანი თვისებები დაჰყვა, რაც უკვე დაკარგული და გამოუსადეგარი აქვს. სანანებელი არაფერი მაქვს, მას კი ჰქონდა, ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის. ყველაზე მაგარი კი, იცი, რა არის? ის, რომ ჰერთონი ძალღივით ერთგულია ჩემი! ყველას ვურჩევნივარ! აღიარე, რომ ამაში მაინც ვაჯობე ჰინდლის. მკვდრეთით რომ აღდგეს ის ნაძირალა და შემომედავოს, რა უყავი ჩემს შვილსო, იცი, რაზე ვიხალისებ? მისივე შვილი შეედავება, როგორ გაბედე და ჩემს ერთადერთ მფარველ მეგობარს აწყენინე!

პითქლიფიმა სატანურად ჩაიციან ამის თქმაზე. მე არაფერი მითქვამს, რადგან ვხედავდი, რომ ჰასუს არც ელოდა. ამასობაში კი ყმაწვილს, ჩვენგან მოპორებით რომ იჭდა საიმისოდ, საუბარი მოესმინა, მოუსვენრობა დაეტყო. შესაძლოა, უკვე ნანობდა, დაღლის შიშით შინ დარჩენა რომ მოინდომა და ამით ქეთრინის გვერდით ყოფნის სიამოვნება მოიკლო. მამამისმა შეამჩნია, რომ ფანჯარას აღარ აცილებდა თვალს და ხელსაც ქედისკენ აპარებდა.

– ადე, შე უქნარავ! – ყალბი გულითადობით გაუჯავრდა შვილს, – გაჰყევი! ჯერ სკებთან არიან და კუთხემდეც კი არ მისულან.

ლინთონმა ენერგია მოიკრიბა და ბუხარს მოსცილდა. ფანჯარა ღია იყო და როდესაც ბიჭი გავიდა, სწორედ ამ დროს შემოსიმა ქეთის ხმა, თავის უტყვ მხლებელს რომ მიმართავდა, რას ნიშნავს კარის თავზე წარწერილი? ჰერთონმა აიხედა და მართლაც სოფლელივით მოიფხანა თავი.

– რაღაც წყეული წარწერაა, – უპასუხა ქალიშვილს, – არ შემიძლია ამოკითხვა.

– არ შეგიძლიათ? – გაიოცა ქეთრინმა, – მე შემიძლია, ინგლისურად წერია. მინდოდა გამეგო, აქ რატომ წერია.

ლინთონმა ჩაიხითხითა, რაც მისი მხრიდან მხიარულების პირველი გამოხატულება იყო.

– წერა-კითხვა არ იცის, – უთხრა ქეთრინს, – ამისთანა სირეგვნე გაგიგონიათ?

– ხომ არაფერი აწუხებს? – ჰკითხა მის ქეთიმ სერიოზულად, – თუ წაიშტერებს? ორჯერ ვკითხე რაღაც და ორჯერვე ისე შემომხედა, ვიფიქრე, ვერ მიმიხვდა-მეთქი. ისე, მჯერა, მეც გამიჭირდება მისი გაგება!

ლინთონმა ისევ გაიციან და ჰერთონს გახედა დამცინავად, რომელიც, იმწუთას ისე მომეჩვენა, თითქოს მართლაც ვერ ხვდებოდა ვერაფერს.

– არაფერიც არ სჭირს, გარდა სიზარმაცისა, არა, ერნშო? – მიმართა მას, – ჩემს ბიძაშვილს ცალტვინა ეგონე. ასე იცის «წიგნის ჭიობის» სიტყვილი... ქეთრინ, დაუკვირდით, როგორ იორქშირულად უქცევს?

– მაგის ცოდნა რა ჯანდაბად მინდა? – შეუღრინა ჰერთონმა ბიჭს, რომელთანაც საჭირო სიტყვებს უფრო იოლად პოულობდა. უფრო მეტსაც იტყოდა, მაგრამ ლინთონსა და ქეთრინს სიცილი აუვარდათ. ჩემი ონავარი გახარებული ჩანდა, რადგან ჰერთონის უცნაური კილო მხიარულების საბაბად აქცია.

– ყველა სიტყვის მერე ჯანდაბის ხსენება რაღად გინდა? – შეეკამათა ლინთონი, – მამამ ხომ გითხრა, წესიერად ილაპარაკეო, შენ კი პირს გააღებ თუ არა, ეგრევე საძაგლობას ამბობ. აბა, ეცადე და ჯენტლმენურად მოიქეცი.

– გოგოს რომ არ ჰგავდე და მართლა ბიჭი იყო, ერთი გემოზე დაგუყუავდი, შე ფურნის ჭიაჟ! – განრისხდა ხეპრე ჭაბუკი და ზურგი აქცია. სახე აელენა მრისხანებისა

და დამცირებისგან, რადგან შეურაცხვეს, ამას კარგად ხვდებოდა, მაგრამ სამაგიერო როგორ გადაეხადა, ვერ მოეფიქრებინა.

ამ საუბარმა ჩვენამდეც მოაღწია და გაბუტული ჰერთონის დანახვაზე მისტერ ჰითელიფს გაეღიმა, თუმცა კართან შეჩერებულ ქარაფშუტა წყვილს რომ შეავლო თვალი, ისევ მიზლი გამოეხატა სახეზე. ბიჭი გამოცოცხლდა და ჰერთონზე დაიწყო ჭორაობა, მის ნაკლზე ამახვილებდა ყურადღებას და ანეკდოტებად ყვებოდა მის ამბებს, ქეთრინი კი ამ ავსტიტყვაობაზე გულიანად იცინოდა და ვერ ხვდებოდა, რომ ეს საუბარი ლინთონის გულში ჩაბუდებულ ბოროტებას ამხელდა. ამის გამო ბიჭზე სულ ავიცრუე გული, მისი თანაგრძნობა საერთოდ აღარ შემეძლო და უკვე მამამისსაც მოვუხდელი ბოდიშს იმის გამო, ძალღაღად რომ არ ავდებდა ვაჟს.

ნაშუადღევამდე შემოვრჩით: მანამდე ქეთი ვერ დავძარი ადგილიდან, თუმცა, საბედნიეროდ, მამამისი კაბინეტიდან კარგა ხანს არ გამოსულა, ამიტომ ჩვენი არყოფნა არც გაუგია. შინ რომ მივდიოდით, ვცადე, ჩვენს მასპინძლებზე მეთქვა ორიოდ სიტყვა და ამით ამეხილა ქეთისთვის თვალები, მაგრამ გოგონამ მომახალა, – წინასწარ გაქვს შექმნილი მათზე ცუდი წარმოდგენა.

– აჰა, – განიზმატდა, – შენც მამიკოს უჭერ მხარს, ელენ. ვხვდები, რომ თვალში არ მოგდის ის ხალხი. ამდენი წელი თურმე ლინთონი ჩვენ გვერდით ცხოვრობდა, შენ კი კრინტიც არ დაგიძრავს. მარწმუნებდი, ცხრა მთას იქით წაიყვანესო. მართლა ძალიან ნაწყენი ვარ, მაგრამ იმდენად გამახარა დღევანდელმა დღემ, რომ ამ წყენას წყალს გავატან. იცოდე, ბიძაჩემზე ცუდი არ დავცდეს, არ დავგავიწყდეს, ჩემთვის ვინ არის. მამიკოს კი ვუსაყვედურებ, რა ჩხუბი და დავა აუტყდა...

რაც უნდა მეცადა, მაინც ვერ დავარწმუნებდი, ცდები-მეთქი. იმ ღამით სტუმრობის შესახებ მამამისთან არ უხსენებია, რადგან მისტერ ლინთონი ვერ ნახა. მეორე დღეს კი, ჩემდა ჭირად, ყველაფერი გაირკვა, თუმცა ძალიანაც არ მწყენია, რადგან მიმაჩნდა, რომ მამამისი მოვალეც იყო და ჩემზე მეტად შეეძლო კიდევ, ქალიშვილი მოსალოდნელი საშიშროების თაობაზე გაეფრთხილებინა. მაგრამ მეტისმეტად გაუბედავად უხსნიდა, რატომ არ უნდა ჰქონოდა გოგონას მათთან ურთიერთობა, ქეთრინი კი ხელჩასაჭიდი სამხილებს მოითხოვდა.

– მამიკო! – დილას მისალმების შემდეგ ფიცხად მიმართა მისტერ ლინთონს, – აბა, თუ მიხვდები, ვის შევხვდი გუშინ, მინდვრებისკენ რომ მივდიოდი? რატომ შეკრთი? შენი პირშავობაც შევიტყვე, შენი და ელენის! მისმინე და ორივეს ავხდით ნილაბს! ამ ქალბატონსაც შენთან აქვს პირი შეკრული, რადგან ვითომ ვეცოდებოდი, როდესაც სრულიად უიმედოდ ველოდი ლინთონის დაბრუნებას!

დაუფარავად უამბო თავისი ლაშქრობის შესახებ და არც დაუმალაგს, რა შედეგი მოჰყვა ამ გასეირნებას; ბატონს კი კრინტი არ დაუძრავს, სანამ გოგონამ თხრობა არ დაასრულა, მხოლოდ მე გამომხედა რამდენჯერმე მომდურავი თვალებით. შემდეგ ქალიშვილი მიიზიდა და ჰკითხა:

– თუ იცი, რატომ გიმალავდი ლინთონის მეზობლად ყოფნას ამდენ ხანს, ნუთუ გგონია, რომ უწყინარი სიამის მოკლება მინდა შენთვის?

– არა, იმიტომ იქცეოდი ასე, რომ მისტერ ჰითელიფი გპულდა, – უპასუხა ქეთიმ.

– ე. ი. გგონია, რომ ჩემს გრძნობებს უფრო ვუფროთხილდები, ვიდრე შენსას, ქეთი? – ჰკითხა მამამ, – იმიტომ არა, რომ მე მძულდა მისტერ ჰითელიფი, მას მე ვძულდი. მასზე ეშმაკისეული კაცი არ მინახავს, რომელსაც სიამოვნებას ანიჭებდეს ყველას განადგურება და დაქცევა, ვინც კი სძულს, თუკი, ცხადია, ვინმე ვნების უმცირეს საბაბს მაინც მისცემს. ხომ ვიცოდი, რომ შენს მამიდაშვილთან ისე ვერ გექნებოდა სიახლოვე, ჰითელიფიც რომ არ გაგეცნო და ისიც კარგად ვიცოდი, რომ ჩემ გამო შენც შეგიძულედა. მხოლოდ და მხოლოდ შენს საკეთილდღეოდ გარიდებდი ლინთონს. ვფიქრობდი, როდესაც დიდი გოგო იქნება, მაშინ აუვსხნი-მეთქი. მაპატიე, რომ ახსნა დავაგვიანე.

– კი, მაგრამ მისტერ ჰითელიფმა ძალიან გულთბილად მიმილო, მამა, – შენიშნა ახსნა-განმარტებით არცთუ დავამაყოფილებულმა ქეთიმ, – და არც ჩემი ნახვის საწინააღმდეგო ჰქონია რამე. ისიც კი მითხრა, როდესაც მოგიხდებოდა, გვესტუმრეო. ოღონდ გამაფრთხილა, მამაშენს არაფერი უთხრა, რადგან ნაჩხურები ვართ და არც იზაბელასთან ქორწინება უპატიებიაო. დასძინა, არც მაპატიებსო. მხოლოდ შენ ხარ დამნაშავე! მას სურს, რომ მე და ლინთონმა ვიმეგობროთ, შენ კი – არა!

მისტერ ედგარმა, რაკი მიხვდა, ჩემს სიტყვას იმ ავსულის სიტყვის წინ არ დააყენებსო, სასწრაფოდ უამბო, როგორც მოექცა ჰითელიფი იზაბელას და არც ის გამოარჩენია, რა გზით ჩავიგდო ხელში «ქარიშხლიანი უღელტეხილი». დიდხანს ამ საკითხზე საუბარი არ შეეძლო მისტერ ლინთონს, რადგან როგორც კი წარსული გაახსენდებოდა, იმავე ზიზღისა და შიშის გრძნობა ეუფლებოდა ძველი მტრისადმი, რომელიც მისის ლინთონის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა. მწარედ იტყოდა ხოლმე, ეგ რომ არა, იქნებ ქეთრინი ცოცხალიც ყოფილიყო, და სჯეროდა კიდევ ამის, რადგან მის თვალში ჰითელიფი მუდამ მკვლელი იყო. მის ქეთი აქამდე ნამდვილ ბოროტებას არ შეჩეხებოდა და ცუდ საქმედ მხოლოდ თავისი ონავრობა, გაუგონრობა და უინიანობა მიაჩნდა, რაც სიფიცხითა და დაუფიქრებლობით მოსდიოდა და იმავე დღეს ნანობდა ხოლმე; ამხელა ავკაცობისა და ადამიანის შავბნელი სულის შესახებ მოსმენილმა კი გააოცა და დაჯერება გაუჭირდა, როგორ უნდა ჰქონოდა კაცს წლობით გულში ჩადებული ზიზღი, როგორ უნდა ევლო შურისძიების სურვილით და როგორ უნდა აესრულებინა ბოროტი ჩანაფიქრი სინდისის უქენჯნელად. გოგონა იმდენად იყო თავზარდაცემული, რომლისთვისაც აქამდე ადამიანის ბუნების ეს ნაწილი სრულიად უცხო იყო და მის შეხედულებებსა და წარმოდგენებს არაფრით ესადაგებოდა, რომ მისტერ ედგარმა საჭიროდ აღარ მიიჩნია საუბრის გაგრძელებით მისი დაზაფერა. დასძინა:

– ამიერიდან გეცოლინება, გენაცვალე, რატომ უნდა მოერიდო მის სახლსაც და მის ოჯახსაც. აწი შენს ძველ გასართობებსა და საქმიანობას დაუბრუნდი და მათზე ნულარ იფიქრე.

ქეთრინმა მამას აკოცა და ორიოდ საათი გაკვეთილებს ჩაუჯდა, მერე მასთან ერთად სამფლობელოს შემოსავლელად გავიდა და მთელი დღე ჩვეულებრივად გაატარა. საღამოს, თავის ოთახში ავაკითხე, რომ კაბის გახდაში დავხმარებოდი. სანოლთან დაჩოქილი და მტირალი ვნახე.

– ვაი, თავის მოჭრა! – შევძახე მე, – მართლა დიდი გასაჭირი რომ გადგეს, შეგრცხვებოდა ცრემლები უაზროდ ღვრა. ნამდვილი ტკივილი არასდროს განგიცდია, მის ქეთრინ. აბა, წუთით წარმოიდგინე, რომ ბატონი და მე ამქვეყნად აღარ ვართ, შენ კი მარტო ხარ ამხელა სამყაროში დარჩენილი, მაშინ როგორ იგრძნობდი თავს? შენი ახლანდელი მდგომარეობა შეადარე მასეთ დღეში ჩავარდნას და არც ის დავგავიწყდეს, რომ მეგობრები უკვე გყავს და ახლებს არ უნდა ეძებდე.

– ჩემს თავზე კი არ ვტირი, ელენ, – მომიგო ქეთიმ, – მასზე ვტირი. ხვალ ჩემს ნახვას ელოდა და იმედი ხომ გაუცრუვდება. ის დამიცდის, მე კი აღარ მივალ!

– სისულელეა! – შევედავე, – გგონია, ისიც იმდენსვე ფიქრობს შენზე, რამდენსაც შენ? ხმის გამყვამად ჰერთონიც ეყოფა. ასი კაციდან ერთიც არ ჩამოაგდება ცრემლს ისეთი ნათესავის დაკარგვის გამო, ვინც მხოლოდ ორჯერ ჰყავს ნანახი. ლინთონიც მიხვდება საქმის ვითარებას და ნამდვილად არ იღარდება.

– ჰო, მაგრამ იქნებ ერთი ბარათი მაინც გამეგზავნა, – ამიტომ და ამიტომ ვერ მოვალ-მეთქი? – ქეთი წამოდგა, – იმ წიგნებს გავუგზავნიდი, რომ დავპირდი, გათხოვებ-მეთქი. მას ისეთი საინტერესო წიგნები არ აქვს, როგორც მე, და რომ ვუთხარი, წავაკითხებ-მეთქი, გაუხარდა და ელოდება. იქნებ გამეგზავნა, ელენ?

– არა! არანაირად! – გადაჭრით ვუთხარი უარი, – მერე ის მოგწერს და ასე დაუსრულებლად. არა, მის ქეთრინ, ეს ნაცნობობა უნდა შეწყდეს: ასე უნდა მამამენს და ამას მივადევნებ მეც თვალს.

– კი მაგრამ, ერთი უწყინარი ბარათი რას ნახდენს? – ხელახლა წამოიწყო და ვედრებით მომაჩერდა.

– ჩუმად! – შევანყვეტინე, – არანაირი უწყინარი ბარათი! დანეჭი ახლა.

ისეთი გამწყრალი მზერა მესროლა, რომ ტკბილი ძილის სასურველად თავიდან კოცნაც კი არ მომიხდა. საბანი დავახურე და კარი გამოვიხურე გუნებაწამხდარმა. მაგრამ შემენანა, შუა გზიდან უკან მივბრუნდი და რას ხედავს ჩემი თვალები?! მის ქეთი მაგიდასთან მიბრძანებულა, სუფთა ფურცელი გაუშლია და ფანქარი მოუმარჯვებია, რომელიც ჩემს დანახვაზე სახელოში შემალა.

– მაგ ბარათს ვერავის გაატან, მის ქეთრინ, – გავაფრთხილე გოგონა, – რომც დანერო. ახლა კი სანთელი უნდა ჩავაქრო.

საქრობელა სანთლის ალს დავადე, რის გამოც ხელზე მტკივნეული დარტყმა ვიგრძენი და «საძაველიც» მიწოდეს. ამის მერე ოთახიდან გამოვედი და მანაც გაბრაზებულმა გადარაბა კარი. ისე, აქვე უნდა გითხრათ, რომ აკრძალული ბარათი

მინც დაინერა და სოფლელი მერძევის ხელით გაიგზავნა დანიშნულების ადგილზე, მაგრამ ეს ამბავი მოგვიანებით შევითქვევ. რამდენიმე კვირა გავიდა და ქეთისაც გამოუკეთდა გუნება; მაგრამ კუთხეში ჯდომა დასჩემდა რატომღაც, საკმარისი იყო, ახლოს ჩამეგლო, ამოიხრებდა და მყისვე წიგნს გადაეფარებოდა და ვითომ კითხვას იწყებდა, ეტყობა, წერილი რომ არ დამენახა. რამდენჯერმე დავინახე, რომ წიგნიდან უფრო დიდი ზომის ფურცლის კიდე მოჩანდა, ვიდრე წიგნის ფურცლები იყო. გარდა ამისა, დილაობით, ადრინად, დაიწყო სამზარეულოში ჩამოსვლა და წინ და უკან სიარული, თითქოს ვიღაცის გამოჩენას ელისო. ბიბლიოთეკაში პატარა სეკრეტერი ედგათ, რომლის ერთ-ერთ უჯრაში დღენიადაც იქექებოდა, ხოლო ოთახიდან გამოსვლამდე, უჯრის გასაღებით დაკეტვა და ამ გასაღების თან წაღება არასდროს ავიწყდებოდა.

ერთხელაც, თავი რომ ჰქონდა უჯრაში ჩაყოფილი, დავაკვირდი და ჩვეულებრივი სამშვენილები და სათამაშოები, რაც აქამდე ეწყო ხოლმე, ქალაღების დასტებად გადაქცეულიყო. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და გადავწყვიტე, პატარა ქალბატონის საგანძურისთვის უფრო ყურადღებით შემეგლო თვალი, ამიტომ, უკვე შეღამებულზე, ქეთიც და მამამისიც საძინებელ ოთახებში რომ დავვიკვლე, სახლის გასაღებების აცმულაში უჯრის მოსარგისი გასაღები ვიპოვე. უჯრა ამოვასუფთავე და ყველაფერი წინსაფრის ჯიბეში ჩავიწყე, მოცლაზე წავიკითხავ-მეთქი. კი ვეჭვობდი, მაგრამ მინც გაოგნებული დავრჩი, როდესაც ამხელა კორესპონდენცია შემრჩა ხელში – ლამის ყოველდღიური მიმოწერა – ლინთონ ჰითქლიფისგან. ყველა წერილი ქეთის წერილის პასუხი იყო. უფრო ადრინდელი წერილები მოკრძალებული და ბრათივით მოკვლე გახლდათ, თანდათანობით, ადრესატების ასაკის მიხედვით, თავაშვებულ სასიყვარულო მიმოწერაში გადადიოდა; ალაგ-ალაგ ისეთი ჩანართებიც ვნახე, რომლებიც ჩემი აზრით, უფრო გამოცდილი წყაროდან იყო ამოკრებილი. ზოგიერთმა წერილმა გამაოცა, იმდენად მგზნებარედ და პირდაპირ იყო დაწერილი: დაწყებული მწველი გრძნობის აღწერით და იმისთანა სასიყვარულო სიტყვაკაშმულობით, რაც სკოლის მოსწავლეს მხოლოდ შეუძლია, წარმოდგინოს არახორციელი ტრფიალის პირობებში. არ ვიცი, ქეთის რამდენად აკმაყოფილებდა ეს ტექსტები, მაგრამ მე კი მაკულატურად მეჩვენა. როდესაც გარკვეულ რაოდენობას გადავყანი, ცხვირსახოცით შევკარი და გვერდზე გადავდე, ცარიელი უჯრა კი ჩავკეტე. მეორე დილით ჩემი ქალბატონი ჩვეულებისამებრ ადრინად ეწვია სამზარეულოს, პატარა ბიჭის მოსვლისას კართან მიიბრინა და სანამ მერძევე ბიღონს აავსებდა, ქეთიმ ბიჭს რაღაც ამოართვა კურტაკის ჯიბიდან და საპასუხოდაც ჩაუყურა. მე ბაღს შემოვუარე და შიკრიკს ჩაუესაფრდი. ბიჭი მედგრად შემეწინააღმდეგა, რომ მინდობილი დაეცვა, ჯაჭვურ-ჯაჭვურში რძეც კი დავღვარეთ, მაგრამ ქალაღი მინც წავართვი და დავემუქრე, ახლავე შინისაკენ მოუსვი, თორემ შავ დღეს დაგაყრი-მეთქი. ღობის ჩარდახის ქვეშ გავჩერდი და ქეთის მგზნებარე გზავნილს გადავყანი. მისი წერილი უფრო მარტივი და ენაწყლიანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი მამიდაშვილისა: სათნოებითა და მიამიტობით იყო სავსე. თავი გადავაქნიე და დაფიქრებული სახლისკენ წავედი. წვიმიანი დღე დაიჭირა და პარკში სასიერნოდ ვერ გავიდა ქალბატონი. დილის მეცადინეობის შემდეგ თავის უჯრას მიაშურა მარტოობის გასალამაზებლად. მამამისი სამუშაო მაგიდასთან იჯდა და კითხულობდა, მე კი,

განზრახ, საქმე გამოვიჩინე: ფარდის მორღვეული ფორჩხების მიკერება დავინწყე, თან გოგონაზე მეჭირა თვალი. ვერც ერთი ჩიტი, ბარტყებით სავსე ბუდე გავფრანგებული რომ დახვედროდა დაბრუნებულს, თავისი ფარფატითა და ჭყვილით იმხელა სასონარკვეთას ვერ გამოხატავდა, როგორც ქეთიმ გამოხატა ერთმარცვლიანი შეცხადებით: «ოჰ!» და გაბადრულ სახეზე ასახული მწუხარებით. მისტერ ლინთონმა გახედა.

– რა იყო, გენაცვალე? რამე ხომ არ იტკინე? – ჰკითხა ქალიშვილს.

ქეთი მამის ტონითა და გამოხედვით მიხვდა, ჩემი განძი სხვისი აღმოჩენილი იქნებაო.

– არა, მამიკო! – გაეპასუხა უცებ, – ელენ! ელენ! მალლა ამიყვანე, ცუდად ვარ!

დავემორჩილე და ავყევი.

– ოჰ, ელენ, შენი აღებული იქნება, – დაინყო მან და მუხლებზე დაეცა, როგორც კი გავმართოვდი, – გემუდარები, უკან დამიბრუნე და აღარასოდეს მოვიქცევი მასე! არც მამას უთხრა. ხომ არ გითქვამს უკვე, ელენ? მითხარი, არ დამიმალო. ვიცი, საძაგლად ვიქცეოდი, მაგრამ ამას აღარასოდეს ჩავიდენ!

ძალიან მკაცრად ვუთხარი, ადექი-მეთქი.

– მაშ, ნამეტანი შეგიტოპავს, მის ქეთრინ. ტყუილად ხომ არ გრცხვენია. ნაჯღანების მთელი დასტაა, რომელსაც, ალბათ მოცალეობისას ეცნობი ხოლმე, არა? იმდენად აღმაფრთოვანა ტექსტებმა, ვიფიქრე, დაბეჭდვა არ აწყენდა-მეთქი! და რას ფიქრობ, რა რეაქცია ექნება ბატონს, როდესაც გავაცნობ ამ ჭკვიანურ წერილებს? ჯერ არ მიჩვენებია, მაგრამ თავს ნუ დაირწმუნებ, რომ საიდუმლოდ შევიანახავ. გრცხვენოდეს! შენი წამოწყებული იქნება წერილობანა, რადგან მჯერა, ლინთონი პირველი არ მოგწერდა.

– მე არ დამინცია! მე არ დამინცია! – ამოისლუკუნა ქეთიმ და კინაღამ გული ამოაყოლა, – მისი შეყვარება იქამდე აზრადაც არ მომსვლია, სანამ...

– შეყვარება?! – შეძლებისდაგვარად ზიზღნარევი ხმით წარმოვთქვი, – შეყვარება! გავონილა მსგავსი რამ? მასე ხომ მენისქვილის შეყვარებაზეც შეგვიძლია, ვისაუბროთ, წელიწადში ერთხელ რომ მოდის ხოლმე ჩვენგან ხორბლის შესაძენად! თან როგორი შესაყვარებელია! თქვენი ორივე შეხვედრა რომ გავაერთიანოთ, ოთხი საათიც არ გექნებათ ერთად გატარებული. ეს ბავშვური სისულელეა! ახლავე ჩავიტან ბიბლიოთეკაში ყველაფერს და ორივენი გავიგებთ, რას იტყვის ამისთანა შეყვარებაზე მამაშენი.

თავისი ძვირფასი ეპისტოლეებისკენ გამოიწოდა ხელი, მაგრამ მე თავმალლა დავიჭირე. მერე მოთქმა-გოდება დამინყო, რაც გინდა, ის უყავი, გინდ დანვი, ოღონდ კი არავის უჩვენო. და რაკი ამ ყველაფერის გამო სიცოლი უფრო მსურდა, ვიდრე

დატუქსვა, რამეთუ მის საქციელში უწყინარ ბავშვურ ქედმაღლობას ვხედავდი, დათმობაზე წასვლა გადავწყვიტე და ვკითხე:

– თუკი ამ წერილებს დავწევავ, მპირდები, რომ ამიერიდან აღარც არაფერს მისწერ და აღარც მისგან გამოვგზავნილს მიიღებ? ოღონდ მხოლოდ წერილებს კი არა, ეს წიგნებსაც ეხება (ვინაიდან ბუსტად ვიცი, რომ წიგნებს უგზავნიდი), თმის კულულებსაც, ბეჭდებსაც და სათამაშოებსაც.

– სათამაშოებს არ ვუგზავნით ერთმანეთს, – წამოიკვივლა ქეთრინმა, რადგან მისმა სიამაყემ სირცხვილს სძლია.

– არც სხვა დანარჩენს, მიღედი? – ვკითხე მე. – თუკი არ მპირდები, ჯობს, წავიდე.

– გპირდები, ელენ! – იკვივლა და კაბაზე მწვდა. – გეხვენები, ცეცხლში შეყარე ყველა წერილი!

მაგრამ როდესაც საჩხრეკით ნაღვერდლები გადავჩხრიკე, ეს მსხვერპლი იმდენად აუტანლად მოეჩვენა ქეთის, რომ შემევედრა, ერთი-ორი ცალი მაინც დამიბრუნეო.

– ერთი-ორი წერილი მაინც შემარჩინე ლინთონის მოსაგონებლად!

შეკრული დასტა გავხსენი, სათითაოდ დავინწყე ბუხარში წერილების შეყრა და კვამლიც ხვეულებად ავიდა საკვამურში.

– ერთი მაინც მაღირსე, შე დაუნდობელო! – დამიყვირა, ცეცხლში შიშველი ხელი შეყო და რამდენიმე სანახევროდ დამწვარი ფურცელი გამოიღო თითების ატკრეცვის ფასად.

– ძალიან კარგი, მე კი დანარჩენებს მამამენს ვუჩვენებ! – დარჩენილ წერილებს ისევ მოვეუკარი თავი და კარისკენ დავაპირე.

ქეთიმ გაშავებული ფურცლები უკანვე შეყარა ცეცხლში და მანიშნა, ეგენიც შეყარეო. ასეც მოვიქციე. ფერთელი ავურ-დავურიე და ერთი ნიჩაბი ნახშირი დავაყარე. ქეთი უბრად, თუმცა კი გულის საგრძნობი ტკივილით გავიდა თავის ოთახში. მე ისევ ქვედა სართულს მივაბურე, რომ ბატონისთვის მეთქვა, ქეთიმ მოიკეთა-მეთქი, მაგრამ მერე ვამჯობინე, ცოტა ხანში თვითონაც ჩამოვა და თვითონვე უთხრას-მეთქი. სადილად არ გამოჩენილა, მაგრამ ჩაის სმისას მობრძანდა, გაფითრებული და თვალეზანითლებული იყო, თან უცნაურად მშვიდად იქცეოდა, თითქოს ბედს ემორჩილებოდა. მეორე დღით ქალაქის ნაგლეჯზე მე დავწერე წერილი: «ბატონ ჰითქლიფს ვთხოვ, ნუღარ გამოუგზავნის წერილებს მის ლინთონს, რადგან ქეთი ბარათებს აღარ მიიღებს». იმ დღის შემდეგ პატარა ბიჭი ცარიელი ჯიბეებით მოდიოდა ხოლმე.

ზაფხული მიიწურა და ადრეული შემოდგომაც გავიდა, წმინდა მიქაელობაც[2] დასრულდა, თუმცა კი ალოობა იმ წელს დაგვიანდა, ამიტომ ჩვენს რამდენიმე მინდორზე ხორბალი ასაღები გვექონდა. მისტერ ლინთონი ქალიშვილითურთ ხშირად გადიოდა ხოლმე ყანაში და მომკვლევს მეთვალყურეობდა. იმჯერად უკანასკნელი ძნის გატანამდე დარჩნენ, უკვე შებინდებული იყო და აგრილდა, თან ნესტიანი ამინდი იდგა, ამიტომ ჩემი ბატონი ძალიან გაცივდა. გაციება ფილტვებზე გადაუვიდა და მთელი ზამთარი სახლიდან ცხვირი ვერ გაყო, თუ მოკლენიან ამოსუნთვის საშუალებას არ მივიღებთ მხედველობაში.

საწყალი ქეთი დანაღვლიანდა და მოიწყინა, რაც სიყვარულობანაზე მოუწია ხელის აღება, ამიტომ მამამისმა დაიჟინა, უფრო ნაკლები იკითხე და მეტი იმოძრავეო. რაკი გოგონას ამხანაგი აღარ ჰყავდა, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე, ზოგჯერ სეირნობისას ვხლებოდი ხოლმე, რაც, სამწუხაროდ, სასიამოვნო ადამიანის დანაკლისს ვერაფრით შეუვსებდა. მით უმეტეს, ყოველდღიური საქმეების გადამკვიდეს, მე მხოლოდ ორი-სამი საათით შემეძლო გავყოლოდი, ამას გარდა, ჩემი ხლება მისთვის მისტერ ლინთონის თანხლებებზე ნაკლებსანადელი გახლდათ.

ოქტომბრის თუ ნოემბრის ერთ შუადღეს, ნესტიანი ამინდი რომ იდგა და ბილიკებზე სველი მიწა ფეხქვეშ ჭყაპუნობდა, ცაში კი უძირო სილურჯე დასავლეთიდან წამოსული ლევა ღრუბლების უკან იმალებოდა, რაც თავსხმა წვიმას გვიქადა, ჩემს ქალბატონს ვთხოვე, იქნებ შინ დავრჩინილიყავით, მგონი, წვიმას აპირებს-მეთქი. არ დამეცა, ამიტომ უხალისოდ წამოვაველე მოსასხამს ხელი და ქოლგაც მოვიმარჯვე, რომ გავყოლოდი პარკის ბოლომდე: დათრგუნვილს ჩვევად ექცა პარკში სეირნობა; საკმარისი იყო, ბატონ ედგარის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულებოდა, რომ გოგონა ძალიან ითრგუნებოდა ხოლმე. მართალია, ედგარი არ ამბობდა, ცუდად ვარო, მაგრამ ხმის ამოუღებლობით და მელანქოლიური გამომეტყველებით ვხვდებოდი, როგორ უნდა ყოფილიყო. ისიც ასევე დიანებდა ქეთის, რომ სირბილი და კუნტრუში არ შეეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ცივი ქარი სახეში სცემდა და თითქოს სათამაშოდ იწვევდა. არაერთხელ მომიკრავს თვალი, როგორ სწევდა ერთ ხელს, რომ ლოყიდან რაღაც ჩამოეფერთხა. არემარეს მოვალეები ხოლმე თვალს, რომ რამე ისეთი აღმომიჩინა, რაც სევდიან ფიქრებს გაუფანტავდა და სულ სხვა რამე დააფიქრებდა. გზის ერთ მხარეს მკვეთრი შემადღება იწყებოდა, საკმაოდ ციყაბო, რომელზეც კაკლისა და დაგვალული მუხების ფესვები მოჩანდა. ამ ადგილას მეტისმეტად ფხვიერი მიწა იყო, ამიტომაც მუხები ძლიერ ქარებს ლამის მიწაზე გაერთხა. ზაფხულობით მის ქეთრინს ამ ხეებზე ცოცვა უყვარდა, ზოგჯერ კი ოციოდე ბიჭის სიმაღლეზე ავიდოდა და ტოტზე დაჯდებოდა ხოლმე; მეც მასთან ერთად ვხარობდი, მართობდა მისი ბალღური ალტკინება და პირის ქარად დავტუქსავდი ხოლმე, – ამსიმაღლეზე რამ ავიყვანა-მეთქი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩამოსვლის აუცილებლობა სულაც არ იყო. სადილიდან სამხრამდე ასე იწვა ხოლმე ქარის მიერ აქანავებულ ტოტების აკვანში, ძველ ჰანგებს ღიღინებდა, – ჩემგან ნასწავლს – ან

ჩიტების ყურებით ტკბებოდა, როგორ კვებავდნენ თავიანთ ბარტყებს და ბუდიდან გამოტყუებას ლამობდნენ, რომ ფრენა ესწავლებინათ. ამ დროს ფიქრებსა და ოცნებებს იყო მიცემული და ისეთი ბედნიერი ჩანდა, რომ ენა ვერ აღწერს.

– ნახე, მის! – შევძახე და ერთ-ერთი გადახლართული ხის ფესვებქვეშ მყუდრო ადგილისკენ გავიშვირე ხელი, – მანდ ჯერ არ დაზამთრებულა. უკანასკნელი მაჩიტელა მოჩანს, ეს ყვავილები ივლისში ამ მიდამოებს ლურჯ ნისლში შხვევს ხოლმე. არ გინდა, აძვრე და მოწყვიტო? მამიკოს ნაუფლებდით, – ქეთიმ დიდხანს უყურა ეულ ყვავილს, მინისტვის რომ შეეფარებინა თავი და ბოლოს მიპასუხა:

– არა, ხელს არ ვახლებ; ისე, მელანქოლიურად გამოიყურება, არა, ელენ?

– კი, – დავუდასტურე მეც, – შენსავით ნაშიმშილარსა და ღონემიხდილს ჰგავს და შენსავით გაფითრებულა. ნეტავ გაცოდინა, ლოყებზე ფერი არ გადაეცა. მოდი, ხელი ჩავკიდოთ და გავიქცეთ. ისე დაზოზინებთ, რომ მგონი, აღარც კი ჩამოვგრჩებით.

– არა, – ისევ გამიმეორა და გზა განავრძო; ალაგ-ალაგ შეჩერდებოდა ხოლმე ხავსიანთან ან გადახუნებულ ბალახთან და ფიქრებს მიეცემოდა; ზოგჯერ მის ყურადღებას სოკო იქცევდა, ყავისფერ ფოთოლნაყარში ნარინჯისფერ ლაქად რომ მოჩანდა. ქეთი წამდაუნუმ სახეზე იფარებდა ხელს, ოღონდ ამ დროს მე ზურგს მაქცევდა.

– ქეთონი, რა გატირებს, საყვარელო? – მივუახლოვდი, მხარზე ხელი დავადე და ვკოთხე. – მისი გამო ხომ არ ტარი, მამიკო გაციებული რომ არის? მადლობა თქვი, უარესი რამ რომ არ დაემართა.

ცრემლები ვეღარ შეიკავა და ასლუკუნდა.

– ვაიმე, მგონი, რაღაც უარესი უნდა სჭირდეს, – ივარაუდა მან, – მერე რაღა მშვევლება, როდესაც მამიკო და შენ დამტოვებთ? შენი სიტყვები გონებიდან არ ამომდის, ელენ, სულ ყურში ჩამესმის. როგორ შეიცვლება ცხოვრება, როგორი საშიში გახდება სამყარო, როდესაც შენ და მამიკო აღარ შეეოლებით.

– ევ არავინ იცის, ქეთი, იქნებ შენ გავგასწრო, – შევეპასუხე, – ავის მოლოდინით ცხოვრება ცოდვის ტოლფასია. იმედი მაქვს, ჯერ კიდევ წლები გვაქვს დარჩენილი. ბატონი ახალგაზრდაა, მე კი ჯანმრთელი, თანაც მხოლოდ ორმოცდახუთი წლის ვარ. დედაჩემმა ოთხმოც წლამდე იყოცხლა, ბოლომდე მხნედ იყო ქალი. ვივარაუდოთ, რომ მისტერ ლინთონი სამოც წლამდე მიაღწევს, ესე იგი, იმაზე მეტჯერ ნახავს კიდევ გაზაფხულს, ვიდრე შენ გინახავს დაბადებიდან. ამიტომ, სისულელე არ არის, რომ ახლა იგლოვო ის უბედურება, რომელიც სულ ცოტა, ოცი წელიწადი არ მოხდება.

– ჰო მაგრამ, მამიდა იზაბელა მამაზე ახალგაზრდა არ იყო? – თქვა მან და ისე შემომხედა, თითქოს ნუგეშს ეძებსო.

– მამიდა იზაბელას შენ და მე არ ვყავდით, რომ მიგვეხედა, – ვუპასუხე დასამშვიდებლად, – თანაც მამაშენივით ბედნიერიც არ ყოფილა: ცხოვრების

გასაგარძელებლად ბევრად ნაკლები მიზეზი ჰქონდა. ასე რომ, მამიკოს კარგად უნდა მიხედო, თავად მხიარული უნდა იყო, რომ ისიც გამხიარულდეს. ეცადე, არაფერზე გააბრაზო, ეს გაითვალისწინე, ქეთი. არ მოგატყუებ, თუ ასე განაგრძობ, მამამენს სიცოცხლეს მოუსწრაფებ! გახსოვდეს, თუკი იმ ადამიანის ვაჟის სულელურ სიყვარულს არ ამოიგდებ თავიდან, რომელიც მზადაა, მამამენს სამარე გაუთხაროს და სულ ნაღვლიანი დაენახვები, მისტერ ედგარს გული ველარ გაუძლებს.

– ახლა მე მამიკოს ავადმყოფობაზე მეტად არაფერი მანაღვლევს, – მომიგო, – მამიკოსთან შედარებით ყველაფერი უმნიშვნელოა ჩემთვის. ამიერიდან აღარასოდეს, აღარასოდეს, აღარასოდეს არც მოვიცქევი ისე და არც რამეს ვიტყვი ისეთს, რომ მამიკო გავაღიზიანო. ჩემს თავზე მეტად მიყვარს, ელენ. იცი, ყოველლამ ვლოცულობ, რომ ჩემს სიკვდილს არ მოესწროს, ჯობია, ისევ მე მოვესწრო, და მე გავემნარდე, ვიდრე ის – ეს ხომ იმას ამტკიცებს, რომ ჩემზე მეტად მიყვარს?!

– კარგი ნათქვამია, – ვუთხარი მე, – მაგრამ ნათქვამს ნანახი სჯობიაო, როგორც იტყვიან. ოღონდ, როდესაც მოიკეთებს, მერე არ დაგავინცდეს ის გადაწყვეტილება, რომელიც თავზარდაცემულმა მიიღე.

საუბარ-საუბარში გზაზე გამავალ კუტიკარს მიეუახლოვდით; ჩემი პატარა ქალბატონი ისევ გამხიარულდა, სახე გაუცისკროვნდა, ღობეზე აძვრა და შემოჯდა. მერე ასკილის ბუჩქის თავზე, გზაზე რომ გადადიოდა და გზის ნაწილს გვარიანად ჩრდილავდა ხშირი ტოტებით, სინგურისფერ კენკრას მისწვდა. ქვედა ტოტებზე ნაყოფი აღარ იყო შერჩენილი, მხოლოდ წვერზედა მოჩანდა, სადაც ოდენ ჩიტები თუ მისწვდებოდნენ, თუკი, ცხადია, ქეთისავით არ შემოჯდებოდა ვინმე ღობეზე. მოსაწყვეტად რომ გადაინია, ქედი ჩამოუვარდა; რაკი კარი უკვე დაკეტილი იყო, ძირს ჩახტა ასაღებად. ოდენ ის მოვასწარი, ფრთხილად იყავი-მეთქი, რომ თვალს მიეფარა; უკან აძრომა იოლი საქმე როდი იყო: ღობე საკმაოდ გლუვი თლილი ქვით იყო ამოყვანილი და საფუძვლიანად ჩაცემენტებული, ასკილისა და მაცვლის ბუჩქები კი იმდენად მყიფეა, რომ ტოტებზე ვერ შედგებოდა. მე კი, სულელმა, მანამდე ვერ მოვიფიქრე, რომ შველა სჭირდებოდა, სანამ მისი ხმა არ შემომესმა, სიცილით გამომძახა:

– ელენ! გასაღები უნდა მოიტანო, თორემ მომიწევს, ღობეს შემოვურბინო და მეკარის ჯიხურამდე მივიღე. ამ მხრიდან ღობეზე ვერ ამოვძვრები!

– მანდ დარჩი, – გავძახე, – გასაღებების აცმულა ჯიბეში მიდევს: იქნებ რომელიმეთი გავაღო, თუ არადა, სხვას მოვითან.

ქეთონიმა ცეკვა დაიწყო, სანამ მოზრდილ გასაღებებს ვარგებდი კუტიკარის საკეტს. ბოლოც რომ მოვსინჯე, მივხვდი, არც ერთი არ ვრგებოდა. ისევ ვუთხარი, მანდ დარჩი-მეთქი და სახლისკენ დაუაპირე წასვლა, ვიფიქრე, მივირბენ-მეთქი, რომ უეცრად მოღწეულმა ხმაურმა გამაშემა. ცხენის ფლოქვების თქარუნი იყო; ქეთიმ ცეკვა შეწყვიტა.

– რა არის? – ჩურჩულით ვკითხე.

– ელენ, იქნებ როგორმე გაალო კარი, – ჩერჩულითვე მომმართა აფორიაქებულმა ქეთიმ.

– ჰეი, მის ლინთონ! – გაისმა დაბალი ხმა (მხედრისა), – მიხარია თქვენი ნახვა. შესვლას ნუ იჩქარებთ, რადგან ახსნა-განმარტება უნდა გთხოვოთ და მივიღო კიდევ.

– არ დაგელაპარაკებით, მისტერ ჰითქლიფ, – უპასუხა ქეთრინმა, – მამიკომ მითხრა, ცუდი კაციაო; თქვენ კი ორივე ჩვენგანი გძულვართ. ელენიც ამას ადასტურებს.

– ამ საკითხზე საუბარს არ ვაპირებდი, – უთხრა ჰითქლიფმა (ის ღვთისპირიდან გადავარდნილი იყო), – მგონი, ჩემი ვაჟი არ უნდა მძულდეს. ჰოდა, სწორედ მის გამო ვითხოვ თქვენს ყურადღებას. დიახ, განითლგების მიზეზი ნამდვილად გაქვთ. ორი-სამი თვის წინ ლინთონისთვის წერილების წერა ჩვევად დაისახეთ. სიყვარულობანას თამაშზეც არ გითქვამთ უარი, ხომ? ამის გამო ორივე გასამართახებელი ხართ! თქვენ – განსაკუთრებით, რადგან მასზე უფროსი ხართ და როგორც გარკვა, ნაკლებ მგრძობიარე. თქვენი წერილები მე მაქვს და თუკი გამითავებდებით, მამათქვენს გავუგზავნი. როგორც ვხვდები, ეს გასართობი მოგეყრება და მიაგდეთ, გასართობთან ერთად კი ლინთონიც უიმედობის ჭაობში გადაუძახეთ. მას კი მართლა შეუყვარდით. როგორც ახლა მე ვდგავარ თქვენ წინაშე რეალურად, ასევე რეალურად ღაფავს სულს თქვენ გამო. თქვენი საქციელის წყალობით გული უსკდება ბიჭს. მართალია, ჰერთონი უკვე მეექვსე კვირაა დასცინის, მე კი საკმაოდ მკაცრი ზომებიც მივიღე, რომ ეს იდიოტობა ამომეგდებინებინა გულიდან, ყოველდღე უარესად ხდება. თუ თქვენ არ მოარჩენთ, მომავალ ზაფხულამდეც ვერ გაატანს!

– ასე უტიფრად როგორ ატყუებთ საწყალ ბავშვს? – გავძახე შიგნიდან, – ჯობს, გზას უტიოთ! როგორ იგონებთ ასეთ იაფფასიან ტყუილს? მის ქეთი, ამ საკეტს ქვით ჩამოვტეხ. არ დაიჯერო ეგ საზოგადოებრივ სისულელე. თავად უნდა გრძობდეს, რომ ადამიანი უცხო სიყვარულით ვერაფრით მოკვდება.

– არ ვიცოდი, მოყურადღები თუ გვყავდა, – ჩაიბუზღუნა გამოჭერილმა ნაძირალამ, – ღირსეულო მის დინ, შენ მომწონხარ, მაგრამ შენი ორპირობა – არა, – დაამატა ხმამაღლა, – რამ გათქმევინა ამხელა ტყუილი, თითქოს ეს «საწყალი ბავშვი» მძულდა? ეს ხომ უსინდისობაა! ან რა გუდიანი კაცის ზღაპრებს უყვებოდი, რომ ჩემი სახლიდან სულ ამოაკვეთინე ფეხი? ქეთრინ ლინთონ (მარტო ეს გვარ-სახელი მათობს), ჩემო ლამაზო გოგო, მთელი ეს კვირა შინ არ ვიქნები, მიდი და თქვენი თვალით ნახეთ, მართალი მითქვამს, თუ ტყუილი. ყოჩაღად მოიქეცით და ჩემი სიტყვები გადაამოწმეთ! აბა, მამათქვენი წარმოიდგინეთ ჩემს ადგილზე და ლინთონი – თქვენს ადგილზე; მერე განსაჯეთ, როგორ მოგეწონებოდათ, რომ თქვენს უდარდელ შეყვარებულთან მამათქვენი მოსულიყო და ეთხოვა, შვილი გადაამირჩინეო და ჩემს ლინთონს ნაბიჯიც არ გადაედგა დასახმარებლად. მარტოოდენ სიჭიუტით ნუ დაუშვებთ იმავე შეცდომას. სულის ხსნას ვფიცავ, მართლა სიკვდილის პირასაა და მხოლოდ თქვენ ძალგიძთ მისი გადარჩენა!

საკეტი დავიმორჩილე და ეზოს გარეთ გავედი.

– გეფიცებით, ლინთონი კვდება, – გაიმეორა ჰითქლიფმა და მტკიცედ შემომხედა, – ვარამი და იმედგაცრეება კი სიკვდილს უჩქარებს. ნელი, მარტოს თუ არ გამოუშვებ, შენც გამოჰყევი. მაგრამ მხოლოდ დღეის სწორს დაუბრუნდები, მანამდე კი შინ არ ვიქნები და მგონი, ასეთ შემთხვევაში, მამამისიც კი არ იქნება წინააღმდეგი, რომ გოგონამ თავისი მამიდაშვილი მოინახულოს.

– შევიდეთ, – ვუთხარი ქეთის და მკლავში წაავლე ხელი, რომ ძალით შემეყვანა ეზოში. გოგონამ ფეხი აითრია, მოსაუბრის მკაცრ სახეს უკვირდებოდა, თუმცა იმდენად მკაცრს, რომ ძნელი ამოსაცნობი იყო, შინაგანად ცრუებდა თუ არა.

მან ცხენი ახლოს მოაგდო, გადმოიხარა და ქეთის მიმართა:

– მის ქეთრინ, გაგანდობთ, რომ დიდად მოთმენი არ გახლავართ შვილის მიმართ, ჰერთონი და ჯოზეფი ხომ მით უმეტეს. მართლაც შავ დღეშია ბიჭი. სიკეთე და სიყვარული აკლია, ამიტომ ერთი კეთილი სიტყვა თქვენგან წამალზე უკეთ წაადგებოდა. მისის დინის უღმობელ გაფრთხილებებს ნუ დაუგდებთ ყურს. გამოიჩინეთ სულგრძელობა და ინახულეთ ლინთონი. დღე და ღამ თქვენს სახელს აბოდეებს და რაკი არც სწერთ და არც ნახულობთ, ჰგონია, შემიძულაო, რაც ვერაფრით ამოვაგდებიანთ თავიდან.

მე კარი მივხურე და ჩავკეტე, თან დიდი ქვაც მივაყუდე მოფონებული საკეტის გასამაგრებლად. უცებ ქოლგა გავშალე და ქეთი შემოვიყვანე მის ქვეშ, რამეთუ ტოტებში უკვე პირველმა წვეთებმა ჩამოატანა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ უნდა აგვეჩქარებინა ფეხი. მართლაც ვჩქარობდით და ჰითქლიფის ნათქვამს, შეხვედრის თაობაზე, ბოლომდე აღარ მოუღწევია ჩვენს ყურამდე. მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ ქეთრინს გულზე ორმაგი დარდი შემოსწოლოდა. ისე დასევდიანდა, რომ თავის თავს აღარ ჰგავდა. ეტყობოდა, რომ თითოეული მოსმენილი სიტყვისა სჯეროდა.

ბატონი მანამდე წასულიყო მოსასვენებლად, ვიდრე ჩვენ მივალწევდით შინ. ქეთი მის ოთახში შეიპარა ფეხაკრეფით – როგორ არისო. რომ გამოვიდა, მთხოვა, ბიბლიოთეკაში დაესხდეთო. ორივემ ჩვენ-ჩვენი ჩაის ფინჯნები შევიტანეთ. ჩაის სმას რომ მოვრჩით, ქეთი ხალიჩაზე წამოწვა და მთხოვა, არაფერი მითხრა, ძალიან დაღლილი ვარო. მე წიგნი ავიღე და ვითომ კითხვა დავიწყე. როდესაც იფიქრა, კითხვაშია გართულიო, ჩუმი ქვითინი დაიწყო. ქვითინი თითქოს გასართობად ქცეოდა ბოლო დროს. ჯერ ცოტა დავაცადე, მერე კი დარწმუნება ვცადე, რაც ჰითქლიფმა გითხრა თავის ვაჟზე, ყველაფერი მტკნარი სიცრუეა-მეთქი, თან რატომღაც მეგონა, მეთანხმება-მეთქი. მაგრამ ამაოდ! იმის ძალა არ აღმომაჩნდა, რომ იმ ეშმაკისეულის მიერ ნათქვამის ეფექტი ჩემი შეგონებებით გამექარწყლებინა. ჰითქლიფმა სანადელს მიაღწია.

– შესაძლოა, მართალი ხარ, ელენ, – მითხრა ქეთიმ, – მაგრამ სანამ მის ნათქვამს არ გავარკვევ, ვერ მოვისვენებ. და ლინთონს უნდა ვუთხრა, რომ ჩემი ბრალი არ არის, თუკი აღარ ვწერ და დავარწმუნო, რომ მე არც შევიცვლები.

რა აზრი ჰქონდა, ამგვარი მიამიტობის გამო გავბრაზებოდი? იმდამით უბრად დავცილდით ერთმანეთს, მაგრამ მეორე დილას «ქარიშხლიანი უღელტეხილის» გზას ვადეცი ჩემი ნებიერა ქალბატონის პონის გვერდით. სად შემეძლო იმის ყურება, თუ როგორ კარგავდა ფერს, როგორ უტიროდა სახე და უმძიმდებოდა თვალები! ავდეცი და დავუთმე, დავყევი, გულში იმედი მიჭიატებდა, რომ თუ ლინთონი ტუჩაკვრით მიგვიღებდა, გაცხადდებოდა მამამისის მონათხრობის სიცრუე.

თავი 23

წვიმიანი ღამე ნისლიანმა დილამ შეცვალა – თრთვილიც იღო, თან უინჟულავდა, – მაღლობიდან ჩამორაკაკებელი ნაკადულები კი გზას გვიჭრიდნენ. ფეხები სულ დამისველდა, თან გაბრაზებული და დათრგუნვილი გახლდით, რაც სრულიად შესაფერი განწყობაა იმ საქმისათვის, რისთვისაც ვიყავი გამოსული. სახლში სამზარეულოდან შევედით, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ მისტერ ჰითელიფი მართლა არ იყო შინ, რაკი მხოლოდ ცარიელ სიტყვაზე ვერ ვენდობოდი.

ჯოზეფი მოგუზგუზე ბუხართან იჭდა და ნეტარებას მისცემოდა ეულად, გვერდით, ტაბლაზე, კვარტიანი კათხით ლუდი ეღვა, შიგ დაბრანული შერიის ორცხობილის ნაფხვენები ჩაეყარა, პირში კი შავი, მოკლე ჩიბუხი ეღო. ქეთრინმა ბუხართან მიიბრინა, შევბეო. ვიკითხე, ბატონი თუა შინ-მეთქი. იმდენი ხანი დემდა ჯოზეფი, რომ ვიფიქრე, ყურს თუ დააკლდა-მეთქი და ხმამაღლა გავიმეორე კითხვა.

– არა-ა! – ამოიღრინა, უფრო სწორად, ამოიჭიმჭიმა, – არა-მეთქი! ახლა კი აცე, უკან, საიდანაც მოსულხართ.

– ჯოზეფ! – ჩემს ხმასთან ერთად შიდა ოთახიდან ჭირვეული ხმა გაისმა, – რამდენჯერ უნდა დავიძახო? რამდენიმე წითელი ნაკვერჩხალიაა დარჩენილი. ჯოზეფ! ახლავე აქ გაჩნდი.

ღრმა ნაფაზითა და ცხაურზე მიშტერებული თვალებით ცხადი გახდა, რომ ამ განკარგულებას მის ყურამდე არ მიუღწევია. მნე და ჰერთონი არსად ჩანდნენ; ერთი დავალების შესასრულებლად წასულიყო, მეორე – სამუშაოზე. ჩვენ ლინთონის ხმა ვიცანით და შევედით.

– ოჰ, იმედი მაქვს, მაგ სხვენში ამოგძვრება სული მშიერ-მწყურვალს! – ბიჭმა ჩვენ მოგვაგება ეს სიტყვები, რამეთუ კადნიერ მსახურში ავერიეთ.

უცებ შეჩერდა, მიხვდა, შეცდომა დავუშვიო, ქეთი კი მისკენ გაქანდა.

– ეს თქვენ ხართ, მის ლინთონ? – თქვა ბიჭმა და დიდი სავარძლის სამკლავურიდან აიღო თავი, რომელზეც მიწოლილიყო. – არა, არ მაკოცოთ, სუნთქვას მიკრავს. ვაი, დედიკო! მამამ კი მითხრა, გინახულებსო, – განავრძო მან,

როგორც კი ჩახუტებული ქეთრინისგან დაიხსნა თავი. ამ დროს გოგონამ მონანიე სახით შეხედა ბიჭს, – თუ არ შეწუხდებით, კარი შემოიხურეთ, ღია დაგრჩენიათ. იმ საზიზღარ, საძაგელ არსებებს კი ნახშირი ენანებათ, რომ მოიტანონ და ცეცხლს შეაყარონ. იყინება აქაურობა!

მე ნაცარი გადავქექე და ერთი სათლი ნახშირი მივიტანე. ავადმყოფმა წუნნი დაიწყო, ფერფლი დამეყარაო; რაკი დამლელი ხველა აწუხებდა, ციებიანსა და ავადმყოფს ჰგავდა, არ შევდავებივარ.

– კეთილი, ლინთონ, – თქვა ქეთრინმა, როდესაც ბიჭმა წარბი გახსნა, – გიხარიათ ჩემი ნახვა? შემიძლია, რამე გაგიკეთოთ?

– რატომ აქამდე არ მოხვედით? – ჰკითხა ბიჭმა, – მონერას მოსვლა სჯობდა. ვრძელი წერილების წერამ ქანცი გამაცალა. ახლა კი ველარც ლაპარაკს ვიტან. ნეტავ ზილა სად ბრძანდება ახლა? ხომ ვერ (მე გამომხედა) ჩახვიდოდით სამზარეულოში მის დასაძახებლად?

რაკი ნახშირის შემოტანისთვისაც არ ჰქონდა მადლობა გადახდილი, სულაც არ მსურდა წინ და უკან მერბინა მისი ხუშტურების მიხედვით, ამიტომ მოკლედ მოვუჭერი:

– ჯობეფის მეტი არავინაა.

– მწყურია, – ფხუკიანად წამოიძახა და თავი მიაბრუნა, – რაც მამა წავიდა, ზილა სულ გიმერთონში დაეხეტება: რა საძაგლობაა! მე კი სულ დაბლა ყოფნა მიწევს, რადგან ძახილით რომ გავსკდე, არავინ გამომეპასუხება ზედა სართულზე.

– მამათქვენი ყურადღებიათ თქვენდამი, მისტერ ჰითქლიფ? – ვკითხე და დავინახე, რომ ქეთრინის მეგობრული დამოკიდებულება დიდი გულისფანქვალით არ მიუღია.

– ყურადღებიათ? სხვებს მაინც აძალეებს, რომ მცირედი ყურადღება გამოიჩინონ, – იყვირა უცებ, – სალახანები! იყით, მის ლინთონ, რომ ის ხეპრე ჰერთონიც კი დამცინის! მძულს! ყველა მეჭავრება, საზიზღარი არსებები!

ქეთიმ წელის ძებნა დაიწყო. ბუფეტში დოქს მოჰკრა თვალი, ჭიქა შეავსო და მიუტანა. ლინთონმა სთხოვა, მაგიდიდან ღვინო აიღეთ და ერთი კოვზი ჩამიმატეთ წყალშიო. პატარ-პატარა ყლუპებად დალია და გარეგნულად ცოტა დამშვიდდა. ქეთის უთხრა, რა კეთილი ხართო.

– მამ, არ გიხარიათ ჩემი ნახვა? – ხელახლა ჰკითხა გოგონამ და გაუხარდა, მის სახეზე მსუბუქი ღიმილი რომ აისახა.

– კი, მიხარია. ჩემთვის სიახლეა თქვენი ხმის გავგონება! – მიუგო ლინთონმა, – მაგრამ ვჯავრობდი, არ მოვა-მეთქი. მამაჩემმა აქეთ მე დამძრახა, შენი ბრალიაო. სასოდავი, უგერგილო და გამოუსადეგარი მიწოდა. მითხრა, ქეთიმ შეგიძულაო და

ისიც დასძინა, შენს ადგილას, დიდი ხნის წინ გავხდებოდი «შაშვების» ბატონი და მამამისის ადგილს დავიკავებდიო. მაგრამ თქვენ ხომ არ გქულვართ, მის?

– მირჩევნია, ქეთრინი, ან ქეთი დამიძახოთ, – შეაწყვეტინა პატარა ქალბატონმა, – თქვენ მძულდეთ? არა! მამიკოსა და ელენის შემდეგ, ყველაზე მეტად თქვენ მიყვარხართ. თუმცა მისტერ ჰითქლიფზე იმავეს ვერ ვიტყვი და როდესაც დაბრუნდება, მოსვლასაც ვეღარ მოვახერხებ. დიდი ხნით არის წასული?

– არცთუ, – უპასუხა ლინთონმა, – მაგრამ რაც ნადირობის სეზონი დაიწყო, ჭაობებში დადის ხოლმე ხშირად. შეგიძლიათ, მის აქ არყოფნაში, ერთი-ორი საათი გაატაროთ ჩემთან. დამპირდით. თქვენთან ჭირვეული არ ვიქნები, რადგან უაზროდ არაფერზე გამაბრაზებთ, პირიქით, მუდამ დამეხმარებით, ხომ ასეა?

– ასეა, – დაეთანხმა ქეთრინი და გრძელ თმაზე ჩამოუსვა ხელი, – როგორმე მამიკოსაც რომ დაეთანხმებდეთ, ნახევარ დროს თქვენთან გავატარებდი. საყვარელო ლინთონ, ნეტავ ჩემი ძმა ყოფილიყო.

– და მერე მამათქვენით გეყვარებოდით? – ჰკითხა უფრო გახალისებულმა, – მაგრამ მამა მეუბნება, მამამისზე მეტადაც ეყვარები და მთელ სამყაროსაც გამჭობინებს, თუ ცოლად გამოგყვებაო. ასე რომ, მირჩევნია, ჩემი ცოლი იყოთ.

– არა, მამაჩემზე მეტად არავის შევიყვარებ, – ამაყად მიუგო ქეთიმ, – თანაც, ზოგჯერ კაცებს ცოლები ზიზღდებათ ხოლმე, დები და ძმები კი – არა. ჰოლად თუკი ჩემი ძმა გახდებოდით, ჩვენთან იცხოვრებდით და მამიკოსაც ისევე ეყვარებოდით, როგორც მე.

ლინთონი არ დაეთანხმა ქეთის ნათქვამს, კაცებს ცოლები ზიზღდებათო. ქეთიმ კი, მეტი ჭკუა რომ არ ეყო, მამამისისა და მამიდამისის მაგალითი მოუყვანა, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა მისსავე ნათქვამს. მე მყისვე ვცადე, ეს სულელური საუბარი შემეწყვეტინებინა, მაგრამ ენა ვერ გავაჩერებინე, სანამ ყველაფერი არ დაფქვა. გაღიზიანებულმა ჰითქლიფმა მიახალა, ყველაფერი ტყუილიაო.

– მამიკომ მითხრა, ის კი არასდროს ტყუის! – საკმაოდ უტიფრად უთხრა ქეთიმ.

– მამაჩემს მამაშენი სძულს! – დაუყვია ლინთონმა და შენობითვე გადავიდა, – დამპალ ჭიას ეძახის.

– მამაშენია დამპალი, – გაეპასუხა ქეთრინი, – შენ კი ცუდად იქცევი, მის სიტყვებს რომ მიმეორებ. დამპალი რომ არ ყოფილიყო, მამიდა იზაბელა არ მიატოვებდა.

– მას არ მიუტოვებია, – თქვა ბიჭმა, – და ნუ მწინააღმდეგები.

– მიატოვა! – იწივლა ქეთრინმა.

– კაი, მაშინ რაღაცას გეტყვი, – გამოცრა ლინთონმა, – დედაშენს მამაშენი სძულდა, აი, ასე!

– ოჰ! – აღმოხდა ქეთის, რადგან სხვა ვერაფერი თქვა.

– და მამაჩემი უყვარდა! – დაუმატა ბიჭმა.

– შე პატარა მატყუარავ! – ამოიქმინა სიმწრით განითლებულმა ქეთიმ.

– უყვარდა! უყვარდა! – ლინთონმა ღილინი დაინყო და სავარძელში მიიკუნტა, თავი მიაყრდნო საზურგეს და უკან მდგარი ქეთის გაღიზიანებით დატკბა.

– გაჩუმდით, მისტერ ჰითქლიფ! – შევუტეე, – მგონი, ეგვეც მამათქვენის მოგონილია.

– არაფერიც! და ენა დაიმოკლეთ! – შემომიტია საპასუხოდ, – უყვარდა, უყვარდა, ქეთრინ! უყვარდა, თან როგორ!

ქეთიმ მის სავარძელს ღონივრად ჰკრა ხელი და ლინთონი ერთ-ერთ სამკლავურს მიეჯახა. მამინვე ხრჩობითი ხველა აუვარდა და ღილინი შეაწყვეტინა. იმდენ ხანს ახველა, რომ მეც კი შემეშინდა. ქეთრინი კი, ეს რა ჩავდივინო, გულამოსკვნით აქვითინდა, თუმცა სიტყვით არაფერი უთქვამს. ბიჭს ხელები მოვხვიე და ასე მეჭირა, სანამ ხველამ არ გაუარა. როგორც კი ცოტა მიწყნარდა, ხელი მკრა და თავი გადააგდო უკან. ქეთრინმაც შეწყვიტა სლუკუნი, მის წინ ჩამოჯდა და ცეცხლს მიაჩერდა.

– როგორ ხართ, მისტერ ჰითქლიფ? – ათიოდე წუთის შემდეგ ვკითხე.

– ვისურვებდი, ეგ იყოს ჩემნაირად, – ქეთრინისკენ გაიხედა, – ავგულა, უღმობელი არსება! ჰერთონი არასდროს მეხება ხელით, თითქმის კი არ დაუკარებია ცხოვრებაში. დღეს კი ცოტა უკეთ ვიყავი, ამან კი... – ხმა წაერთვა და ასლუკუნდა.

– არც მე მიხლია შენთვის ხელი! – წაიბუტბუტა ქეთიმ და ტუჩი მოიკვნითა, რომ ემოციის შეტევისთვის გაეძლო.

ლინთონი ისე კენესოდა და ოხრავდა, თითქოს ენამებაო. დაახლოებით თხუთმეტი წუთი ამ დღეში იყო. აშკარად ბიძაშვილის გასალიზიანებლად იქცეოდა ასე, რადგან როგორც კი ქეთი ოხვრას შეწყვეტდა, ბიჭი იწყებდა, რომ ხელახლა გაეღიზიანებინა ქეთი.

– მაპატიე, თუ გული გატკინე, ლინთონ, – უთხრა ქეთიმ, რადგან თავის შეკავება ვეღარ შეძლო, – მაგრამ ასეთ უმნიშვნელო ხელის კვრაზე მე არაფერი მეტკინებოდა, ამიტომ ვიფიქრე, არც მას ეტკინება-მეთქი. ხომ არაფერი გტკენია სერიოზულად, ლინთონ? ისე ნუ გამიშვებ შინ, რომ გზად ვიფიქრო, რალაც დავუშავე-მეთქი. მიპასუხე! გამეცი ხმა.

– შენთან ლაპარაკი არ შემიძლია, – წაილულულა, – ისე მატკინე, რომ მთელი ღამე უნდა მახველოს. ისედაც ძილი მაქვს გატეხილი. შენც რომ ჩემს დღეში იყო, გეცოდინებოდა, როგორც ვარ ახლა. მაგრამ შენ მშვენივრად გამოიძინებ, მე კი აგონიაში ვიქნები და მომშველებელიც არავინ მეყოლება. ნეტავ შენ ჩავარდებოდე

ჩემს დღეში და ვნახავდი, როგორ მოხუჭავდი თვალს! – ლინთონს ისე შეეცოდა საკუთარი თავი, რომ ხმამაღლა აქვითინდა.

– თუკი ისედაც ძილი გაქვთ გატეხილი, – ჩავერთე მე, – ქეთი რაღა შუაშია. აქ რომ ფეხიც არ მოედგა, მაინც ხომ ვერ დაიძინებდით. თანაც აწი აღარასოდეს შეგანუხებთ. იქნებ ჯობდეს, დროულად წავიდეთ, თუკი ასე უფრო მოიკეთებთ?

– წავიდე? – ქეთი დაიხარა და მწუხარედ ჰკითხა, – გინდა, რომ წავიდე, ლინთონ?

– რაც დამიშავე, იმას მაინც ვერ შეცვლი, – მიახალა ბიჭმა და ჟრულოთ გაიწია უკან, – თუ, რა თქმა უნდა, არ გააუარესებ ყველაფერს და იმდენს არ იზამ, რომ სიციხემ ამიწიოს.

– კეთილი, მაშინ წავალ, ხომ? – არ მოეშვა ქეთი.

– თავი მაინც დამანებე, შენს ლაპარაკს ვერ ვიტან.

ქეთი ცოტა ხანს მაინც შეეცონდა, თუმცა კი ვარწმუნებდი, წავიდეთ-მეთქი. მაგრამ ლინთონმა არც შეხედა, არც სავარძლიდან ამდგარა, რომ თუნდაც ბუხართან მოკალათებულყო უფრო ახლოს, ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, ქეთი კარისკენ წავიდა და მეც ფეხდაფეხ მივყვი. ორივენი უეცრად კვილიმა შემოგვაბრუნა. ლინთონი ბუხრის წინ იატაკზე გაგორებულყო და იგრიხებოდა, როგორც ჩვეულებრივი ვარყენილი, ავზნიანი ბავშვი, ვინც ოდენ იმას ფიქრობს, სხვები როგორ შევანუხო. მივუხვიდი ოინს; უარესი იქნებოდა, მაშინ მისთვის რომ დაგვეყვავებინა. მაგრამ ქეთი ასე როდი ფიქრობდა: მოფორთხილე ბიჭი რომ დაინახა, მისკენ გაიქცა, ჩაიბუხლა, მიეფერა, მიეალერსა, ეხვეწა, დამშვიდდო, მაგრამ მისი დამშვიდება არა და არ იქნა, სანამ ხველამ არაქათი არ გამოაცალა და სუნთქვა არ შეეკრა, თორემ ქეთის გული ვატკინეო, მაგ მიზეზით ნამდვილად არ შეჩერდებოდა.

– ტახტზე დავანვენ, – ვთქვი მე, – იქ კი რამდენიც უნდა, იმდენი იგრიხოს. აქ ყარაულეზად ვერ დავუდგებთ. იმედი მაქვს, კმაყოფილი ხარ, მის ქეთი, რაკი ხელავ, რომ ის ჰიროვნება არ აღმოჩნდი, ვისაც მისი განკურნება შეუძლია და არც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა თქვენს სიყვარულთან დაკავშირებული. აჰა, ესეც ასე! წავედით. როდესაც დაინახავს, რომ აღარავინ დარჩა, ვინც მის ხუშტურებს მიაქცევს ყურადღებას, უფრო დამშვიდდება.

ქეთიმ პატარა ბალიში თავექვემ ამოუდო და წყალი შესთავაზა. ლინთონმა წყალზე უარი უთხრა, ბალიშზე კი ისე შესწორდა, თითქოს თავი ქვაზე ან მორზე დაედო. გოგონამ ბალიშის გასწორება სცადა.

– ამაზე თავს ვერ ვდებ, – ამოიკვნესა ლინთონმა, – საკმარისად მაღალი არ არის.

ქეთონმა მეორეც მიუტანა ასამაღლებლად.

– ევ მეტისმეტად მაღალია, – დაინუნა ჭირვეულმა ბიჭმა.

– აბა, როგორ ამოგიკვცო? – ჰკითხა სასონარკვეთილმა ქეთიმ.

ლინთონი ტახტიდან გადმოიხარა და ჩამუხლულ ქეთის დაეყრდნო მხარზე.

– არა, ასე არ ივარგებს, – ვთქვი მე, – ტახტი იკმარეთ დასაყრდნობად, მისტერ ჰითქლიფ. ქალბატონმა ისედაც დიდი დრო დაგახარჯათ და ჩვენი წასვლის დროა უკვე. ხუთ წუთსაც ვეღარ მოვიცდით.

– კი, კი, მოვიცდით! – ატუტუცდა ქეთი, – ახლა კარგი და თვინიერი ბიჭია. უკვე მიხვდა, ამაღამ მე მასზე უარესად ვიქნებოდი, თუ დავიჯერებდი, რომ ჩემმა მოსვლამ აწყინა. თქვი, ლინთონ, მართლა ჩემმა მოსვლამ გაგხადა ცუდად და აქ ფეხიყ აღარ უნდა მოვდგა?

– უნდა მოხვიდე, ოღონდ იმისათვის, რომ მიწამლო, – უთხრა ლინთონმა, – მით უმეტეს უნდა მოხვიდე, რადგან ცუდად გამხადე, ლამის სიკვდილამდე მიმიყვანე! სანამ მოხვიდოდი, ასე ცუდად არ ვყოფილვარ, ასე არ არის?

– მაგრამ ამ დღეში თავი თვითონ ჩაიგდეთ კვილითა და უინიანობით.

– მე არაფერი დამიშავებია, – უთხრა ქეთიმაც. – თუმცა ამიერიდან ვიმეგობრებთ. მით უმეტეს, გჭირდება; ხომ გინდა, ხანდახან მაინც მოგინახულო ხოლმე?

– გითხარი, მიწა-მეთქი, – მოუთმენლად უპასუხა, – დაჯექი ტახტზე და ნება მომეცი, მუხლებზე დაგადო თავი. დედა სულ ასე მექცეოდა ხოლმე, მთელ დღეებს ასე ვატარებდით. გაუნძრევლად იჯექი და ხმა არ მოიღო. მაგრამ სიმღერა თუ იცი, შეგიძლია, მიმღერო, თუ არადა, რამე საინტერესო ბალადა მომიყვე, ოღონდ გრძელი – ერთ-ერთი იმათგანი, რომ დამპირდი, გასწავლიო. ან რამე ამბავი მიამბე. ისე კი, ბალადა მირჩევნია. ასე რომ, დაიწყე.

ქეთონმა ყველაზე გრძელი ბალადის მოყოლა დაიწყო, თუკი რამე ახსოვდა. ორივენი გახალისდნენ. ლინთონმა კიდევ ერთი ბალადის მოსმენა ინება, მერე კიდევ ერთის, მიუხედავად ჩემი მედგარი წინააღმდეგობისა და ასე შემოვრჩით შუადღემდე, სანამ საათმა თორმეტი არ ჩამოჰკრა და სამუშაოდან სადილად დაბრუნებული ჰერთონი არ გამოჩნდა ეზოში.

– და ხვალ, ქეთონ, ხვალაც აქ იქნები? – ჰკითხა ჰითქლიფმა და ზეზე უხალისოდ წამომდგარ ქეთის კაბაში ჩაავლო ხელი.

– არა, არავითარი ხვალ და ზეგ, – ვუთხარი მე, თუმცა ეტყობა, თავად ქეთონმა სულ სხვა რამ უპასუხა, როდესაც ყურში ჩასჩურჩულა რაღაც, რადგან ლინთონს შეწუხებული სახე დაუწყნარდა.

– ხვალ ვერ მონახულებ, მის, ეს გახსოვდეს, – ვუთხარი უკვე გარეთ გამოსულმა ქეთის, – იმედია, არ ოცნებობ ამაზე.

მან გაიღიმა.

– ოჰ, ანო ჭკუას ვისწავლი, – განვაგრძე მე, – კარის საკეტს შევაკეთებთ და ვერანაირად ვეღარ დააღწევთ კარმიდამოს თავს.

– შემოიძლია, კედელზე გადავძვრე, – სიცილით მითხრა, – «შაშვები» ციხე არ არის, ელენ, და არც შენ ხარ ჩემი მეცხიხონე. გარდა მაგისა, უკვე თითქმის ჩვიდმეტის ვარ. ქალი ვარ უკვე. თანაც დარწმუნებული ვარ, ლინთონი ბევრად უფრო სწრაფად მოკეთდება, მე თუ მოვეუვლი. მასზე უფროსიც ვარ, როგორც იცი, და უფრო ჭკვიანიც. მე უფრო ნაკლებ ბავშვური არ ვარ? ძალიან მალე ისე დავიმორჩილებ, რომ საითაც მივინდა, იქით მივმართავ ლინთონს და ვასწავლი, როგორ უნდა მეთანხმებოდეს. როდესაც კარგად იქცევა, როგორი საყვარელი ბიჭი ხდება ხოლმე. ჩემი რომ იყოს, ისე მოვექცეოდი, როგორც ნებეირას. საკმარისია, ერთმანეთს მივეჩვიოთ და არასოდეს ვიჩხუბებთ. მოგწონს, ელენ?

– მომწონსო! – შევიცხადე, – საძაგელი, ჭირვეული და ანჩხლი ჭიჭყინაა. საბედნიეროდ, როგორც მისტერ შითქლითმა ივარაუდა, ოც წლამდეც ვერ მიაღწევს. მეექვსეა, გაზაფხულს მაინც მოესწროს. დიდი ზარალი არ მიაღებდა ოჯახს მისი წასვლით. გვიხაროდეს, რომ თავის დროზე მამამისმა წაიყვანა, თორემ რაც უფრო გულკეთილად მივიღებდით და თბილად მოვეუვლიდით, უარესი თავკერძა და აუტანელი დადგებოდა. მიხარია, რომ მასზე დაქორწინების შანსი არ გაქვს, მის ქეთრინ.

ბიჭის მოსალოდნელ სიკვდილზე ასე უდარდელად საუბარმა ქეთის გუნება წაუხდინა.

– ჩემზე ახალგაზრდაა, – მითხრა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, – ჰოდა, უფრო მეტხანსაც უნდა იცოცხლოს. მოვალეა, იცოცხლოს, თან ზუსტად იმდენი, რამდენსაც მე ვიცოცხლებ. ახლა ისეთივე ჯანმრთელია, როგორც მაშინ, როდესაც პირველად მოხვდა ჩრდილოეთში. დარწმუნებული ვარ... ეგაა, გაციებულია, როგორც მამიკო. ხომ მითხარი, მამიკო მალე მოიკეთებსო, ჰოდა, რაღა ლინთონმა ვერ უნდა მოიკეთოს?

– კარგი, კარგი, – ვუყვირე ქეთის, – რაც უნდა იყოს, ჩვენ ვერ ვინაღვლებთ მაგაზე. ახლა კი მისმინე, მის, თან კარგად და ყურადღებით: იცოდე, ჩემს სიტყვას არ გადავალ, თუ კიდევ გიცდია «ქარიშხლიან უღელტეხილში» წასვლა, ჩემთან ერთად იქნება თუ უჩემოდ, მისტერ ლინთონს ვაცნობებ ყველაფერს, ჰოდა, სანამ ბატონი არ დაგრთავს ნებას, მამიდაშვილთან სიახლოვე ვეღარ განახლდება.

– უკვე განახლდა, – წაიბუტბუტა გაბუტულმა ქეთიმ.

– მაშინ ვეღარ გაგრძელდება, – ვთქვი მე.

– მაგასაც ვნახავთ, – გაისმა მისი პასუხი, გააჭენა და უკან ჩამომიტოვა.

ორივენი სადილობამდე მივდივით შინ; ბატონს ჰგონებია, პარკში სეირნობენო, ამიტომაც არ ვუკითხავართ. სახლში მისვლისთანავე სველი ფეხსაცმლისა და წინდების გამოსაცვლელად გავეშურე, თუმცა «უელტეხილში» იმდენი ხანი სველი ფეხსაცმლით ჯდომა არ შემჩრა. მეორე დილით ლოგინიდან თავი ვერ ავნე და კარგა სამი კვირა ჩემს მოვალეობას ვერ ვასრულებდი: მსგავსი უბედურება იმ შემთხვევამდე არასდროს დამმართვია და მაღლიერებით ვიტყვი, რომ აღარც მას მერე გავმხდარვარ ცუდად.

ჩემი პატარა ქალბატონი ანგელოზით იქცეოდა, მივლიდა და მარტოობას მიხალისებდა; ეს იძულებითი წოლა ბოლოს მიღებდა. აქტიური ადამიანისთვის სანოლზე მიჯაჭვა იოლი ასატანი არ გახლავთ, მაგრამ სანუნუნო არაფერი მქონდა. როგორც კი ქეთრინი მისტერ ლინთონის ოთახიდან გამოვიდოდა, მაშინვე ჩემთან შემოდოდა. მთელ დღეს ჩვენ გვიტომობდა, არანაირ გასართობს არ ეკარებოდა, მეტიც, ჭამისთვისაც ძლივს იცლიდა, რომ აღარაფერი ვთქვა სწავლასა და თამაშზე. ალბათ ქვეყნად ყველაზე სათნო მომვლელი იყო. ეტყობა, ძალიან კეთილი გულის პატრონი იყო, რადგან მამამისზე გადაყოლილი მეც ამდენს მიკეთებდა. უკვე მოგახსენეთ, მთელ დღეებს ჩვენ გვიტომობდა-მეთქი, მაგრამ ექვსის მერე მე აღარაფერი მჭირდებოდა, ამიტომ საღამოებს ნებისაებრ ატარებდა. სანყალი! არასდროს დავფიქრებულვარ, ჩაის შემდეგ რას აკეთებდა. ხოლო როდესაც «ძილი ნებისას» სათქმელად შემომივილიდა, კი ვამჩნევდი ხოლმე შეფაკულულ ლოყებს და განითლებულ ხელებს, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ეს ყველაფერი ცხენის სიცივეში ჭენების ბრალი იყო და არა ბიბლიოთეკაში აგეზგუზებული ბუხრის მცხუნვარებისა.

თავი 24

სამი კვირის თავზე უკვე ოთახიდან გამოსვლა და სიარული შემეძლო. პირველად რომ დავსხედით ბიბლიოთეკაში, ქეთრინს ვთხოვე, რამე წამკითხე-მეთქი, რადგან თვალეები დასუსტებული მქონდა. ბატონი უკვე დასაძინებლად იყო წასული; ქეთი დამეთანხმა, ოღონდ უხალისოდ, ვიფიქრე, ჩემი რჩეული წიგნებიდან არაფერი მოსწონს-მეთქი, ამიტომ ვუთხარი, რომელსაც თვითონ შეარჩევდა, ის წაეკითხა. ერთ-ერთი საყვარელი წიგნი შეარჩია და მთელ საათს მიკითხავდა შეუჩერებლად; მერე ჩვეულებრივი კითხვები დამისვა.

– ელენ, არ დაიღალე? არ გირჩევნია, დანვე? ამდენი ხანი ჯდომამ არ გიხამოს.

– არა, არა, გენაცვალე, არ დავღლილვარ, – რამდენჯერაც მკითხა, იმდენჯერ ასე ვუპასუხე.

რაკი მიხვდა, რომ ასე ვერ მომიცილებდა თავიდან, რალაცით ხომ უნდა ეჩვენებინა, რომ ჩემთან ჯდომა მოსწყინდა, ამიტომ მოქნარებასა და ზმორებას მოჰყვა.

– ელენ, დავიღალე.

– ჰოდა, გაღალე წიგნი და ისე ვისაუბროთ, – მიუვუე მეც.

არც ამან გაამართლა: ისევ გაიზმორა, ამოიოხრა, საათს დახედა და თავის ოთახში გავიდა ძილმორეული. მე ასე მეგონა, რადგან გუნება წაუხდა, მზერა დაუშდიდა და მეტისმეტი სრესით თვალეები დაუნითლდა. მეორე საღამოს კიდევ უფრო მეტი მოუთმენლობა დაეტყო, მესამედ კი მოიგონა, თავი მტკივაო და ჩემგან თავი ასე დაიძვრინა. მისმა ქცევამ დამაეჭვა. საკმაოდ დიდხანს ვიჯექი მარტო, ამიტომ გადავწყვიტე, ავსულიყავი, დამეხედა, გამეგო, მომჭობინდა თუ არა, და შემეთავაზებინა, ამ სიბნელეში წოლას არ ჯობია, ჩამოხვიდე და დივანზე დაჯდემეთი. მაგრამ ვერც ზედა სართულზე და ვერც ქვედაზე ქეთრინი ვერ ვიპოვე. მსახურებმაც მითხრეს, თვალის არ მოგვიკრავსო. მისტერ ედგარის კარს მივაყურადე, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმოდა. მის ოთახში დავბრუნდი, სანთელი ჩავაქრე და ფანტარასთან დავჯექი.

მთვარე დაჰნათოდა დედამიწას. მბზინვარე თოვლს გადაეჟენტა ყველაფერი და ვიეჭვე, ვინ იყის, იქნებ თავში წამოუარა და ეზოში გავიდა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად-მეთი. მერე პარკის შიდა მხრიდან, ღობესთან, ვილაცის აჩრდილს ვკიდე თვალი, მაგრამ ეს ჩემი პატარა ქალბატონი არ გამოდგა, რადგან როგორც კი მოახლოვდა, ჩვენი ერთ-ერთი მეჭინიბე შევიცანი. საკმაო ხანს იდგა და მთავარ გზას გასცქეროდა, მერე უცებ გაუჩინარდა და მალევე გამოჩნდა, ოღონდ ამჯერად ჩვენი ლედის პონი მოჰყავდა ალვირით. ქეთიც იქვე იყო, ცხენის გვერდით ფეხით მოუყვებოდა გზას. მეჭინიბემ ჩუმად წაიყვანა პონი თავლაში, ქეთი კი მისაღებ ოთახში ფრანგული ფანჯრიდან შემოვიდა და ფეხაკრეფით ამოვიდა თავის ოთახში, სადაც მე ველოდი. კარი ფრთხილად შემოიხურა, თოვლიანი ჩექმები გაიხადა, ქული მოიხადა და ის იყო, სველი მოსასხამი უნდა მოეცილებინა მხრებიდან, – არადა, აზრზეც ვერ მოვიდა, იქვე რომ ვიყავი, – წამოვდექი და ჩემი იქ ყოფნა ვამცნე. წამიერად ამან გააოგნა: ანაზღად რაღაც წამოიძახა და გაჩუმდა.

– ჩემო ძვირფასო მის ქეთრინ, – დავინწყე მე, თან მისი სიკეთეც არ დამვიწყებია, რომ მაშინვე საყვედური მეთქვა, – ამისთანა დროს სად იყავი ცხენით წასული? ან ჩემი მოტყუება რად გინდოდა მაგ ზღაპრებით? სად ბრძანდებოდი? მითხარი!

– პარკის ბოლოში, – ენა დაება ქეთის, – თან არც ზღაპარი მომიყოლია.

– სხვაგან არსად ყოფილხარ?

– არა, – ჩაიბუტბუტა.

– ოჰ, ქეთრინ! – ვუყვირე გულნატკენმა, – თავადაც იცი, რომ არასწორად იქცევი, თორემ სხვა მიზეზით მე არაფერს დამიმალავდი. ეს მტკენს გულს. მერჩინა, სამ თვეს ვყოფილიყავი ლოგინს მიჯაჭვული, ვიღრე შენგან ამ ტყუილებს ვისმენდე.

ნაბიჯი წინ წამოვდგა და ცრემლები გადმოყარა, კისერზე ხელები მომხვია.

– მეშინია, რომ გამობრაზდები, ელენ, – მომმართა მან, – დამპირდი, რომ არ გამობრაზდები და ყველაფერს გაგიმხელ. ვერ ვიტან, როცა რაღაცას გიმალავ.

ფანჯრის რაფაზე ჩამოვსხედით; დავპირდი, არაფერზე გავინყრები, რაც უნდა გამანდო-მეთქი, თუმცა კი დამოუკიდებლადაც ვხვდებოდი მის სათქმელს. მან დაიწყო:

– «ქარიშხლიან უღელტეხილში» ვიყავი, ელენ, რაც ლოგინად იყავი ჩავარდნილი, დღე არ ჩამიგდია, რომ არ წავსულიყავი, თუკი იმ სამ დღეს არ ჩავთვლით, სანამ იწევი და იმ ორს – რაც ადევს. ჩვენს მეჭინბე მაიქლს დასურათებულ წიგნებს ვაძლევდი, რომ ყოველ საღამოს მინი შეკაზმული დახვედრებინა, მერე კი ჩუმად შეეყვანა თავლაში. ოღონდ არ გაუწყრე, გეხვეწები. «უღელტეხილში» შვიდის ნახევარზე ვიყავი ხოლმე და ცხრის ნახევარამდე ვრჩებოდი, მერე კი, რაც ძალი და ღონე მქონდა, შინისაკენ მოვაქროლებდი პონის. არ გეგონოს, გასართობად დავდიოდი, ზოგჯერ უსაძაგლესად ვატარებდი ხოლმე დროს. ბედნიერად, ალბათ, ერთი-ორჯერ თუ მიგრძნია თავი. თავიდან ვიფიქრე, რომ გამიჭირდებოდა შენი დაყოლიება, რაც უნდა მემტკიცებინა, ლინთონს დავპირდი და სიტყვას ვერ ვავტეხ-მეთქი. მეორე დღეს, რაკი მთელი დღე არ ჩამოსულხარ დაბლა, არ გამჭირვებია გაქუსვლა და შეუმჩნეველად დაბრუნება. როდესაც მაიქლი პარკის კუტიკარის საკეტს აკეთებდა, გასაღები გამოვართვი. ვუთხარი, – მამიდაშვილი მყავს ავად და მელის, რადგან თვითონ «მაშვებში» ჩამოსვლა არ შეუძლია-მეთქი. არც ის დამიმაღლავს, რომ მამაჩემს არ უნდოდა იქ ჩემი გაშვება. მერე პონიზეც მოველაპარაკე. სხვათა შორის, მაიქლი მალე დაგვეთხოვება, რადგან ცოლის შერთვას აპირებს. კითხვა უყვარს ძალიან და ამიტომაც დამპირდა, თუკი ბიბლიოთეკიდან გამომიტან ხოლმე წიგნებს, ყველაფერს შეგისრულებო, მაგრამ მე ჩემს წიგნებს ვაძლევ და კმაყოფილიყავა, მგონი, ურჩევნია კიდევ.

მეორედ რომ მივედი, ლინთონი უფრო მოხალისებული დამხვდა; ზილამ კი ოთახი დაგვიკრიალა და ცეცხლივ დაგვიგუზგუზა ბუხარში, თან გვითხრა, ჯომეფი სალოცავად არის წასული, ხოლო ჰერთონ ერნშომ მწვერები წაასხა ხობხებზე სანადიროდ, თურმე ჩვენს ტყეში დაძვრებოდა; როგორც მივხვდი, სულ მარტონი ვრჩებოდი და რაც გვინდოდა, იმას გავაკეთებდით. ზილა შემთხარი ღვინითა და თაფლაკვერით გამიმასპინძლდა – საკმაოდ ზნეკეთილი ქალი მეჩვენა. ლინთონი სავარძელში ჩაჯდა, მე პატარა სარწვეველა სავარძელი ვარჩიე ბუხრის წინ და მხიარული საუბარი გავაბით, ბერევი ვიცინეთ. ვვეგმავდით, სად წავიღოდით და რას გავაკეთებდით ზათუხელში. დაწვრილებით არ მოვყვები, რადგან ვიცო, სისულელეაო, მტყვი.

ერთხელ, რალა დაგიმალო და, კინალამ ვიჩხუბეთ. მითხრა, ივლისის ცხელი დღის საუკეთესოდ ვატარებთ თუ გინდა, დილიდან საღამომდე მანანებთან მინდორში უნდა იწვე, სადაც ირგვლივ ფუტკრები იზუზუნებენ ყვავილებში, ტოროლები კი უღრუბლო, ნათელ და ლურჯ ცაში იფრენენო. ღვთაებრივი ბედნიერება მას ასე წარმოედგინა; მე კი ვუთხარი, შრიალა მწვანე ხეებში ქანაობას არაფერი სჯობია, თან თუ სიოც ქრის და თეთრი ღრუბლის ქულები სწრაფად მიექანებიან ცაზე-მეთქი. ჩემს წარმოსახვაში არა მარტო ტოროლები, არამედ მგალობელი და შავი მაშვები,

ჭვინტები და გუგულებიც აფრქვევდნენ ჰანგებს ყოველი მხრიდან, ირგვლივ კი მანანით დაფარული მინდვრები იყო გადაჭიმული, რომელთაც უსიერი ტყეები ეკრათ; უფრო ახლოს, ველობზე, მაღალ ბალახს უნდა ებიბინა ნიავის დაბერვაზე და ტყეები, ნაკადულები და მთელი სამყარო სიხარულით უნდა ყოფილიყო მოცული. მას მხოლოდ ის სურდა, რომ ყველაფერი მწოლარეს ეხილა, მე კი პირიქით – მსურდა, ყოველივე მოცეკვავე, მხიარული და მოყიჟინე მენახა. ვუთხარი, შენი სამყარო სანახევროდ იქნება ცოცხალი-მეთქი, მან კი მითხრა, შენი კიდევ სანახევროდ მთვრალი იქნებაო. ვუთხარი, შენს სამყაროში ჩამეძინება-მეთქი; მან კი – შენს სამყაროში სუნთქვა გამიჭირდებაო და აბუზღუნდა. საბოლოოდ იმაზე შევთანხმდით, რომ ორივე სამყარო ღირდა მოსინჯვად, მთავარია, ამინდსაც ხელი შეეწყო; მერე ერთმანეთს ვაკოცეთ და ისევ დავმეგობრდით.

ერთი საათი რომ ვისხედით, დიდი ოთახის უხალიჩო, მოფილაქნებულ იატაკს დახედე და გავიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, რომ გვეთამამა-მეთქი და მაგიდა გავნიეთ. ლინთონს ვთხოვე, ზილას დაუძახე, რომ მოგვეხმაროს-მეთქი დახუჭობანას თამაშში. თვალეხახვეულმა ზილამ დაგვიჭიროს-მეთქი. ეს თამაში შენც ხომ იცი, ელენ. ლინთონმა არ მოისურვა, არ მესიამოვნებო. მაგრამ ჩემთან ერთად ბურთის თამაში კი მოინდომა. განჯინაში ორი ბურთი ვიპოვეთ ძველი სათამაშოების – გვერგვების, ბადმინტონის ჩოგნებისა და ბურთების – გროვაში. ერთ-ერთს «ქ» ეწერა, მეორე – «ჰ». მე «ქ» მოვისურვე, რადგან ქეთრინს ნიშნავდა, ხოლო «ჰ» შესაძლოა, ჰითელი იყო ანუ მისი გვარი ყოფილიყო. მაგრამ «ჰ»-ს ოდნავ თავი ჰქონდა ჩამოტეხილი და არ მოისურვა. ყველა ხელი მოვეუვე, რაზეც გაბრამდა, ხველა დაიწყო და ისევ თავის სავარძელში ჩაჭდა. თუმცა იმ საღამოს მალევე მოიბრუნა გული, რადგან ძალიან მოეწონა ორი-სამი სიმღერა, შენი სიმღერები, ელენ, ხოლო როდესაც წამოსვლის დრომ მოანია, მეხვეწა და მემუღარა, ხვალაც მოდიო. მეც დავპირდი. მე და მინი შინისაკენ ქარივით გამოვექანეთ. მე კი ისევ «ქარიშხლიან უღელტეხილსა» და ჩემს ტკბილ, ძვირფას მამიდაშვილზე ვფიქრობდი მეორე დილაამდე.

მეორე დილით დავსვედიანდი; ნაწილობრივ იმიტომ, რომ შენ გახდი ცუდად, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მინდოდა, მამიკოსაც სკოლნოდა ჩემი მიმოსვლის ამბავი და ნება დაერთო. მაგრამ ჩაი რომ დავლიეთ, ბადრი მთვარე ამოვიდა ცაზე და გზა გამინათა. ამ საღამოსაც ბედნიერად გავატარებ-მეთქი, ვფიქრობდი. ისიც მახარებდა, რომ ლინთონიც ბედნიერად იგრძნობდა თავს. მათ ეზოში რომ შევედი და სახლის გვერდითა შესასვლელისკენ დავაპირე წასვლა, გზაზე ჰერთონ ერნშო შემხვდა, სადავეები ჩამომართა და მითხრა, მთავარი კარიდან შევიდეთო. მინის კისერზე გადაუსვა ხელი, მშვენიერი ცხენი უწოდა და მივხვდი, რომ ჩემთან გასაუბრება უნდოდა. მე მხოლოდ ის ვუთხარი, ცხენს თავი გაანებე, თორემ წიხლი იცის-მეთქი. მან კი თავისი ვულგარული მანერით მიპასუხა, – რას დამაკლებს, რომეც მომარტყასო და მინის ფეხებზე დახედა ღიმღიმით. ლამის ვინატრე, ერთი გემრიელად გითავაზოს წიხლი-მეთქი და ამ დროს თვითონვე გაინია, რომ კარი გაეღო. როდესაც საგდული ასწია, მაღლა აიხედა, წარწერისკენ და ხალისისა და მოუხემაობის რაღაც სასაცილო ნაზავით წარმოთქვა:

– მის ქეთრინ! ახლა უკვე შემძლია ამის წაკითხვა.

– მშვენიერია, – შევძახე მე, – აბა, გაგვაგონე შენი წაკითხული დაჯგუფებულხარო!

დამარცვლით წაიკითხა, გაუბედავად – «ჰერ-თონ ერნ-შო».

– და ციფრები? – ვკითხე წასახალისებლად, რადგან ერთ ადგილს დაეყინა.

– ჯერ ვერ ვარჩევ, – მიპასუხა.

– ოჰ, შე ყვეყჩო! – ვუთხარი და გულიანად გამეცინა მის მარცხზე.

ის ყვეყჩო ღიმილმშვენიული მიყურებდა და ვერ გაეგო, მასაც უნდა გაცინებოდა თუ არა, ვერ მიმხვდაროყო, ჩემი სიტყვები უწყინარი მეგობრული საყვედური იყო, თუ აბუჩად აგდება (რაც სიმართლეს შეეფერებოდა). ეჭვი უცებ გავუფანტე, სერიოზული სახით ვუბრძანე, ჩამომეტყალეთ, თქვენთან კი არა, ლინთონთან მოვედი-მეთქი. ეტყობა, თავმოყვარეობა შეელახა სახე აელენა – მთვარის შუქზეც კარგად გავარჩიე – საგდულს ხელი გაუშვა და შეურაცხყოფილი გაუჩინარდა. უცებ თავი ლინთონს გაუტოლა აღზრდა-განათლებლაში და ძალიან არ ეამა, როცა მიხვდა, რომ მეც მასავით არ ვფიქრობდი.

– მოიცა, მის ქეთრინ, ძვირფასო! – შევანწყვეტინე მე, – არ დაგზრახავ, მაგრამ შენი ამგვარი საქციელი არ მომწონს. თუკი არ დაივიწყებდი იმას, რომ ჰერთონი ისეთივე ნათესავია შენი, როგორიც ლინთონი, ასე უკმეხად ალბათ არ მოექცეოდი. რაც უნდა იყოს, საქებარია, თუკი სურს, რომ ლინთონივით აღზრდილ-განათლებული იყოს. ვინ იყის, იქნებ კითხვის სწავლა თავის მოსაწონებლად არც დაუნყია, თანაც, მანამდე ალბათ რამდენჯერ შეარცხვინეთ უცოდინრობის გამო და თუკი ბიჭმა იმიტომ ინვალა, რომ შენთვის ესამოვნებინა და შეგვექო, ეს ცუდი ხომ არ არის. თუ პირველივე მცდელობის გამო დასცინებ, განა დასაყინი ეს საქციელი არ იქნება? შენც რომ იმგვარ პირობებში გაზრდილიყავი, როგორშიც ჰერთონი, მასზე არანაკლებ უხეში იქნებოდი. ისიც შენსავით ცოცხალი და გონიერი ბავშვი იყო, ამიტომაც მტკივა გული, რომ იმ სულმდაბალი ჰითქლიფის უდიერად მოქცევის გამო ახლა აბუჩად ასაგდები გამხდარა.

– მოკლედ, ელენ, შენ მაგაზე ნუ იჯავრებ, კარგი? – შესძახა ქეთი, რაკი დაინახა, რომ გულთან ახლოს მიმქონდა ბიჭის ამბავი, – ჯერ სადა ხარ, მალე გაივებ, ანბანის სწავლა ჩემს საამებლად დაუნყია თუ არა და იმასაც მიხვდები, ღირდა თუ არა მისნაირ გაუთლელთან თავაზიანად მოქცევა. ოთახში რომ შევედი, ლინთონი მინოლილი იყო და მოსასალმებლად ადგა.

– დღეს ცუდად ვარ, ქეთრინ, საყვარელო, – მომმართა მან, – ასე რომ, სულ შენ უნდა ილაპარაკო, მე კი – გისმინო. მოდი, გვერდით დამიჯექი. ვიცოდი, სიტყვას რომ არ გატყხდი, ამიტომაც ხელახლა ჩამოგართმევ პირობას, სანამ წასულხარ.

ვიცოდი, რომ არ უნდა ამეღელევიბინა, რამეთუ ავად იყო, ამიტომ რბილად ვესაუბრებოდი და არაფერს ვეკითხებოდი, მის გაღიზიანებას ვერიდებოდი. ჩემი რამდენიმე საყვარელი წიგნი მქონდა წაღებული. მთხოვა, რომელიმე წამიკითხეო და

ის იყო, გადავშალე, რომ ერთნომ კარი შემოვლიყა: შხამი მოვეროვებინა ამოსანთხევად. პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა, ლინთონს მკლავში სწვდა და სავარძლიდან წამოავლო.

– შენ ოთახში წადი! – ძლივს გასაგონად წარმოთქვა ეს სიტყვები გაცხარებულმა. სახეზეც კი ემჩნეოდა გაცოფება, – ესეც თან გაიყოლე, თუ შენს სანახავადაა მოსული. აქედან ჩემს განდევნას ვერ მოახერხებთ. მოუსვით აქედან ორივემ!

გავვლანძრა და ლინთონისთვის პასუხის გაცემის საშუალებაც არ მიუცია, ისე გაათრია სამზარეულოში, მერე ხელი მომუშტა, რომ დამინახა, მეც ფეხდაფეხ მივეყვებოდი; ალბათ დარტყმა უნდოდა ჩემთვის. იმწამს ისე შემემინდა, რომ ერთი ტომი ხელიდან გამივარდა, მან კი წიხლით მომაცოლა წიგნი და კარი მიიჭახუნა. ცეცხლთან ბოროტი ჩაქირქილება ვავიგონე და რომ მოვიხედე, ის ავსული ჯოზეფი შემეჩრა ხელში – დაკოჟრილ თითებს იფშენეტდა და მხრები უცახცახებდა.

– დარწმუნებული ვიყავი, რომ გარეთ გავიძახებდათ! მაგარი ბიჭია! მიხვედრილია! კარგად მოეხსენება, ჩემი არ იყოს, ვინაა აქ უფროსი. ჰე, ჰე, ჰე! რა კარგად გამოგაპანლურათ! ჰე, ჰე, ჰე!

– სად უნდა წავიდეთ? – ვკითხე ჩემს მამიდაშვილს და ბებერი მანჭიას საუბარი არად ჩავავდე.

ლინთონი გადათეთრებულიყო და ცახცახებდა. შესახედაო, ვერ იტყოდი, ელენ. საშინლად გამოიყურებოდა: გამხდარი სახე და დიდი თვალები უსასოო, გაშმაგებული ბრაზით მოვრეხოდა. კარის სახელურს მისწვდა და ნჯღრევა დაუნყო. კარი შიგნიდან აღმოჩნდა ჩაკეტილი.

– თუ არ შემომიშვებ, მოგკლავ! თუ არ შემომიშვებ, მოგკლავ! – უფრო იწვილა, ვიდრე იყვირა, – სატანავ! სატანავ! მოგკლავ! ბოლოს მოვიღებ!

ჯოზეფმა ისევ ჩაიქირქილა.

– აი, მამამისი გამოავლინა! – დაიჩხავლა ყვავივით, – პირწავარდნილი მამამისია! ყველა ჩვენგანშია მშობლის გენები. შენ არ იდარდო, ჰერთონ, ვერ მოაღწევს შენამდე!

ლინთონს ხელები დაუჭირე და ვცადე კარისთვის მომეცილებინა, მაგრამ ისეთი ჭყვივლი მორთო, რომ შემემინდა და ხელი გავუშვი. მერე ხველა აუვარდა და ჭყვივლი შეწყვიტა. პირიდან სისხლი წასკდა, იატაკზე დაეცა. გულგახეთქილი ეზოში გავვარდი ზილას საძებნელად და რაც კი შემეძლო, ხმამაღლა ვუხმე. მალევე გამომეხმაურა. ბედლის უკან ფარდულში ძროხებს წველიდა თურმე და ეგრევე ჩემთან გამოქანდა, როგორც კი ხმა გაიგონა, რა ხდებოდა. ახსნის თავი არ მქონდა, სუნთქვა მეკვროდა, ამიტომ შიგნით შევიყვანე და ლინთონის ძებნა დავიწყე თვალით. ერთნო გამოსულიყო, რომ ენახა, რა ჩაიძინა და საცოდავი ლინთონი ზედა სართულზე აჰყავდა. მე და ზილააც აყვივეთ, მაგრამ კიბის თავში შემაჩერა და მითხრა, არ შემოხვიდე, შინ წადიო. მე შევეწინააღმდეგე, – ლინთონი შემოგაკვდა და

აუცილებლად შევალ-მეთქი. ჯოზეფმა კარი მოხურა და გამომიხსადა, ვერსადაც ვერ შეხვალო. ეტყობა, შენც მასავით გიჟი ხარო! მე ვიდექი და ვტიროდი, სანამ მნე არ გამოვიდა. დამამშვიდა, მალე უკეთ იქნება, მაგრამ ეს ყვირილი და ხმაური ხელს უშლისო, ამიტომ ლამის ძალით წამიყვანა მისაღებ ოთახში.

ელენ, ისე ვიყავი, ლამის თმა დავიგლიჯე! ისე ვქვითინებდი და ცრემლებს ვღვრიდი, რომ კინალამ დავბრმავდი. ის არამზადა კი, შენ რომ ასე თავგამოდებით ესარჩლეები, იდგა და დამცინოდა, თან გაიძახოდა, რა ჩემი ბრალიაო. ყველაფერს უარყოფდა. ბოლოს კი, ისე შევაშინე, რომ ვუთხარი, მამიკოს მოვუყვები ყველაფერს და ჯერ ჩავსვამენ, მერე ჩამოგახრჩობენ-მეთქი, რომ გულგახეთქილი თვითონაც ასლუკუნდა და კუდი ამოიძუა. მაგრამ თავიდან მაინც ვერ მოვიცილე აბეზარი; როდესაც საბოლოოდ გამომაბუნძულეს და სახლიდან კარგა ასი იარღი მექნებოდა გავლილი, ჩრდილიდან უეცრად გამოტყვრა, ჩემს პონის ჩაავლო აღვირში ხელი და შემაჩერა.

– მის ქეთრინ, ძალიან ვწუხვარ, – დაიწყო მან, – მაგრამ ძალიან ცუდია...

ერთი გემრიელად ვუთავაზე მათრახი, თან კინალამ გული გამისკდა, არ მომკლას-მეთქი, ამიტომ აღვირი ავიტაცე და სახლისკენ გამოვაჭენე, მან კი ბინძური ლანძღვა-გინება დამადევნა.

იმ ღამით ძილი ნებისა არ მისურვებია შენთვის, მეორე დღეს კი «ქარიშხლიან უღელტეხილში» აღარ წავსულვარ – არადა, ერთი სული მქონდა. მაგრამ უცნაურად აღელვებული ვიყავი, ხან ის მაფიქრებდა, ლინთონის სიკვდილი არ მაცნობონ-მეთქი, ხან კი ის – ჰერთონი არ გადამეყაროს სადმე-მეთქი. მესამე დღეს გამბედაობა მოვიკრიბე – ეჭვებს ვეღარ გავუძლებდი და ისევ გავიპარე. ხუთ საათზე გავედი და გზას ფეხით გავუყევი. ვფიქრობდი, იქნებ როგორმე შევალნო სახლში და ლინთონის ოთახშიც ისე ავიპარო, რომ ვერავინ შემამჩნიოს-მეთქი. თუმცა ძალღებმა ამცნეს სახლეულს ჩემი მისვლა. ზილამ მიმიღო და მახარა, ბიჭმა მოიკეთაო და ერთ კოშნი, ხალიჩებით მოფენილ ოთახში შემიძღვა, სადაც სოფაზე მიწოლილიყო ლინთონი და ჩემი ერთ-ერთი წიგნი ეჭირა ხელში. მაგრამ მთელი საათის განმავლობაშიც არ გამოუხედავს ჩემკენ და არც ხმა გაუცია, ელენ. უბედურს ჰგავდა. ბოლოს კი, როდესაც პირის გაღება ინება, მომიბრუნდა და მითხრა, ჰერთონს ტყეილად აღებ ხელს, აყალმაცალი შენი ატეხილიაო! რაკი მშვიდად ვერაფერს ვუპასუხებდი, ავდექი და გამოვედი ოთახიდან. მისუსტებული ხმით გამომაცოლა: «ქეთრინ!». ალბათ არც ეგონა, თუ გავიგონებდი, მაგრამ უკან მიბრუნება აზრადაც არ მომსვლია; მეორე დღეს შინ დავრჩი. თითქმის გადანყვეტილი მქონდა, აღარასოდეს მენახა. მაგრამ იმდენად აუტანლად მომიჩვენა – ისე დამეძინა და გამეღვიძა, მასზე არაფერი გამეგო, რომ სანამ ჩემი გადანყვეტილება მტკიცედ ჩამოყალიბდებოდა, მანამდე გადამვარდა გულიდან. წინათ თუ მასთან გამგზავრება მეგონა ცუდი საქციელი, ახლა შინ ჯდომას მივიჩნევი ცუდ საქმედ. მაიქლი მოვიდა, რომ ეკითხა, მინი ხომ არ შევკაზმო და – კი-მეთქი. როდესაც პონიმ ბორცვზე ამიყვანა, გავიფიქრე, ჩემს მოვალეობას ვასრულებ-მეთქი. წინა ფანჯრებთან უნდა ჩამევილო, ეზოში რომ შევსულიყავი: დამალვას აზრი არ ჰქონდა.

– ახალგაზრდა ბატონი შინაა, – მითხრა ზილამ, მისაღების კარში რომ დამინახა. შევედი. ერნოც იქ იყო, მაგრამ მაშინვე გავიდა ოთახიდან. ლინთონი დიდ სავარძელში იჯდა და თვლემდა. ბუხრისკენ წავედი და სერობოზული ტონით დავინწყე, თან სანახევროდ მჯეროდა ჩემი სიტყვების:

– რაკი არ მოგწონვარ, ლინთონ, და რაკი გვინა, თითქოს ჯინაზე მოვდიოდე, თან ყოველთვის, რომ რამე დავიშავო, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაა. მოდი, დავემშვიდობოთ ერთმანეთს და ბატონ ჰითქლიფსაც გადაეცი, რომ ჩემი ნახვა აღარ გსურს და ამ საკითხზე ტყუილებს ნუღარ მოიგონებს.

– დაჯექი და ქუდი მოიხადე, ქეთრინ, – მითხრა მან, – ჩემზე ბევრად ბედნიერი ხარ და უკეთესიც უნდა იყო. მამაჩემი იმდენს მელაპარაკება ჩემს ნაკლზე და იმხელა ზიზღს ავლენს, რომ მეც უკვე ეჭვი მეპარება ჩემს თავში. ხშირად მეეჭვება ხოლმე, მართლა ისეთი უმაქნისი ხომ არ ვარ. მაგ დროს ისე ცუდად ვგრძნობ თავს და ისე ვბრაზობ, რომ ყველა შეჯავრება! უვარგისი ვარ, უნიათო, ცუდი ხასიათი მაქვს. შენი გადასაწყვეტია, თუ გინდა, გამოემშვიდობე. ერთ აბეზარს მაინც მოიშორებ თავიდან. მაგრამ დამიჯერე, ქეთრინ: მეც შენსავით რომ შემძლოს, ვიყო კეთილი და კარგი, აუცილებლად ვიქნებოდი. ამაზე მეტად ჯანმრთელობასა და ბედნიერებასაც კი არ ვისურვებდი. მერწმუნე, შენმა სიკეთემ ისე შემაყვარა შენი თავი, რომ დამსახურებულად რომ მიმელო შენი გული, ალბათ მაშინაც კი ვერ შეგიყვარებდი ასე. მაგრამ მაინც ვერ ვიკავებ თავს, რომ ჩემი ზნე არ წარმოვაჩინო, რაზეც ძალიან ვნანობ და ვდარდობ. დამიჯერე, სიკვდილამდე ასე ვინანებ და ვიდარდებ!

ვიგრძენი, რომ სიმართლეს ამბობდა და უნდა მეპატიებინა. მეორე წუთში ისევ რომ წამჩხუბებოდა, აუცილებლად უნდა მიმეტყვეებინა. შევრიგდით, მაგრამ ორივემ გულიანად ვიტირეთ. რაც იქ ვიყავი, ცრემლი არ შევგრძობია, ოღონდ არამხოლოდ მწუხარების გამო; მე ისიც მატირებდა, რომ ლინთონს დამახინჯებული ბუნება ჰქონდა. არასოდეს დაუშვებს, რომ მეგობრებმა თავი მშვიდად იგრძნონ და ვერც თვითონ იგრძნობს ვერასოდეს თავს მშვიდად! იმ საღამოს მერე მხოლოდ მის პატარა მისაღებ ოთახში შევდიოდი ხოლმე, რადგან მეორე დღეს მამამისი ჩამობრძანდა.

ერთი სამჯერ, როგორც პირველ საღამოს, ჩემი აზრით, ბედნიერად და ხალისიანად ვიგრძენით თავი, დანარჩენ შეხვედრებზე კი მოწყენილობა და მწუხარება სუფევდა ხან მისი ეგოიზმისა და სიძულვილის, ხან კი მისი ტანჯვის გამო. მაგრამ მის უხასიათობასა და უჟმურობასაც ისევე ვეგუებოდი უკვე და აღარ მწყინდა, როგორც მისი ავადმყოფობა. მისტერ ჰითქლიფი განგებ მარიდებს თავს. ფაქტობრივად, არც კი მინახავს. გასულ კვირას ცოტა ადრე მივედი და ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ლანძღავდა საწყალ ლინთონს წინააღმდეგ სექციის გამო. არ მესმის, როგორ უნდა გაეგო, თუკი კართან არ გვაყურადებდა. მართალია, ლინთონი ძალიან გამომწვევად იქცეოდა, მაგრამ ეს ამბავი ჩემ გარდა სხვას არ ეხებოდა, ამიტომაც პირდაპირ შევედი და ასევე მოვახსენე. სიცილი აუვარდა და გავიდა, თან მითხრა, მიხარია, თუკი ასე შეხედეთ ამ ამბავსო. ამის მერე გავაფრთხილე ლინთონი, როცა ენამწარეობას გადაწყვეტ, ჩურჩულით მაინც წარმოთქვი-მეთქი. აი, ელენ, ახლა უკვე ყველაფერი იცი. მოკლედ, «ქარიშხლიან უღელტეხილში» სიარულს ვერ დამიშლი, თუკი არ

გსურს, რომ ორი ადამიანი გააუბედურო. თანაც, თუკი არც მამიკოსთან დაგცდება სიტყვა, ჩემი იქ სიარულით არავის არაფერი დაუშავდება. ხომ არაფერს ეტყვი, ელენ? თუ რამეს ეტყვი, დიდზე დიდი უგულობა იქნება.

– ამაზე ხვალ გავცემ საბოლოო პასუხს, მის ქეთრინ, – მივუვებ, – დაფიქრება მჭირდება; ახლა კი მოსვენების საშუალებას მოგცემ და გავცვლები, რომ ვიფიქრო.

ფიქრით კი ხმამალა ვიფიქრე – ბატონ ედგარის კაბინეტში, სადაც პირდაპირ ქეთრინის ოთახიდან გავვდი და მთელ ამბავსაც მოვუყვები. მხოლოდ ქეთის დიალოგები არ ვახსენებ თავის მამიდაშვილთან და ერნოსადმი ჩემი დამოკიდებულება გამოვტოვებ. მისტერ ლინთონი ძალიან შეშფოთდა და დამწუხრდა, თუმცა ჩემგან ამის დამალვა სცადა. მეორე დღით ქეთრინმა ჩემი ლაღატი და მისი იდუმალი ვიზიტების დასრულების შესახებ შეიტყო. სრულიად ამაოდ მოთქვამდა და აპროტესტებდა ამ აკრძალვას, თან მამამისს არწმუნებდა, შეიცვლდოდა ლინთონი. ბევრს ვერაფერს მიაღწია, გარდა იმისა, რომ მისტერ ედგარი დაპირდა, თავად მივწერ ლინთონს და «შაშვებში» სტუმრობის ნებასაც დავრთავო. მაგრამ აუხსნა, ანი შენს სტუმრობას ნულარ დაელოდებო. ჩემს ბატონს რომ სცოდნოდა დისწულის ზნისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ვინ იცის, იქნებ ქალიშვილისთვის ეს მცირედი დაპირებაც კი აღარ მიეცა.

თავი 25

ეს ყოველივე შარშან ზამთარს მოხდა, სერ, – მითხრა მისი დინმა, – წელიწადზე მეტი არ იქნება. შარშან რას ვიფიქრებდი, რომ თორმეტი თვის თავზე ამ ოჯახისთვის უცხო ადამიანს სწორედ მათი ამბების მოყოლით გავართობდი! თუმცა, ვინ იცის, რამდენ ხანს დარჩებით უცხოლ; საკმაოდ ახალგაზრდა ხართ საიმისოდ, რომ სამუდამოდ ასე მარტოსულად ყოფნაზე ფიქრობდეთ, ეგვეც არ იყოს, არავინ შეგულება, ვინც ქეთრინს იხილავს და არ გაუმიჯნურდება. ილიმით? კი ბატონო, მაგრამ მაშინ ასე რატომ გამოცოცხლდებით ხოლმე, როდესაც მასზე ვამახვილებ ყურადღებას? ან რატომ მითხოვეთ, მისი პორტრეტი ბუხრის თავზე ჩამოკიდეთო? და რატომ...

– შეჩერდით, კეთილო მეგობარო! – შევძახე მე, – სრულიად შესაძლებელია, რომ მე გაუმიჯნურდე, მაგრამ ისიც გამომიჯნურდება? იმდენად მეჭვჭვება მისგან სიყვარულის გამოხატვის შესაძლებლობა, რომ ჩემს სიმშვიდეს სულიერ მღელვარებაზე არაფრით გავცვლიდი. თანაც ჩემი სახლი აქ არ არის. მე საქმიანი სამყაროდან ვარ და მასვე უნდა დავუბრუნდე. განაგრძეთ... დაემორჩილა ქეთრინი მამის ბრძანებებს?

– მოუნია, – განაგრძო მნემ, – მამა ხომ თავდავიწყებით უყვარდა. თანაც ბატონი ისე მშვიდად, დაყვავებით ელაპარაკა საყვარელ ქალიშვილს, თითქოს თავის

საგანძურს საფრთხესა და მტრებში ტოვებდა და მხოლოდ სიტყვები შეეძლო ეანდერძა ნუგეშად, რომელთაც ის ცხოვრებაში გამოიყენებდა. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონმა მითხრა:

– მინდა, რომ ჩემი დისწული ან გვნახულობდეს, ან გვწერდეს მაინც. გულწრფელად მითხარით, ნელი, რას ფიქრობთ მასზე: შეიცვალა უკეთესობისკენ? ან დაკაცებასთან ერთად უჩანს გაუმჯობესების პირი?

– ძალიან უსუსურია, სერ, – ვუპასუხე, – და დაკაცებამდეც ალბათ ვერც მიაღწევს, თუმცა ერთ რამეს კი დარწმუნებით მოგახსენებთ: მამამისს არ ჰგავს. მაგრამ თუ მის ქეთრინი მისდა საუბედუროდ გაჰყვება ცოლად, ალბათ ქმრის გაკონტროლებას მოახერხებს, მთავარია, უკიდურესად და უგუნურად დამთმობი არ გახდეს. ისე კი, ყველაფრისდა მიუხედავად, ბატონო, დიდი დრო გაქვთ მის გასაცნობად და იმის დასადგენად, ივარგებს თუ არა თქვენი ქეთის ჯუფთად. ყმანვილს სრულწლოვანებამდე ოთხზე წელზე მეტი აქვს დარჩენილი.

ედგარმა ამოიოხრა, ფანჯარასთან მივიდა და გიმერთონის ეკლესიას გახედა. ნისლიანი დღე იყო და თებერვლის მზეც ღრუბლებში გაჭირვებით ატანდა, ამიტომ ეკლესიის ეზოში ორიოდ ნაძვს თუ გავარჩევდით და გაფანტულ საფლავის ქვებს.

– დღედაღამ ვლოცულობდი, – ისე განაგრძო ჩემმა ბატონმა, თითქოს თავის თავს ესაუბრებო, – რომ უფრო სწრაფად მომხდარიყო მოსახდენი, ახლა კი შეშინია...

ვფიქრობდი, ის საათიც კი, როცა იმ ღარტაფს დავეყვები ჯვარსანერად, უთუოდ ნაკლებტკბილი იქნება იმასთან შედარებით, რამდენიმე თვეში ანდაც კვირაში უძრავს რომ წამასვენებენ იმავე გზაზე და ეულ სიცარიელეში ჩამასვენებენ-მეთქი! ელენ, ძალიან ბედნიერი ვიყავი ჩემს პატარა ქეთისთან ერთად. ზამთრის გრძელ ღამეებსა თუ ზაფხულის თბილ დღეებში ის იყო ჩემი იმედი. მაგრამ ასეთივე ბედნიერი ვიყავი მამინაც, როდესაც იმ ეკლესიის ეზოში, საფლავებს შორის მარტო მივეცემოდი ხოლმე ფიქრებს და ივნისის თბილ საღამოებში დედამისის საფლავზე დამხობილი იმ დროს ვნატრობდი და ვინადინებდი, როდესაც ის ქვები ჩემს გულზე დაიდებოდა. რა შემიძლია, ქეთისთვის რომ გავაკეთო? ან როგორ დავტოვო? სულ არ ვიჭაგრებდი იმაზე, რომ ლინთონი ჰითქლიფის შვილია, არც იმაზე, ჩემს ქეთის რომ მართმევს, ოღონდ კი ვიცოდე, როდესაც მე აღარ ვიქნები, მის ნუგეშისცემას შეძლებს, არც ის მადარდებს, ჰითქლიფმა თავის მიზანს რომ მიაღწია და ჩემთვის უკანასკნელი სიხარულის წართმევას ხარობს! მაგრამ ლინთონი რომ უვარგისი და მამამისის ხელში ოდენ იარაღი აღმოჩნდეს? როგორ დავუთმო ქეთი? და რაც უნდა სასტიკად უღერდეს, სანამ პირში სული მიდგას, სიხარული უნდა დავუთოვო და სევდიანს ვუყურო, ხოლო იმქვეყნად წასვლისას კი ეული დავტოვო. მამა ენაცვალოს! მირჩევნია, უფალს მივანდო და მანამდე მივაბარო მინას, ვიდრე თავად მე ჩავიდოდე ცივ სამარეში.

– ჰოდა, მიანდეთ უფალს, სერ, – ვუთხარი მე, – და თუკი თქვენი დაკარგვა გვიწერია, ღმერთმა დაგიფაროთ, უფლის წინაშე სიკვდილამდე ქეთის მეგობარი და

მრჩეველი დავრჩები. მის ქეთრინი კარგი გოგოა: არ მეშინია, რომ განზრახ ჩაიდინოს აუგი. ხომ გსმენიათ, ვინც ბოლომდე მოიხდის ვალს, ჯილდოც მას ერგებაო.

გაზაფხული მოგვადგა კარს. მართალია, ჩემი ბატონი ბოლომდე არ იყო მოკეთებული, მაგრამ ქალიშვილთან ერთად სეირნობა განაახლა. ამ ცხოვრებაში გამოუცდელი ქეთისათვის ეს მამის გამოჯანმრთელებას ნიშნავდა. მისტერ ედგარის ლოყების ხშირი შეფაკვლა და თვალების კვსება მისი გამოჯანსაღება გვეგონა. ჩვიდმეტის რომ გახდა პატარა ქალბატონი, მამამისი სასაფლაოზე არ გასულა. რაკი წვიმდა, ვკითხე:

– ალბათ დღეს სასაფლაოზე არ გახვალთ, ხომ, სერ?

– არა, წელს ცოტას გადავდებ.

ჩემმა ბატონმა კიდევ ერთხელ მისწერა ლინტონს, თქვენი ნახვა ძალიან მინდაო. ეჭვი არ მეპარება, ჰითქლიფი შეათვალღიერებდა ჯერ თავის ვაჟს, რიგიანად თუ გამოიყურებო და თუკი თვალში მოუვიდოდა, ჩვენთან ჩამოსვლის უფლებას მისცემდა. ასე იყო თუ ისე, მამამისის რჩევით ლინტონმა პასუხი მოიწერა, – ბატონი ჰითქლიფი «შაშვებში» ვერ გამომიშვებს, მაგრამ მაინც მადლობელია, რომ ბიძა თავისი დისშვილის მიმართ სიკეთეს იჩენს და მის ამბავს კითხულობსო. თან იმედს გამოთქვამდა, კარგი იქნება, თუ სეირნობისას შევხვდებით და პირადად გამოვთხოვთ ნებართვას, რომ ჩემს ბიძაშვილ ქეთის ასე უღმობლად აღარ დამაშოროთ.

მისი წერილის ეს ნაწილი უფრო მარტივი იყო და ალბათ მხოლოდ ლინტონის კალამს ეკუთვნოდა. ჰითქლიფმა იცოდა, თუკი საქმე ქეთრინის კვლავ ნახვის თხოვნას შეეხებოდა, მის ვაჟს ენამჭევრობაში სხვისი დახმარება არ დასჭირდებოდა.

«არ გთხოვთ, – იწერებოდა ლინტონი, – რომ აქ გვესტუმროს, მაგრამ განა ველარასოდეს ვერ უნდა ვიხილო, რაკი მამაჩემი მის სახლში მისვლას მიშლის, თქვენ კი ჩემთან მოსვლას უკრძალავთ? ჰქენით სიკეთე და «უღელტეხილის» მხარეს გამოიყურნეთ. ასე საშუალება გვექნება, ორიოდ სიტყვით მოვიკითხოთ ერთმანეთი, რასაკვირველია, თქვენი თანდასწრებით! საძრახისი არაფერი ჩავვიდენია, რომ ამგვარი განშორება დაგვესახურებინა; თქვენ ხომ არაფერზე მიწყრებით, არც იმის მიზეზი გაქვთ, რომ არ მოგწონდეთ, როგორც თავადაც ბრძანებთ. ძვირფასო ბიძია! გემუდარებით, კარგი პასუხი მომწერეთ ხვალ და სადაც ინებებთ, იმ ადგილას დამითქვით შეხვედრა, ოღონდ არა «შაშვების კარმიდამოში». დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა ცხადყოფს და დავარწმუნებთ, რომ მამის ხასიათი არ გამომყოლია. თვითონაც სულ იმას მიმტკიცებს ხოლმე, უფრო ბიძაშენის დისწული ხარ, ვიდრე ჩემი ძეო. ვაღიარებ, რომ ბევრი ნაკლი მაქვს, რომლებიც ქეთიმ შემინდო და მისივე სახელით გთხოვთ, მომიტევეთ თქვენც. ჯანმრთელობა როგორ გაქვსო, მეკითხებით, მოგახსენებთ: უკეთ; მაგრამ როდესაც ყველა იმედს მოწყვეტილი სიმარტოვისთვის ვარ განწირული იმ საზოგადოებაში, სადაც არავის ვყვარებივარ და არც არასოდეს შემეყვარებენ, აბა, როგორ ვიქნები ახლა ჯანმრთელი და მხიარული?»

მართალია, ედგარს გული დაწვა ბიჭის წერილმა, მაგრამ მაინც ვერ შეუსრულებდა თხოვნას, რადგან თავად არ შეეძლო, ქალიშვილს ხლებოდა. მისწერა, შესაძლოა, შეხვედრა ზაფხულში მოხერხდეს, მანამდე კი დროდადრო წერილებს დაგვჯერდეთო; თან რამდენიმე რჩევა და მანუგეშებელი სიტყვაც მისწერა, წერილში რაც ჩაეტეოდა, რადგან მშვენივრად მოესხენებოდა დისწულის მდგომარეობა ოჯახში.

ლინთონმა დათმო და რომ არა მკაცრი ზედამხედველი, ალბათ თავისი წერილებით ყველაფერს წაახდენდა, რადგან წუნუნისა და საყვედურების ფრქვევისკენ ბუნებრივი მიდრეკილება ჰქონდა. ჰითქლიფი მკაცრად ზედამხედველობდა და აიძულებდა, ყოველი წინადადება ეჩვენებინა, რასაც ჩემი ბატონი მისწერდა. ამდენად საკუთარი ტკივილებისა და ტანჯვის შესახებ წერის მაგივრად, რაც მისთვის უპირველეს თემას წარმოადგენდა, ლინთონი საყვარელ მეგობართან მტკივნეული განშორების აღწერით იფარგლებოდა და რბილად მიანიშნებდა, შეხვედრის ნება დაგვრთეთ, თორემ ვიფიქრებ, რომ განგებ აჭიანურებთ ჩვენს შეხვედრას და ცარიელი დაპირებებით მიმადლიერებთო.

ციხე შიგნიდან ტყდებაო, ნათქვამია და არც ჩვენი შემთხვევა გახლდათ გამონაკლისი: ქეთი აქედან უჩიჩინებდა მამამისს შეხვედრის აუცილებლობას, დისწული – იქიდან და ბატონი ედგარიც დაიყოლიეს, რომ კვირაში ერთხელ, ჩემი თანხლებით, «შაშვების» ახლოს ცხენით თუ ფეხით ესვინათ. ზედამხედველობა მე იმიტომ დამეკისრა, რომ ივნისის მცხუნვარე მზის მიუხედავად, ბატონი ედგარი თავს წინანდებურად სუსტად გრძნობდა. მართალია, ყოველწლიურად შემოსავლის ნაწილს ზოგავდა ქეთის მომავალი კეთილდღეობისთვის და, ბუნებრივია, სურდა, რომ გოგონას წინაპრების სახლი შეენარჩუნებინა – ანდაც სამუდამოდ დაებრუნებინა ეს ქონება – ამიტომ გადაწყვიტა, ჩემი ქალიშვილისთვის ერთადერთი იმედი ჰითქლიფის ვაჟთან, როგორც ამ ქონების პირდაპირ მემკვიდრესთან, ქორწინებააო. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ამ უკანასკნელსაც მასავით მოკლე დღე ჰქონდა დარჩენილი. ამას კი ვინ იტყოდა დაზუსტებით, არც ერთი ექიმი «უღელტეხილს» არ სტუმრობდა, არც მისტერ ჰითქლიფი უნახავს ვინმეს, რომ ჩვენამდე ჩამოეტანა მისი ვაჟის ჯანმრთელობის ამბავი. მე ჩემს ვარაუდებში დავეჭვდი, რაკი ბიჭი ასე დაჟინებით მოითხოვდა ცხენით სვირნობას მინდვრებში და ასე ჯიუტად მიიწვედა დასახული მიზნისკენ, იქნებ მართლა გამოკეთების გზაზე დადგა-მეთქი. რას ვიფიქრებდი, რომ მშობელი მამა მომაკვდავ ვაჟს, რაც მოგვიანებით შევიტყვე, აიძულებდა, გულმხურვალე შეყვარებული განესახიერებინა. რაც უფრო გაშმაგებით ცდილობდა, რომ თავისი გაეტანა თუნდაც სიკვდილის პირას მყოფი შვილის ხელით, მით უფრო უახლოვდებოდა სიკვდილი და უსულგულო, მზაკვრული გეგმების ჩაშლით ემუქრებოდა.

გაგანია ზაფხული იყო, როდესაც ედგარი უხალისოდ დანებდა მათ თხოვნას და ქეთრინი პირველად გავიდა ლინთონთან შესახვედრად მამის ნებართვით; ცხადია, მეც გავყვევი – ორივენი ცხენებით ვიყავით. ცხელი და ჩახუთული ღღე დაიჭირა, მართალია, მზე არ კაშკაშებდა, მაგრამ ღრუბლის ქათქათა ქულები წვიმას არ გვიქადა. პაემნის ადგილად გზამკვლევი ქვა შეირჩა გზაგასაყარზე. თუმცა იქ მისულებს მაცნედ გამოგზავნილმა პატარა მენახირემ გვითხრა:

– მისტერ ლინთონი უკვე გამოვიდა «უღელტეხილიდან» და დიდ პატივს დასდებთ, ცოტა გზას კიდევ თუ გაივლით შესახვედრად.

– როგორც ჩანს, მისტერ ჰითქლიფს ბიძამისის მთავარი პირობა დაუწყებია, – ვთქვი მე, – გვიბრძანა, «შაშვების» ტერიტორიას არ გავცილებოლით და ჩვენ უკვე ზღვარზე ვართ.

– ეგ არაფერი, როგორც კი შევხვდებით, მაშინვე ცხენებს შემოვებრუნებთ, – წამოიძახა ქეთიმ, – უკანვე გამოვებრუნდებით და ჩვენი გასეირნებაც ეგ იქნება.

მაგრამ როდესაც ლინთონს შევხვდით, «უღელტეხილიდან» დიდი-დიდი – ნახევარ მილზე, ქვეთად იყო, ამიტომ ჩვენც ჩამოვხტით და ცხენები საბალახოდ მივუშვით. ლინთონი მიწაზე იწვა და მანამდე არ წამომადგარა, სანამ რამდენიმე იარდით არ მივეუახლოვდით. მერე ძლივს წამოდგა, ისეთი ფერდაკარგული იყო, რომ თავი ვერ შევიკავე:

– გარეთ რამ გამოგიყვანათ, მისტერ ჰითქლიფ? ძალიან ცუდად გამოიყურებით! დღეს რა სეირნობისაა?!

ქეთრინმა მწუხარე და გაოგნებული მზერა შეავლო და მხიარული წამოძახილის მაგივრად, ბავიდან «ვაი, დედაო», დასცდა. ამდენი ხნის უნახავებს ერთმანეთი არც მოუკითხავთ, ქეთიმ გამოცდილი ექიმივით დაუნყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკითხვა. დაინტერესდა, უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ ხომ არ გაუუარესდა მდგომარეობა.

– არა, უკეთ ვარ, უკეთ! – ამოიქმინა ლინთონმა კანკალით და ისე მისწვდა ხელზე, თითქოს უნდა მოეჭიდოსო, მორცხვად შეავლო დიდი ლურჯი თვალები, რომლებიც ისე ჩასცვენოდა, რომ უწინდელი ღონემიხილი მზერა თითქოს გაველურებოდა.

– კი მაგრამ, უარესად გამოიყურები, – შეედავა ქეთი, – იმაზე უარესად, ბოლოს რომ გნახე; თან გამხდარხარ...

– დაღლილი ვარ, – სწრაფად შეაწყვეტინა მამიდაშვილმა, – სასეირნოდ ძალიან ცხელა, მოდი, აქ დავჩქრებ. დილაობით სუსტად ვგრძნობ ხოლმე თავს. მამა მეუბნება, სწრაფად იბრდები და მაგითომო.

ქეთი მისმა განმარტებამ ვერ დაამშვიდა, მაგრამ ჩამოჯდა, ლინთონი კი მის გვერდით მოთავსდა.

– ეს დილა ზუსტად შენტვისაა, შენი სამოთხე, ღვთაებრივი ბედნიერება ხომ ასე წარმოგიდგენია, – უთხრა ქეთიმ და უნადინოდ გაიღიმა, – გახსოვს, რომ მოვილაპარაკეთ, ორი დღე ისე გაგვეტარებინა, როგორც თითოეულ ჩვენგანს მოეწონებოდა? ჰოდა, ეს დღე ისეთია, შენ რომ მოგწონს, ოღონდ ღრუბლებს თუ გამოვაკლებთ, მაგრამ როგორი ნაზი და ფუმფულაა: მზის კაშკაშა სხივებს მირჩევნია. მომდევნო კვირას, თუ შენც შეძლებ, შეგვიძლია, «შაშვებამდე» გავაჭვნოთ ცხენები და ჩემებურად გავატაროთ დღე.

ჩანდა, ლინთონს არ ახსოვდა, რაზე ესაუბრებოდა ქეთი და აშკარა იყო, არც ლაპარაკის თავი ჰქონდა. არც გოგონას ტიტინი აინტერესებდა და არც იმის პირი უჩანდა, რომ გართობას შეძლებდა. ეს ქეთიმ შეამჩნია და იმედგაცრუებულს გუნება წაუხდა. ლინთონი უცნაურად შეცვლილიყო, რაც მის სულსა და ქცევასაც დატყობოდა. გულფიცხობას, რომელიც ალერსით სიყვარულში შეიძლება გადაზრდილიყო, გულგრილობისთვის დაეთმო ადგილი. გაზულუქებული, ჭირვეული, მუდამ ალერსის მოსურნე, ფხუკიან ბავშვს უსასოო სნეულის დარდიანობა მორეოდა, რომელსაც თავს აბეზრებს და შეურაცხყოფს ნუგეში და სხვათა გულკეთილი მხიარულება. ქეთინიც, ჩემი არ იყოს, მიხვდა, რომ ლინთონს ჩვენი ყურება კი არ ახარებდა, არამედ ტანჯავდა და გაძლებამდე იყო, ამიტომ მოურიდებლად ჰკითხა, – ხომ არ გირჩევნია, რომ ახლავე გაგეცალოთო. ნათქვამმა ლინთონი მოულოდნელად გამოაცოცხლა. შიშით გააპარა თვალი «უელტეხილისკენ» და შეევედრა, ნახევარ საათს მაინც დარჩი კიდევო.

– მაგრამ მე მგონი, – თქვა ქეთიმ, – შინ უფრო მყუდროდ იგრძნობდი თავს, ვიდრე აქ, თანაც მგონი, დღეს ვერ გახალისებ ჩემი ამბებით, სიმღერებითა და საუბრით. ამ ექვს თვეში ჩემზე მეტად დაჭკვიანებულხარ, დაბრძენებულხარ. უკვე ნაკლებად გხიბლავს ჩემი გასართობები... სხვაგვარად რომ შემეძლოს შენი გართობა, სიამოვნებით დავრჩებოდი.

– დაჯექი და დაისვენე შენც, – მიუგო ბიჭმა, – და კიდევ, ქეთინ, არც თქვა და არც იფიქრო, რომ ძალიან ავად ვარ, ეგაა, ცუდი ამინდია, ეს სიციხე მთენთავს. სანამ მოხვიდოდი, მანამდე ფეხით ვიარე და გადავიღალე. ბიძიას უთხარი, საკმაოდ ჯანმრთელად არის-თქო, კარგი?

– ვეტყვი, რომ ასე მითხარი, ლინთონ. ოღონდ ვერ დაგუდასტურებ შენს სიტყვებს, – შენიშნა მილედიმ და გაუკვირდა, რატომ მიმტკიცებს ტყუილს ასე ჯიუტადო.

– შემდეგ ხუთშაბათსაც მოდი, კარგი? – მიმართა ლინთონმა და ქეთის გაოცებულ მზერას მორიდდა თვალი, – ჩემგან კი მაღლობა მოახსენე, გულწრფელი მაღლობა, გამოსივრების ნება რომ დავართო, ქეთინ. და, და კიდევ, მამაჩემი თუ შეგხვდეს სადმე, მიახვედრე, რომ სულელს არ ვგავდი და არც მუნჯივით ვმჯდარვარ. ნუ დაანახვებ, ასეთი მოწყენილ-დამწუხრებული რომ გნახოს, გაბრაზდება.

– მისი გაბრაზება სულ არ მაღელვებს, – შესძახა ქეთიმ, ჩანს, გაიფიქრა, რომ ჰითქლიფს მასზე მოუვიდოდა გული.

– მე მალეღვებს, – უთხრა მამიდაშვილმა კანკალით, – ნუ ამიხედრებ, ქეთრინ, თორემ ძალზე უღმობელია.

– სასტიკად გეპყრობათ, მისტერ ჰითქლიფ? – ვკითხე მე, – შემწყნარებლობა მოსწყინდა და ფარული სიძულვილი გამოაცხადა?

ლინთონმა შემომხედა, მაგრამ არაფერი მიპასუხა. ქეთი კიდევ ათი წუთი ეჭდა გვერდით, რა დროსაც ბიჭი ტკივილის თუ დაღლისგან თავჩაქინდრული ამოიხზარავდა. გოგონამ ნუგეში მოცვის ძებნაში ჰოვა და ნადავლი მე გამიყო. ლინთონისთვის არც შეუთავაზებია, რადგან გრძნობდა, რომ მისგან ნებისმიერი ყურადღება ბიჭს თავს მოაბეზრებდა და შეანუხებდა.

– ნახევარი საათი გავიდოდა ალბათ, ელენ, ხომ? – ჩამჩურჩულა ბოლოს ყურში, – რალა დარჩენისა? ამას ზემეურად სძინავს, მამიკო ალბათ რა ხანია გვიცდის.

– მძინარე არ უნდა დავტოვოთ, – ვუპასუხე ჩემს ნებიერას, – დავიცადოთ, სანამ გაიღვიძებს. მოთმინება მოიკრიბე. ერთი სული გქონდა, სასიერნოდ წამოვსულიყავით და ავადმყოფი ბიჭი რომ შეგერჩა ხელში, მისი ყურების სურვილი გაგიქრა?

– ნეტავ, რად უნდოდა ჩემი ნახვა? – კითხვაზე კითხვა შემავება ქეთრინმა, – მე ის ჭირვეული და აუტანელი ბიჭი უფრო მომწონდა, ვიდრე ახლა ეს უცნაური ძაბუნია. თითქოს ჩემი ნახვა და ეს დღევანდელი შეხვედრა მისთვის ძნელი და აუცილებელი დავალება იყო, რომლის შესრულება აიძულა ვიღაცამ, ალბათ მამამისმა. მაგრამ მისტერ ჰითქლიფისთვის სიამოვნების მიანიჭებას არ ვაპირებ, რა მიზნითაც არ უნდა დაეკისრებინა თავისი ვაჟისთვის ეს სასჯელი. მართალია, მიხარია, რომ უფრო ჯანმრთელად არის, მაგრამ არ მიხარია, რომ ნაკლებ სასიამოვნო გახდა და მგონი, ნაკლებად ვუყვარვარ.

– გგონია, უფრო ჯანმრთელად არის? – ეჭვიანად ვკითხე.

– ასე მომეჩვენა, – მომიგო ქეთიმ, – რადგან ადრე სულ ცუდად ყოფნაზე წუნუნებდა. გასაგებია, რომ დიდად არ გამოკვეთებულა, მაგრამ ცოტა გაუმჯობესება მაინც ემჩნევა. ამიტომ მითხრა, მამაშენს ასეც უთხარიო.

– არა მჯერა, ქეთი, – შევნიშნე მე, – მე ვიტყვოდი, უარესად არის-მეთქი.

ლინთონი უეცრად გულგახეთქილი გამოერკვა ძილიდან და დამფრთხალმა იკითხა, ხომ არავინ მეძახდაო.

– არა, – უპასუხა ქეთრინმა, – ალბათ გვისზმრა. ნეტავ, როგორ ახერხებ ამ დილის გულზე სახლიდან გარეთ იყო და თვლემდე.

– მეგონა, მამაჩემის ხმა მომესმა, – დაჩურჩულა და წინ წამომართულ პირქუშ მთას გახედა, – დარწმუნებული ხარ, რომ არავის დაუძახია?

– სრულებით, – მიუგო ქეთიმ, – მხოლოდ მე და ელენი ვკამათობდით შენს ჯანმრთელობაზე. ლინთონ, მართლა უკეთ გრძნობ თავს, ვიდრე ზამთარში, სანამ

ერთმანეთს დაეშორდებოდით? ასეც რომ იყოს, სამაგიეროდ, შენი ჩემდამი გრძნობა დასუსტდა. მითხარი, უკეთ ხარ?

ლინთონს ცრემლები წამოსცვივდა თვალებიდან, როდესაც უპასუხა:

– დიახ, უკეთ ვარ! – და მოჩვენებელი ხმის ძიებაში მიმოიხედა, რომ მოსაუბრე აღმოეჩინა.

ქეთი აღვა.

– დღეისათვის კმარა, შინ წასვლის დროა, – თქვა მან, – მე კი უნდა დავმალო, რომ მწარედ იმედგაცრუებული დავრჩი ჩვენი დღევანდელი შეხვედრით. მაგრამ ამას შენ გარდა არავისთან ვახსენებ. ოღონდ მისტერ ჰითქლიფისადმი შიში არაფერ შუაშია.

– ჩუ! – ჩუმად უთხრა ლინთონმა, – ღვთის გულისათვის, ჩუ! მოდის, – ქეთის ხელი მოჰკიდა, რომ შეეჩერებინა, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებისთანავე ქეთიმ გააშვებინა და მინის დაუსტვინა, რომელიც ძალღვივით მორჩილად მობაკუნდა პატრონთან.

– შემდეგ ხუთშაბათს აქ ვიქნები, – გასძახა ლინთონს და უნაგირს მოახტა, – მშვიდობით! აჩქარდი, ელენ!

ასე დავტოვეთ ლინთონი, რომელიც ისე იყო მამამისის მოსალოდნელი გამოჩენით შემოფოთებული, რომ მგონი ჩვენი წასვლა არც გაუგია.

შინ მისვლამდე ქეთი ნუხდა, ნანობდა, ბრამობდა, მერე ლინთონის ჯანმრთელობამაც დააეჭვა – მართლაც ვერ უნდა იყოს კარგადო, ჩანს, ოჯახშიც ვერ აქვთ საქმე დანყობილიო. ამას მეც ვვარაუდობდი, მაგრამ ქეთის ვურჩიე, ახლა ბევრს ნუ ვილაპარაკებო, მეორე ნახვა უფრო მეტ ხელოჩასაჭიდს მოგვეცემს-მეთქი განსასჯელად. ბატონმა ედვარდმა ჩვენი გასეირნების შესახებ დანვრილებით გამოგვეკითხა, ლამის ანგარიში მოგვეთხოვა. დისწულის მადლობა გადავეცით სიტყვასიტყვით, დანარჩენი კი მის ქეთიმ ზერელედ მოახსენა. მის კითხვებს მეც ტუნდა ვუპასუხე, რადგან ძლივს ვხვდებოდი, რა დამემალა და რა – არა.

თავი 27

შვიდმა დღემ გაიარა და თითოეულმა ედვარდ ლინთონის მდგომარეობა სწრაფად შეცვალა. მანამდე თუ თვეები ესაჭიროებოდა ნგრევას, ახლა საათებმაც იკმარა. ქეთონის კი ვუმალავდით თავიდან, მაგრამ სხარტი გონების პატრონსა და მიხვედრილს ბევრს ვერაფერს დაუმალავს კაცი; ჯერ რაღაც აეჭვებდა, მაგრამ ნელ-ნელა ამ ეჭვის ჭეშმარიტებაში დარწმუნდა. ხუთშაბათი რომ დადგა, პაემანზე წასვლის გული არ ჰქონდა, ამიტომ ნებართვაც არ უთხოვია მამისთვის, მაგრამ მის მაგივრად

მე ვესაუბრე ბატონს, რომელმაც დამავალა, რომ ქეთი გასასეირნებლად მომემზადებინა, რადგან გოგონა მხოლოდ თავის ოთახში ან ბიბლიოთეკაში ატარებდა დროს, სადაც ბატონი ედგარი, სანამ ჯდომის თავი ჰქონდა, რამდენიმე საათით შედიოდა ხოლმე. ქეთის თითოეული წუთი ენანებოდა, თუკი მამამისის ბალიშზე დახრილი ან მის გვერდით არ ატარებდა. ქეთის სახის მშვენიერ ნაკვეთს ფერი დაჰკარგვოდა დარდისა და უძილობისგან, ამიტომ მისტერ ედგარს კიდევაც გაუხარდა, გოგონას რომ სცენისა და საზოგადოების შეცვლის საშუალება ეძლეოდა თუნდაც რამდენიმე საათით და სიამოვნებით დასთანხმდა მის სასეირნოდ გაშვებას. იმედი ჩაესახა, ანდაც ჩაისახა, ჩემი გარდაცვალების შემდეგ გოგონა მართო არ დამრჩებო. ეს იღუა იმიტომ ჩაიბეჭდა, როგორც რამდენჯერმე წამოცდა, რომ დისწული ძალიან ჰგავდა მას გარეგნულად და შესაძლოა, ამბროვნებითაც ჰგვანებოდა. ბჭის წერილებით ხომ ავტორის ზნეობრივი ნაკლის ამოცნობა თითქმის შეუძლებელი იყო. მე კი საპატიო სისუსტის გამო შეცდომის გამოსწორება არ მიცდია, ან უფრო მარტივად რომ ვთქვა, მისთვის თვალი არ ამიხელია. გულში ვფიქრობდი, რა აზრი აქვს, ისეთი ცნობებით შევანუხო სიკვდილის პირას მყოფი, რომელთა შესაცვლელად არც ძალა აქვს და არც პირობები-მეთქი. შუადღემდე გადავდეთ გასეირნება, ავვისტოს ოქროსფერ შუადღემდე, როდესაც მთებიდან მონაბერი ჰაერი ისეთი მაცოცხლებელია, რომ მვედარსაც კი გააცოცხლებს. ქეთრინის სახე ლანდშაფტის დარად ხან ჩრდილებით იფარებოდა, ხან სხივებით ნათლებოდა, შუქი და ჩრდილი ელვის უსწრაფესად იცვლებოდა მის თვალებში, მაგრამ ჩრდილი მაინც მეტ დროს იკავებდა, შუქი კი სწრაფმავალი იყო. სანყალ ქეთის კეთილი გული ეწურებოდა, როდესაც თავს დაიჭერდა ხოლმე, რომ მისი გონება მამაზე დარდის გარდა სხვა ფიქრებითაც იყო სავსე.

ლინთონი ისევ იმ ადგილას დაგვხვდა, სადაც ამას წინათ გველოდა. ჩემი ქალბატონი პონიდან ჩამოხტა და მითხრა, ცხენზე დარჩი, დიდხანს არ გაეჩერდებიო და აღვირი მომანოდა. მაგრამ მე ცხენზე რა გამაჩერებდა, ჩემთვის მონდობილს როგორ დავტოვებდი უთვალყუროდ, ასე რომ, მე და ქეთი ერთად ავედით ფერდობზე, სადაც მისტერ ჰითქლიფი წინანდელზე ხალისიანად მოგვეგება, გახარებული არ ჩანდა, ვერც იმას იტყოდი, გართობის გუნებაზეაო, პირიქით, უფრო შიშით ნაკარნახევს ჰგავდა მისი გამოცოცხლება.

– დაგავიანდა! – მოკლედ და გაჭირვებით წარმოთქვა, – მამაშენი ხომ არ გახდა ცუდად? მეგონა, აღარ მოხვიდოდი.

– რატომ გულწრფელად არ დამელაპარაკები? – დაიყვირა ქეთრინმა და მისალმება ჩაყლაპა. – რატომ პირდაპირ არ მეტყვი, რომ არ გინდვიარ? უცნაურია, ლინთონ, რომ უკვე მეორედ ამოგყავარ აქ განვებ, აშკარად იმისთვის, რომ დაგვამწუხრო, და სხვა არანაირი მიზანი არ გამოძრავებს!

ლინთონს გააჟრიალა და ქეთის შეხედა სანახევროდ მავედრებელი მზერით, ნახევრად – დარცხენით. მაგრამ გოგონას მოთმინება არ ეყო, რომ ეს ენიგმატური საქციელი[3] აეტანა.

– მამაჩემი ძალიან ავად არის, – უთხრა ქეთიმ, – რატომ გამომიხმე მისი სანოლიდან? რატომ არ გადმომეცი ვინმეს პირით, რომ ჩემივე დანაპირებისგან მათავისუფლებდი, თუკი აღარ გსურდა, რომ ეს დანაპირები შემესრულებინა? მიდი, ამისენი! ახლა არც მეხუმრება და არც თამაშის გუნებაზე ვარ, სანამ თავს მაჩვენებ!

– თავს გაჩვენებ?! – ამოღერღა ლინთონმა, – როგორ? ღვთის გულისათვის, ქეთრინ, ასეთი გაბრაზებული ნუ მიყურებ! დამცინე, რამდენიც გნებაეს; უვარგისი, მშიშარა და გულნამსცეცა ვარ: მაგრამ ჩემნაირი კნინი შენს რისხვად არ ღირს. მამაჩემი გძულდეს, მე კი ზიზღი მაკმარე.

– სისულელეა! – დაუყვირა აღელვებულმა ქეთრინმა, – სულელო, ტუტუცო ბიჭო!.. აჰა, უკვე აკანკალდა, თითქოს მართლა მინდოდეს ხელის ხლება! ზიზღზე ნუ მომირიდებები, ლინთონ: ნებისმიერს თავისით უჩნდება. გამცილდი! მე შინ დავბრუნდები. სისულელე იყო შენი ბუხრისათვის მოწყვეტა იმ მიზნით, რომ... ჰო, მართლა, რა მიზნით? კაბაზე ნუ მეჭიდები! შენი ცრემლებისა და შიშიანობის გამო რომ მეცოდებოდე, თავად უნდა გეზიზღებოდეს ეგეთი შეცოდება. ელენ, აუხსენი, როგორი უღირსია მისი საქციელი. აღეჭი და თავს ნუ იმყირებ ხოხვით, თითქოს ქვეწარმავალი იყო!

ავონიაში ჩავარდნილი აცრემლებული ლინთონი უღონო სხეულით მიწაზე განვა: თითქოს შიშისგან კრუნჩხვა დაეწყო.

– ოჰ! – ამოიკვნესა, – ამას ვეღარ გავუძლებ! ქეთრინ, ქეთრინ, მეც მოღალატე ვარ და ვერ გამიბედავს ამის თქმა! მაგრამ მიმატოვებ და ჩათვალე, რომ მკვდარი ვარ! ძვირფასო ქეთრინ, ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია. ხომ მითხარი, მიყვარხარო, ჰოდა, თუ გიყვარვარ, არაფერი დაგიშავდება. ხომ არ ნახვალ, კეთილო, ტკბილო, კარგო ქეთრინ? და თუ დამთანხმდები, იქნებ მომცე უფლება, რომ შენს სიახლოვეს დავლიო სული!

ჩემმა ქალბატონმა რომ დაინახა ასეთ დღეში ჩავარდნილი ბიჭი, მისი წამოყენება სცადა. როგორც ჩანს, მიმტევებელმა სინაზემ ბრაზი დაჯაბნა და ქეთისაც გული აუჩუყდა და შემფოთდა.

– რაზე დავთანხმდე? – ჰკითხა ბიჭს, – არ ნავიდე? შენი სიტყვები ამისენი და დავრჩები. ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებით მეც მაბნევე! დამშვიდდი და გულწრფელად გამოტყდი, რა გიმძიმებს გულს? ხომ არ გინდა, რომ რამე დამიშავო, ლინთონ, ასე არ არის? რომ შეგეძლოს, ხომ არც ერთ მტერს არ მისცემდი ჩემთვის ზიანის მოყენების საშუალებას? დავიჯერებ, რომ მშიშარა ხარ, როცა საქმე შენ გეხება, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ საუკეთესო მეგობარსაც ლაჩრულად უღალატებ.

– მაგრამ მამაჩემი დამემუქრა, – ამოიქმინა ბიჭმა და გამხდარი თითები მომუჭა, – მე კი მისი მეშინია, მეშინია! თქმას ვერ ვბედავ!

– ოჰ, კეთილი! – უთხრა ქეთრინმა დამცინავი თანაგრძნობით, – არავის გაუმიხილო ეგ საიღუმლო: მე მშიშარა არ ვარ. შენს თავსაც გაუფრთხილდი, მე არაფრის მეშინია!

ქეთის სულგრძელობაზე ლინთონს ცრემლები წამოუვიდა: აქვითინდა და ქეთის ხელებზე დაუწყო კოცნა, თუმცა გამბედაობა ვერ მოიკრიბა, რომ სათქმელი ეთქვა. ჩავთქვარდი, ნეტავ რა საიღუმლო აქვს გასამხელი-მეთქი და გადავწყვიტე, რომ ქეთრინს ცოცხალი თავით არც მას დავაჩავგრინებდი და არც ვინმე სხვას, რომ მანანის ბუჩქნარიდან შრიალის ხმა შემომესმა და «უელტიცილიდან» ჩვენკენ წამოსული მისტერ ჰითქლიფი დავინახე. ახალგაზრდებისთვის ზედაც არ შეუხედავს, არადა, საკმაოდ ახლოს იყო, რომ თავისი ვაჟის ტირილი გაეგონა. მოგვიახლოვდა და მხოლოდ მე მომიკითხა. მისმა ნაძალადევად გაკეთილშობილებულმა ტონმა დამაეჭვა.

– ჩემს სახლთან შენი ასე ახლოს ხილვა რას მივანეროთ, ნელი? როგორ ხართ «შაშვებში»? აბა, მიაშბე. ამბობენ, – აქ ხმას დაუნია, – ედვარდ ლინთონი სასიკვდილო სარეცელზეა და გადამეტებული ხომ არ არის?

– არა, ჩემი ბატონი მართლაც კვდება, – მიუვგე, – სრული სიმართლეა. ჩვენთვის დიდი უბედურება იქნება, მისთვის – ხსნა!

– რამდენ ხანს გასტანს, რას ფიქრობ? – მკითხა.

– არ ვიცი.

– ამას იმიტომ გეკითხები, – განაგრძო მან და გარინდულ წყვილს გახედა. მის მზერას ლინთონი ისე გაეშეშებინა, თავის აწვევა ვერ გაებედა, ქეთრინი კი მას უწევდა ანგარიშს და გაუნძრევლად იჯდა, – იმიტომ გეკითხები, რომ ამ ბიჭს, მგონი, ჩემთვის გეგმების ჩაფუშვა აქვს განზრახული, ასე რომ, ბიძამისის მაღლობელი ვიქნებოდი, თუ ცოტა ფეხს აუჩქარებდა და დისწულს მაინც გაუსწრებდა! დიდი ხანია ჩემი ლეკვი ამ თამაშს ეწვეა? რამდენიმე გაკვეთილი ჩავუტარე, წკმუტური რომ მესწავლებინა. მის ქეთისთან მაინც თუ ხალისობს?

– ხალისობს? არა, გულის დიდი ჯავრი შემოსწოლია, – ვუპასუხე ავაზაკს, – მის შემხედვარეს ერთი რამის თქმა შემიძლია: გულისსწორთან ერთად მინდორ-მინდორ სიარულს ჯობია, საწოლში ინვეს ექიმის მეთვალყურეობით.

– ერთ-ორ დღეში ჩანვება, – ჩაიბუტბუტა ჰითქლიფმა, – მაგრამ თავდაპირველად... ადექი, ლინთონ! – გასძახა შვილს, – ნუ ფორთხავ მინაზე, ახლავე გებე!

ლინთონი უსასლო შიშის შემოტევით ისევ მინაზე განრთხმულიყო, რაც ალბათ მამამისის მზერის ბრალი იყო. აბა, სხვა იქ არაფერი ხდებოდა, რომ ასეთი შიშის ზარი დაეცა მისთვის. რამდენჯერმე სცადა, მის ბრძანებას დამორჩილებოდა, მაგრამ მისუსტებულს ძალა არ ეყო ასადგომად და ისევ კენსით ვაღანვა. მისტერ ჰითქლიფი მივიდა, ფეხზე წამოაყენა და ბალახმოდებულ კბოლდეს მიაყრდნო.

– ახლა კი, – უთხრა რისხვადაოკებით, – იცოდე, გავბრაზდები, თუ მაგ ნამცეცა გულს არ მოერევი და... ჯანდაბას შენი თავი, ადექი-მეთქი!

– ავდგები, მამა, – ამოიქოშინა ლინთონმა, – ოღონდ თავი გამანებე, თორემ გული წამიფა. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც გსურდა, დარწმუნებული ვარ. ქეთრინი გეტყვის, რომ... რომ... რომ კარგად ვიხალისე. ვაი, ხელი მომაშველე, ქეთრინ.

– მე მოგაშველებ, – უთხრა მამამისმა, – ფეხზე დადექი. ასე. ახლა კი ხელკავი გაუყარე, თან უყურე გოგოს. ჰო, ეგრე. ალბათ ხორცშენახული ეშმაკი გგონივართ, არა, მის ლინთონ, რაკი ასე ვაფრთხობ. ქენით სიკეთე და სახლამდე მიიყვანეთ. მე რომ ვეხები, შიშით გული უღონდება.

– ლინთონ, გენაცვალე, – უჩურჩულა ქეთიმ, – «ქარიშხლიან უღელტეხილში» მე ვერ წამოვალ, მამიკომ ამიკრძალა. არაფერს გავნებს, ასე გიხეთქავს გულს?

– იმ სახლში ფეხს აღარასოდეს შევდგამ, – უპასუხა ბიჭმა, – იმ სახლში უშენოდ ფეხის შემდგმელი არ ვარ!

– მორჩი! – უყვირა მამამისმა, – ჰატივი ვცეთ ქეთის მოკრძალებას. ნელი, შეიყვანე სახლში და შენს რჩევას დაუყოვნებლივ გავითვალისწინებ – ექიმს მოვინვევ.

– კარგს იზამთ, – მივუგე, – მაგრამ მე ჩემს ქალბატონთან უნდა დავრჩე. თქვენს ვაჟზე ზრუნვა ჩემი საქმე არ არის.

– ძალიან გულქვა ხარ, – მითხრა ჰითქლიფმა, – ვიცი, მაგრამ შენი საქციელით მაიძულე, რომ კინწისკვრით წამოვადლო ზემე და იქამდე ვაყვირო, სანამ გული არ მოგიღლება. აბა, წამოხტი, გმირო. გინდა, რომ მაინცდამაინც მე მიგიყვანო შინ?

კიდევ ერთხელ მიუახლოვდა შვილს და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ეს მყითე არსება უნდა დაეჭირა. მაგრამ ლინთონი უკან გადაქანდა და ქეთის სწვდა, თან ისეთი აბეზარი ტონით სთხოვა, შენ წამიყვანე შინო, რომ უარს როგორ ეტყოდი. მართალია, მე სასტიკი უარი ვუთხარი, მაგრამ გოგონას ვერ შევუშალე ხელი; აბა, როგორ ეტყოდა მას უარს? რა უხეთქავდა გულს ასე, ვერაფრით ვხვდებოდი, მაგრამ ისეთი დამფრთხალი იყო, ვინმეს რომ ფეხი დაებრახუნებინა, ალბათ სალად აზროვნების უნარს დაკარგავდა. ზღურბლს რომ მივადექით, ქეთიმ ავადმყოფი შინ შეიყვანა, სავარძელში ჩასვა, მე კი კართან დავრჩი და ცდა დავინყე, სადაცა უკან გამობრუნდება-მეთქი. ამ დროს მისტერ ჰითქლიფმა ხელი მკრა და შიგნით მიბიძგა, თან გამომიცხადა:

– ჩემს სახლში შავი ჭირი კი არ მძვინვარებს, ნელი! გადავწყვიტე, გიმასპინძლოთ დღეს. ასე რომ, დაჯექი და კარი დამაკეტვინე, – კარი მოხურა და ჩაკეტა კიდევ. ამოვიოხრე, – შინ წასვლამდე ჩაის მიირთმევ, – დასძინა მან, – შინ მარტო ვარ. ჰერთონმა ლიზში გარეკა საქონელი, ჯოზეფი და ზილა კი გულის გადასაყოლებლად არიან გასულები. მართალია, მარტობას ვერ მივეჩვიე, მაგრამ თუ ხმის გამცემი არავინ მყავს ხოლმე, უარს არა ვარ, საინტერესო კომპანია შემოვიკრიბო. მის

ლინთონ, გვერდით მიუჯექით ჩემს ვაუს. იმას გიძღვნით, რაც გამაჩნია, თუმცა კი საჩუქარი ალბათ მიღებად არც ღირს. სხვა არა მაბადია რა. ანუ ჩემს ლინთონს ვგულისხმობ. როგორ მომჩერებია ეს გოგო! უცნაურია, როგორ ვმძვინვარებ, როცა შოშხამდგარი თვალებით მომჩერებია! ისეთ ქვეყანაში რომ დავბადებულიყავი, სადაც კანონი ნაკლებ მკაცრია და გემოვნებას ნაკლებ დახვეწილი, ამ წყვილს ალბათ მსუბუქ ვივისექციას ჩავეუტარებდი მოსალამოებულზე გასართობად, – მძიმედ ჩაისუნთქა, მაგიდას მუშტი დასცხო და შეიგინა, – ჯანდაბა! როგორ მეზიზღებია.

– თქვენი სულაც არ მეშინია! – შეჰყვირა ქეთრინმა, რომელსაც მისი საუბრის ბოლო ნაწილი არ გაუგონია. სახლის პატრონს მიუახლოვდა, შავ თვალებს ბრაზით და თავდაჯერებულობით აკვესებდა, – მომეცით ეგ გასაღები; მაინც გამოვართმევთ! – უთხრა ჰითქლიფს, – შიმშილი რომც მკლავდეს, აქ მე პირში არათფერს ჩავიდებ.

ჰითქლიფმა მაგიდაზე დადებული გასაღები აიღო. ქეთის სიამაყით გაოცებულმა შეხედა და ვინ იცის, იქნებ მის მზერაში იმის თვალები დაინახა, ვისგანაც მიეღო გოგონას გარეგნობა მემკვიდრეობით. ქეთი ხელში სწვდა გასაღების წასართმევად და თითქმის გამოსტაცა სანახევროდ გაშლილი მუჭიდან. მაგრამ მისმა საქციელმა ჰითქლიფი მოგონებებს მოსწყვიტა და უეცრად გამოცოცხლდა.

– აბა, ქეთრინ ლინთონ, – მიმართა ჩემს ქალბატონს, – უკან დაიხიეთ და თორემ ძირს დაგცემთ, რაც მის ღინს ჭკუიდან გადაიყვანს.

მიუხედავად ამ მკაცრი გაფრთხილებისა, ქალიშვილი მაინც ხელში სწვდა გასაღების წასართმევად.

– მაინც წავალთ! – იმორებდა ქეთი და ფოლადის მუშტის გაშლევინებას ლამობდა; როცა მიხვდა, ფრჩხილებით ვერას გავხდებო, კბილები ჩართო საქმეში. ჰითქლიფმა ისეთი თვალთ შემომხედა, რომ ადგილს დავეყინე. ქეთრინი ისე ჩაჰტერნოდა თითებში, რომ სახეზე არ შეუხედავს. მან მუჭი გახსნა უეცრად და საცილობელი ნივთი დაუთმო, მაგრამ სანამ ქეთრინი გასაღებს კარგად ჩაბლუჯავდა, თავისუფალი ხელი მოკიდა მას და კალთაში ჩაისვა, დაკბენილი ხელით კი ჯერ ერთი სილა უთავაზა, მერე – მეორე. ისე ძლიერად გაართყა, რომ ცალი ხელით რომ არ ჰყოლოდა დაჭერილი, გოგონა უეჭველად გადავარდებოდა.

ამ საძაგელი საქციელის უმოქმედოდ ყურება ვერ შევძელი და დავვტაკე.

– შე არამზადავ! – ავეყვირდი, – შე არამზადავ! – მაგრამ უცებ სუნთქვა შემეკრა. როგორც ხედავთ, მსუქანი ქალი ვარ და ჰაერი ისედაც არ მყოფნის ხოლმე, ასეთ გამშავებაზე კი თავბრუ დამეხვა და ხუთვა დამეწყო. მეგონა, რომელიმე სისხლძარღვი გამისკდებოდა. ეს სასტიკი სცენა ორ წუთში დასრულდა. გამსხლტარმა ქეთრინმა ორივე ხელი ყურებზე აიფარა. ლერწამივით ცახცახებდა სანყალი და შემცბარი მაგიდას დაეყრდნო.

– როგორც ხედავ, ბავშვების დასვა მეხერხება, – დაიტრაბახა ნაძირალამ და იატაკზე დავარდნილ გასაღებს დაეპატრონა ისევ, – ახლა კი ლინთონთან მიდი და

ტირლით გული იჯერე! ხვალ მე მამაშენი გავხდები, რადგან სულ მოკლე ხანში სხვა მამა აღარ გეყოლება. კიდევ არაერთხელ მოგხვდება. სუსტი არ ჩანხარ და კარგად გაუძლებ. მაგისტანა მზერით შემოგიხედავს კიდევ და ყოველდღე გამოწერილი გექნება გასილაქება!

ქეთიმ ლინთონის მაგივრად ჩემთან მოირბინა და ატირებულმა გახურებული ლოყა დამადო კალთაზე. ლინთონი კი კუთხეში მიკუნჭულიყო და წრუნუნასავით ხმაგაკმენდილი იცქირებოდა, მე ვიტყოდი, გულში ზეიმობდა, რადგან მის მაგივრად სხვას მოხვდა ამაყრად. მისტერ ჰითქლიფი, რაკი ამ დღეში გვხვდავდა, წამოდგა და ნაჩქარევად მოამზადა ჩაი. ფინჯნები და ლამბაქები განწყობილი ჰქონდა. დაასხა და ერთ-ერთი ფინჯანი მე მომანოდა.

– გულიდან ნაღველი ამოირეცხე, – მითხრა მან, – შენს გაოხრებულ ნებიერასაც მიხედე და ჩემსასაც. მართალია, მე მოვამზადე, მაგრამ მოწამლული არ გეგონოს. გავალ, თქვენს ცხენებს დავაბინავებ.

გავიდა თუ არა, პირველი, რაც მოგვაფიქრდა, გაქცევა იყო. სამზარეულოს კარს ვეცით, მაგრამ კარედან დაგვხვდა ჩაკეტილი. მერე ფანჯრებს გავხედეთ, მაგრამ ისეთი ვიწრო იყო ყველა, რომ ქეთისნაირი გამხდარიც ვერ გაეტეოდა.

– მისტერ ლინთონ, – შევძახე მე, როგორც კი მივხვდი, რომ დატყვევებულები ვიყავით, – კარგად მოგეხსენებათ მამათქვენის სატანური ჩანაფიქრი და სასწრაფოდ უნდა გვითხრათ, თორემ ისე ავინთლებთ ყურებს, როგორც მაგ სალახანამ – ქეთის.

– დიახ, ლინთონ, უნდა გვითხრა, – მიმართა ქეთრინმაც, – მე აქ შენ გამო აღმოვჩნდი. უმადურობა და სიკეთის დაუნახაობა გამოგივა, თუ არ გავვიმხელ.

– ცოტა ჩაი დამალევინეთ, მწყურია, – თქვა ბიჭმა, – მის დინ, გაინიეთ. არ მომწონს, თავზე რომ მადგახართ. ქეთრინ, ფინჯანში ცრემლები ჩავიცვივდა, მაგას ვეღარ დავლევ, სხვა დამისხი, – ქეთრინმა მეორე ფინჯანი მიუწია და სახე შეიმშრალა. ამ მართლაც გულნამცეცას სიმშვიდემ ზიზღი მომგვარა, რადგან რაკი საფრთხეს გადაურჩა, ჩვენ გავვითამაზდა. მივხვდი, რომ მინდორში რა გულისხმეთქებაც ჰქონდა, უკვალოდ გაჰქრობოდა, რადგან იქ მამამისისა ემინოდა, თუკი მის დავალებას არ შეასრულებდა. «ქარიშხლიან უღელტეხილში» რომ შემოგვიტყუა, პირდაპირი საფრთხე აირიდა, ამიტომაც იყო დიდ გულზე.

– მამაჩემს უნდა, რომ ვიქორწინოთ, – განაგრძო საუბარი, რამდენიმე ყლუპი რომ მოსვა. – და იყის, რომ მამაშენი ახლა ნებას არ დაგვრთავს. ამიტომაც ემინია, ამბობს, თუ გადავდებთ, ვაიდა, ფეხები გაჭიმო. ასე რომ, ხვალ დილით უნდა ვიქორწინოთ და შენც მთელ დამეს აქ მოგინევს დარჩენა. თუ ისე მოიქცევი, როგორც მას სურს, მეორე დღესვე შეძლებ მამაშენთან დაბრუნებას და მეც თან წამიყვან.

– შენც თან წავიყვანს, საცოდავო იმბეცილო! – ვუყვირე განრისხებულმა, – შენ გამოგყვეს ცოლად? გაგიუბებულა მამაშენი და ეგ არის! თუ ჩვენ ვგონივართ სულელები?! სად გავიწილა, ამისთანა ლამაზი, ჯანმრთელი და გულკეთილი გოგონა

შენნაირ დღემოკლე მაიმუნს გაჰყვეს ცოლად? როგორ წარმოგიდგენიათ ოჯახში, რომ ვინმე, ქეთრინის გავანებოთ თავი, იკადრებს და შენ გამოგყვება? მარტო იმიტომ ხარ გასანკეპლი, შენი ყაღბი პრანჭვა-გრეხით რომ შემოგვიტყუე აქ! ასე შტერივით ნუ მიყურებ! ერთი გემოზე უნდა მიგუეუო მაგ უსინდისო ღალატისა და ბრიყველი პატივმოყვარეობის გამო!

მსუბუქად შევანჯღრიე, რაზეც ხველა აუვარდა და ავიშვიშდა. ქეთრინმა მისაყვედურა.

– მთელი ღამე დავრჩე? არა! – თქვა ქეთიმ და ირგვლივ მიმოიხედა, – ელენ, ამ კარს დავნვაგ და მაინც გავალწვევ გარეთ.

ის იყო, სიტყვა საქმედ უნდა ექცია და ლინთონმა დაიწყო შფოთვა, – მე რა ვქნაო. ორივე ხელში მისწვდა ქეთინით:

– ესე იგი, არ წამიყვან თან? არ მისხნი «შამუგებში» წაყვანით? ოჰ, საყვარელო ქეთრინ! რაც უნდა იყოს, მაინც არ უნდა წახვიდე და მიმატოვო. მამაჩემს უნდა დაემორჩილო, უნდა დაემორჩილო!

– მამაჩემს უნდა დავემორჩილო! – მიახალა ქეთრინმა, – და მტანჯველი მოლოდინისგან ვისხნა... მთელი ღამეო! ხომ გული გაუსკდება? ალბათ უკვე განიცდის. ან გავამტვრევ, ან დავნვაგ ამ კარს და ისე გავალ გარეთ. დამშვიდდი! შენ არაფერი გემუქრება, მაგრამ იცოდე, ხელი არ შემეშალო, თორემ მამაჩემი შენს თავს მირჩენია!

ჰითქლიფის რისხვის შიშმა ლაჩარ ბიჭს ჩვეული ენამჭევრობის უნარი დაუბრუნა. მართალია, ქეთი თავგზაბანეული იყო და გაუთავებლად იმეორებდა, შინ უნდა წავიდეო, მაგრამ ლინთონს ხვეწნა მაინც დაუნყო, – დამშვიდდი და ეგოისტური აგონია შეწყვიტეო. სანამ ბიჭს აწყნარებდა, ჩვენი დამატყვევებელი შემოვიდა.

– თქვენი მხეცები გაქცეულან, – დაცინვით გვაუწყა, – ანი... ლინთონ, ისევე ინვინტლები?! რა გავიკეთა ასეთი? აბა, მოდი, გეყოს უკვე, დანოლის დრო გაქვს. ერთი-ორ თვეში, ჩემო ბიჭო, მაგარი მუშტით გადაუხდი სამაგიეროს ამ ტირანობისთვის. წმინდა სიყვარულმა შეგბოჭა, არა? აბა, სხვა რა გინდოდა ამ ცხოვრებაში? ნუ გეშინია, ანი შენია ეს გოგო. აბა, სანოლში! ზილა არ იქნება ამალამ, თავად უნდა გაიხადო. სუ! ნუ ხმაურობ! შენს ოთახში წადი, მე არ მოვალ, ტყუილად ნუ იხეთქავ გულს. საბედნიეროდ, დღეს იმედი არ გამიყრუე. დანარჩენი ჩემზე იყოს.

ამას რომ ამბობდა, კარი გააღო და ხელით დაიჭირა, რომ ლინთონი გასულიყო, ეს უკანასკნელი კი ისე გაიჭურნა, როგორც ძაღლი, რომელიც წიხლის ამორტყმას გაურბის. კარი ხელახლა ჩაიკეტა. ჰითქლიფი ბუხარს მოუახლოვდა, სადაც მე და ჩემი ქალბატონი ვიდექით ხმაამოუღებლად. ქეთრინმა ახედა და ინსტინქტურად აიფარა ლოყაზე ხელი. ჰითქლიფის გვერდით ყოფნამ ტკივილი შეაძინა. ამ ბავშვურ საქციელს სხვა არავინ შეხედავდა ასეთი სიმკაცრით, მაგრამ ჰითქლიფმა გაბრაზებით შეუღრინა:

– ოჰ! ჩემი არ გეშინია, არა? გამოდის, სიმამაცის დამალვა ცუდნია, თორემ შიშით გულგახეთქილს ჰგავხარ!

– ახლა მეშინია, – მიუგო ქეთრინმა, – რადგან თუ დავრჩები, მამა ცუდად გახდება. როგორ უნდა გავუძლო ამას? ის რომ, ის რომ... მისტერ ჰითქლიფ, გამიშვით შინ. გპირდები, ლინთონს გავყვები, მამიკოც დამთანხმდება. თანაც მიყვარს. რატომ უნდა მაიძულოთ ისეთი რამის გაკეთება, რასაც ჩემი ნებითაც ვაგაკეთებ?

– აბა, გაიძულოს! – ვიყვირე მე, – მადლობა ღმერთს, ეს ქვეყანა ჩალით არ არის დახურული და კანონი კანონობს, თუნდაც ასეთ მივარდნილ ადგილას ცხოვრობდეს ადამიანი! ასეთი საქმის გამო საკუთარ ვაჟსაც კი დავასმენდი; მღვდელსაც ვირის აბანოში მოუწვევს წაბრძანება!

– სიჩუმე! – გამოგვიცხადა არამზადამ, – ეშმაკმა გიყოს პირი მაგ შენი ჭარტალა ენიანად! ხმა არ გამაგონო. მის ლინთონ, მამაშენი თუ ცუდად იქნება, ეს მე კიდევაც გამიხარდება: სიხარულით ვერ დავიძინებ. უკეთეს მიზეზს ვერც მეტყლი იმისათვის, რომ უახლოესი ოცდაათხი საათი გაგაჩერო ამ ჭერქვეშ, თუკი ამისთანა შედეგია მოსალოდნელი. რაც შეეხება შენს დაპირებას, ცოლად ისედაც გავყვებიო, სიტყვა რომ არ გატეხო, აქედან ფეხსაც ვერ მოიყვლი.

– მაშინ ელენი გაგზავნეთ, რომ მამიკოს უთხრას, უსაფრთხოდაა და არაფერი უჭირსო! – ნამოიძახა ქეთრინმა და ცხარე ცრემლები გადმოყარა, – შემიცოდეთ, რა იქნება, მამიკო მეგბრალემა! ელენ, ეგონება, რომ დავიკარგეთ. რა ვქნათ?

– სულაც არა! იფიქრებს, თავი მოვაბეზრე და ეტყობა, გასართობად გაიქცნენ სადმეო, – უთხრა ჰითქლიფმა, – ვერ უარყოფთ, რომ ამ სახლში თქვენი ნებით შემოდგით ფეხი, მისი გაფრთხილებებისდა მიუხედავად. თანაც, შენს ასაკში რომ ადამიანს გართობა უნდოდეს, სრულიად ბუნებრივია, ავადმყოფის მოვლა კი მალე ბეზრდება ყველას, გინდ ეს ავადმყოფი მშობელი მამა იყოს. ქეთრინ, მისი ბედნიერი ხანა მაშინ დასრულდა, როდესაც შენ გაჩნდი. ამქვეყნად მოვლინების გამო, მე მგონი, სულ გწყევლიდა (მე კი ნამდვილად სულ ასე ვიქცეოდი); და რა გასაკვირია, რომ იმქვეყნად მიმავალმაც წყევლა დაგიბაროს. მეც მასავით მოვიქცევი. არ მიყვარხარ! ცრემლებით მაგას ვერ უშველი. როგორც ვხვდები, აწი ცრემლების ღვრა იქნება შენი უმთავრესი საქმიანობა, თუკი ლინთონი მხოლოდ ცრემლებს დაგაჭერებს; ისე, შენი წინდახედული მამიკო კი უნდა ხვდებოდეს, რომ ჩემი ნაშიერი ამის ჩამდენია. მისმა დამრიგებლურმა და მანუგეშებელმა წერილებმა ძალიან გამამხიარულა. უკანასკნელ წერილში ჩემს განძს ურჩევს, ქეთის მიმართ ყურადღება და სიკეთე გამოიჩინე, როდესაც შენი გახდებაო. ყურადღება და სიკეთეო – რა მამობრივი მზრუნველობაა, არა?! მაგრამ ლინთონი ყურადღებასა და მთელ სიკეთეს საკუთარ თავს ახარჯავს. პატარა ტირანია, როგორც იტყვიან. კატების წვალემაშიც კი არ დაიხევდა უკან, თუკი ამ ცხოველებს კლანჭები და ბრჭყალები ექნებოდათ დაცლილი. ელენ, გარწმუნებ, შინ რომ გელირსება მისვლა, ქეთის მამისთვის ლინთონზე არაერთი ამბის მოყოლა მოგიწევს.

– მართალი ხარ! – ისევ შენობით მივმართე განრისხებულმა, – აუხსენი შენი ვაჟის ხასიათი ქეთის, არც შენთან მსგავსება დაუმალო და იმედი მაქვს, ათასჯერ მაინც დაფიქრდება, სანამ მაგ ბასილისკოს ცოლობას დათანხმდება!

– ახლა მის საამურ თვისებებზე საუბრისთვის არ მცხელა, – მიპასუხა არამზადამ, – რადგან ან უნდა დათანხმდეს ამ წინადადებას, ანდაც ორივენი იქამდე მყვოლებით ტყვედ, სანამ მამამისი არ გათუგვს ფეხებს. შემოძლია, ორივენი ისე მყავდეთ დაკავებულები, რომ კაცოშვილმა ვერ გაიგოს. თუ არ გჯერა, სიტყვა გადაათქმევინე და ნახავთ!

– სიტყვას არ გავტეხ, – გაისმა ქეთრინის ხმა, – თუნდაც ახლავე გავყვები ცოლად, თუკი «შაშვების კარმიდამოში» დაბრუნების საშუალება მომეცემა. მისტერ ჰითელიფი, უღმობელი ადამიანი კი ხართ, მაგრამ სატანა ხომ არა, რომ მტრული განწყობის გამო სამუდამოდ მომისპოთ ბედნიერება. მამაჩემმა რომ ის იფიქროს, განგებ მიმატოვო და ჩემს ჩასვლამდე მოკვდეს, ამის შემდეგ რაღა ფასი ექნება ჩემს სიცოცხლეს? აღარ ვტირი, მაგრამ მუხლებში გივარდებით და მანამდე არ ავდგები და არ მოვაცილებთ თვალს, სანამ არ დამხედავთ! ნუ გაბრუნდებით! მიყურეთ! გამაღიზიანებელს ვერაფერს დაინახავთ. მე არ მძულხართ. არც იმაზე გიჯავრდებით, ხელით რომ შემეხეთ. ნუთუ არავინ გყვარებით ამ ცხოვრებაში, ბიძაჩემო? არასდროს? აჰ, ერთხელ მაინც მაღირსეთ თქვენი მშვრა. ისეთი უბედური ვარ, რომ აუცილებლად შეგეცოლებით.

– გამიშვი ეგ ტრიტონის თითები და მოუსვი აქედან, თორემ ჭიტლაყს მიიღებ! – იყვირა ჰითელიფი და უდიერად მოიცილა ქეთი, – მირჩევნია, გველი შემომეხვიოს. რა ეშმაკმა დაფიქრებინა ჩემთვის კუდის ქიცინი? მძაგხარ!

ჰითელიფი აინურა და ისე გააჟრჟოლა, თითქოს სიძულვილის ტალღამ დაურაო; როგორც კი ავდექი და პირი გავაღე, რომ ლანძღვის კორიანტელი დამეტება თავს, მაშინვე წამოხტა სკამიდან. მაგრამ სიტყვა არ მქონდა დასრულებული, რომ ხმა გამაკუნდინა: თუ არ ჩაივლებ ენას, სხვა ოთახში ჩაკვეტავო. უკვე ბნელდებოდა, ეზოს კართან ხმები რომ გაისმა. ჩვენი მასპინძელი უცებ წამოხტა და გარეთ გავარდა. სიღინჯე არ დაუკარგავს, ჩვენ კი შეურაცხადებს ვგავდით. ორიოდნუთიანი საუბრის შემდეგ მარტო შემოვიდა ოთახში.

– მე მგონი, შენი დედიძემიშვილი ჰერთონი იყო, – ვუთხარი ქეთრინს, – იმედი მაქვს, დროზე მოვა! ვინ იცის, იქნებ ჩვენს მხარეს დადგეს?

– «შაშვებიდან» იყო სამი მსახური მოსული, თქვენ გეძებდნენ, – ჩემი სიტყვების პასუხად თქვა ჰითელიფმა, – საკმარისი იყო, ფანჯარა გავეღო და გეყვირა, მაგრამ მჯერა, ეგ გომბიო კმაყოფილიც კია, რომ არავის უხმე საშველად და იძულებულია, აქ იყოს.

რომ გავიგეთ, რამხელა შანსი გავუშვით ხელიდან, ორივემ ჩვენდაუნებურად გაბრაზებით ამოვიოხრეთ. ტირილისა და ვაი-ვიშის უფლება ცხრა საათამდე მოგვცა. მერე გვიბრძანა, ზედა სართულზე აღითო, სამზარეულოს გავლით, ზილას ოთახში.

ქეთის ვუჩურჩულე, დავემორჩილოთ-მეთქი – ვინცობაა, იქიდან მაინც მოგვეხერხებინა ფანჯრიდან ან სხვენიდან, ან თუნდაც მინის სახურავიდან თავის დახსნა. ფანჯრები ზედა სართულზეც ისეთივე ვიწრო აღმოჩნდა, როგორც სამზარეულოში, სხვენთან მისასვლელი კი დაკეტილი დაგვიხვდა. ასე რომ, ისევ გამოკეტილები აღმოვჩნდით. არც ერთს არ გვიფიქრია დანოლაზე: ქეთი ფანჯარასთან მოკალათდა და გაბრაზებული შეუდგა გათენების მოლოდინს. მხოლოდ ღრმა ამოოხვრით მშასუხობდა, როდესაც ვურჩევდი, ცოტა ხნით მაინც მოატყუე თვალი-მეთქი. მე სავარძელში ჩავჯექი და ქანაობა დავიწყე, თან თავს ვკიცხავდი, ეტყობა, დაუდევარი ვარ ჩემი მოვალეობების მიმართ და ჩემი ბატონებიც იმიტომ ესხვევიან შარში-მეთქი; მაშინ ასე ვფიქრობდი. ცხადია, ბრალი არაფერში მდებარეობს, მაგრამ იმ საშინელ ღამეს ასე მეჩვენებოდა და ასე განსაჯეთ, ჰოთქლითაღებ მეთად თავს ვიდანაშაულებდი.

შვიდზე მოგვიკაკუნა და იკითხა, მის ლინთონი თუ ადგა უკვეო. ქეთიმ კართან მიიბრინა და გასძახა:

– დიახ!

– ძალიან კარგი, – თქვა ჰოთქლითაღმა, კარი გააღო და გაიყვანა. მეც ავდექი, რომ გავყოლოდი, მაგრამ კარის გადაკეტვა მოასწრო. მოვთხოვე, გამომიშვი-მეთქი.

– მოთმინება! – შემომძახა, – ცოტა ხანში საუზმეს ამოგიგზავნი.

კარზე ავტეხე ბრახუნი და გაბრაზებით დავეჯაჯურე საკეტს. ქეთრინმა ჩემზე ჰკითხა, რატომ ჩაკეტეთო. მან კი უპასუხა, ერთი საათით კიდევ მოუწევს მოთმენაო და წავიდნენ. კარგა ორი-სამი საათი ვიცადე, სანამ საბოლოოდ ფეხის ხმა არ შემომესმა, ოღონდ ჰოთქლითისა არ იყო.

– კბილის გასაკრავი მოგიტანეთ, – გაისმა ხმა, – გააღეთ კარი!

ხელში ჰერთონი შემრჩა დახუნძლული სინით, რომ მთელ დღეს გამყოლოდა საკვები.

– გამომართვით, – მითხრა მან და სინი შემომაჩეჩა.

– ერთ ნუთს მოიცა, – შევევედრე.

– არა, – დამიძახა გარედან და გზა ისე განაგრძო, რომ ჩემს ხვენწა-მუდარას ყური არ ათხოვა.

ასე დავრჩი მთელი დღე გამოკეტილი, არც ღამით გამიშვეს. ამ დღეს მეორე მოჰყვა, მერე – მესამე და ასე აღმოვჩნდი ხუთი ღამე და ოთხი დღე სატუსალოში. კაციშვილი არ მინახავს ამ დროის მანძილზე, გარდა ჰერთონისა, რომელიც წესიერ მეციხოვნესავით ყოველდღილა მაკითხავდა, თუმცა კი სამართლიანობისა და თანაგრძნობისადმი ყრუ და ბრმა იყო.

მეხუთე დილას, უფრო სწორად, შუადღისას, უცხო ფეხის ხმა გაისმა – უფრო მსუბუქი და მოკლე – და ამჯერად პიროვნება ოთახში შემოვიდა. ზილა იყო. ალისფერი შალი ეხვია, თავზე აბრეშუმის შავი ქუდი ეხურა და მკლავზე მოწნული კალათა გადაეკიდა.

– ოჰ, ძვირფასო! მისის დინ! – შესძახა მან, – გიმერთონში ყველას თქვენი სახელი აკვრია პირზე. მეც მეგონა, «შავი ცხენის» ჭაობში ჩაიფლო-მეთქი, სანამ ბატონმა არ მითხრა, ვიპოვეთ და შინ მოვიყვანეთო! გამოდის, კუნძულზე მოახერხეთ გადასვლა? რამდენ ხანს იყავით ასე? მართლა ბატონმა გადაგარჩინათ, მის დინ? ისე, სულაც არ გამხდარხართ, ეტყობა, მთლად სიკვდილის პირზე არ ყოფილხართ.

– შენი ბატონი ნამდვილი არამზადაა! – მიეხალე ზილას, – მაგრამ ამაზე პასუხს აგებს. სულ ტყეილად ჰყვება ამ ზღაპრებს, სიმართლეს მაინც აეხდება თარდა!

– უი, რას გულისხმობთ? – დაიბნა ზილა, – მისი ზღაპრები რა შუაშია, სოფელში ყველა ამას ამბობს. ჰგონიათ, რომ ჭაობებში დაიკარგეთ. მე კიდევ ერწმოს მივაღიქი, როგორც მოვედი, – რა ცუდი ამბები დატრიალებულა, მისტერ ჰერთონ, სანამ წასული ვიყავი, ახალგაზრდა ქალბატონიც მენანება, როგორი ლამაზი იყო, და ზნეკეთილი ნელი დინიც-მეთქი. ისე შემოახედა, ვიფიქრე, ხმებს მის ყურამდე არ მიუღწევია-მეთქი და რაც ვიცოდი, ყველაფერს მოუყევი. ბატონმა მისმინა, მისმინა, მერე გაეღიმა და მითხრა: ჭაობში რომც ყოფილიყვნენ, ახლა აქ არიან, ზილა, ნელი დინი შენს ოთახშია და აი, გასაღები, როცა ახვალ, გაუღე კარი და სადაც უნდა, წავიდესო. ჭაობის წყალი უკვე შეაშრა და თუ უნდა, შინ გაიქცეს კისრისტეხით. მაგრამ იქამდე მყავდა ჩაკეტილი, სანამ გონს არ მოეგებოდა. შეუძლია, «შაშვებში» გაფრინდეს, მისი ახალგაზრდა ქალბატონიც მალე ფეხდაფეხ მიჰყვება, რომ სკვადრის დაკრძალვას დაესწროსო.

– მისტერ ედგარი არ მომკვდარა! – ძლივს ამოვთქვი სულმეხუთულმა, – ოჰ, ზილა! ზილა!

– არა, არა, დაჯექით, ჩემო კეთილო ქალბატონო, – დამიყვავა ზილამ, – ჯერ ისევ შეუძლოდ ხართ. არ მომკვდარა. ექიმი ქენეთი ფიქრობს, ალბათ ერთ დღეს კიდევ გასტანსო. გზაზე შემომხედა და მაშინ ვკითხე.

დაჯდომა კი არა, ერთი სული მქონდა, გამოვქცეულიყავი. ჩემს ნივთებს წამოვაგლე ხელი და თავქედმოგლეჯილმა მოკურცხლე, თან გზაზეც არავინ გადამლობებია. სახლში რომ ჩავედი, მიმოვიხედე, იქნებ ვინმემ იცოდეს რამე ქეთრინის შესახებ-მეთქი. ოთახი მზით იყო განათებული, კარი კი – ყურთამდე ღია. თუმცა არავინ ჩანდა. სანამ ვჭოჭმანობდი, ეგრევე წავსულიყავი თუ შევბრუნებულიყავი ოთახებში და ქეთის ძებნა დამეწყო, ბუხრიდან სუსტი ხველა შემომესმა. ლინთონი სავარძელში იჯდა, მამალოს წუნნიდა და გულგრილად მაკვირდებოდა.

– სად არის მის ქეთრინი? – ვკითხე მკაცრად, რომ ცოტა შემეშინებინა და სანამ მარტონი ვიყავით, რამე დამეცდინებინა. ის კი წუნწას განაგრძობდა უცოდველი სახით, – წავიდა? – ვკითხე ისევ.

– არა, – მიპასუხა, – ზევით არის, არსად მიდის, ჩვენ არ გავუშვებთ.

– შენ არ გაუშვებ, პატარა იდიოტო?! – შევეყვირე, – აბა, სწრაფად ამიყვანე მის ოთახში, თორემ აგამღერებ, როგორ წესია!

– მამა აგამღერებს, ფეხს თუ აადგამ, – ისევ გულგრილად მომიგო, – მეუბნება, ქეთისთან ნაზად არ უნდა იქცეოდეთ, რადგან უკვე ჩემი ცოლია და სირცხვილია, რომ მიმატოვოს. მამა მეუბნება, ეზიზღები და შენი სიკვდილის მონატრულიაო, რომ შენი ფული დარჩესო. მაგრამ ვერაფერს მიიღებს; ვერც შინ დაბრუნდება! ვერასოდეს! შეუძლია, ცუდად გახდეს, იყვიროს, იტიროს, რამდენიც უნდა, მორჩა და გათავდა!

ისევ მამალის ლოლნას შეუდგა და ქეთეთოები დაუშვა, ვითომ ძილი მოერია.

– მისტერ ჰითელიფ, – ისევ მე წამოვიწყე საუბარი, – უკვე დავავიწყდა ქეთრინის სიკეთე? შარშან, როდესაც შენთვის წიგნები მოჰქონდა და სიმღერებით ვართობდა, აკი, სიყვარულს ეფიცებოდი? ის ხომ არც ქარს ერიდებოდა აქ მოსასვლელად და არც თოვლს! ერთი საღამოც რომ ჩაეგლო, დარდით გულს გაიხეთქავდა, – ლინთონი მოიწყენდაო. ხომ იცოდი, რომ ასჯერ უფრო კეთილად გექცეოდა, ვიდრე შენ ექცეოდი და ახლა მამამენის ბუუტურის გჯერა, თითქოს ქეთის სძულხარ? არადა, კარგად მოგეხსენება, რომ ჰითელიფს ორივენი მართლაც სძულხართ. შენ კი გოგოს წინააღმდეგ მამას შეეკარი? მაღლობას ასე უხდიან, არა?

ლინთონს ტუჩის კუთხე დაენია და მამალი ჩამოუცურდა.

– რომ სძულეოდი, «ქარიშხლიან უღელტეხილში» მოგაკითხავდა? – განვაგრძე მე, – დაუფიქრდი! ან რა ფულზე ლაპარაკობ, როცა ისიც არ იცის ქეთიმ, გაქვს თუ არა საერთოდ? ამბობ, თუ უნდა, ცუდად გახდესო! მერე მართო უნდა ტოვებდე უცხო სახლში, თუ ცუდად ხდება? და მაგას შენ ამბობ, რომელიც მუდამ მიგდებულობას და მითრევებულობას უჩივი? როგორც ხედავ, მე – ხნიერი ქალი, თან უბრალო მოსამსახურე – ვერ ვიკავებ ცრემლებს და შენ, სიყვარულს რომ ეფიცებოდი და მისი გაღმერთების მიზეზი წამდვილად გაქვს, ერთი ცრემლიც არ ჩამოგიგდია და ვითომც არაფერიო, ისე წევხარ. ოჰ, როგორი უგულო და თავკერძა ბიჭი ყოფილხარ!

– მასთან ვერ ვიქნები, – კაპასად მიპასუხა, – ჩემს ოთახშიც კი არ მაყენებს. იმდენს წივის და კივის, სად შემოდის მისი ატანა. მაშინაც კი არ აჩერებს პირს, როდესაც ვემუქრები, მამას დავუძახებ-მეთქი. ერთხელ მართლაც დავუძახე მამაჩემს, რომელიც დაემუქრა, თუ არ გაიკმენდ ხმას, დაგახრჩობო, მაგრამ გავიდა თუ არა ოთახიდან, მაშინვე ატეხა წიოკი და მთელი ღამე არ დამაძინა, მიუხედავად იმისა, რომ გატანჯული ვკვნესოდი და ვოხრავდი.

– მისტერ ჰითელიფი გასულია? – ვკითხე უსულგულო ბიჭს, რადგან ვხვდებოდი, რომ მას სულიერად განამებული ქეთის თანაგრძნობა არ შეეძლო, მიუხედავად ყველაფერისა.

– ეზოშია, ექიმ ქენეთს ესაუბრება, რომელიც ეუბნება, რომ ბიძია ედგარი მართლაც კვდება. მიხარია, მისი სიკვდილის შემდეგ «მაშვეების» მფლობელი მე გავხდები. ქეთრინი იმ სახლს მუდამ თავისად იხსენიებს. არადა, საიდანაა მისი?! ჩემი! მამა მეუბნება, რაც მას აბადია, ყველაფერი შენი საკუთრებააო. მისი ლამაზი წიგნებიც კი ჩემი გამოდის. გუშინ შემომთავაზა, ოღონდ კი ოთახის გასაღები იშოვე, რომ გავიღე აქედან და ყველაფერს, წიგნებს, გალიის ჩიტებსა და ჰონისაც კი შენ მოგცემო, მე კი, იცი, რა ვუპასუხე? ვერაფერს შემომთავაზებ, რადგან ეგ ყველაფერი ისედაც მე მეკუთვინის-მეთქი. ამის გაგონებაზე ისევ ატირდა და კულონი მოიხსნა, რომელშიც ოქროსჩარჩოიანი სურათი ჰქონია და მითხრა, შენ გქონდესო. ცალ მხარეს დედამისი ხატია, მერე მხარეს – მამამისი, ახალგაზრდობაში. ვუთხარი, ეგენიც ჩემია-მეთქი და წართმევა ვცადე. მაგ ანჩხლმა კი არ დამითმო, ხელი მკრა და მატკინა. ამაზე მე კივილი მოვრთე – ასე ვაშინებ ხოლმე – და უცებ მამაჩემის ფეხის ხმაც გაისმა; მან უცებ გახსნა მედალიონი და ქალის სურათი მე მომცა, ხოლო მეორე ნაწილის დამალვა სცადა. მამა რომ შემოვიდა და იკითხა, რა ხდებოდა, ავუხსენი ყველაფერი. მეც გამომგლიჯა ხელიდან და მასაც მოსთხოვა, მომეცო, რაზეც ქეთიმ უარი უთხრა. მამამ კი, შენ ეგრე არ გინდაო და ძირს დაახეთა, ძენკვიანად მოაწყვიტა და ფეხით დასრისა.

– და გესიამოვნა, როდესაც მამაშენმა ქეთრინი დაახეთა ძირს? – განვებ ვკითხე ასე, რომ უფრო მეტი მეთქმევინებინა.

– თვალები მოვჭკუტე, – გამცა პასუხად, – როდესაც მამა ცხენს ან ძალღს სცემს ხოლმე, ყოველთვის ვჭკუტავ თვალებს, რადგან გამეტებით იცის ცემა. თავიდან გამიხარდა, რადგან ჩემი გატანჯვისთვის თვითონაც იმსახურებდა ტანჯვას. მაგრამ როდესაც მამა გავიდა, ფანჯარასთან მიმიყვანა და ლოყა მიჩვენა შიდა მხრიდან გაჭრილი, ეტყობა, კბილმა გაუჭრა, რადგან სისხლი სდიოდა. მერე დასრესილი სურათები წამოკრიფა და კედელთან სახეშებრუნებული დაჯდა. ამის მერე ჩემთვის ხმა აღარ გაუცია. ზოგჯერ მგონია, რომ ტკივილისგან ვერ ლაპარაკობს. ასე ფიქრი არ მომწონს, მაგრამ იმდენს წიოდა, რომ მასე მოუხდებოდა. ისე კი, ფერი აქვს დაკარგული და სახეზე გადარეულს ჰგავს, რაც, ცოტა არ იყოს, მაშინებს.

– და თუკი მოისურვებ, გასაღების შოვნა შეგიძლია? – ვკითხე მე.

– ჰო, როცა ავღივარ, მუდამ თან მაქვს, – მომიგო უდარდელად, – მაგრამ ახლა ასეა არ შემიძლია.

– რომელ ოთახშია გასაღები?

– ოო! – წამოიყვირა ლინთონმა, – არ გეტყვი! ეს ჩვენი საიდუმლოა. არავინ იცის – არც ჰერთონმა და არც ზილამ! მორჩა! უკვე დამალე. წადი უკვე! – სახე მიაბრუნა და თვალეტი დახუჭა.

ვიფიქრე, ჯობია, მისტერ ჰითქლიფის უნახავად წავიდე და სამველი «მაშვებში» მოვწახო-მეთქი. ჩემს დანახვაზე მსახურებს გაოცებისა და ალტაცების შეძახილები აღმოხდათ და როდესაც გაიგეს, რომ მათი ქალბატონი ცოცხალი იყო, ორი-სამი მათგანი კინალამ მაშინვე გაქანდა მისტერ ლინთონთან და მიახარა ეს ამბავი, მაგრამ ეს სიახლე ჩემი მოსახსენებელი იყო. სულ რამდენიმე დღე იყო გასული, მაგრამ როგორც შეცვლილიყო! სევდა და მორჩილება ასახულიყო სიკვდილის მომლოდინე მზერაში. ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა ეს ოცდაცხრამეტი წლის კაცი, მაგრამ უცხო თვალი ათი წლით ნაკლებს მისცემდა. ქეთრინზე ფიქრობდა ეტყობა, რადგან მის სახელს ჩურჩულებდა. ხელზე ხელით შევცხე და დავველაპარაკე:

– ქეთრინი მოვა, ძვირფასო ბატონო! – მეც ჩურჩულით ვუთხარი, – ცოცხალია, ჯანმრთელი და იმედია, საღამოს უკვე აქ იქნება.

ამ სიტყვებს ისეთი შედეგი მოჰყვა, რომ მუხლები ამიკანკალდა: სანახევროდ წამოდგა, დაძაბულად მოავლო ოთახს თვალი და გულწასული მიესვენა სავარძელში. როგორც კი გონება დაუბრუნდა, მე «უღელტეხილში» ჩვენი იძულებითი სტუმრობისა და დაკავების ამბავი ვუამბე. ვუთხარი, ჰითქლიფმა მაიძულა შეველა-მეთქი, რაც მთლად სიმართლესაც არ შეეფერებოდა. ლინთონზე რომ ცუდი არ დამცდენოდა, მაქსიმალურად შევიკავე თავი, არც მამამისის სისასტიკე ამინერია, რადგან ჩემი განზრახვა არ ყოფილა, ისედაც ავსებულ მოთმინების ფიალაში სიმწარე ჩამემატებინა.

თავის მტერს ფარულ მიზანს მიუხვდა: ჰითქლიფისთვის მნიშვნელოვანი იყო არაოდენ ლინთონების მთელი უძრავი ქონების ხელში ჩაგდება, არამედ ქეთრინის პირადი საკუთრების დაპატრონებაც ვითომ თავისი ვაჟიშვილისთვის. მაგრამ მის სიკვდილს რატომ არ უცდიდა ჰითქლიფი, ჩემი ბატონისთვის გამოცანას წარმოადგენდა – მან ხომ არ იცოდა, რომ დისშვილიც ცოტა ხანში ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. თუმცა იმას კი მიხვდა, რომ ანდერძი უნდა შეეცვალა და თავისი ქონება არა უშუალოდ ქალიშვილისთვის, არამედ ნდობით აღჭურვილი პირებისთვის გადაეცა სამართავად, ქეთისთვის კი სიცოცხლეში გამოყენების უფლება დაეტოვებინა, მაგრამ საბოლოოდ მისი შვილებისთვის გადაეცა, თუკი შეეძინებოდა, რა თქმა უნდა. ასეთ შემთხვევაში, ედგარის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება ჰითქლიფის ხელში აღარ მოხვდებოდა.

ბატონისგან დავალებები მივიღე და ერთი კაცი ვეჭილთან ვაფრინე, ოთხი – შეიარაღებული – «უღელტეხილში» გავუშვი ქეთის დასახსნელად. ორივე რაზმმა დაიგვიანა. ჯერ ვეჭილთან გაგზავნილი მსახური დაბრუნდა. თქვა, შინ რომ მივაკითხე მისტერ გრინს, გასული დამიხვდა და ორი საათი მომიწია მოცდამო. მერე მისტერ გრინმა მითხრა, სოფელში პატარა, მაგრამ გადაუღებელი საქმე მაქვს, თუმცა «მაშვების კარმიდამოში» ხვალ დილისთვის ვიქნებიო. გოგონას დასახსნელად გამგებელი ოთხი კაციც ხელცარიელი დაბრუნდა. მათი თქმით, ქეთი ცუდად იყო, ისე ცუდად, რომ ოთახიდან ვერ გამოვიდოდა, თუმცა კი ჰითქლიფს მისი ნახვის უფლება ჩვენი ბიჭებისთვის არ მიეცა. ხეპრე მსახურები დავტუქსე, მაგ ზღაპარს როგორ დაუჯერეთ-მეთქი, რადგან ბატონს ვერაფრით ვერ მოვახსენებდი. გადავწყვიტე, უფრო დიდი ჯგუფით დილით დავცემოდი თავს «ქარიშხლიან უღელტეხილს» და

თუ ნებით არ დაგვითმობდნენ, ძალით წამოგვეყვანა ტყვექალი. მამამისი მაინც ნახავს, უსიკვდილოდ ნახავს თავის ქალიშვილს-მეთქი, ვიმეორებდი გაუთავებლად, თუნდაც ამისათვის იმ ეშმაკის მოციქულის ჯოჯოხეთში გასტუმრება გამხდარიყო აუცილებელი!

საბედნიეროდ, არც გაგზავნა გახდა ვინმესი საჭირო და ზედმეტ ხიფათსაც ავერიდეთ. სამ საათზე ქვემოთ ჩავედი წყლის ამოსატანად და დოქით ხელში დერეფანში რომ მივდიოდი, კარზე უეცრად მკვეთრი კაკუნი გაისმა, რამაც შიშით შემახტუნა.

– ოჰ, გრინი იქნება, – ჩავილაპარაკე, – სხვა ვინ მოვიდოდა ამ დროს, – და გზა განვაგრძე, რომ ვინმე მეპოვა და კარის გასაღებად გამეგზავნა. მაგრამ არცთუ ხმამალალი კაკუნი განმეორდა, თან გაბმულად. დოქი მოაჭირზე შემოვლდი და კარისკენ გავეშურე. სავსე მთვარეს გარეთ ყველაფერი გაენათებინა. ვეწილი არ აღმოჩნდა. ჩემმა საყვარელმა ქეთიმ კისერზე მკლავები მომხვია და აქვითინდა:

– ელენ, ელენ! მამიკო ხომ ცოცხალია?

– კი, – შევყვირე გაოცებულმა, – ცოცხალია, ჩემო ანგელოზო, ღვთის მადლით, და შენც ისევ ჩვენთან ხარ უსაფრთხოოდ!

უნდოდა, მყისვე ზედა სართულზე აჭრილიყო მამამისთან, მაგრამ შევაჩერე, ჯერ დაჯექი და წყალი მოსვი-მეთქი; მერე ფერდაკარგული სახე მოვბანე და ჩემი წინსაფრით ისე მაგრად ჩამოვწმინდე, რომ ლოყები შეეფაკლა. მერე ვუთხარი, ჯერ მე ავალ, შენს მოსვლას მოვასხენებ-მეთქი, თან შევევედრე, რომ სიმართლე არ გაემხილა და ეთქვა, ახალგაზრდა ჰითქლიფთან ბედნიერი ვარო. ჯერ მომაჩერდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რატომ ვთხოვდი სიცრუის თქმას და დამარწმუნა, არ დავინუნუნებო.

მათ შეხვედრაზე დასწრება ვერ გავბედე. ბატონის ოთახის კართან საათის მეოთხედი მაინც დავყავი და ძლივს გავბედე სანოლოთან მისვლა. მღუმარება სუფევდა: ქეთრინს ჩუმი ნუხილი ეხატა სახეზე, ისევე, როგორც ედგარს – ჩუმი სიხარული. წამომჯდარ მამას ქეთი ხელს აშველებდა და გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა. ედგარი კი ქალიშვილს სიყვარულით გაფართოებული თვალებით უყურებდა.

ბედნიერმა დახუჭა თვალები, მისტერ ლოქქუდ: ნეტარი წავიდა ამქვეყნიდან. ქეთის რომ აკოცა ლოყაზე გამოთხოვებისას, ჩავილაპარაკე: «მასთან მივდივარ და შენც, საყვარელო შვილო, ჩვენ შემოგვიერთდები!» სიტყვა აღარ უთქვამს მეტი, მაგრამ აღტაცებული, მოელვარე თვალები არ მოუცილებია ქეთისთვის, სანამ პულსი არ შეუჩერდა შეუმჩნევლად და სული არ განუტევა. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იტყოდა, ზუსტად როდის გარდაიცვალა, რადგან უკანასკნელ გზაზე მიმავალს სულთან ბრძოლა არ დაუნყია.

ან ცრემლი გამრობოდა ქეთრინს, ან იმდენად იყო დამწუხრებული, რომ თავად მწუხარება უღობავდა ცრემლს გზას, მაგრამ დილაამდე, მზის ამოსვლაამდე მას თვალი

არ დასველებია. შუადღემდე იჯდა ასე და ალბათ ფეხსაც არ მოიცვლიდა, მაგრამ მე დავაძალე, შენს ოთახში გადი და წაიძინე-მეთქი. კიდევ კარგი, დასასვენებლად გავუშვი, რადგან სადილობისას ვეჭილი მობრძანდა, მისტერ გრინი, რომელსაც ჩვენამდე «ქარიშხლიან უელეტეხილში» გამოველო და ჰითელიფისგან უკვე მიელო კიდევ განკარგულებები. კიდევ უარესი: მისტერ გრინი ჰითელიფს მიჰყიდვოდა. ეტყობა, ამის გამო არ მოვიდა ჩვენთან თავის დროზე. თუმცა, ალბათ ჯობდა კიდევ მისი დაგვიანება, რადგან სიცოცხლის უკანასკნელი საათები, როდესაც ქალიშვილი დაუბრუნდა, ჩემს ბატონს მინიერი საქმეები უკვე აღარ აღელვებდა და თავისი ქეთის ხელში მშვიდად დალია სული.

მისტერ გრინმა თვითონ იკისრა ყველაფრის მოგვარება. ყველა მსახური დაითხოვა, ჩემ გარდა. ისე გაშალა ფრთები უფლებებით აღჭურვილმა, რომ მოინდომა, ედგარი ცოლის გვერდით კი არა, საგვარეულო აკლდამაში დაეკრძალათ. ამაში ხელი ანდერძმაც შეუშალა და ჩემმა ხმამალაშმა პროტესტმაც, რომ გარდაცვლილის უკანასკნელი ნება უცვლელად უნდა აღსრულებულიყო. დაკრძალვა დაჩქარდა. ქეთრინს, უკვე მისის ლინთონ-ჰითელიფს, იმ დრომდე დართეს «შაშვებში» დარჩენის ნება, სანამ მამამისის ცხედარი არ მიგზარებოდა მიწას.

მითხრა, ჩემს ტანჯვას რომ ხედავდა, ლინთონი ცოტა მოლბა და ოთახიდან ჩემი გამოშვება გარისკაო. გაუგონია ჩემ მიერ გაგზავნილი ხალხის ხმა კართან და ჰითელიფის პასუხიც უვარაუდებია, რამაც სასო წარუკვეთა თურმე. ლინთონი, მე რომ წამოვედი «უელეტეხილიდან», მალევე გადაუყვანიათ პატარა მისაღებ ოთახში, სადაც ქეთი ჰყავდათ გამოკეტილი და ჩემს ქალბატონს ისე დაუშინებია, რომ სანამ მამამისი ავიდოდა ხელახლა, კარი გაუღებინებია. ბიჭი კარის გაღებასა და დახურვას თურმე უხმაურად ახერხებდა. ხოლო დაძინების დრო რომ მოსვლია, უთხოვია, ჰერთონის ოთახში დაეწვებო, რაზეც თანხმობა მიუღია. სწორედ ამ დროს გამოჰარულა ქეთრინი, სანამ ინათებდა. კარით გამოსვლა ვერ გაუბედავს, ძაღლები არ ავაყფოო. ცარიელი ოთახები დაუვლია სახლში, რომ ფანჯრები შეემონმებინა და, საბედნიეროდ, დედამისის ოთახში შესულს, ფანჯრიდან გადაძრომა მოუხერხებია და ახლომდებარე ნაძვის ხით ჩაცოცებულა ძირს. მის თანამზრახველს კი, თურმე, პასუხისგებამ მოუწია და ვერავითარმა ლაჩრულმა თავის მართლებამ ვერ უშველა.

თავი 29

დაკრძალვის საღამოს მე და ჩემი ახალგაზრდა ქალბატონი ბიბლიოთეკაში ვისხედით და თან სევდიანად ვფიქრობდით – ქეთი უიმედოდ – თავსდამტყდარ უბედურებაზე, თან ის გვადარდებდა, მომავალი რას გვიმზადებდა.

გადავწყვიტეთ, რომ ქეთისთვის, ამ ეტაპზე უკეთესი იქნებოდა, «შაშვებში» დარჩენის უფლება მოგვეპოვებინა. თუნდაც იქამდე, სანამ ლინთონი ცოცხალი იქნებოდა, ხოლო მე მწედ დავრჩენილიყავი. მართალია, ძალიან თამამი იმედი იყო,

მაგრამ მანაც არ ვკარგავდი; ის იყო, უკვე დაინწყე წარმოსახვით ტკობა, რომ არც სახლის შეცვლა მომინედა და არც სამსახურის, და, რაც უმთავრესია, ჩემი ქეთიც გვერდით მეყოლებოდა, რომ ამ დროს ერთ-ერთი, უკვე დათხოვნილი მსახური, მოვარდა, რომელსაც ჯერ გამგზავრება ვერ მოესწრო და გვაუნცა, ის ავსული ჰითქლიფი მოდის, უკვე ეზოშია და ხომ არ აჯობებს, ცხვირწინ მივეხურო კარიო.

ასეთი სისულელის ჩადენა რომც გადაგვეწყვიტა, დრო მანაც არ გვეყოფოდა. მას არც კაკუნი დაუნცია და არც ვინმესთვის უთხოვია, ჩემი მოსვლა მოახსენეთო, რამეთუ ბატონ-პატრონის უფლებით ისარგებლა და პირდაპირ შემოვიდა. მსახურის ხმის გაგონებაზე ბიბლიოთეკაში გაჩნდა, კაცი უბოდიშოდ გაიძახა გარეთ და კარი მიხურა.

ეს იგივე ოთახი იყო, რომელშიც თვრამეტი წლის წინ როგორც სტუმარმა, ისე შემოდგა ფეხი. ფანჯრიდანაც იგივე მთვარე მოჩანდა და შემოდგომის იმავე ვიზაჟით იწონებდა არემარე თავს. მართალია, ჯერ სანთლები არ გვექონდა ანთებული, მაგრამ მთვარის შუქზე ყველაფერი ჩანდა, კედელზე დაკიდებული ჰორტრეტების კი: ერთზე მისის ლინთონის დიდებული, მეორეზე – ედგარის დახვეწილი სახე. ჰითქლიფი ბუხართან მივიდა. დროს დიდად ვერ შეეცვალა. იგივე ეთქმოდა, ოღონდ შავტუხა სახე გაყვითლებოდა და დამშვიდებოდა, სხეული კი ალბათ ცოტა დამძიმებოდა, მეტი ცვლილება არ ემჩნეოდა. ქეთიმ დაინახა თუ არა, წამოხტა, რომ გაქცეულიყო.

– სდექ! – უთხრა მან და მკლავში სწვდა, – გაქცევა აღარ გამაგონო! ან სად გაქვს წასასვლელი? შენს წასაყვანად მოვედი. იმედი მაქვს, აწი მოკრძალებული ქალიშვილი იქნები და ჩემს ბიჭს ურჩობისკენ აღარ უბიძგებ. ვფიქრობდი, როგორ დამისაჯა, როდესაც შევიტყე, ამ საქმეში თურმე მისი ხელიც ერია, მაგრამ ისეთი ჭიანჭამია, ერთი პანჩურიც რომ ამოვკრა, სულს გააფრთხობს. მაგრამ ჭკუა ვასწავლე, რომ ნახავ, მიხვდები! ერთ საღამოს, გუშინწინ, ქვემოთ ჩამოვიყვანე და სავარძელში ჩავსვი, მეტად თითი არ მიმიკარებია. ჰერთონი გარეთ გავუშვი და ოთახში მხოლოდ ჩვენ დავრჩით. ორ საათზე ჯობიერ ვუხმე, აქედან წაიყვანე-მეთქი. მას მერე ჩემი დანახვა მის ნერვებზე მოჩვენების დანახვასავით მოქმედებს. მგონი, მაშინაც კი მხედავს, როდესაც მის გვერდით არ ვარ. ჰერთონი ამბობს, შუალამისას იღვიძებს და მთელ საათს გაჰყვირისო, ქეთონის იხმობს, – მოდი, მამისგან დამიკავიო. ასე რომ, გეხატება თუ არა გულზე შენი ძვირფასი ქმარუკა, კეთილს ინიებებ, წამოხვალ და მიხედავ. ამიერიდან მასზე ზრუნვას შენ გაკისრებ.

– რატომ დარჩენის ნებას არ მისცემ და ლინთონსაც აქ არ გამოუშვებ? – გამოვესარჩლე ქეთის, – რაკი ორივე ისედაც გძულს, ესე იგი, არც მოგენატრებიან უგულოს, ჰოდა, რალად გინდა, ზედმეტ ტვირთად დაგანწენ?

– «შაშვებისთვის» მდგმურს ვეძებ, – მომიგო ჰითქლიფმა, – და მინდა, ჩემმა შვილებმა ჩემ თვალწინ იტრიალონ. გარდა ამისა, ეს გოგო ჩემთან ვალში იქნება ლუკმა პურისთვის. არ ვაპირებ, ლინთონის სიკვდილის შემდეგ ფუფუნებაში ვაცხოვრო. აბა, დროზე მოემზადე ახლა და გამოადგი ფეხი, ნუ მაიძულებ, ძალა ვიხმარო.

– წავალ, – თქვა ქეთრინმა, – ამქვეყნად ერთადერთი ლინთონილა დამრჩა, ვინც უნდა მიყვარდეს და მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც თქვენ გააკეთეთ, რომ მე ის შემძულვებოდა, მას კი – მე, მაინც ვერაფრით შეგვაზიზღებთ ერთმანეთს. და აბა, გაგიბედიათ ჩემი თანდასწრებით მისი დამცირება, ან ჩემი შემინება!

– ოჰ, ერთი ამ მკვებარას დამიხედეთ, – დასცინა ჰითქლიფმა, – არც იმდენად მძულხარ, რომ მას ვაწვო: იქამდე გაიტანჯები, სადამდეც საჭირო იქნება. მე კი არ შეგაძულვებ ქმარს – მისი უზნეო საქციელი და სიმხდალე შეგაზიზღებს. შენმა გაქცევამ ნაღველივით გაამწარა. შენი ერთგულებისთვის მადლობას არ ელოდო. გავიგონე, ზილას ეუბნებოდა, – ნეტავ მამაჩემივით ძლიერი ვიყო და მერე ვანახვებდი აქ ბევრსო. მიდრეკილება ამკარაა, მართალია, ძალა არ მოსდევს, მაგრამ ეს უძლურება წარმოსახვის უნარს უღვივებს.

– ვიცი, რომ ცუდი ბუნება აქვს, – თქვა ქეთრინმა, – თქვენი შვილი არ არის?! მაგრამ მიხარია, რომ მე უკეთესი ბუნებისა ვარ – მე ხომ პატიება შემიძლია. გარდა ამისა, ვიცი, რომ ვუყვარვარ, ამავე მიზეზით – მეც მიყვარს. თქვენ კი, მისტერ ჰითქლიფ, არავინ გაბადიათ, ვისაც ეყვარებოდით. და რაც უნდა გავამწაროთ, სამაგიეროს იმით გადაგიხდით, რომ ვიფიქრებთ, ასე იმიტომ იქცევა, რომ ეს საცოდავი არავის უყვარსო! მართლაც საცოდავი ხართ, არა? ეშმაკივით ეული და მსავით ეჭვანი! არავის უყვარხართ, არავინ დაგიტირებთ, როცა მოკვდებით! თქვენს ადგილზე ყოფნას არ ვინატრებდი!

ქეთრინი შიშნარევი სითამამით საუბრობდა: თითქოს გაეთავისებინა თავისი მომავალი ოჯახის სული და თავისი მტრების უბედურებით ტკბობა.

– შენს ადგილას ყოფნა რომ არ ინანო, – შეუღრინა მამამთილმა, – გიჯობს, ახლავე დაიძრა. დროზე, შე კუდიანო, შენი კონკები მოაგროვე!

ქეთი ამრეზილი გავიდა. ამასობაში დრო ვიხელთე და ვთხოვე, ზილას ადგილი მე დამითმე და ჩემსას ზილას დაუეთმოზ-მეთქი. მაგრამ ჩემი სიტყვები აინუნშიც არ ჩაადგო. მიბრძანა, გაჩუმდიო და სურათებს მოავლო თვალი – ოთახში შემოსვლიდან პირველად. მისის ლინთონის პორტრეტს რომ დაუკვირდა, თქვა:

– ამას შინ წავიღებ, არა იმიტომ, რომ რამეში მჭირდება – უეცრად ბუხრისკენ ქნა პირი და განაგრძო, მე ვიტყვოდი, მწარე ღიმილით, – გეტყვი, რაც გავაკეთე გუშინ! ეკლესიის მესაფლავეს, ვინც ლინთონის სამარე გაჭრა, ქეთრინის კუბოსთვის მინა გადავაცლევინე, მერე გავხსენი. ჯერ ვიფიქრე, სამუდამოდ დავრჩე-მეთქი იქ... მისი სახეც დავინახე: ისევ ისეთია! მძიმე საქმე კი შევასრულეზინე იმ კაცს. მითხრა, თუკი ქარი მოხვდება, სახე მერე შეეცვლებაო. ავდექი და კუბოს ერთი მხარე მოვაცალე და უბრალოდ მივაყუდე, ოღონდ ლინთონის მხარეს კი არა! ეშმაკმა დალახვროს! ტყვიამიმე ჩაუდუღებიათ! მესაფლავე მოვისყიდე, შევიპირე, რომ როცა მოკვდები, გვერდმობხნილ მხარეს დამკრძალავენ და ჩვენს კუბოებს ერთმანეთისკენ მისწევენ, ასე იქნება! იმ დროს, როდესაც ლინთონი მოაღწევს ჩვენამდე, ვერ გაარკვევს, რომელი რომელია.

– ეს რამ გაგაკეთებინა, მისტერ ჰითელიფ? – გავოგნდი, – როგორ არ შეგრცხვა მიცვალებულის შენუხება?

– მე არავინ შემინუხებია, ნელი, – აქეთ შემომედავა, – ეგაა, მცირეოდენი სიმშვიდე ვპოვე. ახლა უკეთ ვიგრძნობ თავს. აწი, როცა მოვკვდები და დავიმარხები, იმედი გეძლევათ, რომ უკან არ ამოვალ. შევანუხე? არა, ეს მან შემანუხა, დღე და ღამე მოსვენება არა მაქვს თვრამეტი წელიწადია – განუწყვეტლივ, დაუსრულებლივ. ნუხელ კი დავმშვიდდი, ვინატრე, ნეტავ სამუდამოდ დამაძინა, გული გამიჩერა და მის ლოყას ჩემი ლოყა მიაციანა-მეთქი.

– მიწაში ჩაფერფლილი ან კიდევ უარეს დღეში რომ გენახა, მერე რაღაზე იოცნებებდი? – ვკითხე მე.

– მასთან ერთად ჩაფერფვლით ბედნიერიც ვიქნებოდი! – არ დააყოვნა პასუხი, – გგონია, ამის დანახვისა მეშინოდა? სულაც არა, სახურავს რომ ვხდიდი კუბოს, ვფიქრობდი კიდევ, გახრწნილი იქნება-მეთქი, მაგრამ მხოლოდ ის მახარებს, რომ მანამდე არ გაიხრწნება, სანამ მე არ შევეერთდები. გარდა ამისა, მისი აუღელვებელი სახე რომ არ ჩამბეჭდოდა გონებაში, იმ უცნაურ გრძობას ვერ მოვიცილებდი. უცნაურად დაიწყო. ხომ გახსოვს, მისი სიკვდილის შემდეგ გიჟს ვგავდი, ასიდან დაისამდე ვევედრებოდი, სულის სახით მაინც მომეკვლინე-მეთქი! სულელების მჯერა: მწამს, რომ მათ ჩვენ შორის შეუძლიათ ცხოვრება! მისი დაკრძალვის დღეს თოვლი მოვიდა. საღამოს პირზე სასაფლაოზე წავედი. ისეთი სუსხიანი ქარი ქროდა, ზამთარში რომ იცის ხოლმე. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. არც შემშინებია, მისი სულელი ქმარი არ დაძრწოდეს-მეთქი საღამე, რადგან ძალიან გვიან იყო მისთვის. ან სხვას რა მიიყვანდა იმ დროს იქ. ჩემს თავთან მარტო რომ დავერჩი და გავაცნობიერე, რომ მხოლოდ ორიოდ იარდი ფხვიერი მიწა გვაშორებდა ერთმანეთს, ჩავილაპარაკე: ისევ მოვეხევევი! თუ ცივი აღმოჩნდება, ვიფიქრებ, ჩრდილოეთის ქარი მსუსხავს-მეთქი, ხოლო თუ უძრავი იქნება, ვიფიქრებ, სძინავს-მეთქი. ამას რომ ვფიქრობდი, ფარდულიდან ნიჩაბი გამოვიტანე და გამალებით დავინყე თხრა. ბოლოს კუბოს შეეხო ბარის პირი. ის იყო, მიზნისთვის უნდა მიმეღწია, რომ უეცრად ვილაყის კენესა ჩამესმა, საფლავის ზემოდან გაისმა ეს ხმა და მეც უფრო დავიხარე. ნეტავ ეს სახურავი ამაყლევინა, – დავიჩურჩულე მე, – და მერე თუნდაც ორივეს დაგვაყარონ მიწა-მეთქი! უფრო სასონარკვეთით შევუტეო საქმეს. ისევ გაისმა კენესა, ამჯერად ჩემს ყურთან. თითქოს თბილი სუნთქვაც ვიგრძენი ძვლისგამყინავი ქარის მაგივრად. სისხლხორცეული არავინ მეკულებოდა იქვე, მაგრამ როგორც თვალი არჩევს ხოლმე მოახლოებულ არსებას სიბნელეში, თუმცა კი ვერ ხვდებოდეს, რა არის, მეც ისე ვიგრძენი, რომ ჩემი ქეთი იყო ახლოს. არა ჩემ ქვემოთ, მიწაში, არამედ ზემოთ, მიწაზე. უეცრად გულიდან სიმძიმე მომეშვა და ყველა ნაკვთი მომიდუნდა. აგონიაში დანყებულ საქმიანობას თავი მივანებე და ნუგეშით შევტრიალდი: გამოუთქმელი ნუგეშით. ჩემთან იმყოფებოდა. როდესაც საფლავს ხელახლა დავაყარე მიწა, მაშინაც არ მომცილებია და სახლამდე გამიძღვა. შეგიძლია, იყინო, თუ გინდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სახლში შესული ვნახავდი. ვგრძნობდი, რომ მე მახლდა და დალაპარაკებისგან ვერ შევიკავე თავი. «ქარიშხლიან უღელტეხილს» რომ მივაღწიე, ეგრევე კარს ვვცი. დაკეტილი დამიხვდა. მასხოვს, ის წყეული ერწო და

ჩემი ცოლი არ მიშვებდნენ სახლში. შეეჩერდი, რომ სული გამეფერთხობინებინა მისთვის და ეგრევე ზედა სართულზე ავეარდი – მის... ჩვენს ოთახში. მოუთმენლად მოვავლე ოთახს თვალი. ჩემ გვერდით ვგრძნობდი, – თითქოს ვხედავდი კიდევ, მაგრამ ვერ ვხედავდი! ალბათ ოფლთან ერთად სისხლიც დამდინდა სიმწრისა და ძლიერი სურვილისგან, მგზნებარედ რომ ვევედრებოდი, ერთხელ მაინც დამენახვე-მეთქი! ერთხელაც არ მაღირსა თვალის მოკვრა. ისევე ეშმაკეულად მომექცა, როგორც სიცოცხლეში მომქცევია არაერთხელ! მას მერე, ცოტად თუ ბევრად ამ აუტანელ წამებას განვიციდი! ჯოჯოხეთურს! ამან ისე დამიძაბა ნერვები, კეტგუტივით რომ არ მქონოდა, კარგა ხნის წინ მიმტყუნებდა, როგორც ლინთონს. პერთონთან ერთად კერასთან რომ ვიჯექი ხოლმე, მეგონა, სადაცაა, გამოჩნდება-მეთქი; ტორფიანში რომ დავაბჯებდი, ვგრძნობდი, შინ როგორც მივალ, ჩვენს ოთახში დამისვდება-მეთქი. სახლიდან გამოსული სულ შინ მივიჩქაროდი, დარწმუნებული ვიყავი, სადმე «უღელტეხილის» ახლოს უნდა შემხვედროდა! როდესაც მის ოთახში ვწვებოდი, ძილი არ მეკარებოდა. იქ ვერ ვჩერდებოდი, რადგან, როგორც კი თვალს მოვხუჭავდი, ან ფანჯრის გარეთ იმყოფებოდა, ან პანელებს უკან მისრიალებდა, ან ოთახში შემოდისოდა, ან იმავე ბალიშზე დებდა თავს, რომელზეც მე მედო – როგორც ბავშვობაში იქცეოდა ხოლმე. სწორედ ამ დროს ვახელიდი ხოლმე თვალებს, რომ ცხადლივ დამენახა. მაგრამ ასჯერაც რომ გამეხილა და დამეხუჭა, ასჯერვე იმედგაცრეუება მელოდა! ამან ბოლო მომიღო! ხშირად ხმამალა ვდმოუდი ხოლმე, სანამ იმ გაიძვერა ჯომეფმა არ იფიქრა, ეტყობა, ეშმაკი შეუჯდაო. ახლა კი, როდესაც მისი სახე ვნახე, დავმშვიდდი – ცოტათი მაინც. ეს მკვლელობის უცნაური ხერხი იყო: ნაწილ-ნაწილ კი არა, არამედ ღერა-ღერა მოსპობა, მთელი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში იმედის შუქის ცრუ ჭიატით!

მისტერ ჰითქლიფი შეჩერდა და შუბლი მოიწმინდა; ქოჩორი გაოფლილ კანზე მიწვებოდა. თვალს ღადარს არ აცილებდა, უძრავი წარბები კი მალლა აენია, რაც სახეზე პირქუშობის ელფერს უქრობდა, მაგრამ ისეთი ტკივილი და ტანჯვა ეხატებოდა ყოველი ნაკვითთ, თითქოს გონება ოდენ ერთი მტანჯველი წერტილისკენ ჰქონდა მიმართული. სანახევროდ მომმართავდა მე, სანახევროდ კი თავისთვის საუბრობდა, მაგრამ მე ხმა არ ამომიღია. არადა, სულაც არ მესატებოდა მისი საუბარი გულზე! მცირე ხნის შემდეგ ისევ პორტრეტს მიაპყრო მზერა, ჩამოიღო და სოფაზე დააყუდა, რათა უკეთესი კუთხიდან დაკვირვებოდა. ამ პოზაში იყო, ქეთრინი რომ შემოვიდა და განაცხადა, მე მზად ვარ, პონი შემიკაზმონო.

– ეს ხვალ გამომიგზავნე, – მითხრა ჰითქლიფმა პორტრეტზე; მერე ქეთისკენ შეტრიალდა და დაამატა: – პონი არაფრად გჭირდება; მშვენიერი სალამოა და «უღელტეხილამდე» ფეხითაც მოაღწევ. აწი სადაც წახვალ, შენმა ფეხმა უნდა გატაროს. გამოსწი!

– მშვიდობით, ელენ! – მიჩურჩულა მილედემ. ყინულივით ცივი ტუჩებით მაკოცა, – ელენ, მოდი ხოლმე და მინახულე, არ დამივიწყო.

– მაგაზე არც კი იოცნებო, მისი დინ! – მითხრა ქეთის ახალმა მამამ, – როდესაც შენთან საუბარი მომინდებდა, თვითონ მოვალ აქ. სახლში ზედმეტი თვალი არ მჭირდება!

ანიშნა, გზას გაუდევრო და გოგონაც, გულისგამგმირავი თვალი რომ გამოაპარა ჩემკენ, დაემორჩილა. მე თანჯრიდან გავაყოლე მზერა ეზოში მიმავალთ. შითქლიფმა ქეთრინს ხელკავი გამოსდო, რაც ქეთრინს თავიდან, როგორც გავარჩიე, არ მოეწონა, და სწრაფად შევიდნენ ხეივანში, სადაც ხეებს მიეფარნენ.

თავი 30

«უღელტეხილში» ერთხელ კი ვიყავი, მაგრამ ქეთრინი ვერ ვნახე: ჯოზეფი ჩამიდგა კარში, როდესაც ქეთის მივაკითხე და შიგნით არ შემიშვა. მითხრა, მისი ლინთონი დაკავებულია, ბატონი კი შინ არ არისო. ზილამ მომიყვა რაღაც-რაღაცებს, თორემ მათი ასავალ-დასავალიც არ მეცოდინებოდა. როგორც მისი ნაუბრიდან მივხვდი, ქეთრინს გაზულუქებულად მიიჩნევს და არ მოსწონს. ჩემს ახალგაზრდა ლედის უთხოვია დახმარება მისთვის, პირველად რომ მისულა, მაგრამ მისტერ შითქლიფი ჩარეულა და ზილასთვის უთქვამს, შენს საქმეს მიხედე, ჩემმა რძალმა – თავისას მიხედოსო. მასაც, როგორც ჭკუათხელ ქალს, ბატონის დავალება განუხრელად შეუსრულებია და ქეთის არაფერში მიხმარებია. ქეთრინი ამაზე ბავშვივით გაღიზიანებულია, ბუზღუნია დაუნყია და ზილაც ლამის მტრად შეურაცხავს, თითქოს ამ უკანასკნელს სადავო ჰქონოდა მისთვის რამე დაშავებული. ექვსიოდე კვირის წინ ზილას დიდხანს ვესაუბრე, თქვენს ჩამოსვლამდე კარგა ხნით ადრე, ჭათებთან შევხვდით ერთმანეთს და ამ ამბავს მომიყვა:

– პირველი, რაც მისი ლინთონმა მოიმოქმედა, – თქვა ზილამ, – «უღელტეხილში» ჩამოვიდა თუ არა, კიბე ისე აირბინა, მე და ჯოზეფს სალამო მშვიდობისაც კი არ გვისურვა. ლინთონის ოთახში შეიკეტა და დილამდე არ გამოსულა. მერე, როდესაც ბატონი და ერნზო საუზმეს მიუსხდნენ, დაბლა ჩამოსვლა ინება და აცხცხცხებულმა იკითხა, თუ შეიძლება, ექიმის მოსაყვანად რომ გავგზავნოთ ვინმე, რადგან ჩემი მამიდაშვილი ძალიან სუსტად არისო.

– ევ ჩვენც ვიციო! – უთხრა შითქლიფმა, – მისი სიცოცხლე ფართინგადაც[4] არ ღირს, ამიტომ ერთი ფართინგის დახარჯვასაც არ ვაპირებ მასზე.

– კი მაგრამ, მე არ ვიცი, როგორ მივხედო, – შეედავა ქეთი, – თუ არავინ დამეხმარა, აუცილებლად მოკვდება!

– გაბრძანდი ოთახიდან, – უყვირა ბატონმა, – და სიტყვა აღარ დაგცდეს მასზე! აქ მისი ამბავი არავის ადარდებს; შენ თუ ვადარდებს, თავად მიხედე. თუ არც მიხედავ, მაშინ ჩაკეტე და გაანებე თავი.

მერე მე ამომიღო მიზანში, მაგრამ ვუთხარი, საკმარისად გადავყვევი უკვე-მეთქი. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს საკეთებელი, თქვენ კი მისი მიხედვა გვევალებათ-მეთქი. მისტერ ჰითქლიფმა დამავალა, თავის ვაჟზე ზრუნვა მისი ცოლისთვის მიმენდო.

როგორ უკებდნენ და ეწყობოდნენ ერთიმეორეს, ვერ გეტყვით. ალბათ გაღიზიანებული ლინთონი დღე და ღამ წუნუნებდა და მოსთქვამდა, გოგო კი მოსვენებას ვერ პოულობდა. ამაზე მისი გაფითრებული სახე და ამოსივებული უპეები მეტყველებდა. ზოგჯერ გადარეულის სახით ჩამოვიდოდა ხოლმე სამზარეულოში და ჩანდა, რომ დახმარების თხოვნა უნდოდა. მაგრამ ბატონის სიტყვას მე ვერ გადავიდოდი: არასდროს გადავსულვარ მის სიტყვას, მის ღინ. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობდი, რომ ექიმ ქენეთის მოუნვევლობა ცუდი საქმე იყო, მაგრამ რაკი ჩემი საქმე არ იყო რჩევების მიცემა ან ჩივილის დანყება, სხვის საქმეში ცხვირს რა ჩამაყოფინებდა. ერთხელ თუ ორჯერ, უკვე დასანოლად რომ ვიყავით წასულები, ჩემი ოთახის კარი გავაღე და კიბის თავში ჩამომჭდარი და მოტირალი დავინახე ჩვენი რძალი. მაგრამ უცებვე შევიხურე კარი, ფეხი არ წამოცდეს და არ ჩავერიო-მეთქი. იმ დროს მართლა მეცოდებოდა, მაგრამ ადგილის დაკარგვა არ მინდოდა.

ბოლოს, ერთ ღამეს, ჩემს ოთახში ურცხვად შემოვიდა და კინაღამ გული გამიხეთქა თავისი განცხადებით:

– მისტერ ჰითქლიფს გადაეცით, რომ ვაჟი უკვდება; მართლა კვდება! ადექით სწრაფად და გადაეცით!

ეს სიტყვები რომ მომეყარა, უცებვე გავიდა ოთახიდან. საათის მეოთხედი მაინც ვინქი გატრუნული და აკანკალებული. სახლში თითქოს არაფერი ხდებოდა – ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ემლება-მეთქი, დავინყნარე გული. საკმაოდ დაიღალა. ვერავის შევანუხებ-მეთქი და ძილს მივეცი თავი. მაგრამ ძილი ზარის ძლიერმა რეკამ დამიფრთხო – ერთადერთი ზარი გვაქვს, ისიც ლინთონისთვის იყო მოტანილი. ბატონმა დამიძახა, გაიხედე, ნახე რა ხდება და უთხარი მაგათ, რომ გაჩუმდნენო.

მე ქეთრინის დანაბარები გადავეცი. შევიგინა, ორიოდე წუთში ანთებული სანთლით გამოვიდა და მათი ოთახისკენ გაემურა. მეც გავედევნე. მისის ჰითქლიფი სანოლის ბოლოზე იჯდა და ხელები მუხლებზე დაეყრდნო. მისტერ ჰითქლიფი მიუახლოვდა და სანთელი შვილს დაანათა სახეზე, დაუკვირდა და ხელით შეეხო; მერე რძალს მიუბრუნდა.

– თავს როგორ გრძნობ, ქეთრინ? – ჰკითხა მან.

გოგო დამუნჯებულიყო.

– როგორ ხარ-მეთქი, ქეთრინ? – გაუმეორა კითხვა.

– უკვე უსაფრთხოდაა, მე კი თავისუფალი ვარ, – მიუგო რძალმა, – ალბათ კარგად უნდა ვგრძნობდე თავს, მაგრამ, – განაგრძო ქეთრინმა, თუმცა სიმწარე ვერ

დამალა, – იმდენ ხანს მიმაგდეთ მარტო სიკვდილთან შესაბრძოლებლად, რომ ახლა სიკვდილის მეტს ვერაფერს ვხედავ და ვგრძნობ. თავი სიკვდილი მგონია!

მართლა სიკვდილს ჰგავდა! ცოტაოდენი ღვინო დავაღვებინე. ჯობეფი და ჰერთონი, რომლებიც ზარის წკრიალს გაეღვიძებინა და გარედან ჩვენი საუბრისთვის მოეკრათ ყური, ოთახში შემოვიდნენ. ჯობეფს, მე მგონი, გაუხარდა კიდევ ახალგაზრდა ბატონის გარდაცვალება; ჰერთონი შემსბარი ჩანდა, მაგრამ მგონი, ყმანვილის გარდაცვალება კი არ აღარდებდა, ქეთრინს უფრო უუყუყუნებდა თვალებს. მაგრამ ბატონმა უბრძანა, წადი და დანეჭიო. მისი დახმარება არაფერად გვჭირდებოდა. მერე ჯობეფს უბრძანა, ცხედარი ჩემს ოთახში გადაიტანეო, მე დასაძინებლად გამიშვა, ქეთრინი კი – თავის თავთან მარტოდ მარტო დარჩა.

დილით ბატონმა გამგზავნა რძალთან, რომ გადამეცა, საუზმემდე უნდა ჩამოხვიდეო. ტანთ არ ეცვა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს დაძინებას აპირებო, თან მითხრა კიდევ, ცუდად ვარო; ამან სულაც არ გამაკვირვა. მისი ნათქვამი ჰითქლივს მოვახსენე, მან კი თქვა:

– კარგი, იჯდეს ასე დაკრძალვამდე მაშინ. – მერე მიბრძანა, დროდადრო შეუარე, თუ რამე დასჭირდება, მიუტანე და ამის შემდეგ მე მომახსენეო.

თურმე ქეთის მთელი ორი კვირა ფეხი არ ჩამოუდგამს ქვედა სართულზე, ზილას თუ დავეუჭერებო. მითხრა, დღეში ორჯერ ავდიოდი და ვცდილობდი, უფრო მეტად თავზიანი ვყოფილიყავი, მაგრამ რაც უნდა ფიანდაზები დამეფინა მისთვის, ყველაფერზე წიხლი მიკრაო.

ჰითქლივს აუკითხავს ერთხელ, ლინთონის ანდერძი რომ ეჩვენებინა. მას მთელი თავისი და ქეთის მოძრავი ქონებაც მამისთვის დაეტოვებინა, ეტყობა, მექართან ან მოტყუებით მონაწირინეს უბედურს ამ ანდერძზე ხელი იმ დროს, როდესაც ქეთრინი მომაკვდავ მამასთან იმყოფებოდა. ლინთონს მინების განკარგვის უფლება, როგორც არასრულწლოვანს, არ ჰქონდა. თუმცა ამ მინებს თავად ჰითქლიფი განკარგავს, როგორც ცოლისა და ვაჟის მემკვიდრე და ვგონებ, კანონიერადაც. ყოველ შემთხვევაში, ქონებაჩამორთმეული და უმეგობრო ქეთრინი მამამთილს ჯერ ვერ შეერკინება.

– არავის, – თქვა ზილამ, – მის კარზე არ მიუკაკუნებია მას მერე, ჩემ გარდა; და არავის მოუკითხავს. პირველად რომ ჩამოვიდა სახლში, შაბათი დღე იყო. როდესაც სადილი ავეტანე, იყვირა, სიცივეში ჯდომას ვეღარ ვუძლებო; მე ვუთხარი, ბატონი «შაშვებში» აპირებს წასვლას, მე და ერნშო კი ბუხართან დაჯდომას არ დავგმლით-მეთქი; მოკლედ, როგორც კი ჰითქლიფის ცხენის ფლოქების თქარათქერი გაისმა, თავისი ჩამობრძანება გვადირსა. შავები ეცვა, ყვითელი კულულები კი კვაკერივით ყურებსუკან გადაენია. წესიერად დავარცხნაც კი ვერ მოხერხებინა.

მე და ჯობეფი კვირაძალზე სამლოცველოში დავდივართ ხოლმე (გიმერთონის საყდარი ახლა მღვდლის გარეშეა დარჩენილი, – განმიმართა მისის დინმა, ხოლო სამლოცველოს, არ ვიცი მეთოდისტურს, არ ვიცი – ბაპტისტურ ეკვდერს ეძახიან

ეგენი). ჯობიერს მარტოს მოუწია წასვლამ, – განაგრძო ზილამ, – რადგან მე გადავწყვიტე, შინ დარჩენა აჯობებს-მეთქი: რაც არ უნდა იყოს, სახლში ორი ახალგაზრდა გვყავს და თვალი ხომ უნდა ეჭიროს უფროსს. ჰერთონი კი, როგორი მორიდებულიც უნდა გვეჩვენებოდეს, სანიშნურო საქციელი აქვს-მეთქი, ვერ ვიტყვი. ვუთხარი, შენი მამიდაშვილი ნუთინუთზე ჩამოვა და ბუხართან დაჯდება-მეთქი; ისიც დაძვინე, ალბათ შაბათსალამოებს პატივს სცემს, ამიტომ ეგ შენი თოფ-იარაღი გვერდით გადააწყე და ხელსაქმე შეწყვიტე-მეთქი. ამის გაგონებაზე ჭაბუკს ლოყები შეეფაკლა და ჯერ ხელებზე დაიხედა, მერე – ტანსაცმელზე. ზიპი და დენთი წამებში გაქრა. როგორც მივხვდი, ქეთრინის დახვდრას აპირებდა და სურდა, რომ რიგიანად წარდგომოდა. ისე გულიანად გამეცინა მის დაბნეულობაზე, ვეხუმრე კიდევ – ბატონის თანდასწრებით ამას რა გამაკეთებინებდა, – და შევთავაზე, თუ გინდა, დავგებმარები-მეთქი. ამაზე გაღიზიანდა და გინება დაიწყო.

– მოკლედ, მისის დინ, – განაგრძო ზილამ და მიხვდა, რომ მისი დამოკიდებულება არ მსიამოვნებდა, – ალბათ გგონიათ, რომ თქვენი ქალბატონი ჰერთონისთვის მეტისმეტად დახვეწილია, არა? ვინიცობაა, მართალიც იყოთ. მაგრამ მე ცოტა მოვატეხდი ქედმაღლობის რქებს. ან სილამაზეს რა თავში იხლის ახლა, ან მოხდენილობას – ისიც ისეთივე უქონელია, როგორც თქვენ ან მე! მგონი, ჩვენზე ლატაკია, რადგან ჩვენ ცოტაოდენი ფული მაინც გვაქვს შავი ღღისთვის გადანახული, მას კი სულს იქით აღარაფერი აბადია.

ზილასთვის ჰერთონს მაინც დაურთავს დახმარების ნება, მას კი ტუბილი ენით ისე მოუთაფლავს ჭაბუკი, რომ გუნებაზეც მოუყვანია. მოკლედ, ქეთრინის გამოჩენისთვის უკვე ისეთ განწყობაზე ყოფილა, რომ წყენაც დავიწყებია და მნის თქმით, თავის გამოჩენასაც კი ცდილობდა თურმე.

– მის ქეთრინი შემობრძანდა, – თქვა ზილამ, – ყინულის ლოლუასავით გათოშილი, თუმცა კი პრინცესასავით ამპარტავენული იერიით. მე წამოვდექი და ჩემი ადგილი შევთავაზე ბუხართან. მან კი ცხვირი აიბზუა თავაზიან შეთავაზებაზე. ერწმოც ადგა და უთხრა, ცეცხლს მიეფიცხეთ, ალბათ სული გძვრებათო.

– უკვე თვეზე მეტია, სული მძვრება! – ზიბლით გამოთქვა ეს სოფლური გამოთქმა.

მან თავისთვის მოიცურა სკამი, თუმცა ორივე ჩვენგანისგან მოშორებით დარჩენა ამჯობინა. როცა გათბა, ოთახს თვალი მოავლო და ჭურჭლის თაროებზე დანყოფილი წიგნები დაინახა. მამიწვე ზემე წამოხტა და ჩამოსაღებად მივიდა, თუმცა ვერ შესწვდა. ჰერთონმა ერთი ხანობა კი ადევნა თვალი, როგორ ცოდვილობდა მისი მამიდაშვილი და მერე, როგორც იქნა, მოიკრიბა გამბედაობა, რომ ხელი წაემველებინა. ქეთრინმა კაბის კალთა შეუშვირა, ჰერთონმა კი ყველა წიგნი ჩაუყარა, რომელიც კი პირველად მოხვდა ხელში.

ეს ჭაბუკისთვის დიდი წინსვლა იყო; მართალია, გოგონას მადლობაც არ გადაუხდია, მაგრამ ჰერთონი მაინც კმაყოფილი ჩანდა, რაკი მისი დახმარება მიიღეს. ისე გათამამდა, რომ მის უკან დადგა კიდევ და გადააფურცლილ წიგნებში თუ საინტერესო სურათი მოსტაცებდა თვალს, იხრებოდა, რომ ახლოდან

შეეთვალე რეზინა. არც იმას მორიდებია, ქეთი რომ ეგრევე ფურცლავდა სხვა გვერდზე, როგორც თვითონ რომელიმე სურათს დაადებდა თითს, ამ დროს მხოლოდ უკან იხევდა და უკვე სურათის მაგივრად თავად ქეთრინს უყურებდა ხოლმე. გოგონა კი ან კითხვას განაგრძობდა, ან წასაკითხის ძებნას. ვაჟმა ყურადღება ქეთის აბრეშუმის სქელ თმაზე გადაიტანა და თითქოს თვალთ დაიწყო მისი შესწავლა: ის ქეთრინის სახეს ვერ ხედავდა, ქეთრინი კი – მისას. და შესაძლოა, ვერც კი მიხვდა, რას სჩადიოდა, ისე მოიხიბლა მისი თმის ცქერით, როგორც ბავშვი სანთლის ყურებით, რომ მზერა აღარ იკმარა და ხელით შეხება მოუნდა; ხელი გაიწვდინა და ერთ-ერთ კულულზე ისე ნაზად დაუსვა თითები, ჩიტს რომ ეფერებოდა ხოლმე, მაგრამ გოგონა, თითქოს კისერში დანა ჩასცეს, უეცრად შემოუბრუნდა და უკვილა:

– გამმორღით! ჩემს შეხებას როგორ ბედავთ? ან აქ რას უდგახართ? – ამ კვილში ზიზღსაც საგრძნობი წილი ედო, – თქვენი ატანა არა მაქვს! თუ კიდევ მომიახლოვდებით, ისევ მალლა ავალ!

მისტერ ჰერთონი შეკრთა და უკუდგა სულელის გამომეტყველებით. ვაჟი ისევ თავის ადგილზე დაჯდა, გოგომ – ნახევარი საათი წიგნები ათვალე რა. ბოლოს ერნშო მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა:

– იქნებ სთხოვო და წაგვიკითხო, ზილა? უქმად ყოფნამ დამალა; თან როგორ მომწონს... იქნებ მისი წაკითხული მომეწონოს! მე ნუ მახსენებ, შენი სახელით სთხოვე.

– მისტერ ჰერთონს სურს, რომ რამე წაგვიკითხოთ, მე, – ვუთხარი მაშინვე, – ძალიან დაგიფასებდათ და ძალიან დავალებულადაც იგრძნობდა თავს.

ქეთრინმა წარბი შეკრა და ისე მომმართა:

– აქეთ მე ვიგრძნობ თავს დავალებულად, თუკი მისტერ ჰერთონიც და ამ სახლის დანარჩენი ბინადრებიც მოეშვებით ჩემთან ფარისევლობას და ვითომ თავაზიანობის გამოჩენას, რადგან არც ერთ ასეთ ცრუთავაზიანობას მე არ მივიღებ. არავის არაფრად გავდებთ და არც ერთ თქვენგანთან საუბრის არავითარი სურვილი არ მაქვს! როდესაც მზად ვიყავი, სიცოცხლეც კი მიმეცა, ოღონდ რომელიმე თქვენგანი ადამიანური სახით დამლაპარაკებოდა, ახლოს არავინ გამეკარეთ, ყველამ შორს დაიჭირეთ თავი. მაგრამ არ გვეკონოთ, თქვენ გამო თავზე ნაცარი წაყიყარო! მე აქ სიცვივემ ჩამომიყვანა და არა თქვენი გართობის ან თქვენი თავის შექცევის სურვილმა.

– მე რა უნდა მექნა? – დაიწყო ჰერთონმა, – მე რა შუაში ვარ?

– ოჰ! თქვენ გამონაკლისი ბრძანდებით! – მიუგო მისის ჰითქლიფმა, – თქვენი დახმარების იმედი ცხოვრებაში არ მქონია.

– მე კი არაერთხელ შევთავაზე ბატონ ჰითქლიფს, ვთხოვე, რომ თქვენს კართან გამეთენებინა, ვაითუ რამე... – ამ სიტყვებით კიდევ უფრო გაანწინაბა ქეთრინი.

– გაჩუმიდით! – შეანწყვეტინა თავხედმა გოგომ, – მირჩენია, გარეთ გავიდე ან სადმე გადავიკარგო, ოღონდ კი თქვენი საძაგელი ხმა არ გაიგონოს ჩემმა ყურებმა!

ჰერთონმა ჩაილაპარაკა, ჯანდაბაშიც წასულხარო და თოფის დაშლა დაიწყო, სულ აღარ მორიდებია კვირაძალზე თავისი საქმის კეთებას. აღარც თავისუფლად საუბრისგან შეიკავა თავი და ქეთრინიც მიხვდა, რომ ჩუმად უნდა ყოფილიყო, რომ ისევ თავის სიმარტოვეში არ დასჭირვებოდა გაძურწვა. რაკი სიცვიე თავისი სამყოფლიდან აფრთხოვდა, მიუხედავად ამჰარტავნებისა, იძულებული გახდა, ჩვენთვის გაეყადრებინა თავი. მაგრამ, რა დაგიმალოთ და, მას მერე მეც ვისწავლე ჭკუა: სიკეთემე მიზლით რომ აღარ ეპასუხა, მეც ისეთივე გამეხებული სახე მიჭირავს მასთან, როგორც თვითონ მას. ამიტომაც, ჩვენ შორის არც მომწონებელი გააჩნია და არც შემყვარებელი! არც იმსახურებს! საკმარისია, ვინმეს ნათქვამი არ ეპიტნავოს და მაშინვე უბოლიშოდ გავარდება ოთახიდან. ბატონსაც კი ენას უბრუნებს და ძალით აცემინებს თავს, მერე, რაც უფრო მეტ ტკივილს იღებს, უფრო მეტად შხამიანი ხდება.

პირველად რომ მოვისმინე ზილას ნამბობი, გადაწყვიტე, თანამდებობა დამეტოვებინა, სახლი მეჭირავა და ქეთრინისთვის მეთქვა, ჩემთან გადმოდი-მეთქი, მაგრამ მისტერ ჰითქლიფი ამას ისევე არ დაუშვებდა, როგორც ჰერთონს არ აძლევს საკუთარ ჭერქვეშ გახარების საშუალებას. ამჟამად სხვა სამველს ვერ ვხედავ, გარდა იმისა, რომ ხელმეორედ გათხოვებით უნდა უშველოს თავს. მაგრამ ამ საქმის გაჩარხვა მე როლი ხელმეწიფება.

ამ წინადადებით დაასრულა მისის დინმა ეს სევდიანი ამბავი. ექიმის ვარაუდის საწინააღმდეგოდ, ძალიან სწრაფად მიბრუნდება მკლავში ძალა; მართალია, იანერის შუა რიცხვებია, მაგრამ ორიოდე დღეში ცხენით ვაპირებ გასეირნებას, ჰოდა, «ქარიშხლიან უღელტეხილშიც» ავიქროლებ, რომ ბინის პატრონს ვაცნობო, უახლოეს ექვს თვეს ლონდონში გავატარებ-მეთქი. მერე თუ მოუნდება, ადგეს და სხვა მდგომური ნახოს ოქტომბრიდან, რადგან ამ ადგილას კიდევ ერთ ზამთარს არასდიდებით აღარ გავატარებ.

თავი 31

გუშინ დარი იღვა, სიმშვიდე იყო და ყინავდა. როგორც ვაპირებდი, «უღელტეხილში» წავედი. ჩემი მნე შემევედრა, თუ არ დამზარდებით, იქნებ ერთი პატარა ბარათი წაილოთო ქეთისთვის გადასაცემად, და მეც არ მითქვამს უარი, რამეთუ ამ პატიოსანი ქალის თხოვნაში უცნაური არაფერი გახლდათ. წინკარი ღია იყო, ეჭვიანი ჭიშკარი კი – გადარაზული, როგორც ჩემი პირველი ვიზიტისას. მივაკაკუნე და ყვავილნარიდან ერწომე გამომხედა. მან კარი გააღო და მეც შევედი. ეს სოფლელი ბიჭი ისეთი ლამაზია, რომ კალმით ნახატი გეგონებათ. ამჯერად საკმაოდ შემფასებლურად შევაველე თვალი და მინდა ვთქვა, რომ ეს ჭაბუკი არაფერზე უკან არ იხევეს, ოღონდ კი თავის უპირატესობას ხაზი გადართავს.

ვკითხე, მისტერ ჰითქლიფი თუ არის-მეთქი სახლში? მიპასუხა, არა, მაგრამ სადილად შინ იქნებაო. უკვე თერთმეტი საათი იყო და ვუთხარი, მირჩენია, შიგნით

შევიდე და დავეუცადო-მეთქი. ამის გავგონებაზე სამუშაო იარაღები ძირს დაანყო და სახლისკენ გამიძღვა – ოლონდ როგორც საყარაულო ძაღლი და არა როგორც მასპინძლის მოადგილე.

ერთად შევედით; ქეთრინიც შინ იყო, ბოსტნეულს ამზადებდა მოახლოებული სადილისთვის. იმაზე უგუნებოდ და უხალისოდ შემომხედა, ვიდრე მაშინ, პირველად რომ დამინახა. ძლივს გამომხედა, რომ შევემჩნეე და საქმიანობა განაგრძო; არც ახლა გამოუჩენია ელემენტარული ზრდილობა. თავის დაკვრასა და მისალმებაზე არც კი გამომპასუხებია, თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერ მიცნო.

– სულაც არ მეჩვენება ისეთ სასიამოვნოდ, – გავიფიქრე გულში, – როგორადაც მისის დინი ამიწერდა. ლამაზია, არ ვდაობ, მაგრამ ანგელოზი სულაც არ არის.

ერნშომ უხეშად უთხრა, სამზარეულოში გაიტანე ეგ რაღაცებიო.

– თვითონ გაიტანეთ, – არ დარჩა ვალში ქეთრინი, როგორც კი საქმეს მორჩა, ყველაფერი მაგიდაზე დატოვა და ფანჯარასთან მდგარ სკამზე გადაჯდა, სადაც პატარა ჩიტებისა და ცხოველების გამოჭრა დაიწყო თალგამის კანიდან, კალთაში რომ მოეგროვებინა. მას მივუახლოვდი, ვითომ ფანჯრიდან ეზოში გახედვა მსურდა. წინ რომ ჩავუარე, მისის დინის ბარათი მარჯვედ ჩავეუცვლე კალთაში, რომ ჰერთონს არ შეემჩნია, მაგრამ რატომღაც ხმამაღლა იკითხა:

– ეს რა არის? – და ძირს მოისროლა.

– ეს თქვენი ძველი ნაცნობის, «შაშვების» მწე მის დინის ბარათია, – ვუპასუხე შეწუხებულმა, რაკი კარგი საქმე ცუდად მიიღეს, თან ვიფიქრე, ვინმეს ჩემი დანერვილი არ ეგონოს-მეთქი. ამ ახსნის შემდეგ წერილის ასაღებად დაიხარა, მაგრამ ჰერთონმა მოასწრო და ხელი დასტაცა. აიღო და კურტაკის ჯიბეში ჩაიღო, ჯერ მისტერ ჰითელიფმა დახედოსო. ქეთრინმა შეუმჩნეველად ამოაყურა ჯიბიდან ცხვირსახოცი, გვერდზე გაიხედა და თვალეებზე აიფარა. ჰერთონმა ჯერ კეთილი გრძნობის დაფარვა სცადა, მაგრამ მერე გულმა ველარ გაუძლო და წერილი გვერდით დაუგდო, შეძლებისდაგვარად არათავაზიანად. ქეთრინმა უცებ დასტაცა ხელი და ყურადღებით დაიწყო კითხვა. მერე რამდენიმე კითხვა დამისვა თავისი ძველი სახლის გონიერი თუ უგუნური ბინადრების შესახებ; მერე ბორცვებს გახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ნეტავ კიდევ ერთხელ გამაქროლებდეს მინი იქითკენ! როგორ სიამოვნებით ავიდოდი! ოჰ, როგორ დავიღალე – გუნებაწამხდარიც ვარ, ჰერთონ! – მერე ფანჯრის რაფას მიაღო თავი და ისე ამოიოხრა, თითქოს დაამთქნარაო. მწუხარებამ მოიცვა, თუმცა არც იყოდა და არც ანაღვლებდა, შევამჩნიეთ თუ არა ეს ცვლილება.

– მისის ჰითელიფო, – მივმართე მე მცირე ხანს უბრად ჯდომის შემდეგ, – განა ერთმანეთს არ ვიცნობთ? თან ისე კარგად ვიცნობთ, რომ უცნაურიც კია თქვენი მხრიდან, ხმას რომ არ მცემთ. ჩემი მწე სულ თქვენს ქებაშია და გული დასწყდება, თუკი ისე ჩავალ, რომ თქვენგან დანაბარებსაც კი ვერ ჩავუტან, მით უმეტეს, რომ ვეტყვი, თქვენი ბარათი წააკითხა და არაფერი მითხრა-მეთქი!

ამ საუბარმა გააკვირვა და ხმა ამოიღო:

– ელენს მოსწონხართ?

– დიახ, თან ძალიანაც, – ვუთხარი მცირედი ჭოჭმანით.

– ჰოდა, გადაეცით, – განაგრძო მან, – რომ საპასუხო წერილს კი გავუგზავნიდი, მაგრამ საწერ-კალამი არ გამაჩნია; წიგნიც კი არ მაქვს, საიდანაც ფურცელს ამოვხვედი.

– წიგნიც არ გაქვთ?! – გაოცება ვერ დავმაღლე. – წიგნის გარეშე აქ ცხოვრებას როგორ ახერხებთ? თავს უფლებას ვაძლევ, ეს კითხვა დავისვით. მიუხედავად იმისა, რომ «შაშვებში» უზარმაზარი ბიბლიოთეკაა, ზოგჯერ მეც კი მოვიწყენ ხოლმე; წიგნები რომ ვინმემ წამართვას, ალბათ, სასონარკვეთილებაში ჩავფარდები!

– ყოველთვის გკითხულობდი, როდესაც წიგნები მქონდა, – თქვა ქეთრინმა, – მისტერ ჰითქლიფი კი არასდროს კითხულობს, ამიტომაც აიკვირბა, რომ მეც გამინადგუროს წიგნები. უკვე რამდენიმე კვირაა, ერთი გვერდიც კი არ წამიკითხავს. მხოლოდ ერთხელ შევავლე თვალი ჯოზეფის თეოლოგიურ ლიტერატურას მის წიგნსაცავში, რითიც ძალიან გავანაწყენე და მეორედ, ჰერთონ, თქვენს ოთახში რომ შევედი და საიდუმლო საცავს მივაგენი, სადაც ბერძნული და ლათინული წიგნების გარდა, პოეზია და პროზა ინახება: ჩემი ძველი მეგობრები. პოეზია სახლშიც კი ჩამოვიტანე, მაგრამ თქვენ ისე წამოკრიფეთ, როგორც კაჭკაჭი წამოკრეფს ხოლმე ვერცხლის კოვზებს ქურდობის სიყვარულით! აბა, სხვა რად უნდა დაგჭირებოდათ წიგნები; ანდაც გაბოროტებულმა გადამიმაღეთ, ჩემი ურგები ქოთანი ქვას და მანონი – ძაღლს! იქნებ სწორედ მაგ თქვენმა შურიანობამ უკარნახა მისტერ ჰითქლიფს, რომ უკანასკნელი განძიც წაერთმია ჩემთვის. მაგრამ უმეტესობა გონებაში მაქვს ჩაწერილი და გულში ჩაბეჭდილი, საიდანაც ვერაფრით წამართმევთ!

ერწო განითლდა, როდესაც მამიდაშვილმა წიგნების გადამალვაში საჯაროდ ამხილა და აღშფოთებული ენის ბორძიკით შეუღდა თავის მართლებას.

– მისტერ ჰერთონს ცოდნის ამალღება სურს, – გამოვესარჩლე ჭაბუკს, – თქვენი ცოდნა კი არ შურს, გაჭიბრება უნდა. რამდენიმე წელიწადში ნიჭიერი სწავლული დადგება მისგან.

– და ჩემი დაჩლუნგება უნდა ამასობაში, – მომიგო ქეთრინმა, – რამდენჯერმე გავიგონე, როგორ ცდილობდა მარცვალ-მარცვალ ამოკითხვას და უხეშ შეცდომებსაც გვარიანად უშვებდა! აბა, გამეორეთ «ნადირის დევნა»[5], გუშინ რომ კითხულობდით. გულიანად კი ვიცინე. გისმენდით და ისიც ვიცი, რომ ლექსიკონში ეჭვდით მერე რთულ სიტყვებს და მერე ივინებოდით, რაკი განმარტებების ამოკითხვა ვერ შეძელით!

ჭაბუკმა აშკარად მიუღებლად მიიჩნია ჯერ ის, რომ უცოდინრობის გამო დასცინოდნენ და მერე ისიც, რომ ამ უცოდინრობის დაძლევის გამოც ივლებდნენ

აბუჩად. მის აზრს მეც ვიზიარებდი. გამახსენდა, მისის დინი რომ მიყვებოდა, იმ სიბნელის განათებას ცდილობს, სადაც განგებ მოისროლესო და შევნიშნე:

– კი მაგრამ, მისის ჰითქლიფი, ყველამ ხომ ოდესღაც რაღაცით დავინწყეთ და ფეხიც არაერთხელ მოგვითქვას ზღურბლზე. ჩვენს მასწავლებლებსაც რომ დაეცინათ დახმარების ხელის გამოწვდის მაგივრად, ახლაც არ გვეცოდინებოდა გამართული კითხვა და ისევ ის ენის ბორძიკით და შეცდომებით წავიკითხავდით.

– ოჰ! – შესძახა ქეთრინმა, – მის ცოდნის გაღრმავებასთან მე რა ხელი მაქვს, მაგრამ თვითონ მას ვინ მისცა უფლება, რომ ჩემს საკუთრებას უკითხავად ითვისებს და საძაგელი წარმოთქმითა თუ აურაცხელი შეცდომით ჩემთვისვე სასაცილოს ხდის? ეგ წიგნები, პროზა და პოეზია, ჩემთვის მოგონებებთან არის დაკავშირებული და ძალიან მიუღებელია მათი ხელაღებით შებღალვა! გარდა ამისა, მაინცდამაინც ჩემი საყვარელი წიგნები შეაჩრია, რომელთაც არაერთხელ ვკითხულობ ხოლმე. ჯინაზე იქცევა ასე!

ჰერთონი წუთიერად გაირინდა, თითქოს სუნთქვა შეიკავაო: იოლი არ იყო მისთვის ამხელა შეურაცხყოფისა და წყენის უსიტყვოდ ატანა. მე ავდექი და ჯენტლმენური მოსაზრებიდან გამომდინარე, უარესად არ ჩავაყენო უხერხულ სიტუაციაში-მეთქი, კარისკენ წავიდი, სადაც გაეჩერდი და ლანდშაფტს მივაჩერდი. ჰერთონმა ჩემს მაგალითს მიბაძა და გავიდა ოთახიდან; თუმცა მაღევე შემობრუნდა ხელში ექვსიოდე წიგნით; მივიდა და ქეთრინს კალთაში ჩაუყარა.

– დაიბრუნეთ! აღარც მათი წაკითხვა მინდა, აღარც გაგონება და აღარც ფიქრი!

– არ გამოგართმევთ, – მიახალა ქეთრინმა, – ან სულ თქვენთან უნდა დავაკავშირო ხოლმე და შევიძულო ეს წიგნები!

ერთი წიგნი გადაფურცლა, რომელშიც ალბათ ადრეც არაერთხელ ჩაუხედავს, და დამწყების ბორძიკ-ბორძიკით შეუდგა კითხვას; მერე გაიცინა და წიგნი მოისროლა.

– მისმინეთ! – განაგრძო მან გამომწვევად და იმავენაირად დაიწყო ძველი ბალადის ნაწყვეტის ამოკითხვა.

მაგრამ ჰერთონს თავმოყვარეობა შეელახა და ამ წამებს ვეღარ გაუძლო: გავიგონე, და არცთუ გავკიცხე, რომ ფიზიკური შეხებით გააჩუმებინა ენა. პატარა ენაგრძელმა გოგომ ისე შეულახა დედიძემიშვილს უხეში, მაგრამ ადამიანური გრძობები, რომ ჭაბუკს ძალის გამოყენებით მოუნია ანგარიშის გათანაბრებამ. მერე წიგნები მოაგროვა და ცეცხლში შეყარა. სახეზე დაენერა, რამხელა ტკივილი მიაღდა თავისი ბრახისთვის ამხელა მსხვერპლის გაღებით. სანამ წიგნები ნადგურდებოდა, გავიფიქრე, ალბათ ახლა იმ სიამოვნებაზე ფიქრობს, რომელიც ამ წიგნებმა მიაღებინა და ასევე იმ ზეიმზე, რომელსაც მომავალში მიიღებდა მათი კითხვით-მეთქი. მეგონა, რომ გამოვიცანი მისი საიღუმლო ამ წიგნებთან დამოკიდებულებაში. მას ხომ მანამდე ყოველდღიური შრომა და ცხოველი სიტკბოება ჰყოფნიდა, სანამ ქეთრინი გადაკვეთდა მის გზას. მისი დაცინვით შერაცხვენამ და იმედმა, რომ ოდესმე საქციელს

მოუნონებდა, ჰერთონს ბიძგი მისცა უფრო მაღალი იდეალებისკენ დაენყო სწრაფვა. მისმა მცდელობამ კი არათუ დაიხსნა დაცინვისგან და უფრო აამაღლა ქეთრინის თვალში, არამედ სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო.

– ჰო, თქვენნაირმა ცხოველმა წიგნისგან მეტი რა ხეირი უნდა ნახოს! – უკვილა ქეთრინმა და გახეთქილი ტუჩი მოილოკა, თან აღმფოთებული თვალი ვერ მოაცილა აალებულ წიგნებს.

– გიჯობს, ენა დაიმოკლო, თორემ... – დაუტია ჰერთონმა და მისკენ გაინია.

გალიზიანებისგან სათქმელი ვეღარ დაასრულა და უცებ მიმართულება შეცვალა, შებრუნდა და კარისკენ წამოვიდა. მე უკან გავდექი, გავატარე. მაგრამ ქვის კიბე არ ჰქონდა ჩავლილი, რომ ქვაფენილზე მისტერ ჰითელიფი გამოჩნდა. წინ გადაუდგა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

– რა ხდება, ჩემო ბიჭო?

– არაფერი, არაფერი, – უთხრა და გზა განაგრძო, რომ მწუხარებასა და მარტოობას მისცემოდა.

ჰითელიფმა თვალი გააყოლა და ამოიოხრა.

– უცნაური იქნება, მე თვითონვე რომ ჩავშალო ჩემი გეგმა, – ჩაილაპარაკა თავისთვის ისე, რომ ჩემთვის არ მოუქცევია ყურადღება, – მაგრამ როდესაც მამამისის თვალებს ვხედავ მის თვალელებში, მამიდამისი მიცოცხლდება ყოველდღე! ასე რა ჯანდაბამ დაამსგავსა მამიდას? მიჭირს მისი ქცევის ატანა.

თავი ჩალუნა და სევდიანად შემოვიდა სახლში. სახეზე მოუსვენრობა და სიბრაზე ემჩნეოდა, რაც აქამდე არ შემინიშნავს მის მზერაში. თითქოს განახევრებულიყო კაცი. მისმა რძალმა, მოჰკრა თუ არა თვალი, მყისვე სამზარეულოში გაქცევით უშველა თავს, ამიტომ მხოლოდ მე შევრჩი ხელში.

– მიხარია, გარეთ გამოსულს რომ გხედავთ, მისტერ ლოქვედ, – მიპასუხა მისალმებაზე, – ნაწილობრივ ეგოისტური მოსაზრებითაც; რადგან არ მგონია, ამ გავერანებულ ადგილზე იოლად გიპოვოთ შემცვლელი. არაერთხელ გამკვირვებია, აქეთ რა ქარმა გადმოავდო-მეთქი.

– ვშიშობ, ოდენ ამაო ახირებამ, სერ, – მიუვგე მე, – რომელიც ახლა თვითონვე მაგდებს აქედან. ერთი კვირის შემდეგ ლონდონში მიწვევს გადაბარება და მინდა, გაგაფრთხილოთ, რომ მოლაპარაკებულ თორმეტ თვეზე მეტხანს «შაშვების» დაკავება აღარ მსურს. დარწმუნებული ვარ, უფრო მეტხანს აღარ მომიწვევს დარჩენა.

– ოჰ, ნამდვილად; დაგვალათ ალბათ სამყაროსგან გაკიდევანებამ, – ცალკებად მითხრა, – მაგრამ თუ იმის სათხოვნელად მობრძანდით, რომ იმ პერიოდის თანხა აღარ გადაგახდევინოთ, რომელი პერიოდიც არ იცხოვრებთ, ტყუილად გარჯილხართ. როცა საქმე მოვალეობებს ეხება, შეღავათს არავის ვუწევ.

– მაგის სათხოვნელად არ მოვსულვარ, – შევძახე აშკარად გაღიზიანებულმა, – თუ გინდათ, შემიძლია, ახლავე გავისწოროთ ანგარიში, – გულის ჭიბიდან უბის წიგნაკი ამოვიღე.

– არა, არა, – ცივად მომიგო, – საკმარისად გრჩებათ წასაღები, ასე რომ, თუკი არც დაბრუნდებით, გასასტუმრებლად ეგეც იკმარებს; თანაც არსად მეჩქარება. დაბრძანდით და ჩვენთან ერთად ისადილეთ. როცა იცი, რომ სტუმარი კარს არ ავითალახებს, რატომაც არ უნდა მიიპატიუო სუფრასთან?! ქეთრინ, აქ გააწყე სუფრა. სად ხარ?

ქეთრინი გამოჩნდა ხელში დანა-ჩანგლებდანყობილი სინით.

– შევიძლია, ჯოზეფთან ერთად ისადილო, – გადაულაპარაკა ჰითქლიფმა, – და სანამ სტუმარი არ წავა, სამზარეულოდან არ გამოხვიდე.

საკმაოდ პუნქტუალურად დაემორჩილა მამამთილის მითითებებს: ეტყობა, წესის დარღვევის სურვილი აღარ ჰქონდა. ხეპრეებსა და მიზანთროპებში ცხოვრებამ ალბათ ნორმალური ადამიანების ნახვით გამონწველი კმაყოფილების აღქმა დააკარგვინა.

ერთი მხრივ, სასტიკი და კუშტი მისტერ ჰითქლიფისა და მეორე მხრივ – ყვეფი ჰერთონის გვერდით სადილს გემოც კი ვერ გავუგე წესიერად და მალევე დავემშვიდობე. მსურდა უკანა გზით, ანუ სამზარეულოთი გავბრუნებულიყავი, რომ ქეთრინისთვის კიდევ ერთხელ შემეგლო თვალი და ბებერი ჯოზეფი გამეღიზიანებინა, მაგრამ ჰერთონს ჩემი ცხენის მოგვრა ებრძანა, თავად სახლის პატრონმა კი პარმაღამდე ინება ჩემი გაცილება, ამდენად, სურვილი ვერ ავისრულე.

რა მწუხარედ მიედინება ამ სახლში ცხოვრება-მეთქი, ვფიქრობდი, როდესაც «შაშვებისკენ» მივაჭენებდი ცხენს, – როგორ ზღაპრულად ან რომანტიკულად გადაიქცეოდა მისი ლინთონ ჰითქლიფის ცხოვრება, თუკი მართლა გადავწყვედით, მისი კეთილი გადიისა არ იყოს, ერთად ცხოვრებას და დიდი ქალაქის ატმოსფეროში აღმოჩნდებოდა ჩემთან ერთად!

თავი 32

1802. – ამ სექტემბერს მეგობარმა თავისთან, ჩრდილოეთში, მიმიწვია სამონადირეო ნაკრძალში დროის გასატარებლად. მისი სამკვიდროსკენ რომ მივემგზავრებოდი, შემთხვევით გიმერთონიდან ოცდახუთიოდე კილომეტრში აღმოვჩნდი. გზისპირა ფუნდუკის მეჭინბეს სათლით წყალი მოჰქონდა ჩემი ცხენების დასარწყლებლად, როდესაც ახალმონეული მწვანე შვრით სავესე ურემმა ჩავგვიარა, და მან შენიშნა:

– ავერ, გიმერთონიდან მოაქვთ! ხალხი რომ ალოობას მოილევეს, ეგენი სამი კვირის მერე იწყებენ.

– გიმერთონიდან? – გამიკვირდა, რადგან ეგ ადგილი ჩემს მოგონებაში უკვე გაბუნდოვანებულიყო, – აჰ! ვიცე ეგ ადგილები. აქედან შორსაა?

– ოცდახუთ კილომეტრამდე იქნება, მთებს იქით. ისე, ცუდი გზაა, – მიპასუხა მეჭინბემ.

უეცრად «შაშვების კარმიდამოს» ნახვის სურვილი მომეძალა. თითქმის შუადღე იყო და ვიფიქრე, რაღა ფუნდუკში გავჩერდე, ჩემს ჭერქვეშ გავათვე ღამეს-მეთქი. ასე მთელ დღეს კარმიდამოს მფლობელთან გავატარებდი და საქმეებსაც მოვაგვარებდი, ამით კი თავიდან ავიცილებდი ამ მხარეში საგანგებოდ ჩამოსვლის აუცილებლობას. ცოტა ხანს რომ შევისვენე, მსახური გავგზავნე, რომ სოფლის გზა გაეგო; სოფლის გზას დავადექით, მთელი სამი საათი მოვანდომეთ ამ ოცდახუთიოდე კილომეტრის გავლას და ცხენებსაც ქანცი გავაცალეთ.

მსახური სოფლად დავტოვე და ველზე მარტომ განვაგრძე გზა. რუხ საყდარს ლეგა ფერი დასდებოდა, მარტოსული სასაფლაო კი უფრო ეულად მოჩანდა. სასაფლაოს ცხვარი შეფენოდა და საფლავეებზე ამოსულ მანანას ძოვდა. საამო, თბილი ამინდი იყო – ფეხით სასიარულოდ ნამეტანი თბილიც კი. მაგრამ სიცხე რა ხელს შემომლიდა პეიზაჟით ტკობაში. აგვისტოში რომ ჩამოვსულიყავი, დარწმუნებული ვარ, ერთ თვეს შემოვრჩებოდი ამ უკაცრიელ ადგილას. ზამთარში აქაურობაზე უამური და ზაფხულში ვიწრო ხეობებით დასერილ ამ მთებზე, ერიკით მოფენილ ველებზე საამური არაფერი მენახა.

«შაშვებს» დაისამდე მივალნიე და კარზე მივაკაკუნე; მაგრამ სახლეული, ეტყობა, უკანა ოთახებში იყო გაკრეფილი, რადგან ჩემი კაკუნი არ ესმოდათ, რაც იმით დავასკვენი, რომ სამზარეულოს საკვამურიდან ლურჯი კლაკნილი კვამლი ამოდიოდა. ეზოს შემოვუარე, ცხრა-ათი წლის გოგონას მოგკარი თვალი, პარმალზე რომ იჯდა და ქსოვდა, მასთან ახლოს კი, ქვის საფეხურებზე, ხნიერი ქალი დამჯდარიყო მხრებში მოხრილი და ჩაფიქრებული ჩიბუხს აბოლებდა.

– მისის დინი შინ არის? – ვკითხე ხანშიშესულს.

– მისის დინი? არა! აქ აღარ ცხოვრობს. აი, იქ, «უღელტეხილში» მოიკითხეთ, – მიპასუხა მან.

– ახლა თქვენ ბრძანდებით მნე? – განვაგრძე მე.

– მაშა! სახლ ხო უნდა მიხედოს ვინმემა, – ადგილობრივად მოუქცია.

– კეთილი, მე მისტერ ლოქვედი ვარ, ბატონი. მაინტერესებს, არის აქ ოთახი, სადაც მოვენცობი? ღამის გათევა მინდა.

– ბატონო?! – წამოიყვირა გაოცებულმა, – ერთი სიტყვა გენამებინათ, რო ჩამოდიოდით... აქ რო არც მშრალი ადგილი გვაქვ და არც შესაფერი?

ჩიბუხი ძირს დაავლო და სახლში შევარდა, გოგონაც მას გაევიდა; მე კი ორივეს შევეყვი. მალევე დავრწმუნდი, რომ სრულ სიმართლეს ამბობდა და ისე იყო გაოგნებული ჩემი მოულოდნელი გამოჩენით, ლამის გადაირია, ასე რომ, მისი დამშვიდება მომიხდა. გარეთ დავაპირე სასაფრთხოდ გასვლა, რათა ამასობაში მისაღებ ოთახში ერთი კუთხე მაინც მოემზადებინა, სადაც ვივახშმებდი და საძინებელი ოთახი – სადაც დაძინებას შევძლებდი. არავითარი დაგვა და მტერის აღება, მხოლოდ ავუგზავნებელი ბუხარი და მშრალი თეთრეული მჭირდებოდა, რომ დანოლა მომეხერხებინა. ემჩნეოდა, რომ თავის გამოჩენა უნდოდა, ალბათ ამიტომაც შეყო ცეცხლში საჩხრეკის მაგივრად ბუხრის საწმენდი ფუნჯი და კიდევ რამდენიმე საოჯახო ნივთს გამოუძებნა არასწორი დანიშნულება. მაგრამ მაინც იმ იმედით გავეცალე, რომ ჩემი დაბრუნებისთვის გულითადი შრომის შედეგად უკვე მონწესრიგებული დამხვდებოდა ყველაფერი. დანიშნულების ადგილად «ქარიშხლიანი ურელტეხილი» დავისახე, მაგრამ ნაკვიანევად გაჩენილმა კითხვამ ეზოდან გასული მომაბრუნა უკან.

– «უღელტეხილში» ყველაფერი რიგზეა? – ვკითხე ქალს.

– რა ვი... მგონი, ეგრეა! – ნაჩქარევად მიპასუხა და გავარჯარებული ნაკვერჩხლებით სავეს ტაფით ჩამიქროლა წინ.

მინდოდა, მეკითხა, მისის დინმა რატომ მიატოვა აქაურობა-მეთქი, მაგრამ ამისთანა მომენტში ზედმეტი კითხვის დასმა შესაძლებლად არ მივიჩნიე. გავბრუნდი და გარეთ გავედი, უდარდელად გავეყვი ზურგსუკან ჩამავალი მზის სხივებით განათებულ გზას, წინიდან კი ამომავალი მთვარე იწყებდა ამაყად ცივი სინათლის გამოცემას – ერთი მნათობი ჩადიოდა, მეორე კი – ამოდიოდა – როდესაც პარკიდან გამოვედი და ქვიან შარას გავუყევი მისტერ შითქლიფის სახლისკენ. სანამ სახლი გამოჩნებოდა თვალსაწიერზე, მზე თითქმის ჩავიდა და დასავლეთით გლუვ ქარვისფერ ზოლად იქცა, თუმცა კი გზაზე თითოეული ქვა და ბალახის თითოეული ღერო ირჩეოდა უკვე დიდებულად ამონვერილი მთვარის წყალობით. ჭიშკარზე არც გადაძრომამ მომიწია და არც დაკაკუნებამ: ხელის ბიძგება და გაღება ერთი იყო. უკეთესობა დასტყობიათ-მეთქი, გავიფიქრე. მეორე უკეთესობა უკვე ჩემმა ნესტოებმა იგრძნო: ეზოში დარგული ხილის ხეებქვემ ლევკოინისა და ჟაბოს სურნელი ტრიალებდა.

კარიცა და ფანჯრებიც ღია იყო, თუმცა კი, მიუხედავად ამისა, საკვამურიდან ისეთი ალისფერი ნათება მიჰყვებოდა კვამლს, ნახშირის საბადოებში რომ იცის ხოლმე. სიხარული, რომელსაც თვალი განიცდის, ზედმეტ სიცხესთან შეგუებასაც კი უწყობს ხელს. ისე კი, «ქარიშხლიანი უღელტეხილი» იმხელაა, რომ მის ბინადრებს საკმაო სივრცე ჰქონდათ, რათა სიცხეს მორიდებოდნენ; ეტყობა, ამიტომაც იყო, რომ ყველანი ფანჯრებთან იყვნენ მოკალათებულნი. სანამ შევიდოდი, მანამდე დავინახე ისინი და მათი საუბარიც გავიგონე, ამიტომაც შევჩერდი ცნობისმოყვარეობისა გამო, არცთუ უშურველად და ყური მივუვდე.

– საპირის-პიროდ! – წარმოთქვა ვერცხლის ზანზალაკივით ტკბილმა ხმამ, – უკვე მესამეჯერ გეშლება! იცოდე, აღარ გეტყვი. დაიხსომე, თორემ თმაში წაგწვდები!

– კაი, საპირისპიროდ, – პასუხად სხვა, დაბალი, მაგრამ ტკბილი ხმა გაისმა, – ახლა კი მაკოცე, ასეთი ყოჩალი რომ ვარ.

– არა, ჯერ გამართულად წაიკითხე, იცოდე, ერთი შეცდომაც კი არ დაუშვა.

მამაკაცის ხმამ კითხვა დაიწყო: ახალგაზრდა იყო, საპატიოდ ჩაცმული და მაგიდასთან მუდარს წიგნი ედო წინ. ლამაზი ნაკვთები სიამოვნებისგან უბრწყინავდა, თვალით კი წიგნის ფურცლიდან მოუთმენლად გადაჰქონდა მზერა მხარზე დადებულ ნაბ, თეთრ ხელზე, რომელიც შიგადაშიგ ლოყაზე შემოუნკაპუნებდა ხოლმე ამ უყურადღებობის გამო. ხელის პატრონი მის უკან იდგა; ქალის ქერა, მზინავი კულულები ვაჟის ნაბლისფერ თმას ერეოდა, როდესაც თავისი მოსწავლის შესამონმებლად დაიხრებოდა ხოლმე. მისი სახე კი... კიდევ კარგი, ვაჟი მის სახეს ვერ ხედავდა, თორემ მთელი გულმოდგინება წყალში ჩაეყრებოდა. მე კი ვხედავდი, ვხედავდი და ტუჩს კბილს ვაჭერდი, რადგან ოდესღაც ხელიდან გაუშვი შესაძლებლობა, და არეტუ სათუო, რომ არამხოლოდ მისი სახით ტკობა შემძლებოდა.

ამოცანა შესრულდა, თუმცა კი არა უშეცდომოდ. მაგრამ მონაფემ ჭილდო მოითხოვა და ხუთი კოცნა მიიღო, რომელიც პატიოსნად დააბრუნა უკან. მერე კარისკენ წამოვიდნენ და მათი საუბრიდან დავასკვენი, რომ გარეთ გამოსვლას და მინდორში გასეირნებას აპირებდნენ. ვიფიქრე, ახლა რომ ერწმოს შევეჩხეო მე სვედავსილი, სიტყვით თუ არა, გულში მაინც მისურვებს ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩანთქმას-მეთქი, ამიტომაც დამცირებული კუთხეს მოვეფარე და სამზარეულოში ვცადე დამალვა. აქაც ღია დამხვდა კარი, რომელთანაც ჩემი ძველი მეგობარი, ნელი დინი იჭდა, კერავდა და ღიღინებდა; ამ ღიღინს ხშირ-ხშირად წყვეტდა შორეული კუთხიდან მომავალი, ბრაზის გამომხატველი და არამუსიკალური, უსიამო ხმა.

– შენს მოსმენას, მირჩვენია, დილიდან საღამომდე ლანძღვა-გინებას ჩამძახოდნენ ეშმაკები ყურში! – სამზარეულოში სხვა ხმა გაისმა ნელის იმ რეპლიკის პასუხად მე რომ ვერ გავიგონე, – სირცხვილო და თავისმოჭრა! საკმარისია, უფლის წიგნი გადავშალო, რომ ეშმაკის თაყვანსაცემად ინყებ გალობას და ათას უწმინდერობას ახსენებ! აჰ, მზაკვარო უხსენებელო! ის გომბიოც შენ დაიმსგავსე! თქვენს ხელში საწყალი ბიჭი დაიღუპება; საწყალი ბიჭი! – მერე კვნესით დააყოლა: – მოჯადოებულია! დარწმუნებული ვარ, ჯადო გაუკეთეთ. ოჰ, უფალო, დასაჯე ეს უწმინდერები, რამეთუ ჩვენს მმართველებს აღარც კანონი შემორჩათ და აღარც სამართალი!

– არა! ცხადია, არა, თორემ აქამდე ფიჩხის კოცონზე უნდა ვინვოდეთ. – უთხრა ქალის ხმამ, – მაგრამ ჯობია, ბებერო ყრანტო, მე კი არ მვიცხავდე, მაგ ბიბლიას ისე კითხულობდე, ვითარცა ქრისტიანს შემვენის. «ფერია ენის ქორწილს» ვმღერე, რომლის მელოდიაც ცეკვისკენ უბიძგებს ადამიანს.

მისი დინი შედავებს აპირებდა, როდესაც შევედი. მან დანახვისთანავე მიცნო და გახარებული წამოხტა:

– ღმერთმა გიშველოთ, მისტერ ლოქველ! აქეთ რა ქარმა გადმოგავლოთ? «შაშვების კარმიდამოში» ყველაფერი დაკეტილია. უნდა გეცნობებინათ!

– ვითქვინე, გამგზავრებამდე იქ დავბინავდები-მეთქი, – ვუპასუხე, – ხვალ ვაპირებ წასვლას. თქვენ აქ როგორ გაჩნდით, მისი დინ? მომიყვით.

– თქვენი ლონდონში გამგზავრებიდან მოკლე ხანში ზილაც წავიდა და მისტერ ჰითქლიფმა მე მომიწვია აქ თქვენს დაბრუნებამდე. მაგრამ, შემობრძანდით, გთხოვთ. ამ დროს გიმერთონიდან ჩამობრძანდით?

– «შაშვებიდან», – მივუგე მე, – სანამ იქ ღამის გასათევად ოთახს მომიმზადებდნენ, აქეთ გამოვეშურე თქვენს ბატონთან ანგარიშის გასასწორებლად, რამეთუ უახლოეს ხანებში ასეთი შესაძლებლობა აღარ მომიცემოდა.

– რა ანგარიშის, სერ? – მკითხა ნელიმ და შიგნით შემიძღვა, – ჰითქლიფი აქ არ იმყოფება და მის მოსვლამდეც არაფერი გვეტკინოს. ახალგაზრდები კი გვიან დაბრუნდებიან.

– ბინის ქირასთან დაკავშირებით... – ვუპასუხე მოსმენილით გაოცებულმა.

– ოჰ, მაშინ მაგ საქმეზე მისი ჰითქლიფს უნდა დაელაპარაკოთ, ახლა ის უძღვება საქმეებს, – მირჩია ნელიმ, – მაგრამ ჯერჯერობით კარგად ვერ დაეუფლა საქმისწარმოებას და მე მიწვევს ხოლმე დახმარება. შეგიძლიათ, მე მომმართოთ. მეტი აქ მაინც არავინ არის.

კითხვით აღსავსე მზერით გაოცებულმა შევხედე.

– უი, არაფერი გაგიგიათ? ჰითქლიფი აღარ არის, – მიპასუხა მზერით დასმულ კითხვაზე.

– ჰითქლიფი მოკვდა? – გავიოცე, – რამდენი ხანია?

– სამი თვეა; მაგრამ თქვენ დაბრძანდით და ქედი მოიხადეთ. მომეცით, დავდებ სადმე და დალაგებულად გიამბობთ. მოიცათ, ალბათ ნაჭამიც არ იქნებით.

– არაფერი მინდა, ვახშამი სახლში შევუკვეთე. თქვენც დაბრძანდით. მის სიკვდილს კი ვერაფრით წარმოვიდგენდი! მომიყვით, როგორ მოხდა ყველაფერი. რომ თქვით, გვიან დაბრუნდებიანო, ვინ იგულისხმეთ?

– ჩვენები; სულ ვსაყვედურობ: გავლენ და შემოსვლა აღარ იცინა! მაგრამ ვინ მიგდებს ყურს. რამე მაინც დაგელიათ, შინნახადი ლუდი გვაქვს. გუნებას გიპოვით, დაღლილიც ჩანხართ.

მანამდე გაიქცა ლუდის მოსატანად, სანამ უარის თქმას მოვასწრებდი და ჯოზეფის ხმაც გავიგონე, რომ ესაყვედურებოდა:

– განა ღვთის რისხვა არ არის, როცა ამ ხნის ქალი სახლში თაყვანისმცემლებს იღებ და თან ბატონების მარნიდან სასმლითაც უმასპინძლები?! ჰოი, სირცხვილო, როგორ დავიდუმო ენა?!

ნელის კამათი არ დაუწყია და ერთ წუთში უკან შემობრუნდა პირამდე საესე ვერცხლის პინტით ხელში, რომლის შიგთავსიც სრული გულწრფელობით შევაქე.

– «ქარიშხლიან უღელტეხილში» თქვენი წასვლიდან ორ კვირაში გამომიძახეს, – დაიწყო თავისი ამბის მოყოლა მისი დინმა, – მეც, ქეთრინის გულისთვის, სიხარულით დავთანხმდი. პირველად რომ ვნახე, დავდარდიანი და კინაღამ თავგარი დამეცა: ძალიან იყო შეცვლილი ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ. მისტერ ჰითელიფს არ აუხსნია, რატომ შეხედა ჩემი აქ გადმოსვლის საკითხს სხვაგვარად, მხოლოდ ის მოთხრა, აქ მჭირდები და ქეთრინის ყურებამაც დამალაო. მე მხოლოდ პატარა სასტუმრო ოთახში უნდა ვყოფილიყავი და ქეთრინიც გვერდით მყოლოდა. მოთხრა, დღეში ორჯერ თუ გადავანწყლები, გევე სრულიად საკმარისი იქნებაო. ქეთის საქმის ასე აწყობა გაუხარდა, მეც, ჩემი მხრივ, ნელ-ნელა შემოვავარე მისი საყვარელი წიგნები და ყველა ის ნივთი, რომლითაც თავს იქცევდა ხოლმე «შაშვებში» ყოფნისას, თან თავი დაევირწმუნე, ან მინც გვეღირსება ცოტაოდენი სიმყუდროვე-მეთქი. ამ ილუზიამ დიდხანს როდი გასტანა. ქეთრინი თავიდან კმაყოფილი ჩანდა, მერე კი ისევ აფორიაქდა, ყველაფერი მალე აღიზიანებდა. ჯერ ერთი, ბაღის გარეთ გასვლა აეკრძალა, გაზაფხულის მობრძანებასთან ერთად, როდესაც გულს გარეთ უხარია, უფრო და უფრო უხასიათო გახდა ასეთ მცირე საზღვრებში ჩაკეტილი. მეორე მხრივ, სახლის საქმეების გამო ხშირად მარტოს ვტოვებდი ხოლმე, მიწვედა და რა მექნა, ის კი მარტოობას უჩიოდა და თავისთვის მყუდროდ ჯდომას ჯობებდა კინკლაობას ამჯობინებდა სამზარეულოში. მათ შეტაკებებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ სამზარეულოში თავის შეფარება ჰერთონსაც ხშირად უწევდა ხოლმე, როდესაც ბატონი მოვიდოდა და მარტოდ დამტოვებოდა, მოითხოვდა. თავიდან, როდესაც ჰერთონი შემოვიდოდა, ქეთი ან სიტყვისუთქმელად გადიოდა ოთახიდან, ან მე მესმარებოდა ხელსაქმეში, ისე რომ, მას ყურადღებასაც არ აქცევდა. ხოლო ჭაბუკი პირზეკლიტედადებული იჯდა და წარბს არ ხსნიდა. ცოტა ხნის შემდეგ ქეთიმ ხასიათი შეიცვალა და უკვე ჯერ საუბრით, მერე კი შენიშვნებითა და კიცხვით აღარ ანებებდა დედიძემიშვილს თავს. ხან მის პირქუმობაზე ჩამოავდებდა სიტყვას, ხან ყეყეჩსა და კერპს უწოდებდა; ზოგჯერ გაოცებასაც გამოთქვამდა, როგორ შეუძლია, ასე უსაქმურობაში გალიოს კაცმა დღენი, რომ მხოლოდ ბუხარს მიმტერებელი იჯდეს და ამთქნარებდესო?

– ერთი შეხედვით, ძალივით არ არის, ელენ? – წამოიძახა ერთხელ, – ან საფორნე ცხენივით. წაიმუშავებს, შეჭამს და მერე მიმკვდარებულებით სძინავს. რა სიცარიელე ექნება გონებაში! ოდესმე რამე გვისიმზრება, ჰერთონ? და თუ გვისიმზრება, ნეტავ რა? თუმცა მე ხომ არ მელაპარაკები!

მერე თართოდგახელილი თვალეზით შეხედა ვაჟს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არც სიტყვიერი პასუხი დაუბრუნა, არც მზერიითი.

– ალბათ ახლაც თვლემს, – განაგრძო ქეთიმ, – მხრები ისე შეუხტა, ჩვენმა იუნონამ რომ იცის ხოლმე, – აბა, რამე ჰკითხე, ელენ.

– მისტერ ჰერთონი ბატონს სთხოვს და ზემოთ გაგვზავნიან, თუ წესიერად არ მოიქცევი! – ვუთხარი მე. ჰერთონმა არამხოლოდ მხარი აათამაშა, არამედ ხელიც კი მომუშტა, თითქოს ვინმესთვის დარტყმას აპირებო.

– ვიცი, რატომაც მუწღდება ჰერთონი, როდესაც სამზარეულოში მხედავს, – წამოიძახა რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც სამივენი ისევ ერთად ვისხედით, – ეშინია, რომ არ დავცინო. ელენ, შენ რას იტყვი? იცი, ერთხელ წერა-კითხვის სწავლაც კი დაიწყო, მაგრამ მე სიცილი ვერ შევიკავე, მან კი წიგნები ცეცხლს შეუკეთა და მეცადინეობას შეეშვა. აბა, განა სულელის მეთი ამას ვინმე იზამდა?

– მერე, განა ეგ ცუდი საქციელი არ არის, – დავტუქსე, – აბა, მიპასუხე!

– შესაძლოა, – განაგრძო ქეთიმ. – მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ასეთი სულელი იქნებოდა. ჰერთონ, ახლა რომ წიგნი მოგცე, გამომართმევ? ვცალოთ!

ხელში ის წიგნი ჩასჩარა, რომელსაც თვითონ კითხულობდა. ჰერთონმა წიგნი მოისროლა და ჩაიდუღუნა, – თუ არ შემეშვები, კისერს მოგტეხავო.

– კეთილი, მაშინ აქ იყო, – უთხრა ქეთონმა, – მაგიდის უკრაში ჩავდებ. ეჰ, ავალ, დავწვები.

მერე მე ჩამჩურჩულა, – თვალი მიაღვენე, იქნებ აიღოსო და გავიდა. მაგრამ ჰერთონის უჯრას არც მიჰკარებია. ეს მერე დილასვე მოვახსენე ქალბატონს, რამაც იმედი გაუკრუა. ვხედავდი, რომ ქეთის სწყინდა მისი ჯიუტი სიკვრაჲე და სიზარმაცე. მაგრამ თავსაც უწყრებოდა, რატომ ავაცრუებინე გული, როდესაც მან კითხვის დანყება სცადაო. არადა, როგორ გულმოდგინედ ცდილობდა. მაგრამ გულწრფელად ლამობდა, რომ მიყენებული ზიანი გამოესწორებინა როგორმე. როდესაც ვაუთოვებდი ან რამე მცირე ხელსაქმით ვიყავი დაკავებული, პატარა მისაღებში შემოვიდოდა ხოლმე საინტერესო წიგნით ხელში და ხმამაღლა იწყებდა კითხვას. თუკი ჰერთონიც იქვე იჯდა, საინტერესო ადგილას შეწყვეტდა კითხვას და წიგნს გადაშლილს ტოვებდა. ამ ხერხს რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ ჰერთონი ვირივით ჯიუტი იყო და ასეთ სატყუარაზე მისი წამოგება იოლი არ აღმოჩნდა, ნესტიან ამინდში, გარეთ რომ არ გაისვლებოდა, ჯომეფს მიუტდებოდა ხოლმე და ჩიბუხის გაბოლებას იწყებდა. ასე ისხდნენ ხოლმე რობოტებივით, ბუხრის აქეთ-იქით, ბებერი საკმარისად ყრუ იყო, რომ ქეთის ენის ჭარბალი მოესმინა, როგორც თვითონ უწოდებდა ხოლმე, ახალგაზრდა კი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე დაეყრუებინა ყური. როცა დარი იდგა, ჭაბუკი საღამოობით სანადიროდ გადიოდა, ასეთ დროს ქეთი იწყებდა, მოქნარებას იწყებდა და დაჟინებით მთხოვდა, მელაპარაკეო, მერე, სანამ ხმას

ამოვიღებდი, ებოში გარბოდა და ბოლოს უკანასკნელ ღონეს მიმართავდა: ტირილით შემოდიოდა, ცხოვრებამ თავი მომაბეზრა, საერთოდ არავის ვჭირდებო.

საზოგადოებისგან უფრო და უფრო გარიყულმა მისტერ ჰითქლიფმა ერნშოს ლამის ყველა ოთახი დაატოვებინა. მარტის დასაწყისში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ვაჟი ლამის სამზარეულოში ჩასახლდა. მთაზე რომ აღიოდა, თოფი გაუვარდა; ნამსვრევემა მკლავი გაუხია და სანამ სახლამდე მოაღწევდა, ბლომად სისხლი დაკარგა. შედეგად, იძულების ძალით, სამზარეულოში, ბუხართან მიესაჯა ჯდომა გამოჯანმრთელებამდე. ქეთრინსაც ეს არ უნდოდა?! თავისი ოთახი მთლად მოიძულა მიღედიმ, ამიტომ, სულ იმას მთხოვდა, სამზარეულოში რამე საქმე გამომინახე, რომ შენთან ვიყო.

აღღვომის მეორე დღეს, ბრწყინვალე ორშაბათს, ჯოზეფი გიმერთონის ბაზრობაზე წავიდა და საქონელი წაასხა, მე კი სამზარეულოში სელის თეთრეულის მონესრიგებას შევეუდეთი. ერნშო ბუხრის კუთხეში იჯდა, ჩვეულებისამებრ კუშტი, პატარა დიასახლისი კი გასართობად ფანჯრის რაფებზე ხატავდა, ზოგჯერ რაღაცას წაიმღერებდა ან რამეს წამოიძახებდა და დედიმშიშვილს სწრაფ, გამომწვევ მზერას ესროდა. ვაჟი კი ეწეოდა და ბუხრის ცხურას არ აცილებდა თვალს. ქეთის შენიშვნა მივეცი, თუ გადამეთვარები სინათლეზე, საქმეს ვერ დავასრულებ-მეთქი, და ისიც ბუხართან მივიდა. მართალია, ყური არ მითხოვებია მისი ტიტინისთვის, მაგრამ დასაწყისი კი გავიგონე:

– რაღაც აღმოვაჩინე, ჰერთონ. რომ მინდა... მოხარული ვიქნებოდი, ვისურვებდი, რომ ჩემი დედიმშიშვილი აღარ მიბრაზდებოდეს და ასე უხეშად აღარ მექცეოდეს.

ჰერთონს არაფერი უთქვამს.

– ჰერთონ, ჰერთონ, ჰერთონ! გესმის ჩემი? – არ მოისვენა ქეთიმ.

– მომწყდი თავიდან! – შეუღრინა შეურიგებელი უკმეხობით.

– მოდი, მაგ ჩიბუხს მე ავიღებ, – უთხრა ქეთრინმა, ფრთხილად წაიღო ხელი და პირიდან ჩიბუხი მოაცილა.

სანამ ბიჭი უკან წაართმევდა, ჩიბუხი უკვე გადატეხილი იყო და ცეცხლში ეგლო. მან შეიგინა და ახალი აიღო.

– მოიცა, – იყვირა ქეთრინმა, – უნდა მომისმინო, მაგრამ როგორ გელაპარაკო, როცა კვამლის ბოლქვებს სახეში მახლავ?

– ჰოდა, ეშმაკებში წასულხარ! – ხელახლა შეუღრინა გაბრაზებულმა ვაჟმა, – მე კი მომეშვი!

– არა, – დაიჟინა ქეთრინმა, – არ მოვეშვები; უკვე აღარ ვიცი, რა ღონეს მივმართო, რომ ხმა გავაცემინო ჩემთვის. შენ კი ჯიუტად არ გინდა ამის გაგება.

როდესაც სულელს გეძახი, არაფერს ვგულისხმობ, ამით შენდამი ზიზღს არ გამოვხატავ. გეყოს, ჰერთონ, შენი მამიდაშვილი ვარ და გინდა თუ არა, უნდა მამჩნევდე და მიმილო.

– მაგ შენი წყეული ამპარტავნებისა და დაცინვისთვის უნდა გამჩნევდე? მირჩევნია, ჯანდაბაში წავიდე, ვიღრე ოდესმე შემოგხედო კიდეც! ახლავე გამეცალე, სათოფეზე არ გამეკარო!

ქეთრინი მოიღუპა და ტუჩის კვნეტით ისევ ფანჯარისკენ წავიდა, თან სახუმარო სიმღერის ღიღინს მოჰყვა, რომ თვალზე მომდგარი ცრემლი და აქვითინების მოწოლილი სურვილი დაეფარა.

– მისტერ ჰერთონ, მამიდაშვილთან მტრობა ვის გაუგონია, მეგობრები უნდა იყოთ, – ჩავერეიე მე, – რაკი კადნიერებას ინანიებს. ეს თქვენც წავადგებათ; სულ სხვა ადამიანად იქცევით, თუკი დამეგობრდებით.

– დავმეგობრდებით? – იყვირა ჰერთონმა, – როდესაც ვძულვარ და იმის ღირსადაც არ მთვლის, ფეხსაცმლიდან მტვერი რომ ჩამოფვერთხო?! მეფედაც რომ მაქციოს, ანი მაგისი კეთილგანწყობის ძებნას აღარ დავინწყებ!

– მე კი არ მძულხარ, შენ ვძულვარ! – ქეთიმ ვეღარ დამალა ცრემლები, – ისევე ვძულვარ, როგორც მისტერ ჰითქლიფს, თუ უფრო მეტად არა.

– წყეულო მატყუარავ! – დაიწყო ერნომი, – აბა, რალატომ გავაბრაზე ათასჯერ მაინც, შენ რომ გიჭერდი მხარს? თან იმ დროს, როდესაც დამცინოდი და აბუჩად მიგდებდი... თუ ჩემს გაღიზიანებას არ მორჩები, სახლში შევალ და ვიტყვი, სამზარეულოშიც არ მაჩერებს-მეთქი!

– არ ვიცოდი, მე თუ მიჭერდი მხარს, – უთხრა ქეთიმ და ცრემლები მოიწმინდა, – მაშინ ყველასა და ყველაფერზე ვიყავი გამწარებული, ახლა კი გმადლობ და გთხოვ, მაპატიო. მეტი რაღა გავაკეთო?

გოგონა კერძისთან მივიდა და გულწრფელად გაუნოდა ხელი. ერნომ საავდრო ღრუბელივით მოიქეფრა, ხელები მომუშტა და თავი ჩაქინდრა. ქეთრინი, ალბათ გუმანმა უკარნახა, ეს შესისხლხორცებული სიჭიუტეა და არა სიძულვილი, წუთიერად შეყოყმანდა, მაგრამ მერე მიგოგმანდა მასთან და ლოყაზე ეამბორა ნაზად. ჰატარა ცუდლუტს ეგონა, რომ ვერ დავინახე, უკან დაიხია და ისევ ფანჯარასთან მოკალათდა მოკრძალებულად. მე საყვედურის ნიშნად გადავაქნიე თავი, ის კი განითლდა და გადმომიჩურჩულა:

– აბა, სხვა რა უნდა მექნა, ელენ? მას რომ ველოდო, თვითონ არც ხელის ჩამორთმევას მაღირსებს და არც შემოხედვას, მე კი რამენაირად ხომ უნდა გავაგებინო, რომ მომწონს და მასთან მეგობრობა მინდა.

დაარწმუნა თუ არა ამ კოცნამ ქეთის გულწრფელობაში ჰერთონი, ვერ გეტყვით, ერთხანს თავი ჩალუნული ჰქონდა, ხოლო როდესაც სახის გამოჩენა გაბედა, აღარ იცოდა, საით გაეხედა.

ქეთრინმა საქმე გამოიჩინა: ლამაზი წიგნი თეთრ ქაღალდში გადაახვია და ლენტით განასკვა, მერე ადრესატიც დააწერა: «მისტერ ჰერთონ ერნშოს». ემისრის როლი მე მხვდა წილადა, რათა დანიშნულების ადგილამდე მიმეტანა მთელი გულით მინდობილი ნივთი.

– და გადაეცი, თუ გამოგართმევს, მივალ და კითხვას ვასწავლი, – დამაბარა პატარა ქალბატონმა, – ხოლო თუ უარს გეტყვის, ზევით ავალ და აღარასოდეს შევანახებ.

მისათანი მივიტანე და დანაბარებაც გადავეცი გამგზავნის დაუინებელი მზერის თანხლებით. ჰერთონი გამორთმევას არ აპირებდა, ამიტომ მუხლოზე დავუდე. თუმცა არც გადმოუვდია ძირს. ჩემს საქმეებს მივუბრუნდი. ქეთრინმა მაგიდაზე ხელები დააწყობა და თავი დაადო, ასე იყო იქამდე, სანამ ქაღალდის სახვევის შრიალის ხმა არ მოესმა. უცებ წამოხტა და ნიავივით უხმაუროდ გაჩნდა დედიძემიშვილის გვერდით. ბიჭს თრთოლა დაანყებინა და სახეზე ალმური ავარდა. აღარც სიუხემე ეტყობოდა და აღარც სიტლანქე. თავიდან გამხედლობაც კი ვერ მოიკრიბა, რომ ქეთის კითხვით აღსავსე მზერისა და ჩურჩულით ნათქვამი თხოვნისთვის ერთი სიტყვით მაინც გაეცა პასუხი:

– მითხარი, რომ მაპატიე, ჰერთონ, გთხოვ. ერთი სიტყვაც რომ მითხრა, გამაბედნიერებ.

ბიჭმა რაღაც ჩაილულლულა გაუგებრად.

– და ჩემი მეგობარი იქნები? – ცნობისმოყვარე კილოთი ჰკითხა ქეთრინმა.

– არა, მე შენ ყოველდღე შეგარცხვენ, – უპასუხა დარცხვენით, – და რაც უფრო გამიცნობ, მით უფრო მოგვეჭრება თავი. ამას კი ვერ ავიტან.

– ესე იგი, არ გახდები ჩემი მეგობარი? – თათლზე ტკბილი ღიმილით ჰკითხა და უფრო ახლოს მიუჩოჩდა ვაჟს.

რამე საყურადღებო აღარ გამიგონია მათი საუბრიდან, მაგრამ რომ გავხედე, ორი მანათობელი სახე დავინახე ნაჩუქარი წიგნის ფურცლებზე დახრილი, რაც უკვე იმაზე მეტყველებდა, რომ ზავი დადებული იყო და მოსისხლე მტრები შეფიციკლი მოკავშირეები გამხდარიყვნენ.

მათი ახალი გასართობი ძვირფასი სურათებით იყო სავსე, რაც ერთად ჯდომის ხიბლს დამატებით ძალას სძენდა და ისინიც მანამდე არ დაძრულან ადგილიდან, სანამ ჯოზეფი მოვიდოდა. მაგ საცოდავს ლამის თავგარი დავცა, ერთად დამსხდარნი რომ დაინახა ჰერთონი და ქეთრინი, მით უმეტეს, გოგოს ხელი ჰქონდა დედიძემიშვილისთვის მხარზე გადახვეული. ამ ოჯახში თუ ვინმე უყვარდა ჯოზეფს, ეს

ჰერთონი იყო და ამ გოგოს სიახლოვემ მის რჩეულთან, ენა დაუდუნა. იმ საღამოს წყვილის შესახებ კრინტი არ დაუძრავს. ემოციას მხოლოდ ამოიხვრით გამოხატავდა; ამ დროს ვფიქრობდი, გულიც არ ამოაყოლოს-მეთქი. მაგიდაზე დიდი ბიბლია გადაშალა და ზედ ჯიბის წიგნაკი დადო, საიდანაც ზენტლიანი ბანკნოტები ამოიღო – იმ დღის ნავაჭრი. ბოლოს, ჰერთონი მიიხმო.

– ეს ბატონს წაუღე, შვილო, – უთხრა მან, – და იქვე დარჩი. ჩემი დაძინების დროა. აქაურობა ჩვენი შესაფერი არ არის და არც იქნება. გავეცალოთ და ცალკე ვიყოთ.

– წამოდი, ქეთრინ, – მივმართე მილედის, – ჩვენც განვცალკევდეთ. უთოობას მოვრჩი. მზად ხარ წამოსასვლელად?

– რვა საათიკ ვი არ არის ჯერ! – შემენინააღმდეგა ქეთი, თუმცა მაინც წამოდგა უხალისოდ, – ჰერთონ, ამ წიგნს ბუხრის თავზე დაგიდებ და ხვალ სხვებსაც ჩამოგიტან.

– თუკი რამ აქ წიგნი დაგიტოვებიათ, მე სახლში შევიტანე, იქ კი, მეტი არაა ჩემი მტერი, თქვენ რამე იპოვოთ. ასე რომ, თუკი ასე გნებავთ, დატოვეთ!

ქეთი დაემუქრა, ჩემს თითოეულ წიგნს თქვენი წიგნებით გაზღვევინებთო და ჰერთონს ღიმილით ჩაუარა წინ, მერე ღილინ-ღილინით ავიდა კიბეზე: იმაზე უფრო ხალისით და გულიდან დარღვადაყრილი, ვიდრე ოდესმე ამ ჭერქვეშ. თუკი, ცხადია, ლინთონთან აღრეულ ვიბიტებს არ მივიღებთ მხედველობაში.

ამგვარად დაწყებული მათი სიახლოვე სწრაფად განმტკიცდა; თუმცა დროდადრო ურთიერთობას წყვეტდნენ. ერთმანეთს მხოლოდ სურვილით ვერ გახდებოდა ცივილიზებული, ჩემი ქეთი კი – ფილოსოფოსი; არც ხორცშესხმული მოთმინება ეთქმოდა. მაგრამ ორივე მათგანის ფიქრები ერთი გზით მიედინებოდა: ერთს უყვარდა და სურდა, დაეფასებინა, მეორეს კი უყვარდა და სურდა, რომ დაეფასებინათ; მოკლედ, საბოლოოდ მაინც ერთ წერტილს მიაღწიეს.

ხედავთ, მისტერ ლოქვედ, რა იოლი ყოფილა მისის ჰითქლიფის გულის მოგება. მაგრამ ახლა მიხარია კიდევ, რომ თქვენ არ სცადეთ. ჩემი ოცნებების გვირგვინი მათი ერთად ყოფნა იქნება. მათი ქორწილის დღეს არავისი შემშურდება ამქვეყნად: ინგლისში ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნება!

მეორე დილას, ანუ სამშაბათს, ერთმანეთს ყოველდღიურ საქმიანობას გული ვერ დაუდო და შინ დარჩენა ამჯობინა; სწორედ მაგ დროს მივხვდი, რომ ჩემი აღზრდილის უწინდებურად გვერდით დატოვებას ვერ შევძლებდი. ქეთიმ კიბე ჩამოირბინა და გარეთ გავიდა, სადაც მსუბუქი საქმით დაკავებულ ჰერთონს მოჰკრა

თვალი; როდესაც საუბრედ მოვეხმე ორივეს, დავინახე, რომ გოგონას ვაჟი დაეთანხმებინა, მოცხარისა და ხურტკმელის ბუჩქების ირგვლივ მინის საკმაოდ დიდი მონაკვეთი გაენმინდა, ახლა კი ისხდნენ და გეგმავედნენ, «შაშვებიდან» რამდენიმე მცენარის გადმორგვას. სულ რაღაც ნახევარ საათში მონმენდილ ადგილს რომ დავეუკვრიდი, ლამის გადავირიე, ამ ბუჩქებს ჯოზეფი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, ქეთის კი მაინცდამაინც მათ შორის მოენდემობინა ყვავილნარის გაშენება.

– აბა, ამათ დამიხედეთ! მაგ ყველაფერს ბატონი რომ ნახავს, – დავტუქსე ახალგაზრდები, – მერე რითი აუხსნით ნეტავ, რომ ბალის გადაკეთების უფლება მიეცით თქვენს თავს? ნახეთ, თუ ერთი ამბავი არ ატყდეს მაგის გამო! მისტერ ჰერთონ, მიკვირს, მეტი ჭკუა რომ არ გეყო, რაკი მისი ბრძანებისთანავე დაავლე ნიჩაბს ხელო!

– დამავინცდა, ჯოზეფისა რომ იყო ეს ბუჩქები, – თავი იმართლა ოდნავ შემტბარამა ჰერთონმა; – მაგრამ ვეტყვი, ჩემი ნახელავია-მეთქი.

სუფრასთან ყოველთვის მისტერ ჰითქლიფის თანხლებით ვსხდებოდი. მე დიასახლისის ფუნქციას ვითავსებდი: ჩაის ვასხამდი, პურსა და ხორცს ვჭრიდი. ასე რომ, მაგიდასთან შეუცვლელი ვიყავი. ქეთრინი ჩვეულებრივ ჩემ გვერდით იკავებდა ხოლმე ადგილს, მაგრამ დღეს რატომღაც ჰერთონისკენ ჩაიჩოჩა. კარგად ჩანდა, რომ ისევე არ აპირებდა მასთან მეგობრობის დამალვას, როგორც უნინ მტრობას არ მალავდა.

– ახლა შენს ბიძაშვილს არ გამოუჭედო ყურები ტიტინით, დიდ ყურადღებასაც ნუ მიაქცევ, – დავარიგე ოთახში შესვლისთანავე, – თორემ მისტერ ჰითქლიფი გაბრაზდება და ორივეს დაგცეცხლავთ.

– არც ვაპირებ, – მიპასუხა ქეთიმ.

ერთი წუთის შემდეგ უკვე ჰერთონისკენ მიიწია და ფურისულა ჩაუგდო შვრის ფაფით სავსე თეფშში.

ვაჟმა ხმის გაცემა ვერ გაუბედა სუფრასთან, შეხედვასაც კი მოერიდა, მაგრამ ქეთიმ თავისი არ მოიშალა და ორჯერ გააცინა ჰერთონი. მე გამკიცხავი თვალით შეხედე ქეთის, მან კი ბატონისკენ გააპარა თვალი, რომლის გონებაც სულ სხვაგან ქროდა და მენახებებიდან საკმაოდ შორს იმყოფებოდა. წუთიერად ქეთი დასერიოზულდა, მაგრამ ისევ სისულელეების კეთება განაგრძო. ბოლოს და ბოლოს, ჰერთონი კინაღამ სიცილით გაიგუდა. მისტერ ჰითქლიფმა ამოიოხრა, ყველანი შეგვათვალაიერა; ქეთრინმა ჩვეული, ნერვიული და გამომწვევი მზერა შეაგება, რომელიც ბატონს ასე სტულდა.

– კარგია, რომ ახლოს არ მიზიხარ, – შეუღრინა ქეთრინს, – რა ეშმაკი გაცქერინებს ეგეთი თვალებით? დახარე ეგ ჯოჯოხეთური თვალეები და შენი არსებობაც კი აღარ შემახსენო! მეგონა, სიცილის ჩვევისგან განგკურნე.

– მე ვიყავი, – ნაილულულა ჰერთონმა.

– რა თქვი? – ჰკითხა ბატონმა.

ჰერთონმა თავის თევშს დახედა და აღიარების გამეორებას მოერიდა. მისტერ ჰითქლიფმა ერთ ხანს უყურა, მაგრამ მერე ისევ საუზმობა და შეწყვეტილი ფიქრი განაგრძო. საუზმობას რომ მოვრჩით, ახალგაზრდები კეთილგონივრულად დასცილდნენ ერთმანეთს, ასე რომ, მათი ერთად ჯდომის გამო საფრთხეს აღარ მოველოდი მაგიდასთან. სწორედ ამ დროს ჯოზეფი გამოჩნდა კარში: ისე უკანკალებდა ტუჩები და უციმციმებდა თვალები, რომ მივხვდი, თავისი ძვირფასი კენკროვანის ბუჩქები უნახავს-მეთქი. ეტყობა, ჯერ ქეთი და ჰერთონი დაინახა ერთად მსხდარი და ამიტომაც გავიდა, რომ შეემონებინა, რამე ხომ არ ჩაიდინესო. ყბები ისე აამუშავა, თითქოს ძროხა ცოხნისო, ამიტომ მისი საყვედურიდან ბევრი ვერაფერი გავარჩიე:

– იძულებული ვარ, გასამრჯელო მოვითხოვო და წავიდე! იქვე ვაპირებდი სიკვდილს, სადაც სამოცი წელი ვიმსახურე და იმასაც ვფიქრობდი, ჩემს წიგნებსა და ნივთებს წამოვკრეფავ და სხვენში ავიტან-მეთქი, რომ სამზარეულო თვითონ დარჩენოდათ, ოღონდ კი სიმშვიდე ყოფილიყო ოჯახში. იოლი არ გეგონოთ, კერასთან ჩვეული ადგილის დათმობა, ამაზეც ხელს ავიღებდი. მაგრამ ამ გოგომ ბალიც კი წამართვა, რასაც, ჩემო ბატონო, ვერ ავიტან! იქნებ ვინმე თავსაც დაუხრიდა ამათ, მაგრამ არა მე! მით უმეტეს, ბებერ კაცს ახალ სირთულეებთან გამკლავება მიჭირს. მაგრამ მირჩევნია გზაზე ქვაფენილი დავაგო, ლუკმაპურის ფულს ეგრეც ვიშოვი და როგორმე გავიტან თავს!

– გეყოს, გეყოს, იდიოტო! – შეაწყვეტინა ჰითქლიფმა, – მოკლედ მოჭერი! რა გაგჭირვებია? შენი და ნელის ჩხუბში მე ჩარევას არ ვაპირებ. გინდა ნახშირის შესაყრელ ლიუკში შეგაგდოს, მე ხმას არ ამოვიღებ.

– ნელი არაფერ შუაშია! – უპასუხა ჯოზეფმა. – ნელის გამო არსად წავიდოდი, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტი გველაძუა. მადლობა ღმერთს, ნელის სულის ამორთმევა არ შეუძლია! ისეთი ლამაზი არასდროს ყოფილა, რომ თვალი ვერ მოეცილებინათ. მე ამ ღვთისპირიდან გადავარდნილ, უღირს დედოფალზე მოგახსენებთ, ჩვენი ბიჭი რომ მოაჯადოვა თვალების უუყუნით! ლამისაა გული გამისკდეს! სულ დაივინცა, რა ამაგი მაქვს მასზე, რა დამსახურება... ხელი მიჰყო და ხურტკმელის ბუჩქები სულ ძირფესვიანად ამოძირკვა ბაღში! – ბებერი ჯოზეფი აკვნესდა, ავიშვიმდა შეურაცხყოფის გამო და ერნშოს გამოც, რომელიც მისი თქმით, მცდარ გზაზე შემდგარიყო.

– ეს ჭკუათხელი მთვრალია? – იკითხა ჰითქლიფმა, – ჰერთონ, შენზე ჩივის?

– ორი-სამი ბუჩქი ამოვთხარე სულ, – მიუგო ჭაბუკმა, – მაგრამ ხელახლა დავრგავ.

– და რატომ ამოთხარე? – ჰკითხა ბატონმა.

ქეთონის საუბარში ჩარევის სურვილი გაუჩნდა.

– მაგ ადგილას ყვავილებს დარგვა მოგვიდა, – წამოიძახა მან, – მხოლოდ ჩემი ბრაღია, რადგან მე დავავალე.

– კი მაგრამ, ვინ ეშმაკმა მოგცა უფლება, რომ აქ საერთოდ რამეს ახლე ხელი? – ჰკითხა გაოცებულმა მამამთილმა, – ან შენ ვინ გაიძულა, დამემორჩილეო? – ამჯერად ჰერთონს მიუბრუნდა.

ეს უკანასკნელი ენაჩავარდნილივით იჯდა; სამაგიეროდ, ისევ ქეთრინმა წაიგრძელა ენა:

– ორ მტკაველ მიწაზე რა განუწუნებთ, რომ ყვავილნარი გავახარო, როცა ამხელა ტერიტორიები წამართვით!

– ტერიტორიებიო?! შე თავხედო! როდის გქონია ტერიტორიები? – განწყრა ჰითქლიფი.

– და ფულიც, – განაგრძო ქეთიმ, – ბატონის გაბრაზებულ მშერას ჯიქურ შეაგება თავისი და საუმბიდან მორჩენილი პურის ქერქი ჩაკბიხა.

– ჩუმად! – უყვირა ჰითქლიფმა, – მორჩი და თავიდან მომწყდი!

– ჰერთონის ფული და მიწებიც, – არ მოეშვა უგუნური არსება, – მე და ჰერთონი ახლა უკვე მეგობრები ვართ. ავდგები და ყველაფერს მოვახსენებ თქვენზე!

ბატონს წამიერად თავგზა აებნა; გაფითრდა და წამოდგა; მომაკვდინებელი სიძულვილით სავსე მშერით უყურებდა.

– აბა, დამარტყი, – შენობითთან ერთად შეტევაზე გადავიდა ქეთი, – მერე ჰერთონი უარესს დაგარტყამს! ასე რომ, ჯობია, დაჯდე, სადაც იჯექი.

– თუ ჰერთონი ახლავე არ გაგიძახებს ოთახიდან, ისეთს დავარტყამ, რომ ჯოჯოხეთში გავაფრენ! – იქუხა ჰითქლიფმა, – წყეულო კუდიანო! ჰერთონს მიმხედრებ? გაუძახე აქედან! სამზარეულოში შეაგდე! ელენ დინ, კიდევ თუ გადამლობებია გზაზე, იცოდე, მოვკლავ!

ჰერთონი ჩურჩულით ცდილობდა, როგორმე გაეყვანა ქეთი ოთახიდან.

– გაათრიე აქედან! – მკაცრად უყვირა ჰითქლიფმა, – ისევ აქ ხარ და ენასაც არ აჩერებ? – თვითონ მიუახლოვდა, რომ მიუქარა აესრულებინა.

– აწი აღარ დავემორჩილება, ბოროტო კაცო, – თვალები დააკვესა ქეთრინმა, – და მერე ისევე შეზიზღდები, როგორც მე.

– ჩუმად! ჩუ-მეთქი! – უჩურჩულა ჰერთონმა საყვედურით, – ასე ნუ ელაპარაკები. გეყოს.

– მაგრამ ჩემზე ხელის აწევის უფლებას ხომ არ მისცემ? – იკვილა ქეთიმ.

– ჰოდა, ნადი, – სერიოზულად უჩერჩულა ბიჭმა.

მაგრამ უკვე გვიან იყო: ჰითქლიფმა თმით დაიჭირა გოგო.

– ახლა შენ გადი! – შეუღრინა ჰითქლიფმა ერნშოს, – წყეულო ავსულო! ზუსტად იმ დროს გამაღიზიანა, როცა ვერ მოვითმენდი. ამას ვანანებ!

თმიდან ხელს არ უშვებდა; ჰერთონი ცდილობდა, ხელი გაეშვებინებინა, ემუდარებოდა, ამჯერად არ დაარტყაო. ჰითქლიფი შავ თვალებს აბრიალებდა. მზად იყო, ქეთი ნაკუნებად ექცია; ის იყო, წამოვდექი, ვიფიქრე, გავრისკავ და ხელში შევებმები-მეთქი, რომ ჩემი გოგო გამომეხსნა როგორმე და უეცრად ხელი გაუშვა თმაზე, მერე მკლავი დაუჭირა და სახეზე მიაჩერდა. ხელისგული თვალებზე აიფარა, ერთხანს ასე იდგა, თითქოს გონს მოღისო და ისევ ქეთის მიუბრუნდა მოჩვენებითი სიმშვიდით:

– ჩემს გამხეცებას უნდა ვერდიო, თორემ ერთხელაც იქნება და მართლა მოგკლავ! მისი ღინს გაჰყევი და მასთან დარჩი. შენი თავხედობა მასთან გამოიჩინე. კიდევ თუ დავინახე, რომ ჰერთონ ერნშომ ყური დაგივლო, აქედან გაუუძახებ და სადაც მოუნდება, იქ იზოვოს ლუკმაპური! შენი სიყვარული უსახლკაროდ დატოვებს და გაამათხოვრებს. ნელი, ნაიყვანე აქედან და ყველამ დამტოვეთ! დამტოვეთ-მეთქი!

მე ჩემი ახალგაზრდა ქალბატონი გავიყვანე ოთახიდან; ძალიან გაუხარდა, ასე უვებლად რომ დააღწია თავი. სხვებიც ჩვენ გამოგვყვნენ, მისტერ ჰითქლიფი კი სადილამდე მართო დარჩა. ქეთის ვურჩიე, შესწოთახში ისადილე-მეთქი, მაგრამ ბატონმა ცარიელი სკამი რომ დაინახა, მაშინვე გამგზავნა, ჩამოიყვანეო. ძალიან ცოტა მიირთვა და ხმა არავის გაგვცა. მორჩა თუ არა სადილობას, ეგრევე გავიდა და დაიბარა, საღამომდე არ მოვალო.

ორი ახალდამეგობრებული კი მის არყოფნაში სახლში, ანუ დიდ მისაღებ ოთახში, გემრიელად მოეწყო. სწორედ მაგ ოთახიდან მომესმა ჰერთონის ხმა, ქეთრინს რომ შეაწყვეტინა მკაცრად, როდესაც ეს უკანასკნელი სთავაზობდა, მოგიყვები, როგორც მოექცა ჩემი მამამთილი მამაშენსო. მან კი უთხრა, ჰითქლიფზე გადაბრუნებული სიტყვა არ გამაგონო, თუნდ სატანა იყოს, ეს არაფერს ნიშნავს, მაინც მის მხარს დავიჭერო. თუ ვინმეს ლანძღვა გინდა, ჯობია, წინანდებურად ისევ მე მლანძღვდეო. ქეთრინი ამაზე გაცხარდა, მაგრამ ბიჭმა მისი შეჩერება ერთი წინადადებით მოახერხა: როგორ მოგეწონებოდა, მამაშენზე რომ იმავს ვამბობდეო. ქეთრინი მიხვდა, რომ ჰერთონი თავის ბატონზე აუგის თქმას პირად შეურაცხყოფად მიიჩნევდა და ისე იყო მიჭაჭვული მასზე, რომ ახსნა-განმარტება ვერ განწყვეტდა ამ კავშირს – ხოლო ჩვეულებით გამოჭედილი ჯაჭვის მოშლის მცდელობა სისასტიკის ტოლფასი იქნებოდა. ქეთიმ გულკეთილობა გამოიჩინა და ჰერთონის თანდასწრებით წუნწასა მოერიდა და ჰითქლიფის ლანძღვასაც, მათ შორის შუღლის გაღვივებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია; თუ სწორად მახსოვს, ჰერთონის თანდასწრებით თავის მჩაგვრელზე ერთი ცუდი სიტყვაც კი არ დასცდენია მას მერე.

ამ მცირედი უთანხმოების ამოწურვის შემდეგ ისევ შერიგდნენ და თავიანთ საქმეებს შეუდგნენ – მოსწავლისა და მასწავლებლის როლებში. ჩემს საქმეებს რომ მოვიღევი, მათ მივუჭდეოდი ხოლმე მეც და ძალზე მყუდროდ და მშვიდად ვგრძობდი თავს და დროის მდინარეებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ხომ იცით, ორივენი ჩემთვის ღვიძლი შვილებივით არიან; ერთით დიდხანს ვამაყობდი და დარწმუნებული ვარ, რომ მეორითაც ისეთივე კმაყოფილი ვიქნები. ჰერთონის პატიოსანმა, თბილმა და ინტელიგენტურმა ბუნებამ მალე მოიშორა უმეცრებისა და დეგრადაციის ღრუბელი, რომელშიც კარგა ხნის განმავლობაში იყო გახვეული. ქეთრინის დაუღალავმა მონღოებამ და რჩევებმა მას სერიოზული ბიძგი მისცა. ბიჭს გონების განათებასთან ერთად თითქოს სახეც გაუნათდა და უფრო კეთილშობილური და გულბანი ადამიანის იერი მიიღო. ამ ჭაბუკის იმ ჭაბუკთან შედარებას კი აღარ შეიძლებაოდა, რომელიც აქ ვიხილე ჩემი ქეთრინის დაკარგვიდან მეორე დღეს, როდესაც გოგონა ქრევის დასალაშქრად იყო წასული. ჰოდა, იმ დღესაც ერთად ისე გატაცებით შრომობდნენ, რომ ბინდის ჩამოწოლა ვერც შეამჩნიეს; ბინდთან ერთად კი ბატონიც გამოჩნდა. ჰითქლიფი მოულოდნელად დაგვადგა თავზე, მთავარი კარით შემოვიდა და სამკაციან სცენას უსიტყვოდ დაუნყო დაკვირვება, სანამ დაჟინებული მზერით არ მივხვდით მის მოსვლას და ყველამ არ შევხედეთ. გულში ვიფიქრე, ამაზე სასიამოვნო და უვნებელი სანახაობა რაღა უნდა იყოს და ერთად ჯდომის გამო ჩემი გვრიტების დაგმობა სამარცხვინო საქციელი იქნება-მეთქი. ქერა თმაზე ბუხრიდან გამოღწეული ალისფერი შუქი დასთამაშებდათ, სახეები კი ბავშვური ინტერესით გაცისკროვნებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ ჰერთონი უკვე ოცდასამის იყო, ხოლო ქეთი – თვრამეტისა, ორივეს უამრავი რამ ჰქონდა განსაცდელი და შესასწავლი; არც ერთ მათგანს არ ჰქონდა გამოცდილი, რას ნიშნავს მონიფულობის თანმდევი ილუზიების გაფანტვა.

ორივემ ერთდროულად ასწია თვალები და მისტერ ჰითქლიფს შეაგება მზერა; იქნებ თქვენც არ შეგიმჩნევიათ, რომ ზუსტად ერთნაირი თვალები აქვთ, ანუ ქეთრინ ერწმოს თვალები. ამჟამინდელ ქეთრინს წინანდელთან ფართო შუბლისა და მორკალული ნესტოების მეტი საერთო არაფერი აქვს, რაც მას ამპარტავნულ იერს სძენს, უნდა თუ არა. ჰერთონთან მსგავსება კი უფრო შორსაც მიდის: ყოველთვის გასაოცარი იყო, მაგრამ იმ დროს მაინც განსაკუთრებულად, რადგან გრძობები გამძაფრებოდა და უჩვეულო საქმიანობისადმი გონებრივი შესაძლებლობები გაღვიძებოდა. მე მგონია, რომ სწორედ ამ მსგავსებამ განაიარაღა ჰითქლიფი; კერიისკენ აშკარად აღელვებულმა წადგა ნაბიჯები. მაგრამ ჰერთონის დანახვაზე თითქოს ხასიათი შეეცვალა, რადგან ნერვები მაინც ვერ მოეთოკა ჯერ. ბიჭს წიგნი აართვა ხელიდან და გადამლილ გვერდს დახედა, მერე უსიტყვოდ დაუბრუნა უკან. რძალს ანიშნა, გადიო; ჰერთონიც არ მჭდარა დიდხანს და როგორც კი გასვლა დააპირა, მეც წამოვდექი, თუმცა ბატონმა მითხრა, მშვიდად იჯექიო.

– დასანანი დასასრული კი მივიღეთ, არა? – მითხრა ნანახ სცენაზე დაფიქრების შემდეგ: – ჩემი თავგამოდებული მცდელობების სულელური შედეგი! რკინის ქალამნები ჩავიცივი და თავს ჰერკულესის შრომისთვის ვამზადებდი, რომ ორივე სახლი დამეცია, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ სახურავიდან შიფერის ჩამომღებაც კი

აღარ ვარ! ძველმა მტრებმა ვერ მოახერხეს ჩემი მოღრეკა, ახლა კი, მგონი, დროა, მათ წარმომადგენლებს ვაზღვევინო. ამისი გაკეთება შემძლია და ხელსაც ვერავინ შემიშლის. მაგრამ ამით რა? ჩხუბი არ მალეღვებს, მაგრამ ხელის აწვევაც კი მეზარება! ახლა ისე გამოდის, თითქოს მთელი ეს ხანი მხოლოდ იმიტომ მოვიკალი თავი, რომ ერთგვარი სულგრძელობა გამომეგვლინებინა. მაგრამ მთლად ასეც რომ არ არის საქმე; ნგრევამ დამალა, ისე გავზარმაცდი, რომ არათურისთვის ნგრევას არ მოვყვები.

ნელი, უცნაური ცვლილება ახლოვდება; მე კი მის ჩრდილქვეშ ვარ მოქცეული. იმდენად აღარ მინტერესებს ჩემი ყოველდღიურობა, რომ სმა-ჭამაც მავიწყდება. მხოლოდ ეს ორნი, ახლა რომ გაბრძნდნენ ოთახიდან, ინარჩუნებენ ჩემს თვალში მატერიალურ არსებობას; მათი არსებობა კი ტკივილს მაყენებს, აგონიაში მაგდებს. ქალზე არ ვისაუბრებ, რადგან ფიქრიც კი არ მინდა. მაგრამ გულწრფელად ვისურვებდი, რომ უხილავი ყოფილიყო, რამეთუ მისი ყურება ჩემში გიჟურ გრძნობებს აღვიძებს. ჰერთონის მიმართ კი სხვა დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ რომ შემეძლოს, რომ აღარასოდეს ვიხილო, ოღონდ ისე, რომ გიჟად არ ჩამთვალონ, აღარასოდეს ვიხილავდი! ალბათ მართლა გიჟი გეგონები, ყველა ის გრძნობა და შეგრძნება რომ დავისურათხატო, რასაც მისი დანახვა მგერის, დაწყებული წარსულის გახსენებით, რომელიც ათასგვარ ფორმას იძენს ჩემს წარმოსახვაში, – ჰითქლითმა გალიმება სცადა, – მაგრამ შენ ნურავის ეტყვი, რასაც გეუბნები; ჩემი გონება კი ისე სამარადუამოდ ჩაკეტილა თავის ნაჭუჭში, რომ ცდუნება დამრევს ხოლმე ხელს, დაღენე ეს ნაჭუჭი და სხვა ადამიანის წინაშე გამოაჩინო.

ხუთი წუთის წინ ჰერთონი ცოცხალი ადამიანი კი არა, ჩემი სიყრმის განსახიერება მეგონა. იმდენად მრავალფეროვანი იყო ჩემი გრძნობები მისდამი, რომ რაციონალურად საუბარიც კი მიჭირდა მასთან. ის და ქეთრინი ისე საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, რომ ეს უცნაური მსგავსება საშინლად აკავშირებს მათ ერთმანეთთან. შენ ალბათ გეგონება, რომ სწორედ ეს უნდა მოქმედებდეს ჩემს წარმოსახვაზე, სინამდვილეში კი პირიქითაა: მამ რად ვერ ვივინყებ? რა მახსენებს მის თავს? ამ იატაკზეც კი ვერ დამიხედავს, რომ მისი სახის ნაკვთები არ დავინახო! ყოველ ღრუბელში, ყოველ ხეში – ღამით ჰაერს ავსევს და დღისით ყველა საგანში ირეკლება – ყველგან მისი სახებით ვარ გარშემორტყმული. სულ უცხო ხალხის, ქალებისა თუ კაცების სახეები, ჩემი საკუთარი ნაკვთებიც კი მის თავს მახსენებს და მალიზიანებს! ამქვეყნად ყველაფერი იმის შესხენებას ემსახურება ჩემთვის, რომ მყავდა და ვერ შევიწარჩუნე, დავკარგე! კი ბატონო, ჰერთონი ჩემი უკვდავი სიყვარულის ლანდია, ჩემი უფლების დაცვის შმაგი მცდელობა, ჩემი სიამაყე, ჩემი ბედნიერება და ჩემი ტკივილი...

მაგრამ სრული სიგიჟეა, ჩემი ნათქვამის შენთვის გამეორება: მხოლოდ ასე გაიგებ, რატომ არ მიმსუბუქებს ჰერთონი ყოფას, მიუხედავად იმისა, რომ მარტობა არ მსიამოვნებს, და რატომ მიმძიმებს უარესად, მიუარესებს... სწორედ ამით აიხსნება ნაწილობრივ, რატომ არ მანადვლებს მისი და მისი მამიდაშვილის ურთიერთდამოკიდებულება. შემძლია, აწი სულაც აღარ მივაქციო ყურადღება.

– მაგრამ ცვლილებაში რა იგულისხმე, მისტერ ჰითელიფ? – შინაურულად ვკითხე მისი საუბრის ტონით შემფოთებულმა, თუმცა კი, ჩემი აზრით, მას არც სიკვდილი ეშუქებოდა და არც გაგიჟება. საკმაოდ ძლიერი და ჯანმრთელი იყო, რაც შეეხება მის აზროვნებას, ბავშვობიდან ასე სჩვეოდა: მუდმივად შავბნელ საკითხებს უღრმავდებოდა და ფანტაზიების ტყვეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. შესაძლოა, მონომანია სჭირდა, ანუ ერთი ხატება ჰქონდა აკვიატებული, მაგრამ სხვა მხრივ ჩემსავით საღად აზროვნებდა.

– სანამ არ დამდგარა, არ ვიცი, – თქვა მან, – ახლა მხოლოდ სანახევროდ შემიძლია მასზე მსჯელობა.

– თავს შეუძლოდ ხომ არ გრძნობ? – ვკითხე მე.

– არა, ნელი, არ ვარ შეუძლოდ.

– ესე იგი, სიკვდილის არ გეშინია, – დავუსვი მორიგი კითხვა.

– მეშინია? არა! – სხარტად მომიგო, – არც ავის მოლოდინი მაქვს, სიკვდილის იმედიც კი არ მაქვს. საიდან მექნება? ჩემი მკვრივი აღნაგობითა და თავშეკავებული ცხოვრებით, უხიფათო საქმიანობით, მოვალეც კი ვარ ალბათ, რომ მტკიცედ ვიღვე დედამიწაზე, სანამ თავზე შავი თმა შემრჩენია. მაგრამ მაინც არ ძალმიძს ასე გაგრძელება! თავს ვახსენებ, ისუნთქე-მეთქი, გულს ვახსენებ, იფეთქე-მეთქი! ეს მტკიცე ზამბარის გადაღუნვას ჰგავს: ყველაფერს, უმცირესს საქმესაც კი იძულებით ვაკეთებ, როდესაც გონება სულ სხვა რამეზე ფიქრობს. თუკი ამქვეყნად ცოცხალსა და მკვდარს ვამჩნევ და ვარჩევ ერთიმეორისგან, ესეც იძულების ძალით ხდება, რადგან იმ ყოვლისმომცველ აზრს არ უკავშირდება. ერთადერთი სურვილი მაქვს და მთელი გულით და გონებით მისი ასრულებისკენ მივისწრაფი. იმდენი ხანია, მის ასასრულებლად არაფერს ვიშურებ, რომ მჯერა, სანადელს მივალწევ – თან მალე – რადგან ამ სწრაფვამ შთანთქა და მისი ასრულების მოლოდინმა მომიწელა. ჩემმა აღსარებამ შვება როდი მომცა, მაგრამ იქნებ ჩემი ხასიათის ის შტრიხები ახსნას, რასაც ერთი შეხედვით ახსნა არ უხერხდება. ოჰ, ღმერთო! რამსიგრძე ბრძოლაა, ნეტავ მალე დასრულდებოდეს!

ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა და თავის თავს რაღაც საშინელებებს ეუბნებოდა, ასე რომ, მეც ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი, რომ – როგორც ჯოზეფი იტყოდა – ჩვენს ბატონს სინდისის ქენჯნამ გული მიწიერ ჯოჯოხეთად უქცია. დავინტერესდი, ნეტავ როგორ დასრულდება-მეთქი ყველაფერი. უნინ ჰითელიფი ძვირად თუ გამოამულავენება, თუნდაც მზერით, თავის სულიერ მდგომარეობას, თუმცა ბრაზიანობა ჩვევაში ჰქონდა გადასული და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მისი ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმი იყო. მაგრამ სულს კი ასე ვერაფრით დაიცავდა. ისე, ამას ხომ ვერც თქვენ მიხვდით, მისტერ ლოქვედ, როდესაც ნახეთ? არადა, სწორედ იმ პერიოდზე მოგახსენებთ, უკანასკნელად რომ შეხვდით. მაშინ სწორედ ამ დღეში იყო, ოღონდ უფრო მარტოობისკენ მიდრეკილი გახლდათ და სიტყვატუნწობას ამჭობინებდა.

იმ საღამოს შემდეგ მისტერ ჰითქლიფი ჩვენთან ერთად სუფრასთან დაჯდომას რამდენიმე დღე გაურბოდა, თუმცა არც მოკვეთით სურდა ჰერთონისა და ქეთის გაძევება. თავის გრძნობებზე ასე ერთიანად ხელის აღება აღიზიანებდა და თავს გვარიდებდა. დღელამეში მხოლოდ ერთხელ წახემსება, ეტყობა, მისთვის სრულიად საკმარისი იყო.

ერთ ღამეს, უკვე ყველანი ვინწევით, მისი ხმა მომესმა, კიბეზე რომ ჩამოვიდა და გარეთ გავიდა წინკარიდან. უკან დაბრუნების ხმა არ გამოიგონია, რადგან შინ დილითაც კი არ იყო. აპრილი იდგა; საამური და თბილი ამინდი იყო, ბალახი მზისა და წვიმის ხელშეწყობით გადამწვანებულიყო, სამხრეთ კედელთან ამოსული ჯუჯა ვაშლის ხეები კი ყვავდა. ნასაუზმევს ქეთიმ დამიჩემა, სკამი მოიტანე და სახლის ბოლოს ნაძვების ქვეშ დაესხდეთ, თან ხელსაქმესაც გამოიყოლებო. ჰერთონიც, იმ ავადსახსენებელი ინციდენტის მერე, დაარწმუნა, ყვავილნარი გამოკეთეო, რომელიც ჯოზეფის წუნუნის შედეგად სახლის ბოლოსკენ გადაიტანეს. გაზაფხულის მშვენიერებითა და ლურჯი ცის ცქერით ვტკებოდით, როდესაც ლობესთან მისულმა ჩემმა ქეთიმ მცირედენი ყვავილებით ხელში უკან მოიბრინა, სადაც ფურისულები ეგულეობდა, და განაცხადა, მისტერ ჰითქლიფი მოდისო.

– და დამელაპარაკა, – დაამატა შემფოთებული სახით.

– რა გითხრა? – ჰკითხა ჰერთონმა.

– მითხრა, აქედან მოუსვიო, – უპასუხა ქეთიმ. – მაგრამ ისე უცნაურად მიყურებდა, ისე უჩვეულოდ, რომ შეეჩერდი და დავაკვირდი სახეზე.

– როგორ თუ უცნაურად? – დაინტერესდა ჰერთონი.

– თითქმის სახეგაცისკროვნებული და გახალისებული. არა, რატომ «თითქმის», ნამდვილად აღტკინებული, გახარებული და გამოცოცხლებული იყო! – გაგვაცნო თავისი დაკვირვება ქეთონიმა.

– ღამეულმა სეირნობამ გამოაცოცხლა ეტყობა, – გამოვთქვი აზრი და თავი ისე დავიჭირე, ვითომც სულ არ მადარდებდა; სინამდვილეში მასზე არანაკლებ გავოცდი და მოსმენილის ჭეშმარიტების დადგენის სურვილმა შემიპყრო, რადგან გახარებული ბატონის დანახვა ყოველდღიურ სანახაობათა სიაში არ ეწერა. ახალგაზრდებს მოვუბოდიშე, შინ უნდა შევიდემეთქი. ჰითქლიფი ღია კართან იდგა; ფერი დაჰკარგვოდა და თრთოდა, თუმცაღა თვალები მართლაც ხალისიანად უცმიციმებდა, რაც სახის გამომეტყველებას სრულიად უცვლიდა.

– ცოტას ხომ არ წაისაუზმებ? – ვკითხე, – მშიერი იქნები, მთელი ღამე არ შემოსულხარ სახლში, – მაინტერესებდა, სად ბრძანდებოდა, მაგრამ პირდაპირ შეკითხვას ავერიდე.

– არა, მშიერი არ ვარ, – ავღებულად მიჰასუხა და თავი გადააქნია, რადგან მიხვდა, რომ მისი გუნების გამოკეთების მიზეზის გაგებას ვლამობდი.

ცოტა დავიბენი; არ ვიცოდი, შეგონება რომ დამეწყო, უადგილოდ მოეჩვენებოდა თუ არა.

– ასე გარე-გარე სიარული კარგი არ უნდა იყოს, – მაინც გამოვთქვი ჩემი აზრი, – როცა საწოლში წოლის დროა; ასეთ ნესტიან სეზონზე გარეთ ყოფნა მავნეა. მომიტყევე, მაგრამ სურდო რომ შეგეყაროს, ან გაცივდე? მგონი, შენს თავს რაღაც ხდება.

– იმაზე უარესი არაფერი, რისი ატანაც შემიძლია და თუ პატივს დამძებ, დამტოვე და თავს ნუ მომაბეზრებ.

დავემორჩილე; ოთახიდან გასვლისას მომესმა, რომ კატასავით სწრაფად სუნთქავდა.

– დიას! – გულში ვთქვი, – ავადმყოფობა კარზე მოგვედგომია. ნეტავ რა ეშმაკს აკეთებდა მთელ ღამეს?

იმ დღეს ჩვენთან ერთად სადილად დაჯდა და სავსე თეფში საჭმელი მოითხოვა, თითქოს დაკარგულის ანაზღაურებას აპირებდა.

– არც სურდო მქონია ოდესმე და არც გავციებულვარ, ნელი, – დილანდელი საუბრის პასუხად მითხრა, – და მზად ვარ, შენ მიერ მონოდებულ კერძსაც მივხედო.

თავისი დანა-ჩანგალი აიღო და ის იყო, ჭამა უნდა დაეწყო, რომ უეცრად მადა დაკარგა. ისევ მაგიდაზე დააწყო, ფანჯარას გახედა, მერე ადგა და გავიდა. სანამ ჩვენ ვსადილობდით, ის ებოში სცემდა ბოლთას. ერნშომ თქვა, გავალ, ვკითხავ, რატომ არ სადილობსო; ეგონა, რომ ჩვენი ბრალი იყო მისი უმადობა.

– აბა, მოვალო? – საყვედურნარევი ხმით ჰკითხა ქეთიმ დაბრუნებულ დედოქმიშვილს.

– არაო, – უპასუხა ჰერთონმა, – მაგრამ გაბრაზებული არ ყოფილა, პირიქით, ხალისიანდაც კია. ერთი ის იყო, კითხვა დავუსვი ორჯერ, რამაც ცოტა გაალიზიანა და მითხრა, გამანებე თავიო. მერე თქვენთან დაბრუნება მირჩია. უკვირს, მათ გარდა სხვა რაღად გჭირდებაო.

მისი თეფში ბუხრის ცხაურაზე დავდე, რომ არ გაცივებულიყო. ბატონი ორიოდ საათის შემდეგ შემოვიდა, როდესაც ოთახში აღარავინ იყო; აშკარად არ იყო მშვიდად. იგივე არაბუნებრივი გამომეტყველება ჰქონდა – ნამდვილად არაბუნებრივი – შავი წარბების ქვეშ თვალები უბრწყინავდა. ისევ ისე უსისხლო სახე ჰქონდა და

ჟამიდან ჟამზე კბილებს აჩენდა ვითომ ღიმილის დროს; მთელი სხეული უთრთოდა, ოღონდ არა ისე, როგორც ციებიანი ან ავადმყოფი თრთის ხოლმე, არამედ მჭიდროდ დაჭიმული სიმივით – თუმცა ეს უფრო ძლიერი კანკალი იყო, ვიდრე უბრალოდ თრთოლა.

ვიფიქრე, ვკითხავ-მეთქი, რა სჭირს, აბა სხვა ვინ ჰკითხავდა? ემოციისგან ლამის შევყვირე:

– რამე კარგი ამბავი შეიტყვე, მისტერ ჰითქლიფ? უჩვეულოდ გამოცოცხლებული ჩანხარ.

– აბა, კარგ რამეს საიდან გავიგებდი? – კითხვითვე მიპასუხა, – შიმშილმა გამომაცოცხლა, მაგრამ არ მგონია, რომ რამე უნდა ვჭამო.

– შენი სადილი აქ დევს, – ვუთხარი, – რატომ არ უნდა ჭამო?

– ახლა არ მინდა, – ნაჩქარევად მიპასუხა, – ვახშამდე მოვიცდი. და კიდევ, ნელი, დამდე პატივი და ჰერთონი და დანარჩენებიც გააფრთხილე, რომ მომერიდონ. მინდა, რომ არავინ შემანახოს: მინდა, რომ ეს ოთახი მხოლოდ მე მქონდეს.

– ამ აკრძალვას რამე მიზეზი განაპირობებს? – ვიკითხე, – მითხარი, რატომ ხარ ასეთი ექსცენტრიკული, მისტერ ჰითქლიფ? ნუხელ სად ბრძანდებოდი? ამას ცნობისმოყვარეობის გამო არ გეკითხები, არამედ...

– სწორედ ცნობისმოყვარეობა გალაპარაკებს, – სიცილით შემანყევტინა, – კარგი, გიპასუხებ. ნუხელ ჯოჯოხეთის ზღურბლზე გახლდი. დღეს ჩემს ზეცას ვჭვრეტ. თვალის კი მივაშტერე: რალაც სამიოდე ნაბიჯშია! ახლა კი, დამტოვებდე, ნელი! საშიშსა და გულისგასახეთს ვერც დაინახავ რამეს და ვერც მოისმენ, თუ ჩემს კუდში დევნას დაანებებ თავს.

ბუხარი გამოვგავე, მაგიდა გადავწმინდე და ვავედი. უფრო მეტად დაბნეული.

იმ დღეს სახლიდან აღარ გასულა, თუმცა არც არავის დაურღვევია მისი მარტოობა; რვა საათზე საჭიროდ მივიჩნიე, უთხოვნელად სანთელი და ვახშამი მიმერთმია მისთვის. რაფაზე გადაწოლილიყო, მაგრამ გარეთ კი არა, შიგნით იყურებოდა სიბნელეში. ცუცხლი სულ ჩანავლულიყო; ოთახში ღრუბლიან საღამოს სინესტე და რბილი ჰაერი შემოეტანა, ისეთი მღუმარება სუფევდა, რომ გიმერთონიდან ნაკადულის არამხოლოდ ჩუხჩუხი, არამედ წყლის დიდ და პატარა ქვებს შორის დინების ხმაც კი აღწევდა. უკმაყოფილოდ წამოვიძახე ჩანავლული ბუხრის დანახვაზე და ალათების დაკეტვას მოვეყვი, სანამ მის ფანჯარას არ მივადექი.

– არ დავხურო? – ვკითხე, რომ ამეყენებინა, რაკი ადგილიდან არ იძროდა.

როდესაც დაველაპარაკე, სახე სანთლის აღმა გაუნათა. ოჰ, მისტერ ლოქვედ, ვერც კი აღვიწერო, რამხელა შიში ვჭამე იმ ერთი შეხედვით! ის ღრმა შავი თვალები! ის ღიმილი და მოჩვენებისმიერი უფერულობა! მომიჩვენა, რომ მისტერ ჰითქლიფი კი

არა, გობლინი იყო. ჩემდა ჭირად სანთლიანი ხელი კედელს მივარტყი და სრულ სიბნელებში აღმოვჩნდი.

– ჰო, დახურე, – ჩვეულებრივი ხმით მიპასუხა. – ოჰ, რა მოუქნელი ხარ! გადახრილი რატომ გჭირავს სანთელი? მიდი, მეორე მოიტანე დროზე.

გარეთ გიჟივით გამოვედი და ჯოზეფს ვუთხარი:

– ბატონს სურს, რომ სანთელი შეუტანო და ბუხარში ცეცხლი დაუნთო – აბა, მე რაღა შემიყვანდა ხელახლა იმ ოთახში.

ჯოზეფმა ცეცხლის დასანთებად შემა შეყარა და უცებვე გამობრუნდა ვახშმიანი სინით ხელში. თქვა, მისტერ ჰითქლიფს ეძინება და ხვალ დილამდე არაფრის ჭამა არ სურსო. კიბეზე ასვლის ხმა მოგვესმა, ოღონდ თავის ოთახში კი არა, პანელებიანი სანოლი რომ დგას, იქ შევიდა. მაგ ოთახში, როგორც აღრეც აღვნიშნე, საკმაოდ ფართო ფანჯარაა და ნებისმიერი გაეტევა. გამიღუვა, ეტყობა, მორიგი ღამეული ვოიაჟი დაგეგმა-მეთქი, რომელიც ჩვენ ვერ უნდა გავგვეო.

ღუღია[6] თუ ვამპირი-მეთქი, გავიფიქრე. მსგავსი საძაგელი არსებების განსხეულების შესახებ წაკითხული მქონდა. მერე მისი პატარაობა წამომახსენდა, როგორ ვუვლიდი, მერე როგორ იზრდებოდა და ლამის მთელი ცხოვრება როგორ გავატარეთ ერთად და ამისთანა აბსურდის გაფიქრებაზე თავი დავტუქსე. მაგრამ საიდან გაჩნდა ის პატარა, შავი არსება, კეთილმა კაცმა თავისდა დასალუპად რომ შეიფარა? ჩამესმოდა ცრურწმენის ხმა, როდესაც ფიქრის უნარს უკვე ძილი მართმევდა. მერე თავი მოვლალე მისი გვარტომობის წარმოდგენით და გამომათხიზლებელი ფიქრებით, მის განვლილ გზას ხელახლა გადავხედე, სასტიკი ვარაიაციებიც შევმატე; ბოლოს კი მისი გარდაცვალება და დაკრძალვა წარმოვისახე; ეს შეიძლება, ითქვას, ყველაზე მტანჯველი აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან საფლავის ქვაზე წასაწერად მისი სახელის კარნახმა და მნათესავის დარიგების მიცემამ მომიწია, რაკი ჰითქლიფს არც გვარი ჰქონდა და არც ზუსტი ასაკი ვიცოდიო. ამიტომ იძულებულნი გავხდით, ერთ სიტყვაზე შევეთანხმებულიყავით; ეს ერთი სიტყვა კი «ჰითქლიფი» იყო. ეს დეტალი მართლაც ახდა: ოდენ ეს სიტყვა დავაწერეთ. სასაფლაოზე თუ მოვიხდებათ გავლა, მისი საფლავის ქვაზე მხოლოდ სახელს წაკითხავთ, და კიდევ გარდაცვალების თარიღს.

განთიადმა სალად ამროვნების უნარი დამიბრუნა. როგორც კი თვალები გავახილე, ავდექი და ბაღში გავედი, ნეტავ ფანჯრის ქვეშ ნაფეხურები ხომ არ იქნება-მეთქი. არაფერი ჩანდა. შინ ყოფილა, – გავიფიქრე გულში, – დღეს მაინც იქნება უკეთ. მთელ სახლელს საუბზე მოვუშვადე, რაც მევალეოდა კიდევ, ქეთრინსა და ჰერთონს კი ვუთხარი, დროზე ჭამეთ, ბატონს, ეტყობა, ჩაეძინა და სადაცაა, ჩამოვა-მეთქი. ახალგაზრდებმა თეფშები გარეთ გაიტანეს და ხის ქვეშ მოიკალათეს, მე კი პატარა ტაბლა გავუტანე, რომ მოხერხებულად ეგრძნოთ თავი.

უკან რომ შემოვბრუნდი, მისტერ ჰითქლიფი უკვე ჩამოსული დამხვდა. ჯოზეფთან ერთად ფერმის საქმიანობაზე საუბრობდა; ბატონი სრულიად გასაგებად გასცემდა

განკარგულებებს, მაგრამ ძალიან სწრაფად ლაპარაკობდა და გამუდმებით გვერდზე იხედებოდა, თან ისევ ისე გამოცოცხლებული იყო, უფრო სწორად – ალტყინებული. როდესაც ჯობიერი გავიდა, ჰითქლიფი ჩვეულ ადგილზე დაჯდა; მე ყავის ფინჯანი დავედგი, მან თავისკენ მისწია. ხელები მაგიდაზე დაანყო და მოპირდაპირე კედელს გახედა, როგორც მივხვდი, ერთ კონკრეტულ მონაკვეთს, ახედ-დახედა აკვესებული, მოუსვენარი თვალებით და იმხელა ინტერესით, რომ ნახევარ წუთს სუნთქვაც კი შეიკავა.

– რას გჭირს? – შევძახე მე და პური მივეწიე, – ჭამე და ყავა მიაცოლეთ, სანამ ცხელია; ლამის ერთი საათია, იყდის.

არც კი შევემჩნევივარ, თუმცა კი იღიმოდა. ეჰ, მერჩივნა, გაბრაზებულს დაეკრიჭა ჩემთვის კბილები, ვიდრე ამგვარად მოლიმარი მენახა.

– მისტერ ჰითქლიფ! ბატონო! – ვიყვირე მე, – ღვთის გულისათვის, ისე ნუ იყურები, თითქოს არამინიერი ხილვა გწვეოდეს.

– ღვთის გულისათვის, ასე ნუ ყვირი, – მომიგო ბატონმა, – უკან მიიხედე და მითხარი, მარტონი ვართ?

– ცხადია, რასაკვირველია.

მაინც დავემორჩილე და მივიხედე უკან, რადგან ცარიელ სიტყვაზე არ მენდო. ერთი ხელის მოსმით გასწია უკან ჭურჭელი, რომ წინ არათფერი აჰფარებოდა.

ახლა მივხვდი, რომ კედელს არ უყურებდა; მაგრამ როდესაც ახალშემოსული მივესალმე, ისე ჩანდა, თითქოს ორიოდ მეტრში რაღაცას მისჩერებოდა. თუმცა რაც უნდა ყოფილიყო ის რაღაც, როგორც ჩანს, სიამოვნებასა და ტკივილის ჰვერიდა ერთდროულად. ეს აზრი მისი სახის გამომეტყველებამ განმიმტკიცა: მტანჯველი ტკივილი და ალტაცება გამოხატვოდა. წარმოსახვითი საგანი არცთუ უმოძრაო იყო: მშერას საკმაოდ დაუღალავი სიბეჭითით აყოლებდა, როდესაც მე მელარაკებოდა, მაშინაც კი არ აცილებდა თვალს. სრულიად ამაოდ შევასხენე, უჭმელი ხარ-მეთქი: ჩემი თხოვნა რომც ელო ყურად და ხელი რამისკენ წაელო, მანამდე მომუნავდა თითებს, სანამ საკვებს შეეხებოდა და ისევ მაგიდაზე ჩამოდებდა ხელს, თითქოს აღარ ახსოვს, რისი ალება უნდოდა.

მე მოთმინებამოკრებილი ვიჯექი და ყოვლისშთანმთქმელი ფიქრებიდან ვცდილობდი მის გამოვლენას, სანამ განაწყენებული არ წამოდგა და მისაყვედურა, რატომ არ დამაცდი, მაშინ ვჭამო, როცა მომინდებო? თან დასძინა, შემდეგში ნულარ მომიცდი, ყველაფერი მაგიდაზე დაანყე და წადიო. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ სახლი დატოვა, ეზოსკენ დაუყვა ბილიკს და ჭიშკარში გაუჩინარდა.

მშფოთვარე საათების გასვლის შემდეგ მეორე საღამომაც მოაწია. გვიანობამდე არ წავსულვარ დასაძინებლად, მაგრამ როცა დავნექი, რული არ მომეკარა. ნაშუალამევს დაბრუნდა და დაწოლის მაგივრად, ქვედა სართულზე ოთახში ჩაიკეტა.

მივაყურადე და ავნრიალდი, ამიტომ ავდექი, ტანთ ჩავიცვი და დაბლა ჩავედი. მომენყინა თვალისმოუხუჭავად წოლა და ტვინის ჭყლეტა ათას რამეზე ფიქრით.

მისტერ ჰითელიფის ფეხის ხმა გავიგონე, იატაკს რომ ზომავდა და შიგადაშიგ ამოიხრებდა ხოლმე, კვენისმაგვარი ხმით. რალაც სიტყვებსაც წარმოთქვამდა შიგადაშიგ: მე მხოლოდ ერთისგარჩევა შევძელი, – ქეთრინს ახსენებდა სიყვარულით თუ ტანჯვით. ისე წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქოს ვილაყას ესაუბრებო. ხმადაბლა და სერიოზულად, თითქოს გულიდან ამოთქვამდა. გამბედაობა არ მეყო, რომ პირდაპირ შევსულიყავი მასთან, მაგრამ ოცნებებიდან დახსნა ვცადე, ამიტომ სამზარეულოში შევედი და ცეცხლის დანთებას შევუდექი, თან ნაცრის გამოხვეტაც დავინყე. იმაზე მალე მომექცია ყურადღება, ვიდრე ვიფიქრებდი. უცებ შემოალო კარი და მომმართა:

– ნელი, აქ მოდი, – უკვე დილაა? სანთელიც შემოიტანე.

– ოთხი ჩამოჰკრა, – ვუპასუხე, – სანთელი ზევით ასასვლელად გინდა? აგერ, ბუხარშიც შეიძლება ანთება.

– არა, ზევით ასვლა არ მინდა, – თქვა მან, – შემოდი და ცეცხლი დამინთე; ოთახსაც შენებურად მიხედე.

– ნაკვერჩხლებს გავაღვივებ და ცეცხლიც დაინთება, – ვუპასუხე, მერე სკამი მივაჩოჩე და და საბერველი ავიღე.

ამასობაში ბოლთას სცემდა ოთახში სიგიჟის ზღვარზე მისული; ისე ოხრავდა, ვიფიქრე, სუნთქვას როდისღა ახერხებს-მეთქი.

– როგორც ინათებს, გრინის მოსაყვანად გავგზავნი ვინმეს, – თქვა მან, – რამდენიმე კითხვა უნდა დაუუსვა კანონთან დაკავშირებით, სანამ კიდევ შემოძლია ამ საკითხებზე ფიქრი და ცივი გონებით განსჯა. ანდერძი მაქვს დასაწერი. რა ფორმით დავტოვო ჩემი საკუთრება, ეგეც უნდა განისაზღვროს. სიამოვნებით აღვგვიდი პირისაგან მინისა.

– მე ასე არ ვილაპარაკებდი, მისტერ ჰითელიფ, – შევანწყვეტინე, – ეგ შენი ანდერძი ცოტა ხნით გვერდზე გადადე და ჩადენილი უსამართლობები მოინანიე! რას ვიფიქრებდი, ნერვები თუ გილალატებდა ოდესმე; ახლა აშკარად დანყვეტილი გაქვს, რაც სრულიად შენი ბრალია. რა ცხოვრებითაც ცხოვრობ ამ ბოლო სამი დღის განმავლობაში, გოლიათს დასცემდა. ორიოდ ლუკმა მაინც ჭამე და თავი დაინდე. სარკეში ჩაიხედე და დაინახავ, ორივე როგორ ჰაერივით გესაჭიროება. ლოყები ჩავიცვივდა, თვალები ჩავისისხლიანდა, თითქოს შიმშილით იკლავდე თავს და უძილობით იბრმავებდე თვალებს.

– ჩემი ბრალი არ არის, საჭმელი და დასვენება რომ არ მინდა, – მიპასუხა ბატონმა, – გარწმუნებ, ეს ჩემს გეგმებში არ შედიოდა. ორივეს ვიზამ, როდესაც მოვახერხებ. მაგრამ შენი რჩევა, იცი, რისი ტოლფასია? ნაპირამდე გაჭირვებით მოყურებულ კაცს რომ უთხრა, ხელები გააჩერე, დაისვენო და იქვე რომ ჩაძირო!

ჯერ ნაპირზე უნდა გავიდე და დასვენებაზე მერე ვიფიქრო. მისტერ გრინი ამოიგდე თავიდან, აღარ ვიხმობ; რაც შეეხება უსამართლობების გამო მონანიებას, არაფერი მსგავსი არ ჩამიდენია და მოსანანიებელი რა მაქვს?! ძალზე ბედნიერიც ვარ, მაგრამ არა საკმარისად. ჩემი სული ნეტარებით კლავს ჩემს სხეულს, თუმცა ამაში სიამოვნებას ვერ პოულობს.

– ბედნიერი, ბატონო? – ვიყვირე, – უცნაური ბედნიერებაა, ღმერთმანი! თუკი გაბრაზების გარეშე მომისმენდი, რამდენიმე რჩევას მოგცემდი გასაბედნიერებლად.

– მაინც რას მომცემდი? – მკითხა, – მიდი, გისმენ.

– კარგად იცი, მისტერ ჰითქლიფ, – დავიწყე მე, – რომ ცამეტი წლიდან ეგოისტურ, არაქრისტიანულ ცხოვრებას ეწევი და ალბათ ამ ხნის განმავლობაში ბიბლიაც კი არ გჭერია ხელში. ალბათ მაგ წიგნის შინაარსიც აღარ გეხსომება და დროც არ უნდა გქონდეს, რომ გადაშალო. განა ასე გიძნეოდება, რომ მღვდელი მოაყვანინო, ნებისმიერი სარწმუნოების, რომელიც აგისწიდა წმინდა წერილის აზრს და იმასაც გაგაგებინებდა, როგორი დაშორებული ხარ ათ მცნებას. იქნებ იმაშიც დაგარწმუნებდა, რომ ზეცისთვის სრულიად უვარგისი ხარ, თუკი სიკვდილამდე არ შეიცვლი ზნეს.

– გაბრაზებულზე მეტად, წელი, დავალებული ვარ შენგან, – თქვა მან, – რადგან ის შემახსენე, რომელი განკარგულების დატოვებაც მინდოდა ჩემი დაკრძალვისთვის. უკანასკნელ გზაზე, თუკი გენდომებათ, შენ და ჰერთონი გამაცილებდით და ყურადღებას მიაქცევდით, რომ მესაფლავებებმა ორი კუბოს შესახებ ჩემი დავალება პირნათლად შეასრულონ! არავითარი მღვდელი არ მჭირდება თავისი გამოსათხოვარი სიტყვით. გეუბნები, თითქმის მივალწიე-მეთქი ჩემს ზეცას და სხვებისა კი არად მიღირს და არც მადარდებს.

– და თუ შენი სიკერპით იმას მიაღწევ, რომ შიმშილით მოისწრაფებ სიცოცხლეს, ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ეკლესიის ეზოში ვერ დაიმკვიდრებ სამუდამო განსასვენებელს. აბა როგორ მოგწონს ეს პერსპექტივა?

– ამას ვერ იზამენ, – მომიგო: – ასე თუ მოიქცევიან, საიდუმლოდ უნდა გადამასვენონ. თუ ასე არ მოიქცევი, დარწმუნდები, რომ მკვდრები სამუდამოდ არ ქრებიან!

როგორც კი გაიგო, რომ ოჯახის სხვა წევრები აფუსფუსდნენ, თავის ბუნაგს შეათარა თავი და მეც შევებით ამოვისუნთქე. მაგრამ შუადღისით, როდესაც ჰერთონი და ჯოზეფი საქმეზე იყვნენ წასულები, სამზარეულოში შემოვიდა და ველური მზერით მითხრა, სახლში შედი და დაჯექიო. უნდოდა, რომ გვერდით ვინმე ჰყოლოდა. უარი ვტკიცე: შენი საუბარი და მანერები მაშინებს, ამდენად, არც სურვილი მაქვს და არც ნერვები, რომ კომპანიონობა გავინიო-მეთქი.

– მჯერა, რომ ეშმაკი გგონივარ, – მითხრა და დაღვრემილმა გაიცინა: – ისეთი საზარელი არსება, რომელთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაც კი უღირსად მიგაჩნია, – მერე

ქეთრინს მიუბრუნდა ზიზლით, რომელიც ოთახში შემოსულიყო და მის დანახვაზე ჩემ ზურგს უკან იყო ატეხული. – არ მოხვალ, ჩემო გვრიტო? არაფერს გავნებ. არაფერს! შენთვის ალბათ ავსულზე უარესიც კი ვარ. ეჰ, მხოლოდ ერთი არსებობს, რომელსაც ჩემს დანახვაზე არ აკანკალებს! მაგრამ ღმერთია მონში, რომ უწყალოდ მექცევა. ჯანდაბა! ამის ატანა ჩემს სისხლსა და ხორცსაც კი არ შეუძლია.

ალარავისთვის უთხოვია, დამიჯეყო. შებინდებულზე თავის ოთახში შევიდა. მთელი ღამე, დილამდე, გვესმოდა, როგორც კენსოდა და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ჰერთონს ერთი სული ჰქონდა, რომ შესულიყო, მაგრამ დავაძალე, წასულიყო და ექიმი ქენეთი მოეყვანა: ასე ორივე შეხვალთ-მეთქი. როდესაც ეს უკანასკნელი მოვიდა, ბატონის კარს მივანეჭი, რომ შემეღო, დავუძახე კიდევ, შემოგვიშვი-მეთქი, მაგრამ ჯანდაბამიც წასულხართო, გამოგვძახა. უკეთ ვარ და თავი დამანებეთო, მოითხოვა. ექიმმაც დაიხურა ქუდი და წავიდა.

მომდევნო საღამოს განვიმდა და დილამდე არც გადაუღია. როდესაც სახლს შემოვუარე დილით, ტრადიციულად, ბატონის ფანჯრებს ავხედე: ყურთამდე ღია ჰქონდა და წვიმა სახლში ასხამდა. ეტყობა, არ წევს-მეთქი, გავიფიქრე. ასე ხომ სულ გაილუმპებოდა. ან ამდგარი უნდა იყოს, ანდაც საერთოდ წასული. განვაშს არ ავტეხავ, ავალ და შევიხედავ-მეთქი, გადავწყვიტე.

სხვა გასაღებით რომ მოვახერხე კარის გაღება, პანელებიან საწოლთან მივირბინე, რაკი ოთახში ვერავის მოვკარი თვალი. პანელის კარები გავაღე და შიგნით შევიჭყიტე. მისტერ ჰითელიფი იქ იყო: ზურგზე იწვა. ისეთი ბოროტი და გამჭოლი თვალები შემომავება, რომ უკან გავხტი. მერე თითქოს ღიმილი აესახა ბაგებზე. მკვდარი არ მგონებია, მაგრამ პირი და ყელი სულ სველი ჰქონდა წვიმისგან, თეთრეულიც გაუიებულიყო, მაგრამ მაინც გაუნძრევლად იწვა. ქარზე მოქანავე დარაბას რაფაზე დარჩენილი ხელი სულ გადაექლიტა მისთვის. გაქლეტილი კანიდან სისხლი არ მოსდიოდა, მაგრამ მაინც დავადე თითი. სწორედ ამ დროს დავრწმუნდი, რომ გარდაცვლილიყო, რადგან სრულიად გაშეშებული იწვა!

ფანჯარა გადავრავ. შუბლიდან შავი თმა გადავუწიე და ვცადე, თვალები დამეხუჭა მისთვის როგორმე, რათა ეს ცოცხლისმავარი და შიშისმომგვრელი მზერა ჩამექრო, რომ სხვასაც არ დაენახა. არ ეხუჭებოდა; თითქოს ჩემს მცდელობას დასციინსო; ღიად დარჩენილი პირი და დაკრეჭილი თეთრი კბილებიც დამცინოდა! სიმხდალის მორიგ შემოტევაზე უკვე ჯოზეფს ვუხმე. ჯოზეფი ფეხბორებით ამოვიდა და ახმაურდა, თუმცა ხელის წამველებზე ცივი უარი გამიქცადა.

– ეშმაკმა ამოართვა სული, – იყვირა გამოშტერებულმა, – ნეშტიც თან წაუღია, თუ უნდა, სულ არ მადარდებს! ეჰ! რა საძაგლად იმზირება, მკვდარიც კი შესაზარია! – და ბებერმა ცოდვილმა თითქოს გაჯავრება სცადა. ვიფიქრე, ახლა სიხარულით თამაში არ დაიწყოს-მეთქი საწოლის გარშემო, მაგრამ უეცრად ღმეტა შეწყვიტა და მუხლებზე დაეცა ხელაპყრობილი. მადლობა ადავლინა, რომ უძველესი ჯიში და კანონიერი ბატონის უფლებები აღდგა.

ამ საშინელება მოვლენამ ისე დამთრგუნა, რომ მესხიერებაში სიმწრით წარსული ამომიტივტივდა. მაგრამ საწყალი ჰერთონი, ყველაზე მეტად გულნატკენი, გლოვობდა წრფელი გულით. მთელი ღამე მის ცხედართან გაატარა ცხარე ცრემლის ღვრაში. ხელზე ხელს უჭერდა და სარკასტულ, მკაცრ სახეზე კონცინდა, რომლის დანახვამაც ყველა ზიზღით იბრუნებდა პირს. ჭეშმარიტი გულისტკივილით დაიტირა მიცვალებული, ასეთი ტკივილი მხოლოდ პატიოსანი გულიდან თუ ამოვა, თუნდაც ეს გული ნაწრთობი ფოლადივით მტკიცე იყოს.

მისტერ ქენეთს გაუჭირდა ბატონის სიკვდილის ზუსტი მიზეზის დასახელება. ის ფაქტი არ ვახსენე, რომ ბოლო დღეებში ხემსი არ გადასვლოდა პირში, არ მინდოდა, ამას ვართულება მოჰყოლოდა ამას, გარდა ამისა, დარწმუნებულად ვახსენებ, რომ ჭამაზე განგებ არ ამბობდა უარს: ეს მისი უცნაური დაავადების შედეგი იყო და არა – მიზეზი.

მის დაკრძალვას სამეზობლოში დიდი დავიდარაბა მოჰყვა, როგორც სურდა კიდევ. მე და ერნშო, მესაფლავე და კიდევ ექვსი კაცი – ვინც უკანასკნელ გზაზე გააცილა. ის ექვსი კაცი წავიდა, როდესაც კუბო სამარეში ჩაუშვეს, ჩვენ კი მანამდე დავრჩით, სანამ არ დააჭედეს თავსახური. თვალცრემლიანმა ჰერთონმა თავისი ხელით მოთხარა მწვანე კორდები და ყავისფერი მიწა მოალამაზა. ახლა რომ ნახოთ მისი საფლავი, ისეთივე ხასხასა და მოვლილია, როგორც მისი ორი მეზობლისა და იმედი მაქვს, რომ მესამე საფლავის მკვიდრსაც ისევე ღრმად სძინავს, როგორც მეზობლებს. მაგრამ სოფლელებს რომ სიტყვა ჩამოუგდოთ მასზე, ბიბლიაზე დაიფიცებენ, დადისო! ზოგიერთი იმის მტკიცებასაც მოჰყვება, ჩემი თვალით ვიხილე ეკლესიის ეზოში, ჭაობებში და თვით ამ სახლშიცო! სულელური ზღაპარიაო, იტყვიო, და ასეც არის. შორს რომ არ წავიდეთ, აი, ეგ ბერიკაციც, სამზარეულოში, ცეცხლს რომ მისჭდომია, ამტკიცებს, ბატონის გარდაცვალების საღამოდანვე ყოველ წვიმიან ღამეს ორივე მათგანს ვხედავ, ფანჯრიდან რომ იყურებიანო. ისე, ერთი უცნაურობა მეც შემემთხვა ერთი თვის წინ: «მაშვების კარმიდამოში» მივიდიოდი, – მობნელებული იყო და განვიმებასაც აპირებდა – ჰოდა, ის იყო, «უღელტეხილის» მისადგომიდან გადავუხვიე, რომ პატარა ბიჭი შემომხვდა ატირებული, ორ ბეკეკოს რომ მოერეკებოდა. საშინლად ტიროდა. ვიფიქრე, ბეკეკები გაუჭიუტდნენ და არ მისდევნენ-მეთქი.

– რა ხდება, გენაცვალე? – ვკითხე პატარა კაცს.

– აი იქ, მთის ძირში, ჰითქლიფი და ვილაც ქალია, – გულამომჭარმა ამოთქვა, – მეშინია, ვერ გამივლია.

მე ვერაფერი დავინახე, მაგრამ არც ბიჭი და არც ცხვარი ადგილიდან არ იძვროდა. ამიტომ ვურჩიე, ქვედა გზით შემოუარე-მეთქი. ალბათ მართომ რომ გამოიარა ჭაობიანი მიწდვრები, მაგ დროს გაახსენდა მშობლებისა და ახლობლების ნათქვამი ჰითქლიფზე და ამის გამო წამოელანდა რალაც-მეთქი, ვიფიქრე. თუმცა მას მერე სიბნელებში მართო გასვლას ვერიდები და ამ შემზარავ სახლშიც ვცდილობ,

მართო არ დავრჩე. თავს ვერ ვერევი. მოხარული ვიქნები, როდესაც აქედან გადავალთ და «მაშვებში» დავიდებთ ბინას.

– მისის ქეთრინი და მისტერ ჰერთონი «მაშვებში» აპირებენ? – ვიკიოხე.

– დიახ, – მიპასუხა მისის დინმა, – როგორც კი იქორწინებენ; ქორწილი კი ახალ წელს აქვთ დანიშნული.

– და მერე აქ ვილა იცხოვრებს?

– ჯობეფი მიხედავს სახლს და იქნებ ვინმე ბიჭიც აიყვანოს დამხმარედ. სამზარეულოში მოთავსდებიან, დანარჩენი ოთახები კი დაიკეტება.

– და იმ მოჩვენებებს დაეთმობა, რომელთაც ჩასახლება მოუნდებათ? – დავასკვნის მე.

– არა, მისტერ ლოქვედ, – ნელიმ თავი გადააქნია, – მე მჯერა, რომ მკვდრები მშვიდად განისვენებენ. ასე აგდებით მათზე საუბარი რა საკადრისია.

ამ დროს ეზოს კარმა დაიჭრიალა; მოსეირნენი დაბრუნებულიყვნენ.

– მათ არაფრის ეშინიათ, – წავიბუზღუნესავით და ფანჯრიდან სახლისკენ მომავლებს გამოვაცოლე თვალი, – ერთად სატანასა და მთელ მის ლევიონებსაც არ შეუშინდებიან.

როდესაც კიბეზე დაინყეს ამოსვლა და მთვარისთვის უკანასკნელად თვალის შესავლებად შედგნენ – ან უფრო სწორად, მთვარის შუქზე ერთმანეთისთვის შესახედად – ვიგრძენი, რომ აქ აღარ დამედგომებოდა, მისის დინს ხელში სამახსოვრო საჩუქარი შევაჩეჩე, მისი შეცხადება, ეს რა საქციელიაო, არად ჩავავდე და სამზარეულოთი ზუსტად იმ დროს გავედი გარეთ, როდესაც ისინი უკვე სახლის კარს აღებდნენ. ამ საქციელით ჯობეფის მოსაზრებას გავამყარებდი, ჩვენს მნეს სახლში უცხო კაცები დაუდისო, პატივსაცემ პიროვნებად რომ არ მივეჩნიე ფეხებთან სამადლოდ დაგდებული სოვერენის ტკბილი წკრიალის წყალობით.

სახლამდე გზა გამიგრძელდა ეკლესიაში შევლის გამო. მის კედლებთან გაჩერებული დავრწმუნდი, რომ დაქცევა გრძელდებოდა: უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში სავრძნობი უარესობა იგრძნობოდა შავად პირდაფრენილი მინებჩამსხვრეული ფანჯრებიდან, ალაგ-ალაგ შიფერიც დაცურებულიყო სახურავიდან და მოსალოდნელი შემოდგომის ქარები, ალბათ, საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს.

დიდხანს ძებნა არ დამჭირვებია, მალევე მივაკვლიე სამ საფლავის ქვას ჭაობნარის მემობელ ბორცვზე. შუალას ნაცრისფერი ედო და სანახევროდ დეკას დაეფარა; ედგარ ლინთონის ძეგლს ჰარმონიულად შემოხვეოდა ხავსი და ძირში კორდიც ამშვენებდა. ჰითქლიფისა – ჯერ სულ შიშველი იყო.

საფლავებს შემოვუარე, თავზე რბილი ცა დამყურებდა: ფარვანები მანანებსა და მაჩიტებში დაფარფატებდნენ, ბალახში ნიავი დაქროდა და გამიკვირდა, როგორ შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ამისთანა მყუდრო მიწაში ვინმეს მშვიდი ძილით არ სძინავს-მეთქი.

[1] indigenae – აქ: ნამდვილი, ნაღდი.

[2] მიქაელობა – დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ კალენდარში რელიგიური დღესასწაული, რომელიც 29 სექტემბერს აღინიშნება.

[3] ენიგმატური საქციელი – გამოცანა, იღუმალი, გამოუცნობი, საიდუმლოებით მოცული, მისტიკური.

[4] ფართინგი – $\frac{1}{4}$ პენის ღირებულების მქონე ძველი ინგლისური მონეტა.

[5] «ნადირის დევნა» – სავარაუდოდ, მე-16 საუკუნის ინგლისურენოვანი ბალადა, რომელიც ჯერ ზეპირად გადმოიცემოდა, რამაც რამდენიმე მსგავსი ვერსიის შექმნა განაპირობა და მე-17 საუკუნის დამდეგს იქნა ფურცელზე გადატანილი.

[6] ლული (არაბ.) – აღმოსავლური ფოლკლორის ზებუნებრივი არსება, რომელიც მიცვალებულთა გვამებით იკვებება.